

ამიკან ნიკოლოზვილი

**კულტურა საქართველოს  
დემოკრატიულ  
რესპუბლიკაში**

(1918 წ. მაისი — 1921 წ. თებერვალი)

გამომცემლობა „საქართველო“  
ქუთაისის ფილიალი  
1998

მონოგრაფია შედგება ექვსი თავისაგან. მასში განხილულია ლონისძიებანი გაეროვნულების (გაქართულების) განსახორციელებლად და საქმიანობა ეროვნული ტერმინოლოგიის შესაქმნელად, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი და კინო-ხელოვნების დარგებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი პირველი ცდა აღნიშნული პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლისა. წიგნი გამოადგებათ ისტორიკოსებს, ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულებს, სტუდენტებს და უბრალოდ ყველას, ვისაც ერის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა სურს.

რედაქტორი ზურაბ კახიანიძე

6  $\frac{4906000000-021}{M 601(08)}$  98

© გამომცემლობა „საქართველო“  
ქუთაისის ფილიალი, გრიშაშვილის 6

## შენსავალი

1918 წ. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა განუზომლად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში. მან არნახული სტიმული მისცა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს აღორძინებას. ბუნებრივია, ამ პროცესისაგან განზე არც ერის სულიერი ცხოვრების სფერო დარჩენილა. უფრო მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ (და ამას ქვემოთ თვითონ დაინახავს მკითხველი) განსაკუთრებული აღმავლობა 1918-21 წლებში სწორედ ეროვნულმა კულტურამ განიცადა.

„ნამდვილად კი ის წლები — წერს აკადემიკოსი ვ. ბერიძე — დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში — მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში — დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველი მხრით მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა (ერთადერთი დარგი, იმ წლებს რომ კვალი არ დაუტოვებია, ხუროთმოძღვრებაა). გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი აღტკინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი.“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ღემოკრატული რესპუბლიკის ისტორიის საკითხების ობიექტური კვლევა მთელი 70 წლის მანძილზე ფაქტიურად ტაბუდადებული იყო. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, დროის ამ მონაკვეთზე თუ მაინც დაიწერებოდა რაიმე, მასში აუცილებლად მუქ და უარყოფით ფერებში ყოფილიყო წარმოჩენილი მაშინდელი ისტორია.

სამართლიანად მიუთითებს ამის თაობაზე აკად. ვ. ბერიძე — „სულ ბოლო დრომდე საქართველოს დამოუკიდებლობის წლების

1 ვ. ბერიძე „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში“ (1918-21 წლები), თბ., „მეცნიერება“, 1992 წ., გვ. 3.

(1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) ქართულ კულტურას ტაბუ ჰქონდა დადებული. რაკი მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური“) მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად და მოლაღატედ იყო აღიარებული (არსებითად, ისევე, როგორც ყველაფერი არასაბჭოთა და არაკომუნისტური), მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან ისიც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი ჭმნიდა, ხაზი გადაუსვეს მის მაშინდელ შემოქმედებას. ის ორი წელიწადი და რამდენიმე თვე თითქოს არც ყოფილა.“<sup>1</sup>

ამ სირთულეებიდან გამომდინარე, ქართველმა ისტორიკოსებმა, კულტურის ცალკეულ სფეროთა მკვლევარებმა, ფაქტიურად ვერ მოახერხეს სრულყოფილად შეესწავლათ და მკითხველისთვის მიეწოდებინათ მეტნაკლებად ობიექტური სურათი 1918 წ. მაისიდან 1921 წ. თებერვლამდე ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესებისა.

უფრო მეტიც, არა თუ ობიექტური ხასიათის, არამედ საერთოდ ამ პრობლემისადმი მიძღვნილი საგანგებო ისტორიული გამოკვლევა თითქმის არც კი დაწერილა. ამ მხრივ საბედნიერო გამონაკლისს წარმოადგენს 1992 წ. გამოცემული აკადემიკოს ვ. ბერიძის ბროშურა „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-21 წლები)“, რომელიც მართლაც რომ პირველი ცდა იყო 1918-21 წლების ქართული კულტურის საგანგებოდ „შესწავლისა.“

როგორც ავტორი წერს ბროშურაში, „ამ მიმოხილვას დაწვრილებითი გამოკვლევის პრეტენზია არა აქვს. ეს მხოლოდ წინასწარი, მოსამზადებელი ცდაა, რომელსაც საფუძვლიანი კვლევა უნდა მოჰყვეს — ეს უახლესი ისტორიის სპეციალისტებმა უნდა იკისრონ.“<sup>2</sup>

სამართლიანად აღნიშნავს აკად. ვ. ბერიძე თავისი ნაშრომის ანოტაციაში, რომ „დროის ამ მცირე მონაკვეთში, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინ არაფერი ითქმოდა და არსებითად ამოშლილი იყო ისტორიიდან, სინამდვილეში დაძაბული ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობდა. ჩანს, ეს არის პერიოდი, რომლის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ახალი ქართული ხელოვნების ისტორიის წარმოდგენა.“<sup>3</sup>

1 ვ. ბერიძე, „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-21 წლები)“, თბ., „მეცნიერება“, 1992 წ., გვ. 3.

2 იქვე, გვ. 4.

3 იქვე, გვ. 2.

აღსანიშნავია პროფ. მ. გაფრინდაშვილის მიერ დაწერილი ცალკე თავიც „ქართული კულტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანაში (1901-21 წ.წ.)“, რომელიც შეტანილია 1972 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-6 ტომში. მაგრამ როგორც სათაურიდანაც ჩანს, მასში მეოცე საუკუნის დასაწყისის მთელი ოცწლიანი მონაკვეთია შესწავლილი და საკუთრივ 1918-21 წლებს მცირე ადგილი უჭირავს. თანაც ჩვენთვის საინტერესო საკითხების განხილვა მასში უფრო ზოგადი ხასიათისაა.<sup>1</sup>

კიდევ უფრო მცირე ადგილი (ერთ გვერდზე ნაკლები) უჭირავს 1918-21 წლების კულტურის პრობლემებს 1984 წ. გამომცემლობა „განათლების“ მიერ გამოცემულ სქელტანიან წიგნში „საქართველოს ისტორია მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე“. მასში ერთ-ერთი თავის — „ქართული კულტურა მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში“ ავტორი პროფ. დ. მაისურაძეა. აქაც, ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოცემულ ყველა წიგნში, მენშევიკების მმართველობის პერიოდი კულტურის სფეროში უარყოფითადაა შეფასებული.<sup>2</sup>

1918-21 წლების ქუთაისის კულტურული ცხოვრების ცალკეული საკითხებია გაშუქებული პროფ. გ. მჭედლიძის მონოგრაფიაში „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“, მაგრამ იმის გამო, რომ ავტორი აქ 1914-21 წლების განათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, თეატრსა და ჯანმრთელობის დაცვას ერთად განიხილავს, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს შედარებით მცირე (ათიოდე გვერდი) ადგილი აქვს დათმობილი.<sup>3</sup>

ჩვენს საკვლევ პერიოდს 1970 წ. საინტერესო მონოგრაფია „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-21 წ.წ.)“ უძღვნა პროფ. უ. სიღამონიძემ.<sup>4</sup> მაგრამ მასში ქართული

1 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, აკად. გ. მელიქიშვილის რედაქციით. ტ. მე-6. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1972 წ., გვ. 700-765.

2 „საქართველოს ისტორია“, პროფ. ი. კაჭარავას რედაქციით, თბ., „განათლება“, 1984 წ., გვ. 190-213.

3 გ. მჭედლიძე, „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“ (1892-1921 წ.წ.), თბ., „სარანგი“, 1993 წ.

4 უ. სიღამონიძე, „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“, თბ., „მეცნიერება“, 1970 წ.

კულტურის პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომები განხილული არ არის, თუმცა ეს შემთხვევითი სულაც არაა, რადგან აღნიშნულ პრობლემაზე ფაქტიურად მაშინ თითქმის არაფერი იყო დაწერილი.

ასევე უნდა აღვნიშნოთ ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარ გ. ბუხნიკაშვილის წიგნი „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, რომელიც საბჭოური იდეოლოგიის საფუძველზეა შექმნილი და ხშირ შემთხვევაში ობიექტურობით ვერ გამოირჩევა, ლ. დონაძის, ო. ჩიკვაძის და გ. ჩხიკვაძის „ქართული მუსიკის ისტორია“, გ. ხარატიშვილის „ქართული კინოს დაბადება“, მ. დუდუჩავას „ახალი ქართული ხელოვნება“<sup>1</sup> და ა. შ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებიდან არ გამოგვრჩენია თითო-ოროლა ის საყურხალ-გაზეთო სტატიებიც, რომელთა ავტორები სხვადასხვა ასპექტში ეხებიან პროცესის ცალკეულ მხარეებს, არ გვავიწყდება მემუარული ლიტერატურაც (განსაკუთრებით თეატრალურ სფეროში), რომლებიც სხვადასხვა დროს გამოცემულა, მაგრამ ყველაფერი ეს ოდნავი მიახლოებითაც კი ვერ იძლევა იმის სრულ სურათს, რაც ქართულ კულტურაში 1918 წ. მაისიდან 1921 წ. თებერვლამდე ხდებოდა.

არადა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წლები გამორჩეულად საყურადღებოა ჩვენი კულტურის ისტორიაში. იმდენი რამ გაკეთდა ქართული კულტურის სფეროში, რომ მისი სიღრმისეული შესწავლა აუცილებელი და ძალზე აქტუალურია. ეს აუცილებლობა და აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ ჯერ ერთი, — გვექონდეს ეპოქის სრული სურათი და მეორე — მაშინ დაგროვილი გამოცდილება დიდად დაგვეხმარება დღევანდელ სიტუაციაში ანალოგიური პროცესების უკეთ წარმართვაში.

აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობა 90-იან წლებში დავიწყეთ. კვლევის პროცესში დაგროვდა დიდძალი მასალა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა უზარმაზარი მოცულობის (40 საავტორო ფორმატ-დე) ნაშრომი, რომელშიც კულტურის ყველა დარგია შესწავლილი.

წიგნი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, მხოლოდ მცირე ნაწილია ამ ნაშრომისა.

1 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, თბ., „ხელოვნება“, 1976 წ., ლ. დონაძე, ო. ჩიკვაძე, გ. ჩხიკვაძე, „ქართული მუსიკის ისტორია“, თბ., „ხელოვნება“, 1990 წ., გ. ხარატიშვილი, „ქართული კინოს დაბადება“, თბ., „ხელოვნება“, 1975 წ. მ. დუდუჩავა, „ახალი ქართული ხელოვნება“, თბ., „ხელოვნება“, 1950 წ.

მიგვაჩნია, რომ პრობლემაზე მუშაობა ამით სულაც არ დასრულებულა. მის შემდგომ სრულყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება დემოკრატიული საქართველოს მთავრობის იმ არქივის შესწავლა, რომელიც პროფესორ გ. შარაძის დიდი მცდელობის შედეგად 1997 წ. მთლიანად დაუბრუნდა საქართველოს. ეს არქივი ჯერ დამუშავებული არ არის და მასზე სამეცნიერო მუშაობის დაწყებას ალბათ დააგვიანდება. ვფიქრობთ, ამის გამო არ უნდა გადაიღოს პრობლემის კვლევა. მთავარია იგი დაიწყოს, ხოლო მისი შემდგომი გაღრმავება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პრობლემის სრულყოფილ შესწავლას.

## თავი პირველი

### ლონისძივანი გაეროვნულების (გაქართულების) განსახორციელებლად

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ოთხი თვის შემდეგ, 1918 წ. 1 ოქტომბერს, რესპუბლიკაში მიღებული იქნა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და ეს ფუნქცია ქართულ ენას მიენიჭა.<sup>1</sup> ბუნებრივია, ხელისუფლებამ დაიწყო ლონისძიებათა გატარება, რათა ქართულ ენას რეალურად შეეძინა სახელმწიფო ენის ფუნქციები. ამ გზაზე ერთ-ერთ უპირველეს ნაბიჯს საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანა, ანუ გაეროვნება (გაეროვნულება), ნაციონალიზაცია წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე, ერთ-ერთ პირველ უწყებას, სადაც ნაციონალიზაციის გატარება დაიწყო, კავშირგაბმულობის სამინისტრო წარმოადგენდა. სამინისტროში ამ საქმის განხორციელებისათვის საგანგებო კომისია შეიქმნა.<sup>2</sup> 1918 წ. 1 ივნისს რესპუბლიკის ეროვნულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ამ დღეს გაზეთმა „ერთობამ“ სურამის ქალაქის საბჭოსაგან მიიღო პირველი ქართული დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მილოცვით.<sup>3</sup> ხოლო 1 აგვისტოდან მთლიანად გამოცხადდა ფოსტა-ტელეგრაფის ნაციონალიზაცია და დადგინეს, რომ მიმოწერა, წერილების, დეპეშებისა და სხვა სახის კორესპონდენციების გაგზავნა მხოლოდ ქართულ ენაზე მომხდარიყო. გამონაკლისი დაიშვა თბილისში, სოხუმში, ზაქათალასა და ბორჩალოში, სადაც მიმოწერა რუსულადაც იქნა დატოვებული.<sup>4</sup>

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990 წ., გვ. 80-81, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 59.

2 გაზ. ერთობა, 1918 წ., № 155

3 იქვე, № 113

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 13



მთავრობის გადაწყვეტილებით, დეპეშების გადაცემა უნდა მომ-  
ხდარიყო სპეციალური ანბანით, რისთვისაც შესდგა სადეპეშო ასო-  
ნიშნები, რაც უცხოელთათვისაც იოლად გასაგები იყო.<sup>1</sup>

მაგრამ არ გასულა დიდი დრო და 14 აგვისტოდან შინაგან საქ-  
მეთა მინისტრის განკარგულებით ფოსტა-ტელეგრაფში დეპეშები-  
სა და კორესპონდენციების მიღება ორივე ენაზე დაუშვეს.<sup>2</sup> ეს იყო  
ყოველად გაუმართლებელი დათმობა ხელისუფლებისაგან. შინაგან  
საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთი უკანდახვევა გააკეთა. როცა ვასცა  
განკარგულება, აფხაზეთში დეპეშები და სხვა კორესპონდენციები  
მხოლოდ რუსულად გადაეცათ, რადგან იქ საქმის წარმოება რუ-  
სულ ენაზე სწარმოებდა.<sup>3</sup>

უნდა ითქვას, რომ მთავრობა გაეროვნების საკითხებში არათან-  
მიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა და ზოგჯერ არა საკუთარი სურ-  
ვილით, არამედ საზოგადოების ზეწოლით მოქმედებდა. მაგალითად,  
1 ივნისს გაიმართა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებების  
მოსამსახურეთა კავშირის კრება, სადაც გაეროვნების საკითხი გა-  
ხიხილეს. კრებამ დაადგინა, რომ მთავრობას გაეროვნება 1 აგვის-  
ტომდე გაეტარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმის მოგვარე-  
ბას ისინი თავიანთ თავზე იღებდნენ. კრებამ მთავრობას ისიც მოს-  
თხოვა, რომ მოსამსახურეები, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდ-  
ნენ. დაეთხოვა სამუშაოდან და მათთვის ხელფასი 1 აგვისტომდე  
ნეენარჩუნებინა.<sup>4</sup> ამის შემდეგ მთავრობამ მხოლოდ ნაწილობრივ  
გაააქტიურა თავისი საქმიანობა ამ კუთხით და 29 ოქტომბერს და-  
ადგინა, რომ სამინისტროებს ერთმანეთთან მიმოწერა ქართულ  
ენაზე ეწარმოებინათ.<sup>5</sup>

გაეროვნება სხვა სამინისტროებშიც დაიწყო. ამ მხრივ განსა-  
კუთრებით ბევრს აკეთებდა იუსტიციის სამინისტრო. აქ მინისტრის  
ალექსი-მესხიშვილის განკარგულებით, კანცელარიაში ქართველე-  
ბისა და ქართულის მცოდნეთაგან განცხადებების მიღება მხოლოდ  
ქართულ ენაზე დაიწყეს. რუსულად დაწერილი განცხადებები კი

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 13

2 ვაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 163

3 იქვე, № 114

4 ვაზ. „ჩვენა ქვეყანა“, 1918 წ., № 123

5 ვაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 235

მხოლოდ დროებით და ისიც იმ არაქართველთაგან მიიღებოდა, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ.<sup>1</sup> სამინისტროში კანცელარია ქართულ ენაზე საქმის წარმოებას 1 ნოემბრიდან, ხოლო მთლიანად სამინისტრო 1919 წ. 1 იანვრიდან შეუდგა.<sup>2</sup> სამინისტროს 24 სექტემბრის დადგენილებით ისიც გადაწყდა, რომ უბნისა და მომრიგებელ მოსამართლეებად მხოლოდ ქართულის მცოდნენი აერჩიათ და თანაც ქართულად საქმის წარმოებაზე გადასულიყვნენ.<sup>3</sup> 30 ოქტომბერს მინისტრმა გამოსცა ცირკულარი, რომლის მიხედვითაც 1919 წ. 1 იანვრიდან მთლიანად უნდა მომხდარიყო სასამართლოს გაეროვნება, რისთვისაც ყველა ბლანკი და საქმიანი ქაღალდები ქართულად იქნა დამზადებული.<sup>4</sup> ასევე გადაწყდა ქართულ ენაზე წარმოებულყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროშიც.<sup>5</sup>

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სამინისტროს სისტემაში ამ პროცესს ნაკლიც თან ახლდა. ამაზე წერდა კიდევ გაზეთი „ხალხის მეგობარი“ და აღნიშნავდა, რომ გაეროვნება მართალია ძნელად მიდიოდა, მაგრამ იგი მაინც უნდა გაეტარებინათ. განსაკუთრებით არასერიოზულად უდგებოდა მას სასამართლო დაწესებულებები, სადაც რუსულ ენას ვერ ელგოდნენ და ფაქტიურად იგი ბატონობდა ყველგან.<sup>6</sup>

გაეროვნება არმიაშიც დაიწყო. სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ, გამოსცა განკარგულება, რომ არმიაში უახლოეს მომავალში ქართულ მეცადინეობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ნაწილებში დაენიშნათ ისეთი ოფიცრები, რომლებიც ქართულის არამცოდნე ოფიცრებს ენასა და ტერმინებს შეასწავლიდნენ სპეციალურად მათთვის შედგენილი პროგრამის მიხედვით.<sup>7</sup> სამხედრო სამინისტროში 4 ნოემბრიდან საქმის წარმოებაც ქართულად დაიწყო.<sup>8</sup>

გაეროვნება გზათა სამინისტროში 14 ოქტომბერს დაიწყო და იგი მთლიანად გადავიდა ქართულ ენაზე საქმის წარმოებაზე.<sup>9</sup> ნა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 116

2 იქვე, № 81

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 235

4 იქვე, № 236, 243

5 იქვე, № 234

6 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 219

7 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 227

8 იქვე, № 237

9 იქვე, 220

ციონალიზაცია განხორციელდა რკინიგზაზეც. გზათა მინისტრის განკარგულებით, 1919 წ. 1 იანვრიდან აქ საქმის წარმოება ქართულად დაიწყო.<sup>1</sup> ასევე აიკრძალა სამუშაოდ იმ პირთა მიღება, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ.<sup>2</sup> სამინისტრომ დაადგინა ისიც, რომ რკინიგზის სადგურებზე წარწერები ქართულ ენაზე გაეკეთებინათ,<sup>3</sup> ხოლო რკინიგზის სადგურებში და ფოთის ნავსადგურში, ქართულის გარდა სხვა ენაზე დეპეშით საუბარი, რკინიგზის უფროსმა და გუბერნატორებმა აკრძალეს.<sup>4</sup>

შედარებით უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო გაეროვნება ქუთაისის გუბერნიაში. აქ კომისიის განკარგულებით 1918 წ. 15 ივლისიდან ყველგან ქართულად საქმის წარმოებაზე გადავიდნენ.<sup>5</sup> ასევე მოხდა ქუთაისში საპროკურორო და საგამომძიებლო ნაწილის სრული ნაციონალიზაციაც.<sup>6</sup>

გაცილებით რთულად იდგა საქმე აფხაზეთში. საქმე იმაშია, რომ აფხაზთა ეროვნული საბჭო ყოველივე ქართულის წინააღმდეგი იყო იქ და მან ამის თაობაზე აცნობა კიდეც მთავრობას, რომ ჭერჯერობით არ სცნობდა რა შესაძლებლად იქ ნაციონალიზაციის განხორციელებას, მოქმედებაში სტოვებდა რუსულ ენას. ხოლო, რაც შეეხებოდა იქაური სკოლების ნაციონალიზაციას, იგი მოსახლეობას რაიონების მიხედვით უნდა გადაეწყვიტა. საბჭო გამონაკლისად თვლიდა გიმნაზიებსა და საქალაქო სკოლებს.<sup>7</sup>

საოცარია, მაგრამ აფხაზეთში გაეროვნების წინააღმდეგი იქაური ქართველთა ეროვნული საბჭოს წევრი გ. ანჯაფარიძეც წავიდა. როგორც მან მოიწერა, ფოსტა-ტელეგრაფის ნაციონალიზაციაზე აფხაზეთში მიღებული ცირკულარი თუ შესრულებოდა, მაშინ იქ სამუშაოსათვის ყველას თავი უნდა დაენებებინა, რადგან მისი თქმით ქართული ენა თითქმის არავინ არ იცოდა.<sup>8</sup>

გაეროვნებას ხელს სხვა მიზეზებიც უშლიდა. მაგალითად, ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული ტერმინოლოგია, ბევრმა სუსტად

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 246

3 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 137

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ. № 122

4 იქვე, № 246

5 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 208

6 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 270

7 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 138

8 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 163

ან სულ არ იცოდა ქართული ენა, არ იყო ქართული საბეჭდი მანქანები, ქართული მარკები, სხვა საფოსტო ნიშნები და ა. შ. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც არ შეუშინდა წინააღმდეგობებს და პრაქტიკულად დაიწყო ამ სიძნელეების დაძლევა. მალე აიკრძალა რუსული საფოსტო ნიშნების ხმარება,<sup>1</sup> დაიწყო საბეჭდი მანქანების ქართულად გადაკეთება, 700 ახალი საბეჭდი მანქანა დაუკვეთეს გერმანიაში და ა. შ.<sup>2</sup>

ხელისუფლებისათვის გაეროვნების განხორციელება სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ არა ქართველები და ქართული ენის არამცოდნეები ქუჩაში გაიყრებოდნენ. სამინისტროებმა და უწყებებმა დაიწყეს ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსების ჩამოყალიბება. ასე მაგალითად, განათლების სამინისტრომ დააკმაყოფილა არაქართველ მოქალაქეთა თხოვნა და თბილისის პირველ გიმნაზიაში 21 ივნისს გახსნა ორთვიანი კურსები.<sup>3</sup> 22 ივლისს სამხედრო გიმნაზიაში შტაბის უფროს ზაქარიაძისა და პოლკოვნიკ კაპაბაძის ინიციატივით ოფიცრებისათვისაც გაიხსნა ორთვიანი ქართული ენის შემსწავლელი კურსები,<sup>4</sup> ექვსთვიანი კურსები სასამართლოს თანამშრომლებისთვის გახსნა იუსტიციის სამინისტრომ,<sup>5</sup> აგრეთვე გზათა სამინისტრომ<sup>6</sup> და ა. შ.

ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ნაციონალიზაციის მიმდინარე პოლიტიკითა და ტემპებით მაინც მრავლად იყვნენ უკმაყოფილონი. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთი „საქართველო“. 1918 წ. მასში დაიბეჭდა ვინმე რიონელის „ახალი საფრთხე“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მთავრობა იმთავითვე უნდა შესდგომოდა წინანდელ „უკულმართსა და მავნე დაწესებულებათა გაუქმებას, ლიკვიდაციას, რომლებზედაც... იხარჩებოდა მილიონები და იმავდროულად საჭირო და ჯანსაღ ორგანიზაციათა შექმნა და გაეროვნება ვერ შესძლო მთავრობამ“. როგორც გაზეთი წერდა, თავისუფალ საქართველოში როგორც სამინისტროებში, ისე სასამართლოებში, რკინიგზაზე, სასურსათო კომიტეტში, ქალაქის თვითმმართველობაში და ა. შ. რუსული ენა და რუსულად საქმის წარ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 18

2 იქვე, № 1

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 113. 123

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 1

5 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 231

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 74

მოება იყო გამეფებული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სამინისტროსა და დაწესებულებებში თითქოსდა კი შეადგინეს ახალი შტატები, მაგრამ იქაც საპატიო ადგილებზე რუსები და სომხები ჰყავდათ. და ეს იმ შემთხვევაშიც, როცა მშრომელი, ნიჭიერი და მომზადებული ქართველები უადგილოდ დადიოდნენ და სასოწარკვეთილები, იძულებულნი იყვნენ ლუკმაპურისთვის თათრებსა და სომხებთან ემუშავათ. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო. ასე მაგალითად, რკინიგზაზე 1918 წ. უფროს ინჟინრებად დანიშნეს: პირველ ნაწილში სომეხი აირაპეტიანცი, მესამე ნაწილში რუსი ზემსკოი, მეხუთე ნაწილში ებრაელი როზინი, მეექვსე ნაწილში სომეხი მატინოვი, მეშვიდე ნაწილში ებრაელი ნოსბერგი, მერვე ნაწილში რუსი დმიტროვეი და მხოლოდ მეორე და მეოთხე ნაწილებში ზუსაობდნენ ქართველები კაციტაძე და ლამბარაშვილი. „იქნებ რფიქროთ, არ გვყავს ქართველი ინჟინრები? — წერდა „საქართველო“, — გვყავს და საკმაოდაც, მაგრამ... ამგვარსავე სურათს შევხვდებით თითქმის ყველა დაწესებულებაში, ყველგან რუსები, ყველგან სომხები... ვგონებ ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ შეხვდა ეს ორი ეროვნება — რუსი და სომეხი საქართველოს თავისუფლებას. ეს იყო მათთვის გლოვის და ვაების დღე. ეს იყო მათთვის მოულოდნელი მეხი... ამიტომაც არის, რომ რუსმა და სომეხმა ხელი მისცენ ერთმანეთს ჩვენს წინააღმდეგ. გვლანძღვენ ყველგან და პირშიც კი, უშუალოდ ენათ და იმავე დროს ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ საშინელ პროვოკაციას“. და აი, გაზეთის თქმით, ასეთ ხალხს ნიშნავდნენ სამინისტროებში და სახელმწიფო დაწესებულებებში საუკეთესო ადგილებზე და ამით „შინ ვიჩენთ შხამიან გველებს, ჯაშუშებს და პროვოკატორებს, მათ ვანდობთ საპასუხო საქმეთა წარმოებას და სახელმწიფო საიდუმლოებას!.. ეს იმიტომ, რომ... ჩვენი გაბატონებული სდმპ სამსახურში არ იღებს სხვა პარტიის წევრებს, თუ გინდ გენიოსებიც იყვნენ ისინი. თავიანთ შორის კი მართლაც ცოტა ჰყავთ მცოდნე და მომზადებული კაცები.“<sup>1</sup>

1918 წ. „საქართველომ“ კიდევ ერთი მწვავე წერილი „გაქართულების დაჩქარება“ დაბეჭდა. გაზეთის თქმით, რესპუბლიკის მთავრობამ ყველა ეროვნული საქმე, რაც კი განხორციელდა, იძულებით გააკეთა. მას ინიციატივა არაფერში გამოუჩენია და სწორედ ამიტომაც, ყოველთვის გვიანდებოდა ასეთი ნაბიჯები. ეს ორჭო-

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 148

ფობა კარგად სჩანდა სახელმწიფო დაწესებულებათა გაქართულებათაშიც, რომელსაც ყურადღება არ ექცეოდა. ეროვნულ-დემოკრატიები მიიჩნევდნენ, რომ ქართული ენა თავის ღირსეულ ადგილზე უნდა დამდგარიყო. ამის თაობაზე ბრძანება მთავრობას მაისშივე უნდა გამოეცა, მაგრამ ეს არ გააკეთა და ამიტომ ბევრი ქართულის უცოდინარი მუშაობდა სხვადასხვა ეშელონებში. საქმის წარმოებაც რუსულ ენაზე იყო. ქართულის არმცოდნეების მიღება სამსახურებში კვლავ გრძელდებოდა. გაეროვნების წინააღმდეგი კი სწორედ ისინი გამოდიოდნენ, რადგანაც მათ გაეროვნებით სამუშაო ადგილები ეკარგებოდათ. გაზეთი პრინციპულად სვამდა საკითხს გაეროვნების დაჩქარების თაობაზე და თვლიდა, რომ მთავრობას უკუეგდო ყოყმანი და ორჭოფობა ამ საქმეში, შეექმნა კომისიები ყველა სამინისტროში და დაწყებულიყო მუშაობა ტერმინების შესამუშავებლად.<sup>1</sup>

„საქართველოში“ რ. ინგილომაც დაბეჭდა გაეროვნებაზე წერილი. მისი აზრით, საქართველოს სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი იყო, „რადგან თითქმის მთელი მექანიზმი რესპუბლიკისა უცხოთა ხელში“ იყო. სამსახურებში ღებულობდნენ აშკარა მტრებს, რომელთაც რუსეთის იმპერიის თავიდან აღდგენა სურდათ. მთავრობა კი ეროვნულ-დემოკრატიებს ნაციონალიზმს სწამებდა, რადგანაც ისინი სახელმწიფო მმართველობის ნაციონალიზაციის დაჩქარებასა და სრულ გატარებას ითხოვდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ ნაციონალიზაციის გატარებას ხელს სპეციალისტების უკმარობა უშლიდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა „რა თქმა უნდა ამისი მოხდენა ერთის დაკვირვით შეუძლებელი და მოუხერხებელია. ამას უნდა დრო და წინასწარ მომზადება“ — წერდა რ. ინგილო.<sup>2</sup>

იგივე „საქართველოში“ ს. ქვარიანიც წერდა, რომ „მთავრობამ უნდა მოახდინოს სიჩქარით ყოველივე დარგში სრული ნაციონალიზაცია. ე. ი. ქართულ ენაზე უნდა მოეწყოს ყოველგვარი საქმის წარმოება და მართვა-გამგეობა“.<sup>3</sup>

„საქართველოში“ თავისი გულის ტკივილი პ. გოთუამაც გამოსთქვა. იგი წერდა, რომ დედაქალაქის საბჭოსა და გამგეობაში საქმის წარმოება და სხდომები კვლავ უცხო, რუსულ ენაზე სწარმო-

1 გაზ. „საქართველო“. 1913 წ., № 128

2 იქვე, № 135

3 იქვე, № 120

ებდა და როცა იქ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ქართულად ამოიღო ხმა, მას სიცილიც კი დააყარეს. „ერთობამ“ არ მოიწონა პ. გოთუას ასეთი გამოხველა და იგი მკაცრად გააკრიტიკა.<sup>1</sup>

როგორც ზემოთაც ვწერდით, გაეროვნების ცხოვრებაში გატარება სულაც არ ნიშნავდა არაქართველთა დევნა-შევიწროებას. უბრალოდ, დიდი იყო სურვილი, დამოუკიდებელ სახელმწიფოს ენაც თავისი ჰქონოდა და საქმის წარმოება და განათლება მშობლიურ, ქართულ ენაზე მოეწყო. არადა ნაციონალიზაციის განხორციელება რომ მართლაც ჰქონდა, ამაზე მთავრობის ოპოზიციური „საქართველო“ კი არა, თვით მენშევიკური გაზეთებიც ვერ ხუჭავდნენ თვალს. მაგალითად, გაეროვნების შეფერხებებზე, მის მოწინააღმდეგეებზე, ქართული ენის უგულვებელყოფაზე საქმის წარმოებასა თუ უბრალო საუბრებშიც კი, არაქართული წარწერების წამლეკავ მდგომარეობაზე, რუსული ენის გაბატონებულ როლზე და ა. შ. არაერთხელ წერდა „ხალხის მეგობარი“.<sup>2</sup>

ნაციონალიზაციის განხორციელებას ძალზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ იუსტიციის სამინისტროს ბევრჯერ მოუხდა ამის თაობაზე სხვადასხვა სახის ბრძანებებისა თუ განკარგულებების გამოცემა, ხოლო 21 ოქტომბერს ჩაატარა დიდი თათბირი, სადაც წინააღმდეგობათა დაძლევის გზებზე იყო საუბარი.

განსაკუთრებით მწვავედ უტყვევდნენ სახელმწიფო, ქართულ ენას. თუმცა მისი სახელმწიფო ენად გამოცხადება სულაც არ უკრძალავდა სხვა ეროვნების ხალხს თავის ენაზე გამოსულიყვნენ ნებისმიერ ადგილზე, თვით პარლამენტის ჩათვლითაც კი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იძულებული გახდა დაებეჭდა ამის თაობაზე „კიდევ ნაციონალიზაციის შესახებ“. რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მტრების აშკარა შემოტევისა, არჩეული კურსი გაეროვნებისა არ შეიცვლებოდა და საქმის წარმოება, მართვა-გამგეობა და ა. შ. ქართული გახდებოდა. ხელისუფლებამ იმათთვის, ვინც ქართული ენა არ იცოდა, დააწესა ექვსი თვის ვალა ენის შესწავლისათვის.<sup>3</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 262

2 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 189, 216, 217...

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 27

ნაციონალიზაციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ბოღმით იბრძოდნენ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რუსული გაზეთები „ბორბა“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ტრუდოვოე ზნამია“, „სოციალ-დემოკრატი“, „ედინენიე“ და სხვები. „კავკაზსკოე სლოვო“, მაგალითად, წერდა, რომ ნაციონალიზაციის გატარება თურმე ინტერნაციონალიზმის ღალატი ყოფილა. მიუხედავად „ერთობის“ არათანმიმდევრული პოლიტიკისა ამ საქმეში, მან მაინც ვერ მოითმინა ასეთი აშკარად უხეში ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში და გააკრიტიკა რა მკაცრად „კავკაზსკოე სლოვო“, აღნიშნა, რომ ქვეყანა გაეროვნების აღებული კურსიდან არ გადაუხვევდა.<sup>1</sup> „ერთობა“, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდა ქვეყანაში სახელმწიფო ენას, მაგრამ მისი აზრით, არიან ჩვენს რესპუბლიკაში სხვა ერის წარმომადგენელნიც, რომელთაც ქართული ცოტა იციან ან სრულიად არა. ამათთვის ჩვენ არ შეგვიძლია დედაენის ხმარება აკრძალოთ. პირიქით, იგინი უნდა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ თავის გასაგებ ენაზე მიიღონ სამართალი, შეეძლოთ ლაპარაკი და სხვა... არა თუ მოსამართლემ უნდა იცოდეს ეროვნულ უმცირესობათა ენა, არამედ თვით საქმის წარმოებაც ზოგან შეიძლება ამ ენაზეც იყოს... ამგვარივე უნდა შევხედოთ პარლამენტში ენის საკითხსაც ინტელიგენციას შეუძლია რუსულად ლაპარაკი და გაგება აზრის, ხალხს კი მხოლოდ მშობლიურ ენაზე... თუ ყველა ენებს ჩვენ ოფიციალურად ენებად ვერ ვაღიარებთ, რადგან ეს სახელმწიფოს აღმშენებლობას მეტად გააძნელებდა, სამაგიეროდ მათ მშობლიური ენის ხმარების სრულ ნებას ვაძლევთ პარლამენტშიც, როგორც თვით-შმართველობაში. ამიტომ ჩვენი წინადადებაა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება მიეცეთ თავის ენაზე სიტყვის წარმოთქმისა... ინტელიგენციის ინტერესი რამდენიმეთ სხვაა. მათ რუსული იციან და რუსული უნდათ... დროებით, როგორც გამო-ნაკლისი, კიდევ შეიძლება რუსული ენის ხმარება. მარა დაკანონება ამ ენისა — ეს სახელმწიფოსათვის სრულიად მიუღებელია“.<sup>2</sup>

აგრძელებდა რა იგივე საუბარს „ერთობა“ ენაზე. მოგვიანებით სხვაგვარად წერდა: „პარლამენტში საქმის წარმოება და კამათი უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ისიც, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 132

2 აქვე, № 206



წარმოდგენს პარლამენტის დეპუტატისათვის. მიუხედავად ამისა, 27 სექტემბერს სხდომაზე საქართველოს პარლამენტში დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა აღნიშნულ საკითხზე... ეს ძალადობა გამოიწვია საქართველოს წვრილ ეროვნებათა ნაციონალისტების შეერთებამ და მათმა ყოვლად შეუწყნარებელმა პრეტენზიებმა: მათ განუზრახავთ ქართული ენის გვერდით შექმნან მეორე სახელმწიფო ენა — რუსული იმ საბაბით, რომ ეს ენა ყველას ესმის... ჩვენ სასტიკად ვზრახავთ იმ წვრილ ერების ნაციონალისტებს, რომელთაც თითქო თავი მოაქვთ სამშობლო ენის უცოდინარობით და დემონსტრაციულად მოითხოვენ, რომ მათ რუსულ ენაზე ლაპარაკის უფლება ჰქონდეთ.“<sup>1</sup> დავაში რუსული გაზეთი „გრუზიაც“ ჩაება, რომელმაც დაიწუნა დადგენილება პარლამენტში ქართული ენის სავალდებულო გამოყენების თაობაზე. მისი აზრით ეს უკმაყოფილოთა დემონსტრაციებსაც კი გამოიწვევდა. „გრუზია“ აშკარად გადავიდა მუქარაზე და განაცხადა, რომ, თუ ეროვნულ უმცირესობებს არ მიეცემოდით პარლამენტში გასაგებ, ე. ი. რუსულ ენაზე საუბრის უფლება, მაშინ დეპუტატები დატოვებდნენ კრებას. გაზეთის აზრით ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ეროვნულ-უმცირესობათა დეპუტატების ნაწილმა არ იცოდნენ არც ქართული და არც თავიანთი ენები.<sup>2</sup>

„ერთობამ“ გააკრიტიკა რა „გრუზია“ ამ წერილისათვის, აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი დეპუტატები იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის უპირველესი მტრები.<sup>3</sup>

„ერთობა“ კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და კიდევ ერთხელ შეიცვალა პოზიცია. ამჯერად მან მტკიცედ დაუჭირა მხარი პარლამენტში რუსული ენის გამოყენებას. თან აღნიშნა, რომ 11 სექტემბერს პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა თუ რა ენაზე ელაპარაკათ იქ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. გაზეთის პოზიცია ასეთი იყო — ვინც იცოდა ქართული იმას ქართულად, ხოლო ვინც არ იცოდა, იმას რუსულად ელაპარაკა. „ერთობას“ ამჯერად აღარ მოსწონდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი, რომელშიც მხოლოდ დედაენა იყო ჩაწერილი. თან თავის პოზიციას იმით ამართლებდა, რომ დედაენის გამოყენების შემთხვევაში, საჭირო გახდებ-

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 208

2 გაზ. „გრუზია“, 1918 წ., № 26

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 212

ბოდა თარჯიმანთა გამოყენება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს შექმნიდა პარლამენტში დეპუტატთა თავიანთ დედაენებზე გამოსვლების თარგმნის სისწორის შემოწმებას. ამიტომ, წერდა „ერთობა“, უნდა მიეღოთ რუსული ენა. გაზეთს სრულიად არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ დეპუტატს სახელმწიფო — ქართული ენა აუცილებლად უნდა სცოდნოდეს.<sup>1</sup>

„ერთობის“ მცდელობას უქმად არ ჩაუვლია და მალე პარლამენტმა შეასწორა კანონი ენის თაობაზე. ამ შესწორებით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ დეპუტატებს უფლება ეძლეოდათ პარლამენტში რუსულ ენაზე გამოსულიყვნენ. „ერთობამ“ ახლა ახალი თავგამოდებით ამ უკან გადადგმული ნაბიჯის დაცვა დაიწყო. სამაგიეროდ მკაცრად გააკრიტიკა ეს ნაბიჯი „სახალხო საქმემ“, მაგრამ „ერთობამ“ ამისათვის არც იგი დაინდო და გააკრიტიკა რა გაზეთი, მოიწონა პარლამენტში რუსული ენის შემოღება.<sup>2</sup>

„ერთობის“ არათანმიმდევრული პოლიტიკის დაჰადასტურებლად კიდევ ერთი მაგალითიც გამოდგება. გაზეთ „კლდეში“ რ. გაბაშვილმა დაბეჭდა ვრცელი წერილი, რომელშიც იგი მიუთითებდა იმ შეუწყნარებელ ნაკლოვანებებზე, რასაც ხელისუფლება ნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარებაში უშვებდა. რ. გაბაშვილის საპასუხოდ „ერთობაში“ გამოქვეყნდა ვ. ნინიძის სტატია, რომელშიც მას სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის რ. გაბაშვილის მოსაზრებანი. არადა, აი რაზე ამახვილებდა „კლდე“ ყურადღებას: რომ ტრამვის ჰქონოდა ქართული წარწერა, ბანკზე ორთავიანი არწივის (ე. ი. რუსეთის გერბის) ნაცვლად ყოფილიყო თეთრი გიორგის გამოსახულება, ქუჩებს ჰქონოდათ ქართული წარწერები და ა. შ. ამ მოთხოვნებით აღშფოთებული „ერთობა“ წერდა: „ყველაზე უფრო ახირებული ის არის, რომ ბატონი გაბაშვილი („ერთობა“ წინწყლებში წერს „ჰკვიანი კაცი“) ამბობს თავის წერილში: „განადრო არ არის. რომ სასახლეზე რუსული დროშის მაგიერ ქართული დროშა ავაფრიალოთო?“ ბატონ გაბაშვილს უნდა მოეხსენებოდეს. რომ სასახლეზე ფრიალებს წითელი დროშა და არა რუსული დროშა... ბატონი გაბაშვილი თბილისსა და საზოგადოდ საქართველოს გაქართულებას და განმტკიცებას ხედავს ყველგან და ყველაფერზე ქართულად წარწერაში და მოითხოვს მთავრობისაგან, რომ ამის

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 224

2 იქვე, № 221

შესახებ დაუყოვნებლივ იქნას გამოცემული შესაფერისი განკარგულება. უნდა მოვასხენოთ მას, რომ ჩვენ მთავრობასა და ხალხს საქართველოს კეთილდღეობის განსამტკიცებლად დღეს უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი მოვალეობანი აწევთ კისერზე და უფრო საჭირობოროტო კითხვები აქვთ მოსაწესრიგებელი, რაც შეეხება იმის მოწესრიგებას თბილისის რესტორან-დუქან-სარდაფებში რუსული წარწერები იყოს თუ ქართული, ეს ბატონმა გაბაშვილმა აწარმოვოს, რაკი ასე იპყრობს მის ყურადღებას ეს „დიდი საქმე“.<sup>1</sup>

ქართულ ენას არანაკლები თავგამოდებით ებრძოდა რუსულ პრესაში მოღვაწე ლ. ყიფიანიც. იგი „ედინენიეში“ წერდა, რომ ქართული ენა ოჯახებში წაირყვნა და რომ არ იცოდნენ, ეს გარუსების პოლიტიკის ბრალი სულაც არ ყოფილა. ქართული ენის ოჯახებში დაკნინების გამო, აღარც სკოლებში მდგარა იგი სათანადო დონეზე. ლ. ყიფიანის აზრით, — „რუსული ენა გაბატონებული იმიტომ კი არ ყოფილა, რომ ასი წლის განმავლობაში ცარიზმი ცხოვრებაში ყველაფერი ქართულის გარუქებას ატარებდა, რის შესახებაც აგრე რიგად უყვარდათ ლაპარაკი ქართველ შოვინისტთა ბანაკში, თითქოს ეს იყოს შედეგი ძალადობის პოლიტიკისა! ქართველებში არ ყოფილა განვითარებული მტკიცე სიყვარული მშობლიური ენისადმი და ყოველთვის მიიწევდნენ რუსული ენისაკენ. თუ ქართულ ენას სკოლებში სდევნიდნენ, ქართულ ოჯახში ხომ ამ ენას არავინ არ სდევნიდა და ოჯახში რომ ჩვენ ძლიერი გეჰონოდა ეროვნული სახე — არ ექნებოდა ადგილი უსაბუთო ბრალდებას ძალადობით გარუქებაში.“<sup>2</sup>

„ერთობა“ მკაცრად აკრიტიკებდა ლ. ყიფიანის ამ მოსაზრებას და წერდა: „გამარუხებლბებმა ისე მოაწყვეს ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულ ენას გასაველი არსად არ ჰქონდა. რუსი ბიუროკრატების ბატონობის დროს ეს იარაღი არ გამოდგა სახეირო. ამიტომ მეორე იარაღის ხმარების სწავლას — რუსულ ენას დაეწაფა ხალხი.“<sup>3</sup>

„ერთობასა“ და „საქართველოს“ შორის განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა მუშათა პროფკავშირების ნაციონალიზაციასთან დაკავშირებითაც. „საქართველო“, მუშებთან ერთად, მტკიცედ უჭერდა მხარს მათ გაეროვნებას. ამის გამო მას

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 223

2 გაზ. „ედინენიე“, 1918 წ., № 31

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 199

მკაცრად აკრიტიკებდა „ერთობა“ და მის ასეთ მოთხოვნას ნაციონალისტობად, შოვინიზმად მიიჩნევდა. „ერთობა“ გააფთრებული ებრძოდა რა გაქართულებას, ინტერნაციონალიზმის სახელით რუსიფიკატორულ პოლიტიკას ადგა. პროფკავშირებში რომ საქმეს რუსულად აწარმოებდნენ და მთელი მართვა-გამგეობაც რუსების ხელში იყო მოქცეული, თუმცა იქ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ამაზე „ერთობა“ რატომღაც სდუმდა. „საქართველოს“ აზრით, რუსებს ამ ბრძოლაში ენერგიულად უჭერდნენ მხარს სომხებიც. ჩვენი გადაგვარებული, სულით ხორცამდე გარუსებული სოციალ-დემოკრატების მეთაურები ვერ გრძნობენ ამ უკულ-მართობას და სხვასაც სდევნიან. მიუხედავად სოციალ-დემოკრატების ჯიუტობისა, ეცნო თავისი საკუთარი სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა... მუშები დაიცავენ მშობლიურ ენას და ინტერესებს“.<sup>1</sup>

მუშათა პროფკავშირების გაქართულებს წინააღმდეგ მთელი შემართებით იბრძოდა რუსული პრესაც. ასე მაგალითად, აღწვთებული „ტრუდოვოე ზნამია“ ორჯერ იუწყებოდა, რომ ს. ვადაჭკორია მუშათა კრებაზე ქართულად გამოსულა, რაც თურმე ნაციონალიზმი ყოფილა. ამის საპასუხოდ „ერთობაში“ თვით ს. ვადაჭკორია გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ სწორად მოიქცა, რადგან ამით ქართულ ენას შესაფერი ადგილი მიუჩინა, ისე, რომ ამით არც სხვა ენები დაუზიარავს. უნდა ითქვას, რომ ს. ვადაჭკორიას გამოსვლა მკვეთრი წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა. იგი, ერთის მხრივ, თუ ქართულ ენაზე თავის გამოსვლას სწორად მიიჩნევდა, მეორეს მხრივ, პრინციპული წინააღმდეგი იყო მუშათა პროფკავშირების გაქართულებისა. უფრო მეტიც, იგი აღწვთებულია იმათზე, ვინც მას პროფკავშირების ნაციონალიზაციის მისწრაფებას აბრალედა. მისი აზრით, ეს რომ მომხდარიყო, ამით ხომ სხვა ენები დაიჩაგრებოდნენ?<sup>2</sup>

მართალია, „ერთობა“ შეეცადა უარეყო „საქართველოს“ მიერ მის მიმართ წაყენებული რუსიფიკატორული პოლიტიკის ბრალდება, მაგრამ ამაოდ. იგი მხოლოდ „საქართველოს“ ზოგადი ლანძღვით დაკმაყოფილდა.<sup>3</sup>

მუშათა ორგანიზაციების გაეროვნების წინააღმდეგი იყო ამი-

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 146

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 154

3 იქვე, № 155

ერკავკასიის რუსული გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“-ი. მან გაეროვნების ასევე მოწინააღმდეგე „ერთობას“ ისიც კი არ აპატია, როცა ამ უკანასკნელმა ენათა თანასწორობას (და არა ქართულ ენას) დაუჭირა მხარი. „სოციალ-დემოკრატის“ აზრით, მუშათა პროფკავშირებში ერთადერთი ენა რუსული უნდა ყოფილიყო.<sup>1</sup>

1919 წლიდან გაეროვნების მოწინააღმდეგე ძალებმა არათუ შეაფერხეს მისი განხორციელება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლება აიძულეს უკვე მიღწეულიც კი დაეთმო და უკან დაეხია. მაგალითად, იმის მომიზეზებით, რომ არ კმაროდა საბჭოედი მანქანები. შეწყდა ქართულად დებეშების გზავნა,<sup>2</sup> ხოლო თბილისის გამგეობის მოსამსახურეთა კავშირის აღმასკომმა დაადგინა ეშუამდგომლა, რომ ერთი წლით შეჩერებულიყო ნაციონალიზაციამათთვის, ვინც ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ განაცხადებდნენ, რომ შეისწავლიდნენ მას.<sup>3</sup>

მიუხედავად ასეთი შემოტევებისა, გაეროვნება მაინც გრძელდებოდა. 1919 წ. 1 იანვრიდან ქართულად საქმის წარმოებასა და საქმეების გარჩევაზე გადავიდა ქუთაისის ოლქის სასამართლო,<sup>4</sup> ხოლო 8 თებერვლის მთავრობის დადგენილებით 1 მარტიდან იგივე უნდა განხორციელებულიყო თბილისის ოლქის სასამართლოშიც. დადგენილება არაქართველებისათვის შესაძლებლად თვლიდა რუსული ენის გამოყენებასაც. გაეროვნებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მთავრობამ გასცა განკარგულება სასამართლოთა კანცელარიებიდან გაენტავისუფლებინათ ქართული ენის არამცოდნეები.<sup>5</sup> საქმის წარმოება გაეროვნდა შინაგან საქმეთა სამინისტროშიც.<sup>6</sup>

მიუხედავად მთავრობის ასეთი გადაწყვეტილებისა და იუსტიციის მინისტრების ბრძანებისა, ზოგიერთი მოსამართლე მაინც რუსულად აგრძელებდა საქმეების წარმოებას. მაგალითად, როცა იუსტიციის სამინისტროსათვის ცნობილი გახდა, რომ სენაკის პირველი უზნის მოსამართლე საქმეებს მაინც რუსულად აწარმოებდა, მან ამაზე რეაგირება დაავალა ქუთაისის ოლქის სასამართლოს და პროკურორს. თან მოსახოვა მათ, შეემოწმებინათ ოლქის სხვა მო-

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 166

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 15

3 იქვე, № 21

4 იქვე, № 39

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 47

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 48

სამართლებიცი, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი მთავრობის დადგენილებას გაეროვნებასთან დაკავშირებით.<sup>1</sup> ამასთან ერთად იუსტიციის სამინისტრომ განმარტა, რომ საქმეები მომრიგებელ მოსამართლეებსაც ქართულად უნდა ეწარმოებინათ. მინისტრის ბრძანებით თბილისის სასამართლოში მოიხსნა ალექსანდრე II ბიუსტიც და მის სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულებას დაავალა 1920 წ. 1 იანვრამდე ყველა რუსული წარწერა ქართულით შეეცვალა.<sup>2</sup>

მიუხედავად მთავრობის და სამინისტროს ასეთი პოზიციისა, სასამართლოებში გაეროვნება მაინც ჭიანჭურდებოდა. ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა, რომ იგი იქ ძალზე ნელა ხდებოდა, რასაც ბევრი ვინმე უშლიდა ხელს, მაგალითად, თბილისელი ვეჭილები. 1919 წ. 1 იანვრიდან სამინისტროს სისტემაში სრული გაეროვნება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვეჭილებმა აირჩიეს კომისია და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან მიღებაზე ითხოვეს, რომ იგი 6 თვით გადაედოთ. მართალია, ნ. ჟორდანია მათ არ დაეთანხმა, მაგრამ ფაქტიურად უარიც არ უთქვამს, რადგან მისი რჩევით ვეჭილებს უნდა შეექმნათ კომისია და თუ იგი დაუსაბუთებდა მას ამ გადადების აუცილებლობას, საქმეს კი შემდეგ განიხილავდა.<sup>3</sup>

სასამართლოებში რომ გაეროვნება ფერხდებოდა, ამას ვერც „ერთობა“ უარყოფდა. მისი აღიარებით, სასამართლოებში ქართული ენა უგულვებელყოფილი იყო. იქ მისული კაცი მხოლოდ თარჯიმნის დახმარებით თუ დაილაპარაკებდა. წარწერები ყველგან რუსული იყო. სენატში იდგა ალექსანდრე II ძეგლი, სასამართლოები მიდიოდა რუსულად. ქართული თვით საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც კი არ იცოდა, მოსამართლეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თანამშრომელთა უმეტესობა რუსები იყვნენ, გარუსებულნი თავმჯდომარის პირადმა მდივანმაც არ იცოდა ქართული და ა. შ. „ერთობა“ ამ საქმეში ხელისუფლებასა და პარლამენტს ადანაშაულებდა, რომლებიც ქართულის არამცოდნეებს თვითონ ნიშნავდნენ იქ თანამდებობებზე. უფრო მეტიც, იქ მიმდინარე შტატების შემცირებისას ისევ ქართველებს ამცირებდნენ.<sup>4</sup>

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 273

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 286

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 453

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 296

„ერთობა“ სხვა დროსაც შეეხო აღნიშნულ საკითხს და მკაცრად გააკრიტიკა ვინმე დ. გ., რომელმაც რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ სასამართლოს გაქართულების წინააღმდეგ გაილაშქრა.<sup>1</sup>

1919 წ. 20 მარტს გაიმართა იურიდიული საზოგადოების წლიური კრება, სადაც სასამართლოს გაეროვნების საკითხი განიხილეს.<sup>2</sup> მეორედ გამართულ საზოგადოების კრებაზე კი განიხილეს საკითხი „ქართული ენა სასამართლოში“, რომელიც ზ. ხერხეულიძემ წაიკითხა.<sup>3</sup> დაიწყო რა პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, დეკემბერში ქართული ენის უცოდინარობის გამო სამუშაოდან გაანთავისუფლეს სასამართლო პალატის გამოძიებელი გრავესკი და ბრალმდებლის ამხანაგი კალვაიტი.<sup>4</sup>

„საქართველოში“ გაეროვნების საკითხებს შეეხო რ. ინგილო. იგი წერდა, რომ გაეროვნება ადრე ნელა, მაგრამ მაინც მიდიოდა, თუმცა ბოლო დროს იგი შეჩერდა და ზოგან ისევ რუსულზე ხდებოდა დაბრუნება. ასე მოხდა მაგალითად, იუსტიციის სამინისტროში, სადაც ახალი მინისტრის მისვლით შეჩერდა ეს პროცესი და ისევ რუსულზე გადასვლა დაიწყო. ამასთან ერთად, სამუშაოდ დააბრუნეს ენის უცოდინარობის გამო განთავისუფლებული რუსები, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო პოლიტიკას.<sup>5</sup>

1919 წ. „სახალხო საქმემ“ დაბეჭდა იუსტიციის სამინისტროს ანგარიში მისი შექმნიდან 1919 წ. 12 მარტამდე — დამფუძნებელი კრების გახსნამდე. ანგარიშში ყურადღება გაეროვნებაზეც იყო გამახვილებული. მასში აღნიშნული იყო, რომ ამ კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. მთელ სისტემაში თითქმის მთლიანად შეიცვალა ქართული ენის უცოდინარი თანამშრომლები, საქმის წარმოება ქუთაისის ოლქში 1 იანვრიდან გადავიდა ქართულ ენაზე, თბილისის ოლქში კი იგი 1 მარტიდან განხორციელდებოდა. ქართულად მიდიოდა გამოძიებაც. თუმცა არაქართველთათვის შენარჩუნებული იქნა რუსული ენა. თვით სამინისტროში ქართულად საქმის წარმოება 1918 წ. ოქტომბრიდან ხდებოდა. შექმნილი იყო სატერმინოლოგია

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 58

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 39

3 იქვე, № 245

4 იქვე, № 238

5 იქვე, № 80

კომისიაც. ანგარიში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი ნაკლ-  
ვანებებზე.<sup>1</sup>

„სახალხო საქმეში“ იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე ნა-  
ციონალიზაციის პროცესზე ვრცელი წერილი დაბეჭდა გ. გველე-  
სიანმაც. როგორც იგი წერდა, ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფოს  
მიერ მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, როცა სამი-  
ნისტრო შეუდგა გაეროვნებას, რაც თანდათანობით ხდებოდა. სა-  
მინისტროში დაიწყეს რა ქართულად საქმის წარმოება, ენის არამცო-  
დნეები განთავისუფლდნენ დაკავებული ადგილებიდან. მთხოვნელ-  
თაგან განცხადებები მხოლოდ ქართულად დაწერილი მიიღებოდა.  
ქართული ენა ფეხს იკიდებდა სასამართლოებსა და გამოძიებაშიც.  
თუმცა დაშვებული იყო გამონაკლისებიც — იქ, სადაც ბევრი  
არაქართველი (20% და მეტი) ცხოვრობდა, საქმის წარმოება ქარ-  
თულ და მათ ენაზე ხდებოდა. 1919 წ. 8 თებერვალს იუსტიციის  
სამინისტრომ გამოსცა ცირკულარი, რომ 1 მარტიდან სასამარ-  
თლოებში სრული გაეროვნება მოხდებოდა. ქუთაისის ოლქში იგი  
მთლიანად, ხოლო თბილისისაში კი ნაწილობრივ განხორციელდებ-  
ოდა. თუ აქ საქმე ქართველებს ეხებოდა, ანდა მასში საქართვე-  
ლოს დაწესებულება მონაწილეობდა, მაშინ მოხდებოდა ქართუ-  
ლად, ხოლო თუ საქმეში თბილისის მცხოვრები არაქართველი კერ-  
ძო პირი მონაწილეობდა, მაშინ მას უფლება ჰქონდა რუსული ენა  
გამოეყენებინა. ასევე ქართულად უნდა წასულიყო 1 მარტამდე  
შესული ყველა საქმე, გარდა სოხუმის ოლქისა. ქართულ ენაზე  
გადადიოდა როგორც ყველა სასამართლო, ისე სასამართლო პალა-  
ტა და ამ სისტემაში შემავალი ყველა დაწესებულება. ერთი სიტ-  
ყვით, მოხდა სრული ნაციონალიზაცია. გამონაკლისი დაუშვეს  
მხოლოდ თბილისის ოლქში და აფხაზეთში არაქართველებისათვის  
და ისიც სამოქალაქო საქმეებზე. აქ აფხაზთა სახალხო საბჭოს  
უნდა გადაეწყვიტა ენის საკითხი, მოსახლეობის სურვილის გათვა-  
ლისწინებით. ამიტომ კონსტიტუციის მიღებამდე აფხაზეთში მოქ-  
მედებაში რუსული ენა დარჩა. საქმის წარმოება ქართულად დად-  
გინდა ნოტარიუსებშიც, სადაც ყველა აქტის ნიმუშების ქართუ-  
ლად გადმოთარგმნა გახდა საჭირო. ითარგმნა კიდევ ისინი და უნ-  
და გადასულიყვნენ ქართულზე, მაგრამ მინისტრი და მასთან ერ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 477



თად მთელი სამინისტროც გადადგა და ეს საქმეც ამიტომ გადაი-  
დო.<sup>1</sup>

ძალზე გაჭიანურდა თბილისსა და სხვა ქალაქებში რუსული  
წარწერების შეცვლა ქართულით. ამის თაობაზე ხშირად და მწვა-  
ვედ სწერდნენ სხვადასხვა გაზეთებში. მაგალითად, „საქართველო“  
რამდენიმეჯერ შეეხო ამ პრობლემას და აღნიშნავდა, რომ თბილის-  
ში წარწერების შეცვლა ძალზე ჭიანურდებოდა და საჭირო იყო  
მისი დროული მოგვარება.<sup>2</sup> ასევე ცუდად იყო წარწერების შეც-  
ვლის საქმე ქუთაისშიც, ხოლო გორში იგი მართალია დაიწყეს,  
მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა ვერ შესძლეს.<sup>3</sup>

პრობლემას „ერთობაში“ ვინმე „განიც“ შეეხო. მას არ მოს-  
წონდა ნაციონალიზაციაში ხელისუფლების მიერ აღებული ტემპი  
და მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები გზათა სამინისტროდან და  
ქუჩების სახელებთან დაკავშირებით.<sup>4</sup> მომდევნო ნომერში ერ-  
თობამ<sup>5</sup> დაბეჭდა საპასუხო წერილი, რომელშიც გამართლებულია  
თბილისის გამგეობის ნელი ტემპი, „ხელმძღვანელობა უკიდურე-  
სობაში არ გადავარდნილა. იგი დინჯად და თანდათანობით მიჰყვე-  
ბა საქმეს. თანაც ვვაქვს კანონი სახელმწიფო ენაზე, რომელშიც არ  
სწერია, რომ ქართულთან ერთად რუსულიც იყოს გვერდიგვერდ“.<sup>6</sup>  
ასევე დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ, 1919 წ. სექტემბრიდან  
დაიწყო დიდი ღონისძიებების გატარება ქალაქში რუსული წარ-  
წერების ქართულით შესაცვლელად. წარწერების შეცვლა სასამარ-  
თლოებში იუსტიციის სამინისტრომაც დაადგინა. ასევე უნდა მომ-  
ხდარიყო იგი 1920 წ. 1 იანვრამდე მის სხვა უწყებებშიც.<sup>6</sup> შინა-  
გან საქმეთა მინისტრმა კი გამოსცა განკარგულება, რათა დაწყე-  
ბულიყო ქუჩებში, ფასადებზე და ტრამვაის ვაგონებზე წარწერების  
შეცვლა.<sup>7</sup>

22 სექტემბერს თბილისის გამგეობამ ბ. ჩხიკვიშვილის მოხსე-  
ნების საფუძველზე გამოიტანა დადგენილება მთელს ქალაქში წარ-  
წერების შესაცვლელად. წარწერები უნდა შეეცვალათ საცხოვრე-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 564

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 12, 39, 197

3 იქვე. № 22

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 150

5 იქვე. № 151

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 273

7 იქვე. № 269

ზელი სახლების მფლობელებსაც. წარწერათა ტექსტების ენობრივი და ტერმინოლოგიური სისწორის უზრუნველყოფის მიზნით, სავალდებულო გახდა ყველა ტექსტი შეედგინათ, ანდა გაესწორებინათ სავაჭრო პალატაში, სადაც ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოყვეს სპეციალისტები.<sup>1</sup> წარწერა ყველგან უნდა გაკეთებულიყო ქართულად, დიდი ასოებით, იქვე შეიძლებოდა იგივე წარწერა სხვა ენაზეც მოეთავსებინათ, ოღონდ ის უნდა ყოფილიყო მეორეხარისხოვან ადგილზე და წერილი ასოებით.<sup>2</sup> ყოველივე ეს სამთვეში, 1 დეკემბრამდე უნდა დასრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესდა ჯარიმა 500 მ. მოცულობით და პასუხისგებაში პიეტმა სასჯელთა წესდების 29-ე მუხლით.<sup>3</sup>

გაზეთ „ერთობაში“, იგივე „განი“, სტატიაში „გაკვრით“, იწონებდა რა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, მიიჩნევდა, რომ იგი ცხოვრებაში უფრო ენერგიულად უნდა მომხდარიყო. თუმცა აუცილებლად თვლიდა ამ საქმეში სიფრთხილისა და ტაქტის დაცვას, რათა პროცესი უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო. „განი“ თვლიდა, რომ ამ პრინციპების დაუცველობამ შექმნა აბსურდული სიტუაცია და გამოიწვია კურიოზები. მაგალითად, გზათა სამინისტრომ საქმის წარმოების გაქართულებასთან ერთად მოახდინა წარწერების გაქართულებაც და ამით უკიდურესობაში გადავარდა — ყველა სადგურსა და ტუალეტს გაუკეთეს ქართული წარწერა. „ერთობა“ გაოცებული კითხულობდა, თუ რა უნდა ექნათ ასეთ შემთხვევაში ქართული ენის მრავალრიცხოვან უცოდინარებს, როგორ გაერჩიათ მათ... ქალისა და მამაკაცის ტუალეტები. გაზეთი თბილისის გამგეობასაც გადასწვდა და არ მოიწონა ქუჩებისა და ტრამვაის ვაგონების რუსული წარწერების ქართულით შეცვლა, რადგან თურმე ეს ქართულის არმცოდნეთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა. — „ეს, — წერდა „განი“, არ მოხდებოდა. ორ ენოვანი რომ იყოს წარწერები. ამით არც ნაციონალიზაცია შეილახებოდა და უკმაყოფილების ნაკლები საბაბიც იქნებოდა. პოლიტიკური ტაქტი გვიკარნახებს, რომ ასეთი წერილმანებით კიდევ უფრო არ დავამძიმოთ ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო.“<sup>4</sup>

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 635

2 იქვე. № 608

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 191, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 214

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 150

1919 წ. იანვარში, მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, აღსდგა დეპეშების ქართულ ენაზე გადაცემაც, რადგან მიღებული იქნა ამ საქმისათვის საჭირო მანქანები.<sup>1</sup> ასევე პირველად დამზადდა სიმწიფის მოწმობებიც ქართულ ენაზე.<sup>2</sup> როგორც 1919 წ. ოქტომბერში გამართულ რკინიგზის II ყრილობაზე ითქვა, სრულ ეროვნებაზე თანდათანობით გადასვლა 1919 წ. 6 იანვრიდან რკინიგზაშიც დაიწყო, თუმცა აქ მისი განხორციელება ყველგან ვერ მოხერხდა, რადგან ბევრმა ქართული ენა არ იცოდა. ამის გამო რკინიგზის ხელმძღვანელობამ მათთვის ქართული ენის შემსწავლელი ექვსთვიანი კურსები გახსნა.<sup>3</sup>

27 იანვარს ნაციონალიზაციის საკითხებზე საგანგებო კრება ჩატარა თბილისის მოურავმა. კრებაზე გადაწყდა, რომ განყოფილებებში ორ დღეში ისე გადაედგინებინათ თანამშრომლები, რომ ყოველ განყოფილებაში ყოფილიყო ქართულის მცოდნე საქმის მწარმოებელი. რაც შეეხებოდა თვით გამგეობის ნაციონალიზაციის გეგმას, მას ახლადარჩეული გამგეობა შეადგენდა.<sup>4</sup>

რაც შეეხებოდა თბილისის წარმოება-დაწესებულებებს, მათში ქართულ ენაზე საქმის წარმოებას ქალაქის გამგეობის დადგენილებით 1919 წ. 1 იანვრიდან უნდა შესდგომოდნენ.<sup>5</sup>

ქართულად საქმის წარმოების გადასვლაზე დადგენილება ქუთაისის ქალაქის გამგეობამაც მიიღო, თუმცა იგი გამონაკლისად ცთვალისწინებდა. იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის 50% და მეტი სხვა ეროვნებისა იქნებოდა, საქმის წარმოება და განცხადებათა მიღება მათ ენაზეც იყო დასაშვები.<sup>6</sup>

დაიწყო იმ თანამშრომელთა სამუშაო ადგილებიდან თანდათანობითი დათხოვნებიც, რომლებმაც ქართული ენა არც იცოდნენ და არც სურდათ მისი შესწავლა. მაგალითად, დაითხოვეს თბილისის ქალაქის იურისკონსულტი ამირხანოვი და მას კომპენსაციად ერთი წლის ხელფასი მისცეს,<sup>7</sup> თბილისის გამგეობის მდივანი ბოდისკო (მის ნაცვლად დაინიშნა ებრაელი ვ. ხახანაშვილი, რაც ნათლად

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 22

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 89

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 243

4 იქვე, № 22

5 იქვე, № 199

6 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 2

7 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 36

დასტურებს, რომ სამუშაოდან არც ანთავისუფლებდნენ და არც  
ღებულობდნენ ეროვნული ნიშნის მიხედვით) და ა. შ.<sup>1</sup>

ქართული ენის მცოდნე ექვსი ახალი თანამშრომელი (ექიმი)  
მიიღეს ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტშიც,<sup>2</sup> ამ ღონისძიე-  
ბის გატარების აუცილებლობა აქ იმით იყო გამოწვეული, რომ ინ-  
სტიტუტში გაეროვნების განხორციელებას ხელს თვით მისი დი-  
რექტორი უშლიდა. თანამშრომლები ამის თაობაზე ორჯერ გაზეთ  
„საქართველოშიც“ სწერდნენ.<sup>3</sup>

როცა ქართული ენის არამცოდნეთა სამუშაოდან დათხოვნაზე  
ესაუბრობთ, აქ მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის  
ღონისძიებები, რასაც ხელისუფლების სტრუქტურები ატარებ-  
დნენ მათთვის ქართული ენის შესწავლის მიზნით. მაგალითად,  
1919 წ. 15 სექტემბერს თბილისის გამგეობაში ჩამოყალიბდა ქარ-  
თული ენის შემსწავლელი საღამოს კურსები, რომელზეც ყველა  
მსურველი უფასოდ ჩაირიცხებოდა. გამგეობის გადაწყვეტილებით,  
ვინც 1920 წ. 1 იანვრამდე არ შეისწავლიდა ქართულს, დათხოვ-  
ნილი იქნებოდა სამუშაოდან.<sup>4</sup> ასეთივე კურსები გაიხსნა საქართვე-  
ლოს კოოპერატორთა ცენტრალურ კავშირშიც.<sup>5</sup> რკინიგზაში, ქუ-  
თაისის გზათა სამმართველოშიც და ა. შ.<sup>6</sup> სულ 1919 წ. თბილისში  
ქართული ენის კურსების 5 ჯგუფი მოქმედებდა.<sup>7</sup>

ხელისუფლება რომ ქართული ენის შემსწავლელ კურსებს სე-  
რიოზულ ყურადღებას უთმობდა, ეს შემდეგიდანაც სჩანს: თბი-  
ლისის გამგეობამ საღამოს კურსებისათვის 20 000 მ. გამოჰყო.<sup>8</sup>  
ხოლო გამგეობის წევრ გ. კონიაშვილს კურსებისათვის სპეციალუ-  
რი პროგრამის შედგენა დაავალა.<sup>9</sup>

1919 წ. გაეროვნების კარგად დაწყებული პროცესი შეჩერდა  
რკინიგზაზე, სადაც მის მოწინააღმდეგედ თვით მინისტრი ნ. ხომე-  
რიკი გამოდიოდა.<sup>10</sup>

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 55

2 იქვე, № 171

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 10, 242

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 199

5 აქვე, № 145

6 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 11

7 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 216

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 58

9 იქვე, № 213

10 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 78

გაეროვნებას განსაკუთრებული ენერგიულობით უჭერდა მხარს ქრონულ-დემოკრატიული პარტია და მისი გაზეთი „საქართველო“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს მასში გამოქვეყნებული მასალებიდან. ე. პატარიძე სტატიასი „თბილისის გაქართულებისათვის“, კმაყოფილებით წერდა არჩევნების შედეგად თბილისის საბჭოში ქართველთა უმრავლესობის გამარჯვების შესახებ და მიიჩნევდა, რომ საბჭოს ახალ შემადგენლობას აღარ გაუჭირდებოდა ქალაქში ნაციონალიზაციის გატარება (მანამდე ამ პროცესს დიდად აფერხებდა თბილისის არაქართული საბჭო) და ქართული სულის დამკვიდრება. გადასაჭრელი იყო ქალაქის ქუჩებისა და უბნების სახელწოდებათა საკითხი. თვლიდა რა ახალი საბჭო ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობას, დაუყოვნებლივ აირჩია კომისია, რომელსაც ქუჩებისა და უბნებისათვის ქართული სახელები უნდა შეერჩია. საბჭოს უნდა მიეღწია თვით საბჭოსა და დაწესებულებათა გაეროვნებისათვისაც და თბილისის ქართველთა ხელში გადასვლისათვის.<sup>1</sup>

იმავე გაზეთში დაიბეჭდა მოწინავე სტატიაც „ახალი კურსი“, რომელშიც ატეხილი იყო განგაში ქართული ენის პრესტიჟის კლებასთან. დაკავშირებით. ამ საქმეში გაზეთი მთავრობას ადანაშაულებდა. საქმე იმაში იყო, რომ ხელისუფლება ძალზე ლოიალურად ექცეოდა ქართული ენის არამცოდნეებს და ისინი პრაქტიკულად დატოვეს სამსახურებში. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოებაც ბევრგან კვლავ რუსული დარჩა. ხდებოდა კურონოზებიც — ზოგან ქართულიდან ისევ რუსულზე ბრუნდებოდნენ, მაგალითად, რკინიგზაზე. პრინციპული პოზიცია არ ეკავა თბილისის გამგეობასაც, რომელიც არ ითხოვდა სამუშაოდ არ მიეღოთ ქართულის არმცოდნეები. საგარეო და მიწათმოქმედების სამინისტროები კი თავიანთ მასალებს მაინც რუსულად აქვეყნებდნენ. ერთი სიტყვით, დაიწყო პეტად არასასურველი, დენაციონალიზაციის პროცესი.<sup>2</sup>

იგივე პრობლემებს ეხებოდა „საქართველოს“ მეორე მოწინავე წერილიც „სახელმწიფო ენისათვის“. მასში გამოთქმული იყო გული-სტიკილი თბილისში ნაციონალიზაციის ნელპროცესზე. მაშინ, როცა იგი უმტიკვნეულოდ და შედარებით სწრაფად განხორციელდა თითქმის მთელს საქართველოში. გამონაკლისს თბილისი წარმოად-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 47

2 იქვე, № 76

გენდა, სადაც კვლავ რუსული ენა ბატონობდა. არაქართული ძა-  
ლები, უმეტესად რუსები და სომხები ყოველნაირად ეწინააღმდე-  
გებოდნენ ამ პროცესს. იმის მომიზეზებით, თითქოსდა ეს მათ შე-  
ეწიროებას გამოიწვევდა. სწორი იყო გაზეთის პოზიცია, რომ, ვი-  
საც საქართველოში სურდა ცხოვრება, მას ქართულიც უნდა სცო-  
დნოდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ „ვოზრაჟდენიე“, „ბორბა“  
და „სლოვო“, რომლებიც ქალაქის ნაციონალიზაციის თაობაზე და-  
დგენილების გაუქმებასაც კი მოითხოვდნენ. „საქართველო“ იწო-  
ნებდა რა ამ დადგენილებას, წერდა: „გარუსებულთა ნებაზე ვერ  
ვივლით. დედაქალაქი ქართული კულტურის დაფუძნებას ემსახუ-  
რება. თბილისი არსებითაც და ფორმითაც ქართული სახელმწიფო-  
ებრიობის განსახიერებად უნდა იქცეს და ამ საქმეში ხელის შემ-  
შლელნი არ უნდა გვეგულებოდეს.“<sup>1</sup>

„საქართველო“ კიდევ ერთ წერილში, — „ნაციონალიზაცია და  
საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებანი“, დაწვრილებით  
ჩერდებოდა ამ პროცესის სათავეებზე და წერდა, რომ ეს საქმე ჯერ  
კიდევ რუსეთის რევოლუციის შემდეგ იყო დაწყებული. ეროვნულ-  
დემოკრატიები მხარს უჭერდნენ სრულ ნაციონალიზაციას და ავტო-  
ნომიას შინაურ მართვა-გამგეობაში და არა ცალკეულ დარგებში.  
თავიდან ამ საკითხებზე წერა აკრძალულიც კი იყო, რადგან გაზე-  
ტის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას თვალი ჩრდილოეთი-  
საკენ ექირა. მაგრამ ცხოვრებამ დაარწმუნა მთავრობა, რომ მათი  
კურსი ამ საქმეში არასწორი იყო. აკრიტიკებდა რა გაზეთი ხელი-  
სუფლებას, წერდა, რომ მას აკლდა ეროვნული სარჩული. პირვე-  
ლი დეკრეტი ნაციონალიზაციაზე ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმ-  
მა მიიღო, მაგრამ იგი ქალაქებზე დარჩა. გაქართულება დამოუკი-  
დებლობის შემდეგ დაიწყო, თუმცა იგი სათანადო დონეზე მაინც  
არ დამდგარა. საქმის წარმოება და მართვა-გამგეობა ბევრგან ისევ  
რუსულ ენაზე ხდებოდა. ხელისუფლების განზრახვა, 1919 წ. 1 იან-  
ვრიდან სრულ ნაციონალიზაციაზე გადასულიყვნენ, საექვო იყო,  
რადგან მართალია ყველა დაწესებულებაში იყო შექმნილი ამ საქ-  
მისათვის კომისიები, მაგრამ ისინი ფაქტიურად არ მუშაობდნენ და  
კვლავ რუსულად უკვეთავდნენ დოკუმენტაციას. დიდად აფერხებ-  
და საქმეს მოხელეთა მიერ ქართული ენის უცოდინარობა და და-  
წესებულებებში მომუშავე არაქართველთა დიდი რაოდენობა,

<sup>1</sup> გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 197

რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ გაეროვნებას. ეს არაქართველები ძირითადად ხელმძღვანელები იყვნენ და ისინი თავიანთ ხელქვეითებსაც აიძულებდნენ რუსული ენის გამოყენებას. მთავრობა კი მათ ძალზე ლოიალურად ექცეოდა. ბოლო დროს მართალია დაიწყო მათი დათხოვნები სამუშაო ადგილებიდან, მაგრამ ძალზე ნელი ტემპით. სტატიის ავტორს მართებულად მიაჩნდა, რომ ეს პროცესი უნდა გააქტიურებულიყო და ყველა მტერი და მოღალატე დაუყოვნებლივ განთავისუფლებულიყო სამუშაოდან. გაქართულება მისი აზრით და სწორადაც, სულაც არ ნიშნავდა რუსული ან სხვა რომელიმე უცხო ენის სიძულვილს.<sup>1</sup>

უნდა ითქვას ისიც, რომ გაეროვნება საერთოდ არ მიმდინარეობდა აფხაზეთში, ეროვნულ გვარდიაში,<sup>2</sup> რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებებში,<sup>3</sup> შრომისა და სტატისტიკის განყოფილებაში და ა. შ.<sup>4</sup> ამის თაობაზე ითქვა კიდევ მკაცრად ბ. ჩხიკვიშვილის მიერ, 21 დეკემბერს გამართულ თათბირზე, რომელიც თბილისში გაეროვნების მიმდინარეობას მიეძღვნა.<sup>5</sup>

გაეროვნებაზე ბევრს წერდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო, გაზეთი „სახალხო საქმეც“. მაგალითად, მან ყურადღება გაამახვილა ქართული ენის აბუჩად აგდებაზე თბილისის ზოგიერთი დაწესებულების მიერ, რაც შემდეგში გამოიხატებოდა — ფოთში ხაზინა 1919 წ. იანვრიდან გაქართულდა, მაგრამ ამის მიუხედავად იქ თბილისის სახელმწიფო ბანკიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან წერილები მაინც რუსულ ენაზე მიდიოდა, თანაც კატეგორიულად მოითხოვდნენ ფოთიდან პასუხებიც რუსულად გაეგზავნათ მათთვის;<sup>6</sup>

„სახალხო საქმე“ ასევე აკრიტიკებდა რკინიგზას, მიწათმოქმედების სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლს, სენაკის სამაზრო ერობას და ა. შ. იმის გამო, რომ მათში გაეროვნება პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა. ხშირ შემთხვევაში ასეთ უმოქმედებას ეს დაწესებულებები ქართული ტერმინების უქონლობით, ქართველი სპეციალისტების უყოლობით და სხვა მოგონილი მიზეზებით ხსნი-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 16

2 იქვე. № 21

3 იქვე. № 32

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 290

5 იქვე

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 451

დნენ. სინამდვილეში კი, უმეტეს ადგილზე ხელმძღვანელებად გვე-  
კლინებოდნენ ქართული ენის არმცოდნე არაქართველები და სწო-  
რედ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ნაციონალიზაციას. ასე იყო მაგა-  
ლითად, სახალხო კონტროლში, სადაც ხელმძღვანელად ქართული  
ენის არმცოდნე სმირნოვი მუშაობდა. ეს სმირნოვი სამსახურში  
მხოლოდ რუსებს ლებულობდა, ხოლო ქართველ სპეციალისტებს—  
არა.<sup>1</sup> რაც შეეხება სენაკის მაზრას, გაეროვნება აქ იმით „დაიწყო“,  
რომ სამსახურებში დააბრუნეს ქართული ენის უცოდინარი რუსი  
მოხელეები.<sup>2</sup> კიდევ უფრო უარესად იყო საქმე ფოსტა-ტელეგრაფ-  
ში, სადაც დენაციონალიზაცია — ე. ი. უკან, რუსულ ენაზე გადას-  
კლა დაიწყო, რადგან აქ თვითონ ოლქის უფროსმა არ იცოდა ქა-  
რთული ენა. იგი მხოლოდ ფორმალურად დათანხმდა გაქართულე-  
ბას, ხოლო სინამდვილეში არც თვითონ და არც მისი თანამშრომ-  
ლები ქართული ენის სწავლას სულაც არ აპირებდნენ.<sup>3</sup>

„სახალხო საქმე“ შემდეგშიც არაერთხელ დაუბრუნდა სახალხო  
კონტროლის პალატაში შექმნილ მდგმარეობას და წერდა, რომ იქ  
გაეროვნების ნაცვლად დენაციონალიზაციის პროცესი დაიწყო. სა-  
ბუშაოებზე დააბრუნეს ენის უცოდინარი რუსები და სამსახურში  
მიღებაზე უარი უთხრეს 500 ქართველ სპეციალისტს.<sup>4</sup>

„სახალხო საქმემ“ გაეროვნებას მოწინავე წერილიც „ნაციონა-  
ლიზაცია“ მიუძღვნა. მასში ეს პროცესი მშობლიური ენისა და  
კულტურის მკვდრებით აღდგომად იქნა მიჩნეული. წერილში მი-  
მოხილული იყო ქართული ენის, კულტურის და სკოლის მდგომა-  
რეობა დამოუკიდებლობამდე და ხაზგასმული იყო, რომ ერის კუ-  
ლტურული ზრდა-განვითარება მხოლოდ მშობლიური ენის საშუა-  
ლებით იყო შესაძლებელი. რუსები კი სწორედ მას ართმევდნენ  
ქართველებს. ნაციონალიზაციის გატარებით, ხელისუფლებას შესა-  
ძლებლობა ეძლეოდა უფრო დაახლოებოდა ხალხს. თუმცა ხელი-  
სუფლება არათანმიმდევრული იყო მის გატარებაში და ზოგ შემ-  
თხვევაში არა თუ ანვითარებდა ამ პროცესს, პირიქით, ისიც ისპო-  
ბოდა, რაც უკვე მიღწეული იყო. მაგალითად, „გზათა მინისტრმა  
ნ. ხომერკმა გამოსცა ბრძანება, რათა ნაციონალიზაცია შეეჩერე-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 570

2 იქვე, № 643

3 იქვე, № 614

4 იქვე, № 543, 558, 582



ბინათ რკინიგზაზე. იგი არც ქ. თბილისის გამგეობაში იყო დაწყებული.<sup>1</sup>

მწვევე კამათი გამოიწვია რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებაშიც ნაციონალიზაციის გატარებამ. ამ საზოგადოების გაქართულების წინააღმდეგ იყო მიმართული რეზოლუცია, რომელიც მისი ერთი ნაწილის კრებაზე იქნა მიღებული. ნაციონალიზაციის მიუღებლობას შემდეგი მოტივებით ასაბუთებდნენ:

1. გამოცდილი და ძველი მოსამსახურეების დათხოვნა იქნებოდა საქმის ვნება, რადგან მათი აზრით, ახლებმა არ იცოდნენ საქმე.
2. ნაციონალიზაცია როგორც დაჩქარებული მოვლენა, ბევრგან თვით წინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა (მათ შორის რკინიგზაზეც).
3. ნაციონალიზაცია, მართალია ბევრგან კი გატარდა, მაგრამ იგი ყველგან არ მომხდარა. მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, კოოპერატივებში და ა. შ.
4. ნაციონალიზაცია ეწინააღმდეგებოდა კრიტიკას, რადგან მის გამო ხალხი აღმოჩნდებოდა ქუჩებში. კრების მოთხოვნით ნაციონალიზაციის საკითხი უნდა გადასცემოდა შემთანხმებელ კომისიას და მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სამსახურში ახლად მიღებულები უნდა დაეთხოვათ. კრების მონაწილენი ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, 15 ივლისიდან გაფიცვით იმუქრებოდნენ.<sup>2</sup>

რეზოლუციას მხარი დაუჭირეს რუსულმა გაზეთებმა „სოციალ-დემოკრატმა“ და „ვოლნამ“.

„სახალხო საქმეში“ რეზოლუციის საწინააღმდეგოდ გამოვიდა რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება, რომელმაც პრინციპულად დაუჭირა მხარი გაერთოვნებას. როგორც ისინი წერდნენ. ზოგიერთების უმუშევრად დატოვება სრულიადაც არ იყო იმისი საფუძველი, რომ მათ უარი ეთქვათ მშობლიურ ქართულ ენაზე.<sup>3</sup>

რუსული და სომხური პრესის ასეთ მოძალებულ შემოტევებში, გამონაკლისს წარმოადგენდა რუსეთში გამომავალი გაზეთი „დონსკაია ვესტ“. რომელშიც პ. ავაგევი გამართლებულად მიიჩნევდა საქართველოში მიმდინარე ნაციონალიზაციის პროცესს და ამის გამო რუსების მიერ სამუშაო ადგილების დაკარგვაში არ ამტყუ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. № 498

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 142

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 568

ნებდა საქართველოს ხელისუფლებას. ქართული ენის უცოდინარი რუსი მოხელეები, გაზეთის აზრით, ვერ იმუშავებდნენ რუსული ენის უცოდინარ ხალხთან.<sup>1</sup>

დაუჯერებელია, მაგრამ ასეთი პოზიცია ხშირად თვით ქართულ გაზეთ „ერთობასაც“ კი არ ეჭირა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. იგი ეროვნულ-დემოკრატების გაზეთ „კლდეს“ ყვითელ პრესას იმიტომ უწოდებდა, რომ „კლდეს“ არ მოსწონდა მიწათმოქმედების სამინისტროში ქართველებზე მეტი ქართული ენის უცოდინარი არაქართველები რომ მუშაობდნენ. „კლდეს“ სურდა სამინისტროში დაესაქმებინათ ყოფილი ქართული ბანკის საადგილმამულო კომისიაში ნამუშევარი გამოცდილი ქართველები. ამით აღშფოთებული „ერთობა“ წერდა: „რამდენი მალე მოკედება განწირული წოდების განწირული იდეოლოგია. იმდენად მალე განვითარდება ჩვენი ცხოვრების სასიცოცხლო ძალები“. განა შეიძლება ნორმალური ევოლუოს „ერთობის“ ასეთ ვაიკლასობრივ პოზიციას, როცა იგი საქართველოში, სპეციალისტი და გამოცდილი ქართველის მუშაობას ამჯობინებდა ქართული ენის უცოდინარი არაქართველების მუშაობას მხოლოდ იმის გამო. რომ ეს ქართველები თურმე „განწირული წოდების“ წარმომადგენლები იყვნენ.<sup>2</sup>

ცალკე უნდა შევეხოთ სახელმწიფო ენისადმი ხელისუფლების, მისი მხარდამჭერი პრესის, ოპოზიციური პარტიებისა და მათი პრესის დამოკიდებულებას. 1919 წ. „ერთობამ“ დაბეჭდა მოწინავე წერილი „ნაციონალიზაცია“, რომელშიც საუბარი ენის როლსა და დანიშნულებაზე იყო. „ჩვენ არ ვქმნით ენის კულტს. ენა მხოლოდ საშუალებაა ადამიანთა შორის ურთიერთობის საწარმოებლად, ცხოვრების მოსაწყობად. კულტურის განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით ვუყურებთ სახელმწიფო ენასაც. სახელმწიფო ენა ესაა ენა მთავრობისა და მისი ორგანოების, რომ ხალხთან კავშირი დაიჭირონ. ენა ხალხს ესაჭიროება მთავრობაზე მეტად. მთავრობამ სხვა ენებიც კი იცის. მხოლოდ ამ მოსაზრებით მოვითხოვთ ჩვენ, რომ განახლებულ საქართველოში მმართველობის აპარატიც განახლდეს, რათა ამ გზით მთავრობა და მისი ორგანოები დაუახლოვდნენ ხალხს, რაც შეუძლებელია ხალხის ენის არ ცოდნის დროს. მოწინააღმდეგეები ნაციონალისტებს გვეძახიან. მაშინ, რო-

1 გაზ. „დონსკაია ვესტი“, 1919 წ., 30 სექტემბერი

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 149

ცა ისინი აქ ათეული წლობით ცხოვრობენ და მაინც არ იციან ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი. ქართული ენის შემოღება დემოკრატიულია, რადგან ხალხმა სხვა ენა არ იცის“. როგორც „ერთობა“ წერდა, ქვეყანაში გამოსული კანონით არც ეროვნული უმცირესობები დარჩენილა უყურადღებოდ. ასე მაგალითად, მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ ყველა დოკუმენტაცია უფასოდ ითარგმნა და გაიცა იმ ადგილებში, სადაც ეროვნული უმცირესობანი მცხოვრებთა საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ, ხოლო სადაც ქართულის არმცოდნეები უმეტესობას შეადგენდნენ, იქ საქმის წარმოებაც ქართულთან ერთად, ეროვნულ უმცირესობათა ენაზეც უნდა ყოფილიყო. სწორად იყო აღნიშნული ისიც, რომ არ შეიძლებოდა საქართველოში თანაბარ უფლებებში ყოფილიყვნენ ქართული, რუსული სომხური, თათრული, ოსური, ბერძნული, გერმანული და ა. შ. ენები. ქართული ენის რუსი და სომეხი მოწინააღმდეგენი, ყოველნაირად ცდილობდნენ რუსული ენის ძველ უფლებებში შენარჩუნებას, რადგან თვითონ ქართული არ იცოდნენ. ისინი ქართულის უგულვებელყოფისას ტერმინოლოგიის უქონლობასაც იშველიებდნენ. „ერთობას“, მათ მიერ ატეხილი განგაში სამართლიანად მიაჩნდა პროვოკაციად.<sup>1</sup>

ქართული ენისადმი რუსი და სომეხი შოვინისტების დამოკიდებულება კარგად სჩანს ასეთი მაგალითიდანაც: 1919 წ. 2 თებერვალს თბილისში გამართული საშუალო სკოლების მასწავლებელთა კრება რუსებმა და სომხებმა იმ მოტივით მიატოვეს, რომ იგი ქართულად ჩატარდა.<sup>2</sup> არადა, კრება რომ ქართულად ჩატარდა ეს კანონზომიერი იყო თუნდაც ფორმალური თვალსაზრისითაც, რადგან 19 იანვარს დაარსებულმა მასწავლებელთა კავშირმა დაარსების დღესვე დაადგინა, რომ მასში საქმის წარმოება ქართულად იქნებოდა.<sup>3</sup>

ეს მოვლენა აიტაცა „ბორბამ“ და დაბეჭდა მასწავლებელ ს. მოლოჟაევის და ვილაც X-ის წერილები, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო კრება მისი ქართულად წარმართვის გამო. „ბორბას“ წერილებს მკაცრი პასუხი გასცა კ. გაგუამ გაზეთ „სახალხო საქმეში.“<sup>4</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 17

2 იქვე, № 29

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 16

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 459

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ერთობ უცნაური პოზიცია დაიკავა „ერთობამ“. მან დაბეჭდა წერილი „ენა“, რომელშიც ინციდენტის გამო ქართული მხარე გაამტყუნა. ვაზეთის აზრით, რაკი ინტელიგენციას განათლება რუსულად ჰქონდა მიღებული, მათ სწორედ ამის გამო არ იცოდნენ მშობლიური ენა. ამიტომ, თვლიდა იგი, — აუცილებელი იყო „ინტელიგენტურ წრეებში ერთმანეთის გასაგებ ენაზე ლაპარაკი. ე. ი. რუსული ენის ხმარება. არც მასწავლებელთა კავშირს უნდა ენებებინა ასეთი საქციელი. უნდა მიეცათ საშუალება ქართულის არამცოდნეთათვის რუსულის ხმარებისა და ორივე ენაზე ეწარმოებინათ სჯა-ბაასი ან მხოლოდ რუსულით დაკმაყოფილებულიყვნენ. როდესაც ნაციონალიზაცია შემოაქვთ ინტელიგენტთა კრებებისათვის — ეს ხდება მხოლოდ ამ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის სასარგებლოდ და ხალხის საზიანოდ. მაშასადამე აქ დემოკრატიული არაფერია, აქ მხოლოდ ნაციონალიზმია შირმათ და ჯგუფური ინტერესი სარჩულათ“.<sup>1</sup> უცნაური აქ ისაა, რომ იგივე „ერთობა“ სულ რაღაც ერთი კვირის წინათ მოწინავეში „ნაციონალიზაცია“ სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. ერთი სიტყვით, იგი ხან ქართულს უჭერდა მხარს, ხან რუსულს, დღეს ერთს სწერდა, ხვალ მეორეს და ა. შ.

„ერთობის“ ასეთი მერყევი პოზიციით აღწფოთებულმა „საქართველომ“ სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა იგი და მისი გამოსვლა მიიჩნია აბდაუბდად და სისულელედ. „თურმე ქართულის მასწავლებელს არ შეუძლია ქართულად ლაპარაკი მათი ლოგიკით, რადგან მასწავლებელი ინტელიგენტი იყო“.<sup>2</sup>

ქართული ენისადმი თვით ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებაზე სწორად წერდა ლ. მეტრეველი „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართული სული“. მისი აზრით, ენა ღირსება აყრილი, ხოლო ქართული სული ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი იყო. მშობლიურ ენად დიდ ნაწილს მაინც რუსული მიაჩნდა. ლ. მეტრეველს ასეთი მაგალითიც მოჰყავდა: ერთ-ერთ მაგიდასთან, სადაც მთავრობისა და პარლამენტის

1 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 29

2 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 29

წარმომადგენლებიც ყოფილან. 200 კაციდან ქართულად თურმე მხოლოდ ერთი საუბრობდა.<sup>1</sup>

ამის შემდეგ გასაკვირი. სულაც არ იყო „კავკასკოე სლოვოში“ რენეგატ და ანტიქართველ ლ. ყიფიანის ასეთი წერილი: ქართულის გაკვეთილზე ქალთა გიმნაზიაში, რუსმა მოსწავლეებმა დასცინეს ქართულად მოსაუბრე მოსწავლეს. ეს არ მოითმინეს ქართველმა ბავშვებმა და საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა. პელსაბჭომ აღნიშნულის გამო გიმნაზიიდან გარიცხა რუსი მოსწავლე. ლ. ყიფიანი მომხდარში ქართველ ბავშვებსაც ადანაშაულებდა.<sup>2</sup>

ლ. ყიფიანის ამ წერილმა აღაშფოთა „ერთობა“ და მოსთხოვა მას კონკრეტულად დაესახელებინა გიმნაზია: თანაც მიუთითა, რომ საქართველოსა და ქართულის დაცინვა არ უნდა პატიებოდა მტრებს და მათთვის სათანადო პასუხი გაეცათ.<sup>3</sup>

ლ. ყიფიანმა თავის საპასუხო წერილში მიუთითა, რომ ეს თითქოსდა ქალთა IV გიმნაზიაში მომხდარიყოს.<sup>4</sup> IV გიმნაზიის დირექტორმა უარყო ყოველივე.<sup>5</sup> მაშინ ლ. ყიფიანმა დაწერა, რომ თითქოსდა აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა II გიმნაზიაში.<sup>6</sup> ცხადია, რომ ლ. ყიფიანი იტყუილებოდა და მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა — კიდევ უფრო დაეძაბა ისედაც გამწვავებული ურთიერთობა რუს მოსახლეობასთან.<sup>7</sup>

ქვეყნის ნაციონალიზაციის პროცესთან მკვიდრო კავშირში იყო ისეთი მტკივნეული პრობლემის მოგვარებაც, როგორსაც ქუჩების რუსულ სახელწოდებათა ეროვნული სახელებით შეცვლა წარმოადგენდა. ამ მიზნით საგანგებოდ შეიქმნა ქუჩებისა და დაწესებულებების სახელწოდებების შემცვლელი კომისია, რომლის მიერ მომზადებულ<sup>8</sup> წინადადებების საფუძველზე 1919 წ. 26 მაისსა და 23 ივნისს ერევნის მოედანს დაერქვა თავისუფლების მოედანი, სასახლის ქუჩას — დამფუძნებელი კრების ქუჩა, გოლოვინის პროსპექტს — 26 მაისის ხეივანი, სოლოლაკს — 26 მაისი, ოლღას ქუჩას — აკაკის, ანდრიას ქუჩას — ილიას, სასახლის მოედანს — 26

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 550

2 გაზ. „კავკასკოე სლოვო“, 1919 წ. № 101

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 114

4 გაზ. „კავკასკოე სლოვო“, 1919 წ., № 105

5 იქვე, № 123

6 იქვე, № 107

7 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 123

მაისის მოედანი, ალექსანდრეს ბაღს — ნინოშვილის ბაღი, ბარიატინსკის ქუჩას — ნინოშვილის ქუჩა და ა. შ.<sup>1</sup>

ასევე შეეცვალათ სახელები ქუჩებს ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სენაკში და ა. შ. ხოლო ახალციხეში კი პირიქით მოხდა — აქ მხოლოდ ერთ ქუჩას ერქვა ქართული სახელი და იმასაც რატომღაც ზორიანის სახელი უწოდეს.<sup>2</sup>

1919 წ. 13 ოქტომბერს ამ მიმართებით ყველაზე უფრო მასშტაბური ნაბიჯი გადაიდგა და თბილისის საბჭოს დადგენილებით 300 ქუჩას შეეცვალა სახელწოდება. სხვათაშორის თავისი ანტიქართული ბუნება აქაც ვერ დამალა და გადაწყვეტილების წინააღმდეგი გამოვიდა საბჭოს თანამშრომელი მზარეულოვი.<sup>3</sup>

გარკვეული უურადლება ექცეოდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვასაც და სერიოზული სამზადისი დაიწყო, რათა 1919 წ. 1 ივნისს ქართული ენის მცოდნეთა კონფერენცია ჩატარებინათ.<sup>4</sup> აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით 1919 წ. არაერთი საყურადღებო სტატია დაიბეჭდა. შეიძლება დავასახელოთ: გ. რობაქიძის „სიტყვის დამბლა“,<sup>5</sup> მ. ჯანაშვილის რეცენზია „ქართული ლექსიკონი“,<sup>6</sup> ი. მჭედლიშვილის „ქართული ენა“<sup>7</sup> და ა. შ. განსაკუთრებით იმსახურებდა უურადლებას „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილი ს. ხუნდაძის განცხადება განათლების მინისტრის სახელზე. მასში ავტორი გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა ქართული სალიტერატურო ენის მოწესრიგებას, რადგან მასში, მისი აზრით, ძალიან ბევრი იყო ფორმების სხვადასხვაობა და არეგ-დარეგა. ფორმების, ეტიმოლოგიის და სინტაქსური კანონების რაოდენობა თითქმის იმდენი იყო, რამდენიც მწერალი და ენის მკვლევარი არსებობდა. სკოლისათვის კი საჭირო იყო მტკიცედ განსაზღვრული ფორმები და კანონები. „სახალგაზრდები ერთგვარ ენას უნდა ითვისებდეს, — წერდა ს. ხუნდაძე, — იმერეთში თუ ამერეთში, რათა მომავალი ჩვენი ინტელიგენცია ენაჭრელი, ენაარეული არ იქნეს,

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 55, „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 559

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 534

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 216

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 269

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 204

6 იქვე, № 229

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 446

როგორც დღესაა. კემპარიტებაა, რომ დღეს შეუძლებელია იმ ენით წერა და ლაპარაკი, რომლითაც XII ან XVIII ს. სწერდნენ და ლაპარაკობდნენ, შეუძლებელია სალიტერატურო, სამწერლო ენა ხალხის ცოცხალ ენას დაეწოროთ — ისე, რომ თანამედროვე ხალხური, ცოცხალი ენა სხვა იყოს და სამწერლო ენა კი სხვა“. სამწერლო ენის მკვლევართა შორის ორი მიმართულება არსებობდა. 1. ძველი ენის ფორმების, ხასიათის და მართლწერის მხარის დამკვირი და 2. ცოცხალი ენის, მისი ფორმების, გამოთქმების და ხალხური კილოების შემომტანი ჯგუფი.

პირველი ემყარებოდა ქართლის კილოს, მეორე კი მთელს საქართველოს. უნდა ითქვას, რომ 1919 წლიდან პრესაში მკვეთრად იჩინა თავი სახელმძღვანელოთა ენის კრიტიკამ. კრიტიკოსები მათ ძირითად ნაკლად ამა თუ იმ გამოთქმის პროვინციულობას მიიჩნევდნენ. ეს დავა უსასრულოდ რომ არ გაგრძელებულიყო, ს. ხუნდაძის აზრით საჭირო იყო მთავრობას დაეკანონებინა ესა თუ ის სალიტერატურო ფორმა და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღარ იქნებოდა ენის მოწონება ან დაწუნება დამოკიდებული რეცენზენტთა გემოვნებასა და შეხედულებებზე, როგორც ეს მისი გრამატიკის წიგნებთან მიმართებაში მოხდა. ს. ხუნდაძე მინისტრს სთხოვდა ენის მცოდნე სპეციალისტებისაგან შეექმნა კომისია, რომელიც სავალდებულო ფორმებს შეიმუშავებდა. „მხოლოდ ამგვარი სახელმწიფოებრივი ინიციატივითა და დაკანონებით მოეღება ბოლო იმ ანარქიას, რომელიც ახლა სალიტერატურო ენაში.

შეიძლება ამ კომისიამაც დაუშვას შეცდომები, მაგრამ ეს თანდათანობით გასწორდება და ასე გაიწმინდება ქართული სალიტერატურო ენა“.<sup>1</sup>

სამუშაოები მიმდინარეობდა ქართული შრიფტის სრულყოფისთვისაც. 1919 წ. 20 ნოემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ჩაატარა კრება და იმსჯელა ქართული შრიფტის გაუმჯობესების საკითხებზე.<sup>2</sup> კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც ე. თაყაიშვილის თხოვნით მხედრული და ხუცური შრიფტის ნიმუშები უნდა მოემზადებინა.

ამ საკითხზე „ერთობაში“ დაიბეჭდა მ. შალამბერიძის ვრცელი სტატია „ქართული ანბანი“, რომელშიც დაწვრილებითაა საუბარი

1 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1919 წ., № 688

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 58

იმ საქმიანობაზე, რაც მან შრიფტის სრულყოფისათვის გასწია. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საჭირო შეიქმნა ხელით საბეჭდი მანქანები, რომელთა დამზადება გერმანულ მადერის ფირმას დაუკვეთეს, მაგრამ მისი დამზადებული მანქანების შრიფტი უხარისხო და ულამაზო გამოდგა. არ ვარგოდა სიმეტრია, ერთმანეთს ფარავდნენ ასოები და ამის გამო ნაბეჭდი ხშირად გაუგებარი იყო. მ. შალამბერიძემ ამის გამო თვითონ დაიწყო შრიფტის გაუმჯობესებაზე მუშაობა. ძველში ასოები ხან შორ-შორს, ხან კი ძალიან ახლოს იყო. ხან ერთი ასო ფარავდა მეორეს; ანდა ერთი დიდი იყო, მეორე კი პატარა. ყველაფერი ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ლათინური შრიფტის ასოები ერთკბილიანი იყო და საბეჭდი მანქანაც ამ პრინციპზე იყო აგებული, ხოლო ქართული ანბანი 1, 2 და 3 კბილიანი იყო. სწორედ ამიტომ, მან გადაწყვიტა ქართული ანბანიც ერთ კბილიანი გაეხადა. ეს იმითაც იყო კარგი, რომ ამით 40%-ით მცირდებოდა ნაბეჭდის მოცულობა. გამარტივდებოდა ასოთა მოხაზულობაც. შემცირდებოდა რგოლების სიმრავლე და იგი გახდებოდა ადვილად საკითხავი. ამით ქართული ასოების მოხაზულობა მიუახლოვდებოდა ლათინურს. ავტორის აზრით, უნდა მოსპობილიყო ის უთანაბრობა, რაც არსებობდა ჩვენი ასოების ბეჭდურ და ხელნაწერ მოხაზულობათა შორის და ამით მიიღწეოდა ის, რომ როგორც ეწერდით, ისე დებეჭდადით. მ. შალამბერიძის პროექტის მიხედვით ყველა ასო განთავისუფლდებოდა ზედმეტი ხაზებისა და კოჭებისაგან. მან კომისიას ყველა ასო წარუდგინა, გარდა თ, ფ, ღ-სა. ამ სამი ასოს თაობაზე კი კომისიასთან სურდა შეთანხმება. მ. შალამბერიძემ თავისი მოსაზრებანი კულტურულ საზოგადოებათა კავშირის გამგეობას გააცნო, საიდანაც იგი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას გადაეცა. კოლეგიამ მ. შალამბერიძის პროექტი უარყო. მ. შალამბერიძემ ამის გამო მუშაობა შეწყვიტა. წელიწადნახევრის შემდეგ ეს საკითხი ხელახლა წამოსწია წინა პლანზე წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ამიტომ 20 ნოემბერს თ. კიკვიძის მეთაურობით, მოწვეული იქნა კულტურულ დაწესებულებათა კრება, სადაც ამ საკითხზე მოხსენებით ი. ჭეიშვილი გამოვიდა. კრებამ დაადგინა გამარტივებულიყო ქართული ანბანი. ი. ნიკოლაძემ მხარი დაუჭირა ასოების ზემო და ქვემო სიმაღლეების დამოკლებას. საკითხის გადასაჭრელად აირჩიეს 5-კაციანი კომისია, რომელსაც ორ კვირა-



ში უნდა მოემზადებინა ასოების პროექტი. მ. შალამბერიძემ ყუ-  
რადლება იმაზეც გაამახვილა, რომ მოსაწესრიგებელი იყო სიტყვა-  
თა შემოკლებების საკითხიც, რადგანაც ხშირად წერდნენ ამა თუ იმ  
სიტყვის პირველ ასოს და მერე ველარ გებულობდნენ, თუ რა  
იგულისხმებოდა მასში.<sup>1</sup>

ხანგრძლივი სამზადისის შემდეგ, 1920 წ. 1 იანვრიდან დაიწყო  
თბილისის ქალაქის გამგეობის გაეროვნება და იქ ქართულად საქ-  
მის წარმოებაზე გადავიდნენ. გამგეობა იძულებული გახდა ქარ-  
თულის უცოდინარობის გამო სამსახურიდან დაეთხოვა ზოგიერთი  
თანამშრომელი.<sup>2</sup> იმავე მიზეზით სამუშაოდან სამისამართო ბიუ-  
როს სამი თანამშრომელიც გაანთავისუფლეს.<sup>3</sup>

იუსტიციის ახალმა მინისტრმა რ. არსენიძემ კი დაუშვა ინს-  
ტრუქცია, სასამართლოებში შტატების შემცირების თაობაზე, რო-  
მელიც პირველ რიგში ქართული ენის არამცოდნეების განთავისუ-  
ფლებას ითვალისწინებდა, თუმცა იქვე იყო მითითება იმის თაობა-  
ზე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა ცალკეულ პი-  
როვნებათა დატოვება 6 თვით.<sup>4</sup> 15 მაისიდან კიდევ უფრო გამ-  
კაცრდა მოთხოვნები და თბილისის მოურავის განკარგულებით გამ-  
გეობაში ყოველგვარი ხასიათის თხოვნები მხოლოდ ქართულ ენა-  
ზე მიიღებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თხოვნები საერთოდ არ  
განიხილებოდა.<sup>5</sup> ქართულად საქმის წარმოებაზე გადავიდა ქალაქ-  
თა კავშირიც.<sup>6</sup>

გაეროვნების განხორციელება სამხედრო მინისტრის ბრძანებით  
1 ივლისიდან უნდა დაწყებულიყო გვარდიაში,<sup>7</sup> ხოლო 11 აგვის-  
ტოდან არმიაშიც.<sup>8</sup> იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გაეროვნება  
დაიწყო ნოტარიუსებშიც, სადაც ყველა საბუთი მხოლოდ ქართულ  
ენაზე უნდა შემდგარიყო.<sup>9</sup> 26 იანვარს თბილისის ქალაქის საბჭომ  
ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა, რომ დიდების ტაძრისათვის მოეცი-

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 275

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 3

3 იქვე, № 55

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 3

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 107

6 იქვე, № 151

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 734

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 179

9 იქვე, № 179

ლებინათ ჩვენი ეროვნული ღირსების დამამკირებელი რუსული წარწერებიც.<sup>1</sup>

ნაციონალიზაციის პროცესთან ორგანულად იყო კავშირში ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაც, როგორც იყო თბილისისა და სხვა ქალაქების ქუჩების სახელწოდებათა შეცვლა და მათთვის გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეთა სახელების მინიჭება. ასევე შეეცვალა 1921 წ. იანვარში გვიან შექმნილი არაქართული სახელები რკინიგზის სადგურებსაც და ყარაჯალას დაერქვა ველი. აგტაგლიას — გარდაბანი, ყარატაფას — რუსთავი, ყარაიახს — ყარაია, ბეიუქ ქიასიქის — ძმობა, სოგუტ ბულახს — ცივი წყარო და სალოღლის — კუხეთი.<sup>2</sup>

გაეროვნების პროცესის მიმდინარეობასთან ერთად, ხელისუფლება ინტენსიურად ხსნიდა ქართული ენის შემსწავლელ კურსებსაც, რათა ამით შესაძლებლობა მიეცა ქართულის არამცოდნეებისათვის, მოკლე დროში დაუფლებოდნენ სახელმწიფო ენას და თავი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად ეგვრნოთ. მაგალითად, 1920 წ. განათლების სამინისტრომ ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის პრაქტიკული კურსები გახსნა 20 ნოემბრიდან ვაჟთა I გიმნაზიაში და ოპერის თეატრში,<sup>3</sup> 29 დეკემბრიდან 60 კაცისათვის კურსები დაარსდა იუსტიციის სამინისტროში,<sup>4</sup> მთავრობამ 23495 მან. კურსებისათვის გამოუყო რკინიგზის სამმართველოს და ა. შ.<sup>5</sup> მიმდინარეობდა მუშაობა კურსებისათვის საჭირო ლიტერატურის შესაქმნელადაც და დ. კასრაძემ სამინისტროს წარუდგინა სახელმძღვანელო „ქართული ენა უცხოელთათვის“.<sup>6</sup> კურსების საქმიანობასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. ეკალაძის წერილი, რომელშიც საუბარი იყო განათლების სამინისტროს ნებართვით 1 დეკემბერს დაარსებულ დ. ღუმბაძის კურსებზე. ავტორის აზრით, ამას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ძალზე მცირე იყო ქართული ენისა და მწერლობის მცოდნეთა რიცხვი. ი. ეკალაძე თავის წერილში აკრიტიკებდა განათლების სამინისტროს, რომელმაც ამ ხნის

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 738

2 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., № 26

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 134, 146

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 5

5 იქვე, № 43

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 5

მანძილზე, არა თუ კურსებისათვის, არამედ დაბალი და საშუალო სასწავლებლებისათვისაც კი ვერ შესძლო ქართული ენის კარგი პროგრამის შექმნა. ამის გამო, იმდენად დაბალ დონეზე იდგა მისი სწავლება სასწავლებლებში, რომ ოთხ კლას დამთავრებულ გიმნაზიელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა გრამატიკაზე. ი. ეკალაძე ილაშქრებდა რუსული ენით საყოველთაო გატაცების წინააღმდეგ და კურსებისათვის დახმარებას გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა.<sup>1</sup>

ნაციონალიზაცია პროვინციებშიც მიმდინარეობდა. მაგალითად, ახლად შემოერთებულ ბათუმში ქართულ ენაზე წარწერები ორ კვირაში უნდა გაკეთებულყო.<sup>2</sup> იმავე ბათუმში, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ნოტარიუსებში, ბირჟებსა და სასამართლოში ქართულ ენაზე საქმის წარმოებაზე უნდა გადასულიყვნენ.<sup>3</sup> ნაციონალიზაცია შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა ახალციხეში. აქ ქალაქში ქართული ლაპარაკი უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენდა.<sup>4</sup> სამაგიეროდ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა იგი ქუთაისში, სადაც ისიც კი ვერ შესძლეს, რომ რუსული პლაკატები და აფიშები მაინც შეეცვალათ ქუჩებში.<sup>5</sup>

უნდა ითქვას, რომ ნაციონალიზაციის განხორციელებას ხშირად სერიოზული დარღვევებიც თან ახლდა. მაგალითად, თბილისში, გადასახადთა ინსპექტორმა ლავროვმა სამსახურში მიღების დროს რუსული ენის ცოდნაში გამოსცადა ქართველი მოქალაქე და არ მიიღო იგი რუსული ენის სუსტი ცოდნის გამო. სავსებით სამართლიანი იყო ამასთან დაკავშირებით პროფკავშირების აღშფოთება — საქართველოში ქართველს, ქართული ენის მცოდნეს არ ემუშავა და იმავე სავადასახადო სამსახურში დაესაქმებინათ ქართული ენის არმცოდნეები, ეს ხომ მართლაც და ყოვლად მიუღებელი რამ იყო.<sup>6</sup>

კიდევ უფრო უარესად იყო საქმე შრომის სამინისტროსა და შრომის კომისარიატში, სადაც მიმოწერა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ხორციელდებოდა.<sup>7</sup> თბილისის შრომის კომისარმა

1 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 168

2 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 156

3 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 197

4 იქვე, № 112

5 იქვე, № 17

6 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 207

7 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 853

ლ. ელბაქიანმა მხოლოდ იმაში შესძლო თავის მართლება, რომ მას და მისმა თანაშემწემ ქართული ენა იცოდნენ.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა პრესამ ატეხა უსაფუძვლო განგაში, თითქოსდა ხელისუფლება არაქართველებს სამსახურიდან მიერეკებოდა. სინამდვილეში საქმე სულაც არ იყო ასე. წარმოება-დაწესებულებებსა და მაღალი ეშელონის ხელმძღვანელ სტრუქტურებში ძალიან ბევრი არაქართველი მუშაობდა, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ. ხელისუფლება ამ კუთხით უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე პრაქტიკულად აკეთებდა. თვით ხელისუფლების პოზიციებზე მდგომი „ერთობაც“ კი აღიარებდა ამას და თან დასძენდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გასულ ორ წელში, თავისუფლად შეიძლებოდა ქართულის სწავლა. მაგრამ ამით თავს არავინ იწუხებდა, რადგან მათ სახელმწიფო ენის ცოდნას არავინ არ სთხოვდა. გაზეთის თქმით, ქართული ენა ბევრგან გერად იყო მიჩნეულა. მაგალითად, დეპუშათა სააგენტოში, სადაც ქართული და რუსული განყოფილებები იყო, წამყვანად რუსული ენა ითვლებოდა. სწორად ითხოვდა „ერთობა“ გაუქმებულიყო იქ რუსული განყოფილება და ქართული სათანადოდ დაფასებულიყო.<sup>2</sup> ანდა ავიღოთ მეორე მაგალითიც. ბორჩალოს მაზრაში საქმის წარმოება რომ ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა, ეს სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან იქ გამგეობაში მხოლოდ ორმა თანამშრომელმა იცოდა ქართული ენა. 1920 წ. ივნისში ბორჩალოში ახალი მაზრის უფროსი დაინიშნა, რომელმაც ერობაში მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ქართული ენის ცოდნა მოითხოვა.<sup>3</sup>

ნაციონალიზაციის განხორციელებასთან ერთად, ხელისუფლება და მისი ცალკეული სტრუქტურები ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და სრულყოფის პრობლემებზეც ზრუნავდნენ. ერთ-ერთ სერიოზულ საკითხად მიჩნეული იქნა ქართული შრიფტის სრულყოფა. ამ მიზნით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ქართული შრიფტის შემასწორებელი საგანგებო კომისია, რომელმაც 19 იანვარს თავისი პირველი სხდომა გამართა. მხატვარ დ. შევარდნაძეს მისი საბოლოო რედაქციის წარ-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 138

2 იქვე № 156

3 იქვე № 193

მოდგენა დაავალეს.<sup>1</sup> 4 თებერვალს კომისიამ განიხილა დ. შვეარდნაძის მიერ შედგენილი შრიფტის ორი პროექტი.<sup>2</sup>

მუშაობა მიმდინარეობდა ფოსტა-ტელეგრაფში გამოსაყენებელი ასო-ნიშნების შექმნა-სრულყოფაზეც. ამ პრობლემაზე დიდი ზანია მუშაობდა მ. იანქოშვილი, რომელმაც ქართული ანბანის მორზეს ანბანზე გადაყვანა შესძლო.<sup>3</sup> დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. შანიძის პროექტს „ორთოგრაფიის რეფორმისთვის“, შ. ბერიძის წიგნს „მეგრული ენა, შესავალი და მასალები“ და სხვა ნაშრომების გამოცემასაც.

განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენა იყო 1920 წ. 24 მაისისათვის ქართული ენის მცოდნეთა ყრილობის მომზადება, რის თაობაზეც დადგენილება განათლების სამინისტროსათმ არსებულმა სასწავლო კომიტეტმა მიიღო. ყრილობის მიზანს წარმოადგენდა სამწერლო ენაში სხვადასხვაობის მოსპობა და მერყევე ფორმათა ნაცვლად სავალდებულო სალიტერატურო ქართულის ნორმების შემუშავება. ყრილობა საკმაოდ წარმომადგენლობითი უნდა ყოფილიყო. მას უნდა დასწრებოდნენ თვით ამ კომიტეტის მიერ მოწვეული სპეციალისტები, სამინისტროს წარმომადგენლები, 2—2 კაცი უნივერსიტეტიდან და მასწავლებელთა კავშირიდან და 1—1 წერაკითხვის გამავრცელებელი დასაისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოებებიდან. ყრილობის უკეთ მომზადების მიზნით გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ვ. ბერიძის და ს. გორგაძის შემადგენლობით შეიქმნა საორგანიზაციო კომისია. კომისიას უნდა შეეკრიბა მასალები, სადავო საკითხების გადაჭრაში ჩაერთო სპეციალისტები, მოემზადებინა სპეციალური მოხსენებები და ა. შ. მაგალითად. ყრილობაზე განზრახული იყო ცალ-ცალკე მოხსენებებად წარმოედგინათ ორთოგრაფიის ისტორია, ძველი და ახალი ქართული კილო-კავები და სამწერლო ენა, ორთოგრაფიის პრინციპები, პუნქტუაცია ქართულ ენაში, ქართული კომპოზიტები, ძველი ასოები და მათი ხმარება დღევანდელ სამწერლო ენაში, ასიმილაციის და დისიმილაციის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ა. შ. ყრილობა მოხსენებების მოსმენა-განხილვის შემდეგ მიიღებდა დადგენილებებს, რაც მოხსენდებოდა სასწავლო კომიტეტს. სასწავლო კომიტეტში

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 16

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 747

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 11

კი იგი მიიღებდა საბოლოო სახეს, რის შემდეგაც მას გამოაქვეყნებდა სამინისტრო და სავალდებულოს გახდიდა ყველასათვის.<sup>1</sup>

ყრილობის სამზადის „სახალხო საქმეში“ გამოეხმაურა პ. მირიანაშვილი. იგი თავის ვრცელ წერილში, ძირითადად პროვინციულად წერის წინააღმდეგი გამოვიდა და ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ იმერულ დიალექტს შეუტია. პ. მირიანაშვილი მოითხოვდა, რომ ყრილობას მხარი არ დაეკებინა იმერული დიალექტისათვის და სალიტერატურო ქართულის საფუძვლად ქართლური დიალექტი აეღოთ. უთუოდ სწორი იყო წერილზე მინაწერი იმის თაობაზე, რომ რედაქცია ავტორს ზოგ რამეში არ ეთანხმებოდა. საქმე იმაშია, რომ პ. მირიანაშვილი მეტად მიუღებელი ფორმებით ლანძობავდა ს. ხუნდაძეს და მას გრამატიკის უცოდინრადაც კი მიიჩნევდა.<sup>2</sup>

„სახალხო საქმემ“ პ. მირიანაშვილის საპასუხოდ დაბეჭდა ს. ხუნდაძის მაღალი პროფესიული დონის წერილი „ქართული და ქართლური ენა“. რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ სალიტერატურო ქართულად არ უნდა ქცეულიყო არც იმერული და არც ქართლური დიალექტი, თუ კი ისინი არასწორი იქნებოდა. მისი აზრით, ჯერ უნდა დადგენილიყო რომელი იყო სწორი და ლიტერატურული და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღოთ იგი სავალდებულო ფორმად.<sup>3</sup>

ობოზიციური პრესის სერიოზული კრიტიკის საგანი იყო ქვეყანაში მიმდინარე ნაციონალიზაციის ნაკლოვანებები. გაზეთ „სახალხო საქმეში“. პ. მირიანაშვილი ეხებოდა რა თბილისის გაეროვნებას, წერდა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ქუჩების ქართულ ენაზე მორთვას. მისი აზრით, თითქოსდა ამ ქუთხით კი გაკეთდა ცოტა რამ, მაგრამ მაინც არაფერ აკონტროლებდა, თუ როგორ სრულდებოდა დედაქალაქის გამგეობის დადგენილებანი გაეროვნების საკითხებზე. განვლილ პერიოდში მხოლოდ სამიოდე ქუჩას თუ გაუკეთდა წარწერა ქართულ ენაზე, ხოლო რაც შეეხებოდა ქუჩების სახელწოდებებს, ისინი ჯერაც არ იყო შეცვლილი. ასევე არ იყო შეცვლილი სავაჭრო დაწესებულებათა რუსულენოვანი აბრები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შენობებს არ ჰქონდათ ქართულენოვანი წარწერები, ზოგიერთ მაღაზიაზე დიდი ასოებით

1 გაზ. „ერთობა“. 1920 წ., № 85

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 835

3 იქვე, № 856

იყო მოთავსებული რუსული წარწერა, ხოლო ქართული წერილი ასოებით. საერთოდაც ძალზე უხარისხო და უვარგისი იყო ქართული წარწერები, ქალაქი წალეკილი ჰქონდა რუსულ აფიშებსა და განცხადებებს და ა. შ. ასეთი მდგომარეობა იყო დროშებთან მიმართებაშიც.<sup>1</sup>

პ. მირიანაშვილი იგივე პრობლემას განმეორებით შეეხო იმავე გაზეთში წერილით „უცხოა!“ როგორც ავტორი წერდა, საქართველოში გაბატონებული მდგომარეობა ჯერ ისევე რუსულ ენას ეკავა. „არც არაბული, არც ბერძნული, არც სპარსული კულტურის გავლენას არ მოპყობია ისეთი უგულვებელყოფა საკუთარი კულტურის ღირსებისა, როგორც რუსული კულტურის გავლენას. დღეს კი რა ხდება! ისე არასოდეს ყოფილა პატივცემული ყველაფერი რუსული, როგორც დღეს. დავადექით ვითომ გაეროვნებას, მაგრამ ყველგან რუსული ლაპარაკია. წერილის ავტორის თქმით არ სრულდებოდა განკარგულებები წაციონალიზაციაზე, თუმცა ზოგჯერ თვით ხელისუფლება ცვლიდა თავისსავე განკარგულებებს. მაგალითად, თბილისის მოურავმა ჯერ აკრძალა, შემდეგ კი ისევე განაახლა გამგეობაში რუსულად დაწერილი თხოვნების მიღება, და ამას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოსდა ქართველებში ცოტა იყო საკუთარი ენის მცოდნე სპეციალისტები. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია — „ძველად, როცა ქართული ენა აკრძალული იყო. მას ყველა ეტანებოდა, ხოლო ახლა კი არაა აკრძალული და არ სურთ“. ავტორს გულისტკივილს იწვევდა ის, რომ ქართულ თეატრს არ ჰქონდა ბინა, ხოლო ოპერის თეატრის შენობა. „ჩვენთვის თურმე არ ვარგა და მოსკოვის თეატრისათვის კი გამოდგა. ქართული ლაპარაკი არ ისმის საზოგადოებაში. მთლად გადაამლაშეს ქალებმა — სულ რუსულად ლაპარაკობენ. რუსულადაა საუბარი ყველა დაწესებულებაშიც“.<sup>2</sup>

იმასვე იმეორებდა პ. კაპანაძეც უნივერსიტეტთან მიმართებაში, სადაც მისი თქმით სტუდენტები სულ რუსულად საუბრობდნენ.<sup>3</sup> ხოლო ა. მამულაშვილი დაწესებულებებთან მიმართებაში წერდა, რომ იქ სადაც რუსული ენა ბატონობდა, თვით მათი ხელმძღვანელები არ თვლიდნენ საჭიროდ ქართულზე გადასვლას.<sup>4</sup> ს. ფირცხალავა კი ეხებოდა, რა თბილისის გაეროვნებას, მიუთითებდა,

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 801

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 857

3 იქვე, № 856

4 იქვე: № 903

რომ იგი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა რუსულ ქალაქს და გრძელდებოდა რუსიფიკაცია. განსაკუთრებით იმძლავრა რუსულმა ხელოვნებამ. ყველგან ბატონობდა რუსული ენა, სული და წარწერები. ქუჩების სახელთა შეცვლა კი მხოლოდ ქალაქში განხორციელდა. რადგან მათი წარწერები ისევ ძველი დარჩა. ს. ფიცხალავა მოუწოდებდა ხელისუფლებას ყურადღება მიექცია ყოველივე ამისათვის.<sup>1</sup>

გაზეთმა გაეროვნების პრობლემებს საგანგებოდ მოწინავე წერილიც — „კიდევ ნაციონალიზაციაზე“. მიუძღვნა. იგი წუხდა, რომ პრობლემა არ იყო გადაჭრილი და ბევრგან რუსული ენა ისევ ბატონობდა. ქართველ კაცს მრავალ ადგილას, მათ შორის სამინისტროებშიც, თარჯიმანი სჭირდებოდა. ავტორის აზრით, თვითონ სახელმწიფოს უნდა ეცა პატივი ქართული ენისათვის და მას რომ არ სწავლობდნენ არაქართველები, ამაში დამნაშავე ისევ სახელმწიფო იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ საქართველო, განსაკუთრებით კი თბილისი, გაივსო უცხოელი ლტოლვილებით, რაც კიდევ უფრო ლახავდა ქართული ენის ინტერესებს.<sup>2</sup>

„სახალხო საქმე“ ძალზე მკაცრად იმაზეც წერდა, რომ თანამედრობებზე ხელისუფლება ხშირად ქართულის არამკოდნეებს ნიშნავდა, ხოლო ქართველებს კი არა და მთავრობას ამის თაობაზე ზომების მიღებას სთხოვდა.<sup>3</sup>

დედაქალაქის ეროვნულ სახეზე საინტერესო წერილები გამოაქვეყნა „საქართველოში“. ი. ეკალაძემაც. წერილში „სად არის საქართველოს დედაქალაქი?“ იგი გულისტკივილით წერდა, რომ თბილისი უცხოელებით იყო სავსე და ქართულ ენას აქ იშვიათად თუ გაიგონებდა კაცი. ქალაქი სავსე იყო რუსული აფიშებით. სამინისტროებში, კლუბებში და საერთოდ ყველგან, რუსული საუბარი იყო და ქართულად პასუხსაც კი არავენ იძლეოდა, თვით რედაქციებშიც კი. ავტორი წუხდა, რომ რუსულით ასეთი გატაცება არასოდეს ყოფილა. ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული. გამოთქვამდა რა გულისტკივილს, ი. ეკალაძე წერდა: „ასე გადავგვარდით რომ ენა ვერ მოგვიბრუნებია ქართულად? როდის გამეფდება ქართული ენა? სად არიან მწერლები, მგოსნები, ნუთუ მართლა ფუტუ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 905

2 იქვე, № 931

3 იქვე, № 766



რისტობაზე დახურდავდა აკაკისა და ილიას გულისთქმა. იმ ფუტუ-  
რისტებზე. ქუდმოგლეჯილნი, რომ დარბიან რუსთაველის ქუჩაზე  
და უცნაურად იგრიხებიან. ავტომობილით გრიალი და კოხტად გა-  
მოწყობა სულ არ კმარა ეროვნული სულის ასამაღლებლად და გა-  
საძლიერებლად. სადაა ქართული თეატრი, ნუ უწყობთ ხელს რუ-  
სულ პროპაგანდას, ნუ მფარველობთ პარტიულად, აღარ უნდა არ-  
სებობდეს პარტიული ენინანობა, შენჩემობა, უნდა იყოს ქართვე-  
ლი მოქალაქე და მისი მოვალეობა მამულის წინაშე. დროა მოაწო-  
როთ დედაქალაქს გარეული მტრები, შინაურიც, სამშობლოს იდეის  
და ეროვნული სიამაყის გამყიდველები. დაწესებულებებიდან, სა-  
მინისტროებიდან, სკოლებიდან, ეკლესიიდან, რედაქციებიდან ამო-  
იფხვრას რუსული ელფერი. რუსული სული.“<sup>1</sup>

ი. ეკალაძე მეორე წერილში „შთაბეჭდილებანი“, აღწერს იმ  
სიტუაციას, რაც მან პროვინციიდან ჩამოსულმა ნახა თბილისში.  
„ი მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ სულიერად მაინც მონები  
ვართ. რუსეთის 120 წლის ბატონობამ ჰქნა ეს. როცა ერი შესდგე-  
ბა წმინდა მშობლიურ გზაზე და როცა ხელოვნება და პოეზია ეშა-  
ხურება ხალხის ზნეობრივ ამაღლებას, როცა თავი ვაბატონდება  
კუჭზე... მაშინ დაფასდება ცოდნა და გამოცდილება. ქართველობა  
არ სჩანს თბილისში... გვიხსნის არაქართულის განდევნა ქალაქი-  
დან... ყოველივე რუსულის გაძევება ქალაქიდან... საქართველო  
ქართველი ერისა და ქართველურად მოწყობილი გვიხსნის“.<sup>2</sup> ხე-  
ლისუფლებისა და მისი ცალკეული სტრუქტურების ცდებს, გაე-  
ქართულებინათ დაწესებულებები, ხშირად სასურველი შედეგი არ  
მოპყვებოდა. ეხებოდა, რა ამ პრობლემას, ი. თამარაშვილი წერი-  
ლში „გაეროვნების საკითხი“, წერდა, რომ იგი არ იყო გადაჭრი-  
ლი და დაწესებულებებში საქართველოს მტრები — არაქართვე-  
ლები ბატონობდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმოდა რკინიგზაზე, სა-  
დაც ქართულ ენაზე არაფერი არ კეთდებოდა. იქ უმრავლესობა  
არა ქართველი მუშაობდა, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის  
მოწინააღმდეგენი იყვნენ. ავტორი იმდენად იყო აღშფოთებული,  
რომ მათ საქართველოდან გაძევებასაც კი მოითხოვდა და წინააღ-  
მდეგი იყო მათთვის ქართული ენის კურსების გახსნისა და ამაზე  
კიდევ ფულის ხარჯვისა, რადგან მათთვის ქართული კვლავ ძალის

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 78

2 იქვე, № 129

4. ამირან ნიკოლეიშვილი

ენად რჩებოდა. ი. თამარაშვილის აზრით, ეს ფული უმჯობესი იყო მოხმარებოდა სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსების გახსნას. „ისინი ოცნებობენ დენიკინზე, კომუნისტებზე, ზეიმობდნენ ბაქო რომ აიღეს კომუნისტებმა. ქართველები აქ ცოტაა და არც მათ იღებენ სამსახურში. გაივსო თბილისი ლტოლვილებითა და შემოგზავნილი აგენტებით. გავაძევოთ ისინი ქვეყნიდან“.<sup>1</sup>

გაზეთი რკინიგზაში გაეროვნების ცულ მდგომარეობაზე სხვა დროსაც წერდა—იქ, — აღნიშნული იყო მასში—ბატონობდა რუსული ენა. ნოლო ქართული აბუჩად იყო აგდებული. ასეთივე მდგომარეობა იყო გზათა სამინისტროშიც, სადაც იძელუბულნი იყვნენ თარჯიმანთა შტატებიც კი დაეშვათ. ყველაზე ცუდი მაინც ის იყო, რომ მათ არც სურდათ ქართული ენის სწავლა. „სახალხო საქმე“ ასეთი პიროვნებების გვარებსაც კი ასახელებდა და მათ საქართველოს მტრებად მიიჩნევდა. ასეთი ვითარება იყო მიწათმოქმედებისა და იუსტიციის სამინისტროებშიც, წყალთა სამმართველოში და ა. შ.<sup>2</sup>

დიდად არ განსხვავდებოდა ვითარება შრომის სამინისტროშიც. სადაც გაეროვნება ჯერაც არ იყო დაწყებული. იქ საქმის წარმოება კვლავ რუსულ ენაზე ხდებოდა და ქართულ ენაზე დაწერილ თხოვნებს კვირაობით არ განიხილავდნენ, რადგან სამინისტროში თითქმის ყველა ქართულის არმცოდნე მუშაობდა.<sup>3</sup>

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ზოგიერთ გაზეთს მაინც ჰყოფნიდა თავხედობა, ემტკიცებინა რომ ქართველებმა საქმე არ იცოდნენ და სწორედ ამიტომ არ ნიშნავდნენ მათ თანამდებობებზე.<sup>4</sup>

ს. ფირცხალავამ „სახალხო საქმეში“ კიდევ ერთი წერილი გამოაქვეყნა — „უძლურება თუ უგუნურება“, რომელშიც იგი ისევ ნაციონალიზაციის მიმდინარეობას ეხებოდა და თვლიდა, რომ ეს პროცესი დიდი ხარვეზებით მიმდინარეობდა. ზოგიერთ დაწესებულებაში შესულს თავი რუსეთშიც კი ვეგონებოდა. მაგალითად, სახელმწიფო კონტროლის ერთ განყოფილებაში 9 თანამშრომლიდან 4 არაქართველი იყო და ამ ოთხ არაქართველს დანარჩენი ხუთი ქართველი თარჯიმნად ემსახურებოდა. დაწესებულებები სავსე იყო ქართულის არამცოდნეებით. სავსებით სწორად სვამდა ს. ფირცხა-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 936

2 იქვე. № 888

3 გაზ. „რკინიგზელი“, 1920 წ., № 29

4 იქვე. № 853

ლავა საკითხს: მათ სურვილი რომ ჰქონოდათ, ორ წელიწადში თავისუფლად შეეძლოთ ესწავლათ ქართული, მაგრამ ისინი ამით თავს სულაც არ იწუხებდნენ, რადგან ისედაც იოლად გადიოდნენ. მიწერ-მოწერა რუსულად სწარმოებდა, ან ხდებოდა კურიოზები — ტექსტი ჯერ ითარგმნებოდა რუსულად, ხოლო შემდეგ კი ისევ ქართულად. ავტორის აზრით, თუ ქვეყანაში ყველაფერი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე გაკეთდებოდა, ეს გამოიწვევდა სახელმწიფოსაგან ხალხის მოწყვეტას და კვლავ დარჩებოდა რუსულად საქმის წარმოება, აზროვნება, რუსული კულტურა, შემოქმედება, სახელმწიფოებრიობა და მაშინ ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა, თუ რაღა საჭირო იქნებოდა საერთოდ რესპუბლიკის არსებობა?

განსაკუთრებით ცუდ დღეში იყვნენ ქართული გაზეთები. მათ ზოგი უწყება ინფორმაციას რუსულად აწვდიდა, მაგალითად დეპეშათა სააგენტო. ეს სააგენტო ძირითადად ჩვენდამი მტრულად განწყობილ რუსულ პრესას ემსახურებოდა, მაგრამ შენახვით მას სახელმწიფო ინახავდა.<sup>1</sup>

მსგავსი მდგომარეობა იყო სასამართლოებშიც, სადაც საქმის წარმოება ისევ რუსული იყო და მოსახლეობასთან კავშირს მხოლოდ თარჯიმნების საშუალებით ანხორციელებდნენ. სასამართლოთა თანამშრომლების დიდი ნაწილიც არაქართველები იყვნენ. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოში 206 კაციდან ქართველი სულ 142 იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს თანამშრომელთა 75%-მა ქართული ენა კარგად იცოდა. აქ გაეროვნება მაინც არ მომხდარა.<sup>2</sup>

კიდევ უფრო შიშვე სიტუაცია იყო მიწათმოქმედების სამინისტროში, სადაც წყალთა მეურნეობის სამმართველოში სამუშაოდ მიიღეს 16 არაქართველი, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ. ბუნებრივია გაზეთს სავსებით სამართლიანად გაუჩნდა ეჭვი ამ ქმედების შეგნებულად მოწყობაში.<sup>3</sup>

ეხებოდა რა „საქართველო“ გაეროვნების მიმდინარეობას, ირონიულად წერდა, რომ მთავრობამ მარქსისტულად დაიწყო ნაციონალიზაციის განხორციელება და სამუშაოებიდან დაითხოვეს არაქართველები, თუმცა თუ სოციალ-დემოკრატი არ იქნებოდა, ისე

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 878

2 იქვე, № 779

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 42

მათ ადგილზე არავის არ ღებულობდნენ. ამიტომ, მალე ისევ დაიწყეს უკან რუსების დაბრუნება, თუკი ისინი განაცხადებდნენ, რომ შეისწავლიდნენ ქართულ ენას. სინამდვილეში ამით ისევ აღსდგა საქმეების რუსულად წარმოება, რადგან არც ერთი ახლადმიღებული ქართულს არ სწავლობდა. კვლავ დაიწყო თარჯიმნების საშუალებით სამინისტროებში შესული მასალების ჯერ რუსულად და მერე ისევ ქართულად თარგმნა. ბუნებრივია ეს ზრდიდა ბიუროკრატიულ აპარატს, რაც ისედაც გაჭირვებულ ქვეყანას ძალზე ძვირი უჯდებოდა. მიიჩნევდა რა გაზეთი მათ საქართველოს მტრებად, გამოდიოდა რუსულად საქმის წარმოების წინააღმდეგი. თბილისში, მიუხედავად 1919 წ. 2 ოქტომბრის ბრძანებისა, დაწესებულებებსა და სავაჭროებზე სამ თვეში გაკეთებულიყო ქართული წარწერები, ერთი წლის მერეც არ იყო იგი წესრულებული. „გველი, წერდა გაზეთი, მარტო ტყავს იცვლის, ეს სოციალ-დემოკრატებზეა ნათქვამი.“<sup>1</sup>

გაეროვნება რომ მართლაც ძალზე ვაჭირდა, ეს 1921 წ. იანვრის მასალებიდანაც სჩანს. „საქართველოს რესპუბლიკა“ აღიარებს, რომ გაეროვნება სანახევროდაც ვერ შესრულდა და საქმის წარმოება ბევრგან ისევ რთულად მიმდინარეობდა. ხშირად რუსული ჯჩებოდა სალაპარაკო ენადაც. ასე იყო მაგალითად არმიამი,<sup>2</sup> რკინიგზაზე, რაც რკინიგზის III ყრილობამაც აღნიშნა<sup>3</sup> და ა. შ.

## თავი მეორე

### საქმიანობა ეროვნული ტერმინოლოგიის შესაქმნელად

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ენერგიული მუშაობა გაჩაღდა ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის და უკვე 1918 წ. 15 ივლისს, ი. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტთან შექმნილმა სატერმინოლოგიო სექციამ.<sup>1</sup> ტერმინების შემუშავებელი კომისიები ცალკეულ სამინისტროებსა და ორგანიზაციებთანაც შეიქმნა. ასე მაგალითად, იუსტიციის სამინისტროში მისი თავმჯდომარე იყო ი. გველესიანი,<sup>2</sup> გზათა სამინისტროში გ. ფიცხელაური<sup>3</sup> და ა. შ.

სატერმინოლოგიო სექცია ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა 1918 წ. დაარსებულ სატექნიკო საზოგადოებაშიც.

ძალზე ნაყოფიერად იმუშავა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ და მან 1918 წელსვე დაამთავრა იურიდიული ტერმინების შედგენა, რომელიც განსახილველად და გამოსაცემად იურიდიულ კომისიას გადასცა.<sup>4</sup>

ენერგიულად შეუდგა მუშაობას გზათა სამინისტროსთან არსებული კომისიაც, რომელიც ძირითადად სარკინიგზო ტერმინებს ქმნიდა. მისი სხდომები კვირაში ორჯერ იმართებოდა.

შემუშავებული ახალი ტერმინების ბეჭდვა 1918 წლის 28 აგვისტოდან უკვე დაიწყო გაზეთ „შრომაში“, ხოლო ტექნიკურმა საზოგადოებამ გამოაცხადა ხელმოწერა „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონზე“.<sup>5</sup>

პრესა აქტიურად ჩაება შედგენილი ტერმინების განხილვაში და

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 122

2 იქვე, № 231

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 38

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 257

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 271

დაიწყო ცალკეულ ავტორთა რეცენზიებისა თუ წერილების გამოქვეყნება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გაგრძელებებით დაიბეჭდა გ. შალამბერიძის სტატია „ქიმიურ შენაერთთა სახელწოდების სისტემა“, რომელშიც საუბარი ახალი ტერმინების ავკარგიანობაზე იყო,<sup>1</sup> იმავე გაზეთში დაისტამბა მ. იანქოშვილის წერილიც „ფოსტა-ტელეგრაფის გაეროვნება“, რომელშიც მრავალი ახალი ქართული ტერმინი იყო წარმოდგენილი ქართულ და რუსულ ენებზე;<sup>2</sup> „ხალხის მეგობარი“ გამოქვეყნდა ი. ლ.-ს წერილი „სახელმწიფო ენა“, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება სატერმინოლოგიო კომისიების საქმიანობის გააქტიურებაზე და ა. შ.<sup>3</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი ვ. კაკაბაძის დიდი წერილი „ქართული ენა და ტერმინოლოგიური შემუშავება“. მასში საუბარი იყო ცარიზმის იმ რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, რომელმაც დამღუპველი შედეგები მოუტანა საქართველოს. როგორც ავტორი წერს, ქართველმა კაცმა მშობლიურ ისტორიაზე უკეთ რუსეთის ისტორია იცოდა.

ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა და არც თუ იშვიათად, გვარების გადაკეთებაც ხდებოდა რუსულ ყაიდაზე. იდეენობოდა რა ქართული ენა, ქართულად საუბარი სირცხვილადაც ითვლებოდა. ვერ მოხერხდა ცხოვრებაში ნაციონალიზაციის გატარებაც. უფრო მეტიც, რუსობა იმდენად შეაჩვიეს და შეაგუეს ჩვენს გადაგვარებასა და სიმახინჯეს, რომ ისინი ვერც კი გებულობდნენ. თუ როგორ ბედავდა საქართველო თავის ნაციონალიზაციაზე საუბარს. წერილის ავტორის აზრით ქართველ ერს ქართულად ფიქრი და აზროვნება უნდა დაეწყო. „ამიერიდან ქართველი ერის გონებრივი წარმატება, ჩვენი ქვეყნის ყოველივე დარგის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოხდეს... ამიერიდან ქართველმა ერმა თავისი წვლილი კაცობრიობის საქმეში ეროვნული სახით უნდა შეიტანოს და ყოველივე ეს მოითხოვს მეცნიერების და ტექნიკის ყველა დარგთა ტერმინოლოგიის შემუშავებას. ეს უნდა იკისროს ქართულმა ტექნიკურმა საზოგადოებამ, მისმა ტერმინოლოგიის სექციამ. იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ცდილობს შეიტანოს თავისი

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 58, 65

2 იქვე, № 69

3 ვაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 217

წვლილი ქიმიურ, მექანიურ, მეტალურგიულ, სამთა-მადნო, სამშენებლო, ელექტრო-ტექნიკურ. ჰიდროტექნიკურ და სამიჯნო დარგში, რომ ერთი და იგივე საქმე რამდენიმე დაწესებულებამ ან კერძო პირმა არ გააკეთოს, საჭიროა ერთმანეთს გავაცნოთ თუ რაა გაკეთებული, რას აკეთებს ამჟამად და რის გაკეთებას აპირებს ახლო მომავალში. დახმარება გაგვიწიოს ქართული ენის ღრმად მცოდნეებმა. ჩვენს სექციაში განხილული და მიღებული ტერმინები კვირაში ერთხელ ყველა ქართულ გაზეთში დაიბეჭდება, რათა გამოითქვას შენიშვნები ხალხიდან“.<sup>1</sup>

კიდევ უფრო გააქტიურდა ეს საქმიანობა 1919 წ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინოლოგიო სექცია, რომლის მიზანს სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა წარმოადგენდა. 1919 წლისათვის სექციამ, რომლის შემადგენლობაში ვ. კაკაბაძე, გ. გედევანიშვილი, დ. ბერეკაშვილი, ი. მჭედლიშვილი, რ. და გ. ნიკოლაძეები, ი. ბერიძე და გ. შალამბერიძე შედიოდნენ, დაასრულა და გამოსაცემად მოამზადა სამხედრო. გამოყენებითი მექანიკის, ცალკეული ტექნოლოგიების, საგზაო, სამთამადნო, სანაოსნო, არტილერიის, ფიზიკის, ქიმიის, თეორიული მექანიკის, მინერალოგიის, გეოლოგიის, გეოდეზიის და ტანვარჯიშის ტერმინოლოგიები— სულ 8500 სიტყვა. მაგრამ მისი გამოცემა უფულობის გამო ჰიანურდებოდა. სექციამ გამოცემისათვის საჭირო 54000 მ. გამოყოფა მთავრობას სთხოვა.<sup>2</sup>

1919 წ. სატერმინოლოგიო სექცია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროშიც შეიქმნა.<sup>3</sup>

ახალი ტერმინების შექმნისათვის გაწეულმა მუშაობამ თავისი შედეგები მალე გამოიღო და 1919 წლიდან უკვე დაიწყო მათი პუბლიკაციები. ასე მაგალითად, გზათა სამინისტრომ თავის დაწესებულებებს დაურიგა 44 გვერდიანი ტერმინების კრებული და მათი გამოყენება სავალდებულო გახდა,<sup>4</sup> პროფესორმა ა. ნათიშვილმა სამ ნაწილად გამოსცა საანატომიო ტერმინები, რომელზეც დადებითი რეცენზიაც დაბეჭდა ვ. წერეთელმა გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“.<sup>5</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 143

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 178

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 174

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 12

5 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 142

ტერმინების ბეჭდვა დაიწყო პრესაშიც. ასე მაგალითად, ქურ-  
ნალ „შვიდ მნათობში“ გამოქვეყნდა მასალები რკინიგზის ტერმი-  
ნოლოგიისთვის და გ. კ.-ს 36 ქართულ-რუსული ტერმინი,<sup>1</sup> „სახა-  
ლხო საქმეში“, „მათემატიკის ტერმინები“ საშუალო სკოლების  
მასწავლებლებისათვის, რომელიც 1919 წ. მასწავლებელთა ზაფხუ-  
ლის კურსებზე მომზადდა,<sup>2</sup> პ. მირიანაშვილის „ქორონიკონი“, ემ-  
თა ანგარიში და მუზნურ თვლა“, რომელიც მათემატიკური ტერ-  
მინებისადმი იყო მიძღვნილი,<sup>3</sup> გ. ბოჭორიძის „როგორ ითარგმნოს  
სამი მცენარის სახელი“,<sup>4</sup> „ჩვენს ქვეყანაში“ შ. ლეკვეიშვილის „მუ-  
სიკალური ტერმინების ახსნა-განმარტება“<sup>5</sup> და ა. შ.

განსაკუთრებით გააქტიურდა სატერმინოლოგიო საქმიანობა  
1920 წ. და გამოიცა იურიდიული ტერმინების 3000 სიტყვიანი რუ-  
სულ-ქართული ლექსიკონი, რომლის მომზადებაში აქტიური მონა-  
წილეობა ი. ჯავახიშვილმაც მიიღო, გამოიძებნა თანხა და გამოიცა  
8500 სიტყვიანი რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი, გამოსა-  
კრმად მომზადდა სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ ტერმინ-  
ოლოგია. მუშაობა მიმდინარეობდა სარკინიგზო, ფოსტა-ტელეგრაფი-  
ის, სამხედრო და სხვა დარგთა ტერმინოლოგიების შექმნაზე. მ. ჯანაშ-  
ვილმა შეადგინა ქართულ-რუსული ლექსიკონის ნახევარზე მეტი და  
ა. შ. ტერმინების ხმარება პრაქტიკულადაც ინერგებოდა ცხოვრებაში.  
თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ განათლების სამინისტრო ძალზე  
ფრთხილად ეკიდებოდა ამ საქმეს და სამინისტროსთან არსებულმა  
სასწავლო კომიტეტმა თხოვნითაც კი მიმართა ყველას, რომ თავი  
შეეკავებინათ იმ ტერმინთა ხმარებისაგან, რომლებიც მათ მიერ  
არ იყო განხილული და რეკომენდირებული.<sup>6</sup> კომიტეტი ტერმინ-  
ებისა და ქართული ლიტერატურული ენის ნორმების დამუშავებას  
საგანგებოდ შექმნილი კომისიების საშუალებით აწარმოებდა. ეს  
კომისიები შემდეგი დარგების მიხედვით მუშაობდნენ: 1. საერთო  
ისტორია, 2. საქართველოს ისტორია, 3 ქართული ენა და ლიტერა-  
ტურა, 4. უცხო ენები და ლიტერატურა, 5. ფიზიკა-ქიმიკა, 6. გეო-  
გრაფია, 7. ბიოლოგია-ჰიგიენა, 8. ფილოსოფია და 9. სპეციალური

1 ქურ. „შვიდი მნათობი“, 1919 წ., № 1, 2

2 ვახ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 651

3 იქვე, № 669

4 იქვე, № 606

5 ვახ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 26, 28, 31

6 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 70



და ტექნიკური დისციპლინები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკე მოქმედებდა ტერმინოლოგიის კომისიაც, რომელიც მეცნიერების ყველა დარგის საერთო ტერმინების შექმნაზე მუშაობდა. მას თავის ხელში იმ დროისათვის 40 000 ტერმინი ჰქონდა თავმოყრილი. ცალკე მოქმედებდა ქართული ლიტერატურული ენის ნორმების შემამუშავებელი კომისიაც, რომელიც ამ მიზნით საგანგებო ყრილობასაც ამზადებდა. ასევე მოქმედებდა კომისიაც, რომელიც წერისა და ხატვის მეთოდებს ამუშავებდა.<sup>1</sup>

ცალკე უნდა შევხებით 1920 წ. დასაწყისში ქართულ პრესაში გამართულ განსაკუთრებით მწვავე პოლემიკას, რომელიც ამ წელს გამოსულ „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონს“ შეეხებოდა. როგორც უკვე ვწერდით, ლექსიკონზე მუშაობა ტექნიკური საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციამ ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით 1918 წ. ივლისში დაიწყო და იგი სულ ერთ წელიწადში დაასრულა. წიგნს გაზეთ „საქართველოს“ ორ ნომერში ვრცელი რეცენზია მიუძღვნა შ. ბერიძემ. რეცენზიის ავტორი საერთოდ დადებით შეფასებას აძლევდა გაწეულ მუშაობას, მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნა და შეცვლა. მისი აზრით გამოსავალი აქ იმაში მდგომარეობდა, რომ თვით ერი აემალლებინათ უკვე არსებული ტერმინების გაგება-შეთვისებამდე. ამის შემდეგ შ. ბერიძეს მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები იმ ტერმინებისა, რომელთა მიღებას გაუმართლებლად მიიჩნევდა და უფრო სწორად თვლიდა ხმარებაში საერთაშორისოდ უკვე მიღებული ტერმინები დამკვიდრებულიყო. მაგალითად: მიკროსკოპი და არა უჩინმაჩინი, ელექტრონი და არა ქარვისა ან ელვისო, მაგნიტი და არა მზიდარო, ვაგონი და არა რონოდა, დიამეტრი და არა შუამჭერი, ლექსიკონი და არა სიტყვარი, რადიუსი და არა სხივო, ტექნოლოგია და არა მოქგნედი, ფაბრიკა და არა სამოქნარო და ა. შ. შ. ბერიძე მხარს უჭერდა ხმარებაში დარჩენილიყო ტოკი, ჭავლი ან ჩქერი და არა დენი, კასა და არა დახლი, შაგირდი და არა მედახლე და ა. შ. მას ასევე მისაღებად მიაჩნდა რტუტის ნაცვლად დამკვიდრებულიყო არა ცქრია, არამედ ვერცხლის წყალი, სტრუიას ნაცვლად კამკამა, ნაკადი, ბიბლიოთეკის ნაცვლად წიგნსაცავი და არა წიგნარი და სხვა. შ. ბერიძე მიუღებლად სთვლიდა ქართული ოცობითი თვლის შეცვლასაც ათობ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 135

ითით — მაგალითად, ოცდაათი — სამათი, ორმოცი — ოთხათი და ა. შ.

შ. ბერიძე თავის სტატიაში მკაცრად აკრიტიკებდა ლ. ნათაძესაც, რომელმაც გაზეთ „ერთობაში“ ლექსიკონზე დადებითი რეცენზია დაბეჭდა. რაც ლ. ნათაძეს მისაღებად მიაჩნდა — შვიდარო (მაგნიტი), უჩინმაჩინი (მიკროსკოპი), ფარეხი (პარკი), კვეცწერა (სტენოგრაფია), ხოლო არ მოსწონდა — ქმოსი (მანქანა), განწილი (კლასი), დახლი (კასა) და ა. შ., ყოველივე ეს შ. ბერიძისათვის მთლიანად მიუღებელი იყო. სამაგიეროდ მას მოსწონდა: გლუვი — გლადკი, შხაპი—ღუში, მასალების სიჯიქე — სობროტიველენიე მატერიალოვ, ციცაბო — კრუტიზნა, ზვავი—ლავინა, ტუმბო—ნასოსი, ბარბაცა—შატუნ, კობი—შიშკა, ღუზა—იაკორ, ჭაობი—ბალოტი (და არა ტბორი) და ა. შ. ასევე არ მოსწონდა მას ის, რომ წიგნს თან დართული არ ჰქონდა ბიბლიოგრაფია, თუმცა აღიარებდა, რომ წიგნის ავტორებს გაუწევიათ ძალიან დიდი შრომა, სჩანდა ღრმა ცოდნა, სიყვარული და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. იგი ლექსიკონის გამოსვლას, შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში, დიდ მოვლენად მიიჩნევდა.<sup>1</sup>

იმვე გაზეთის ორ ნომერში, შ. ბერიძის საპასუხოდ, დაიბეჭდა ლექსიკონის ავტორების რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვისა და გ. ნიკოლაძის დიდი წერილი „სიტყვარზე და სიტყვებზე“, რომელშიც ისინი ასაბუთებდნენ რა ტერმინების შემოღების აუცილებლობას, მსოფლიოს მოწინავე ერთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ცდილობდნენ დაესახათ მათი შემუშავების გზები. მათი აზრით, ამ პროცესის დროს, ხელოვნურად არ უნდა მომხდარიყო უცხო სიტყვათა გადმოღება. მართალია თავის დროზე ევროპამ სხვა ენებიდან კი მიიღო ტერმინები, მაგრამ ქართველებს ჰქონდათ საფუძველი, ქართული კილო-კავების და მონათესავე (იაფეტური) ენების გამოყენებით შეექმნათ საკუთარი, ქართული ტერმინოლოგია.

ამის შემდეგ სტატიის ავტორებს მოჰყავდათ ახალ ტერმინთა ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მეგრულ და სვანურ ენებს ემყარებოდა და მიიჩნევდნენ, რომ ეს ტერმინები აუცილებლად დამკვიდრდებოდნენ ცხოვრებაში: ფოტოგრაფია — შუქნასახი, ავტომობილი — თვითმობჩავი, ბაქტერია — მცია, დრობ—წილარი, რე-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 50, 52, 53

გიზორი—მხილარი, აკუმულატორი— მაგუზარი, ტრამვაი—რონარა, ბუდილნიკი—მალვიძარა<sup>1</sup> და ა. შ.

გაზეთმა ერთ-ერთ მომდევნო ნომერში ისევ დაბეჭდა შ. ბერიძის საპასუხო წერილი „სატერმინოლოგიო დიქტატურა“, რომელშიც იგი პასუხობდა რა ნიკოლაძეებს, თავის სამართლიანობას ასაბუთებდა.<sup>2</sup>

მომდევნო ნომერში „რუტინის დიქტატურა“ უკვე შ. ბერიძემ დაბეჭდა და ახლა იგი ცდილობდა თავისი სისწორე დაესაბუთებინა.<sup>3</sup>

ამის შემდეგ კამათში ვ. კაკაბაძეც ჩაება და „საქართველოში“ დაბეჭდა თავისი „სიტყვარის შესახებ“, რომლითაც იგი შ. ბერიძეს პასუხობდა. ვ. კაკაბაძე ცდილობდა დაესაბუთებინა ლექსიკონის ავტორთა სისწორე და შ. ბერიძეს მოაგონებდა, რომ მუშაობის პროცესში ავტორები უცხოელთა გამოცდილებას ეყრდნობოდნენ. მას მართებულად არ მიაჩნდა შ. ბერიძის დევიზი — ეთარგმნათ ის, რისი თარგმნაც შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენი კი პირდაპირ დაეტოვებინათ უცვლელად, ასეთი პრინციპი ავტორებისათვის მიუღებელი იყო, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ისინი ეროვნულ ტერმინოლოგიას ქმნიდნენ. ვ. კაკაბაძის აზრით, შ. ბერიძის მიერ არჩეული გზა მართალია უფრო ჩქარი და იოლი კი იყო, მაგრამ მაშინ იგი გამოიწვევდა ისეთი სიტყვების ჩვენს ენაში დამკვიდრებას, როგორიცაა: არქივი, გიპნოზი, ადრესატი, ლაბორატორია და ა. შ.<sup>4</sup>

„რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონზე“ დადებითი რეცენზიებიც მრავლად დაიბეჭდა. ერთ-ერთი მათგანის ავტორი ლ. ნათაძე იყო, რომელმაც „ერთობაში“ გამოაქვეყნა ვრცელი, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“. წიგნში, რომელიც სულ 280 გვერდს შეიცავდა და თან წინ ვრცელი შესავალიც ერთვოდა, გადმოქართულებული იყო 10 000 ტერმინი. ლ. ნათაძეს წიგნის გამოსვლა დიდ მოვლენად იმიტომაც მიაჩნდა, რომ მისი შექმნა გარკვეულ პრინციპებს ემყარებოდა. მართალია მანამდეც კი იყო ტერმინების შექმნის ცდები, მაგრამ ისინი ემყარებოდნენ არა რაიმე პრინციპებს, არამედ ცალკეულ პიროვნებათა ნიჭსა და გემოვნებას. ამ

1 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 68-69

2 იქვე, № 71

3 იქვე, № 72

4 იქვე, № 74, 75

წიგნის შექმნით კი გამოირიცხა შემთხვევითობის ფაქტორი და დასაბამი მიეცა ქართულ ტერმინოლოგიას. ე. ი. მათ შექმნეს ეროვნული, დედაენაზე დაფუძნებული ტერმინები და ისინი სხვა ენებიდან არ გადმოუღიათ.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის საერთოდ ძალზე პრინციპულად იდგა საკითხი — საერთაშორისო ტერმინოლოგია მიეღოთ, თუ გადმოეღოთ იგი დედაენაზე და გაეეროვნულებინათ. ნაწილი მხარს უჭერდა პირველ მოსაზრებას, ნაწილი კი მეორეს. ლ. ნათაძე წინააღმდეგი იყო საერთაშორისო ტერმინოლოგიის შემოღებისა და ეს გზა მას ცრუ დემოკრატიზად მიაჩნდა. ამ გზის მიუღებლობა ლექსიკონის შესავალშიც იყო დასაბუთებული. ლ. ნათაძის აზრით, ქართული მეცნიერება ხალხისთვის გასაგებ ენაზე უნდა განვითარებულიყო. წორედ ეს იქნებოდა მეცნიერების დემოკრატიზაცია. ადრე რუსები ქართული სკოლის გაეროვნებასაც ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მათი აზრით ეს ქართულ კულტურას ევროპულს დააშორებდა, რომელთანაც კავშირი რუსული ენის საშუალებით ხორციელდებოდა. მაგრამ ლ. ნათაძის აზრით, ისევე როგორც მშობლიურ ენაზე უნდა ხდებოდეს სწავლა-განათლების მიღება, ტერმინოლოგიაც ეროვნული უნდა შექმნილიყო. თუ ადრე წარმოუდგენელიც კი იყო ლათინურის გარდა სხვა ენაზე ტერმინოლოგიის არსებობა, ლოცვა, ლექსის წერა და ა. შ., საბოლოოდ გაქრა ეს ცრუშეხედულებანი და მხოლოდ ტერმინოლოგია იყო შემორჩენილი ლათინურად მეცნიერებაში. ერთი სიტყვით, ლ. ნათაძე მხარს უჭერდა ლექსიკონის ავტორთა კატეგორიულ პოზიციას ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნის თაობაზე და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო, მით უმეტეს ლათინურ ტერმინოლოგიას, რომელიც მისი აზრით სრულიად არ ესადაგებოდა ქართული ენის ბუნებას. ლ. ნათაძის აზრით სულ საჭირო იყო 20 000 ტერმინი და ამისი მთლიანი გადმოღება ლათინურიდან და სხვა ენებიდან რომ მომხდარიყო, ეს წალეკავდა ქართულ ენას, სწორადაა მიჩნეული ლექსიკონის ავტორთა მიერ შემუშავებული ახალი ტერმინების შექმნის სამი საყრდენი პრინციპი: 1. სიტყვა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მეცნიერული, 2. ქართული და მეტყველი და 3. მარტივი, მოკლე და კარგი საწარმოები. მათ მიერ მასალებად გამოყენებული იქნა ქართული ლექსიკონები, ძველი ქართული ნაწერები, აქამდე არსებული ტერმინები, ხალხური კილოკავები, ძველი მწერლობა და რელიგიური წიგნები. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ

ზოგჯერ მაინც ვერ მოინახებოდა საჭირო სიტყვა, მაშინ ავტორები თვითონ თხზავდნენ მას. რა თქმა უნდა, ასეთ ვრცელ ლექსიკონში ბევრი სადავო ტერმინიც იყო, მაგრამ მათზე მუშაობა გაგრძელდებოდა და თვლიდნენ, რომ მისი სრულყოფა მით უფრო სწრაფად მოხდებოდა, თუ საქმეში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც ჩაერთვებოდნენ. ამის შემდეგ ლ. ნათაძეს სანამუშოდ მოჰყავს ახლად შემუშავებული ტერმინები (იგი განსაკუთრებით იწონებს მათემატიკურ ტერმინებს): ელვისო—ელექტრონი, მზიდარო—მაგნიტი, ციცინა—ფოსფორი, უჩინ-მაჩენი—მიკროსკოპი, შჭეობა—ქიმიური რეაქცია, ჭანგი—სიმყავე, კვეცწერა—სტენოგრაფია, ნაკი—დიფერენციალი, დენი—ტოკი და ა. შ. მას მიუღებლად მიაჩნდა იმ ტერმინების შექმნა, რომელთა შესატყვისები უკვე დამკვიდრებული იყო ქართულში. ასე მაგალითად: მანქანა—ახალსთავაზობდნენ ქმოსი, კლასი—განწილი, კასა—დახლი, პარკი—ფარეხი, ალგებრა—ალჯებრა და ა. შ.<sup>1</sup> „ერთობაში“ ლექსიკონის დამცველთა გვერდით დადგა მ. შალამბერიძეც, რომელმაც მასში ვრცელი სტატია „სიტყვარის გამო“ გამოაქვეყნა.

მ. შალამბერიძის თქმით, შ. ბერიძის წერილს ბევრი გაუნაწყენებია. ლექსიკონის დაჩქარებული შექმნა კი იმას გამოუწვევია, რომ განათლების სფეროს გაეროვნებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მეცნიერების ცალკეულ დარგებში ტერმინების შექმნა. ახლად შექმნილ მასწავლებელთა კურსებზე, რომელსაც ი. ჭავახიშვილი ხელმძღვანელობდა. მსმენელებს ტერმინებიც უნდა შეესწავლათ. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ბევრი ტერმინი თვით ი. ჭავახიშვილმაც მიაწოდა მათ, მაგრამ განსაკუთრებით ქიმიასში, მათი დიდი ნაწილი მიუღებელი აღმოჩნდა მასწავლებლებისათვის იმის გამო, რომ უმრავლესობა ნასესხები იყო არაბულ-ბერძნულ-სპარსული ენებიდან, ანდა თუ ძველი ქართული იყო, მათ შინაარსი კარგა ხნის დაკარგული ჰქონდათ. მ. შალამბერიძე სწორად აყენებდა საკითხს, რომ საჭირო იყო შემუშავებინათ რაღაც წესი. პრინციპი, რასაც ტერმინების შექმნა დაეფუძნებოდა. იგი განსაკუთრებით ყურადღებას ჭიმიის ტერმინების სასწრაფოდ შექმნის აუცილებლობაზე ამახვილებდა.

კომისიამ, რომელსაც ი. ჭავახიშვილი მეთაურობდა, თავიდან უარი თქვა ჭიმიის ტერმინოლოგიის შექმნაზე, რადგან ეს დარგი

<sup>1</sup> გაზ. „ერთობა“, 1920 წ. № 26

მათ თავიანთ საქმედ არ მიიჩნიეს. მართალია, ამ კომისიამ შემდეგში აზრი შეიცვალა, მაგრამ მანამდე თვით მ. შალამბერიძე გახლდა იძულებული, ეს საკითხი პრესაში დაეყენებინა. სტატიას ვამოცხმურნენ სპეციალისტები — ქიმიკოსები რ. და გ. ნიკოლაძეები და ი. ბერიძე. მალე ტექნიკური საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციის თავმჯდომარედაც ი. ჯავახიშვილის ნაცვლად ინჟინერ-ქიმიკოსი, ვ. კაკაბაძე დაინიშნა. მ. შალამბერიძის აზრით, ეს სწორიც იყო, რადგან სპეციალურ ტერმინებზე ცალკეულ დარგთა ღრმად მცოდნეები უფრო იმუშავებდნენ. დაიწყო კიდევ ტერმინების გამოქვეყნება დარგთა მიხედვით. მაგალითად, პირველად ქიმიაში იგი გამოაქვეყნა ქიმიკოსმა ანვლედინამა, მათემატიკაში მათემატიკოსმა ი. ავალიშვილმა და ა. შ. ამიტომ იყო, რომ ქიმიკოსმა რ. ნიკოლაძემ იოლად მოუგო კამათი არაქიმიკოს შ. ბერიძეს. შ. ბერიძე ასევე დამარცხდა ვ. კაკაბაძესთან კამათშიც.

სტატიის ავტორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, შ. ბერიძეც ჩართულიყო მუშაობაში და ტერმინების ქიმიკოს ავტორებს დახმარებოდა მათ მიერ შექმნილი ტერმინების დახვეწაში და მიეთითებინა შეცდომებზე. ამისათვის კი საჭირო იყო მას ავტორებთან ერთად შეესწავლა ამა თუ იმ ტერმინის წარმოშობის ბიოგრაფია, მნიშვნელობა და ა. შ.

ავტორი შ. ბერიძისაგან განსხვავებით, მხარს უჭერდა რ. ნიკოლაძის პოზიციას, რომ ტერმინები აუცილებლად ქართული ყოფილიყო. მაგალითად, მას მოჰყავდა გერმანია, სადაც ქიმიური ტერმინები გერმანული წარმოშობისა ყოფილა. თუ ტერმინოლოგია ქართული იქნებოდა, ეს თვით საგნის შესწავლასაც გააიოლებდა, რადგან უფრო გასაგები გახდებოდა ხალხისათვის. ლექსიკონის შემდგენელთა მოწინააღმდეგეებს არ მოსწონდათ არც რთული სიტყვების (ე. ი. ორი ან მეტი სიტყვის ძირიდან ნაწარმოები) ტერმინებად გამოყენება. რაც ზოგჯერ აუცილებლობით იყო გამოწვეული. მით უმეტეს, რომ თავის დროზე მსგავსად მოქცეულან ლათინურ, ბერძნულ და გერმანულ ენებშიც. ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ კი არ უარეყოთ არჩეული გზა, არამედ სპეციალისტებსა და ფილოლოგებს ერთობლივად შეექმნათ ახალი ტერმინები, რისი აუცილებლობაც ძველად მათი უქონლობით იყო გამოწვეული.<sup>1</sup>

1920 წ. ქართული ტერმინოლოგიის შექმნის საკითხებზე გამა:

1. გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 109, 111

რთული დისკუსიისაგან გვერდზე არც „საქართველოს რესპუბლიკა“ ვაღამდგარა. გაზეთში თებერვალში დაიბეჭდა ს. დანელიას წერილი, „ქართულ ტერმინოლოგიის საკითხისათვის“ (წერილს აქვს რედაქციის მინაწერი, რომ ზოგიერთ რაიმეში ავტორს იგი არ ეთანხმებოდა). ავტორი თავიდანვე აღნიშნავდა ტერმინოლოგიის შექმნის მთელ სიმწვავეს სკოლისა და მეცნიერებისათვის და არ მალავდა იმასაც, რომ ამ საქმეში ძალზე დიდი იყო ჩამორჩენა ევროპისაგან. სასწრაფოდ ასარჩევი იყო გზა, რომელსაც უნდა დასდგომოდნენ ტერმინების შექმნის პროცესში. ძირითადად გამოიკვეთა ორი გზა. ერთი — ამბობდა, რომ მეცნიერება, მთელი ერის კუთვნილება უნდა ყოფილიყო და აქედან გამომდინარე, მისი ენა ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გამხდარიყო ყველასათვის. ე. ი. ყოველი მეცნიერული სიტყვა უნდა გამონატულიყო ხმარებაში არსებული ქართული სიტყვებით. ხოლო თუკი ასეთი სიტყვა ქართულ ლექსიკონში არ აღმოჩნდებოდა, მაშინ უნდა შეექმნათ ახალი, ოღონდ მას ფესვი აუცილებლად ქართული უნდა ჰქონოდა და თანაც ეტიმოლოგიურადაც შეფარდებული ყოფილიყო ქართული ენის ბუნებასთან.

მეორე მიმართულება ეწინააღმდეგებოდა რა პირველს, მთლიანად უცხო ტერმინოლოგიის დამკვიდრებას მოითხოვდა. მაგალითად: ანოდი, კატოდი, პირამიდა და ა. შ. არ უნდა ეთარგმნათ. ს. დანელიას აზრით ეს იდეა არ იყო უარსაყოფი. ეროვნული ინტერესები მოითხოვდა ეროვნულ პროგრესს. უფრო ეროვნული ის კი არ იყო. რასაც ადვილად ითვისებდა ერი, არამედ ის, რაც აწინაურებდა მას. ასევე არ შეიძლებოდა დაკანონებულიყო ის, რაც უმრავლესობას მოსწონდა და ადვილად გასაგები იყო. თუმცა სჯობდა კი, რომ აღიარებულიყო ის, რაც უმრავლესობისთვის უფრო სასარგებლოს წარმოადგენდა. პედაგოგიკა იმას სულაც არ ითხოვდა, რომ ბავშვისათვის ესწავლებინათ მხოლოდ ის, რაც მისთვის უფრო ადვილი იყო. „ჩვენ, — წერდა ს. დანელია, ხშირად უფრო ადვილი საუკეთესოდაც გვეჩვენება“. ტერმინს მისი აზრით, ზუსტად უნდა გამოეხატა ცნება და ცნების შინაარსი. იგი შემდეგ საფუძვლიანად ჩერდებოდა მეცნიერული ცნების რაობაზე და აღნიშნავდა, რომ მოწინავე ქვეყნები ახალი ცნებების აღსანიშნავად

იშვიათად იყენებდნენ დედა ენას და ხშირად სესხულობდნენ უცხო სიტყვებს.

ერთი სიტყვით, ს. დანელია მხარს უჭერდა უკვე არსებული და პრაქტიკაში დამკვიდრებული სიტყვების გვერდით ახალი, უცხო ტერმინების შემოღებას და ეწინააღმდეგებოდა ახალი ტერმინების ქართული ფესვიდან შექმნას. მას მიაჩნდა, რომ ეროვნული განვითარების გარანტია გვეძებნა უცხო ერებთან მტკიცე კავშირში. განკერძოებულად კი ვერაფერი შეიქმნებოდა, რაც უფრო მკიდროდ დაუკავშირდებოდა ერის აზროვნება უცხო ერების აზროვნებას, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა ერის პროგრესი. მეცნიერული ტერმინოლოგია კი წარმოადგენდა საუკეთესო საფუძვლს სხვა ერებთან ურთიერთობისა. მისი აზრით, ეროვნული პროგრესი, დემოკრატია და პედაგოგიური ინტერესები, სულაც არ მოითხოვდა იმას, რომ ქართული სიტყვა უსათუოდ ემჭობინებინათ უცხო სათვის მეცნიერულ მცნებათა აღსანიშნავად. იგი თვლიდა, რომ ქართული სიტყვების დატოვება შეიძლებოდა მხოლოდ ძლიერ იშვიათ შემთხვევაში.<sup>1</sup>

ს. დანელიას საპასუხოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ სამნომერში დაიბეჭდა ვ. კაკაბაძის წერილი „ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო“. ვ. კაკაბაძის აზრით მცდარი იყო თვით საკითხის ასე დაყენება — ტერმინოლოგია ქართული, თუ უცხოენოვანი ყოფილიყო. თუ კი არსებობდა ქართველი ერი, ქართული ენა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაშინ ტერმინოლოგიაც უნდა ყოფილიყო ქართული. ყოველ ერს, სანამ იგი არსებობდა, საკუთარ ენაზე უნდა ჰქონოდა ტერმინოლოგიაც. ამას ავტორი ასაბუთებდა იმით, რომ მსოფლიოში არ არსებობდა და არც მომავალში იქნებოდა არავითარი საყოველთაო ენა. წინმსვლელის მოთხოვნა უნდა წარმოადგენდა არა ერთფეროვნება და ნიველირება, არამედ სხვადასხვაობა, მრავალფეროვნება, შეხლა-შემოხლა. მეტოქეობა და ბრძოლა. პროგრესული იქნებოდა ის, რომ ყოველ ერს თავისი წვლილი შეეტანა კაცობრიობის დაწინაურების საქმეში. იმისი თქმა, რომ ყოველ ერს თავისი ენა ჰქონდა, ხოლო ტერმინოლოგია კი ერთი, უვარგისი იყო. ტერმინები ფორმულებს არ წარმოადგენდნენ. ისინი კიდევ რომ ყოფილიყვნენ საერთაშორისო, მათი გამოყენება ყოველ ხალხში და ქვეყანაში მაინც თავისებუ-

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 44



რი და უცხოელთათვის გაუგებარი იქნებოდა. ენის უცოდინარობის შემთხვევაში, ტერმინებით მაინც არ იქნებოდა გასაგები რაიმე. ე. ი., საერთაშორისო ტერმინოლოგია კიდევ რომ შექმნილიყო, იგი მაინც ვერ შეასრულებდა ვერავითარ დანიშნულებას.

ვ. კაკაბაძე სვამდა ასეთ კითხვას — არსებობდა თუ არა საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია? რა თქმა უნდა, არა. იყო მხოლოდ რამდენიმე ასეული ტერმინი, ხოლო მათ გვერდით ყოველ ქვეყანაში მეტი იყო ეროვნული. მაგალითად, „ურავენენიეს“ ყველგან ჰქვიოდა ეროვნული სახელი, ხოლო ფორმულა კი იყო ერთნაირი. როგორც წესი, საერთაშორისო ტერმინები ყველგან იქცეოდა ეროვნულად, საერთო სიტყვების რაოდენობა კი თანდათან მცირდებოდა. ასე ხდებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხეთში და ა. შ. და თუკი ეს ყველგან ასე ხდებოდა, მაშინ რატომ უნდა მოქცეულიყვნენ საქართველოში პირიქით? მცდარია ის აზრიც, რომ თითქოსდა საერთაშორისო ტერმინოლოგიის შემოღება დაგვაახლოვებდა ევროპის ქვეყნებს. ტერმინთა ცოდნით შეუძლებელი იყო ევროპის კულტურისა და მეცნიერების შეთვისება. ამისათვის აუცილებელი იყო ენების ცოდნა. ავტორის აზრით, ევროპულ დონემდე ამაღლებას ტერმინების შემოღება კი არ გამოიწვევდა, არამედ სწავლა-განათლების ხალხში ფართოდ გავრცელება. მათი აზრით, თუკი ტერმინების გადმოღება დაგვაახლოვებდა ევროპასთან, მაშინ განა მათი ენის გადმოღება უმჯობესი არ იქნებოდა? ვთქვათ გერმანულის, ინგლისურის ანდა ფრანგულის, რადგან ისინი ხომ უფრო მალე იდგნენ თავიანთი მეცნიერებით. ტექნიკით, კულტურით, სამეცნიერო ყურნალ-გაზეთებით, სპეციალისტებით და ა. შ. მაგრამ ეს ხომ ქართველი ერის არსებობას მოსპობდა!

ევროპასთან დაახლოებას გამოიწვევდა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება. ამისათვის კი ეროვნული, გასაგები ენა იყო საჭირო. ხალხს უცხო ტერმინები კი არ უნდა დაეზებირებინა, არაწედ მათი შინაარსი და ბუნება გაეგო, რაც მშობლიურ ენაზე უფრო ადვილი იყო. სწორედ ასე შეიძლებოდა ხალხის განათლება და ერის დაწინაურება.

ტერმინი ცნების შეგნებას და შეთვისებას უნდა აადვილებდეს, შინაარსს გამოხატავდეს, აზრი ილოს მასში. ეს კი დედა ენაზე უკეთ შეიძლებოდა. იგი ხომ ასე გაჭდებოდა ძვალრბილში უფრო მკიდროდ. ქართული ტერმინოლოგია იმიტომაც იყო საჭირო, რომ უც-

5. ამირან ნიკოლეიშვილი

ხოური, ქართველის ყურისთვის სწორედ რომ უცხო, მუნჯი და მო-  
უნხეშავი იქნებოდა და ვერ შეეწყობოდა მდიდარ, მეტყველ, მოქ-  
ნილ და ხატოვან ქართულ ენას. ვ. კაკაბაძის აზრით, ყოვლად შეუ-  
წყნარებელი იყო ამ სიმდიდრის უარყოფა და მის ნაცვლად ენაში  
მოუნხეშავი, უცხო სიტყვების ჩატენა.

ვ. კაკაბაძე უცხოური ტერმინების დანერგვის საწინააღმდეგოდ  
კიდევ ერთ არგუმენტს იშველიებდა — ევროპაში არსებული ტე-  
რმინები ხომ ძირითადად მე-17 ს. შექმნილი იყო, რის შემდეგაც  
მეცნიერება მკვეთრად წავიდა წინ. და რაკი ტერმინები მაინც შე-  
საქმნელი გვქონდა, არ აჯობებდა ძველის ნაცვლად თანამედროვე  
და უფრო სრულყოფილი ახალი ტერმინების შექმნა, რომელიც  
მეცნიერების განვითარების დონეს შეესაბამებოდა?

ერთი სიტყვით, ავტორი დაასკვნის, რომ უარი ეთქვათ საერ-  
თაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე და ევროპის გამოც  
დილების გათვალისწინებით, ტერმინების შექმნისას გამოეყნები-  
ნათ ქართული მოქნილობა, სიმდიდრე და დაეცვათ მისი ბუნ-  
ება და კანონები.

ვ. კაკაბაძე თვლიდა, რომ ხმარებაში უკვე მიღებული ტერმი-  
ნების შეცვლა სულაც არ იყო საჭირო, რადგან მათ დიდი ხანია  
მიღებული ჰქონდათ მოქალაქეობრივი უფლება და არავითარ გაუ-  
გებრობასა და ბუნდოვანებას არ იწვევდნენ. მისი აზრით, მთავარი  
იყო ყოველ ძირითად ცნებას ჰქონოდა საკუთარი ფესვი ან გან-  
საკუთრებული ფორმა, თუმცა ფორმაზე მეტი მნიშვნელობა მაინც  
ფესვების აღმოჩენისა და შექმნისათვის უნდა მიექციათ.

ს. დანელიას აზრით, ზოგიერთი ტერმინი უკვე თვით ევროპა-  
შიც ბუნდოვანი იყო, მაგრამ ისინი ტრადიციით განაგრძობდნენ  
არსებობას. მაგრამ თუკი ისინი თვით ევროპელთათვისაც გაუგე-  
ბარი იყო, მაშინ რატომ უნდა გადმოეღოთ ქართულში? ს. დანე-  
ლიას მიაჩნდა, რომ უცხო ტერმინები უფრო იმ ახალგაზრდებს გა-  
შობადებოდათ, რომლებმაც უცხო ენები იცოდნენ. მაგრამ რა უნ-  
და ექნათ ენების არამცოდნეებს? ხომ არ გამოიწვევდა ეს სწავლა-  
განათლებაში უცხო ენის გაბატონებას, რაც პრინციპულად მიუღე-  
ბელი იყო ეროვნული პოზიციებიდან? უცხო ტერმინები იმითაც  
იყო ცუდი, რომ იგი ხელს შეუწყობდა ზეპირობის გავრცელებას  
და აბა აზრიან სწავლას. სავსებით სწორი იყო ვ. კაკაბაძე, როცა  
წერდა, რომ ევროპულ ენებში უცხო ტერმინები თანდათან შედი-  
ოდა და ამიტომ იგი რაიმე საფრთხეს არ უქმნიდა იმათ ენებს, მა-

გრამ ქართულად ხომ ერთბაშად 40 000-მდე ტერმინი იყო შესაქმნელი და ისინი ერთბაშადვე რომ უცხოენოვანი შემოეტანათ, ხომ მოსპობდა ქართულ ენას? მეორეც, იმ ენებში ეს ტერმინები მათი ნათესავეური სიახლოვის გამო მალე გამშობლიურდნენ, მაგრამ რაკი ქართული ენა შორს იდგა მათგან, იგი ხომ ვერ შეითვისებდა მათ და ამიტომ თვითონ აღმოჩნდებოდა დამბლადაცემული და გაქვავებული. ავტორი ს. დანელიას აზრს არც იქ ეთანხმებოდა, როცა იგი სწერდა, რომ თითქოსდა რაც უფრო ცოტა იქნებოდა ეროვნული ტერმინი ენაში, ეს მით უფრო უმჯობესი იქნებოდა სხვა ერებთან ურთიერთობისთვის. მისი აზრით, უცხო ტერმინოლოგია არ უნდა გამხდარიყო სხვა ერებთან დაახლოების საფუძველი. ამ საფუძველად უფრო ენების სწავლა, ერის კულტურული დაწინაურება და სწავლა-განათლების გავრცელება გამოდგებოდა.

ვ. კაკაბაძე დასაშვებად თვლიდა იმასაც, რომ თუკი არ მოიქმნებოდა ერთბაშად ყველა ტერმინი, მაშინ დაეტოვებინათ დროებით უცხო ტერმინი, ოღონდ იგი აუცილებლად უნდა შეეტანათ მოსაფიქრებელ ტერმინთა სიაში. ეს რა თქმა უნდა, შეეხებოდა იმათ, რომლებიც ცნების შინაარსს სწორად გადმოსცემდნენ. და ქართულ ენას დიდი ხანია შეთვისებული ჰქონდა.<sup>1</sup>

ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხებს ეხებოდა თავის წერილში „ფოსტა-ტელეგრაფის გაეროვნება“ მ. იანქოშვილიც, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით. ავტორი მიუღებლად მიიჩნევდა ტერმინების პირდაპირ თარგმნას და ამისი დამადასტურებელი მაგალითებიც მოჰყავდა. იგი მკითხველებს სთავაზობდა მის მიერ შექმნილ ტერმინებს: ლარი ან ნამბი და არა ხაზი, მანქანა და არა აპარატი, აკინძულა და არა პაჩკა, დალი და არა შტემპელ, სალარო და არა კასა და მრავალ სხვას და თან სთხოვდა სპეციალისტებსა და მკითხველებს, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი მის მიერ შედგენილ ამ ახალ ტერმინებზე. მ. იანქოშვილი წერილში სატერმინოლოგიო კომისიასაც საყვედურობდა, რომ მისი სუსტი მუშაობის გამო, ყველა ისე სწერდა, როგორც ეს აზრად თავში მოუვიდოდა.<sup>2</sup>

ქართულ პრესაში საკმაოდ მწვავედ მიმდინარე და გაჭიანურებული კამათის ერთგვარ შეჯამებად შეიძლება მივიჩნიოთ განათ-

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 48, 54, 59

2 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 14

ლენის სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის 1920 წ. თებერვლის სხდომები. კომიტეტს ი. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. 22 თებერვლის სხდომაზე სწორედ მან გააკეთა მოხსენება „ტერმინოლოგიური შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ“. მოხსენებელმა ხაზი გაუსვა ამ სფეროში მდიდარ ქართულ ტრადიციებს და აღნიშნა, რომ უკვე დასრულებული იყო ქართული წყაროებიდან ძველად ხმარებული ტერმინების ამოკრება, შავად ლექსიკონების შედგენა და დაწყებული იყო ახალი სახელმძღვანელოებიდან მათი ამოკრება. იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობდა ქართული ტერმინი, მიმართავდნენ ბერძნულ ან ლათინურ ტერმინებს და აქართულებდნენ მათ. ი. ჯავახიშვილის აზრით, უმჯობესი იყო ყოველივე ეს ჯერ ცალკეულ დარგთა მიხედვით არსებულ კომისიებს გაეკეთებინათ და შემდეგ წარედგინათ იგი კომიტეტში განსახილველად.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ ვ. კაკაბაძე, ბ. კონიაშვილი და ლ. ნათაძე. მათ ძირითადად ორ ტერმინზე გაამახვილეს ყურადღება და თუ ვ. კაკაბაძე და ლ. ნათაძე პირამიდისა და კატოდის ხმარების წინააღმდეგები იყვნენ, ბ. კონიაშვილი, პირიქით მხარს უჭერდა მას.

29 თებერვალს კომიტეტის მორიგი, რიგით მესამე სხდომა გაიმართა და იგი კვლავ ტერმინების შემუშავების საკითხების განხილვას დაეთმო. ამ სხდომაზე ლ. ნათაძემ, მ. შალამბერიძემ, ვ. კაკაბაძემ, ა. წერეთელმა, ი. ჯავახიშვილმა და კ. ბერიძემ მხარი ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნას დაუჭირეს. ბ. კონიაშვილმა კი უცხო სიტყვების გამოყენება უფრო მიზანშეწონილად ჩათვალია.

განსხვავებული პოზიცია დაიჭირა გ. ახვლედიანმა. მან საკითხის სინთეზურ გადაწყვეტას დაუჭირა მხარი. მისი აზრით, დასაშვები იყო ზოგ შემთხვევაში უცხო ტერმინების მიღებაც, ოღონდ მათთვის ქართული ენის მოქნილობა უნდა მიეცათ, თანაც აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო, რომ ტერმინს ცნების შინაარსი გამოეხატა. მაგალითად, გაცილებით სჯობდა დარჩენილიყო რევიზორი და არა მხილავი, მიკროსკოპი და არა უჩინმაჩინი და ა. შ.

მსგავსი პოზიცია დაიჭირა ა. შანიძემაც. მისი თქმით, ქართულში არსებული ტერმინების დიდი ნაწილი ძველადვე შემოსული, მაგრამ ამას საფრთხე არ შეუქმნია ქართული ენისათვის, საქმე ისაა, რომ მასალა მართალია კი იყო სხვა, მაგრამ შენება იყო ქა-

ბრტული. მან მოცემულ ეტაპზე მხარი დაუჭირა როგორც ქართული, ისე უცხოური მასალის გამოყენებას, ოღონდ მათთვის ქართული აგებულება უნდა მიეცათ. ა. შანიძის აზრით მასალას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის შესრულება შეეძლო ამ პროცესში და აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა დაყრდნობოდნენ უცხოურ ტერმინებს, რადგან ეს გაადვილებდა განათლებული ერების კულტურის შეთვისებას.

ი. ჯავახიშვილმა შეაჯამა სხდომის შედეგები და აუცილებლად მიიჩნია დაჩქარებულიყო ტერმინებზე მუშაობა. მისი აზრით, უნდა ექებნათ ძველიც, მაგრამ თუ ასეთი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ უნდა გადმოეღოთ უცხოური, რომელსაც უნდა მიეღო ქართული აგებულება. ი. ჯავახიშვილმა ქართული ენის კანონის დარღვევა უსაყვედურა ტექნიკური ლექსიკონის ავტორებს.

კომიტეტის სხდომამ დაადგინა, ტერმინების შემუშავებისას უპირატესობა მისცემოდა ძველი მწერლობის ნიმუშებში და ენაში უკვე არსებულ სიტყვებს, ხოლო თუკი ასეთი ვერ დაიძებნებოდა, ანდა არ შეითხზებოდა კომისიის მიერ, მაშინ ისინი უცხოურიდან გადმოეღოთ.<sup>1</sup>

საგნობრივად შექმნილმა სატერმინოლოგიო კომისიებმა ძალზე ნაყოფიერად იმუშავეს. იმდენად ნაყოფიერად, რომ 1921 წ. იანვარში გამართულ მასწავლებელთა მეორე ყრილობაზე გამოსვლისას, თავის მოხსენებაში ნ. ცინცაძემ აღნიშნა, რომ მათ უკვე ამოკრიბეს და განსახილველად წარადგინეს სამინისტროში (კომიტეტში) 40 000 ტერმინი, ხოლო კომიტეტმა მთლიანად დაასრულა სიტყვიერებისა და მათემატიკის ტერმინები და მოამზადა ისინი გამოსაცემად. უახლოეს ხანში ტერმინების მომზადება სხვა საგნებშიც დასრულდებოდა.

<sup>1</sup> უერნ. „განათლება“, 1920 წ., № 3

## თავი მესამე

### თეატრალური ხელოვნება

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე დიდი ყურადღება დაეთმო თეატრალურ ხელოვნებას. ეროვნულ საბჭოში არსებულმა ხელოვნების კომისიამ 1918 წ. ივლისში გამართა თათბირი, სადაც ხელოვნების საქმეთა გამგებლობის მოწყობის საკითხი იქნა განხილული. თათბირზე გამოიკვეთა ორი პოზიცია — ერთნი ხელოვნების სხვადასხვა დარგთა სისტემატიზაციისათვის მოითხოვდნენ ცალკე გამგებლობის დაარსებას, რომელიც მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ ხელოვნების დირექცია განათლების სამინისტროსთან უნდა დაარსებულყო. კომისიამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად განმეორებითი სხდომა 29 ივლისს დანიშნა.<sup>1</sup>

ცალკე გამგებლობის დაარსებას მხარს უჭერდა. შ. დადიანი, რომელმაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამასთან დაკავშირებით ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. მისი აზრით „ეროვნულმა საბჭომ აირჩია ამ საქმეში კანონმდებელი კომისია, ახლა უნდა შექმნას აღმასრულებელი ორგანო, როგორი უნდა იყოს ეს აღმასრულებელი ორგანო? რომელიმე სამინისტროსთან არსებული, თუ ცალკე, დამოუკიდებელი, რომელიც მხოლოდ პარლამენტს დაემორჩილება? ჩვენ გვინდა ცალკე უწყება, იმიტომ, რომ კულტურამ გადაარჩინა საქართველო, ხელოვნებამ, ხუროთმოძღვრებამ, მუსიკამ, ლიტერატურამ. სახელმწიფოში მთავრობამ უნდა იკისროს ამ დარგების მოვლა-პატრონობა, მზრუნველობა, ტექნიკური მხარე. შეიძლება თქვან, რომ სუსტია ქანდაკება, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მწერლობა, მუსიკა, თეატრი და ა. შ. და ამათთვის

<sup>1</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 4

ცალკე უწყება რა საჭიროაო. სუსტი რომაა, იმიტომაა საჭირო, რომ ესენი გააძლიეროს, ფეხზე დააყენოს, ფული არაა ცალკე უწყებისათვისო, სწორია, მაგრამ ფულის შოვნა თვითონ შეუძლია ხელოვნებას, იგი ხაზინას არ დააწვება.

სხვა სამინისტროსთან თუ იქნება ეს. მაშინ იგი ვერ შოუვლის, რადგან იმ სამინისტროს თავისი სხვა საქმეებიც ბევრი ექნება. ამიტომ ცალკე უწყება გვინდა, მაგრამ ისე, რომ სახელმწიფო შემოქმედებით საქმეებში არ უნდა ჩაერიოს“.<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, ზოგჯერ გაუმართლებელი იყო ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის ზედმეტი პრეტენზიების წაყენება, რომ თითქოსდა იგი სრულიად არ ზრუნავდა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის და ეს დარგი მივიწყებული ჰქონდა. „ჩვენი თეატრი, — წერდა კ. კახელი „ერთობაში“, ოპერეტკათ არის ქცეული. თითქმის ჩვენი დიდი მსახიობები ვ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ა. იმედაშვილი „არშიმ მალალანში“ არიან დაკავებულნი, არ ვარგა ეს. გაქრენ დრამატურგები. არაა პიესები. მაგალითად, კარგია ი. გედევანიშვილის პიესები. მაგრამ უფულობის გამო ვერ იღებება. ასე უნუგეშოდაა თეატრი. ძალები დაქსაქსულია, ღარიბია რეპერტუარი, უფულო, დაქვეითებულია, გადავვარებული და იგი ჩაკვდება“. ავტორის აზრით, თეატრისთვის ხარჯები სახელმწიფოს უნდა გაეღო, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდებოდა და დაარსებულიყო დრამატული საზოგადოება სახელმწიფო მფარველობის ქვეშ. არსებული თეატრი გამოცხადებულიყო სახელმწიფო თეატრად და მას წარმოდგენების გასამართავად სახაზინო თეატრის შენობა გადასცემოდა. ასევე უნდა დანიშნონდა თეატრის წლიური სუბსიდიაც, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქართული თეატრის ფეხზე წამოდგომა.<sup>2</sup>

გადაწყდა, 1918 წ. სეზონიდან დრამას ახალი დასით დრამატული საზოგადოების სასცენო ხელოვნების სტუდია გაძლოლოდა, რომელსაც გ. ჯაბადარი ხელმძღვანელობდა.<sup>3</sup> დრამატული საზოგადოების სასცენო ხელოვნების სტუდია 1918 წ. მარტში შეიქმნა გ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით (გ. ჯაბადარმა თეატრალური განათლება ბელგიასა და პარიზში მიიღო, რის შემდეგ იგი იქვე, ან

1 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 15

2 ვახ. „ერთობა“, 1918 წ. № 179

3 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 9

ტუანის თეატრში მუშაობდა). თავიდან ჩაფიქრებული იყო, რომ სტუდია წარმოდგენებს ჯერ სახაზინო თეატრში, ხოლო შემდეგ საკუთარ შენობაში გამართავდა. ზაფხულში სტუდიამ დაიწყო კიდევ მეცადინეობები საგარეჯოში. გ. ჯაბადართან ერთად მას ვ. შალიკაშვილიც მეთაურობდა.

სეზონი 1 ნომებერს უნდა გახსნილიყო ბრიეს პიესით „სარწმუნოება“. დასში ჩაირიცხნენ ქალები — ვ. ანჯაფარიძე, ე. აბაზაძე, ც. ამირეჯიბი, ბ. გამრეკელი, ვ. გურგენიძე, ა. ერისთავი, თ. ნადირაძე, ნინონი, ლ. ჩიქვინიძე, ა. ქიქოძე, ალ. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ნ. წერეთელი, ნან. წერეთელი, თ. ლოლობერიძე, ვ. ცხველიანი და ქ. ჭავჭავაძე, კაცები — ვალ. აბაშიძე, გ. არაღელი-იშხნელი, ვ. არაბიძე, შ. აღსაბაძე, ა. ალექსიშვილი, ს. ბერეჟიანი, შ. ბერიშვილი, მ. გელოვანი, გ. გურული, ა. ვასაძე, კარტოზია, ი. მაღალაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ი. ზარდალიშვილი, ვას. კობახიძე, ა. კოლხიძე, დ. მჟავია, გ. სარჩიმელიძე, კ. სუმბათაშვილი, ლ. ფანიაშვილი, მ. ხერხეულიძე, ნ. ცინცაძე, კ. შათირიშვილი, პ. ცხაკაია, მ. ჭიაურელი და ვ. ჯიქია: რეჟისორები: ზ. ბერიშვილი, ა. ფაღავა და კ. შათირიშვილი, მთავარი რეჟისორი და დასის გამგე გ. ჯაბადარი, რეჟისორის თანამშემწე ვ. კობახიძე. დასი თავის საცდელ წარმოდგენებს არტისტული საზოგადოების თეატრში გამართავდა. შეირჩა რეპერტუარიც — ჯოკოს „ვიტა ფოთლები“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. შ. შარაშიძის „ავგაროზი“, „იმედის დაღუპვა“ და სხვა.<sup>1</sup>

დასის დაკომპლექტებამ სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ვ. გარიკმა მკაცრად გააკრიტიკა დრამატული საზოგადოება, რომელსაც თითქოსდა ეთქვას, რომ თეატრის ასაღორძინებლად შექმნიდა ახალ დასს. ვ. გარიკის აზრით ეს არ იყო იოლი საქმე და ახალი დასის შექმნა კი არა, ახალი ძალების ევოლუციური აღზრდა, რეპერტუარის განვითარება და ახალი გზების ძიება იყო საჭირო. „ძველი, — წერდა იგი, — უცებ არ მოისპობა. პირიქით, მისგან უნდა დაიწყოს ახალი. დრამატულმა საზოგადოებამ უკვე საკმაოდ ნიჭიერი ახალი ძალები აღმოაჩინა. გასაკვირია, ეს ასე ადვილია? შეიძლება მსახიობთა აღმოჩენა? მსახიობი უნდა აღიზარდოს. დრამატულ საზოგადოებას ჩაუტარებია გამოცდელი წარმოდგენა და ამაზე დაუშვა სულ 180 პირი. ყველა უნდა

<sup>1</sup> ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 64, „ერთობა“, № 269



დაეშვა. ყოფილიყო კონკურსი... ერთი სიტყვით დრამატულ საზოგადოებას ბევრი ფული აქვს და სწორად გამოიყენოს“.<sup>1</sup>

ვ. გარიკს არ დაეთანხმა დ. კასრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსი ფაქტიურად ჩატარდა და 325 მსურველიდან 180 იმიტომ დაიშვა გამოცდაზე, რომ „ჩაწერილიყო ვ. აბაშიძეც, ც. ამირჯიბი, გ. გელოვანი, ა. მურუსიძე და ა. შ. და ესენიც გამოგვეცადა? ესენი ხომ იცის საზოგადოებამ“. ვ. გარიკის კრიტიკა დ. კასრაძემ მისი პირადი უკმაყოფილებით ახსნა.<sup>2</sup>

დრამატული საზოგადოების ახალი დასის ჩამოყალიბებამ სხვათა უარყოფითი დამოკიდებულებაც გამოიწვია. „ერთობაში“ დაიბეჭდა ვინმე ე. ი. ნარ-ის წერილი „დასია თუ სტუდია?“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული დრამატული საზოგადოება. „დრამატულმა საზოგადოებამ, — წერდა ავტორი, — სტუდია გახსნა, მაგრამ იგი არაა სტუდია, რომ გაზარდოს მომავალი მსახიობი. მათ სინამდვილეში გახსნეს დასი, რომელსაც სეზონის წარმართვა ჰქონდა მიზნად. განა შეიძლება მოსწავლეებმა 6 თვეში მსახიობონ? ისინი ვერ ასწევენ მთელი სეზონის სიმძიმეს. სტუდია უნდა ასწავლიდეს და 1-2 წარმოდგენას თუ გამართავს სანიმუშოდ. სეზონი არ შეიძლება მათ ჰქონდეთ. ჯამაგირები დაუნიშნეს 700 მ. მოსწავლეებს, ე. ი. ეს დასია. მოწაფეები აქ ფულს იღებენ. 35 მოწაფეა. ჩვენი მსახიობები კი მშვიერებია. კარგია ახალი თეატრის შექმნა. მაგრამ ძველები მოვკლათ? მოსწავლეს 700 მ. და ცნობილ მსახიობს შიმშილი? დედაქალაქში დეკემბრამდე სეზონი არ იყოს ეს არ შეიძლება. ამიტომ მოიწვიეთ ცნობილი მსახიობები და დაიწყეთ სეზონი“.<sup>3</sup>

სტუდია ს. გლახაშვილმაც გააკრიტიკა უურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“.<sup>4</sup>

ახალმა დასმა სეზონი პირველის ნაცვლად 18 ნოემბერს გახსნა სახელმწიფო თეატრის შენობაში. წარმოდგენილი იქნა ბრიეს „სარწმუნოება“ (იგი 22-შიც აჩვენეს). სპექტაკლზე „ერთობაში“ დაიბეჭდა ა. ბ-ს რეცენზია, რომელშიც იგი მიუხედავად პიესის სიძლიერისა, მას მაინც სუსტ დადგმად თვლიდა. მალალი შეფასება

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ. № 101, 103

2 იქვე, № 106

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 194

4 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 16

ჰქონდა მიცემული მხოლოდ რეჟისორის ნამუშევარს, ი. ზარდა-  
ლიშვილისა და ვ. ანჯაფარიძის თამაშს, ხოლო სხვა მსახიობები  
(განსაკუთრებით კი გელოვანი), დაწუნებული იყვნენ.<sup>1</sup>

„ერთობისაგან“ განსხვავებული, ძალზე დადებითი შეფასება  
მისცა „სარწმუნოებას“ „თეატრმა და ცხოვრებამ“.<sup>2</sup>

სტუდიის პირველ ნაბიჯებს სხვათაგან მისცა მაღალი შეფასება.  
იმავე გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა ვინმე შ. შ.-ს წერილი, რო-  
მელშიც იგი წერდა, რომ „ჯაბადარის სტუდიის წარმოდგენა... სა-  
ინტერესოა. დავინახეთ ამის ჩანასახი მასში. იგი შეიძლება გახდეს  
მომავალი ქართული თეატრის კერა და საფუძველი. ეს ყველამ  
იგრძნო. მივხედოთ ყველამ ამ ჩანასახს. მათ არ აკლიათ ხელოვნე-  
ბის სიყვარული, გატაცება, შრომის წყურვილი. სწორედ თეატრის  
სიყვარული აკავშირებთ მათ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭი-  
როა ამ ახალგაზრდებს შეექმნათ პირობები, ნივთიერი უზრუნვე-  
ლყოფა, ფული. ვუშველოთ დროზე ფულით. დაყოვნება საქმის  
სიკვდილს უდრის. ნუ დავშლით ამ საქმეს, ნუ ჩაეაქრობთ იმედის  
ნაპერწყალს“.<sup>3</sup>

იმ ფაქტმა, რომ 1918 წ. სეზონის წარმოება თავის თავზე, სტუ-  
დიამ აიღო, მსახიობთა კავშირისა და მსახიობთა ძველი თაობის  
უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი განაწყენდნენ, რომ დასში ვერ  
მოხვდნენ და სტუდიის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყეს. სა-  
კითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, ცოტათი უკან დავიხიოთ. როგორც  
გ. ბუხნიკაშვილი წერს თავის წიგნში „ქართული თეატრი ახალი  
ეპოქის მიჯნაზე“, დამოუკიდებელი საქართველო რომ შეიქმნა (რა-  
ტომდაც სიტყვა „დამოუკიდებელი“ გ. ბუხნიკაშვილს წინწყლებ-  
ში აქვს ჩასმული), ხელისუფლებას თეატრის სახელმწიფო ხარჯზე  
მიღება მოსთხოვეს და აიძულეს მთავრობა, რომ ეს საქმე დადე-  
ბითად გადაწყვეტილიყო.<sup>4</sup> გ. ბუხნიკაშვილი აქ აშკარად ცდება. სა-  
ქმე იმაშთა, რომ შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთან აგვის-  
ტოში საგანგებოდ მოვიდნენ მსახიობთა კავშირის წარმომადგენლები  
შ. დადიანი (იგი კავშირის თავმჯდომარედ 1918 წლის მარტში აირჩი-  
ეს) და ვ. შალიკაშვილი და სთხოვეს მას დახმარება, რათა ახალი სე-

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 265

2 ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ. № 16

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 268

4 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, ოპ.,  
„ხელოვნება“, 1976, გვ. 24

ზონი კავშირის დასს მთავრობის ხარჯით ეწარმოებინა თბილისში. მინისტრმა ყოველგვარი იძულების გარეშე დაუჭირა მხარი თხოვნას და გასცა ბრძანება, რომ სახელმწიფო თეატრში დასი გამოცდილი მსახიობებისაგან შემდგარიყო და სეზონიც მათ დაეწყო. დასის შედგენა სამინისტრომ სახელმწიფო თეატრის კომისარ ა. წუწუნავას დაავალა,<sup>1</sup> რომელსაც უნდა მოეწვია „შეკრება“, განესაზღვრა ხელფასები და მოეგვარებინა სხვა ორგანიზაციული საკითხები. განისაზღვრა დასადგმელი პიესების სიაც: ს. შანშიაშვილის „ბერლო ზმანია“, ა. შერვაშიძის „გიორგი III“, ს. ტარუაშვილის „ზორვად“, შ. შარაშიძის „ავგაროზი“, ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“, ს. ჭანტურიშვილის „სული ობოლი“, ჰეიზის „მარიამ მაგდალინელი“, ლაპე დე ვეგას „სოფელი“, პიუგოს „პადუის მტარვალი ანეელი“ და სხვა.

ა. წუწუნავამ ქუთაისშიც გააგზავნა დეპეშა, რათა ა. იმედაშვილი დასში მოეწვია.

ქართველ მსახიობთა კავშირის მთავრობამაც მისცა წინადადება, მიხმარებოდნენ სახელმწიფო თეატრს სეზონის გამართვაში.<sup>2</sup> ე. ი. ამ გადაწყვეტილებით თბილისში, სტუდიის გვერდით, ფაქტიურად მეორე დასიც უნდა შექმნილიყო, მაგრამ საკითხის გადაჭრა და კავშირის დასის შედგენა ოქტომბრამდე ვაკიანურადა, რადგან მერყეობას თვით ა. წუწუნავა იჩენდა. ოქტომბერში დასის საჩქაროდ შედგენაზე ბრძანება თვით მინისტრმა გასცა. ამ ბრძანების საფუძველზე სამინისტროს წარედგინა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოწონებული იქნა. მაგრამ ამ დროს საქმში კვლავ ჩაერია დრამატული საზოგადოება, რომელმაც სამინისტროს მთავრობის დასთან შეერთება სთხოვა. სამინისტრო დაეთანხმა ამას და კომისიას, ს. ჭანტურიშვილის, გ. ჯაბადარისა და ა. წუწუნავას შემადგენლობით, ახალი ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაავალა, მაგრამ 500,000 მ. მოცულობის ახალ ხარჯთაღრიცხვაზე, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის გამო, ხელისუფლებამ უარი განაცხადა.

სწორედ ამის შემდეგ, სეზონის წარმოება სახელმწიფო თეატრში გ. ჯაბადარის სტუდიით დრამატულმა საზოგადოებამ ითხოვა, რაზეც სამინისტრო დაეთანხმა.<sup>3</sup>

საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ მსახიობთა კავშირის უკმაყოფი-

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 207

2 იქვე, № 210

3 თეატრის მუზეუმი, ფონდი 61, ხელნაწერი № 15872

ლება გამოიწვია, რადგან გამოცდილ მსახიობთა დიდი ნაწილი ფაქტიურად დაუსაქმებელი დარჩა.

24 ოქტომბერს გაიმართა ქართულ მსახიობთა საპროფესიო კავშირი. წევრთა საგანგებო კრება, რომელზეც მოხსენებით კავშირის თავმჯდომარე შ. დადიანი გამოვიდა. შ. დადიანმა აღნიშნა, რომ ავრცელებდნენ ჰორს, თითქოსდა ერთმანეთს ებრძოდნენ ახლადდაარსებული სტუდია და კავშირი. ამ ორი დასის ურთიერთობაში მთავრობაც ჩაერია, მაგრამ ვერ მოხერხდა მათი შერიგება. ამან შედეგად ის გამოიღო, რომ 1918 წ. სეზონს არც ერთი აღარ აწარმოებდა. კავშირს სურდა თბილისში შეექმნა ერთი აკადემიური დასი, რომელშიც გამოცდილი და ახალი მსახიობებიც შევიდოდნენ. რაც შეეხება სტუდიას, მას ახალი ძალები უნდა გამოეყვინა და აღეზარდა. იგი საწვრთნელი სკოლა უნდა ყოფილიყო. ამიტომ მათი ძალებით სეზონის წარმართვა ჯერ ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენის დღეები უნდა დათმობოდა გამოცდილ დასს. ამან შეხლა-შემოხლა გამოიწვია და თეატრში ატყდა დავა დღეების განაწილებაზე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სეზონის წარმოება სტუდიას მიენდო, მაგრამ მათ ორიოდვე წარმოდგენის მეტი ვერ გამართეს. ბოლოს დრამატულმა საზოგადოებამ კავშირს მიმართა წინადადებით, რომ ისინი უარს ამბობდნენ სტუდიის საშუალებით სეზონის წარმართვაზე და იგი კავშირს ეწარმოებინა. ამ წინადადებას დაეთანხმა დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე ი. ბარათაშვილიც. კრებაზე გამოვიდნენ მსახიობები: რ. არსენიძე, ა. ფალავა, ს. ჰანტურიშვილი, ა. ახმეტელი და ტ. ტაბიძე და დაადგინეს, რომ სეზონი კავშირს ეწარმოებინა, აირჩიეს კომისია შ. დადიანის, რ. არსენიძისა და ნ. შიფკაშვილის შემადგენლობით, რათა მათ მთავრობისთვის გადაეცათ თხოვნა, რომ სახელმწიფო თეატრში შეექმნა საკუთარი ქართული დასი, მაგრამ თუ ეს მაშინვე შეუძლებელი იყო, მაშინ კავშირის დასს მატერიალურად მაინც დახმარებოდნენ.<sup>1</sup>

მალე მართლაც ჩამოყალიბდა ქართულ მსახიობთა საპროფესიო კავშირის დასი, რომელიც სახელმწიფო თეატრში დაიწყებდა თავის პირველ სეზონს. დასში ჩაირიცხნენ: ქალები — ტ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ს. ანკარა, ი. გოგოლაშვილი, ნ. დავი-

<sup>1</sup> გაზ. „ეჭრთობა“, 1918 წ., № 259

თაშვილი, ე. ლეჟავა; ე. მესხი, ო. სინაურიძე, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ა. ჩხეიძე, ნ. ჭავჭავაძე, ტ. პიერეტა, კაცები — ვ. აბაშიძე, დ. აბდუშელი, ი. ბარველი, ნ. გვარამია, ა. გუგუშვილი, შ. დადიანი, გ. იშხნელი, გ. იორდანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ჟივიძე, ა. სანდალა, მ. სარაული, გ. ფრონისპირელი, ნ. ციციშვილი, დ. ძნელაძე და შ. ჭაფარიძე. დასში დროგამოშვებით იმუშაებდნენ ნ. ჩხეიძე, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, ა. გედევანოვი, ა. იმედაშვილი და კ. ყიფიანაძე. რეჟისორებად დაინიშნენ შ. დადიანი, ნ. შიუკაშვილი და ვ. ყუშიტაშვილი.

დასს რეპერტუარში 12 ქართული და 6 თარგმნილი პიესა ჰქონდა — ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“, შ. დადიანის „ვარამი“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ა. ერისთავ-ხოშტარიას „ბედის ტრიალი“, დ. მეგრელის „მწირი სარდალი“, ა. სუმბათაშვილის „ლალატი“, ნ. შიუკაშვილის „სიმბახინჯე“ და „მთის ზღაპარი“, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფეები“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, შექსპირის „იულიუს კეისარი“, ანდრეევის „გაუღვამუს“, ჯოკომეტის „ივლითი“, ჰერცელის „ხალხის სიკეთე“, სობოლჩიკოვ-სამარინის „იუდას მემკვიდრე“ და სოფოკლეს „ანტიგონე“.

დასმა სეზონი 6 დეკემბერს „ლალატი“ გახსნა სახელმწიფო თეატრის შენობაში. 9 დეკემბერს „ლალატი“ მეორედ იქნა წარმოდგენილი. პრესამ დადგმას დაბალი შეფასება მისცა, თუმცა გამოჰყო ნ. დავითაშვილის (ზეინაბი), გ. იშხნელის (ოთარბეგი), ვ. გამყრელიძის (ანანია) და ძნელაძის (დათა) კარგი თამაში. განსაკუთრებით სუსტად მიიჩნიეს ლეჟავას გაიანე.<sup>2</sup>

დასმა შ. დადიანის რეჟისორობით მალე ი. გედევანიშვილის „სინათლეც“ დადგა.

ქართული თეატრის მდგომარეობა, მიუხედავად დაწყებული ძვრებისა, მაინც მძიმე იყო. მისი ბედით შეწუხებული „შ. შ.“ „ერთობაში“ წერდა, რომ „ცოდვა გატეხილი სჯობია — დღეს ქართული თეატრი არ არსებობს. ჩვენი სასცენო ხელოვნება ნამდვილი ანაქრონიზმია და თანამედროვე თეატრის მოთხოვნილებათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ქართული თეატრი ნაშთია იმ

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 263

2 იქვე. № 268

დროინა, როცა თეატრის მენეზას დიდი მსახიობები განსაზღვრავდნენ. ასეთი იყო ჩვენი მესხიშვილი, საფაროვა, აბაშიძე. შემდეგ შეეძლოთ ეთქვათ: თეატრი მე ვარო. დანარჩენი მსახიობები ჩირდილს გავდნენ. ეს დრო წავიდა. დღეს ეს გენიოსები არაა. ღალა ეს გენიოსია მთელი კრებული იმ მუშაკებისა, რომელნიც სართოთ ძალით, კოლექტიურად ქმნიან დრამატულ ხელოვნებას და თუ წარსული დროის დრამატული წარმოდგენა ერთი სახელგანთქმული მომღერლის კონცერტსა ჰგავდა, დღევანდელი წარმოდგენა უნდა შევადაროთ სიმფონიურ კონცერტს, რომელშიც თითოეული დამკვრელი დახელოვნებული მემუსიკეა, თანაბრათ საყურადღებო და თვალსაჩინო. თითოეული მსახიობი პირველი კიანურის დასრულებულ დამკვრელს, ნამდვილ მხატვარს უნდა წარმოადგენდეს. მსახიობი უნდა იყოს მომზადებული, განათლებული, სრული ინტელიგენტი. ჩვენი სცენა კი სწორედ აქ კოჭლობს. გვაკლია ინტელიგენტი მსახიობი და ესაა მიზეზი ჩვენი სცენის უვარგისობისა.<sup>1</sup>

1918 წ. 6 დეკემბერს დაწყებული მსახიობთა კავშირის დასის სეზონი თბილისში 1919 წ. 13 მარტამდე გაგრძელდა და დაიდგა ნ. შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და „სინათლე“, ა. ცაგარელის „ხანუმა“ და „ქართველი დედა“, ლ. ქიანურის „ტარიელ გოლუა“, რ. ერისთავის „სამშობლო“, სოფოკლეს „ანტიგონე“ და შექსპირის „დიდი ამბავი ტყუილუბრალოდ“. სეზონში სულ 26 სპექტაკლი გაიმართა, საიდანაც 14-ჯერ მხოლოდ „სინათლე“ იქნა წარმოდგენილი (რეჟისორი შ. დადიანი). რაც შეეხება „ანტიგონეს“, იგი სამშობლოში 1918 წ. დაბრუნებული ვ. ყუიშიტაშვილის პირველი დათმვა იყო, თუმცა სპექტაკლმა მაღალი შეფასება ვერ დაიმსახურა. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ დასის ამ სეზონმა არ გაამართლა.

დასის მიერ სეზონის ასე ნაადრევად დასრულება იძულებითი ნაბიჯი იყო. საქმე იმაშია, რომ წინააღმდეგობა წარმოიშვა დასსა და სახელმწიფო თეატრის კომისარ ა. წუწუნავას შორის, რომელმაც დასს თეატრში წარმოდგენების გამართვა აუკრძალა.<sup>2</sup>

ა. წუწუნავას ასეთმა მოქმედებამ დიდი გულსწყრომა გამოიწვია. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა №-ის წერილი, რომელშიც გამოთქმულია აღშფოთება იმის გამო, რომ მაშინ როცა სახელმწიფო

1 გაზ. „ერტობა“, 1918 წ., № 268

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 56

ფო თეატრში წარმატებით იმართებოდა რუსული დრამის, ოპერის და სხვაენოვანი სპექტაკლები, იქ ადგილი ვერ ჰპოვა ქართულმა დასმა. „საქართველოს დედაქალაქში ერთი დასი არ უნდა იყოს ქართული? პრესა დუშს ამაზე. ხალხი აღშფოთებულა. წუწუნავას ვინ მისცა უფლება, რომ აკრძალა იგი. კინკლაობა ღუპავს საქმეს. ათასი ჭორი დადის ამაზე, რომ თითქოსდა წუწუნავას არ მოეწონა დასი და ამიტომაც აკრძალა იგი. გაგვარკვიეთ რაშია საქმე“.<sup>1</sup>

გარკვეულ საქმიანობას დასი სეზონის იძულებითი დასრულების შემდეგაც განაგრძობდა და ამზადებდა „ბურუსის“ დადგმას, მ ივანის სამხედრო ორკესტრის მონაწილეობით გამართა სანახო წარმოდგენა — კონცერტი, სადაც მაყურებელს „ღარისპანის გასაჭირი“, „სიმართლე“ და სიმფონიური პოემა „ამირანი“ წარუდგინა და ა. შ. მგერამ მალე დასი ა წუწუნავასთან შეუთანხმებლობის გამო საბოლოოდ დაიშალა.<sup>3</sup>

შექმნილი მდგომარეობიდან საჭირო იყო გამოსავლის მოძებნა. დამფუძნებელი კრების წევრმა პ. საყვარელიძემ ხელოვნების კომისიის სახელით მთავრობას წარუდგინა მოხსენება. რომელშიც იგი საოპერო სეზონისა და დრამატული ხელოვნების საქმის წარმოებას ეხებოდა.<sup>4</sup>

შექმნილ მდგომარეობას არ შეიძლებოდა ქართველ მსახიობთა კავშირის ხელმძღვანელობა არ შეეწუხებინა. 29 მაისს ქართულ კლუბში გაიხსნა მსახიობთა კავშირის წლიური კრება — III ყრილობა. რომელმაც 2 ივნისამდე გასტანა.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა ახალი წესდება, კავშირში მიიღო 14 ახალი წევრი, (წევრად მიიღებოდა 5 წლის სტაჟის მქონე, ხოლო ის ვინც ბოლო 3 წ. სცენაზე არ გამოდიოდა, არ მიიღებოდა.) დაადგინა, რომ კავშირისათვის სავალდებულო არ იყო სეზონის წარმოება, თუმცა წარმოდგენების გამართვის უფლება ქველას არ ჰქონდა და ამას მხოლოდ საბჭო იძლეოდა.

ყრილობამ განიხილა მომავალი სეზონის წარმოების საკითხიც. როგორც კავშირის თავმჯდომარე შ. დადიანმა აღნიშნა, სავარაუდო იყო, რომ მომავალ სეზონს მთავრობის დასი წაიყვანდა კავ-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 58

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 123

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 13

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 149

ზირი კი შექმნიდა მეორე დასს. მთავრობის დასი იმუშავებდა ღრმა კლასიკური რეპერტუარით, მეორე დასი კი უფრო სანახაობითი იქნებოდა. ყრილობის გადაწყვეტილებით დასი სეზონს იმ შემთხვევაში აწარმოებდა, თუ ექნებოდათ ამისი ფინანსური შესაძლებლობა (45000 მ. იქვე გამოიყო მომავალი სეზონისათვის კავშირის მიერ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო).

ყრილობამ საბჭოს საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. საბჭო გადადგა და შ. დადიანის ნაცვლად (მან უარი განაცხადა) თავმჯდომარედ ა. იმედაშვილი აირჩიეს.<sup>1</sup>

1919 წ. ახალი სეზონის წაყვანა ერთი ხანობა თბილისის დრამატულმა დასმა იკისრა და განისაზღვრა მისი შტატები და ხარჯთაღრიცხვა. დასში ირიცხებოდნენ 3 რეჟისორი, 2 რეჟისორის თანაშემწე, 18 მსახიობი მამაკაცი, 12 მსახიობი ქალი და 69 სხვა თანამშრომელი. თეატრის მთლიანი წლიური ხარჯი 6 მილიონ მანეთით განისაზღვრა.<sup>2</sup> დასმა თავის რეპერტუაში შეიტანა გარიკის „ჯოკონდა“. ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, ო. უაილდის „პადუის დედოფალი“, ა. დოდეს „არღეზიელი ქალი“, „ანტიგონე“, „ოიდიპოს მეფე“, „ფუენტე ოვეხუნა“, „ლალატი“ და სხვა და ახალი სეზონისათვის მზადებას შეუდგა.<sup>3</sup>

1919 წ. კვლავ აღსდგა სტუდიის დასიც. მისი დაფინანსება ამჯერად თავის თავზე საქართველოს კოოპერატივის კავშირმა აიღო. (რასი, შეძლებისდაგვარად დრამატული საზოგადოებაც ეხმარებოდა) და მას საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის ქართული დრამატული სტუდია ეწოდა. ამ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. სტუდიის რვა წევრისაგან შემდგარი სამხატვრო საბჭო განაგებდა, რომელშიც შ. ამირჩიები (თავმჯდომარე), შ. გოგებაშვილი, ნ. ერისთავი, პ. ქავთარაძე, შ. შარაშიძე, მ. შარაშიძე, დ. შევარდნაძე და ვ. ცაგარელი შედიოდნენ. სტუდიის დასში გაერთიანდნენ ქალები — ვ. ანჯაფარიძე, ბ. გამრეკელი, ნ. ნონდე, ანეტა ქიქოძე, ალისა ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ხ. ჭავჭავაძე, თ. ლოლობერიძე ე. ჩიქვინიძე, ნ. წერეთელი, ს. ებიტაშვილი; კაცები — ვ. აბაშიძე, მ. გელოვანი, კ. სარჩიმელიძე, ა. ვასაძე, ნ. ცინ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 120, „სახალხო საქმე“, № 544, „ჩვენი ქვეყანა“, № 103

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 275

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 247



ცაქე, დ. ძნელაძე, გ. თაზიშვილი, ბოქორიშვილი, გულიაშვილი, შ. ლამბაშიძე, გ. ყიფშიძე, მ. ჭიაურელი; რეჟისორები—გ. ჯაბადარი, მ. ქორელი, კ. შათირიშვილი, რეჟისორის თანამშემწეები გ. ერისთავი, პ. ქავთარაძე და სცენარისტები ი. ანთაძე. ჰყავდათ ადმინისტრატორი და მოკარნახეც. სტუდიის დირექტორი იყო გ. ჯაბადარი.<sup>1</sup> სტუდიის დამტკიცებული შტატები და ხარჯთაღრიცხვა პრესაში გამოქვეყნდა.<sup>2</sup>

ბუნებრივია სტუდიას მატერიალური მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამასთან დაკავშირებით გ. ჯაბადარი და შ. ამირეჯიბი ნ. ჟორდანიასაც კი შეზღუდნენ და მისგან ფინანსური და სხვა მასალებით მხარის დაჭერის დაპირება მიიღეს.<sup>3</sup> მალე მთავრობის დადგენილებით, სტუდიას მართლაც გადაეცა სცენის მოწყობილობა.<sup>4</sup>

სტუდიის აღდგენამ ქართველი საზოგადოებრიობის საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. როგორც ნ. შიუქაშვილი წერდა „სახალხო საქმეში“, ხელისუფლების მიზანს კულტურის აყვავება წარმოადგენდა. „ლამის მთლად დაეცა სულიერი კულტურა. ამ დროს იმედის კუნძულია დრამატული სტუდია... თავდავიწყებით მუშაობენ გ. ჯაბადარი და ახალგაზრდები. ისინი სწავლობენ. მათ შორის ბევრი ნიჭიერია. მომავალში სტუდია დიდი თეატრი გახდება“. ნ. შიუქაშვილი სტუდიისადმი თანადგომას ყველას საქმედ მიიჩნევდა.<sup>5</sup>

„სახალხო საქმემ“ მალე კვლავ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „სტუდია“, რომლითაც დაიწყო პოლემიკა აღნიშნული საქმის ირგვლივ. „ჩვენი ყველასი ვალია ვიცოდეთ და ვიზრუნოთ, საქართველოს ყოველი გროში თუ სად იხარჯება... ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ სტუდიაზე. ესაა დრამატული ხელოვნების სკოლა... ჩვენ კი სტუდიას მოვახვიეთ უმძიმესი საქმე — სეზონის წარმოება და ლამისაა ამით წელში გავწყვიტეთ. უფრო მეტიც, იქ არც ერთ საგანს არ ასწავლიან. არ ვარგა ეს. ეს თავის მოტყვილებაა. ესაა ფულის უაზროდ ხარჯვა. დროა, ბოლო მოედოს ამას. ან სტუდია, ან დასი. არა გვაქვს საფლანგავი ფული. სტუდიამ შარშან შეიწირა რამდენიმე ასიათასი მანეთი (მთავრობის, დრამატული საზოგადოების,

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 219, 245

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 276

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 29

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 2

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 638

6. ამირან ნიკოლეიშვილი

კერძო პირების), წელს რამდენი დასჭირდება კოოპერატივის? პრესა ერთხმად წერს: სტუდია, როგორც დასი არ ვარგაო. აქედან დასკვნა, სტუდიამ დაიწყო სტუდიობა, მეცადინეობა, მომავალ მსახიობთა აღზრდა. დროა უშედეგო ექსპერიმენტებს გავეშვათ ხალხის ხარჯზე. დროა შეიქმნას ნამდვილი სტუდია და თუ ამისათვის არ გვყავს ძალები, მაშინ ეს ფული გამოვიყენოთ სტიპენდიად და ევროპაში გავაგზავნოთ სასწავლებლად. ისინი კი რომ დაბრუნდებიან, თეატრს გარდაქმნიან და გააევრობელებენ. ამით ფულიც ნაკლები დინხარჯება და ქვეყანასაც დიდი საქმე გაუკეთდება.<sup>1</sup>

ხელოვანთა ევროპაში სასწავლებლად გაგზავნის საკითხი სხვა დროსაც დაისვა პრესაში. მაგალითად ამაზე წერდა ვ. გარიკი „საქართველოს რესპუბლიკაში“.<sup>2</sup> ვინმე რაინდი „სახალხო საქმეში“ და ა.შ. ეს უკანასკნელი წერდა, „უცხოეთში სტუდენტებს რომ აგზავნიან, იქ მგონი ხელოვნების წარმომადგენლებს არ აგზავნიან, ხელოვნებისთვის არ გვცალია. ხელოვნების არც ერთ დარგს არა აქვს ყურადღება მიქცეული — დილეტანტები გვყავს. არც ერთი დარგი ხელოვნებისა არ დგას მტკიცე ნიადაგზე. ესთეტიურად ბარბაროსები ვართ. ყურადღება უნდა მხატვრობას, ქანდაკებას, პოეზიას, მუსიკას, დრამატულ ხელოვნებას, სულიერი კულტურა უნდა დაფასდეს. გერმანია თავისი ტეხნაკით კი არ ფასდება, არამედ თავისი სულიერი ღირებულებით, სულიერი კულტურით. თუ საქირთა ჩვენთვის სამთო მრეწველობა მიუზღვრება და სხვა, ერთი ორად საჭიროა საქართველოსთვის განვითარდეს ლიტერატურა, მხატვრობა და დრამატული ხელოვნება. ხელოვნებას მფარველობა უნდა, გაფრთხილება, ნაზია. მთავრობამ ესენიც უნდა გაგზავნოს უცხოეთში.“<sup>3</sup>

წერილზე მინაწერში რედაქცია მხარს უჭერდა ავტორს, თუმცა აღნიშნავდა, რომ „დღეს უნდა ვიზრუნოთ აუცილებელსა და გადაუდებელზე. ხელოვნების დარგი კი უფრო თავისუფალია, როგორც შემოქმედებით. ისე განვითარებით.“<sup>4</sup>

„სახალხო საქმე“ სტუდიის გასაჭირზე შემდეგაც წერდა. თითქმის მეორე წელი მთავრდებოდა მისი შექმნიდან და სტუდიას ბინა მიიღო არ ჰქონდა. მას ქართულმა კლუბმა დაუთმო კვირაში სამი

1 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 691

2 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 193

3 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 626

4 იქვე

დღე რეპერტიციებისათვის. ამას ისიც ემატებოდა, რომ ოთხშაბათობით, როცა სტუდიას წარმოდგენები ჰქონდა, სხვაგანაც იმართებოდა ქართული წარმოდგენები, რაც სტუდიელებს მაყურებლის პრობლემას უქმნიდა.<sup>1</sup>

სტუდიის არსებობას მხარი ს. ტარუაშვილმაც დაუჭირა „სახალხო საქმეში“. მისი აზრით სანამ სახელმწიფო ხელოვნების სკოლას თვითონ არ გახსნიდა, სტუდია აუცილებლად საჭირო იყო, ოღონდ მისი დაკომპლექტება კომისიის მიერ უნდა მომხდარიყო. ასევე უნდა შეედგინა კომისიას რეპერტუარიც. ხოლო მათი წარმოდგენები უნდა ყოფილიყო ერთგვარი გამოცდა და არა სახალხო წარმოდგენა. სტუდიელთა სპექტაკლს უნდა დასწრებოდნენ მხოლოდ მოწვეულები, რომლებიც შემდეგ გაარჩევდნენ მას. სწორედ ეს შეუწყობდა ხელს მათს აღზრდას.<sup>2</sup>

განსაკუთრებით მწვავედ დასვა სტუდიის უბინაობის საკითხი „სახალხო საქმეში“ „ვინმემ“. „რუსები და სხვა უცხოელები დაგვიცინიან, რომ საქართველოს დედაქალაქში ქართულ თეატრს არა აქვს ბინა. ესაა სირცხვილი, ჩვენი დამცირება. სტუდიას ზოგი რეჟისორი გმობს შურის გამო. სტუდიამ სასახლოდ მიიღო მონაწილეობა ნ. ჩხეიძის იუბილეში. იგი იღუპება უბინაობით. მათ სურთ მელიქ—აზარიანცის თეატრი „მინიატური“. თუკი ქალაქმა შესძლო და ევრეინოვის თეატრის ბინისათვის საკითხი პარლამენტში დააყენა (იგივე მელიქ—აზარიანცის შენობას ითხოვს ისიც), რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს ქართული სტუდიისათვის და ეს შენობა მას მიეცეს? მით უმეტეს, რომ მეტ ქირას სტუდია იხდის, თანაც შეაკეთებს შენობას. მოვითხოვთ ეს თეატრი დაუყოვნებლივ ჩამოერთვას პერონეს და გადაეცეს სტუდიას. პერონეს თბილისში აქვს 4 სინემატოგრაფი: „აპოლო“, „კინო-პალასი“, „მინიონი“ და მელიქ—აზარიანცის შენობაში. ეს რეკვიზიცია სამართლიანი იქნება. შენობა მიეცეს სტუდიას ქირით“.<sup>3</sup>

მიუხედავად ასეთი მძიმე საბინაო პირობებისა, სტუდიელებმა 1919 წ. სეზონი მაინც გახსნეს და 16 ოქტომბერს არტისტული თეატრის შენობაში შ. შარაშიძის „ავგაროზი“ (რეჟისორი მ. ქორელი) წარმოდგინეს. 12 ნოემბერს კი იქვე დაიდგა როსტანის „რო-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. № 700

2 იქვე, № 705

3 იქვე. № 712

მანტიკონები“ და ჰაუპტმანის „ჰანელე“ (რეჟისორი მ. ქორელი), რომლებშიც მთავარი როლები ვ. ანჯაფარიძემ, ანთაძემ, შ. ლაშბა-შიძემ, მ. ჭიაურელმა და ა. ვასაძემ შეასრულეს. სპექტაკლმა პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა, თუმცა „ერთობა“ იმასაც აღნიშნავდა, რომ სტუდიის მიერ სეზონის წარმოება გაუმართლებელი იყო, რადგან ხშირი თამაშის შემთხვევაში ისინი სწავლას ვეღარ შესძლებდნენ, რომ სცენის ოსტატებად გაზრდილიყვნენ. ამით კი საქმე გაფუჭდებოდა.<sup>1</sup> „რომანტიკოსებს“ და „ჰანელეს“ პ. დადვაძემაც მაღალი შეფასება მისცა.<sup>2</sup> 19 ნოემბერს სტუდიამ წარმოადგინა როსტანის „თეთრი ვახშამი“ და ბრიოს „სარწმუნოება“ (რეჟისორი გ. ჯაბადარი). ფაქტიურად ეს იყო 1918 წ. 19 ნოემბერს სტუდიის გახსნაზე წარმოდგენილი სპექტაკლ „სარწმუნოების“ აღდგენა. პ. დადვაძემ თავის ვრცელ რეცენზიაში უარყოფითი შეფასება მისცა დადგმას, თუმცა მოიწონა ვ. ანჯაფარიძის, ა. ქიქოძის და განსაკუთრებით კი მ. ჭიაურელის თამაში. დაწუნებული ჰქონდა გ. ყიფშიძის შესრულება.

მკაცრადაა დაწუნებული „თეთრი ვახშამიც“, განსაკუთრებით კი რეჟისორის ნამუშევარი.

26 ოქტომბერს სტუდიამ მაყურებელს ჯოკოს „ვითა ფოთლების“ განახლებული დადგმა (რეჟისორი გ. ჯაბადარი) უჩვენა პ. დადვაძემ თავის რეცენზიაში ამ სპექტაკლსაც უარყოფითი შეფასება მისცა. დაწუნებული იყო პიესაც. პ. დადვაძის აზრით სპექტაკლის განახლებას არავითარი გამართლება არ ჰქონდა.<sup>3</sup>

პ. დადვაძის აზრით, ასეთი სუსტი სპექტაკლების წარმოდგენა გამოწვეული ალბათ იმით იყო, რომ სტუდიას ყოველ კვირაში ევალებოდა სპექტაკლების გამართვა და რაკი მათ ვერ მოასწრეს სხვა რამეს მომზადება, ასე შეეავსეს სავალდებულო დღე. ასეთი დადგმები კი მათ არაფერს არ სძენდა. „ვრწმუნდები, წერდა პ. დადვაძე, ამ ბოლო ორი წარმოდგენით, რომ სტუდიას არ უნდა ევალებოდეს სეზონის წარმოება. სტუდიელებმა კეთილსინდისიერად კი ითამაშეს, მაგრამ მართო ეს არაა საკმარისი. კარგებია გელოვანი, ანჯაფარიძე, ჭასაძე. ამით უნდა ვუმადლოდეთ, რომ პიესა მთლად არ იღუპა.. სტუდიამ არ შეიძლება აწარმოოს სეზონი. ეს არაა მისი

1 ვახ. „ერთობა“, 1919 წ., № 261.

2 ვახ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 680

3 იქვე, № 693

დანიშნულება. მას ქელს მოწყვეტენ და თვით იღეა სტუდიისა და-  
სამარდება, მაშინ როცა სტუდია მსახიობთა მოსამზადებლად აუცი-  
ლებელია“.<sup>1</sup>

სტუდიამ დადგა „ლალატიც“, დ. ნახუცრიშვილს ათარგმნინა და  
ამზადებდა რუსეთის დიდი მთავრის, კონსტანტინეს პიესას „მეფე  
ურიათა“ (მისი დადგმა ადრე აკრძალული იყო ცენზურის მიერ) და  
ა. შ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ „ლალატიც“ კრიტიკის უარყოფითი  
შეფასება გამოიწვია, როგორც დ. კაკაბაძე წერდა „ლალატიცა“ და  
„სარწმუნოების“ შესახებ, ესენი ვერ შექმნიან ჩვენი თეატრის  
ახალ ფორმას. მას არა აქვს თეატრალური მიზანი და პრინციპი. თე-  
ატრის აღორძინებას ვერ შესძლებს სტუდია. დროა საჭირო, აჩქა-  
რებით არაფერი გამოკა“.<sup>2</sup>

1919 წ. სტუდიას კოოპკავშირმა ფინანსური დახმარება შეუწ-  
ყვია. ამას დაემატა შიგა უთანხმოებანიც და სტუდია დაიშალა. გ.  
ჯაბადარი ისევ უცხოეთში წავიდა.

1919 წ. შემოდგომაზე ქართული დრამის ზამთრის სეზონის წა-  
ყვანა ვ. გუნიამ ითავა. მან შეადგინა დასი, რომელშიც ქ. აბაშიძე,  
ნ. დავითაშვილი, ო. ლეჟავა, ო. გორდელი, ივერიელი, ნ. ჯავახიშ-  
ვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, დ. აბდუშელი, ვ. გუნია,  
შ. დადიანი, ვ. მატარაძე, მ. საარაული, ვ. ჭიქია, კ. ციციშვილი, პ.  
ფრანგიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვები შევიდნენ. რეჟისორებად  
ჩაირიცხნენ კ. ანდრონიკაშვილი, ა. ახმეტელაშვილი, ვ. გუნია, შ.  
დადიანი და პ. დადვაძე. ხოლო რეჟისორის თანაშემწედ ა. გუგუშვი-  
ლი. ვ. გუნიას განზრახული ჰქონდა დაეარსებინა ხელოვნების კომი-  
სია, რომელშიც შევიდოდნენ მწერლები, მხატვრები და დრამატუ-  
რგები. გამოცხადდა, რომ დასი წარმოდგენებს სახალხო სახლის,  
ქართული კლუბისა და სახელმწიფო თეატრის სცენებზე გამართავ-  
და, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ მათ ამ შენობებს არავინ დაუ-  
თმობდა. მაშინ ვ. გუნიამ პარლამენტის ხელოვნების კომისიას თხოვა  
მათთვის დღეები რომელიმე სხვა თეატრში გამოეყოთ.<sup>4</sup> კომისიამ ამ

1 ვ. ა. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 693

2 აურ. „შვიდი მნათობი“, 1919 წ., № 1

3 ვ. ა. საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 241, „სახალხო საქმე“,  
№ 644

4 იქვე, № 227

საკითხის მოგვარება დეპუტატ რ. არსენიძეს დაავალა.<sup>1</sup> საკითხის გადაწყვეტამდე დასი ინტენსიურად ამზადებდა რ. ერისთავის „ოჯახის გაუბედურებასა“ (მისი პრემიერა 26 ოქტომბერს იყო დანიშნული) და ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობას“ (წარმოდგენილი იქნა ქართულ კლუბში 30 ნოემბერს).<sup>2</sup>

მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, სახელმწიფო თეატრმა ვ. გუნიას დასს შენობა მაინც არ დაუთმო და დასი იძულებული გახდა დაშლილიყო, რამაც სეზონის წაყვანა შეუძლებელი გახადა.<sup>3</sup>

შექმნილმა მდგომარეობამ ქართველი ინტელიგენციის მწვავე რეაქცია გამოიწვია.

„სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა ვრცელი სარედაქციო წერილი „ქართული თეატრი“, რომელშიც მთელი სიმწვავეთ იყო საუბარი. შექმნილ მდგომარეობაზე. „ქართული თეატრის საქმე მარტო ერთ რამეში ჩანს. ესაა თეატრის და უნივერსიტეტის ლატარია. უნივერსიტეტი კია უკვე, მაგრამ თეატრი მართლა ლატარიად იქცა. არ გვეგულება არც ერთი დარგი ჩვენი კულტურისა, რომელიც ისე მივიწყებული და მიგდებული იყოს, როგორც ეროვნული თეატრის საქმეა მიგდებული. თეატრი ყველგან ერის და სახელმწიფოს საქმეა. ჩვენში კი ის ანტეპრენიორების და კერძო ორგანიზაციების ამარად არის დატოვებული. ჩვენი მთავრობა ყველაფერზე ზრუნავს, გარდა მსახიობისა, ცოტა მაინც დავაფასოთ. იგი ერთი ფუძეთაგანია ეროვნული სახელმწიფოს არსებობისა, თეატრით ყოველთვის აფასებენ ხალხის კულტურას. ამ მხრით ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, სამწუხაროა. ქართული თეატრი იმდენად გარიყეს, რომ მას თბილისში არ ედგომება. საზოგადოების ის კასტა. რომელიც დღეს განაგებს ქვეყანას, იმდენ საქიროებას არა გრძნობს ქართული თეატრისას, ოპერაზე კი ზრუნავს. ძირითადი უბედურება/ისაა, რომ ვერ მოხერხდა თეატრის სოციალ-დემოკრატიზაციის სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე ატანა. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო უდრის სოციალ-დემოკრატიულ თეატრს, მსახიობთ. ეს ასე არ მოხდა და ამიტომ ჩაკვდა თეატრის საქმე. გული გიკვდება, როცა ხედავ უპატრონოდ და უსაქმოდ ვ. აბაშიძეს, ვ. გუნიას, ტ. აბაშიძეს, ვ. იშხნელს. ამათთან არ არის (ცალკე არიან)

1 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 651

2 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 241

3 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 671

ნ. ჩხეიძე, ამირეჯიბი, ქიქოძე, ანჯაფარიძე, იმედაშვილი, ჭიაურელი; ზარდალიშვილი, თავი ვერ მოვეუყარეთ ჩვენს პროფესურას. ჩვენი სცენის გვირგვინი ვ. ალექსი—მესხიშვილი ჩვენც კი არ ვიცით სად არის და რას აკეთებს, ან სუმბათაშვილ—იუჟინი როდის ჩადგება ჩვენს მელპომენას სათავეში. არ გვყავს ძალები? რამდენიც გნებავთ! არ არის სათეატრო შენობა? — ძვირფასი! საქმე მოსპო ინტრიგამ, პირადმა თავმოყვარეობამ, ბოროტი ადამიანის ხელმა. მთავარია, რომ ყოველივე არასოციალ-დემოკრატიული საქმის დალუპვა სურთ მთავრობას და ჩვენი თეატრიც იღუპება“.<sup>1</sup>

განსაკუთრებით შეუთრიგებელი პოზიცია ეკავა ს. ფირცხალავას. იგი წერილში „ქართული თეატრი“ წერდა, რომ რაც უნდა უკმაყოფილო ვიყოთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ზოგიერთი მოვლენისა, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საერთოდ ყველაფერს გამოცხოველება და ინტენსიურობა ეტყობა. აღორძინებული, განთავისუფლებული ერის შემოქმედება ყოველ დარგში სჩანს... ყველაფერი ერთბაშად არ გაკეთდება, მაგრამ პროცესი ქართული შემოქმედების აყვავებისა დაწყებულისა, ვერაფერი შეაფერხებს და უეჭველად მიიღწევს თავის უმწვერვალეს განვითარებას. ...ქართველი ხალხის შემოქმედება უფრო სჩანს პოლიტიკურ სფეროში... ნაკლებად წმინდა კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენს სულიერს კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას, არ ეტყობა სათანადო გამოფხიზლება და აღორძინება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ კერძო მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის განმავლობაში. საერთოდ ჩვენი მუშაობა კულტურის დარგში მოდუნებული იყო. ეროვნულმა შემოქმედებამ ფართოდ უნდა გაშალოს ფრთები სულიერი კულტურის აღსადგენადაც.

კარგი ხელოვნები და მეცნიერები უნდა დაძოვნიდებლობას, როგორც კარგი პოლიტიკური მოღვაწეები და სარდლები.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა თეატრის მდგომარეობა. მას არა თუ წარმატება ემჩნევა, არამედ თითქოს ჩამოქვეითდა კიდევ და ერის პოლიტიკურმა განთავისუფლებამ ჩვირ-ჩვირობით არაფერი მოუტანა. ქართული სასცენო ხელოვნება დღესაც ისე უსახლკარო და უპატრონოა, როგორც გუშინ და წინად იყო. ქართველი მსახიობი დღესაც ისევე ცხოვრების გარეშე დატოვებული არსებაა, მოკლებული მოქალაქეობრიობას. ქართული თეატრი დღე-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 645

საც. სასხვათაშორისო საქმეა, რაღაც ზედმეტი, დესერტი, რომელიც შეიძლება იყოს, შეიძლება არა. დღესაც არავინ უყურებს, როგორც საზოგადო დაწესებულებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის აღზრდისათვის, სულიერ გაფაქიზებისთვის.

თეატრი ხალხის ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა და ჩვენც ამას სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ. თეატრი უნდა შეიქმნას ჩვენი სახელმწიფოს და თვითმართველობათა უმთავრეს საზრუნავ საგნად. კერძო ინიციატივით და საშუალებით თეატრი დღევანდელ პირობებში ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება, თეატრის ღირებულება არა ნაკლებია ვიდრე სკოლისა და როგორც სკოლას ინახავს ხაზინა, ასევე უნდა დაეხმაროს და იზრუნოს თეატრისათვის. ჩვენს თეატრს დღეს განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება. თუ გვინდა ჭეშოვან ნიადაგზე დავაყენოთ ჩვენი სცენა, სახელმწიფომ უნდა გაუწოდოს თავისი მტკიცე ხელი და აღმოუჩინოს ფართო ქონებრივი შემწეობა. სახელმწიფო სათეატრო შენობა ყოვლის უწინარეს უნდა ემსახურებოდეს ქართულ ხელოვნებას, ქართულს მუსიკას და ქართულს დრამას. იქ უნდა მოიპოვოს მტკიცე თავშესაფარი ქართულმა სასცენო ხელოვნებამ. ეს პირველი და აუცილებელი პირობაა მისი წარმატებისთვის. მერე უნდა უზრუნველყოფილი იქმნენ ქართველი მსახიობები და მათი სამსახური ქართული თეატრის სარბიელზე მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო სამსახურად, როგორც მაგალითად მასწავლებლის მოღვაწეობა. ხაზინამ გაიღოს თანხა სეზონისთვის, მისი მოწყობა დაევალოს კომისიას, სახელმწიფომ და თვითმმართველობამ მოჰკიდოს ხელი თეატრის საქმეს“.<sup>1</sup>

ქართული თეატრის კრიზისულ მდგომარეობაზე ნ. შიუკაშვილიც წერდა „თეატრსა და ცხოვრებაში“. მისი აზრით, თეატრი იმითომ განიცდიდა კრიზისს, რომ მთელი ჩვენი კულტურა ყალბ გზას ადგა.<sup>2</sup>

თეატრის კრიზისზე წერილების სერია საერთო სათაურით „ფურცლები“ კ. მერგველმაც გამოაქვეყნა იმავე ჟურნალში.<sup>3</sup>

თეატრის გასახელმწიფოებრიობას უჭერდა მხარს „ჩვენი ქვეყანაც“. ვინმე ბატუას აზრით, ეს თუ ასე არ იქნებოდა, იგი სახელ-

1 ვახ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 553

2 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 8

3 იქვე, № 13



მწიფოს დიდ ნაკლად ჩაითვლებოდა. მისი აზრით სახელმწიფოს უნდა აეშენებინა და გაეხსნა თეატრები, ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები და ა. შ.<sup>1</sup>

პრინციპული პოზიცია დაიკავა „საქართველოში“ ბ. სურგულაძემაც, როგორც იგი წერდა, თავისუფლების მოპოვებამ გააჩინა აღორძინების იმედი, მაგრამ ამაოდ. გასულ წელს სახელმწიფო თეატრში 2 ქართული ოპერა დაიდგა, რაც ბრწყინვალე დასაწყისი იყო და „გვეგონა იგი გაფართოვდებოდა. ველოდით „თამარ ცბიერს“, სხვებს. ამბობდნენ 8 ოპერაა მზადო, მაგრამ მოვტყუვდით. არათუ ახალი გვეღარსება, ამ ორიდან ერთი — „თქმულება შოთა რუსთაველზე“ სცენიდან გაქრა. ალბათ მეორესაც ეს მოუვა.

სრულ უნუგეშობას განიცდის დრამატული ხელოვნება, არადა გვქონდა კარგი თეატრი, რუსეთში სამოქალაქო ომმა დააშინა იქაური ხალხი და ისინი მორბიან საქართველოში თავშესაფარად. მოდის და მოდის ჩვენთან ეს უსაქმო ხალხი უთვალავი. თან ხდება საოცარი ტრანსფორმაცია. გუშინდელი აფიცერი დღეს ქიანურითაა ხელში, მეორე არტისტობს, დრამატურგობს, ფუტურისტობს. გაიკნოსო თბილისი ასეთი უარყოფითი ელემენტებით, ისინი ელიან მომენტს, რომ აშკარად ჩვენს მტრებს მიეკედლონ. მანამდე კი ჩუმ და ფრთხილ პროპაგანდას აწარმოებენ. გამრავლდა თეატრები და კლუბები. თვით რუსთა ბატონობის დროსაც არ ჰქონდათ აქ რუსებს ამდენი გასართობი, როგორც დღეს. სახელმწიფო თეატრში რუსული ოპერაა ქართველთა დახმარებით. არტისტულში რუსული დრამაა... ახლა ევრეინოვიც მოდის, მის ამაღლაში ჩაირიცხა ფუტურისტული ფსიხოზით მოწამლული რამდენიმე ჩვენი ახალგაზრდაც და ეძებენ ახლა მისი თეატრისთვის ბინას, დროა გონს მივეგოთ. დროა ჩვენს ხელოვნებას გავუწიოთ მფარველობა და მზრუნველობა. თუ სადმე სათეატრო ბინა მოიპოვება, ჯერ დავაბინაოთ ჩვენი დრამა, ჩვენი ხელოვნება, მერე კი ვიფიქროთ ხელოვნურად გამრავლებული რუსული თეატრების კიდევ გამრავლებაზე“.<sup>2</sup>

არა ნაკლები სიმწვავეით გამოირჩეოდა „სახალხო საქმეში“ და ბეჭდილი პ. დადვაძის წერილიც „სეზონის დასაწყისში“. მისი აზრით თეატრისათვის უქმად დაიკარგა 1919 წ. მთელი გაზაფხული და ზაფხული, რადგან არ მიმდინარეობდა არანაირი მზადება ახალი სე-

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 27

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 237

ზონისათვის. უმოქმედობას იჩენდნენ დრამატულ საზოგადოებაშიც. არ სჩანდა ამ საკითხით დაინტერესებული კერძო პირიც. ყველა ვისაც კი ამ საქმეში რაიმე შეეძლო, პროვინციებში გაიფანტნენ ლუკმა-პურის საშოვნელად. სოფლებში მოგზაურობდა დასიც და ბუნებრივია, რომ იგი ვერ მოეშალებოდა ახალი სეზონისათვის. „დრამატულმა საზოგადოებამ დაჰკარგა თავისი სახე, ქალაღზე არის, მას არ შეუძლია თეატრის საქმის გაძლოლა, არ ჩანს არც კერძო პირი, რომ ააღორძინოს მელპომენის ტაძარი.

გვეგონა ჩვენ დამოუკიდებლობას ქართული დრამატული ხელოვნების აღორძინებაც მოჰყვებოდა თან. დარწმუნებული ვიყავით მთავრობის თეატრი ქართული დრამატული ხელოვნების მუდმივ საყუდლად იქნებოდა აღიარებული, ასრულდებოდა ის, რაც წინათ არა ერთისათვის საოცნებო რასმე წარმოადგენდა, მაგრამ თუ წარსულ სეზონს თვალს გადავაგვლებთ, დაინახავთ, რომ ქართული დრამა იმავე უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა, რრგორც წინადაც. ამაში ყველას გვედება ბრალი. გულგრილობა, დაუდევრობა, ქიშპობა, კინკლაობა, წვრილმანობა — აი, ის მომენტები, ჩვენ თეატრს რომ ათახსოვებენ და საკლუბო გასართობად ჰქმნიან. კლუბის წარმოდგენების ხასიათი ჰქონდა ზარშანდელ სეზონსაც. მა, შემთხვევითი, ანაზღეული, დროული დაღი ამჩნევია. სერიოზულს ამ პირობებში ვერვინ შეჰქმნის რასმე, ისევე როგორც ზატხულის განმავლობაში ვერ შეხვდებით დაკვირვებულს და ხელოვან წარმოდგენას, აი ახლა ახალი სეზონის დასაწყისში შიში გვიპყრობს ვაი თუ რესპუბლიკის დედაქალაქი წელსაც ვერ ეღიროს სათანადო სეზონს, ვაი თუ წელსაც მოკლებული ვიყოთ ქართულ წარმოდგენებს, ხელოვნურად მოწყობილს. არაფერი ისმის მომავალი სეზონის სამზადისისა და ეს გარემოებაა, ჩვენში რომ შიშსა ჰბადებს, თითქოს მსახიობებიც გვეყავს, თითქოს სახელმწიფო ქართული თეატრიც გვაქვს (უნდა გვქონდეს, ყოველ შემთხვევაში) თითქოს ხელოვნების ქურუმნიც არ გვაკლიან, ახალგაზრდა ძალებიც მოგვეპოვება, ახალი სტუდიაცა გვაქვს და შესაფერი სახელსაწყოც მოიძებნება, მაგრამ არა სჩანს ისეთი დაწესებულება ან პირი, რომელსაც შეეძლოს ყოველივე ამ ძალის ამოძრავება, გამოყენება, გამოფინილება.

დრამატული ხელოვნების ზრდა-განვითარების გზას ჩამოვრჩით ამის გამო და თვალყურს ვერ ვადევნებთ დრამის ისტორიას,

ჩვენ არ ვაგვივლია ჯერ ბილიკი საკუთარი ძალების დაფასებისა. არ გვიგემია სინარული და აღფრთოვანება საკუთარ ქალთა გამარჯვებისა. აქამდე რუსეთის თეატრის საერთო ბედს ვემორჩილებოდით.

სხვა დროა ახლა, აშკარაა, საკლებო წარმოდგენებით ფონს ვერ ვავალთ, ვერ დაგვამყოფილდებით წვრილმანი, შემთხვევითი ხასიათის წარმოდგენებით. ჩვენ გვსურს საკუთარი, ეროვნული დრამატული ხელოვნება ჰყვადეს. ამიტომ საჭიროა შემოვიკრიბოთ დაფანტული ძალები, შევიმუშაოთ საერთო გეგმა ზამთრის სეზონისა, ერთხელ და სამუდამოდ ბინა მივუჩინოთ ქართულ დრამას. გაიხსნას გვიან სეზონი, მაგრამ ნუ ექნება შემთხვევითი ხასიათი, ნუ იქნება ზერელე, დაუდევრად, საყველბუროდ დადგმული. ნუ ავუცრუებთ ადამიანებს გულს ქართულ წარმოდგენებზე“.<sup>1</sup>

საზოგადოების ასეთმა პოზიციამ ხელისუფლება იძულებული გახადა უფრო სერიოზულად მიდგომოდა თეატრის საქმეს და 1919 წ. ახალი სეზონიდან დამფუძნებელი კრების სამხატვრო სექციამ გადაწყვიტა ქართული დრამატული საზოგადოების საქმეებისათვის თვითონ ეხელმძღვანელა საგანგებოდ შექმნილი სამ კაციანი ჯგუფის საშუალებით.

19 ოქტომბერს ხელოვნების კომისიამ დანიშნა კრება, რათა განსაზღვრულიყო გზები, გამოერკვიათ დრამატული ხელოვნების მდგომარეობა საქართველოში.<sup>2</sup> მომავალი კრების თაობაზე „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა ს. ფირცხალავას დიდი წერილი „კრება თეატრისთვის“, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა გავლენას სცენის მდგომარეობაზეც მოახდენდა, ააღორძინებდა და გააცხოველებდა მას. შემოიკრებდა ახალ მოღვაწეებს, განავითარებდა დრამატულ ხელოვნებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „აგერ წელიწადნახევარია თავისუფალი სეზონი დაიწყო თეატრმა, მაგრამ არ ჩანს ნიშანწყალი მისი ოდნავი დაწინაურებისა და გაუმჯობესებისა. პირიქით, მოდუნება ეტყობა, თითქოს გაქრა ისიც კი, რაც იყო... თეატრი თითქმის მოკვდა, გაშეშდა, სრული განადგურების გზას დაადგა... იგი უფრო საჭიროა დღეს. სახელმწიფოს დანიშნულება ხომ ისაა, რომ ხელი შეუწყოს გონებრივ და სულიერ კულტურულ განვითარებას. უნდა შეიცვა-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 612

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 224

ლას თეატრის მდგომარეობა, განახლდეს სცენა, მიენიჭოს ღირსეული ადგილი ეროვნულ აღმშენებლობაში. წარმოდგენელია თავისუფალი საქართველო უკულტურო, უხელოვნებო, უთეატრო... მისი მოდფენება დროებითია, რაც დღეს არის ალბათ აიხსნება იმით, რომ დამოუკიდებლობის პირველ თვეებში მთელი ცხოვრება შთანთქა პოლიტიკურმა საკითხებმა, მაგრამ ერის არსებობა არ ამოწურება მარტო პოლიტიკით და საჭიროა დიდი კულტურული საქმიანობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნების სარბიელზე. თეატრის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი საშუალებით. კერძო ინიციატივას, კერძო სახსარს არ ძალუძს ახლა უწინამძღვროს თეატრს, არც ქველმოქმედებას შეუძლია ეს. თეატრის საქმე უნდა მოეწყოს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ნიადაგზე. დაუყოვნებლივ შემუშავდეს ეს გეგმა და შევეუდგეთ მის განხორციელებას“.<sup>1</sup>

19 ოქტომბერს გამართულ კრებაზე მოხსენებებით ა. ფაღავა და ი. გომართელი გამოვიდნენ. კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. დადიანმა, ნ. შიუკაშვილმა, ა. წუწუნავამ, შ. შარაშიძემ, ა. ახმეტელმა, ტ. ტაბიძემ, ი. ალლაძემ და სხვებმა. დაადგინეს, რომ თეატრისთვის ფული მთავრობას გამოეყო, რაც გადაეცემოდა ქართული თეატრის მომწყობ საბჭოს. ასევე დაადგინეს სასწავლებლის გახსნაც და ხელოვნების კომისიას ეთხოვა დახმარებოდა ვ. გუნიას დასს, რომელსაც უნდა ეწარმოებინა სეზონი, ასევე მოითხოვეს ქუთაისის დასზე დახმარებაც და თბილისში თეატრის აშენება ან მისთვის შენობის გადაცემა“.<sup>2</sup>

კრების გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭირა ს. ფირცხალავამაც. როგორც იგი წერდა „სახალხო საქმეში“, 1919 წელსაც ვერ მოეწყო თეატრის საქმე, მაგრამ გარკვეული მუშაობა მაინც მიდიოდა. ხელოვნების კომისია შეუდგა რა საქმის შესწავლას, ა. ფაღავას დაევალა გეგმის შედგენა. ასე რომ უნდა გადაწყვეტილიყო თეატრის ბედი. მაგრამ მთავარი იყო, თუ ვის ხელში იქნებოდა იგი. ვინ უხელმძღვანელებდა მას —სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი თვითმმართველობა, კერძო პირი თუ დრამატული საზოგადოება. ს. ფირცხალავას აზრით, მას სათავეში სახელმწიფო უნდა ჩასდგომოდა, რადგან თუკი სახელმწიფო მთელი საზოგადოების ინტერესებს გა-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 657

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 227

მონატავდა, მაშინ მთელი მისი მოღვაწეობა, მათ შორის კულტურასა და ხელოვნებაშიც, უნდა მოწყობილიყო სახელმწიფოს ნიჟარაგზე. სახელმწიფოში კი იგულისხმებოდა როგორც ცენტრალური მმართველობა, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამის გარეშე იგი ვერ აღორძინდებოდა.<sup>1</sup>

კრების გადაწყვეტილებები ყველას ერთგვარად არ აღუქვია. „სახალხო საქმეში“, „თეატრის მეგობარი“ თავის წერილში „თეატრი დღესვე გვჭირია“, წერდა, რომ კრებაზე ერთმა გამომსვლელმა ქართული თეატრის კრიზისში ყოფნა უარყო და ყველაფერი იმით ახსნა, რომ თურმე უბრალოდ, მსახიობები არ გვეყოლია. მეორეს აზრით, კრიზისი იმიტომ ყოფილა, რომ ძველი თეატრი მოკვდა და ახალი ჯერ არ გაზრდილაო. მესამეს აზრით, არსებული კრიზისის დაძლევა შეიძლებოდა ძველი და ახალი მსახიობების შეკავშირებით. მეოთხეს აზრით, არ არსებობდა არც ძველი და არც ახალი თეატრი — იყო ერთი თეატრი. ძველს არ უთქვამს ჯერ თავისი საბოლოო სიტყვა და ახლის ხმაც ჯერჯერობით ძველისნაირი იყო. წერილის ავტორის აზრით არც ერთი იმათგანი სწორი არ იყო. თეატრი სჭირდებოდა ხალხსა და ამისათვის საჭირო იყო ერთად შეეკრა და თეატრის შექმნა. უნდა შეეწყვიტათ კინკლაობა და დაეწყოთ მუშაობა. იყვნენ მსახიობები ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ვახვახიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუგუია, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი... გაიზრდებოდნენ სხვებიც. ავტორი წუხდა, რომ თბილისში ყველა ენაზე არსებობდა თეატრი. გარდა ქართულისა, რაც პარადოქსი იყო.<sup>2</sup>

კრების გადაწყვეტილებებმა საზოგადოების დიდ ნაწილში გააღვიძა იმედები და ისინი ინტერესით ელოდნენ ახალი სეზონის დაწყებას. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები დაფანტულნი იყვნენ. ქველები ძირითადად ქუთაისში იყვნენ გადასულნი და თბილისში მხოლოდ მოხუცები დარჩნენ. სწორედ ამიტომ მიენდო თბილისში სეზონის წაყვანა სტუდიას, მაგრამ სტუდია ალბათ ამ ამოცანას თავს ვერც ახალგაზრდებით და ეივც ძველი მსახიობების სტუდიაში მიწვევით თავს ვერ გაართმევდა. სწორედ ასე მოხდა 1918 წ., როცა სტუდიამ დასის სახელით გამოსვლა დააპირა.

გ. ხერხეულიძის აზრით, აქ გამოსავალი იმაში იყო, რომ უნდა

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 657

გაერთიანებულ იყვნენ ყველა ძალები, როგორც ეს ქუთაისში მოხდა და შეიქმნა იქ კარგი დასი. თბილისში ამას ხელს უშლიდა კომისარ-რეჟისორების შეურიგებლობა, რადგან ყველას მთავარი რეჟისორობა სურდა. ასე რომ კრების რეზოლუციები აკადემიური დასის დაარსებაზე, სახელმწიფო სტუდიის შექმნაზე და მთავრობისათვის დაფინანსების მოთხოვნა მოწინააღმდეგე ძალების სრულ მარცხს წარმოადგენდა.<sup>1</sup>

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ (მასში შედიოდნენ ი. გომართელი, დ. ჩხეიძე, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, ნ. ცინცაძე, ლ. ნათაძე, ს. ფირცხალავა, გ. ქიქოძე და ი. გობეჩია) 19 ოქტომბრის კრების შემდეგ პ. საყვარელიძეს დაავალა მოემზადებინა კანონპროექტი დრამატული თეატრის გასახელმწიფოებრიობაზე, ხოლო სახელმწიფო თეატრის დებულებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტის შედგენა ა. ფალავას დაევა.<sup>2</sup> კომისიის აზრით დრამატული საზოგადოების წარმოდგენები სახელმწიფო თეატრის შენობაში უნდა გამართულიყო (ეს საკითხი კომისიას კრებამდეც ჰქონდა დაყენებული).<sup>3</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამფუძნებელ კრებაში ხელოვნების კომისიისა და თეატრის მოღვაწეების კრება 1919 წ. 24 დეკემბერს გაიმართა, სადაც მოხსენებით დრამატული თეატრის გასახელმწიფოებრიობაზე ა. ფალავა გამოვიდა.

კრების მონაწილე უმრავლესობის აზრით, გასახელმწიფოებრიობა სცენის მოღვაწეებს ჩინოვნიკებად აქცევდა, რაც დააბრკოლებდა თეატრის განვითარებას. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფოსაგან საჭირო იყო მხოლოდ ფინანსურ-მატერიალური დახმარება და შენობის საკითხის მოგვარება. საბოლოოდ გასახელმწიფოებრიობას მხარი მხოლოდ ს. ფირცხალავამ და გ. ურატაძემ დაუჭირეს, ხოლო წინააღმდეგნი წაყვინდნენ გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, რ. არსენიძე, ბ. ჩხიკვიშვილი, ს. ახვლედიანი, ლ. ნათაძე და სხვები. უარყვეს რა თეატრის გასახელმწიფოებრიობა, დაადგინეს, რომ მას საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაძღოლოდა, ხოლო მთავრობა მხოლოდ ფინანსურად დახმარებოდა.<sup>4</sup>

1920 წელს კიდევ უფრო მეტი სიმწვავეით დაისვა თბილისში ქართული დრამის სახელმწიფო თეატრის შექმნის საკითხი. საზოგა-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 234

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 662

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 144

4 იქვე, № 297, „სახალხო საქმე“, № 716

დობა ამ საკითხის გადაუჭრელობას მით უფრო მწვავედ აყენებდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქში უამრავი რუსული და სხვაენოვანი დასების ხშირი წარმოდგენები იმართებოდა, ხოლო ქართული კი ჩრდილში იყო მოქცეული და ქართველ მსახიობთა დიდი ნაწილი უმუშევრები იყვნენ სადეატრო შენობის უქონლობის გამო. მთავრობა ყოველივე ამას გულგრილად უცქეროდა.<sup>1</sup>

ქართულ თეატრში არსებულ მდგომარეობაზე „სახალხო საქმეში“ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ა. ფალავამ, რომელმაც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის დავალებით მოხსენება წაიკითხა თეატრის მდგომარეობაზე. მის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობდა — ცოცხალი ძალების და მატერიალურ საშუალებათა გაერთიანება, დასის შედგენა ძველი და სტუდიის ახალგაზრდა მსახიობებისაგან და მთავრობის, დრამატული საზოგადოების და კოოპერატივის ფინანსების გაერთიანება. ი. გომართელის აზრით, საქმეს სახელმწიფო უნდა გაძღოლოდა, რასაც ყველა დაეთანხმა და მიიღეს კიდევ რეზოლუცია ამის შესახებ. ა. ფალავამ შეადგინა პროექტი დრამის, სტუდიის, ოპერისა და ქუთაისის თეატრებზე და იგი „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდა. მალე კრება განმეორებით გაიმართა, სადაც თეატრის გასახელმწიფოებრიობა უარყვეს და მიიღეს შერეული სისტემა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც მთავრობა ენდობოდა და დაეხმარებოდა კიდევ საქმის წარმართვაში. ეს იმას ნიშნავდა, რომ სურდათ დრამატული საზოგადოების აღდგენა და საქმის მისთვის ჩაბარება. ეს პროექტი იმდენად მიუღებელი იყო, რომ იგი არცკი განუხილავთ, მის მიმართ პრესაც გულგრილი დარჩა. ა. ფალავა მაინც თვლიდა, რომ საჭირო იყო პროექტის განხილვა, რათა არასწორი გზა არ აერჩიათ, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აზრით, მთავარი იყო თეატრისთვის ბინის გამოყოფა და თეატრის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფა. აღდგენილი დრამატული საზოგადოების გამგეობაში კი უნდა შესულიყო 2—3 ხელფასიანი თანამშრომელი, რითაც იგი ქართული დრამის დირექციად გადაიქცეოდა. გადასაწყვეტი რჩებოდა. თუ ვინ იქნებოდა მთავარი პასუხისმგებელი — ის 2—3 ხელფასიანი თამამშრომელი, თუ საზოგადოების გამგეობა (სამინისტროსა და დეპარტამენტის მსგავსად). ასევე გადასაწყვეტი იყო გა-

1 გააზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 813

მგეობის თავმჯდომარე იქნებოდა თეატრის დირექტორი, თუ სხვა მოწვეული პირი. ა. ფალავას აზრით მიუღებელი იქნებოდა. თეატრი საზოგადოების გამგეობას განეგო, რადგან თეატრი რთული საქმე იყო და იქ კოლეგია ყოფილიყო აღმასრულებელი, ეს არ შეიძლებოდა. აღმასრულებელი ძალაუფლება უნდა ჰქონოდა დირექტორს, რომელიც იმოქმედებდა გამგეობის დამტკიცებული გეგმით. დირექციას ეყოლებოდა სარეპერტუარო და სამეურნეო კომისიები და რეჟისორთა კოლეგია. ე. ი. ამ გეგმით გამგეობა იქნებოდა საერთო ხელმძღვანელი, რომელიც განიხილავდა გეგმებს და შემდეგ მის დამტკიცებას მიანდობდა დირექტორს. შესაძლებელი იყო ისიც, რომ გამგეობის რომელიმე წევრი ან თავმჯდომარე აღჭურვილიყო დირექტორის უფლებებით. ე. ი. აღმასრულებელი იქნებოდა დირექცია; კანონმდებელი კი გამგეობა. დირექტორი უნდა ყოფილიყო გამოცილი და სპეციალური ცოდნით აღჭურვილი, წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო იმ 2—3 ხელფასიანი პირის ფუნქციებიც, რათა შემდგომში არ შექმნილიყო 2—3 მეფობა, რაც საქმეს დაღუპავდა. ა. ფალავას აზრით, ერთს უნდა განეგო ფინანსები, მეორეს კი სამეურნეო ნაწილი. ა. ფალავამ ამ მოსაზრებების განხილვა 1920 წ. 19 იანვარს დანიშნულ დრამატული საზოგადოების კრებაზე აუცილებლად მიიჩნია.<sup>1</sup>

19 იანვარს დრამატული საზოგადოების კრება მისმა სარევიზიო კომისიამ დანიშნა. იგი იძულებული გახდა ეს გაეკეთებინა და თან კრებაზე პარლამენტის ხელოვნების კომისიაც მოეწვია, რადგან საზოგადოების გამგეობა ფაქტიურად უმოქმედოდ იყო და ბოლო სამი წელი ერთი შეკრებაც კი არ მოუწყვია. საზოგადოების უმოქმედობაზე გაზეთ „საქართველოში“ ი. მაჭავარიანიც წერდა.<sup>2</sup>

გამგეობა არც 19 იანვრისთვის აღმოჩნდა მზად, რომ კრებისათვის მოხსენება წარედგინა, რის გამოც სხდომა 25 იანვრისათვის გადაიდო. ასე, რომ 19 იანვარს მხოლოდ სარევიზიო კომისიის სხდომა ჩატარდა, სადაც განიხილეს კომისიის ანგარიში, საზოგადოებაში ახალ წევრთა მიღების საკითხი, (მიიღეს 100 ახალი წევრი) და გაიმართა არჩევნები. ახალი გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პ. საყვარელიძე, ხოლო მდივნად ა. ახნაზაროვი. კრებაზე დაადგინეს წესდების შეცვლაც და მის მოსამზადებლად შ. დადიანის,

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 731

2 გაზ.: „საქართველო“, 1920 წ., № 17



ბ. ლასნიშვილისა და კ. ანდრონიკაშვილის შემადგენლობით აირჩიეს კომისია, რომელსაც ახალი წესდების პროექტი 25 იანვრის კრებისათვის უნდა წარედგინა.<sup>1</sup>

მიუხედავად დიდი მცდელობისა, საზოგადოების საქმიანობაში დიდი გარდატეხა მაინც არ მომხდარა. მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობისათვის დიდ შველას არ წარმოადგენდა ის მილიონ 200 000 მანეთიც, რომელიც მას ქართული სახელმწიფო ლატარიის გამგეობამ გადაურიცხა.<sup>2</sup>

31 მარტს საზოგადოების პრეზიდიუმმა ქართული დრამის უმწეო მდგომარეობის შესახებ ნ. ჟორდანიას მოახსენა. ქვეყნის ხელმძღვანელმა მართალია მათ დახმარება კი აღუთქვა. მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები არ სჩანდა.<sup>3</sup>

2 აპრილს საზოგადოების გამგეობა გადადგა. 31 ივლისს კი სარევიზიო კომისიის კრებაზე თავმჯდომარედ ი. გომართელი აირჩიეს.<sup>4</sup> შეიქმნა საზოგადოების დირექცია (კომისია) ნ. ქართველიშვილის (დირექტორი), ს. ახვლედიანისა და ა. ფალავას (წევრები) შემადგენლობით, რომელსაც სეზონის ხელმძღვანელობა დაევალა.<sup>5</sup>

ქართულ თეატრზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა 1920 წ. 18—22 მაისს გამართულ ქართველ მსახიობთა მე-4 ყრილობაზეც. ყრილობამ მოისმინა ანგარიში და მოხსენება „ქართული თეატრი და მომავალი სეზონი“. როგორც აღინიშნა, ქართული თეატრები უნუგეშო დღეში იმყოფებოდნენ. სიცრუეს წარმოადგენდა გავრცელებული ხმები, თითქოსდა ძველი და ახალი თაობის მსახიობები დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს და ძველ თაობას მიეტოვებინოს სცენა. სინამდვილეში მიზეზი ის იყო, რომ თეატრს მთავრობა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას. ყრილობამ დაადგინა, დედაქალაქში ქართული თეატრის კარი ამოქოლილი რომ იყო, ამის თაობაზე მთავრობისთვის სწორი ინფორმაცია მიეწოდებინათ. ასევე ჩაეყენებინათ ხელისუფლება საქმის კურსში მსახიობთა მდგომარეობაზეც და ეთხოვათ მისთვის ქართული თეატრისათვის ნორმალური პირობების შექმნა, რათა სიკვდილისაგან ეხსნათ იგი. თუ ეს საკითხები არ მოგვარდებოდა 1 ივლისამდე. შემდეგ მოეწვიათ საგანგებო კრე-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 7, 14

2 იქვე, № 20

3 იქვე, № 74, 75

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 755

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 114

7. ამირან ნიკოლეიშვილი

ბა, სადაც სამომავლო გეგმებზე იმსჯელებდნენ. ყრილობამ ყოველივე ამის თაობაზე ნ. ჟორდანიას დეპეშით აცნობა. ასევე შეხვდა დელეგაცია ნ. რამიშვილსაც, რომელმაც მათ ფულითა და შენობით დახმარება აღუთქვა. დელეგაცია ნ. ჟორდანიასაც უნდა შეხვედროდა, და თუ კი მთავრობა გულგრილი აღმოჩნდებოდა დასმული პრობლემებისადმი, მაშინ დასის შედგენა და ბინის შოვნა დრამატულ საზოგადოებას თვითონ უნდა მოეხერხებინა. დელეგაცია მართლაც შეხვდა ნ. ჟორდანიას და იგი მათ შენობასა და ფულს დაჰპირდა.<sup>1</sup>

მაგრამ გადიოდა დრო და დაპირების პრაქტიკულ შესრულებას პირი არ უჩანდა. ამით შეწუხებულმა ინტელიგენციამ კვლავ დაიწყო საკითხის მწვავედ დაყენება. აქ მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული ს. დადიანის ვრცელი წერილი „როდემდე უნდა გაგრძელდეს?“, რომელშიც ყურადღება პრობლემისადმი ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებაზეა გამახვილებული, მისი აზრით, წინათ ქართული ენა, თეატრი, მსახიობები აგდებულები იყვნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის შემდეგ გაიხსნა უნივერსიტეტი, გაქართულდა სკოლა, ხელსაყრელი პირობები შეექმნა ქართულ მუსიკას და ა. შ., მაგრამ თეატრი და სცენა ჩაკედა, სდუმდა და გაუქმებული იყო. მსახიობები ქუჩაში იყვნენ გაყრილნი. თეატრს არ ჰქონდა შენობა. მართალია, მისი ახლად აშენება შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი, რადგან თბილისში საამისო შენობა მრავლად არსებობდა. სამწუხაროდ. მათში ყველასათვის გამოიძებნა ადგილი, გარდა ქართული დასისა. „ქართულ თეატრს დღეს ყავს მაყურებელი და შეიძლება ქართული სცენა საქართველოში თავს უცხო სახით გრძნობდეს? სახელმწიფო თეატრში და არტისტულ საზოგადოებაში თავისუფლად დანაეარდობს ყველა სტუმარი და იქ ადგილი არა აქვს ქართველ არტისტს. ქართულ დრამას

...რატომ უნდა შიოდეს საქართველოში ვ. აბაშიძეს, ე. ჩერქეზიშვილს, ვ. გუნიას, კ. ყიფიანს... მთელი საზოგადოება მოწყურებულია ქართულ წარმოდგენებს... ახლა დრამა! როგორც იქნა არტისტული საზოგადოება ჩამოერთვა პატრონს და იმედი მოგვეცა ქართული დრამა იქ იპოვიდა ბინას, მაგრამ ეს საქმე დღემდე შეჩერებულია და ქალაქის გამგებლობა არაფერს ამბობს.

1 ჟურნ. „თეატრი და ცნობარება“, 1920 წ., № 20

რატომ სახელმწიფო თეატრში არა აქვს ბინა ქართულ დრამას? ამბობენ იგი დრამისათვის არ ვარგაო. ეს ტყვილია. აი მოსკოვის სამხატვრო თეატრმა ხომ იქ გამართა გასტროლები. კარგია ეს მაგრამ, იგი მოფრენილი ჩიტია და წავა. იქ საკუთარს, ეროვნულ თეატრს ასე არ უზამენ, უკან არ ჩამოტოვებენ. წუწუნავს მართებს კარგი მასპინძლობა, მაგრამ გული მტკივა, რომ იგი ქართველ მსახიობებს არ უშვებს შენობაში. მოსკოველებს ბათუმში წასასვლელად ვაგონიც კი მისცეს, ქართული დასი კი ამას ვერ ეღიბება. რატომაა მოსკოვის თეატრი ასე კარგი? იმიტომ რომ იგი პროფესიულია და მასზე ზრუნავს ყველა. ჩვენს არტისტებზე? იგი ჯერ ლუკმა პურისათვის მუშაობს სადღაც და მერე სხვათა შორისაა არტისტი. სანამ ასე იქნება ჩვენ თეატრი არ გვექნება. დღეს მთავრობა და წუწუნავა იმაზე უნდა ზრუნავდნენ, რომ ეს საქმე არ ჩაკედეს. ბინა მაინც ქონდეს ქართველ მსახიობს სახელმწიფო თეატრში. არტისტი დაუბრუნდეს სცენას, იმუშაოს მარტო იქ. ადრე ვახიჩხბდით სეზონების მართვას და დღეს კი თითქმის სულაც დაგვაფიწყდა ქართული სცენა. ეს იმდენად შეუწყნარებელი მოვლენაა, იმდენად დამაფიქრებელი ამბავია, რომ დანაშაულია მისი მიფუჩჩეხება, გაჩუმება. მორიდება უადგილოა, მავნებელი. გული მიკვდება, როცა გუნიას ვხედავ კანტორაში კვიტანციების გამოძწერად... სავალალოა, რომ ისეთი ნიჭიერი არტისტი, როგორც შათირიშვილია, მოწყვეტილი იყოს სცენას. სხვებიც გაფანტულია. არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, გაიფანტოს ბურჟინი.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ შენობის საკითხი ამ დროისათვის თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო. მოსაგვარებელი მხოლოდ ფორმალური მხარეები რჩებოდა. საქმე იმაშია, რომ 1920 წ. 9 თებერვალს, ბოლოსდაბოლოს თბილისის საქალაქო საბჭომ თავის სხდომაზე საგახებოდ მოისმინა თბილისის მოურავის მოხსენება არტისტული საზოგადოების თეატრის შენობის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ. თავიდან ჩამორთმევა სახლის პატრონთან შეთანხმებით მოხდა და იუზბაშევი დათანხმდა შენობის 2—3 წლით გადაცემას. მაგრამ შემდეგ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლების პირობები. ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა იძულებისათვის მიემართა, თუმცა დაადგინეს, რომ მეპატრონეს სახლის ღირებულებას აუნაზღაურებდნენ. საქალაქო საბჭოს სხდომაზე სახლის უფასოდ ჩამორ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 802

თმევას მხარი მხოლოდ თ. ლლონტმა, ფასით ჩამორთმევას კი გოთუამ, ახმეტელმა, ელიავამ და გომართელმა დაუჭირეს, საერთოდ ჩამორთმევის წინააღმდეგი წავიდა მზარეულოვი.

საბჭომ შენობის იძულებითი ჩამორთმევა დაადგინა. ოლონდ თუ ეს ჩამორთმევა ერთ კვირაში შეთანხმებით მოხდებოდა, მაშინ სახლის პატრონს ღირებულებაზე ათჯერ მეტი ანაზღაურები უნდა მისცემოდა.<sup>1</sup>

25 მარტს შენობის ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით ხელოვნების ცენტრის საბჭოს კრებაც გაიმართა, რომელსაც პარლამენტის ხელოვნების კომისიის წევრები და სამინისტროს წარმომადგენელიც ესწრებოდნენ. კრებამ არტისტული თეატრის რეკვიზიტების დაჩქარება დაადგინა და ქალაქის საბჭოს პასუხის მომზადება ერთ კვირაში მოსთხოვა.<sup>2</sup>

ხელისუფლებამ ბოლოსდაბოლოს გადადგა პრინციპული ნაბიჯიც და შენობა მეპატრონეს ჩამოართვა.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის დადგენილებით ახლად ჩამორთმეული შენობა დრამატულ საზოგადოებას ქართული დრამისათვის უნდა გადასცემოდა.<sup>3</sup> ხელოვნების კომისიის ამ გადაწყვეტილებას მხარი მთავრობამაც დაუჭირა და იუზბაშევის სახლი დრამისათვის განათლების სამინისტროს გადასცა.<sup>4</sup> 27 ივლისს ქართულ დრამას იუზბაშევის სახლის ყველა დარბაზი და მეორე სართული გადაეცა.<sup>5</sup>

არტისტულ თეატრს მეორე სახელმწიფო თეატრი ეწოდა და მასში ქართული დრამის თეატრი მოთავსდა.<sup>6</sup>

აღნიშნულ პრობლემას „სახალხო საქმეში“ ვრცელი წერილი „ქართული თეატრის ბედი“ მიუძღვნა ს. ფირცხალავმა. იგი იწონებდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას არტისტული საზოგადოების თეატრის ჩამორთმევის თაობაზე, რომელიც ქართულ დრამას გადაეცა და მას სწორ, გონივრულ, აუცილებელ და ეროვნულ ნაბიჯად თვლიდა. ს. ფირცხალავას აზრით, ქართული თეატრის მდგომარეობა სამარცხვინო, დამამცირებელი და შეუწყნარებელი იყო. იგი

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 31

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 69

3 იქვე, № 35

4 იქვე, № 169

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 170

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 214,

მოსპობის გზას ადგა. ქართული სცენა ფაქტიურად აღარ არსებობდა. არავინ კითხულობდა მსახიობის მდგომარეობას. ქვეყნის ორი წლის თავისუფლებამ თეატრს არაფერი მოუტანა და პიროქით, წაართვა ისიც, რაც მას ადრე ჰქონდა, გააძევა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან. თეატრი არასოდეს ყოფილა ისე აბუჩად აგდებული, უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვებული, როგორც დამოუკიდებლობის წლებში. „გვეგონა ამას ბოლო მოვლედოდა და შეეცდებოდნენ მისი ბედის გამოსწორებას. იმედი მოგვცა თბილისის გამგეობის დადგენილებამ შენობის თაობაზე. შენობა უპირველესი საქმეა, საფუძველია აღორძინების. მას უნდა სახელმწიფო დახმარება, მაგრამ იმედი გაცრუვდა და სიხარული ნაადრევი გამოდგა. გააუქმეს ვიღაც ძალებმა თბილისის გამგეობის ეს დადგენილება... ეს კანონის აბუჩად აგდებაა. ესაა ქართული სცენის ინტერესების ფეხით გათელვა, ვინც ეს ქნა მას არ ესმის ეროვნული კულტურის საჭიროება, ქართული სცენა კვდება და მას სახელმწიფო არ აქცევს ყურადღებას. ქართული თეატრი კვდება და ამ დროს თბილისში ხელის შეწყობით ჰყვავის რუსული სცენა. რუსული თეატრი. ისინი ვორონცოვ-გოლიცინის დროსაც კი არ იყვნენ ასე. სამარცხვინოა მოგვკლათ საკუთარი ხელოვნება და მის საფლავზე ავაყვავოთ სხვისი“.<sup>1</sup>

ს. ფირცხალავამ ამავე გაზეთში მოგვიანებით ისევ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „სადაა ქართული თეატრი?“, რომელშიც შეშფოთებული ავტორი წერდა, რომ თეატრი „დიდი საქმეა. აუცილებელი პირობაა ჩვენი აღორძინებისა. მოდუნებულია კულტურული მოღვაწეობა, არაა გამბედაობა, ინიციატივა, საქმის სიყვარული, პერსპექტივა. ასე გვეგონია, რომ უმალღესი განათლება, მწერლობა, თეატრი ხელოვნება, მაინც და მაინც საჭირო არაა. თუ იქნება თავისთავად კარგია, თუ არა და არა — ცხოვრებას მაინც შევძლებთ“. ს. ფირცხალავას აზრით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კულტურული მუშაობა სუსტი იყო. დამფუძნებელმა კრებამ 40 მილიონი მანეთი გადადო ტელეფონ-ტელეგრაფზე, მაგრამ ვერავინ გაბედა, რომ ან თანხის ნახევარი, თუ მეოთხედი გადადებულიყო მაგალითად, ქართული თეატრის მოსაწყობად. ნუთუ თეატრი იმდენად უმნიშვნელო დაწესებულებაა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მცირეოდენი ხარჯის გაწევა მის ასაღორძინებლად? ასეა განა-

თლებად, მწერლობაში, ხელოვნებაში. ვერავინ ბედავს ამის დაცვას, თუ გაბედეს მაშინვე შეუტევენ, გაიხსენებენ მომჭირნეობას, ფინანსურ გაჭირვებას, ეკონომიურ სისუსტეს, ბიუჯეტს. ეს იმიტომ ხდება, რომ კულტურას არა აქვს ის ფასი, რომელიც სამართლიანად ეკუთვნის.

ქართული თეატრის ბედი უმწეოა, სამარცხვინოა, დაშლილია, დანგრეულია. როცა საკითხი აღიძრა, რომ თეატრის საქმე ხელში აეღო სახელმწიფოს და მისი არსებობა — განვითარება მოეწყო ფართო — მკვიდრ ნიადაგზე, მაშინვე მორთეს ყვირილი. ეს დიდ ხარჯს მოითხოვს, შეუძლებელია ხაზინამ ამისათვის მილიონები გამოიღოსო. ძველი გზით თეატრი ვერ აღსდგება. ჩვენ წელსაც მოკლებული ვიქნებით ქართულ თეატრს, რომელიც უეჭველია კიდევ უფრო დაქვეითდება და განადგურდება. ორი თვეა სეზონამდე და არაფერია გაკეთებული. არაა ბინა, რეპერტუარი, დასი, მოწვეულია 5 რეჟისორი, ეს ხომ კურონოა; რადგან ისინი ვერ შეთანხმდებიან ერთმანეთში. ამ ხუთიდან ერთი საერთოდ არაა რეჟისორი. ამ პირობებში შეუძლებელია რაიმეს გაკეთება. შეიძლება წელს სეზონი იქნეს, წარბოდგენები გაიმართოს, მაგრამ ეს არ იქნება განახლება, აღდგენა თეატრისა. იგი უფრო დაასუსტებს თეატრს, შეაფერხებს მომავალს... ქართული თეატრი მეტად დაავადებულია და მის აღსადგენად საჭიროა რადიკალური ზომები ფართო სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ქველმოქმედებით და სასხვათაშორისო მოღვაწეობით თეატრი არ აშენდება!

„სახალხო საქმეში“ ს. ფირცხალავაც საპასუხოდ დაიბეჭდა პ. დადვამის წერილი „ქართულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა!“, რომელშიც ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება მას თავის შეფასებებში და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რაც სახელმწიფომ ბოლო ხანს თეატრისათვის გააკეთა — მისცა ბინა, თანხა, შედგა რეპერტუარი (სარეპერტუარო კომისიაში თვითონ ს. ფირცხალავაც იყო), შეიქმნა დასი, რომელიც მოსამზადებლად სურამში იმყოფებოდა, მოწვეული რეჟისორები მუშაობდნენ ერთმანეთთან შეთანხმებით და ა. შ. მართალია ყოველივე ეს არ ნიშნავდა თეატრის გასახელმწიფოებრიობას, მაგრამ არც თეატრისაგან განზე დგომას მოასწავებდა<sup>2</sup>

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 881

2 იქვე, № 882

უსამართლო საყვედურს გამოთქვამდა ვინმე „ვეჩეც“ „სახალხო საქმეში“ — „სულ იწერებოდა თეატრს უჭირს, იღუპებაო, ორი კვარაა მთავრობამ გამოყო ფული, ბინა, დრამატულ საზოგადოებას დაევალა დასის შედგენა, მაგრამ იგი არც ინძრევა. ჯერ მსახიობებთან მოლაპარაკებაც არ დაუწყია. მერე კი ისინი დაიფანტებიან, რას უცდით?“<sup>1</sup> უსამართლობა აქ იმაში გამოიხატებოდა, რომ სწორედ განახლებულმა დრამატულმა საზოგადოებამ ჩაატარა სერიოზული სამუშაოები და ჩაუდგა სათავეში ახალი დასის შექმნას.

ახალი თეატრალური სახელმწიფო დასის შექმნას გაზეთი „საქართველოც“ კმაყოფილებით შეხვდა. „ინ“-ის თქმით, თუ ადრე ქართველ მსახიობს არ ჰქონდა პატივი, სკოლა, არ უუარგოდა ტექნიკა, აკლდა კულტურა, აბუჩად იყო აგდებული, იყო უფულო, მშვიერი, მწყურვალი, დედაქალაქში ქართველ მსახიობს არ უშვებდნენ თეატრში, მოხდა სასწაული და აღორძინდა კულტურა, აყვავდა ხელოვნება, უკვე ვეღარ იცნობდით ქართველ მსახიობს, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას სკოლაც გაუვლია, ტექნიკაც დაუძლევია, კულტურასაც ზიარებია. ასე რომ იწყებოდა ქართული დრამის კულტურული ხანა.<sup>2</sup>

ახალ, 1920—21 წლების თეატრალურ სეზონს „ერთობაში“ კ. ანდრონიკაშვილიც შეეხო. მისი აზრით თბილისში ახალი სეზონი საინტერესო უნდა გამოსულიყო, რადგან აქ ბევრი კარგი რეჟისორი და ხელოვანი იყო ჩამოსული. სახელმწიფო თეატრებში ენერგიული მუშაობა მიდიოდა, რომლებიც ახალი ძალებით შეივსო.<sup>3</sup>

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, 1920 წ. დღის წესრიგიდან მაინც არ მოხსნილა დრამატულ სტუდიის კვლავ აღდგენის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა გ. ჯაბადარის წერილების სერია „ქართული თეატრი“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ეს ეპიგრაფი სულაც არ იყო შემთხვევით შერჩეული, რადგან წერილი უაღრესად მწვავე ხასიათისა იყო. გ. ჯაბადარს ვრცლად ჰქონდა მიმოხილული ქართული თეატრის წარსული და ასაბუთებდა სტუდიის შექმნის აუცილებლობას. მისი აზრით, იმ დროის საქართველოში თეატრზე ორი აზრი არსებობდა.

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 851

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 153

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 161

ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ქართული თეატრი განიცდიდა კრიზისს, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ ქართული თეატრი არ არსებობდა და რაც არ არსებობდა ბუნებრივია ის კრიზისისაც ვერ განიცდიდა. გ. ჯაბადარის აზრით ქართული თეატრი ამ სიტყვის სერიოზული და ფართო მნიშვნელობით, რომელიც ღირსი იქნებოდა ამ სახელისა, არამც თუ მაშინ, არასოდეს არ არსებობდა საქართველოში. „ქართულ სცენას ჯერ არ ჰყოლია არც ერთი ისეთი მსახიობი, რომელიც სერიოზულად ყოფილიყოს მომზადებული სცენისათვის და ამიტომ ქართულ წარმოდგენებს იმ თვით ამ თვემდე სცენის მოყვარეთა წარმოდგენების ხასიათი ჰქონდა. მოთამაშებმა როლებიც კი არ იცოდნენ ხშირად“. გ. ჯაბადარი ცდილობს დაასაბუთოს თავისი ეს აზრი და ამისათვის იშველიებს ქართული თეატრის ისტორიას მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. „ეს იმის მაჩვენებელია, რომ მსახიობები არც თავის თავს, არც თეატრს, არც საზოგადოებას, არც ავტორს პატივს არ სცემენ“. გ. ჯაბადარის აზრით, ასეთი ვითარება ქართულ თეატრში მე-20 საუკუნის 10-იან წლებშიც გრძელდებოდა, რადგან მსახიობები მოყვარულები იყვნენ და არა პროფესიონალები.<sup>1</sup> იგი თვლიდა, რომ კოლეგიალური და დემოკრატიული წესწყობილება ყველგან შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა თეატრისა. აქ უსათუოდ „უნდა იყოს მონარქიული წესწყობილება. ვერავითარი კავშირები, საზოგადოებები და კოლეგიები თეატრის საქმეს სათანადოდ ვერ წაიყვანენ და ყოველთვის ისეთი ამბავი იქნება, რაც იყო და რაც დღეს არის“.<sup>2</sup>

გ. ჯაბადარი შემდეგ დაწვრილებით ჩერდება მის მიერ დრამატული სტუდიის ჩამოყალიბებასა და საქმიანობაზე. როგორც იგი წერდა, უცხოეთიდან იმიტომ დაბრუნდა, რომ სურდა ომის წლები მშობლურ კახეთში გაეტარებინა და მერე ისევ პარიზში დაბრუნებულიყო, „რადგან რეჟისორობა აქ რომ გამომეყენებინა იმედი არ მქონდა. კარგად ვიცოდი აქაური პირობები და არ მინდოდა აქ მუშაობა, მაგრამ 1918 წ. კაპიტალისტებმა და დრამატულმა საზოგადოებამ მიმიწვია და დავთანხმდი იმ პირობით, თუ ვიქნებოდი სრული და თავისუფალი და შევქმნიდი სტუდიას, სადაც მივიღებდი მხოლოდ ახალგაზრდებს. ვიმუშავებდი უხელფასოდ ორი წელი. ე. ი .პირველ წარმოდგენამდე. კაპიტალისტებმა არ შეასრულეს ეს

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 49, 53

2 აქვე, № 57



და მოგვეს დაპირებული ფულის 10 %. ამიტომ გავხდით იძულებული გვემართა წარმოდგენები. მინდოდა თეატრი დამეყენებინა ისეთ გზაზე, როგორც ევროპაში. გამეზარდა ახალგაზრდები. უმეტრებმა მოგვნათლეს „ძიების თეატრად“. იძახდნენ, სტუდიამ ახალი არაფერი შექმნაო, ახმეტელმა თქვა სტუდიაში ახალი ვერ ვნახეო, იქ წარმოდგენები უფრო დაუთოებულაო. ასევე ფალავამაც. მართალია ესენი — ჩვენ მსახიობებს ვთხოვდით როლების ცოდნას, უინტონაციოდ, არაყალბად. ერთი სიტყვით ყოფილიყო ანსამბლი, როგორც ეს თანამედროვე თეატრშია. გვინდოდა მკაცრი დისციპლინა და არა ის, რაც არის ქართულ თეატრში. მეტს ერთ წელში ვიზამდით? ქართველებს ყველაფერი უცებ გვინდა. ეს კი არ შეიძლება. მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორც ჩვენ ვიყავით: არ გვექონდა ერთი ოთახიკი კი, გვიწყობდნენ ინტრიგებს, გვიშლიდნენ ხელს, რომ არ შეგვეტანა ახალი სხივი. ჩვენთან არ იყო ლოთობა, გარყვნილება, იცოდნენ როლები და არ გავდნენ ძველებს. ვუძლებდით შემოტევებს, გარედან ვერაფერი დაგვაკლეს. პირიქით, ყოველი მათი გამოსვლა ძალას გვმატებდა. ფული რომ არ გვექონდა კოოპერატივი მოვნახეთ, მაგრამ მათ დასტა-დასტა წერილები მიდიოდათ ჩვენ წინააღმდეგ. მაინც მოგვცა სუბსიდია, ოღონდ იმ პირობით, რომ სათავეში ყოფილიყო კოლეგია. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ საქმე რომ არ ჩაშლილიყო, დაეთანხმდი.

ორი თვის მერე ციხე შიგნიდან გატყდა — დაიწყო ინტრიგები... საქმე ჩაიშალა. სტუდია დაიშალა (უჩემოდ არსებობს). სტუდიას კოლეგია როგორც კი ჩაუდგა სათავეში, მაშინვე დაიშალა... ახლა შედგა ახალი გამგეობა დრამატული საზოგადოებისა. აქ ისტორია მეორდება — სტუდიელებს შეუტრევენ ძველებში, ძველები იქონიებენ ცუდ გავლენას, დაახშობენ მათ ნიქს, შეაჩვენენ უდისციპლინობას. და არ იქნება პროგრესი. ხალხი კმაყოფილი იქნება მათი წარმოდგენებისა, მერე გამგეობაც მივა იმ დასკვნამდე, რომ კოლეგია საქმეს ვერ აწარმოებს და ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდება“.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გ. ჯაბადარი წერილში მრავალ სწორ მოსაზრებას გამოთქვამდა, იგი აშკარად არ იყო სწორი მსახიობთა უფროს თაობასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ დაურთო მის წერილებს რედაქციამ თავისი მინაწერი, რომ იგი ავტორს ბევრ რა-

მეში არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც ბეჭდავდა მას, რადგან თეატრის საკითხი მწვავედ იდგა იმ პერიოდში. რედაქცია მკითხველს გამოხმაურებას სთხოვდა.<sup>1</sup>

დაშლილი სტუდიის აღსადგენად 1920 წ. აპრილში სერიოზული მუშაობა დაიწყო. 16 აპრილს ნ. რამიშვილთან გაიმართა თათბირი, რომელსაც პარლამენტის ხელოვების კომისია, დრამატული საზოგადოების პრეზიდიუმი, სახელმწიფო თეატრის კომისარი. და სხვებიც ესწრებოდნენ. განხილული იქნა დრამატული სტუდიის დაარსებისა და მასში სასწავლო პროცესების ორგანიზაციისა და მეთოდის საკითხები. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა მოხსენება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და იგი სამინისტროსათვის წარედგინა.<sup>2</sup>

წარდგენილი მოხსენების საფუძველზე სამინისტრომ მისაღებად ჩათვალა სტუდიის აღდგენა და აპრილში იგი მართლაც ხელახლა ჩამოყალიბდა მ. ქორელის რეჟისორობით. დასს წარმოდგენების გამართვა კვლავ ქართულ კლუბში ჰქონდა განზრახული.<sup>3</sup>

10 მაისს ნ. რამიშვილთან განმეორებით გაიმართა თათბირი თეატრის საკითხებზე, რომელსაც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია, დრამატული საზოგადოების პრეზიდიუმი და ა. წუწუნავა ესწრებოდნენ. თათბირმა თავიდან აირჩია კომისია ა. წუწუნავას, მ. ქორიძის (ქორელის) და ა. ფალავას შემადგენლობით, რომელსაც უნდა წარედგინა დასკვნა დრამატული სტუდიის შექმნის მიზანშეწონილობაზე.<sup>4</sup>

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამინისტროს მიერ ასეთი კომისიების შექმნა ერთგვარად დაგვიანებულიც კი იყო, რადგან სტუდია ფაქტიურად მარტის თვიდან უკვე მოქმედებდა და მაყურებელს უჩვენა შ. დადიანის „გუშინდელნი“, ვ. გუნიას „ივერიძის ოჯახი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, სუვორინის და ბურენინის „მედია“, ნაროდინის „ლაქია“ და ნ. შიუკაშვილის „სულელი“. ეს უკანასკნელი თბილისში 3 ივლისს იქნა წარმოდგენილი, რის შემდეგ სტუდია საგასტროლოდ ბათუმსა და ფოთში გაემგზავრა, სადაც მათ „გუშინდელნი“

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 49

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 85

3 იქვე, № 61

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 804

და „სულელი“ აჩვენეს. გასტროლების შემდეგ სტუდია დაიშალა და მათი ნაწილი დრამატულ დასში ჩაირიცხა.

სტუდიის სპექტაკლებს ქართული თეატრალური კრიტიკა არაერთგვაროვნად შეხვდა. მაგალითად, „სახალხო საქმეში“ თუ „ხანუმას“ დადგმა სუსტად ჩაითვალა, დაწუნებული იქნა მ. ჭიაურელის აკოფა, გელოვანის ვანო ფანტიაშვილი და რეჟისორის ნამუშევარი, სამაგიეროდ „საქართველომ“ (მ. ღვამიჩავამ) მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლ „მედეას“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით, რომელიც არტისტული საზოგადოების თეატრის სცენაზე განხორციელდა. ავტორი გულისტკივილით წერდა, რომ ადრე ქართული თეატრი დაფასებული იყო. თავისუფალ საქართველოში კი მსახიობი ვერ იქნა უზრუნველყოფილი. „სად არის ქართული თეატრი? მთავრობის ყურადღება ყოველმხრივ გაიფანტა, მსახიობს ვერ მისცა ბინა, უზრუნველყოფა... ისინი ეძებენ ბინას, თეატრის შენობას, მაშინ როცა ტარტოს დასი სისტემატურად მართავს წარმოდგენებს. ამაზე შორს ვერ წავა შეუარაცხყოფა ქართული თეატრისა. ეს საქართველოს მთავრობის დანაშაულობაა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ შესცვალა ქართველ შემოქმედთა მდგომარეობა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ქართული დრამატული ხელოვნების მიმდინარეობა დადებითად სწარმოებს. არაა გაყინვა ერთ ადგილზე, არის ძიება, ცდა, სიყვარულით მუშაობა. სტუდია სიტყვის ძიების გზაზე მიდის. გვაიმედებს რეჟისორი ქორელი. სტუდიამ დაიწყო „მედეათი“, რომელშიც მონაწილეობდა ნ. ჩხეიძე“. შემდეგ რეცენზენტი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა მის თამაშს, ხოლო სხვა მონაწილეებს სუსტად მიიჩნევდა. მ. ღვამიჩავას აზრით, განსაკუთრებით არ გამოსვლია როლი ახალგაზრდა ა. ვასაძეს (იაზონი).<sup>2</sup>

როგორც ზემოთ ვწერდით, 1920 წ. ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქართული თეატრალური ხელოვნების სფეროში და 1920-21 წ. სეზონისათვის ყოფილ არტისტულ თეატრში შეიქმნა სახელმწიფო დრამატული დასი (მეორე სახელმწიფო თეატრი) რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ქალები — ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ც. ამირეჯიბი, ე. მესხი, ა. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ვ. ანჯაფარიძე და სხვები, სულ 20; კაცები — ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ა. იმედაშ-

1 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 797

2 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 74

ვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. ყალაბეგიშვილი, შ. ხონელი, შ. გომე-  
ლაური, ა. მურუსიძე, გ. დავითაშვილი, მ. ქიაურელი, მ. გელო-  
ვანი, ვ. ჭიქია, მ. სარაული, ა. ვასაძე და სხვები, სულ 22; რეჟისო-  
რები ვ. მესხიშვილი, ა. ახმეტელი, ა. ფაღავა, მ. ქორელი და ა. წუ-  
წუნავა, მორიგე რეჟისორი შ. ბერიშვილი, 2 რეჟისორის თანამშემწე,  
2 სცენარიუსი, 3 მოკარნახე (მათ შორის ს. ამალღობელი და ბ. ახო-  
სპირელი), 2 მხატვარი (ვ. სიღამონ-ერისთავი და ზალცმანი), 1 დე-  
კორატორი და 21 სხვა თანამშრომელი. თეატრის დირექტორად  
დირექციის თავმჯდომარედ (დირექციაში 3 წევრი შედიოდა) ნ. ში-  
უკაშვილი, ხოლო სამხატვრო ნაწილის გამგედ და კოლეგიის თავმ-  
ჯდომარედ ა. ფაღავა. დაინიშნენ. შეიქმნა ქართული დრამის სარე-  
პერტუარო კომისიაც (მასში გ. რობაქიძეც შედიოდა), რომელმაც  
დასის რეპერტუარში მიუხედავად სისუსტისა, გადაწყვიტა მეტი  
ადგილი ქართული ორიგინალური და ისტორიულ-პატრიოტული პი-  
ესებისათვის დაეთმო. რეპერტუარში შეიტანეს „გუშინდელნი“,  
„დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, ს. შანშიაშვილის  
„უგვირგვინო მეფენი“ და „ბერლო ზმანია“, „რაც გინახავს ვეღარ  
ნახავ“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, სოფოკლეს „ოიდიპოს  
მეფე“, შექსპირის „ოტელო“, „იულიუს კეისარი“, „ჭირვეული ცო-  
ლის მორჩულება“, ჰეიზეს „მარიამ მაგდალინელი“, გოლდონის „სა-  
სტუმროს დიასახლისი“, იბსენის „ექიმი შტოკმანი“, ენგელის  
„ზღვასთან“, ვინიჩენკოს „სიცრუე“, შ. შარაშიძის „ავგაროზი“,  
მოლიერის „ტარტიუფი“, „იჭვით ავადმყოფი“, „ძალად დაქორწი-  
ნება“, ო. უაილდის „პადუის დედოფალი“, ბომარშეს „სევილიელ  
დალაქი“, სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო“, შოუს „მეამბოხე“,  
გოგოლის „რევიზორი“, ა. სუმბათაშვილის „ლალატი“, ზ. ანტონო-  
ვის „მზის დაბნელება საქართველოში“, გ. ერისთავის „დავა“, „ხათა-  
ბალა“, „ფეიქრები“, როსტანის „აისი“ და „სირანო დე ბერჟერაკი“.<sup>1</sup>

დასი კვირაში ოთხი დღე გამართავდა წარმოდგენებს. განზრახუ-  
ლი იყო საგანგებო წარმოდგენები არმიის, გვარდიისა და მოსწავ-  
ლეებისათვის. სეზონში დასი 4-სულ 200 წარმოდგენას გამართავდა.

ახლადშექმნილმა დასმა სეზონისათვის სამზადისი (სეზონი 12  
ოქტომბერს უნდა გახსნილიყო) სურამში ა. ფაღავასა და მ. ქორე-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 228, 237, „საქართველოს რესპუბლიკა“  
№ 217, 234

ლის ხელმძღვანელობით დაიწყო.<sup>1</sup> დასი სურამში 20 ივლისიდან 1 სექტემბრამდე იმყოფებოდა. ინტენსიურად მუშაობდნენ ა. ფალავა „დარისპანის გასაქირსა“ და „ირინეს ბედნიერებაზე“ (ესკიზებს ერისთავი ჰქმნიდა), ქორელი „სიცრუეზე“. ზალცმანი ხატავდა „ოტელოს“ და ა. შ. მოკლე დროში დასმა 10 დადგმა მოამზადა. მზადდებოდა სხვა სამი პიესაც. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლებზე ყველა რეჟისორი მუშაობდა.<sup>2</sup>

სამი თვის სამზადისის შემდეგ დასმა სეზონი 15 ოქტომბერს „გუშინდელნით“ გახსნა. ამ მოვლენას ქართველი ინტელიგენცია დიდი სიხარულით შეხვდა. ფართოდ გამოეხმაურა მას პრესაც. დაიბეჭდა უამრავი წერილი და ინფორმაცია, რომლებშიც საუბარი იყო თეატრის როლსა და მნიშვნელობაზე, სახელმწიფოს როლზე მის აღმავლობაში. აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფომ თეატრს გამოუყო შენობა, ინვენტარი და ფული, რასაც დასი ენერგიული საქმიანობით პასუხობდა. დასს სეზონის გახსნა მიულოცეს ქუთაისის თეატრმა, ტუვანოვის დასმა (თბილისი) და ა. შ.<sup>3</sup>

„სახალხო საქმეში“ სეზონის გახსნასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ა. ფალავას წერილი, რომელშიც ხაზგასმული იყო დასისადმი მთავრობის დიდი დახმარება. მართალია, თეატრს ხელისუფლებამ კი გამოუყო შენობა, მაგრამ მასში რუსული და სომხური დასებიც იყო მოთავსებული, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუშლიდა ქართულ დასს ნორმალურ მუშაობაში. ეს გამოიწვევდა სცენის უემარისობის პრობლემას. ამას ემატებოდა ისიც, რომ აღსადგენი იყო თეატრის გაპარტახებული შენობა. დაბალი იყო დასის წევრთა ხელფასებიც.<sup>4</sup>

სეზონის დაწყებას ვრცელი წერილი „სეზონი დაიწყო“ მიუძღვნა ს. ფირცხალავამაც. როგორც იგი წერდა, დრამატულ ხელოვნებას ქვეყნის ხელისუფლება გულცივად ეპყრობოდა და იგი თავიდანვე უყურადღებოდ დატოვა. „მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა რუსულ ოპერაზე. მისცა კარგი ბინა, ქონება, ქართულ დრამას კი კარი არვინ გაუღო, გარიყული დარჩა, უბინაო და ლამის იყო თითქმის მთლად გაჰქრა, მოისპო. წელს მდგომარეობა შეიცვალა. ყველა ამოძრავდა, ხელოვნების კომისიაც. წინანდელ პირობებში

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 237

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 79. „სახალხო საქმე“, № 955

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 233, 238, „სახალხო საქმე“, № 955

4 იქვე

დარჩენა სრულ დაღუპვას მოასწავებდა. როგორც იყო მთავრობაც დაინტერესდა საქმით. მდგომარეობა შეიცვალა, დადგა უკეთესი დღეები, მაგრამ მისი ბედი ახლაც არაა საბოლოოთ გამოცხადებული და უზრუნველყოფილი. ჩვენი აზრით საქმით იყო თეატრის გასახელმწიფოებრიობა, მისი საქმე უნდა გადავიდეს სახელმწიფოს და თვითმმართველობის ხელში, რომ კერძო ინიციატივით და ქველმოქმედებით დღეს თეატრი ვერ იარსებებს, აუცილებელია სახელმწიფოსაგან ფართო დახმარება. გაზაფხულზე გასახელმწიფოებრიობას არ დაუჭირა მხარი უმრავლესობამ. ახლა კი ყველა ხედავს ამის აუცილებლობას. დაიწყო სეზონი, თუმცა მე მას სკეპტიკურად ვუყურებ; რადგან არ ვიზიარებ ორგანიზაციის ხასიათს. მარა ორი წარმოდგენა „გუშინდელნი“ და „ოიდიპოს მეფე“, რომელიც ვნახე, კარგია. თუმცა ოიდიპოსში მსახიობებმა ბოლომდე ვერ დასძლიეს ტრაგედიის სიღიაღე. ისე, ძალიან კარგად იყო დადგმული. სერიოზული მუშაობაა დღეს ქართულ თეატრში— ჩანს ეს ამ დადგმებით. იწყება განახლება. სეზონი კარგად დაიწყო და იგი ჩაიშლება თუ მართველი წრეების დამოკიდებულება არ შეიცვალა, სახელმწიფო თუ არ დაეხმარა ქონებრივად თეატრს. შეიძლება თქვან, დღეს დიდი ეკონომიური კრიზისი გვაქვს, ლუკმა პური არ მოგვეპოვება და რაღა თეატრისთვის გვცხელაო, მაგრამ ეს არაა სერიოზული თავის მართლება, სახელმწიფოს, ვრს აქვს ისეთი მოთხოვნილება, რომელსაც ვერავითარ კრიზისის დროს ვერ დასტოვებს დაუკმაყოფილებლად. თეატრი დიდი ეროვნული კულტურული საქმეა, რომელიც მოითხოვს ფართო ყურადღებას და მზრუნველობას. იგი არაა სასხვათაშორისო საქმე, არაა მხოლოდ დესიგრტი ერის ცხოვრებაში, რომელიც შეიძლება იყოს, შეიძლება არა. რაც უნდა გაჭირვებული ვიყოთ, არასოდეს უნდა დავივიწყოთ თეატრი, თუ ოპერა, თუ რუსული ოპერა ღირსია იმდენი ყურადღებისა, ნუ თუ შეიძლება ვინმემ სიტყვა დაძრას ქართული თეატრის წინააღმდეგ? არ შევაფერხოთ თეატრის საქმე. — სახელმწიფომ უნდა გაიღოს მასზე ფული<sup>1</sup>“.

ცალკე უნდა შევეჩხოთ ხელისუფლების მცდელობას ქვეყანაში დაებრუნებინა ის ქართველი ხელოვნები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობდნენ. უმეტეს შემთხვევაში ეს მოხერხდა კიდევ. თუმცა ზოგიერთი მათგანის დაბრუნებას სხვადასხვა სუბიექტურმა თუ ობ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 957

იექტურმა მიზეზებმა შეუშალეს ხელი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიტანოთ ა. სუმბათაშვილ-იუჯინის, ლ. მესხიშვილისა და გ. არაღელი-იშხნელის მაგალითები. ა. სუმბათაშვილმა რუსული სცენა და უფრო მშვიდი და კეთილმოწყობილი ცხოვრება აირჩია. თუმცა იმას მაინც ვერ ვიტყვით, რომ მას სამშობლოს სიყვარული გაქრობოდეს. ამისი დასტური თუნდაც ის წერილია, რომელიც მან ვ. გუნიას გამოუგზავნა 1920 წ. „ქვირფასო ვალიკო! გიგზავნი ჩემი მხრივ საიუბილეო გვირგვინს. დაგკოცნი შენ და შენი სახით მთელ სამშობლო ნიადაგს და ყველას, ვისაც ჯერ არ დავიწყებია მოწყვეტილი. მრისხანე ამბებით შენი მეგობარი. ნახვამდის. ა. სუმბათაშვილი“.<sup>1</sup>

სრულიად სხვაგვარად მოიქცა ლ. მესხიშვილი, რომელიც სამშობლოში უმძიმესი და სიცოცხლისათვის მეტად სახიფათო გზის გამოვლით დაბრუნდა. იგი 13 ივნისს ჩამოვიდა ფოთში, ხოლო 15 ივნისს უკვე მას ქართველმა ინტელიგენციამ გრანდიოზული ნადიმი გაუმართა თბილისის კლუბ „ქიმიერიონში“. დიდი ხელოვანის სამშობლოში დაბრუნებას ფართოდ გამოეხმაურა პრესაც.<sup>2</sup>

15 ივლისს მსახიობმა პირველად ითამაშა არტისტული საზოგადოების თეატრის სცენაზე განხორციელებულ „ინსტიქტში“, ხოლო 17 ივლისს ქართულ კლუბში დადგმულ „შეშლილში“.<sup>3</sup> დიდი ხელოვანის მძიმე ავადმყოფობა მისი უკიდურესი მატერიალური გასაჭირიც დაემატა. ხელოვნების კომისიამ განათლების სამინისტროს თხოვა გამოეძებნათ საშუალებები მის დასახმარებლად.<sup>4</sup> მიუხედავად ასეთი პირობებისა, ლ. მესხიშვილი მაინც ძალზე აქტიურად ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში და თბილისს გარდა თავის შემოქმედებას საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქების მცხოვრებლებიც აზიარა.

სამწუხაროდ ლ. მესხიშვილი 1920 წლის 24 ნოემბერს გარდაიცვალა. მისი სიკვდილი ძალზე ფართოდ აღნიშნა პრესამ. მსახიობი ჭაშუეთიდან გამოასვენეს, სადაც მას პარაკლისი კათოლიკოსმა ლეონიდემ გადაუხადა. დაკრძალვას ნ. ჟორდანიას, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, უცხოელები და დიდძალი ხალხი დაესწრო.

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 846

2 იქვე, № 852

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 157

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ.; № 860

წარმოითქვა გამოსათხოვარი სიტყვები, „ერთობაში“ დაიბეჭდა მსახიობისადმი მიძღვნილი გ. ტაბიძის ლექსი და ა. შ. ლ. მესხიშვილი დიდუბეში დაკრძალეს.<sup>1</sup> გლოვა იმდენად საყოველთაო იყო, რომ ზესტაფონში ერთი თვით ყოველგვარი წარმოდგენებიც კი შეწყდა.<sup>2</sup> ლ. მესხიშვილის ოჯახი მისი გარდაცვალების შემდეგაც არ დაუვიწყებიათ და მის შვილებს თბილისის ქალაქის საბჭომ 20 000 მანეთით დაეხმარა.<sup>3</sup>

თითქმის იგივე ბედი ეწვია გ. არადელ-იშხნელსაც. მსახიობს დაჟინებით ურჩევდნენ დარჩენილიყო რუსულ სცენაზე, რაც მას დიდებასა და სახელს მოუტანდა, მიუხედავად ამისა. მან მაინც მშობლიურ ქვეყანას მოაშურა. მაგრამ აქ მას იმდენად გაუჭირდა ეკონომიკურად, რომ ჯერ მეეტლედ დაიწყო მუშაობა, ხოლო ბოლოს მშობლიურ სოფელში წავიდა საცხოვრებლად, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა კიდევ.<sup>4</sup>

1920 წ. 15 ოქტომბერს სახელმწიფო დასმა სეზონის პირველ წარმოდგენად შ. დადიანის „გუშინდელნი“ უჩვენა. (რეჟისორი მ. ქორელი). სპექტაკლმა პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა. „საქართველოში“ დაიბეჭდა გ. გოლლენდის რეცენზია. რომელშიც მართალია პიესა სუსტად იყო მიჩნეული, მაგრამ მთლიანობაში სპექტაკლი მაინც მოწონებული იყო. სეზონის გახსნაზე მაცურებელთა სიმცირეს გ. გოლლენდი პიესის სისუსტითა და იმავე დღეს მორდკინის ბალეტის საღამოს დამთხვევით ხსნიდა. რა თქმა უნდა, ეს მიზეზები, სულაც ვერ ამართლებდა ქართველი მაცურებლის გულგრილ დამოკიდებულებას სეზონის გახსნისადმი. რეცენზენტის აზრით, რეჟისორს გაუძნელდა იმერული მასალით დაწერილი პიესის დადგმა. ასევე შეუწყნარებლად შიანდა მას სპექტაკლში იმერული სიმღერისა და ფრანგული ჭიდაობის ჩართვა, დეკორაციები, ჩაცმულობა და ა. შ. მიუხედავად ამისა, მ. გოლლენდი გამოჰყოფდა მსახიობთა, განსაკუთრებით კი გელოვანის კარგ თამაშს.<sup>5</sup>

„გუშინდელნი“ ბრწყინვალე დადგმად მიიჩნია „ერთობამ“. რაც ვაზეთის აზრით რეჟისორ მ. ქორელის და მსახიობების გელოვანის, კორიშელის, ზარდალიშვილის, მურუსიძის, ციმაკურიძის, ქიქოძის,

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ. № 160-61, „ერთობა“, № 272-73

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 271

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 996

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 28

5 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 124



ვასაძის და ჭიაურელის დამსახურებას წარმოადგენდა, რაც შეეხებოდა დაეთათვის, „ერთობა რუსული სცენიდან რომ არის მოსული“.<sup>1</sup>

სპექტაკლზე დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა „სახალხო საქმემაცა“<sup>2</sup> ხოლო „საქართველოში“ დაბეჭდილ მეორე რეცენზიაში სპექტაკლს განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიეცა და გამოყოფილი იქნა გელოვანის კოწია. კორიშელის გლეხი, ვასაძის სტრაჟნიკი და მურუსიძის მამასახლისი.<sup>3</sup>

17 ოქტომბერს დასმა მ. ქორილის რეჟისორობით მაცურებელს „ოიდიპოს მეფე“ წარმოდგინა. პიესა ქართულ ენაზე კ. ანდრონიკაშვილმა თარგმნა. სპექტაკლმა პრესის დადებითი შეფასება დაიმსახურა, თუმცა ლ. ნათაძეს მიაჩნდა; რომ რეჟისორს აკლდა ძველი საბერძნეთის საფუძვლიანი ცოდნა. გაკრიტიკებული იყო ა. იმედაშვილის ოიდიპოსიც, თუმცა მისი თამაში საბოლოოდ მაინც დადებითად იყო შეფასებული.<sup>4</sup> ასევე დადებითად შეაფასა სპექტაკლი „სახალხო საქმემაცა“.<sup>5</sup>

19 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნა ვინიჩენკოს „სიცრუე“ (რეჟისორი მ. ქორელი), რომელმაც მოწონება ვერ დაიმსახურა. როგორც გ. გოლლენდი წერდა, პიესა არ ეგუებოდა ქართულ სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი რეჟისორულად კარგად იყო დადგმული და კარგად თამაშობდნენ მსახიობებიც, იგი დასს მაინც წარუმატებლობად ჩაეთვალა.<sup>6</sup>

ასევე უარყოფითად შეაფასა „სიცრუე“ ლ. ნათაძემაც, უფრო მეტიც, მისი აზრით არ ვარგოდა პიესა, რადგან იგი ყალბი იყო და მიუხედავად მსახიობების კარგი თამაშისა, სპექტაკლი იმდენად ცუდი იყო, რომ იგი მალე უნდა მოეხსნათ სცენიდან.<sup>7</sup>

28 ოქტომბერს დასმა მაცურებელს „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ უჩვენა (რეჟისორი ა. ფალავა). პრესამ მაღალი შეფასება მისცა ა. ვასაძის დარისპანს, ი. ზარდალიშვილის ოსი-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 236

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 954

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 153

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 238

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 955

6 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 129

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 249

8. ამირან ნიკოლეიშვილი

კოს, პ. კორიშელის ფილიპეს და ა. ვასაძის აბესალოს, ორივე დადგმის მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი იყო.<sup>1</sup>

„დარისპანის გასაჭირსა“ და „ირინეს ბედნიერებას“ რეცენზია ლ. ნათაძემაც მიუძღვნა. მასში „დარისპანის გასაჭირი“ სუსტ, ხოლო „ირინეს ბედნიერება“ ძალიან კარგ დადგმად იყო მიჩნეული. სპექტაკლს მაყურებელიც ბევრი დაესწრო.<sup>2</sup>

ასევე „დარისპანის გასაჭირი“ სუსტ, ხოლო „ირინეს ბედნიერება“ ძლიერ დადგმად მიიჩნია გ. გოლლენდმაც.<sup>3</sup> უნდა ითქვას, რომ საერთოდ პრესამ ადრინდელი დარისპანი გაცილებით უკეთესად მიიჩნია, თუმცა ახალი სპექტაკლი მთლიანობაში მაინც დასის წარმატებად ჩაითვალა.<sup>4</sup>

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 4 ნოემბერს განხორციელებულმა სპექტაკლმა „ბერლო ზმანიამ“, რომელიც ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით ა. ახმეტელმა განახორციელა.

„საქართველოს რესპუბლიკამ“ დადებითად შეაფასა ჭიაურელის ბერლო და ზარდალიშვილის ბერდია,<sup>5</sup> ხოლო „საქართველოში“ გ. რობაქიძემ დაიწუნა პიესა, რომელიც მან ავტორს ლიტერატურულ ცდად და ძიებად ჩაუთვალა. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ ასეთი რამ მაინც საჭირო იყო. გ. რობაქიძის აზრით არ ვარგოდა თვით დადგმაც, თუმცა „ახმეტელი გრძნობდა თეატრის ნერვს“.<sup>6</sup>

განსხვავებული აზრისა იყო „სახალხო საქმე“, რომელმაც პიესა მიიჩნია სუსტად, ხოლო რეჟისორული ნამუშევარი კარგად. გაზეთის აზრით დებიუტმა კარგად ჩაიარა და იგი ხალხს მოეწონა.<sup>7</sup>

ვრცელი და უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა სპექტაკლზე გაზეთ „ერთობაში“ ლ. ნათაძემაც. მისი აზრით რეჟისორმა დიდი შრომა გასწია, მაგრამ უნაყოფოდ, რაც პიესის გამო მოხდა ასე. ლ. ნათაძის თქმით, პიესა აგებული იყო ხელოვნების დანაშნულების ყალბ გაგებაზე და იგი ვერ გამოვიდა ფილოსოფიური და ავტორი დამარცხდა. თუმცა ეს არ უნდა მიჩნეულიყო დიდ ტრაგედიად, რა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 246

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 249

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 135

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 965

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 283

6 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 176

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 1001, 1003

დგან მსგავს თემაზე ბევრი გენოციდ დამარცხებულია. რეკონსტრუქციის აზრით, ავტორს დიდი პრეტენზიები, შაბლონური და ობივატელური აზრები ჰქონდა. „რა ფილოსოფიაა ამისი თქმა, რომ ადამიანში ერთის მხრივ არის შიწიერი და მეორეს მხრივ ზეციური, ან ადამიანის ხორციელი არსება მიილტვის ხორციელი სიტკბოებისაკენ, სულიერი არსება კი მიილტვის ოცნებისაკენ, ადამიანს ბედი სდევს თან და მას ვერსად წაუვა“. ლ. ნათაძის აზრით პიესა ასეთი უაზრო, უშინაარსო და ნაცოდვილარი იყო, ხოლო ავტორის სიმბოლისტობა მასში მდარე ხარისხში იყო გამოხატული. მას ღიმილის მომგვრელად მიაჩნდა პიესის მოქმედ პირთა სახელებიც — ზმანია, ცისია, ბეღია, დეღია და ვნება, რაც შემოქმედის სისუსტის ნიშნად მიაჩნდა, მისი აზრით, ს. შანშიაშვილი ვერ ხატავდა მოქმედ პირებს და აჩნდა ლ. ანდრეევის „ადამიანის ცხოვრების“ გავლენა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ს. შანშიაშვილმა პიესა ცუდად დაწერა, ანდრეევმა კი კარგად. პიესა მიჩნეულია ავტორის სრულ მარცხად, რადგან „ხელთ შეგვრჩა თავმომაბეზრებელი ფილოსოფიური ციებ-ციხლება, უშინაარსო, ხელოვნებას მოკლებული ნაწარმოები, თუმცა მასში ენა და ლექსი მშვენიერია (მუსიკალურია), ამაში მას ძნელად შეეღრება ვინმე. და რა სამწუხაროა, რომ ამ შესაძლებლობებს ხარჯავს ასეთ უპოეზიო ნაწარმოებზე“. ლ. ნათაძის აზრით, სპექტაკლში კარგი იყო რეჟისორის ნამუშევარი, დეკორაციები, ბალეტი, მუსიკა, მაგრამ „ყველაფერი ეს დაიხარჯა სრულიად უხეირო და უიმედო პიესაზე. მსახიობებს აქ ვერაფერს მოსთხოვ, რადგან პიესაში არაა არავითარი ხასიათი, ტიპი, არის მხოლოდ ლექსი და დეკლამაცია. ეს კი კარგად გააკეთეს მათ“.<sup>1</sup>

7 ნოემბერს დასმა მაყურებელს მორიგ პრემიერად „ოტელიო“ შესთავაზა (რეჟისორი ა. ფალავა). სპექტაკლმა პრესაში აზროა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც ლ. ნათაძე წერდა „ერთობაში“. კარგად შეუხსრულებია ოტელიოს როლი ა. იმედაშვილს, თუმცა იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მსახიობი პირველ ნაწილში სუსტი ყოფილა. ასევე არ გამოსვლია დეზდემონას როლი ნ. ჩხეიძეს. მისი აზრით ამ როლში უმჯობესი იქნებოდა რომელიმე ახალგაზრდა მსახიობს ეთამაშა. სპექტაკლში ყველაზე კარგად ი. ზარდალიშვილს შეუხსრულებია იაგოს როლი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 288

<sup>2</sup> იქვე, № 255

სხვაგვარად. შეაფასა სპექტაკლი ვაზეთმა „საქართველომ“, რომლის აზრით არ ვარგოდა არც ა. იმედაშვილის ოტელო და არც ი. ზარდალიშვილის იაგო, ხოლო კარგი მხოლოდ ნ. ჩხეიძის დეზდემონა ყოფილა.<sup>1</sup>

რაც შეეხება „საქართველოს რესპუბლიკას“, მისი აზრით სპექტაკლში კარგი ყოფილა ი. ზარდალიშვილის იაგო, ა. იმედაშვილის ოტელო (თუმცა აღნიშნულია, რომ მას არ უვარგოდა ხმა), მ. ჭიაურელის სენატორი და ნ. ჩხეიძის დეზდემონა.<sup>2</sup>

პრესა თითქმის ერთხმად აღნიშნავდა სპექტაკლის რეჟისორულ სისუსტეს. მართალია, წარმოდგენას უამრავი ხალხი დასწრები, მთავრობაც, მაგრამ იმის გამო, რომ იგი შეიდნახევიარი საათი გაგრძელებულა და ღამის სამ საათზე დამთავრებულა, ბოლოს დარბაზში თითქმის აღარავინ დარჩენილა.<sup>3</sup>

11 დეკემბერს წარმოდგენილ იგივე სპექტაკლში დეზდემონას როლი უკვე ვ. ანჯაფარიძემ შეასრულა და მან მოწონებაც დაიმსახურა. ასევე კარგად ასრულებდა დადგმაში დეზდემონას როლს აქიქოძეც.

მოწონება დაიმსახურა 13 ნოემბერს განხორციელებულ „მსხვერპლის“ პრემიერამ (რეჟისორი ა. წუწუნავა. მხატვარი სიღამონ-ერისთავი), თუმცა ლ. ნათაძემ პიესის სისუსტეც აღნიშნა.<sup>4</sup>

ასევე დადებითად გამოეხმაურა „საქართველოს რესპუბლიკა“ 27 ნოემბერს გამართულ პიესის „ზღვასთან“ პრემიერასაც (რეჟისორი მ. ქორელი).<sup>5</sup>

სხვადასხვაგვარად შეფასდა 30 ნოემბერს წარმოდგენილი „უმვირგვინო მეფენი“ – ს პრემიერაც (რეჟისორი ა. ფლავა). იგი „საქართველოს რესპუბლიკამ“ მოიწონა,<sup>6</sup> ხოლო „სახალხო საქმე“ პიესაც და დადგმაც დაიწუნა.<sup>7</sup> სპექტაკლს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა „ერთობაში“ ლ. ნათაძემ. მან მიუხედავად შექსპირის გავლენის ძალზე მაღალი შეფასება მისცა პიესას. მისი აზრით, შადიმანი

1 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 143  
2 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 258  
3 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 143  
4 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 260, „ერთობა“, № 26  
„სახალხო საქმე“, № 979  
5 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 278  
6 იქვე, № 274  
7 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 986

ლიან ჰგავდა იაგოს, ხოლო სხვა გმირები უფრო მკროალნი და გა-  
ურკვეველნი იყვნენ. კარგი იყო პიესის ენაც, რეცენზენტის აზრ-  
ით, არ ვარგოდა გ. ყალაბეგაშვილის სააკაძე, ხოლო კარგები იყვნენ  
პ. კორიშელი (შადიმანი) და მ. ჭიაურელი (მეფე ლუარსაბი), თუ-  
შეცა ეს უკანასკნელი ძალზე სენტიმენტალური ყოფილა. შედარებით  
ნაკლები შეფასება ჰქონდა მიცემული ამირეჯიბის თეკლას, ხოლო  
დანარჩენი მსახიობების თამაში სუსტი ყოფილა. ასევე არ ვარგე-  
ბულა მასიური სცენებიც. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ლ. ნათა-  
ძემ სპექტაკლი მაინც საჭირო დადგმად მიიჩნია.<sup>1</sup>

მოწონებული იქნა დასის 16 დეკემბერს განხორციელებული  
„აღლუმის“ პრემიერაც (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი) და მასში  
ტ. აბაშიძის, ა. ვასაძისა და ა. ყალაბეგაშვილის თამაში.<sup>2</sup>

1920 წ. 23 დეკემბერს ბოლო პრემიერად დასმა „ანტიგონე“  
წარმოდგინა (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, მხატვარი სიდაძონ-  
ერისთავი).

კიდევ უფრო გაააქტიურა თეატრმა საქმიანობა 1921 წ. იანვრი-  
დან და ზედიზედ იქნა წარმოდგენილი პრემიერები: 8 იანვარს „კო-  
ტეს დანაშაული“ (რეჟისორი ნ. გამრეკელი—თორელი). სპექტაკლი  
ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი და მას უფასოდ აჩვენებდნენ),  
15 იანვარს „მარიამ მაგდალინელი“, 27 იანვარს „სამშობლო“ (რე-  
ჟისორი კ. ანდრონიკაშვილი), 10 თებერვალს „რაც გინახავს, ველარ  
ნახავ“ (რეჟისორი ა. ახმეტელი) და 17 თებერვალს „ვინ არის და-  
მნაშავე“ (რეჟისორი ა. წუწუნავა). 6 თებერვალს ასევე გაიმართა  
საზეიმო წარმოდგენაც, საქართველოს იურიდიული ცნობის გამო,  
ქართულ და რუსულ ენებზე.

რაც შეეხება „მარიამ მაგდალინელს“, მასზე მუშაობა 1920 წ.  
ლ. მესხიშვილმა დაიწყო, მაგრამ იგი ისე გარდაიცვალა, რომ მისი  
დამთავრება ვერ მოასწრო. სპექტაკლი ზ. ბერიშვილმა დაასრულა.  
პრესამ სპექტაკლი ძალზე უარყოფითად შეაფასა. „საქართველოს  
რესპუბლიკაში“ ვინმე „სკამი № 82“-მა დაიწუნა პიესა, ხოლო და-  
დგმა ყალბად მიიჩნია, უნდა ითქვას, რომ მას საერთოდაც არ მოს-  
წონდა თეატრის რეპერტუარი.<sup>3</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 270

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 1008

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 12, „სახალხო საქმე“,  
№ 1009

თეატრის დასი ინტენსიურად მუშაობდა ბაირონის, ლოპე დე ვეგას და სხვათა ნაწარმოებებზეც, მაგრამ მათი დასრულება დემოკრატიული ხელისუფლების არსებობის პერიოდში ვერ მოასწრო, რადგან 25 თებერვალს თბილისი რუსეთის მეთერთმეტე წითელმა არმიამ დაიპყრო.

1918—21 წ.წ. თბილისში მოყვარულთა სხვა თეატრალური და სებიც არსებობდნენ, რომელთა შორის ყველაზე უფრო მეტად მუშაობდა ბალაშვილის სახალხო სახლის თეატრი გამოირჩეოდა. მასში გვერდივერდ მოქმედებდნენ ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური, ასირიული, აზერბაიჯანული, გერმანული და ებრაული დასები.

სახალხო სახლთან არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი ჟრე თვითმოქმედი დასი იყო. 1917-18 და 1918-19 წლების სეზონში მას კ. შათირიშვილა ხელმძღვანელობდა. დასში ირიცხებოდნენ: ქალები — ანკარა, არჯევანიძე, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, გორდელი, ნ. დავითაშვილი, ქ. ეპიტაშვილი, ნ. თორბე, ე. იანჭოშვილი, მ. მარგველაშვილი, ნ. მინდელი, ნიბლია, ნი. ნონი, ს. რომანიშვილი-დგებუაძე, ქ. ქარუმიძე და მ. ქილარჯიშვილი, კაცები — გ. ანაშვილი, შ. აღსაბაძე, ა. ბადრიძე, ე. ბაზლაძე, ბილანიშვილი, გ. გელიკულაშვილი, შ. გომართელი, ნ. გოცირიძე, ნ. გოძიაშვილი, გ. თავდგირიძე, გ. თაზრშვილი, ა. თალაკვაძე, ა. ივერიელი, ა. კაციაშვილი, ვ. კობელი, დ. კობახიძე, ლ. კუპრაძე, ნ. მამაჩანოვი, ა. მეტრეველი, ო. მინდიაშვილი, ა. მჭედლიშვილი, ვ. ნინიძე, ა. შანშიაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, ქ. ხახანაშვილი, ა. ხორავა, გ. ჯაბაური და ვ. ჯიქია. ზოგიერთ წარმოდგენაში აქ პროფესიონალ მსახიობებიც მონაწილეობდნენ. დასს ჰქონდა კარგი რეპერტუარი და საუკეთესო სცენა. ისინი თვეში 5—6 წარმოდგენას მაინც მართავდნენ, რომელთაც ყოველთვის დიდი რაოდენობით მაყურებელი ესწრებოდა.

1918 წ. სეზონი დასმა 3 ოქტომბერს ი. ეკლადის პიესით „№2. ჯვრით“ გახსნა. ამ წელს ქართული წარმოდგენები ძირითადად სწორედ აქ იმართებოდა, სახელმწიფო (არტისტული საზოგადოების) თეატრთან ერთად და ეს მიუხედავად იმისა, რომ თეატრს დასზე უჭირდა ფინანსურად და მან მთავრობასაც კი სთხოვა ფულადი დახმარება.<sup>1</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 206

1918 წ. დასმა ასევე დადგა ჰერმანის „იმედის დაღუპვა“, რო-  
მელშიც განსაკუთრებული მოწონება ნ. გოცირაძემ, თ. გოგოლა-  
შვილმა, მეტრეველმა, ჭანკვეტაძემ და თავდგირაძემ დაიმსახურეს.<sup>1</sup>

1918 წ. მოყვარულთა დასები მოქმედებდნენ ნაძალადევის,  
ორთაჭალასა და მუშტიიდშიც. ორთაჭალის თეატრმა, მაგალითად,  
6 ოქტომბერს მაყურებელს უჩვენა პ. ირეთელის „დამარცხებულ-  
ნი“, რომელმაც დადებითი შეფასება დაიმსახურა.<sup>2</sup>

1919 წ. 29 ივლისს განათლების მინისტრის ამხანაგმა ნ. ცინცაძემ  
და ვებერიძემ დრამატული საზოგადოების წერილის საფუძველზე  
მთავრობაში წარადგინეს თხოვნა, რომლითაც ისინი სახალხო სახ-  
ლისათვის ყოველ თვეში 3000 მ. გამოყოფას მოითხოვდნენ.<sup>3</sup> მთა-  
ვრობამ დააკმაყოფილა თხოვნა და მართლაც გამოჰყო სუბსიდია,  
რამაც შესაძლებელი გახადა მუდმივი და ძლიერი დასის შექმნა,  
რომლის ხელმძღვანელად ოქტომბრის დასაწყისში შ. დადიანი და-  
ინიშნა (შეცვალა ა. წუწუნავა). მსახიობებს დაენიშნათ ხელფასები.  
დასის რეპერტუარში შევიდა წილერის „ვერაგობა და სიყვარული“,  
ბეტხერის „გრიგალი“, „დონ კიხოტი“, „რევოლუციური—ქორწი-  
ნება“, გ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, ნ. ნაკაშიძის „ვინ  
არის დამნაშავე“ და სხვა. 24 ოქტომბერს განახლებულმა დასმა თა-  
ვის პირველ წარმოდგენად რიშაკოვის „სახაზინო ბინა“ წარმოად-  
გინა.<sup>4</sup>

1919 წ. ქართული წარმოდგენები აგრეთვე იმართებოდა ქართ-  
ულ, ავჭალის, მუშტიიდის, ნაძალადევის, ცენტრალურ მუშათა, ვე-  
რის, საბურთალოს, ავლაბრის, ორთაჭალის, ნავთლულის, არსენალ-  
ის, საინჟინრო გვარდიისა და სახელოსნო კლუბებში, ერთობის უბ-  
ანში და ა. შ. ასევე შეიქმნა ან მოქმედებდნენ ადრე შექმნილი  
დრამწრებიც — ახალგაზრდათა სახლთან (მოსწავლეების), სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (შექმნა ს. ჩიხლაძემ), დრამ-  
წრე „ახალი ძალა“. პროლეტკულტის ქართულ სექციასთან. ფოს-  
ტაში, სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირებში, თითქმის  
ყველა გიმნაზიასა და წარმოებებში და ა. შ.

საინტერესოა, რომ ბევრ წრეს გამოჩენილი რეჟისორები ხელ-  
მძღვანელობდნენ. მაგალითად, თბილასის უნივერსიტეტისას ა. წუ-

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 251

2 იქვე. № 210

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 169

4 იქვე, № 237

წუნავა, მუშტაიდისას პ. ფრანგიშვილი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბევრ წრეს საკუთარი სცენა არ ჰქონდა და ისინი მომზადებულ სპექტაკლებს კლუბების ან სხვა სცენებზე აჩვენებდნენ.<sup>1</sup>

დასებს არ გააჩნდათ მყარი მდგომარეობა და მათი დიდი ნაწილი მალევე იშლებოდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ნაძალადევის სახალხო თეატრი, რომელმაც 1919 წ. 15 აპრილს გამართულ კრებაზე თავისი ლიკვიდაციისა და დასის გაუქმების საკითხი განიხილა.<sup>2</sup>

მიუხედავად ასეთი კრიზისული მდგომარეობისა, ნაძალადევის თეატრი მაინც არ დახურულა და მისი დასი 1919 წ. სეზონიდან რკინიგზის კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიას გადაეცა. იმავე კომისიას გადაეცა დიდუბის სახალხო თეატრიც და მათი გაერთიანებით ჩამოყალიბდა ახალი დასი, რომლის რეჟისორად ზ. ბერიშვილი დაინიშნა. ახალმა დასმა სეზონი 24 ოქტომბერს ი. ეკლადის „№ 21 ჯვრით“ გახსნა. დადგამ მაცურებლის მოწონება დაიმსახურა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სუსტი რეპერტუარისა, (რეპერტუარი კი მაცურებლის დაბალი დონის გათვალისწინებით იყო შედგენილი), წარმოდგენებს მრავალრიცხოვანი მაცურებელი ჰყავდა და დასიც გამართულად მუშაობდა.<sup>3</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წ. თბილისში საბავშვო თეატრიც დაარსდა, მაგრამ მატერიალური სიძნელეების გამო იგი ფაქტურად უქმად იყო. მისი საქმიანობიდან შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ 1919 წ. 27 იანვარს სახელმწიფო თეატრში ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით გამართული საბავშვო წარმოდგენა „ყვავილთა შორის“, რომელშიც როლები ბავშვებმა შეასრულეს.<sup>4</sup> 1919 წ. ზაფხულში თეატრის გამგეობამ განაახლა მიღება ბავშვთა დასში, სიმღერისა და მუსიკის გუნდში (მიიღებოდნენ 15 წლამდე ასაკისანი) და ვ. გუნიას ხელმძღვანელობით განმეორებით ჩამოყალიბდა საბავშვო თეატრის საზოგადოება — დრამატული წრე, რომელშიც ძირითადად ბავშვები იყვნენ გაერთიანებულნი.<sup>5</sup> თეატრმა დროებით ბინა ქართულ კლუბში დაიდო. თეატრს თბილისში თვეში ერთი საბავშვო წარმოდგენის გამართვა ჰქონდა ნავარაუდევად,

1 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 282

2 იქვე, № 68

3 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 234

4 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 435

5 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 241



მაგრამ სინამდვილეში გაცილებით მეტს მართავდა. იგი წარმოდგენებსა და კონცერტებს მორიგეობით სხვადასხვა კლუბებში ატარებდა.

თეატრი 22 ივნისს გაიხსნა, ხოლო 26 ივნისს მან საბავშვო კონცერტი წარმოადგინა. თბილისში მისი დადგმები 2, 3, 4 და 6 ივლისსაც გაიმართა — ვერის მუშათა კლუბში, ნაძალადევეში, ხარფუხსა და მუშტიადში,<sup>1</sup> ხოლო ამის შემდეგ თეატრი პროვინციებში გაემგზავრა და თავისი ხელოვნება გორში, გომში, ხაშურში, სურამში, ბორჯომსა და წალკერში უჩვენა. ფინანსურა სიძნელების გამო თეატრის კოლექტივი უფრო ხშირ მოგზაურობებს ვერ ახერხებდა.

1920 წ. კიდევ უფრო გააქტიურდა თბილისში არსებული თვითმოქმედი დრამატული წრეების საქმიანობა. შეიქმნა ახლებიც — სუმბათაშვილის სახელობის, მუშათა ცენტრალური აუდიტორიის (კლუბის), სტუდენტთა დრამატული დასი „არმაზი“, ახალი დრამატული წრე, რომელშიც ი. ზარდალიშვილიც იყო გაერთიანებული, „თეატრი და ხელოვნების“ სახელობის ახალგაზრდა ხელოვანთა წრე, ამხანაგობის თეატრი, რომელიც წარმოდგენებთან ერთად კონცერტებსა და ლექციებსაც მართავდა, მინიატურის თეატრ „მახლასთან“ ქართული დასი და ა. შ.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა 1920 წ. ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ ავქალაში ნ. ჟორდანიას სახელობის მუშათა მუდმივი თეატრის გახსნა, რომელსაც პ. ფრანგიშვილი ჩაუდგა სათავეში. პ. ფრაგიშვილმა ძალზე გაააქტიურა დასის საქმიანობა და ზედიზედ რამდენიმე დადგმა განახორციელა.<sup>2</sup> რა თქმა უნდა, ავქალის დიდი ისტორიის მქონე სახალხო დასისათვის (ამ წელს მისი შექმნის 25 წ. აღინიშნა) ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასევე გაააქტიურა საქმიანობა ქართულმა კლუბმაც, სადაც სამუშაოდ მ. ქორელი მიიწვიეს.

მიუხედავად ასეთი დადებითი ძვრებისა, მოყვარულ დასებს მაინც მრავლად ჰქონდათ პრობლემებიც. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი 4 ივლისს სცენის მოყვარეთა საერთო კრების გამართვა, რომლის მიზანს სცენის მოყვარეთა კავშირის შექმნა წარმოადგენდა. საქართველოს სცენის მოყვარეთა ყრილობის მომზადებას შეუდგა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 553, 563, 653

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 177

ია თქმა უნდა, მოყვარულთა წრეების დიდი ნაწილი შორს იდგა სრულყოფილებისაგან, რაც არც თუ იშვიათად პრესის მიერ მათ კრიტიკასაც იწვევდა. მაგალითად, „ერთობამ“ მკაცრად გააკრიტიკა კაუცკას სახლში განხორციელებული „ციმბირელის“ როგორც დადგმა, ისე თვით პიესაც და ეს დადგმა გაუმართლებლად მიიჩნია.<sup>1</sup>

უშწუო დღეში იყო ავღაბრის სახალხო თეატრის ქართული დასიც, რომლის წარმოდგენებს ხალხიც ნაკლებად ესწრებოდა, რადგან მას ძალზე სუსტი რეპერტუარი ჰქონდა. თეატრი უფრო კერძო პირების ინტერესებს ემსახურებოდა.<sup>2</sup>

წრეების მუშაობა მკაცრად გააკრიტიკა „თეატრმა და ცხოვრებაში“. ა. იმედაშვილის წერილში „კმარა პამპულაობა“, ხაზგასმული იყო მრავლად შექმნილი წრეების დაბალი დონე. მათ უმრავლესობას არ უვარგოდა სცენა, დეკორაციები, გრიმი, არ იცოდნენ როლები და ა. შ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც თითქმის ყოველ კვირაში დგამდნენ ახალ პიესებს, რაც გაუმართლებელი იყო.<sup>3</sup>

ი. ეკალაძე იქამდეც კი მივიდა, რომ იძულებული გახდა პრესაში დაებეჭდა განცხადება, თავისი პიესის „№ 21 ჯვრით“ დადგმების თაობაზე. იგი მიმართავდა დასებს, რომ დადგმისას ნუ დაამახინჯებდნენ პიესას (ავტორის თქმით ასეთი დამახინჯებები იქამდე მიდიოდა, რომ ზოგჯერ პიესის ცნობაც კი შეუძლებელი იყო).<sup>4</sup>

საქმე ზოგჯერ კურორზამდეც მიდიოდა. მაგალითად, გაზეთმა „ერთობამ“ 1920 წ. დაბეჭდა წერილი „ახალი მოდის სპეკულაცია“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ვინმე გიგოშვილი სუსტი პიესების ავტორობისა და დადგმისათვის. კურორზი აქ ის კი არ იყო, რომ გაზეთმა გიგოშვილი გააკრიტიკა, როგორც სუსტი ავტორი, არამედ ის რომ, ყოველივე ეს მიიჩნია... სპეკულაციად და მისი „სასტიკი“ დასჯა მოითხოვა. საქმე კონკრეტულად პიესა „არსენა ჯორჯიაშვილს“ ეხებოდა, რომელიც მე-6 რაიონის მუშათა კლუბში უნდა დადგმულიყო და შემოსული თანხა ჯორჯიაშვილის ოჯახს გადასცემოდა. მაგრამ კლუბის მიერ დაწუნებული პიესა ავტორმა სხვა კლუბებში დადგა (ავღაბრის, ნავთლულის და ა. შ.) და შემო-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 271

2 იქვე, № 202

3 ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 4

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 151

სული თანხებიც ბუნებრივია თვითონ. წაიღ.ა. ამით განაწყენებულმა ჯორჯიაშვილის ოჯახმა გიგოშვილის დასჯა მოითხოვა, რასაც მხარი ვაზეთმაც დაუჭირა. პიესის დადგმა მართლაც აიკრძალა.<sup>1</sup> რა თქმა უნდა ასეთი ჩარევა შემოქმედებით პროცესში გაუმართლებელი იყო. სუსტი პიესა, თუ სპექტაკლი ყოველგვარი აკრძალვისა და სასჯელის გარეშეც მოკვდებოდა.

თბილისში რუსული თეატრალური დასებიც ძრავლად მოქმედებდნენ. 1918 წ. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო „ტარტო“ (ხელმძღვანელი ტუგანოვი), რომელიც თავის წარმოდგენებს იუზებაშვილის სახლში (ახლანდელი რუსთაველის თეატრი) მართავდა. თეატრის დასში სხვებთან ერთად ქართველი მსახიობები აბულაშვილი, მ. დავითაშვილი, მ. გომართელი, მირზაშვილი, ვანხატე და თარხანმოურავიც ირიცხებოდნენ. მოქმედებდა დრამწრეც („კრუჟოკი“), რომელიც წარმოდგენებს კვირაში ერთხელ მართავდა.

1918 წ. ზაფხულში „ტარტოში“ განხეთქილება მოხდა და მას მსახიობთა ერთი ჯგუფი გამოეყო. მათ, ყიზარევის ხელმძღვანელობით, ცალკე ჩამოაყალიბეს კამერული თეატრი.

7 სექტემბერს თბილისში კიდევ ერთი ახალი რუსული თეატრი „არგონავტების ნავი“ გაიხსნა, რომელიც ძირითადად მინიატურებს დგამდა. მის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ა. წუწუნავა, ტ. ტაბიძე, ს. ყანჩელი, გ. რობაქიძე, ს. გოროდეცკი და ჩერეპნინი.<sup>2</sup>

1919 წ. დრამატულმა დასმა „ტარტომ“ სეზონი 4 ოქტომბერს გახსნა. ამ წელს წარმოდგენებს დასი „ოტარილიც“ მართავდა.

1919 წ. თბილისის ქალაქის გამგეობამ კიდევ ერთი რუსული თეატრის შექმნას დაუჭირა მხარი და ევრეინოვის ინტიმური თეატრის შესაქმნელად გამოჰყო ნაზარიანცის კუთვნილი შენობის ნაწილი — უნიონი. საქმე იმაშია, რომ ევრეინოვს სურდა ბაქოდან თბილისში გადმოეყვანა ინტიმური თეატრის მთელი დასი.<sup>3</sup> 1919 წ. თეატრი მართა აც შეიქმნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ქართულ საქმეს ნაკლებად ემსახურებოდა. მის რეპერტუარში მხოლოდ ერთადერთი ქართული ნაწარმოები, გ. რობაქიძის „ლონდა“ იყო.<sup>4</sup>

1 გაზ. „ეროობა“, 1920 წ., № 168

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 40

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 231

4 იქვე, № 234

1920 წ. თბილისში არსებულმა პიტოევის დრამატულმა დასმა სეზონი 20 ოქტომბერს გახსნა. ამავე დღეს გახსნა სეზონი ჟიხარევის კამერულმა თეატრმაც, რომელმაც ძალზე საინტერესო და სერიოზული რეპერტუარი შექმნა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მასში არც ერთი ქართული პიესა არ შედიოდა.<sup>1</sup>

1920 წ. თბილისის მინიატურების თეატრი ახალ თეატრად „მახლას“ გადაკეთდა და მან სეზონი 17 ოქტომბერს შირვანზადეს „ნამუსით“ გახსნა.<sup>2</sup> ამავე დროს, მოქმედებდა ესიკოვსკის ცირკიც.

თბილისში ასე მომრავლებული არაქართული დასები. უმეტესწილად შორს იდგნენ ნამდვილი ხელოვნებისაგან და ისინი ხალხს ათასგვარი უხამსობით იზიდავდნენ. ბუნებრივია, ეს ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით კ. ანდრონიკაშვილი „ერთობაში“ წერდა კიდევ, რომ „თბილისში სოკოსავით გამრავლდა თეატრები, რომლებიც ხელს უშლიან ზემოთ ნახსენებ თეატრებს. ქალაქი აჭრელებულია აფიშებით, ვინ არ მართავს კონცერტს, წარმოდგენას, სალამოს. არის რაღაც საკონცერტო ბიურო ტარუმოვისა და აგი ხელოვნებას ძალიან ცოტას უხდის, თვითონ კი მდიდრდება. ვინმე ჩერნოვი ძალიან მსუქანია და ხალხს სცენაზე თავისი ტაკიმასხარობით იზიდავს, „ელამი ჯიმის“ თეატრი არის მელიქ-აზარიანცის სახლში, სადაც ბილეთი 700 მ. ღირს, თანაც ესენი უხამსობას აჩვენებენ.

ყველაზე საშინელი თეატრია „ტივოლი“, პლენანოვზე. იგი საროსკიპოა და თეატრი არ უნდა ჰქვიოდეს. აქაა ლოთობა, საზიზღრობა. ბოლო უნდა მოეღოს ხელოვნების სახელით სპეკულაციას. ისინი ლახავენ ხელოვნების წმინდა სახელს“.<sup>3</sup>

აღნიშნულ საკითხს ა. წუწუნავაც შეეხო, რომელმაც განათლების მინისტრის დავალებით საგანგებოდ გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა. ა. წუწუნავას თქმით თბილისი გაივსო ცუდი რეპერტუარის მქონე საეკვო დასებით, რომლებიც ძირითადად პორნოგრაფიას უჩვენებდნენ. ასე იყო მაგალითად მინიატურებისა და ფარსების თეატრებში, კინოებში და ა. შ. პორნოგრაფიული იყო მათი აფიშებიც. მომრავლდა ფილმები სადიზმზეც („საშუა სემინა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 240, „საქართველო“, № 125

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 124

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 232

რისტი“, „სონკა ოქროს მდინარე“ და ა. შ.) ა. წუწუნავას აზრით, საჭირო იყო ხელისუფლებას დაეცვა ხალხი ასეთი უზუნობისა და გამხრწნელი გავლენისაგან და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით უნდა აკრძალულიყო მსგავსი სპექტაკლებისა და ფილმების ჩვენება. ამ ბრძანების დამრღვევი დაწესებულება უნდა დაკეტულიყო, ხოლო მისი მებატრონე პასუხისგებაში მიეცათ.<sup>1</sup>

მიუხედავად ყოველივე ამისა, ხელისუფლება ქართულ თეატრზე არანაკლებ მზრუნველობას რუსული დასებისადმიც რომ იჩენდა, ეს თუნდაც იქედან სჩანს, რომ ქართული დრამის სახელმწიფო თეატრში 1920 წ. სეზონიდან კვირაში სამი დღე ფითოვეის დასსაც გამოეყო.<sup>2</sup> სხვათაშორის ეს დასი სხვა რუსული დასებისაგან იმით მაინც გამოირჩეოდა, რომ ზოგჯერ ქართველ ავტორთა პიესებსაც სწყალობდა. მაგალითად, 1921 წ. 2 თებერვალს მათ ა. სუმბათაშვილის „ჩენტომენი“ დადგეს.<sup>3</sup>

თბილისში სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა სომხური თეატრიც. აქ სომხურ ენაზე წარმოდგენების გამართვას სომხური დრამატული საზოგადოება (სომეხ არტიტთა საზოგადოება) ხელმძღვანელობდა. სომხური თეატრის წამყვანი ძალება ძირითადად თავმოყრილნი საარტიტო დრამის თეატრში იყვნენ, სადაც ისინი ყოველ წელს შართავდნენ სეზონს.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა სომხური თეატრის მდგომარეობა 1920 წლიდან, რაც არტიტული საზოგადოების შენობა 9 წლით იჯარით მთავრობამ აიღო. მთავრობის გადაწყვეტილებით კვირაში ერთი დღე აქ სომხურ დრამასაც დაეთმო.<sup>4</sup> თბილისში სომხური წარმოდგენები ასევე იმართებოდა ერიციანის თეატრში, ახალგაზრდობის სახლში, ორთაქალის კლუბში, „კრუეოკში“. ცენტრალურ მუშათა კლუბში, სადაც 1919 წ. 12 ოქტომბერს სეზონის განხნას მთავრობაც კი დაესწრო.<sup>5</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს კლუბი განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, რაზეც 1918 წ. გამართული 18 და 1919 წ. 11 სომხური წარმოდგენაც მეტყველებს.<sup>6</sup> სომეხ სცენის მოყვარეთა წრე კვირაში ორ წარმოდგე-

1 თეატრის მეზეუმის ფონდი, № 61, ხელნაწერი № 17292

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 118

3 გაზ. „ერთობა“, 1921 წ. № 21

4 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 88

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 217

6 იქვე, 1920 წ. № 29

ნას მართავდა ავლაბრის მუშათა კლუბშიც.<sup>1</sup> სომეხ სცენას მრყვარეთა წრე ასევე მოქმედებდა VI რაიონის მუშათა კლუბშიც.

სომხური თეატრისათვის ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდის საქმეს წარმატებით ემსახურებოდა თბილისში მოქმედი სომხური დრამატული სტუდია. ცალკე უნდა აღვნიშნოთ სომეხ მსახიობთა ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო 1920 წ. 16 თებერვალს თბილისში სომეხი მსახიობის დღის გამართვა.<sup>2</sup>

სომეხ ხალხთან დაახლოებას უთუოდ შეუწყო ხელი 1920 წ. თელავში დიდი ლ. მესხიშვილის ჩასვლამ, რომელმაც იქ საგანგებოდ სომხებისათვის რუსულ ენაზე დადგა სპექტაკლი „ახალგაზრდობა“.<sup>3</sup>

დაახლოებით ანალოგიური რამ გააკეთა გ. სუნდუკიანმაც 1919 წ. როცა მან ივლისში ჯერ ქართულ კლუბში, ხოლო შემდეგ სახალხო კინემატოგრაფში უხელმძღვანელა საბავშვო საღამოებს.<sup>4</sup>

ქართულ-სომხურ ურთიერთობათა შემდგომ გაღრმავებას უთუოდ შეუწყო ხელი ამ საიუბილეო საღამოებმაც, რომლებიც 1919-20 წლებში გაიმართა თბილისში, ასე მაგალითად, 1919 წ. 9 მარტს თბილისის არტისტულ თეატრში ქალაქის გამგეობის მონაწილეობით გაიმართა ცნობილი მსახიობის ბ. აბელიანის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის საზეიმო საღამო.<sup>5</sup> რასაც თითქმის ყველა ქართული გაზეთიც გამოეხმაურა, ხოლო 1920 წ. 9 თებერვალს იმავე თეატრში მოეწყო მწერლისა და სახალხო სახლის მსახიობ ი. ტერ-გრიგორიანცის 50 წ. იუბილე. საიუბილეოდ დაიდგა „პეპო“, რომელშიც პეპო ბ. აბელიანმა, არუთინა კი იუბილარმა ითამაშეს. საღამოზე ვ. აბაშიძე, ა. ფალავა, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ბანძილაძე და ი. იმედაშვილაც გამოვიდნენ. სხვათაშორის ამ უკანასკნელმა სომხურად მიმართა მსახიობს. გამომსვლელებმა მადლიერებით აღნიშნეს ის დამსახურება, რაც ი. ტერ-გრიგორიანცს ქართული სცენის წინაშე მიუძღოდა. სამადლობელი სიტყვა მსახიობმა ქართულად წარმოსთქვა.<sup>6</sup> ი. ტერ-გრიგორიანცის იუბილე ფართოდ გააშუქა ქართულმა პრესამაც.<sup>7</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 29

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 747

3 იქვე, № 877

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 145, „ერთობა“, № 158

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 55

6 ძურან. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 6

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 29

სომეხ არტისტთა საზოგადოებამ ასევე დიდი სითბოთი მიულოცა 1919 წ. ვ. აბაშიძეს სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავი და იგი ფულადი ჭილდოთიც დაასაჩუქრა.<sup>1</sup>

ქართველ საზოგადოებრიობას ყურადღებიდან არც ის გამოჩენია, როცა მსახიობი გედევანოვი (მირალიანი) გარდაიცვალა. 1919 წ. პრესამ სინანულით აღნიშნა ეს ამბავი.<sup>2</sup>

საგრძნობი ძვრები იყო ოსურ ენაზე სასცენო წარმოდგენების გამართვის მხრივაც. ოსური სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე არსებობდა თბილისის სახალხო სახლშიც, რომელმაც 1918 წ. 17 დეკემბერს წარმოადგინა გიკუროვის „გაცრუებული იმედი ქალის მოტაცვაში“ და ა. ცაგარელას „ჰკუისა მჭირს“.<sup>3</sup> წარმოდგენები 1919, 1920 და 1921 წლებშიც იმართებოდა. დემოკრატიული საქართველოს არსებობის დროს ბოლო წარმოდგენა ოსურად 1921 წ. 23 იანვარს გაიმართა, როცა ე. ნინოშვილის „ქრისტიანე“ აჩვენეს.<sup>4</sup>

საყურადღებოა ისიც, რომ 1919 წ. ჯავაში გაიხსნა სახალხო სახლი „განათლება“, სადაც საღამოები და წარმოდგენები იმართებოდა და თან მუსიკაც უკრავდა.

უნდა ითქვას, რომ 1918 წ. მეორე ნახევარში ქუთაისში აქტიური თეატრალური ცხოვრება მიმდინარეობდა. ქუთაისის თეატრის დასში ამ დროისათვის ირიცხებოდნენ დასის ხელმძღვანელი, რეჟისორი მ. ქორელი. მსახიობები: ნ. ჩხეიძე, ო. ლოლობერიძე, მ. მდივანი, ე. ციმაკურიძე, მ. ჭიაურელი, კ. მაჭარაძე, დ. ძნელაძე, შ. ხონელი, ა. მურუსიძე, ზ. გომელაური, ვ. ჩხიკვაძე, ა. ყალაბეგიშვილი და ვ. სარელი, რომელთაც 1918—19 წ. სეზონის წინ ე. შოთაძე და ა. იმედაშვილიც (იგი რეჟისორიც იყო) მიემატნენ.

1917—18 წ. სეზონი აქ 2 იენისს. „მარგარიტა გოტიეთი“ დასრულდა.<sup>5</sup> რომელშიც თავისი კარგი თამაშით ნ. ჩხეიძე გამოირჩეოდა. რაც შეეხება სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს, მ. ჭიაურელს, მისი გამოსვლა პრესის მიერ კრიტიკულად იქნა შეფასებული.<sup>6</sup> დასმა სეზონი 7000 მ. ვალით დაასრულა. ეხება რა აღნიშნულ საკითხებს გ. ბუხნიკაშვილი წიგნში „ქართული

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 52

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 447

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 272

4 იქვე, 1921 წ., № 16

5 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 96

6 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 173

თეატრი ახალი ეპოქის მიჯნაზე“ წერს, რომ დასის ნაყოფიერი საქმიანობა თითქოსდა განპირობებული იყო იმით, რომ ადგილობრივ დრამატულ საზოგადოებას 1917 წლიდან კარგი თავმჯდომარე ი. პურადაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო რაც შეეხება მთავრობას, თითქოსდა ყველაფერი მის გარეშე კეთდებოდა.<sup>1</sup> გ. ბუხნიკაშვილი აქ ორ შეცდომას უშვებს. პირველი ის გახლავთ, რომ ი. პურადაშვილი დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელად არა 1917, არამედ 1918 წ. 9 სექტემბერს აირჩიეს და ბუნებრივია მისი დამსახურება ვერ იქნებოდა დასის კარგად მუშაობა 1917—18 წ. სეზონში, რომელიც 2 ივნისს დასრულდა. მეორე კი ის არის, რომ ქუთაისის თეატრს თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ენერგიულად ეხმარებოდა ქალაქის საბჭო. და თუ კი ქალაქის საბჭოს გ. ბუხნიკაშვილი მთავრობის დაწესებულებად თვლიდა, მაშინ გამოდის, რომ თეატრს ნაყოფიერ საქმიანობაში ხელს ხელისუფლებაც უწყობდა.

მართალია სეზონი 2 ივნისს კი დასრულდა, მაგრამ ამით ქალაქში წარმოდგენები არ შეწყვეტილა. თითქმის ყოველდღე, მაინც იმართებოდა სპექტაკლები თუ სხვა თეატრალური ღონისძიებანი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 4 ივნისს მოწყობილი „ცვარნამის“ საღამო, სადაც სპექტაკლი „ირინეს ბედნიერებაც“ აჩვენეს. საინტერესოა, რომ მასში შ. დადიანი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, მ. ჭიაურელი და სხვები მონაწილეობდნენ, ხოლო რეჟისორი დ. კლდაშვილი იყო.<sup>2</sup>

6 ივნისს კი დრამატულმა დასმა საზაფხულო სეზონი გახსნა და პირველ წარმოდგენად „ქეთევან წამებული“ აჩვენა.<sup>3</sup> მასში ქეთევანის როლი მარო მდივანმა შეასრულა, დადგამ პრესაში სუსტი შეფასება დაიმსახურა.<sup>4</sup> 7 ივნისს თეატრში „სამშობლო“ წარმოადგინეს, 12 ივნისს იუმორისტული საღამო გაიმართა, 13 ივნისს „კინრო“, „მოჩვენება“ და „დამარცხებულნი“ აჩვენეს და ა. შ.

მაყურებელმა ნ. შიუკაშვილის „ციცინათელაც“ ნახა, რომელიც მთავარი როლი ნ. ჩხეიძემ ბრწყინვალედ შეასრულა.<sup>5</sup> დადგამ

1 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, თბ., „ხელოვნება“, 1976, გვ. 110

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 101

3 იქვე

4 იქვე, № 105

5 იქვე, № 100



ბოლიანადაც დაიმსახურა მაღალი შეფასება და მასწი ნ. ჩხეიძესთან ერთად ა. ლოლუას, მ. ქორელის, ა. მურუსიძის, მგალობლიშვილისა და ე. ციმაკურიძის კარგი თამაშიც აღინიშნა.<sup>1</sup>

ქუთაისში მოძრავი დასიცი სურდათ შეექმნათ, რომელიც წარმოდგენებს ქალაქის სხვადასხვა უბნებში გამართავდა, მაგრამ იმხანად ეს ვერ მოხერხდა.<sup>2</sup>

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალე, ქალაქის საბჭომ სპანგებო სათეატრო კომისიაც აირჩია, რომელსაც თეატრის მდგომარეობა უნდა შეესწავლა. კომისიამ მართლაც შეისწავლა საკითხი და 24 აგვისტოს ქალაქის საბჭოს წარუდგინა თავისი მოხსენება, რომელიც თეატრის ქალაქის გამგებლობის ხელში გადასვლას ითვალისწინებდა. წინადადება მიღებული იქნა და თეატრი ქალაქს გადაეცა.<sup>3</sup> მალე გაიმართა კრება, რომელმაც სეზონისათვის მზადება განიხილა. კრებამ აუცილებლად მიიჩნია შეცვლილიყო დრამატული საზოგადოების გამგეობა და შექმნილიყო დრამატული სტუდია.<sup>4</sup> (იმ ეტაპზე სტუდიის შექმნა ვერ მოხერხდა, რადგან არ აღმოჩნდა მასში ჩარაცხვის მსურველთა საკმარისი რაოდენობა).<sup>5</sup>

1918 წ. 9 სექტემბერს ქუთაისში გაიმართა დრამატული საზოგადოების მე-9 წლიური კრება, სადაც მართლაც შეიცვალა საზოგადოების ხელმძღვანელობა და გამგეობის თავმჯდომარედ აზოგოდონის კომერციული ბანკის ქუთაისის განყოფილების გამგე ი. პურადაშვილი აირჩიეს.<sup>6</sup> საზოგადოების გამგეობაში შევიდნენ: ი. ასლანიშვილი (მდივანი), მ. ქორელი (რეჟისორი), ა. იმედაშვილი (II რეჟისორი) ო. ლოლბერიძე, მ. მდივანი, პ. შოთაძე, ნ. ჩხეიძე, ა. ლოლუა, ჯ. ჯორჯიკია და დ. ჩხეიძე (გამგეობის წევრები). საზოგადოების წევრები იყვნენ ე. ციმაკურიძე, მ. ჭიაურელი, კ. მაჭურაძე, შ. ბოჭორიშვილი, ს. ყალაბეგაშვილი, შ. ხონელი, ა. მურუსაძე, შ. გომელაური, ს. სარელი, ვ. ჩხიკვაძე, შ. ლამბაშიძე და პ. კორაშელი.<sup>7</sup>

ახალი სეზონი ქუთაისში 1918 წ. 21 ნოემბერს „ლალატი“ გა-

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 101

2 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 186

3 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 160

4 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 124

5 ქურნ. „თეატრი და მუსიკა“, 1919 წ., № 1

6 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 101

7 ქურნ. „თეატრი და მუსიკა“, 1919 წ., № 1

9. ამირან ნიკოლეიშვილი

იხსნა. დასმა (მაჟ. მ. ქორელი ხელმძღვანელობდა) სხვადასხვა დროს მაყურებელს მრავალი წარმოდგენა უჩვენა, რომელთა შესახებ პრესაში არაერთი რეცენზია დაიბეჭდა და რომლებშიც შეფასება ჰქონდა მიცემული განხორციელებულ სპექტაკლებს.

მაგალითად, „ხალხის მეგობარში“ „ოტელოზე“ გამოქვეყნდა „შ. ა.“-ს რეცენზია, რომელშიც დადგმა დაწუნებული იყო. ავტორის აზრით, პიესა იმდენად შეცვლილი იყო, რომ იგი სრულიადაც არ ჰგავდა შექსპირის ოტელოს. განსაკუთრებით დაწუნებულია მსახიობთა თამაში. გარდა ა. იმედაშვილისა (ოტელო), რომელიც შეუღლებელი ყოფილა როლში. სუსტი ყოფილა კორიშელი (იაგო). „რამდენს კარგავს იმედაშვილის საუცხოო თამაში, წერდა „შ. ა.“: რომ მას არ ჰყავს ამ პიესაში თავისი პარტნიორები.“<sup>1</sup>

იმავე გაზეთში „შ. ა.“-ს რეცენზია „ივერიძის ოჯახზე“ დაიბეჭდა. პიესის სირთულის გამო სპექტაკლს ცოტა ხალხი დასწრებია. სპექტაკლი მ. ქორელმა დადგა (რეცენზენტის აზრით, ნიჭიერი რეჟისორი მ. ქორელი იმის გამო, რომ სერიოზულ პიესებს ხალხი ნაჯღებად ესწრებოდა, იძულებული იყო ისეთი მდარე პიესებიც დაედგა როგორცაა „ქრისტიანე“ (შ. ა. აზრით იგი პორნოგრაფიულა ნაწარმოები იყო.). აძლევდა რა წარმოდგენას მაღალ შეფასებას, რეცენზენტი განსაკუთრებით გამოჰყოფდა ყალბეგაშვილის, ჭიაურელის, ღოღობერიძის, გომელაურის და ხონელის თამაშს, ხოლო სუსტად მიიჩნევდა კორიშელს.<sup>2</sup>

დაბალი შეფასება ჰქონდა მიცემული „ჩვენს ქვეყანაში“ ვინმე ბაქუას მიერ „ურიის სისხლს“ და მასში ა. იმედაშვილის თამაშს. მოწონება აქ მხოლოდ ნ. ჩხეიძემ დაიმსახურა.<sup>3</sup>

ბუნებრივია, რომ როგორც ყველგან, აქაც თეატრს ჰქონდა ძლიერი და სუსტი დადგმები. არათანაბარნი იყვნენ მსახიობებიც, რაც არც იყო გასაკვირი, მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მთელი თეატრი დაეწუნებინათ, როგორც მაგალითად ეს პ. კეკელიამ გააკეთა „ხალხის მეგობარში“ მისი აზრით, თეატრში გამეფებული პლასტიკა, კილო, ინტონაცია, რიგი და სტილი არ იყო ქართული.<sup>4</sup>

1 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 334

2 იქვე, № 330

3 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 27

4 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 209

1918 წ. დაწყებული ზამთრის სეზონი ქუთაისში 1919 წ. „მარტივი გოტიეთი“ დასრულდა (სხვათაშორის სპექტაკლში მალალი შეფასება დაიმსახურა ნ. ჩხეიძის თამაშმა, ხოლო ა. იმედაშვილს, ჰრესის აზრით, როლი არ გამოუვიდა).<sup>1</sup> სულ გაიმართა 61 წარმოდგენა, საიდანაც შემოსავალმა 361790 მ. ხოლო გასავალმა 489625 მ. შეადგინა. ბუნებრივია, ამან თეატრი უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო. საქმეს არ შეელოდა ბილეთების ფასის გაზრდაც, რადგან ამან პრესის მწვავე რეაქცია გამოიწვია. თეატრის ხელმძღვანელობას თავის მართლება დასჭირდა. რომ ბილეთები ძვირი არ იყო.<sup>2</sup> ზარალი იმანაც გამოიწვია, რომ ქალაქში გავრცელდა შავი სახადი და ამის გამო თეატრი (სხვა გასართობი დაწესებულებანიც) 18 დღით დახურული იყო. თეატრმა დეფიციტის დაფარვა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას სთხოვა. რომელმაც თავის მხრივ დასკვნა განათლების სამინისტროს მოსთხოვა.<sup>3</sup>

1918 წ. 9 მარტიდან ქუთაისში დრამატულმა საზოგადოებამ საგაზაფხულო სეზონი გახსნა. საგაზაფხულო სეზონის დასში შევიდნენ ა. ლოლუა, მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე, პ. შოთაძე, ნ. ჩხეიძე, ე. ცაძე, მ. აფხაიძე, შ. ბოჭორიშვილი, ზ. გომელაური, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, კ. მაჭარაძე, ა. მურუსუძე, ვ. სარელი, მ. ქორელი, შ. ლამბაშიძე, ა. ყალიბეგიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, გ. ჩარკვიანი, მ. ჭიაურელი და შ. ხონელი. რეპერტუარში შევიდა ნ. შიუჯაშვილის „მთის ზღაპარი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, დრეიერის „ზამთრის სიზმარი“, ბრიეს „წითელი მოსახურავე“. ზუდერმანის „ქვის მოლელნი“, გ. აბაკელიას „1623 წელი“, დელორმის „პანსიონში“, პოტაპენკოს „ჟულიკი“, ჰეირმანის „ცოველთა მწუხარეთა“, ბრეშტიენის „გრიგალი“, როსტანის „რომანტიკოსები“, მალბეს „სიკაბუკე“, მეტერლინკის „ბეატრისა“, ენგელის „ზღვასთან“, ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“ და ბურჟინის „მედია“.<sup>4</sup> როგორც ზემოთ ვწერდით, მთელი სეზონი 2 ივნისამდე გაგრძელდა და სულ 86 სპექტაკლი იქნა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, რეპერტუარში შეტანილი ყველა პიესა არ დადგმულა. სამაგიეროდ, რამდენიმე ისეთი დაიდგა. რომლებიც რეპერტუარში წი-

1 ვაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 50

2 ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 38, 44

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 72

4 იქვე, 1919 წ., № 59

ნასწარ არ ჰქონდათ შეტანილა. ასე მაგალითად, ი. ეკალაძის „იქ 21 ჯვრით“ (1 მაისს), ვ. გუნიას ალლუმი“ (3 მაისს) „ლალატი“ (15 მაისს) და ა. შ. დადგებმა საკმაოდ კარგი შეფასებები დაიმსახურეს. მაგალითად, დადებითად შეფასდა „უჩრის სისხლი“ და მასზე მოთამაშე ნ. ჩხეიძე და მ. ჭიაურელი,<sup>1</sup> „ალლუმი“ და მასში მოთამაშე მ. ჭიაურელი,<sup>2</sup> „ლალატი“ და მასში მთავარი როლის შემსრულებელი ნ. ჩხეიძე<sup>3</sup> და ა. შ.

ქუთაისის დასმა თავისი ერთი წარმოდგენა, „ნილაბქვეშ“, 17 აპრილს სამტრედიისშიც უჩვენა მაყურებელს.

იმ წლების ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას გამორჩეულ ელფერს აძლევდა იქ ნ. ჩხეიძის მოღვაწეობა. მის უზადო ოსტატობა მთელი საქართველო აფასებდა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ნ. ჩხეიძეს ყველა ქალაქში დიდი სიხარულით ეპატივებოდნენ. 1918 წ. 24 ივნისს მსახიობი საგასტროლოდ თბილისს ეწვია, სადაც მან სახელმწიფო თეატრში ნ. შიუკაშვილის „სულელში“ ითამაშა. ეს სპექტაკლი ქუთაისში მ. ჭორელის რეჟისორობით მანამდე 12-ჯერ იქნა წარმოდგენილი (იგი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ცენტრისაგან აკრძალული იყო). თბილისში ნ. ჩხეიძეს პარტნიორობა მ. ჭიაურელმა გაუწია. გასტროლს ორგანიზაცია ქართველ მსახიობთა კავშირმა გაუკეთა.<sup>4</sup>

1918 წ. ქუთაისში სცენას მოყვარულთა დასებიც მოქმედებდნენ. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ქვიტირის ქუჩაზე არსებული დრამატული წრე. რომელმაც 1918 წ. მეორე ნახევრიდან, სხვადასხვა დროს, მაყურებელს უჩვენა „საცოლე“, „კოცნა“, „ფარნაოზის III ცოლი“. „რაც არ გერგება. არ შეგერგება“, „ლოთი კაცის ოჯახი“, „ხოსიას ღელე“, „ნიჰის ძალა“, „მოქალაქის სიზმარი“, იმართებოდა დრამატული, საბავშვო და პოეზიის საღამოები და ა. შ. თეატრს უფრო მეტის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ უჩიოდნენ პიესების უქონლობას.<sup>5</sup> 1918 წ. არ ემადლიერებოდნენ მის გამგეობასაც, ჰქონდათ ვალები, სუსტნი იყვნენ სცენის მოყვარეები და ა. შ. გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ თვლიდა, რომ საქ

1 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 44

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ. № 79

3 იქვე, № 222

4 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 124

5 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 160

მეს დიდად წაადგებოდა ადგილზე დრამატული საზოგადოების შექმნა და თეატრის ხელმძღვანელობის განახლება.<sup>1</sup>

დრამატული წრე ქუთაისის წყალგალმა უბანში, ლაგერას ქუჩაზე მოქმედებდა. ასევე არსებობდა გამყრელიძის ცირკიც.

საბოლოო ჯამში 1918—19 წლების სეზონში (სეზონი 23 მაისს „ოტელოთი“ დასრულდა) დასმა მაყურებელს 86 წარმოდგენა უჩვენა. აქედან 47-ჯერ წარმოდგენილი იქნა 16 ქართველი ავტორის 30 ნაწარმოები, ხოლო 39-ჯერ 19 უცხოელი ავტორის 21 ნაწარმოები.

ეს დადგმები იყო: ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ნ. შიუქაშვილის „სიმახინჯე“, „ციცინათელა“ და „სულელი“, ვ. შალიკაშვილის „ძველი დროის ბიუროკრატები“, „არამზადები“ და „გადაჭრილი მუხა“, შოთა დადიანის „განწირულნი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ვ. გუნიას „ივერიძის ოჯახი“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „ძალა აღმართს ხნავს“, „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, „არვიდარია“, „სიბე-სიმამრი“, „დედისერთა“ და „სცენა სცენაზე“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.. ე ჯამბაყურ-ორბელიანის „შურისძიება“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, „შენი ჭირიმე“ და „კალმის ნაეშმაკარი“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ი. ეკალაძის „№ 21 ჯვრით“, შ. შარაშიძის „სინემატოგრაფი“, გ. აბაკელიას „ორი მოღალატე“, მ. ქორელის „შურისძიება“, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, ზუდერმანის „მამულ-დედული“, „ივანობის ღამე“ და „ქვის მთელნი“, ანდრეევის „დღენი ჩენი ცხოვრებისა“, შექსპირის „ოტელო“ და „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ბარის „ნაპოლეონი და ეოზეფინა“, ლიბერმანის „სიმართლე“, სამოილოვის „გამარჯვებულს არ სჯიან“, სობოლშიჩოვ-სამარინის „ვიდრე ჰხვალ“, გუცოვის „ურთელ აკოსტა“, დრეიერის „ზამთრის სიზმარი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, მელვილის „სიყვარული და ცრუმორწმუნეობა“, როსტანის „რომანტიკოსები“, როზოს „თაგვის ბრაღია“, ჰაუპტმანის „მეეტლე ჰენშელი“, შილერის „ყაჩაღები“, ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ბერნშტეინას „ურთის სისხლი“ და არციბაშევის „ოპი“. ქართველ ავტორთაგან ყველაზე მეტჯერ დაიდგა ვ. შალიკაშვილის „ძველი დროის ბიუროკრატები“ (ოთხჯერ), ნ. შიუქაშვილის „ციცინათელა“ და ი. ეკალაძის „№ 21 ჯვრით“ (სამ-სამჯერ),

<sup>1</sup> გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ., № 380

ხოლო უცხოელი ავტორებიდან შექსპირის „ოტელო“ (ოთხჯერ), სრ-ბოლჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ჰხვალ“, ბერნშტეინის „ურისის სისხლი“, არცბაშევის „ომი“ და შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ (სამ-სამჯერ). ყველა დადგმა მ. ქორელმა და ა. იმედაშვილმა განახორციელეს.

ენერგიულად დაიწყო 1919—20 წ. სეზონისთვის სამზადისიც. თბილისიდან მთავარ რეჟისორად მიიწვიეს ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე ა. იმედაშვილი, ხოლო თეატრის დირექტორად ასევე თბილისიდან მოწვეული გ. იორდანიშვილი დაინიშნა.<sup>1</sup> შეიქმნა დასი, რომელსაც თბილისიდან ი. ზარდალიშვილიც შეუერთდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ კი დაიწყო თეატრის გაფართოება-გარემონტების სამუშაოები. სეზონის დაწყება თავდაპირველად 1 ოქტომბერს იყო ნაგარაუდები, მაგრამ შემდეგ იგი 12 ოქტომბერს გადაიტანეს (მზადდებოდა „ლალატი“).

ახალი სეზონისათვის ქალაქის ხელმძღვანელობამ სხვა ნაბიჯებიც გადადგა. მან თეატრის შენობა უფასოდ დაუთმო დრამატულ საზოგადოებას, წარმოდგენები გაანთავისუფლა გადასახადისაგან (დაბეგვრისაგან) და თეატრს აპატაა წინა სეზონის ვალი და უფრო მეტიც, დრამატულ საზოგადოებას მისცა სუბსიდია.<sup>2</sup>

ქალაქის ასეთ მცდელობას მხარი პარლამენტის ხელოვნების კომისიამაც დაუჭირა, რომელმაც მოამზადა სახელმწიფო თეატრის დებულების პროექტი ქუთაისისათვის, რაც სულ 2 მილიონი მანეთი დაჯდებოდა წლიურად. პროექტით სეზონი რვა თვეს უნდა გაგრძელებულიყო და სულ 150 წარმოდგენა გამართულიყო. პროექტი ა. ფაღავამ შეადგინა.<sup>3</sup>

ასეთ ფონზე ძნელია ახსნა მოუძებნო „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილი ვინმე ჯაფარ-ფანას წერილს, რომელიც წერდა, რომ ქალაქის გამგეობამ თითქოსდა ვერანაირი კვალი ვერ დააჩნია კულტურულ შოღვაწეობას. თუმცა იგი იქვე წერს, რომ თეატრის შენობის გაფართოება დაიწყო, მაგრამ სეზონის დაწყებაზე არვინ ფიქრობსო.<sup>4</sup> კი მაგრამ,

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 206, „სახალხო საქმე“, № 641

2 გაზ. „საქართველოს ჩესპუბლიკა“, 1919 წ., № 193

3 იქვე. № 276

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 840

თუ თეატრი ფართოვდებოდა და რემონტდებოდა, შეიქმნა დასი, მოიწვიეს მთავარი რეჟისორი, დირექტორი და მსახიობები, გამოიძებნა სახსრები თეატრისთვის და ა. შ. ეს ნუთუ არ იყო ფიქრი ახალი სეზონისთვის?

უნდა ითქვას, რომ თეატრს ქალაქში კერძო პირებიც ეხმარებოდნენ. გაზეთმა „ჩვენმა ქვეყანამ“ ვრცელი სიაც კი დაბეჭდა იმათი, ვინც დრამატულ საზოგადოებას რაიმე შესწირა 1919 წ.<sup>1</sup>

1919 წ. ქუთაისში წარმოდგენებს მოყვარული დასებიც მართავდნენ, მაგალთად, რკინიგზის კლუბში, მუშათა პროფკავშირის ახლად გახსნილ თეატრ-კლუბში ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა წრე „პრობლემა“, გორაზე ახელედიანებისა და ს. მარჯანიშვილის სახლებში და ა. შ.

1919 წ. ქუთაისში რუსული წარმოდგენებიც იმართებოდა. კერძოდ თეთრ ხილთან 6 ივლისს გაიხსნა მინიატურების თეატრი, რომელიც მაყურებელს ყოველდღიურად ღებულობდა.<sup>2</sup> თეატრი დგამდა დრამებს, მინიატურებსა და მუსიკალურ პიესებს. თეატრს თავის ორკესტრიც ჰყავდა. პრესაში ხშირად იბეჭდებოდა დიდებით რეცენზიები თეატრის დადგმებზე, რომლებსაც მაყურებელი მრავლად ესწრებოდა. ერთ-ერთი სპექტაკლი მათ ქალაქის დრამატული თეატრის შენობაშიც კი გამართეს.<sup>3</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ 1919 წ. მთელმა საქართველომ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღნიშნა ქუთაისის თეატრში მოღვაწე ნ. ჩხეიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ პერიოდის საქართველოს პრესის ერთ-ერთი ძირითადი თემა სწორედ ნ. ჩხეიძე და მისი შემოქმედება იყო. იგი სხვადასხვა სპექტაკლებში წარმატებით ასრულებდა ზეინაბის, მედეას, ქეთევანის, მარგარიტა გოტიეს და სხვა წამყვან როლებს, როგორც ქუთაისში, ისე თბილისშიც. მაგალითად, 1919 წ. მან მედეას როლი თბილისის დრამსტუდიის დადგმაში, ხოლო 1920 წ. 18 თებერვალს „დალატ-ში“ ზეინაბი შეასრულა. ასევე ითამაშა 15 ივლისს ვ. ალექსი-მესხიშვილთან ერთად „ინსტიქტში“ (დადგა ვ. ალექსი-მესხიშვილმა) და ა. შ.

ყველაზე პირველად ნ. ჩხეიძის დამსახურება ქართველ მსახი-

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 141

2 იქვე, № 122

3 იქვე, № 31, 124, 129, 131

ობთა III ყრილობამ აღნიშნა 1919 წ. 29 მაისს. აქ იგი მიღებული იქნა კავშირის წევრად და 2000 მანეთით დაასაჩუქრეს. ყრილობამ ქუთაისში საუბილეო საღამოზე წასვლა ე. მესხსა და ვ. გუნიას დაავალა.<sup>1</sup>

ქუთაისში საუბილეო საღამო 1 ივნისს დაინიშნა. შეიქმნა საუბილეო კომიტეტი, რომელსაც ი. პურადაშვილი ხელმძღვანელობდა.<sup>2</sup> ქალაქში ამ დღეს დიდი ზეიმი გაიმართა. საზეიმოდ აყო. ძორთული თეატრის შენობაც, სადაც იუბილარი 11 საათზე მორთული მანქანით მიიყვანეს. იუბილე 12 საათზე დაიწყო. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დ. კლდიაშვილი, ვ. გუნია, ი. პურადაშვილი, თ. ჭუმბურიძე, ნ. ასათიანი, ლ. ქორქაშვილი, ი. ჟღენტი (ხონის დრამატული საზოგადოებიდან), გ. ჯაფარი (ონის დრამატული საზოგადოებიდან), დ. თომაშვილი, პ. იაშვილი და სხვები. იუბილარი მთავრობამ ლერბით, გვირგვინითა და 5000 მანეთით დააჯილდოვა. 5000 მანეთით იგი ქუთაისის ქალაქის საბჭომაც დაასაჩუქრა. საღამოზე, სამადლობელი სიტყვის შემდეგ, გაიმართა წარმოდგენა, რომელშიც თვით ნ. ჩხეიძეც მონაწილეობდა.<sup>3</sup>

ნ. ჩხეიძის იუბილე ასეთივე დიდი ზეიმით თბილისშიც აღინიშნა, სადაც მას სამართლიანად ქართული სცენის სინდისი უწოდეს. დედაქალაქში საუბილეო კომიტეტს ი. ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. კომიტეტში ასევე შედიოდნენ პ. საყვარელიძე, შ. ამირეჯიბი, ა. წუწუნავა, ა. იმედაშვილი, ა. ახმეტელი, შ. შარაშიძე და სხვები. შემუშავებული იქნა ღონისძიებათა ფართო გეგმა, რომელიც პრესაშიც დაიბეჭდა.<sup>4</sup> გადაწყდა საუბილეოდ თბილისში გამოეცათ საგანგებო კრებული, რომელშიც შევიდოდა მასზე დაწერილი მოგონებანი, წერილები, ლექსები, ბიოგრაფია და მისი სურათები. იუბილარს მიეძღვნებოდა „თეატრი და ცხოვრების“ სპეციალური ნომერიც.<sup>5</sup>

იუბილე 21 დეკემბერს გაიმართა, ნ. ჩხეიძე თეატრში მორთული მანქანით მიიყვანეს, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ცვარნამი, ი. ბარათაშვილი, კ. ყიფიანი, ი. გომარ-

1 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 120

2 იქვე, № 110

3 ვახ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 100

4 ვახ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 691, 700, „საქართველოს რესპუბლიკა“, № 280, 289

5 ვახ. „ერთობა“, 1919 წ., № 289



თელი და სხვები. ზეიმს ნ. ჟორდანიაც დაესწრო. საღამოზე შესრულებულა იქნა „აბესალომ და ეთერის“ მეორე მოქმედება, ხოლო „ღალატისა“ და „უბედური ნაბიჯის“ ბოლო მოქმედებებში თვითონ იუბილარიც მონაწილეობდა. საღამოზე ნ. ჩხეიძე მთავრობამ 10 000, თბილისის საბჭომ 5000, თბილისის მაზრის ერობამ 3000 და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1000 მანეთით დაასაჩუქრეს.<sup>1</sup>

1919 წ. ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში სხვა საყურადღებო მოვლენებიც მოხდა. ასე მაგალითად, 23 იანვარს თეატრში გამართულ ზუდერმანის „დედულ-მამულის“ წარმოდგენას ფონკრესის მეთაურობით გერმანიის დელეგაციაც კი დაესწრო.<sup>2</sup> ამ წელს ქალაქს საგასტროლოდაც ეწვივნენ 15 აპრილს — გაზალიუსი,<sup>3</sup> 12-20 მაისს — თბილისის დასი, რომელმაც „ბურუსი“ და „სოფლის ფერშალი“ აჩვენა და 4-7 სექტემბერს — გ. არადელი-იშხნელი. ამ უკანასკნელმა სპექტაკლებში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „მარიამ მაგდალინელსა“ და „ჩაძირულ ზარში“ მიიღო მონაწილეობა.

გაიმართა რამდენიმე საბენეფისო წარმოდგენაც — 27 მარტს მ. ქორელის, 22 მაისს პ. კორიშელის (ამ დღეს აჩვენეს ს. შანშიაშვილის „უვეირგვინო მეფენი“, რომელიც პრესამ სხვადასხვაგვარად შეაფასა. „ჩვენმა ქვეყანამ“ სპექტაკლი მკაცრად დაიწუნა, ხოლო „სოციალ-დემოკრატში“ შ. გომართელმა მას მეტად თბილი რეცეზია უძღვნა).<sup>4</sup> 17 სექტემბერს ი. იმედაშვილის და 19 დეკემბერს შ. გომელაურის. ასევე, ერთი წარმოდგენის შემოსავალი მთლიანად ავადმყოფ ლ. სარელს გადასცეს დახმარების მიზნით. თეატრის სცენა რამდენიმეჯერ მოსწავლეებსაც დაეთმოთ. მაგალითად, 11 მარტს „პატარა კახი“ წარმოადგინეს ვაჟთა III გიმნაზიის მოსწავლეებმა. ზოლო 2 აპრილს 17 და 21 მაისს გაიმართა საბავშვო დილა და საღამოები. იმართებოდა საღამო-მასკარადები, სცენის მოყვარეთა წარმოდგენები (მაგალითად 26 მაისს სცენა მათ დაეთმოთ) და ა. შ.

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 290, 294, „ერთობა“, № 292

2 ვაზ. „სოციალ-დემოკრატია“, 1919 წ., № 15

3 იქვე, № 85

4 ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 94, „სოციალ-დემოკრატია“, 1919 წ., № 39.

3 მაისს კი ვ. გუნიას „აღლუმი“ მ. მდივნის სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავს მიეძღვნა.

თეატრში ზოგჯერ ერთობლივი ლიტერატურულ-თეატრალური ღონისძიებებიც იმართებოდა. მაგალითად, 23 მაისს მოხსენებით სიმბოლიზმზე შ. აფხაიძე, ხოლო სიტყვებით პ. იაშვილი, შ. კარმელი და რ. გვეტაძე გამოვიდნენ. შემდეგ კი წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ოტელი“.<sup>1</sup>

20 ივნისს თეატრში ხელოვნების ტრიბუნალი—დისპუტიც მოეწყო, სადაც მოხსენებით „ხელოვნება და რევოლუცია“ და „არშინ. მალა-ლანის“ გასამართლება გ. ლაღაძე გამოვიდა. სხდომას დ. კლდიაშვილი თავმჯდომარეობდა, პროკურორებად კი მ. ბალანჩივაძე და პ. იაშვილი გამოვიდნენ.<sup>2</sup>

1919 წ. ქუთაისში მსგავსი საღამოები ოფიცირთა საკრებულოს შენობაშიც იმართებოდა, თუმცა ისინი ერთობ მდარე ხასიათისა იყო.<sup>3</sup>

ქუთაისში 1919-20 წ. სეზონმა კარგად ჩაიარა. თეატრის დასში ამ დროს ირიცხებოდნენ ქალები — ც. ამირეჯიბი, ს. ბეჟანიშვილი, ა. ლოლუა, მ. მდივანი, ე. ანდრონიკაშვილი, ნ. სირბილაძე, თ. ჩარკვიანი, ე. ციმაკურიძე, მ. ქილარჯიშვილი, ო. ლოლობერიძე და პ. შოთაძე. კაცები — ვ. არაბიძე, ქ. აბაკელია, ე. აფხაიძე, ზ. გომელაური, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. ბოჭორიშვილი, მ. ნემო, გ. ჩარკვიანი, პ. კორიშელი, მ. ლორთქიფანიძე, ა. მგალობლიშვილი, ა. მურუსიძე, კ. პატარიძე, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი და შ. ჯაფარიძე.

თბილისში გადასული მ. ქორელის ნაცვლად (იგი გ. ჯაბადარის სტუდიაში გადავიდა) დასს ჯერ ა. იმედაშვილი, ხოლო შემდეგ შ. დადიანი ჩაუდგა სათავეში. ასევე თბილისში გადავიდნენ ნ. ჩხიკვიძე და მ. ჭიაურელიც. დასში რეჟისორის ამხანაგებად (თანაშემწეებად) ი. ზარდალიშვილი და ა. ყალაბეგიშვილი ირიცხებოდნენ. ჰყავდათ სცენარიუსა და ორი მოკარნახეც. სეზონი 11 ოქტომბერს ვ. გუნიას „ციხის საიდუმლოთი“ გაიხსნა. უნდა ითქვას, რომ სეზონმა მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა, მასზე ბევრი სა-

1 გაზ. „ჩენი ქვეყანა“, 1919 წ., № 95

2 იქვე, № 103

3 იქვე, № 95

ქებარი სიტყვები დაიწერა 1920 წლის გაზეთ „მსახიობის დღეში“<sup>1</sup> ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ და ა. შ. ეს უკანასკნელი დაწერილებით განიხილავდა დასის საქმიანობას და აღნიშნავდა, რომ ქუთაისში მიმდინარეობდა ძალიან კარგი, ყველაზე უკეთესი სეზონი და მით უფრო საწყენი იყო, რომ იგი პრესიდან მივიწყებული იყო. დასი კვირაში 3—4 წარმოდგენას მართავდა, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ჟურნალი მალალ შეფასებას აძლევდა მსახიობთა თამაშს და დასის რეპერტუარს. ყოველივე ეს მით უფრო საყურადღებო იყო, რომ თბილისში ფაქტიურად 1919-20 წ. სეზონი ჩაშლილი იყო. ჟურნალი გულისტკივილით იმასაც აღნიშნავდა, რომ ქუთაისის თეატრს შენობა არ უყვაროდა. იგი ძველი და ვიწრო, ხოლო სცენა და დარბაზი პატარა იყო, ასე რომ მისი გაფართოება აუცილებლობას წარმოადგენდა.<sup>2</sup>

თეატრის შენობის საკითხს ს. ასლანიშვილიც შეეხო „სახალხო საქმეში“. წერილში „ქუთაისის ცხოვრება“, იგი აღნიშნავდა, რომ ქალაქში ცხოვრება არააობად იყო ქცეული და თეატრი უშნო თავლას წააგავდა. მისი აზრით, ქუთაისი მოკლებული იყო თეატრს (შენობას) და ეს მიუხედავად იმისა, რომ ძალები იყვნენ. შენობისათვის საჭირო იყო ფული და არა დაპირებები. მართალია 1919 წ. ქალაქმა შენობის რემონტისათვის 60 000 მ. კი დახარჯა, მაგრამ ამით მაინც არაფერი გამოვიდა.<sup>3</sup> ს. ასლანიშვილმა შემდეგშიც გააკრიტიკა ქალაქის ხელმძღვანელობა შენობის უყვარვისობის გამო და აღნიშნა, რომ მიუხედავად ჩატარებული რემონტისა, საქმეს მაინც არ ეშველა, რადგან ქალაქი არ ეხმარებოდა ხელოვნებას თავისი ტაძრის აგებაში, რაც თითქოსდა მას არ შეეძლო.<sup>4</sup>

1919—20 წ. სეზონს „თეატრი და ცხოვრება“ სხვა დროსაც შეეხო. ჟურნალის აზრით, ქუთაისში სეზონი ასე საიმედო და კარგი ჯერ არასოდეს ყოფილა.<sup>5</sup>

მიუხედავად ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ განცხადებისა, რომ ქუთაისის თეატრის დასი პრესიდან მივიწყებული იყო, მის დადგმებზე ზოგჯერ მაინც იბეჭდებოდა რეცენზიები, რომლებშიც

1 გაზ. „მსახიობის დღე“, 1920 წ.,

2 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 4

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 841.

4 იქვე, № 983-84

5 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2

ცალკეული სპექტაკლები იყო შეფასებული. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს. 1920 წ. გაზეთმა „სახალხო საქმე“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელის“ დადგმას ქუთაისში, რომელიც ი. ზარდალიშვილის სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავს მიეძღვნა და მასში რასკოლნიკოვის როლი თვითონ იუბილარმა შეასრულა.<sup>1</sup>

რეცენზია ალ. ჭარმა „სოციალ-დემოკრატი“ გამოაქვეყნა, რომელშიც მან „ჰიოლას“ (დაიდგა 14—15 თებერვალს), „ჰენრიხი, მეფე ნავარისა“ (დაიდგა 19 თებერვალს), „აღლუმის“ (დაიდგა 21 თებერვალს) და „კინის“ (დაიდგა 22 თებერვალს) დადგმები განიხილა. რეცენზენტმა დადებითად შეაფასა სპექტაკლებში მ. მდივნის, ი. ზარდალიშვილის, ა. ყალაბეგიშვალის, ა. ლოლუას, შ. ხონელის, ზ. გომელაურის, პ. კორიშელის და ა. იმედაშვილის თამაში და აღნიშნა ც. ამირეჯიბის სუსტი შესრულება და ზოგიერთი მსახიობის მიერ როლის უცოდინარობა. საერთოდ კი ალ. ჭარმა სპექტაკლები დადებითად შეაფასა, თუმცა მიუთითა თეატრის მატერიალურ სიდუხჭირესა და აქედან გამომდინარე დეკორაციების სიღარიბეზე.<sup>2</sup>

რეცენზია „ერთობაშიც“ დაიბეჭდა და იგი სპექტაკლ „ურთელ აკოსტას“, (ავტორი ა. ბ.) ეხებოდა. რეცენზენტის აზრით, დასს სპექტაკლი არ გამოუვიდა. სუსტად ითამაშა თვით ა. იმედაშვილმაც. უფრო მეტიც, თეატრი იმდენად უპასუხისმგებლოდ მოჰკიდებია საქმეს, რომ მსახიობებს როლებიც კი არ სცოდნიათ ზეპირად. ყოველივე ამას კი მაყურებლის ხმაური, ხმამაღალი რეპლიკები და დაბალი კულტურაც დამატებია (იმ წლებში საერთოდ იდგა მწვავედ მაყურებლის კულტურის პრობლემა), რასაც კიდევ უფრო შეუწყვიტა ხელი დადგმის წარუმატებლობისათვის.<sup>3</sup>

1919—20 წლების სეზონში დასმა მაყურებელს უჩვენა ვ. გუნიას „ციხის საიდუმლო“, „დაძმა“ და „აღლუმი“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“ და „გეგეჰკორი“, ა. უმიკაშვილის „სამზადისი“, შ. წარაშაძის „სინემატოგრაფი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, პ. ირეთელის „ქრისტიანე“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ა. ჟორჯოლიანის „სოფლის ფერმა“

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 732

2 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1920 წ., № 8

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 131

ლი“, ვ. შიუკაშვილის „მეგობრობა“, ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“, ა. სუმბათაშვილის „ლალატი“, შილერის „ყაჩაღები“, დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, ა. დიუმას „კინი“, დევერიეს „ჰენრიხ მეფე ნავარელა“, ანდრეევის „ეკატერინე ივანოვნა“, ბარის „ნაპრლეონი და ჟოზეფინა“, ლუხმანოვის „სიკვდილი ნაპრლეონისა“, დენერის და კორმონის „ორი ობოლი“, ვებერის „პატარა კოლეტა“, კოსოს „ნერონი“, მეიერ-ფერსტერის „მემკვიდრე პრინცი“, შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“, „ჭირვეული ცოლის მორჩულება“ და „იულიუს კეისარი“, ბეიერლიენის „სამხედრო ბანაკში“, ლენგიელის „ტაიფუნი“, სობოლშჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ჰხვალ“, სამოილოვის „გამარჯვებულებს არ სჯიან“, სერგუჩევის „შემოდგომის ჰანგები“, მოლიერის „ტარტიუფი“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ფოსის „დამნაშავეა“ და ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

მთელს სეზონში სულ 63 წარმოდგენა გაიმართა. 24 ქართველ ავტორთა, ხოლო 39 უცხოელ ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით. სხვაგვარად თუ ვიტყვი, 12 ქართველი ავტორის 15 ნაწარმოები 24-ჯერ (ყველაზე მეტჯერ წარმოდგენილი იქნა ა. სუმბათაშვილის „ლალატი“ (ოთხჯერ) და ვ. გუნიას „ციხის საიდუმლო“ (სამჯერ), ხოლო 21 უცხოელი ავტორის 24 ნაწარმოები 39-ჯერ აჩვენეს.

ამ მონაცემებით თამამად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ა. იმედაშვილი (სწორედ მან დადგა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნაწარმოები), ქართულთან შედარებით, უპირატესობას უცხოურ დრამატურგიას აძლევდა. რა თქმა უნდა. ამით სულაც არ გვინდა ვთქვათ, რომ რეჟისორს უცხოური დრამატურგია არ უნდა დაედგა (მხედველობაში გვაქვს კლასიკური და ასე თუ ისე სახირო ნაწარმოებები). მაგრამ როცა იგი დასადგმელად აშკარად უსუსურ უცხოურ ნაწარმოებებს ირჩევდა, ამას გამართლება ნამდვილად არა აქვს. ამ შემთხვევაში გაცილებით აჯობებდა უპირატესობა ეროვნულ ნაწარმოებებზე შეჩერებულიყო, რაც უდავოდ შეუწყობდა ხელს ქართული დრამატურგიის განვითარებასაც.

გაცილებით ძნელი გამოდგა დასისათვის 1920—21 წლების სეზონი, რომელსაც შ. დადიანი ხელმძღვანელობდა. ახლადარჩეულ დრამატულ საზოგადოებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ქალაქში სეზონი არ ჩაშლილიყო (1920 წ. საზოგადოების თავმჯდომარედ შ. დადიანი აირჩიეს). საქმე იმაშია, რომ ეს საფრთხე მართლაც

ძალზე რეალური იყო, რადგან 1920 წ. თითქმის მთელი დასი სამუშაოდ თბილისში გადავიდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის ხელმძღვანელობამ ახალი სეზონის ორგანიზებულად შეხვედრისათვის დრამატულ საზოგადოებას მაინც გამოუყო 500 000 მ. უპროცენტო სესხი, რაც თეატრის გადაკეთებასა და რემონტს უნდა მოხმარებოდა.<sup>1</sup> ქალაქის ხელმძღვანელობის დავალებითვე შედგა თეატრის რემონტისა და გაფართოების სამუშაოების გეგმა და ხარჯთაღრიცხვაც,<sup>2</sup> იმის გამო, რომ თეატრის სცენა და ფოიე უნდა გაფართოებულა. ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა კერძო მეპატრონეებისათვის ოთხი დუქანი ჩამოერთმია.<sup>3</sup> სამუშაოებს დრამატული საზოგადოება ხელმძღვანელობდა და მისი დასრულება ოქტომბერში იყო ნაპრაუდები.<sup>4</sup>

სეზონისათვის მზადება სხვა მხრივაც მიმდინარეობდა. თეატრი შეივსო ახალი ძალებით, შედგა რეპერტუარი და შეიძინეს 24 ახალი პიესა, რომლებიც მანამდე ქართულ სცენაზე არასოდეს არ იყო დადგმული.<sup>5</sup>

დასში ახალი სეზონისათვის ირიცხებოდნენ ქალები: ლ. აბაშიძე, ე. და ქ. ადრონიკაშვილები, დ. გუგუნივა, ა. ივერიელი, თ. ლეჟინაძე, ნ. მაჭავარიანი, გ. სამანიშვილი, ნ. სირბილაძე, ნ. ყენია, ნ. ჩიხლაძე და ბ. ჭაიანი, კაცები: ჭ. აბაკელია, დ. აბდუშელი, ვ. ბალანჩივაძე, შ. დადიანი, ნ. მებურიშვილი, ო. დევდარიანი, კ. დოღონაძე, ბ. ენდელაძე, ბ. ირაკლიშვილი, ბ. კოკელაძე, გ. კორძია, მ. მამულაშვილი, შ. მანაგაძე, ვ. მატარაძე, კ. მიქაბერიძე, პ. მურღულია, გ. ნემო, ნ. წითლიშვილი, ა. შავგულიძე, ვ. ჩხიკვაძე, ა. ხუჩაძე, შ. ჭაფარიძე, მ. ჭულელი და ზ. ურუშაძე (ეს უკანასკნელი რეჟისორის თანაშემწის მოვალეობასაც ასრულებდა).

იმის გამო, რომ თბილისში სახელმწიფო დასი ჩამოყალიბდა, ქუთაისში ველარ ჩამოვიდნენ მოწვეული ლ. მესხიშვილი, ვ. გუნია და ნ. ჯავახიშვილი.

სეზონის გახსნა 20 ოქტომბერს იყო ნაპრაუდები, მაგრამ სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების გამო იგი 28-ში გაიხსნა.<sup>6</sup> რა

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 84

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 181

3 გაზ. „სახლის მეგობარი“, 1920 წ., № 21

4 იქვე, № 17

5 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 117

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 950

თქმა უნდა, ახალგაზრდა და გამოუცდელ ძალებს არ შეეძლოთ ერთბაშად და სრულფასოვნად შეეცვალათ დედაქალაქში გადასული ცნობილი მსახიობები. ამის თაობაზე წერდა კიდეც მაშინდელი პრესა. როგორც „სოციალ-დემოკრატი“ აღნიშნავდა, დასის თბილისში გადასვლით ქუთაისში საქმე გაფუჭდა. თეატრი „თბილისში აღორძინდა და სხვაგან კი დამარცხდა“. მართალია დასს კარგი რეჟისორი შ. დადიანი უდგა სათავეში, მაგრამ ძალები ძალზე სუსტი იყო. ძველთაგან მასში მხოლოდ სამი მსახიობიღა იყო დარჩენილი. ფაქტიურად იგი დასი კი არა, სტუდია უფრო იყო. გაზეთის აზრით, სწორედ ამის გამო, დარბაზი სულ ცარიელი იყო.<sup>1</sup>

ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ დასში მრავალი ახალბედა მსახიობის ჩარიცხვის გამო სეზონი „მყვირალა“ არ გამოვიდოდა. მაგრამ სიახლეები მაინც იქნებოდა. რადგან ძალზე ენერგიულად საქმიანობდა შ. დადიანი.<sup>2</sup>

მიუხედავად ამისა. ქუთაისის მიძინებულ უცხოვრებას მაინც თეატრი აღვიძებდა. ს. ასლანიშვილის თქმით, ხალხი მხოლოდ ამ ერთადერთ დაწესებულებაში ისვენებდა სულიერად. ძალზე ბევრს აკეთებდა დრამატული საზოგადოებაც. ს. ასლანიშვილსაც მიაჩნდა, რომ ქუთაისის დასის თბილისში გადასვლამ ქალაქი გააღარბა. რადგან აქ ცნობილ მსახიობთაგან აღარავინ დარჩა და რეჟისორს ფაქტიურად ხელში სტუდია შერჩა, რომელთანაც იგი ძალზე ბევრს მუშაობდა.<sup>3</sup>

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სიძნელეებისა, ქუთაისის თეატრის დასმა 1920—21 წლების სეზონში მაყურებელს მაინც უჩვენა შ. დადიანის „ვარამი“, „ფირუზა და ნაცარა“, „სასახლის კარზე“ და „გეგეჭკორი“. ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“ და „ფრთამოტეხილი ყორანი“, ა. ერისთავ-ხოშტარიძის „ბედის ტრილი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ვ. ბალანჩივაძის „9 იანვარი“, ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“, ნ. ნაკაშიძის „კაცის სამართალი“, დ. ერისთავის „სამშობლო“ და „მეორედ გაყმაწვილება“. პ. ირეთელის „ქრისტიანე“, კ. მესხის „რუსთაველი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ა. სუმბათაშვილის „ლალატი“, ფრაპანის „ზნეობის ქერუბინი“, სუვორინის და ბურენინის „მედეა“, მიხაელის „რევოლუ-

1, გაზ. „სოციალ-დემოკრატი“. 1920 წ., № 40

2 გაზ. „ხალხის მეგობარი“. 1920 წ., № 17

3 იქვე, № 25

ციური ქორწილი“, ნაროდინის „ლაქა“, სკრიბის „ებრაელი ქალი“, ფოსის „კატორღელი“, სუდერბერგის „სიყვარული ყველაფერია“ და სობოლშჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ჰხვალ“. ასე რომ აშკარად ცრუობს გ. ბუხნიკაშვილი, როცა წერს, რომ თითქოსდა დაასჰქონდა ძველი რეპერტუარი და ახალი დადგეს მხოლოდ „სტუმარ-მასპინძლობა“, „ფრთამოტეხილი ყორანი“, „ვარამი“, „ფირუზა და ნაცარა“ და კიდევ ორიოდ სხვა.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ თეატრის ახალგაზრდულ დასს პრესის ყურადღება არ მოჰკლებია. 1920 წ. 4 დეკემბერს თეატრში დაიდგა „ფრთამოტეხილი ყორანი“. სპექტაკლზე მოზრდილი რეცენზია „სოციალ-დემოკრატში“ დაიბეჭდა. მასში მკაცრადაა დაწუნებული როგორც პიესა, ისე დადგამაც. რეცენზენტის აზრით სუსტად უთამაშია შ. დადიანს, ხოლო აბდუშელს იმდენად გაუმახსრებია თავისი სიმთვრალით როლი, რომ ეს აუტანელი გამხდარა მაყურებლისათვის.<sup>2</sup>

სამაგიეროდ დადებითი შეფასება მიეცა იმავე გაზეთში „ვარამს“.<sup>3</sup> „ვარამზე“ რეცენზია ს. ასლანიშვილმა „ხალხის მეგობარშიც“ გამოაქვეყნა. მისი აზრით სპექტაკლში როლები კარგად შეასრულეს ახალგაზრდებმა ბ. ჯაიანმა — თამარი და ნ. მაჭავარიანმა — გულსუნდა. ასევე კარგად უთამაშიათ ვ. მატარაძეს — გამრეკელითორელი, ვ. ბალანჩივაძეს, ო. დევდარიანს, შ. სოსელიას და ს. კოკლაძეს, ხოლო სუსტად შ. ჯაფარიძეს (არჩევანი), ს. ასლანიშვილის აზრით. სპექტაკლი რეჟისორულადაც კარგი დადგმული ყოფილა, ოღონდ მასში ცეკვები არ ვარგოდა.<sup>4</sup>

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა ს. ასლანიშვილმა „სტუმარ-მასპინძლობის“ დადგმასაც. მისი აზრით რეჟისორმა ახალგაზრდა ძალებით მაქსიმუმი გააკეთა. სპექტაკლში იგი გამოჰყოფდა შ. ჯაფარიძეს, აბდუშელს, დადიანს, ქ. ანდრონიკაშვილს, ა. ივერიელს, ბ. ჯაიანს, მატარაძეს და მაჭავარიანს, ხოლო იწუნებდა ზ. ურუშაძისა და ჯულელის თამაშს. დადებითადაა შეფასებული რეჟისორის ნამუშევარიც.<sup>5</sup>

1 გ. ბუხნიკაშვილი, „თეატრალური ქუთაისი“, თბ., საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1976, გვ. 358-59

2 გაზ. „სოციალ-დემოკრატ“, 1920 წ., № 40

3 იქვე, № 23

4 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 24

5 იქვე, № 25



ს. ასლანიშვილმა რეცენზიები 21 ნომბერს დადგმულ სპექტაკლებზე „სასახლის კარზე“ და „სიყვარული ყველაფერია“ გამოაქვეყნა (რეჟისორი შ. დადიანი). პირველ სპექტაკლში მან დადებითად შეაფასა როგორც პიესა, ისე მისი დადგმაც. ასევე გამოპყო ე. ანდრონიკაშვილისა და თვით შ. დადიანის თამაში, აღნიშნა აბდუშე-ლის, ჯაიანისა და მაჭავარიანის წინსვლა და მხოლოდ 2—3 მსახიობის თამაში მიიჩნია სუსტად. რაც შეეხებოდა სპექტაკლს „სიყვარული ყველაფერია“, იგი უმკაცრესად დაიწუნა. განსაკუთრებით დიდ მარცხად („სამარცხენოდ“, „საშინელებად“) ჩათვალა მან ლ. აბაშიძისა და შ. დადიანის თამაში. უფრო მეტიც, ეს დღე მისი აზრით, თეატრისათვის სამარცხენოდ და შავი ლაქა იყო და ამაში უპირველეს დამნაშავედ შ. დადიანი მიიჩნია, რადგან სწორედ მან მისცა როლი ლ. აბაშიძეს, ს. ასლანიშვილი სპექტაკლში მხოლოდ მატარაძისა და გუგუნიავას თამაშს აღნიშნავდა.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, სცენაზე განხორციელებული 25 ნაწარმოებიდან 17 ქართული იყო, რაც აშკარად მიუთითებს თეატრის სწორ ეროვნულ პოზიციაზე.

1920 წ. ქუთაისის რკინიგზის კლუბ „ხელოვნებაში“ მოყვარულთა მეორე თეატრიც ჩამოყალიბდა, რომელსაც ვ. ბალანჩივაძე ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას, რომ თეატრი ძალზე სუსტი იყო და მას მაყურებელიც დიდად არ ეტანებოდა.

1920 წ. ქუთაისში რამდენიმე წარმოდგენა ჩამოსულმა დასებმაც გამართეს. 26 მაისს თბილისის სტუდიამ აჩვენა „სულელი“, რომელშიც თავიანთი კარგი თამაშით ვ. ანჯაფარაძე და მ. ქიქოძე გამოირჩეოდნენ. 12 ივნისს „ხანუმაში“ ითამაშა წყალტუბოში სამკურნალოდ მყოფმა ვ. აბაშიძემ. 24—25 ივნისს ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ და „ძია ვანია“ წარმოდგინეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებმა და 11 ივლისს სტუმრად ჩამოვიდა თბილისის რუსული დრამის დასი „ტარტო“.

ქართულმა თეატრმა დიდი როლი შეასრულა აფხაზეთში ქართული სულისა და ცნობიერების აღდგენა-განმტკიცების საქმეში. ამიტომ არცაა გასაკვირი ის გამორჩეული ყურადღება, რასაც ამ საქმისადმი იქაური ქართველთა ეროვნული საბჭო იჩენდა. 1918 წლისათვის სოხუმში ქართული თეატრალური დასი არ არსებობდა. იქ მხოლოდ ადგილობრივი სცენის მოყვარეებისა და თბილისელი

1 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 27

და ყვირილელი (ზესტაფონელი) გვარდიელებისაგან შემდგარი და სი თუ აჩვენებდა იშვიათად წარმოდგენებს. ასე იყო მაგალითად ალოიზის თეატრში, როცა იქ „სოფლის გმირები“<sup>1</sup> აჩვენეს. ძირფესვიანად შეიცვალა ვითარება 1919 წ., როცა სოხუმში ქართული დასი ჩამოყალიბდა დასი ქართულმა ეროვნულმა საბჭომ შექმნა და იგი ინახავდა კიდევ მას (საბჭოს ჰქონდა ხელოვნების სექცია). სეზონის მეთაურად თბილისიდან ი. ბარველი მიიწვიეს. ასევე მიიწვიეს სოხუმში თბილისელი მსახიობი ნატალია ჯაფახიშვილიც. საბჭოს განზრახული ჰქონდა წარმოდგენების რეგულარული გამართვა, ხოლო სეზონის ბოლოს საზეიმო წარმოდგენის დადგმა, რომელიც ნ. ჩხეიძეს მიეძღვნებოდა. დასმა სეზონი 20 ოქტომბერს პ. ირეთელის „ბედნიერი დღით“ გახსნა.<sup>2</sup> უნდა ითქვას, რომ სეზონი სოხუმში კარგად წარიმართა და წარმოდგენები ალოიზის თეატრში ყოველ კვირას იმართებოდა. დასში ორი პროფესიონალი მსახიობიც ნ. ჯაფახიშვილი და ვ. ჯიქია იყვნენ დასაქმებულნი. სწორედ მათი მონაწილეობით დაიდგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. გ. შარვაშიძის „მომაკვდავნი სურათნი“ და ა. შ.<sup>3</sup> ეროვნული საბჭო ცდილობდა სოხუმში სამუშაოდ დამატებით კიდევ მიეწვია ხუთი მსახიობი, მაგრამ იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.<sup>4</sup>

1919 წ. სოხუმში მეორე თეატრალური დასიც მოქმედებდა, რომელმაც სეზონი 2 ნოემბერს გახსნა იგივე ალოიზის თეატრში შ. დადიანის პიესით „შენი ჭირიმე“. წარმოდგენის დაწყებამდე მაყურებელს თეატრის როლსა და დანიშნულებაზე ესაუბრა მ. წუწუნავა.<sup>5</sup>

1919 წ. სოხუმში რომ ორი ქართული თეატრალური დასი არსებობდა, ამას ადასტურებს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილი ზ. ჩხიკვაძის წერილიც „მგზავრის შთაბეჭდილებანი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოხუმში ორი კარგი კერძო თეატრი იყო. ზ. ჩხიკვაძე 23 აპრილს ალოიზის თეატრში თვითონ დასწრება კიდევ „შურისძიებას“ და განსაკუთრებით მოსწონებია მსახიობი ქალი ბ. ჯაიანი, რომელსაც დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. წარმოდგე-

1 გაზ. „ერთობა“. 1918 წ., № 144

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 220

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 11

4 იქვე. № 24

5 იქვე, 1919 წ., № 13

ნის დაწყებამდე ჯერ კონცერტი გამართულა, ხოლო შემდეგ მოხსენებით ს. ქვარიანი გამოსულა.<sup>1</sup>

აფხაზეთის ქართველობა თეატრალურ წარმოდგენებს სხვათა დადგმებითაც ნახულობდა. მაგალითად, 1919 წ. ავღუძერაში წარმოდგენა გამართულა მასწავლებელ სოფიო ჩიხლაძის მეთაურობით,<sup>2</sup> ხოლო გაგრის ფრონტზე შექმნილა სცენის მოყვარეთა წრე (იგი 1920 წ. თბილისში გადასულა).<sup>3</sup> ასეთივე წრე შექმნილა სოხუმის ჯარისკაცთა სახალხო უნივერსიტეტშიც.

1919 წ. სოხუმსა და გუდაუთას თბილისიდანაც ეწვია დრამატული დასი, რომელმაც ორი წარმოდგენა 16 მარტს სოჭის ფრონტზეც გამართა და „არსენა“ აჩვენა. წარმოდგენებმა, რომლებსაც აფხაზებიც ესწრებოდნენ, საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.<sup>4</sup>

ღრობითი სათეატრო დარბაზი მოწყობილი იყო გაგრის სასტუმროშიც, სადაც 1919 წ. 15 ივნისს გაიმართა ჯერ ლიტერატურული საღამო და ცეკვები, მერე მოხსენებით გამოვიდა გვარდიის სარდალი ვ. ჯულელი და ბოლოს აჩვენეს ა. ცაგარელის „ჭკუისა მჭირს“ (რეჟისორი ა. ძაძაძია). საღამოზე თბილისიდან მომღერალ მუშათა გუნდიც გამოვიდა.<sup>5</sup>

ქართული თეატრალური საქმიანობა 1920 წ. სოხუმში გაუარესდა. დასი დაიშალა და ქართული წარმოდგენებიც იშვიათი მოვლენა გახდა. ერთადერთი თეატრალური ჯგუფი, რომელიც ამ წელს იქ ჩავიდა, ეს იყო ჯავახიშვილის დასი, რომელმაც ქართულად „არშინ მალალან“ და „აშულ ყარები“ აჩვენა. მოქმედებდა ცირკიც.<sup>6</sup>

1920 წ. პროფკავშირები შეეცადა სოხუმში მუშათა სასახლე გაეხსნა ბინიაც ოდლის ჩამორთმეულ სახლში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იმჟამად ეს ვერ მოხერხდა.<sup>7</sup>

სოხუმში ქართული დასის გარდა, რუსული დასიც არსებობდა. მაგალითად, 1918 წ. იქ მოქმედებდა არტისტული საზოგადოება, რომელიც დ. ზახაროვმა და დ. ორლოვმა დააარსეს.<sup>8</sup> წარმოდგენე-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 522

2 იქვე

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1220 წ., № 15

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 68, 72

5 იქვე, № 138

6 იქვე, 1920 წ., № 218

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 217

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 126

ბი იმართებოდა მომდევნო წლებშიც, ხოლო 1920 წ. რუსული წარმოდგენები კვირაში 1—2-ჯერ მაინც ეწყობოდა.

რაც შეეხება აფხაზურ დასს, ასეთი რამ 1918—21 წლებში არ არსებობდა. ა. არღუნი წიგნში „აფხაზური თეატრის ისტორია“<sup>1</sup> მართალია კი წერს, რომ თითქოსდა „აფხაზური სახელმწიფო თეატრის წინამორბედს წარმოადგენდა დ. გულიას მიერ შექმნილი მოძრავი დასი და 1918 წლიდან დაწყებული ომამდელ წლებამდე, აფხაზური თეატრი სწრაფი ზრდის სტადიაზე იყო“, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. სწორია გ. მეგრელაძე, როცა იგი ა. არღუნს ამ სიტყუეში ამხელს.<sup>2</sup> მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 1918 წლის 26 მაისიდან, 1921 წლის 25 თებერვლამდე, არსად არ მოიპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ არსებობდა არა თუ აფხაზური დასი, არამედ უბრალო სცენის მოყვარეთა წრეც კი.

1918 წ. მოყვარულთა თეატრალური დასები (წრეები) საქართველოს სხვა ქალაქებში. დაბებსა და სოფლებშიც მოქმედებდნენ. ხაშურში მაგალითად ასეთი ორი იყო. ერთში, 13 ივლისს, „დამთხვეული ღენერლის“ წარმოდგენაში თვით ვ. აბაშიძემ მიიღო მონაწილეობა,<sup>3</sup> ხოლო მეორე წრე ადგილობრივა გიმნაზიების მოსწავლეებისაგან შედგებოდა.

შედარებით გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება ხაშურში 1920 წ. აქ იანვარში გაიმართა ქურნალ „თეატრი და ცხოვრების“ საღამო ლექციითა და სპექტაკლის ჩვენებით. მარტში ს. ჭანტუიშვილის „ბურუსის“ წარმოდგენა (გამართა თბილისის სახელმწიფო დრამამ), მოეწყო ადგილობრივი სცენისმოყვარე ნ. თევდორაშვილის სასცენო მოღვაწეობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და ა. შ.

დასი არსებობდა ხონშიც, რომელთა სპექტაკლ „სამშობლოში“, 14 ივლისს ქუთაისელი მსახიობები კ. მაქარაძე და შ. ხონელიც მონაწილეობდნენ.<sup>4</sup>

1918 წ. შემოდგომაზე დრამატული წრე სამტრედიაშიც დაარსდა. ადგილობრივმა სცენის მოყვარებებმა მიიღეს წესდება და აირ-

1 ა. არღუნი, „აფხაზური თეატრის ისტორია“, „ალაშარა“, 1976

2 ვაზ. „წიგნის სამყარო“, 1993 წ., № 3

3 ვაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 137

4 ვაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 216

ჩიეს გამგეობა.<sup>1</sup> წრემ სეზონი 8 დეკემბერს ტ. რამიშვილის „მეზობლებით“ გახსნა. დადგამმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.<sup>2</sup> წრე ძალზე ნაყოფიერად საქმიანობდა და 29 დეკემბერს ნ. შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“, ხოლო 1919 წ. 5 იანვარს ა. ცაგარელის „ქართველი დედაც“ დადგა. ორთავეს რეჟისორი გ. სიხარულიძე იყო. სპექტაკლებმა მაყურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.<sup>3</sup> 1919 წ. სეზონი სამტრედიის კვლავ „მეზობლებით“ გაიხსნა. დაიდგა გერგესელის „ნილაბ ქვეშ“ და სხვა სპექტაკლებიც.<sup>4</sup> მაყურებლებში სიყვარულით სარგებლობდნენ სცენის მოყვარეები მამაგეიშვილი, ნინიძეები, კორძაია და სიხარულიძე. მაგრამ უფულობის გამო დასი მუდმივად ვერ იწვევდა რეჟისორს, რაც დიდად უშლიდა მას ხელს საქმიანობაში.<sup>5</sup> იმ დროისათვის სამტრედიაში ორი შენობა იყო ისეთი, რომელთა თეატრად გადაკეთება თავისუფლად შეიძლებოდა და დააყენეს კიდეც ეს საკითხი 1919 წ. მისი გადაწყვეტა იმხანად ვერ მოხერხდა, რამაც 1920 წ. იქ თეატრალური ცხოვრების მიწელება გამოიწვია.

1918 წ. წარმოდგენების გამართვის მხრივ ჩამორჩებოდა თელავი, სადაც შემთხვევით და ისიც მხოლოდ საქველმოქმედოდ თუ იმართებოდა დადგმები ან სხვა ღონისძიებანი. ასე იყო მაგალითად 2 ივნისს, როცა წარმოდგინეს „დედისერთა“.<sup>6</sup> 8 ივლისს კი ადგილობრივმა დრამწრემ სამოყვარულო სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის საღამო გაუმართა ადგილობრივ სცენისმოყვარე ვ. კაკაბაძეს და თან „და-ძმაც“ იქნა წარმოდგენილი.<sup>7</sup> ქალაქში არ არსებობდა თეატრის შენობა. ერთადერთი სცენა მხოლოდ საკრებულოში იყო, სადაც იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ მისი დარბაზი ძალზე მცირე იყო. ქალაქში მსახიობები იშვიათად, ისიც მხოლოდ ზაფხულში ჩადიოდნენ. 1918 წ. თელავში საზაფხულო თეატრის მშენებლობა დაიწყო.

საქმე სასიკეთოდ არც 1919 წ. შეეცვლილა. ადგილობრივი ძალებით, ამ წელს აქ, 1 ივლისს ა. ციხისთავის ინიციატივით და

- 1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 224
- 2 გაზ. „სოციალ-დემოკრატია“, 1918 წ., № 470
- 3 იქვე, 1919 წ., № 7, 9
- 4 იქვე, 14, 89
- 5 იქვე, № 58
- 6 უპრ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 9
- 7 იქვე, № 11

ი. იმედაშვილის მონაწილეობით გამართული ჟურნალ „თეატრი“ და ცხოვრების“ საღამოს ვარდა ბევრი არაფერი ჩატარებულა.<sup>1</sup> ეს პასიურობა ნაწილობრივ იმანაც გამოიწვია, რომ გარდაიცვალა ძალზე ენერგიული ადგილობრივი სცენისმოყვარე ვ. კაკაბაძე.<sup>2</sup> საქმე მნიშვნელოვნად გამოსწორდა მას შემდეგ, რაც აქ 1919 წ. შემოდგომაზე მუშათა კლუბში მოყვარულთა დრამა წეიქმნა, რომელიც წარმოდგენებს ყოველ კვირას მართავდა. დასში მსახიობები დ. აწყურელი, ბ. ახოსპირელი და კ. ჭელიძე მონაწილეობდნენ. დ. აწყურელი და ბ. ახოსპირელი დასის ხელმძღვანელებად იყვნენ მიწვეულნი.<sup>3</sup> კიდევ უფრო გააქტიურდა საქმიანობა 1920 წ. და აქ უკვე სამი თეატრალური სცენა არსებობდა საზოგადო საკრებულოში, მუშათა კლუბში და ახალ თეატრში. დასის რეჟისორად დ. აწყურელი მუშაობდა.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ხელისშემშლელი ჰყავდა, ნაყოფიერად საქმიანობდა ამაღლებაში (ვანის რაიონი) არსებული დრამა წრე, სადაც 1918 წ. 14 ივლისს ადგილობრივი სამკითხველოს დასახმარებლადაც მოეწყო სპექტაკლების „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ს. ერთაწმინდელის „სიკვდილი ჩრდილოეთში“ წარმოდგენა. მათში ქუთაისლები — მარო უკლება და ვენერა ჭეიშვილიც მონაწილეობდნენ.<sup>5</sup>

1919 წ. დრამატული საზოგადოება ოზურგეთშიც ჩამოყალიბდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას ბევრი არაფერი გაუკეთებია. ეს აღნიშნა კიდევ ოზურგეთის ქალაქის საბჭომ და შეაჩერა საზოგადოებისათვის გამოყოფილი 3000 მ. გადაცემა, რადგან საზოგადოების თავმჯდომარე ნ. დოლიძე სრულ უმოქმედობას იჩენდა. საბჭომ საზოგადოების გამგეობის რეორგანიზაცია მოითხოვა.<sup>6</sup>

განახლებულ საზოგადოებას არც 1920 წ. გამოუჩენია დიდად თავის გამოც კიდევ ერთხელ განახლეს გამგეობა. საზოგადოებრივ კრებამ ამჯერად რეჟისორად ი. ჟივიძე მიიწვია, რომელიც უეუღ გა კიდევ მუშაობას. კრების დადგენილებით ოზურგეთში ერთ

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 145

2 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 470

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 282

4 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2

5 ვაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ., № 379

6 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 14

მსახიობი ქალის მოწვევაც გადაწყდა. უნდა შეკეთებულიყო თეატრის შენობაც.<sup>1</sup>

შედარებით აქტიური თეატრალური ცხოვრება მიმდინარეობდა გორში. მიუხედავად იმისა, რომ აქ არ ჰქონდათ თეატრის შენობა. ადგილობრივი დრამწრე წარმოდგენებს მაინც მართავდა. 1919 წ. 19 იანვარს აქ გაიმართა დრამატული წრის დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო წესდება და აირჩია გამგეობა.<sup>2</sup> 1919 წ. მარტში გორში რამდენიმე დადგმა თბილისის დრამამაც აჩვენა. ესენი იყო ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, შ. დადიანის „შვილი თუ სიყვარული“ და „ახალგაზრდა ქვრივი“. სპექტაკლებში მთავარი როლები ი. ზარდალიშვილმა, ვ. აბაშიძემ, ე. ჩერქეზიშვილმა, შ. დადიანმა, ც. ამირეჯიბმა და ნ. ჩხეიძემ შეასრულეს.<sup>3</sup>

1920 წ. თებერვალში გორში მომხდარი საშინელი მიწისძვრის შედეგად წარმოდგენები ფაქტიურად შეწყდა.

1919 წ. ორი დრამწრე მოქმედებდა ღუშეთში. ერთი ადგილობრივი სცენის მოყვარეებისა და მეორე სდმ პარტიისა. სცენის მოყვარეების წრე წინა წლებშიც არსებობდა და იგი წარმოდგენებს საკრებულოს შენობის მცირე დარბაზში მართავდა, რაც ვერ იტევდა მაყურებელს. შემოდგომაზე აქ ჩამოვიდა თბილისელი სცენისმოყვარე, პროფესიით გამომძიებელი მ. ხერხეულიძე, რომელმაც ძალზე გაააქტიურა წრის მუშაობა. მან თბილისიდან მოიწვია მსახიობი ქალი ქილარჯიშვილი, ხოლო ადგილობრივმა გვარდიამ ყაზარმის თეატრად გადაეცემა ითავა, რაშიც მაზრის ხელმძღვანელობაც დაეხმარა. მოეწყო 300 ადგილიანი დარბაზი. წრის მუშაობას დიდად უშლიდა ხელს რეპერტუარის სიღარიბე, რაც არც თუ იშვიათად შემთხვევითი პიესების დადგმასაც აიძულებდა დასს. ბუნებრივია, სცენისმოყვარეთა ძალებით განხორციელებული დადგმები ყოველთვის ვერ იმსახურებდა მოწონებას, როგორც ეს მაგალითად ვ. გუნიას მიერ თარგმნილი ფრანგული პიესის „უბედურის“ დადგმისას მოხდა.<sup>4</sup>

კიდევ უფრო გაააქტიურა წრემ მუშაობა 1920 წ. და სეზონი

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 253

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 22

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 480

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 140

30 ოქტომბერს გახსნა. თეატრში უფასო დადგმებიც ეწყობოდა მაგრამ სამწუხაროდ ახლად აღდგენილი თეატრი 1920 წ. დაიწვა. მიუხედავად ამისა, დასი მუშაობას მაინც განაგრძობდა.<sup>1</sup>

1918 წ. და 1919 წ. დასაწყისში ჭიათურაში თეატრალური ცხოვრება მიმქრალი იყო. მის გამოცოცხლებას მხოლოდ ვ. შალიკაშვილი ცდილობდა. წარმოდგენები აქ შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ იმართებოდა. 1919 წ. მაისიდან კი ქალაქში სამუშაოდ მიიწვიეს მსახიობი ვ. არაბიძე და მისი მეუღლე, ასევე ცნობილი მსახიობი ც. ამირეჯიბი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქალაქის თეატრალური ცხოვრების გააქტიურებაში.

16 მაისს ჭიათურაში მუშაობას ადგილობრივი დრამატული საზოგადოებაც შეუდგა, რომელსაც ა. ვარაზანაშვილი ხელმძღვანელობდა. საზოგადოებამ ძირითად ამოცანად ქალაქში თეატრისათვის შენობის აგება დაისახა და ამ მიზნით 28 მაისს დიდი დრამატული საღამოც გამართა. 1919 წ. შვიდ თვეში დასმა სულ 25 წარმოდგენა გამართა, თეატრის მიერ გაწეულ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა 1920 წ. 11 ივლისს გამართულმა ჭიათურის დრამატული საზოგადოების ყრილობამ.<sup>2</sup>

1920 წ. ჭიათურაში თეატრალური წარმოდგენები უკვე ყოველკვირას იმართებოდა. მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდნენ გ. ნუცუბიძე, გ. ჭანიშვილი და ჯ. მიშველაძე. 28 დეკემბერს ამ უკანასკნელს სასცენო მოღვაწეობის 10 წ. საღამოც გაუმართეს.<sup>3</sup>

1920 წ. ჭიათურაში გ. ზდანევიჩის სახელობის თეატრის შენობის აგებაც დაიწყეს.<sup>4</sup>

დრამატული წრე ზუგდიდშიც მოქმედებდა, რომლის წამყვან ძალას პ. სართანია წარმოადგენდა, მაგრამ 1918 წ. მისმა გარდაცვალებამ დიდად შეაფერხა წრის მუშაობა. 1919 წ. აქ დასი უკვე მოსამსახურეთა საკრებულოსთან არსებობდა და მას ი. ბოხუა ხელმძღვანელობდა. წრის აქტიური წევრები იყვნენ ვ. ქარდავა, შ. გვიჩია, პ. მეუნარგია და ვ. მესხი. დასი თვეში 3-4 წარმოდგენას მართავდა. 1919 წ. აქ დადგეს „ქრისტიანე“, „ღარისპანის გასაჭირი“, „გაუგებრობის მსხვერპლი“ და სხვა.<sup>5</sup> დრამწრის მიერ

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 272

2 ძურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 27

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 724

4 ძურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 27

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 180



ი. იმედაშვილის მონაწილეობით გაიმართა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ საღამოც, სოფელ კახათში აჩვენეს სპექტაკლი და ა. შ.<sup>1</sup> 1920 წ. კი ზუგდიდში გასტროლებზე ერთი თვით შ. დადიანი და ე. ანდრონიკაშვილი ჩავიდნენ.<sup>2</sup>

1919 წ. ახალი დრამატული დასი შედგა ხარაგაულშიც, რომელიც თვეში 2-3 წარმოდგენას მართავდა. 1919 წ. 31 აგვისტოს აქ ადგილობრივი სცენისმოყვარე ვალენტინა ლომსაძის სცენაზე მოღვაწეობის 12 წელაც აღნიშნეს. დაიწყო თეატრის მშენებლობაც.<sup>3</sup>

1919 წ. თეატრის მშენებლობა დაიწყო სურამში. სურამის საბჭოს გადაწყვეტილებას თეატრის მშენებლობის შესახებ მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მთავრობამაც.<sup>4</sup> მშენებლობა 1920 წ. დასრულდა და დაიწყო მისი მოხატვა.<sup>5</sup> სეზონისათვის მზადებას აქ მ. ქორელი ხელმძღვანელობდა, რომელიც შ. დადიანის „გუშინდელის“ დადგმაზე მუშაობდა.<sup>6</sup>

სცენის მოყვარეთა დასი მოქმედებდა ახალქალაქშიც, სადაც რეჟისორად 1920 წ. გულიაშვილი მიიწვიეს. ამ წელს აქ ი. იმედაშვილის საღამოებიც გაიმართა.<sup>7</sup> 1919-20 წ. მოყვარულთა დასი ვ. ურუშაძის მეთაურობით ზესტაფონშიც მოქმედებდა.

თეატრალური ცხოვრების მხრივ ჩამორჩებოდა ბორჯომი. მართალია, 1919 წ. მთავრობამ ბორჯომისა და წალკერის თეატრი ზაფხულის სეზონის საწარმოებლად ე. ანდრონიკაშვილს გადასცა,<sup>8</sup> მაგრამ მდგომარეობა ამით დიდად არ შეცვლილა. არ გამოსწორებულა საქმე არც 1920 წ. და აქ მხოლოდ ორიოდე ქართული დადგმა, „არშინ მალ-ალანის“ წარმოდგენა და დრამატული საზოგადოების საღამო გაიმართა. ყოველივე ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ბორჯომში არ მოქმედებდა დასი და არ არსებობდა სცენით აღჭურვილი შენობა.

ბორჯომელთათვის გამონაკლისი იყო 1920 წ. ზაფხულში მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუმრობა (თეატრი იქ დასასვენებ-

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 2, 10

2 იქვე, 1920 წ., № 20

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 282

4 იქვე, 1920 წ., № 179

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 932

6 იქვე, № 943

7 იქვე, 1920 წ., № 72

8 იქვე, 1919 წ., № 502

ლად ჩავიდა), რომლებმაც მაყურებელს რამდენიმე სპექტაკლი უჩვენეს.<sup>1</sup>

მოყვარულთა დასი არსებობდა ბაღდათშიც, რომელიც წარმოდგენებს ყოველ კვირასა და უქმე დღეებში მართავდა. მიუხედავად დარბაზის სიმცირისა, სპექტაკლებს ყოველთვის მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. 1919 წ. ბაღდათში ახალი სახალხო სახლას მშენებლობა დაიწყო.<sup>2</sup>

კიდევ უფრო გააქტიურდა თეატრალური ცხოვრება ბაღდათში მას შემდეგ, რაც იქ ლ. კუჭუხიძემ და დ. ნაზემცოვმა მულმივი თეატრი დააარსეს. შეიქმნა სცენის მოყვარულთა კავშირიც და რეჟისორად გ. ჯანდიერი მიიწვიეს. 1919 წ. სეზონი დასმა 18 მაისს დაიწყო და ზაფხულში 18, ხოლო შემოდგომაზე 5 წარმოდგენა გამართა.<sup>3</sup>

მოყვარულთა დასი მოქმედებდა სენაკშიც. თეატრალურ ხელოვნებას აქ იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ 1919 წ. სენაკში თეატრის შენობის ასაგებ პროექტზე კონკურსიც კი გამოაცხადეს (დაწესდა ორი პრემია 10 და 5 ათასი მანეთის ჯილდოთი).<sup>4</sup> სენაკელებმა 1920 წ. 15 აგვისტოს შ. დადიანს სასცენო მოღვაწეობის 25 წ. დიდი სადამო გაუმართეს და მისი ღვაწლის დასაფასებლად იქ მისთვის სახლის მშენებლობა დაიწყო.<sup>5</sup>

1920 წ. დრამწერე „სხივი“ შეიქმნა დიხაშოშიც. (ვანის რაიონი).<sup>6</sup> წრე ყოველ კვირას მართავდა წარმოდგენებს. წრეს ა. გოგორიშვილი ხელმძღვანელობდა და მასში ადგილობრივი სცენის-მოყვარეები იყვნენ გაერთიანებულნი. 1920 წ. მათ მაყურებელს უჩვენეს „დედინაცვალი“, „ჭკუა მზიარული“, „სიკვდილით დასჯა“, „ავტოკეფალია“, „ქე არ დაიღუპა საწყალი ხუცესი“ და ა. შ. დადგემები როგორც მაყურებელთა, ისე პრესის მოწონებასაც იმსახურებდა.<sup>7</sup>

მოყვარულთა ძლიერი დასი არსებობდა 1919-20 წლებში ტო-

- 1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 966
- 2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 116
- 3 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2
- 4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 226
- 5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 895
- 6 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 26
- 7 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 10, 16

ბანიერშიც (ვანის რაიონი).<sup>1</sup> მათ 1919 წ. შუამთაში სახალხო სახლის აშენებაც დაიწყეს.<sup>2</sup> და ამ საქმეში თბილისში მცხოვრებ ტობანიერელებსაც მოუწოდეს დასახმარებლად.<sup>3</sup> ს. კეკელიძის ამ მოწოდებას ბევრი გამოეხმაურა. მაგალითად, მ. ბახტაძემ სამტრედიის საგანგებო სალამოც კი გამართა და იქ შემოსული ფული მთლიანად სახალხო სახლს მშენებლებს გადასცა — სულ 5060 მ.,<sup>4</sup> რამაც შესაძლებელი გახდა 1920 წ. სახლის მშენებლობა სცენით დასრულებულიყო.<sup>5</sup> ახალი სეზონი „და-ძმით“ 23 მაისს გაიხსნა (წინა სეზონი აპრილში დასრულდა).<sup>6</sup>

1919 წ. საგარეჯოში თეატრალური ცხოვრება ძირითადად სტუმრად ჩამოსულთა ძალებით მიმდინარეობდა. მაგალითად, 6-7 აპრილს აქ სპექტაკლები შ. დადიანის ხელმძღვანელობით თბილისელმა მსახიობებმა აჩვენეს. აგვისტოში კი ადგილობრივი სცენის მოყვარეების ძალებით დაიდგა „პეპო“, რომლის პრემიერას ი. იმედაშვილიც დაესწრო. 1920 წ. შეიქმნა დრამატული საზოგადოებაც, რომლის თავმჯდომარედ ნ. ქურდოვანიძე აირჩიეს,<sup>7</sup> ხოლო 7 მარტს შედგა ახალი სცენისმოყვარეთა წრე „არმაზი“ ი. მეტრეველის თავმჯდომარეობით.<sup>8</sup> წრემ თავისი ერთი დადგმა „მიხაკი“ ქარელშიც აჩვენა.<sup>9</sup> 1920 წ. საგარეჯოში ი. იმედაშვილის მონაწილეობით „თეატრი და ცხოვრების“ სალამოც გაიმართა.

ძალზე აქტიური თეატრალური ცხოვრება მიმდინარეობდა 1918-1919 წ. ლანჩხუთში, სადაც მუდმივი დასი მოქმედებდა. აქაურ სცენაზე საკმაოდ ხშირად არა მარტო ადგილობრივი ძალებით დადგმულა კარგი სპექტაკლები, არამედ არც თუ იშვიათი იყო სტუმრად ჩამოსული დასების წარმოდგენებიც. 1918-19 წ. ზამთრის სეზონს ლანჩხუთში დაჭირავებული მსახიობები მართავდნენ და წარმოდგენებიც სისტემატურად ეწყობოდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი დრამატული საზოგადოების გა-

1 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 376

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 133, 193

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 537

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 50

5 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1920 წ., № 14

6 ქურნ. „თეატრი ილა ცხოვრება“, 1920 წ., № 21

7 იქვე, № 9

8 იქვე, № 12

9 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 160

წახლებულმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც თავისი ენერგიული საქმიანობით მოამზადა ახალი სეზონი.<sup>1</sup> საზოგადოებას ამ ურთულეს საქმეში გვერდით ფაქტიურად არავინ უდგა და ყველაფერი ცნობიანობებზე გადადიოდა. მაგალითად, ძალზე ბევრს შრომობდა მსახიობი ასკურავა, ხოლო ექიმმა გრიგორაშვილმა და მოქალაქე ურატაძემ თავისი ფულით გაარემონტეს თეატრის შენობა. რეჟისორად ა. ჯაყელი მიიწვიეს. სეზონი 1918 წ. 22 დეკემბერს „ციმბირელით“ გაიხსნა, 28 დეკემბერს კი „უმუშევარნი“ იქნა წარმოდგენილი. მალე დაიდგა „პატარა კახიცი“ და სხვა,<sup>2</sup> ზამთრის სეზონი სამთვენახევარს გაგრძელდა. კიდევ უფრო გააქტიურდა საქმიანობა 1919 წ. და შეიქმნა ხელოვნების მოყვარულთა წრეც. ასევე გადაწყდა ქალაქში თეატრისათვის ახალი შენობის აგებაც.<sup>3</sup> 28 მარტს ლანჩხუთში წარმოდგენაში მონაწილეობისათვის შ. დადიანიც კი მიიწვიეს.<sup>4</sup> თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლანჩხუთში 1919 წ. სეზონმაც კარგად ჩაიარა.

მაგრამ ამას უკვე ვერ ვიტყვი 1920 წლის სეზონზე, რომელიც ფაქტიურად საზოგადოების ახალმა გამგეობამ ჩაჰკლა. დაიკეტა თეატრი. ენერგიული მუშაკები ვ. ასკურავა, ა. ჯაყელი და კ. ებრალიძე კი საქმეს ჩამოაცილეს.<sup>5</sup> მართალია ამ წელს ი. იმედაშვილმა წაიკითხა ორი ლექცია, დაიდგა „ირინეს ბედნიერება“, „ექიმ შტოკმანში“ ითამაშა შ. დადიანმა და კიდევ ორიოდ სხვაც, მაგრამ საქმე ამაზე შორს აღარ წასულა.

1919 წ. დრამწრის მუშაობა განახლდა ახალციხეშიც. აქ ახლად დაარსებულ დასს ყოველ კვირას უნდოდა წარმოდგენების გამართვა, მაგრამ ამას სცენის მოუწყობლობა უშლიდა ხელს. დასის რეჟისორი თბილისელი ე. ჯაჭანაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე ექიმში ჭინჭველაძე და მისი ამხანაგი ლ. ფაღავა იყვნენ.<sup>6</sup>

ახალციხეში მოქმედ მოყვარულთა დასის წარმოდგენებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ერემაშვილი (წარმოშობით სომეხი იოანესიანი, რომელიც მანამდე სურამში მოღვაწეობდა), ჭინჭვე-

1 გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. № 712

2 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 17

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., №.2.

4 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 65

5 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 18

6 იქვე, № 2

ლაძე, ლ. ხუციშვილი, ა. ქერმაშვილი, ე. ჯაჯანაშვილი და სხვები.<sup>1</sup>

1920 წ. 30 მარტს ახალციხეში ლ. ფალავას თაოსნობით დრამატული საზოგადოებაც დაარსდა, რომელშიც ქალაქში მანამდე არსებული სცენის მოყვარულთა ორი წრე გაერთიანდა.<sup>2</sup> რა თქმა უნდა, აქაური წარმოდგენები პროფესიული თვალსაზრისით ყოველთვის სათანადო დონეზე ვერ იდგა, მაგრამ მათ იქ ქართული სულის აღორძინება-განმტკიცებისთვის მაინც შეუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქში 1920 წ. გამართულ ი. იმედაშვილის სადამოებზეც.<sup>3</sup>

სცენის მოყვარულთა საზოგადოება 1919 წ. სექტემბერში ფოთშიც აღსდგა. მისი ინიციატორი ნანა ნარაიძე იყო. მასში შევიდნენ ნ. ნარაიძე, თ. ჯიჯეიშვილი, ვ. მოისწრაფიშვილი, ქ. თურქია, კ. მაჭარაძე, შ. ბეჟუაშვილი, შ. გამყრელიძე, ი. შოთაძე, ა. ხელაძე, ს. პაიჭაძე, ს. მყავანაძე, ი. ვანელი, მ. ხავთასი, შ. ჯიჯეიშვილი, ლ. ჩხაიძე, ს. ხარაზიშვილი, თ. ჩარკვიანი და თბილისიდან მოწვეული რეჟისორი ნ. გვარაძე. დასმა სეზონი 25 ოქტომბერს თეატრ „კომეტაში“ გახსნა. მას უმძიმეს ტვირთად აწვა შენობის ქირად ერთ ღამეში 1000 მ. გადახდა.<sup>4</sup> წარმოდგენები ყოველ შაბათს იმართებოდა. დასმა მაყურებელს უჩვენა „პატარა კახი“, „ქართველი ქალი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „დამთხვეული ღენერალი“, „ძმის მკვლელი“, „და-ძმა“, „სამშობლო“, „მორევში“, „ქრისტიანი“ და „მოწაფის ტრაგედია“. დასს ძალზე უჭირდა ფინანსურად და დახმარების თაობაზე რამდენიმეჯერ ქალაქის გამგეობას მიმართა თხოვნით, რომელიც დაეხმარა კიდევ ფულითა და ბინით, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არსებობდა შენობის დაქირავებასთან დაკავშირებით, ქალაქში არსებულ ერთად-ერთი თეატრის შენობის „კომეტას“ პატრონთან.

მაყურებელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ სცენის მოყვარეები, ნ. ნარაიძე, კ. მაჭარაძე, თ. ჩარკვიანი, თ. ჯაჯეიშვილი და ს. ხარაზიშვილი.<sup>5</sup>

1919 წ. 22 ივნისს ფოთმა დიდი სიყვარულით აღნიშნა ნ. ჩხეიძის იუბილე. 1920 წ. 29 თებერვალს ფოთში დრამატული წრის

1 ვერნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 1

2 იქვე, № 14

3 იქვე, № 29

4 იქვე, № 8

5 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 48

ინიციატივით ჩატარდა დრამატული საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელმაც საზოგადოების ხელმძღვანელობა აირჩია. ამას ქალაქში მალე ბევრი სასიკეთო ცვლილებები მოჰყვა თეატრალური ცხოვრების სფეროში. სამუშაოდ იქნა მოწვეული ოთხი მსახიობი ქალი, 17 მარტს აღინიშნა ადგილობრივი სცენის მოყვარე ს. ხარაზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი,<sup>1</sup> 18 ივნისს მოეწყო ვ. აბაშიძის იუბილე, თბილისიდან საგასტროლოდ მოიწვიეს დრამატული სტუდია „სულელისა“ და „გუშინდელის“ საჩვენებლად და ა. შ. დასის ეკონომიკურ მოღონიერებას დიდად შეუწყობ ხელი მტვირთავთა პროფკავშირის გადაწყვეტილებამ, რომ ყოველ თვეში მისთვის მიეცა 10 000 მ., იმ პირობით, თუკი მსახიობები თვეში ერთ წარმოდგენას უფასოდ გამართავდნენ.<sup>2</sup>

ფოთის კულტურულ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1920 წ. 8 ნოემბერს ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ თეატრ „კომეტას“ მეპატრონისათვის ჩამორთმევა. შენობა ქალაქს გადაეცა, რამაც დიდად გააიოლა მისი თეატრალური დასისათვის გამოყენება.<sup>3</sup>

რაც შეეხება ბათუმს, აქ 1917-18 წლებს სეზონის შემდეგ ქართული წარმოდგენები შეწყდა. როგორც გ. ბუხნიკაშვილი წერს, იგი თითქოსდა 1920 წ. ზაფხულამდე არ განახლებულა და ინგლისელებმა იქაური თეატრი კაფე-შანტანად აქციეს.<sup>4</sup> მიგვაჩნია, რომ ეს ცნობა სწორი არ არის, რადგან, როგორც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა, — ბათუმში დრამატული წრის მუშაობა 1919 წ. განახლებულა. „კარგია განახლებული დრამწრე (იგულისხმება 1919 წ.). იქნება ამან მაინც უშველოს საქმეს“ (აქ იგულისხმებოდა ბათუმის თეატრის უნუგეშო მდგომარეობა 1919 წ., სადაც ლოტოს თამაში იყო გაბატონებული). 1919 წ. ბათუმის სცენის მოყვარეთა წრის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ჟოჟიკაშვილი, რომელიც რეჟისორისა და რამდენიმე მსახიობის ჩამოყვანას თბილისიდან ცდილობდა. წრეს კვირაში ორი წარმოდგენის გამართვა ჰქონდა განზრახული.<sup>5</sup> „თეატრი და ცხოვრება“ სხვა დროსაც შე-

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 10

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 220

3 იქვე, № 263

4 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, თბ., „ხელოვნება“, 1976 წ., გვ. 119

5 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 13

ესო აღნიშნულ პრობლემას და გულისტკივილით აღნიშნა, რომ ბათუმში ხეირიან დრამწერეს ვერ ელირსნენ. ადრე აქ წარმოდგენებს ვიღაც ვაჭარი მამულოვი მართავდა, ხოლო 1919 წ. დაარსდა წრე, რომლისთვისაც რეჟისორი თბილისიდან უნდოდათ მიეწვიათ, მაგრამ ამისი მსურველი ვერ მოიძებნა. ამით კი კვლავ მამულოვმა ისარგებლა და წარმოდგენების გამართვა ისევ მან ჩაიგდო ხელში.<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, საქმეს სულაც არ შეელოდა ის, რომ 1919 წ. ბათუმში გაბატონებულმა ინგლისელებმა იქ საგანგებო მატარებლით მიიწვიეს თბილისელი მსახიობები, რათა მათ „ჰამლეტი“ ეჩვენებინათ.<sup>2</sup> ასევე ჩავიდა 1919 წ. ბათუმში ქართული დრამატული დასი ტ. აბაშიძის, შ. დადიანის, ე. ჩერქეზიშვილის და სხვათა შემადგენლობით, რათა მათ იქ მაყურებლისთვის „სტუმარ-მასპინძლობა“ და „გულმა იგრძნო“ ეჩვენებინათ.<sup>3</sup> 1920 წ. 7-10 აპრილს ბათუმს მოსკოვის სამხატვრო თეატრიც ეწვია.

ბათუმში ქართული თეატრის აღდგენისათვის განსაკუთრებით იბრძოდა „თეატრი და ცხოვრება“, „ბათუმის ფურცელი“ და სხვები. ეს უკანასკნელი, მაგალითად თვლიდა, რომ ბათუმში საჭირო იყო პროფესიული თეატრი, რომლის ბაზად ქალაქში მოქმედი დრამწრე უნდა ქცეულიყო. მაგრამ სამწუხაროდ, ქალაქი დასს არ ემხარებოდა.<sup>4</sup> „თეატრი და ცხოვრებას“ კი მიაჩნდა, რომ ბათუმში უნდა შექმნილიყო ძლიერი დასი და ჩამოყალიბებულიყო საოპერო თეატრიც. მუდმივი დასები ყველა დაბა-ქალაქში უნდა დაარსებულიყო, ხოლო დრამატული წრეები მთელს აჭარაში უნდა გახსნილიყო.<sup>5</sup>

ინგლისელთა წასვლის შემდეგ, ბათუმში დაარსდა სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ვ. ურუშაძის რეჟისორობით, რომელშიც მსახიობები მ. მდივანი, შ. ხონელი და ადგილობრივი სცენის მოყვარეები გაერთიანდნენ. დასმა პირველი წარმოდგენა „№ 21 ჯვრით“ 25 ივლისს გამართა. მალე ბათუმის თეატრში რეჟისორად ვ. ბარველი მიიწვიეს, რომელმაც სეზონი „მსხვერპლით“ დაიწყო. სპექტაკლში მთავარი როლი თბილისიდან სტუმრად ჩა-

1 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2

2 „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 15

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 54

4 გაზ. „ბათუმის ფურცელი“, 1920 წ., № 22

5 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 24

მოსულმა ვ. აბაშიძემ შეასრულა.<sup>1</sup> ვ. ბარველს დასწია 6 პროფესიონალი მსახიობის მოწვევაც სურდა.

1920 წ. ბათუმის თეატრალური ცხოვრებიდან საყურადღებოა ობილიის დრამატული სტუდიის სტუმრობა, როცა მათ იქ „სულელი“ და „გუშინდელი“ აჩვენეს,<sup>2</sup> შ. დადიანის დასის გასტროლები და მათ მიერ სამი წარმოდგენის გამართვა,<sup>3</sup> ნ. ჩხეიძის იუბილემ (მსახიობმა ბათუმელთაგან 100 000 მ. საჩუქრები მიიღო),<sup>4</sup> სცენის მოყვარე ს. ხარაზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წ. იუბილემ და ა. შ.

სცენის მოყვარულთა წრეები (დასები) 1918-20 წლებში ასევე მოქმედებდნენ 1918 წ. — აბაშაში, ონოლიაში, პატარძელში, პერვეისში, საჩხერეში, სუფსაში (ამ უკანასკნელისათვის სახალხო სახლის აგებაც დაიწყეს),<sup>5</sup> ტყიბულში (თუმცა მას არ ჰქონდა ბინა და ცდილობდნენ სახალხო სახლის გახსნას)<sup>6</sup> და ხეთაში, 1919 წ. — აცანაში, ბანძაში, გიორგიწმინდაში, გორაბერეკოულში, ეკატერინოფილში (აქ დადგმები ქართულ და რუსულ ენებზე იმართებოდა). ერკეთში, ველისციხეში (აქაურ საზაფხულო დასს არ ჰქონდა შენობა და მისი აგებისათვის სერიოზულად დაიწყეს ზრუნვა),<sup>7</sup> ვეჯინში, თიანეთში, ილემში, კახათში (ერთი დადგმა აქ მოწვეული ძალებითაც კი განხორციელდა), კიწიაში (აქ თვეში ორჯერ დადგმა საქველმოქმედოთაც ეწყობოდა)<sup>8</sup> კურზეში, ლაილაშში, მარტვილში, მუხიანში, ომარტში, პატარძელში (დასს არ ჰქონდა შენობა და მის აგებაში დახმარებას ითხოვდნენ),<sup>9</sup> რგანში, სადმელში, საჭამიასერში, სუფსაში, ტყიბულში, ყაზბეგში, ცაგერში, წესში (შენიშნავთ შენობაც), ჭანეთში, ხაშში, ხეთაში (ვ. ნაჭყებიას ხელმძღვანელობით იქ შექმნილი წრე უბინაობის გამო მალე იძულებული გახდა საქმიანობა შეეწყვიტა), ხელთუბანში, ხობში, ხორშში და ხუტუბანში. 1920 წ. — ბახმაროში, გომში, დაფნარში, ეწერში,

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 29

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 841

3 იქვე, № 775

4 იქვე, № 809

5 გაზ. „სოციალ-დემოკრატია“, 1918 წ., № 474

6 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 224

7 იქვე, 1919 წ., № 143

8 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 572

9 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 190



იველითში, თერჯოლაში, თიანეთში, კოკში, კულაშში, მცხეთაში, იწში, ოფშეკითში, სალხინოში, სუფსაში (აქ ვერც ამ წელს შეს-  
 ლეს სახალხო სახლის მშენებლობის დასრულება), ქარელში. (აგე-  
 დნენ შენობასაც), ყაზბეგში, შორაპანში (აქ სამაზრო ერობაში  
 დრამატული ხელოვნების ინსტრუქტორის შტატიც კი არსებობდა),<sup>1</sup>  
 მუხთში, ხაბუშში, ხაშში, ხეში (სადაც შენობის ასაგებად სა-  
 კანგებო კომიტეტიც კი შექმნეს),<sup>2</sup> ხობში, ცაგერსა და ქიორაში.  
 1920 წ. გამოცემულ გაზეთ „მსახიობის დღეში“ მოცემულია არა-  
 სწორი ცნობა, რომ თითქოსდა ამ წელს პროვინციებში 20-მდე  
 დრამატული საზოგადოება და წრე მოქმედებდა).<sup>3</sup>

1918-20 წლებში დრამატული წრეები მრავლად მოქმედებდნენ  
 ცალკეულ სკოლებშიც. როცა პროვინციებში დრამატული დასების  
 შექმნა-საქმიანობაზე ვწერთ, აღსანიშნავია ერთი გარემოებაც —  
 მათ საზოგადოება ყოველთვის ერთნაირი გაგებით არ ხედებოდა  
 და ბევრი აშკარადაც ეწინააღმდეგებოდა მას. სანიმუშოდ შეიძლე-  
 ბა მოვიყვანოთ სოფელ გიორგიწმინდის მაგალითი, სადაც წრის  
 შექმნას უდიდესი ენერგია შეაღია მასწავლებელმა სიღამონაშვი-  
 ლმა და იგი მოქმედებდა კიდევ, მაგრამ მის შექმნამდე მას მოუხ-  
 და დიდი წინააღმდეგობის დაძლევა, რაც იმაში მდგომარეობდა,  
 რომ ადგილობრივი მოსახლეობა თეატრს... გარყვნილებად მიიჩ-  
 ნებდა.<sup>4</sup>

განსაკუთრებით უნდა გამოვეყოთ 1918-21 წლებში ი. იმედა-  
 შვილის საქმიანობა. როგორც ცნობილია, იგი ჟურნალ „თეატრი  
 და ცხოვრების“ გამომცემელ-რედაქტორი იყო. მან მთელი საქარ-  
 თველო მოიარა თავისი მეტად საინტერესო ლექციებითა და გამო-  
 სვლებით, რომლებიც ქართული თეატრის, ხელოვნების, ლიტერა-  
 ტურის, საერთოდ კულტურისა და სხვა საკითხებს შეეხებოდა. ასე-  
 ვე ხშირად მართავდა იგი საქართველოს ცალკეულ ქალაქებსა და  
 დაბა-სოფლებში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ საღამოებს.  
 ასეთი შეხვედრები მან გამართა 1919 წ. ველისციხეში, ხაშში, ხე-  
 თაში (აქ იგი საგანგებოდ ჩავიდა, რათა ახლად შექმნილი ადგი-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 851

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 47

3 გაზ. „მსახიობის დღე“, 1920 წ.,

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 190

ლობრივი დრამდასის პირველ წარმოდგენას დასწრებოდა),<sup>1</sup> 1920 წ. სუფსაში და ა. შ.

სცენის მოყვარეთა საქმიანობის გასაუმჯობესებლად გარკვეულ ღონისძიებებს ხელისუფლებასთან ერთად სხვა ორგანიზაციებიც ატარებდნენ. მაგალითად, 1919 წ. მსახიობთა კავშირმა მსახიობი ვ. ჭიქია გააგზავნა დაბა-სოფლებში, რათა მას ადგილებზე დაეთვალე რებიან სცენისმოყვარეთა დასები და გასცნობოდა მათს საქმიანობას.<sup>2</sup> ამავე წელს პარლამენტის ხელოვნების კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა სცენის მოყვარეთა ყრილობაც.<sup>3</sup> ასევე ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საფუძველზე შეიქმნა კულტურისა და შრომის კავშირი,<sup>4</sup> ხოლო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ჩაატარა პარტიის სცენის მოყვარეთა კრება, რომლის მიზანი საკუთარი დასის შექმნა და სასცენო საქმიანობის დაწყება იყო.<sup>5</sup>

ეხებოდა რა გ. ბუხნიკაშვილი მოყვარულთა დასების საქმიანობას, წერდა, რომ მენშევიკურ მთავრობას არ მიუღია არავითარი სახელმწიფოებრივი ღონისძიება თვითმოქმედ ხელოვნებაში წესრიგის დასამყარებლად, არ დახმარებია დრამატულ წრეებს და ყველა ისინი თავიანთი სურვილით მოქმედებდნენ. აგრეთვე მათ „პქონდათ ძველი რეპერტუარი, და არც შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო, რადგან მენშევიკური მთავრობის პერიოდში ორიგინალური ქართული დრამატურგია ძალიან მოისუსტებდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მაყურებელმა მხოლოდ 4-5 ახალი პიესა ნახა — „გუშინდელნი“, „სულელი“, „№ 21 ჯვრით“, ა. მგალობლიშვილის „რევოლუციის გარიყრაჟზე“ და ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“. აქედან „გუშინდელნი“ და „სულელი“ რევოლუციამდეა დაწერილი“.<sup>6</sup>

გ. ბუხნიკაშვილი აქ აშკარად ტენდენციურია თავის მსჯელობაში. განა შეიძლება მთავრობას ბრალი დასდო იმაში, რომ პიესები არ იწერებოდა? თანაც არც ისაა სწორი, რომ თითქოსდა ორი-

1 ქრნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2

2 იქვე, № 1

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 227

4 იქვე, № 15

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 541

6 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, თბ., „ხელოვნება“, 1976 წ., გვ. 109

ვინალური პიესები არ შექმნილიყოს ამ წლებში. პიესები რომ იწერებოდა (თუმცა ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ეს მთავრობის დამსახურებად), ამისი დამტკიცება თუნდაც მხოლოდ ჟურნალ „ცისარტყელას“ შინაარსის უბრალო გადახედვითაც კი შეიძლება. 1919-20 წლებში ამ ჟურნალში მაგალითად დაიბეჭდა ლ. ახობაძის (№ 10) და ტ. რამიშვილის (№ 11) დრამები, გერგესელის პიესა „გზაჯვარედინზე“ (№ 4-5) და ა. შ.

პროვინციებში თეატრალური ხელოვნების მდგომარეობა სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა 1919 წ. ივნისში გამართულ მსახიობთა მესამე ყრილობაზე, სადაც გამოიკვეთა აზრი, რომ შექმნილიყო საგანგებო მოგზაური დასი, რომელიც სისტემატურად იმუშავებდა პროვინციებში. ეს მით უფრო სასურველი იყო, რომ პროვინციების დიდ ნაწილში ან სულ არ იმართებოდა წარმოდგენები, ანდა სრულიად უვარგისი იყო ისინი. თბილისის მაზრამ ითხოვა კიდევ გარეკახეთისათვის ცალკე დასის შექმნა, რომლის დაფინანსებას იგი თავის თავზე იღებდა. ამგვარ მოთხოვნას სხვა მაზრებიც აყენებდნენ.<sup>1</sup>

აღნიშნულ პრობლემას გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც“ შეეხო და მიუთითა, რომ ერობებს ეზრუნათ, რათა სოფლების სახალხო თეატრებში სისტემატურად გამართულიყო სახალხო წარმოდგენები, რისთვისაც მათ უნდა შეექმნათ მოძრავი სცენისმოყვარეთა ჯგუფები გასამრჩელოთი.<sup>2</sup>

პრაქტიკული ნაბიჯები 1919 წ. ზაფხულშივე გადაიდგა და 24 ივნისს შ. დადიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა მოგზაური დასი, რომელსაც წარმოდგენები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უნდა ეჩვენებინა. დასი თავის პირველ მოგზაურობაში კახეთში წავიდა ე. ჩერქეზიშვილის, კ. ანდრონიკაშვილის, ნინონისა და გ. ფრონისპირელის შემადგენლობით.<sup>3</sup> მათ წარმოდგენები უჩვენეს საგარეჯოში, სიღნაღში, გურჯაანში, ველისციხეში, თელავსა და ლაგოდეხში, რეპერტუარში შედიოდა „დამნაშავეა“, „ქრისტიანე“, „ბურუსი“, „შურისძიება“, „ვოდევნილები“ და „დედისერთა“.<sup>4</sup>

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 103

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 212

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 8

4 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 150

დასს ზაქათალაშიც ჰქონდა განზრახული ჩასვლა, მაგრამ ლაგო-  
დებიდან მომავლები 22 ივლისს ჭიათურის ტყეში გაძარცვეს.<sup>1</sup>

შიშვლად დარჩენილმა მსახიობებმა დახმარება მთავრობას  
სთხოვეს, მაგრამ იქ მხოლოდ მათი ერთი სამინისტროდან მეორეში  
გაგზავნით დაკმაყოფილდნენ. მსახიობები იძულებულნი გახდნენ  
ბოლოს ფულს დასჯერებოდნენ, მაგრამ მათ ამის ნაცვლად სამხედ-  
რო ფორმის მიცემას დაჰპირდნენ.<sup>2</sup> დიდი დავიდარაბის შემდეგ  
მთავრობამ მსახიობებს 6648 მანეთის ტანსაცმელი გამოუყო.<sup>3</sup>

1919 წ. თბილისში სხვა დრამატული დასიც შეიქმნა ნ. ჩხეიძის,  
ც. ამირეჯიბის, ნ. ჯავახიშვილის, ი. ზარდალიშვილის, ვ. არაბიძის,  
ი. ბარველის, ნ. გვარაძის, ფანიაშვილის, ჯაფარიძის, გურიელის და  
თარალიშვილის შემადგენლობით. დასი გასტროლებზე წავიდა გო-  
რში, ხაშურში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ბათუმში, ოზურ-  
გეთში, სოხუმში, გუდაუთაში, ლანჩხუთსა და ჭიათურაში. მათ  
რეპერტუარში შედიოდა ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ფოსის  
„დამნაშავეა“ და ენგელის „ზღვასთან“. დასი საგასტროლოდ მთა-  
ვრობის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი ვაგონით გაემგზავრა.<sup>4</sup>

1919 წ. მოგზაური დასი ი. ზარდალიშვილმაც შეადგინა. მან  
დასავლეთ საქართველოში ივნისში გასტროლებზე თან ვ. სარაჯი-  
შვილი, ს. ინაშვილი და ზ. ფალიაშვილიც წაიყვანა.<sup>5</sup> დასმა იმოგ-  
ზაურა გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში,  
სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, აბაშასა და ბათუმში.<sup>6</sup>

1919 წ. ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა ამხანაგობაც ვ. აბა-  
შიძის და ე. ჩერქეზიშვილის მეთაურობით, რომელმაც სიღნაღში,  
ველისციხესა და გურჯაანში იმოგზაურა.<sup>7</sup>

კიდევ უფრო მწვავედ დაისვა ეს საკითხი 1920 წელს. საქარ-  
თველოში მომრავლებულ მოგზაურ დასებზე საჭირო იყო კონ-  
ტროლის დაწესება, რადგან ისინი „ხრწნიდნენ პროვინციებს“.<sup>8</sup>  
უფრო მეტიც, ბოლშევიკები ზოგჯერ ამგვარ დასებს თავიანთი

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 162

2 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 164

3 იქვე, № 171

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 68

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 130

6 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 137

7 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 85

8 უურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 18

პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყენებდნენ. ამის მაგალითად გამოდგება 1918 წ. შექმნილი მოძრავი პროლეტარული დასი „დემოსი“, რომელშიც ბოლშევიკები რ. კალაძე, გ. მკეანაძე, მ. ტროშელიძე, კ. ნუცუბიძე, ო. გაბუნია, ს. კიკაჩიშვილი, ს. სულაქველიძე, ე. გიგინეიშვილი, ს. დოლიძე, ვ. გეგეშიძე და სხვები შედიოდნენ. დასს დ. კობახიძე მეთაურობდა. ისინი წარმოდგენებს დროგამოშვებით დასავლეთ საქართველოს დაბაქალაქებში მართავდნენ და სპექტაკლების დაწყებამდე გამოდიოდნენ თავიანთი იდეების პროპაგანდით, აგრეგლებდნენ ბოლშევიკურ პრესას და ა. შ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ შეფასებით, დასის საქმიანობა უფრო შანტაჟი და აღვირაზსნილობა ყოფილა. წერილის ავტორი მის აკრძალვას მოითხოვდა.<sup>1</sup> ამგვარად დასმა 1918-20 წლებში ჩემუშავა, 1920 წ. კი იგი ხელისუფლებამ აკრძალა და დ. კობახიძე და რ. კალაძე საქართველოდან გაასახლა.<sup>2</sup>

1920 წ. სცენაზე მოღვაწეთა კავშირმა გადაწყვიტა შეექმნა სამი მოგზაური დასი, რომელთათვის განათლების სამინისტრომ რკინიგზაზე უფასო მგზავრობა დააწესა.<sup>3</sup>

1920 წ. შ. დადიანმა ახალი მოგზაური დასი შექმნა ე. ანდრონიკაშვილის, ვ. გამყრელიძის, მ. გელოვანის, პ. ფრანგიშვილის, ვ. მატარაძის, ს. ჟივიძის, ნ. ჩაგუნავასა და ზ. ურუშაძის შემადგენლობით. დასმა იმოგზაურა და 14 წარმოდგენა გამართა ქუთაისში, ხონში, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ყვარელში, ხაშურსა და ბათუმში. მათ ბათუმში ნ. ჩხეიძის იუბილევ გამართეს, რომელიც დასს ფოთსა და ბათუმში თან ახლდა.<sup>4</sup>

1920 წ. ივნისში მოგზაური დასი ტ. აბაშიძისა და ა. იმედაშვილის ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. დასში შედიოდნენ ანკარა, მ. მდივანი, ს. ბეჟანიშვილი, სარაული, გ. ყიფშიძე, ვ. ჭიქია, პ. კორიშელი, ვ. მატარაძე, ზ. ურუშაძე, ს. ჟივიძე, აბდუშელი, ფეიქრიშვილი, ყალაბეგაშვილი, რურუა და ჩაგუნავა. მათ რეპერტუარში შედიოდა „ოტელო“ და „ნაპოლეონი“.<sup>5</sup>

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 13

2 გ. ბუხნიკაშვილი, „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“, თბ., „ხელოვნება“, 1976

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 153

4 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 17

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 118

დასავლეთ საქართველოში 1920 წ. დრამატული სტუდიის დას-  
მაც იმოგზაურა. მასში შედიოდნენ ვ. ანჯაფარიძე, ა. ქიქოძე, ბ. გა-  
მრეკელი, ვ. ციმაკურიძე, მ. გელოვანი, გ. ყიფშიძე, ა. ვასაძე,  
შ. ლამბაშიძე, სარაული, ქორელი, ვ. ჯიქია, გ. ჭიაურელი და შ. გო-  
მელაური.<sup>1</sup>

საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა 1920 წ. სიღნაღსა და  
თელავში ლ. მესხიშვილის ჩასვლაც, რომელმაც სიღნაღში 2, თე-  
ლავში კი 4 წარმოდგენა გამართა. მან დადგა „შეშლილი“ (სამჯერ)  
და „ინსტიქტი“ (ერთხელ). ლ. მესხიშვილს იქ „ღონ კარუხოსა“ და  
„შეშლილის წერილების“ დადგმაც სურდა, მაგრამ იმჯერად ეს ვერ  
შესძლო.<sup>2</sup> კახეთიდან დაბრუნებულ დიდ ხელოვანს ფოთში, სენაკ-  
სა და ზუგდიდში ჩასვლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ავადმყო-  
ფობის გამო ვერც ეს მოხერხდა.<sup>3</sup>

თეატრალურ სფეროს შეიძლება ითქვას, გამორჩეული ყურად-  
ღება ეთმობოდა ეროვნული არმიისა და სახალხო გვარდიის კულ-  
ტურულ ცხოვრებაში. ისეთი მასიური ლტოლვა სცენისაკენ, რო-  
გორც იმ წლებში ეს სამხედრო ნაწილებში იყო, თითქმის კულტუ-  
რის არც ერთ სხვა დარგზე არ ითქმის.

მთავრობაც ითვალისწინებდა რა თეატრალური ხელოვნებისად-  
მი ასეთ დიდ სიყვარულს, ცდილობდა ყოველნაირად შეეწყო ხელი  
სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რათა მათთვის ხელმისაწვდომი  
ყოფილიყო სასცენო ხელოვნება. სწორედ ხელისუფლების ხელის  
შეწყობით გახდა შესაძლებელი ის, რომ 1919 წ. არმიისა და გვარ-  
დიის 12 000 მოსამსახურეს ენახა თბილისის სახელმწიფო თეატრის  
სცენაზე განხორციელებული 12 დრამატული წარმოდგენა,<sup>4</sup> რო-  
მელთა შორის იყო „სამშობლო“, „ღალატი“ და სხვები.<sup>5</sup> სახელ-  
მწიფოს მუშებისა და სამხედროებისათვის გაწეული ეს შეღავათი  
სულ 700 000 მ. დაუჯდა.<sup>6</sup>

1919 წ. გვარდიის ხელმძღვანელობის დადგენილებით გადაწ-  
ყდა, სახელმწიფო თეატრში კვირაში ორჯერ მომხდარიყო დრამა-

1 ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 20

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 885

3 იქვე, № 911

4 იქვე, 1919 წ., № 842

5 იქვე, № 759

6 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 229

ტულ სპექტაკლებზე გვარდიელების დასწრება,<sup>1</sup> ხოლო 1920 წ. 6 იანვარს მთავრობამ სახელმწიფო თეატრს თავის მხრივ გამოუყო 15 000 მ., რათა მას არმიისა და გვარდიისათვის წარმოდგენები უფასოდ ეჩვენებინა თვეში ორჯერ.<sup>2</sup> ასევე გადაწყდა, თბილისში გვარდიელებისათვის მოეწყოთ სპეციალური სცენა და გაეხსნათ კლუბები.<sup>3</sup>

1919 წ. 15 აგვისტოს თბილისში გაიხსნა გვარდიის სახლიც. რომელსაც თავისი თეატრი ჰქონდა. თეატრი საკმაოდ მაღალი დონისა იყო, რადგან მასში მოყვარულების გარდა ოთხი მოწვეული პროფესიონალი მსახიობი ქალიც საქმიანობდა. 20 დეკემბერს დასმა თავისი სეზონი გახსნა.<sup>4</sup>

1920 წ. არმიისა და გვარდიაში კიდევ უფრო მასიური ხასიათი მიიღო თეატრალური საქმიანობით ვატაცებამ, რასაც დიდად შეუწყო ხელი იანვარში გვარდიის კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ჩამოყალიბებამ. ამის თაობაზე აღნიშნა კიდევ გვარდიის სარდალმა ვ. ჭულელმა, თავის გამოსვლაში გვარდიის II ყრილობაზე, 29 ოქტომბერს. გვარდიას ამ დროისათვის მთელს საქართველოში უკვე ჰქონდა 7 სახალხო სახლი შექმნილი.<sup>5</sup>

1920 წ. თბილისში საგანგებო ჯატალიონის მოძრავი დრამატული დასიც შეიქმნა, რომელიც წარმოდგენებს ძირითადად რაიონებში მართავდა.<sup>6</sup> დასმა ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღა და თათქმის მთელი საქართველო მოიარა. დაიწყო მათთვის თეატრის მშენებლობაც, რისთვისაც 50 000 მ. გამოიყო.<sup>7</sup>

16-26 სექტემბერს დასი გვარდიის კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიასთან ერთად ქუთაისს, ხაშურს, ჭიათურას, ხონს, სამტრედიას, სენაკს, ფოთს, ოზურგეთსა და ბათუმს ეწვია. მათთან ერთად წავიდნენ გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილიც. მსახიობთა დასს დ. აბღუშელი მეთაურობდა.<sup>8</sup> ოქტომბერში დასი ისევ პროვინციაში, ამჯერად გარეკახეთში გაემგზავრა, ორკესტრთან ერთად.

1 გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ., № 750

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 13-14

3 გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ., № 842

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 905

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 245

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 7

7 გაზ. „ერთობა“. 1920 წ., № 229

8 იქვე, № 202, 206, 210

მათ საგარეჯოში ორი, ხოლო ხაშში ერთი დადგმა გამართეს.<sup>1</sup> დასმა წარმოდგენები 1920 წ. შემოდგომაზეც გამართა ახალციხესა და ცხინვალში ორ-ორჯერ და ბორჯომსა და ხაშურში თითოჯერ.<sup>2</sup> უფრო ადრე, 22 ივლისს კი, თბილისში მოეწყო საღამო, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად ფრონტზე დალუპულთა ოჯახებს მოახმარა.<sup>3</sup>

გვარდიელთა კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა გახდა 1920 წ. 6 ნოემბერს საგანგებო ბატალიონსა და საინჟინრო გუნდში „სახალხო გვარდიის სახლი კ. კაუცკის სახელობისა“ გახსნა. გახსნაზე გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშაც გამოვიდნენ. მისი აგება სახელმწიფოს სულ 900 000 მ. დაუჯდა. სახლს საკუთარი დრამწერეც ჰქონდა. საგანგებო ბატალიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასი ძირითადად პროვინციებში და ფრონტებზე აჩვენებდა წარმოდგენებს.<sup>4</sup>

თბილისის სამხედრო ნაწილებში სცენის მოყვარულთა სხვა დასებიც მრავლად არსებობდა. პრაქტიკულად აქ განლაგებულ ყოველ ნაწილს თავისი დასი ჰყავდა.

1919-20 წლებში დრამატული დასები შექმნეს სადარაჯო ათასეულში, საგანგებო ბატალიონში, საავტომობილო გუნდში, მესანგრეთა ათასეულში, არსენალში, საარტილერიო ნაწილში, V ათასეულში, საგანგებო გუნდსა და ათასეულში და სამხედრო ჰოსპიტალის კლუბში. უნდა ითქვას, რომ გვარდიის ხელმძღვანელობა დიდ დახმარებას უწევდა ცალკეულ ნაწილებს ბაზის მოწყობაში. მაგალითად, მან ცხენოსან დივიზიონს მისცა 50 000 მ. აუდიტორიის მოსაწყობად, ორთაჭალის შტაბს 40 000 მ. საზაფხულო კლუბის მოსაწყობად, საარტილერიო ბრიგადას 71.000 მ. თეატრის მოსაწყობად და ა. შ.<sup>5</sup>

დასები ძალზე აქტიურად საქმიანობდნენ. მაგალითად, სადარაჯო ათასეულში დასმა შეწყვეტილი საქმიანობა 1920 წ. 26 მაისს განაახლა და სულ რაღაც ორ თვეში 7 პიესა დადგა და ერთი ლიტერატურული გასამართლება მოაწყო (წინა სეზონში დასს დადგმული ჰქონდა 12 პიესა და მოწყობილი ჰქონდა ორი ლიტერატურ-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 229, 233

2 იქვე, № 281

3 იქვე

4 იქვე, № 252, 281

5 იქვე, № 102, 106



რული გასამართლება).<sup>1</sup> დასის ასეთ გააქტიურებას დიდად შეუწყობელი იქ ხელმძღვანელად მსახიობ ვ. ჯიქიას მიწვევამ, რომელიც შ. ფრანგიშვილთან ერთად დადგმებშიც მონაწილეობდა. ასევე გააქტიურდა საარტილერიო დივიზიონის დასიც, რომლის დადგმებში V ათასეულის და ავლაბრის სცენის მოყვარენიც მონაწილეობდნენ. ბოლო ოთხ თვეში მათ სამი ახალი წარმოდგენა დადგეს.<sup>2</sup>

ზოგიერთი დასი მარტო თავის ნაწილში წარმოდგენების გამართვითაც არ კმაყოფილდებოდა და ხშირად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც მოგზაურობდა. მაგალითად, გვარდიის საგანგებო ბატალიონის და საინჟინრო გუნდის დასი 1920 წ. აპრილში ახალციხეს ეწვია, სადაც 23-25 აპრილს, თეატრ „რიმაში“ „ელეონორა“, „შურისძიება“, „პატარა კახი“ და „ბატონი და ყმა“ აჩვენა. დასი ბორჯომსა და ხაშურსაც ეწვია.<sup>3</sup>

ცალკეული დასები სხვადასხვა ხასიათის საღამოებსა და წარმოდგენებს თბილისის თეატრებსა და კლუბებშიც ხშირად მართავდნენ მაყურებლისათვის.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა პროვინციებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში მოქმედი სცენის მოყვარულთა ძალებით შექმნილი დასებიც. ისინი საოცარი ენთუზიაზმით თვითონ აწყობდნენ თეატრისათვის შენობებსა და სცენებს. მაგალითად, დუშეთში ადგილობრივმა გვარდიამ თვითონ ითავა გაძარცვული შენობის აღდგენა და მასში გვარდიელთა თეატრის მოწყობა. აქ წარმოდგენებს ძირითადად ოფიცრები მართავდნენ. მათ ფულიც კი შეაგროვეს იქ თეატრის ასაგებად. თუმცა ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობასაც არ გამოუჩენია უყურადღებობა და დუშეთის შტაბს ამ მიზნით 50 000 მ. მისცა.<sup>4</sup> ასევე თვითონ აგებდნენ შენობებს გორსა და ფოთშიც. შენობა და სცენა ადგილობრივი ძალებით მოეწყო სოჩის ფრონტზეც, სადაც სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები ადგილობრივი დრამსექციის მიერ. ის კი არა და მათ თავიანთი დადგმების ჩვენება თბილისის მუშათა კლუბებშიც კი გადაწყვიტეს.<sup>5</sup> 1920 წ. 5 მარტს სათეატრო კომისია აირჩიეს მესხეთ-ჯავახეთის გვარდიელებმაც. მათ მოკლე დროში არათუ ახალციხეში მოაწყვეს

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 182, 241

2 იქვე. 1921 წ., № 7

3 იქვე. 1920 წ., № 91, 99

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 34, 140, „სახალხო საქმე“, № 548

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 281

სცენა და დაიწყეს წარმოდგენების გამართვა, არამედ ყველა იმ სოფელშიც კი მოაწყვეს შენობები, სადაც გვარდია იდგა,<sup>1</sup> ხოლო გურიაში გვარდიამ ააგო კლუბი სცენით, რომელშიც მას მთავრობაც დაეხმარა 60 000 მანეთით.<sup>2</sup>

აქ საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა, მართლაც დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ნაწილებში კულტურულ მუშაობას. ამის კარგ მაგალითად გამოვადგება გვარდიის შტაბის 1919 წ. გადაწყვეტილება, პროვინციებში უმოკლეს ვადაში აეგო შვიდი კლუბი თავისი სცენით,<sup>3</sup> გვარდიელებს ენერგიულად ედგა გვერდით მუშათა კლუბი „ხელოვნებაც“.

1919 წლიდან ადგილობრივი სცენის მოყვარულთა დასები მოქმედებდნენ ქუთაისში, ახტალაში, ოზურგეთში, შულავერში, დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, ხაშურში, ხულოში, ქობულეთსა და ზესტაფონში განლაგებულ ნაწილებშიც. როგორც წესი, ისინი მხოლოდ წარმოდგენების გამართვით არ კმაყოფილებოდნენ და ხშირად აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს, ლიტერატურულ გასამართლებებს, სიმღერისა და ცეკვის საღამოებს, შეხვედრებს მათთვის საინტერესო ადამიანებთან და ა. შ. მაგალითად, 1920 წ. 19 აგვისტოს ზესტაფონში, არაბიძის ეზოში, გამართეს დიდი კონცერტი, აჩვენეს დადგმა და ჩატარდა ლექცია, რომელსაც თვით გვარდიის სარდალი ვ. ჯუღელი და პოეტი გ. ქუჩიშვილიც ესწრებოდნენ.<sup>4</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს სამხედრო ნაწილებში წარმოდგენები ყოველ კვირას იმართებოდა, ძირითადად ადგილობრივა ძალებით, რომელთაც ზოგჯერ მოწვეული რეჟისორები და მსახიობებიც წაეწველებოდნენ.<sup>5</sup>

მართალია, დასებში სცენის მოყვარულები იყვნენ გაერთიანებული და ისინი შორს იდგნენ მაღალი პროფესიული დონისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მაინც დიდი როლი შეასრულეს სამხედრო მოსამსახურეთა (და არა მარტო მათი) კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 72, 230

2 იქვე

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 842

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 187, 196

5 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 29

წარმართებოდა, ადგილობრივი სცენის მოყვარეები პიესებით რომ ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი.

ქართულ კულტურულ-თეატრალურ ცხოვრებაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1920 წ. მომხდარი ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ამ წელს ქართული დრამატული დასი პირველად ვასცდა საქართველოს და საგასტროლოდ ბაქოში ვაემგზავრა ე. ჩერქეზიშვილის, ვ. აბაშიძის, ტ. აბაშიძის, შ. დადიანის და სხვათა შემადგენლობით. მათ იქ 31 მარტს პირველ წარმოდგენად „სტუმარ-მასპინძლობა“ აჩვენეს. ასევე აჩვენეს მეორე სპექტაკლიც „რაც არ ვერგება, არ შეგვრგება“.<sup>1</sup> ბაქოში დასის სტუმრობამ იქაურ ქართველთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია.

1920 წ. საქართველოში სხვა მეტად დიდი მნიშვნელობის კულტურული მოვლენაც მოხდა, 15 აპრილიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსეთიდან დევნილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის სახელოვანი კოლექტივი. თეატრის სტუმრობა ძალზე ფართოდ გააშუქა პრესამ. დაიბეჭდა ა. ფაღავას დიდი წერილი „თეატრის გარშემო“, რომელშიც ამ თეატრის ისტორიაა მოთხრობილი.<sup>2</sup> რუსმა მსახიობებმა ქართველ მაყურებელს უჩვენეს ჩეხოვის „აღუბლის ბაღი“ და „ძია ვანია“, ოსტროვსკის „ერთი სისულელე ყოველ ბრძენს მოუვა“, სერგუჩევის „შემოდგომის კიანურნი“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და ჰამსუნის „აღმასვლის კარებთან“.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა „ძმებმა კარამაზოვებმა“. ლ. ნათაძის შეფასებით, მსგავსი დადგმა თბილისელ მაყურებელს არ უნახავს. იგი განსაკუთრებით გამოყოფდა ივანე კარამაზოვის როლის შემსრულებელ კაჩალოვს, დიმიტრი კარამაზოვის როლის შემსრულებელ ბაკშეევს, გრუშენკას როლის შემსრულებელ გერმანოვას და კატერინა ივანოვნას როლის შემსრულებელ ორლოვას. მისი თქმით, მოსკოვის დასმა ახალი თეატრალური შესაძლებლობანი აღმოაჩინა.<sup>3</sup>

„ძმებ კარამაზოვებს“ მაღალი შეფასება მისცა გ. გოლდენდმაც გაზეთ „საქართველოში“. აქაც განსაკუთრებით გამოყოფილია კაჩალოვი, გერმანოვა და პავლოვა, თუმცა გამოთქმულია შენიშვნაც, რომ სპექტაკლში ზედმეტი იყო მეოთხე მოქმედება — გასამარ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 789

2 იქვე, № 801, 808

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 118

თლება.<sup>1</sup> სპექტაკლზე დადებითი რეცენზია დაბეჭდა პ. დადვაძე-  
მაც.<sup>2</sup>

მაღალი შეფასება მიეცა „ალუბლის ბაღსაც“, რომელზეც „ერ-  
თობაში“ ლ. ნ.-მის ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა. განსაკუთრებუ-  
ლი შეფასება მიიღო კნიპერმა, რომელმაც რანეცკის როლი შეა-  
სრულა.

რეცენზენტის თქმით, ეს იყო ანსამბლის და არა პიროვნების  
თეატრი და რომ ასეთი რამ არ უნახავს თბილისს, მათ უმაღლესი  
კულტურა მოიტანეს. სპექტაკლში კარგად ითამაშეს კაჩალოვმა,  
კნიპერმა და მასალიტინოვმა. „იგი გზის მაჩვენებელ ჩირაღდნად  
გამოადგება ჩვენს დანგრეულ სცენას და ხელოვნებას. საუკეთესო  
გაკვეთალია ჩვენი სცენური ხელოვნების მესვეურთათვის“.<sup>3</sup>

„ალუბლის ბაღს“ მაღალი შეფასება მისცა პ. დადვაძემაც. მისი  
აზრით ამ სპექტაკლის ჩვენება „დიდი კულტურული მოვლენაა და  
ჩვენება სკოლაც იყოს ჩვენთვის“.<sup>4</sup>

ლ. ნ.-მ „ძია ვანიაზეც“ გამოაქვეყნა რეცენზია და მასაც დად-  
ებითი შეფასება მისცა. მისი თქმით, კარგი იყო კაჩალოვის ასტროვი.  
„ეს იყო უმაღლესი სისრულე თამაშის. მან გააერთიანა ხელოვნება  
და ცხოვრება. ეს დადგმა თბილისში მთელი აღმოჩენაა, მთელი  
სკოლა“. რეცენზიაში გამოთქმული იყო შენიშვნებიც — ავტორის  
აზრით არ ვარგოდა განათება, ჩიტების სტვენა და გახმაურება.<sup>5</sup>

ლ. ნ.-მ ასევე განიხილა მოსკოველთა დადგმა პამსუხის  
„სასუფეველის კარებთან“ და მას ძალზე მაღალი შეფასება მისცა.  
რეცენზენტის აზრით სპექტაკლში ბრწყინვალედ შეასრულეს რო-  
ლები კაჩალოვმა (კარენო) და გერმანოვამ (ელინა კარენო). ასევე  
კარგები ყოფილან შასალიტინოვი და ბერსენევაც.<sup>6</sup> დადებითი რე-  
ცენზია ამ დადგმაზე პ. დადვაძემაც გამოაქვეყნა.<sup>7</sup>

ლ. ნ.-მ რეცენზია მიუძღვნა მოსკოველთა კიდევ ერთ დადგმას  
ოსტროვსკის „ერთი სისულელე ყოველ ბრძენს მოუვა“. მართალია  
იგი წარმოდგენას კი იწონებდა, თუმცა თვლიდა, რომ ის ვერ შე-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 99

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 838

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 91

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 803

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 101

6 იქვე, № 93

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 810, 812

ედრებოდა „ალუბლის ბაღს“. რეცენზენტის აზრით ეს სულაც არ იყო თეატრის ბრალი, რადგან პიესა იყო სუსტი. მისი შეფასებით ყველას გერმანოვა სჯობდა. „კლასიკის დადგმა ჩვენთვის ძლიერ სასარგებლოა, რომ ვნახულობთ, ამით მაგალითს ავიღებთ, თუ რა ავიღოთ ძველი მასალიდან, როგორ დავდგათ კლასიკა“.<sup>1</sup>

დადებითი რეცენზიები ოსტროვსკის პიესის დადგმაზე გამოაქვეყნა პ. დადვაძემაც.<sup>2</sup> ნაკლები ყურადღება დაამსახურა დადგმამ სერგუჩევის „შემოდგომის ჭიანჭური“.<sup>3</sup>

მოსკოველმა მსახიობებმა თბილისში საგანგებო წარმოდგენა გამართეს ბავშვებისათვის. ასევე მოაწყვეს მათ კონცერტი უმუშევართა სასარგებლოდ, ხოლო 22 აპრილს ჩაატარეს ლიტერატურული საღამო, რომელსაც პ. დადვაძემ მალალი შეფასება მისცა.<sup>4</sup> ე.ა. ლკე ლიტერატურული საღამო ჩაატარა კაჩალოვმა, რომელმაც ასევე გ. გოლუენდის რეცენზიაში დიდი მოწონება დაიმსახურა.<sup>5</sup> მას დადებითი რეცენზია მ. ღვამიჩავამაც მიუძღვნა „სახალხო საქმეში“.<sup>6</sup>

ძალზე დიდი იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრისადმი მაცურებლის ინტერესი. მისი წარმოდგენები 50 000-ზე მეტმა მაცურებელმა ნახა. 16 აპრილს კი არტისტულ თეატრში გაიმართა მოსკოვის თეატრის ლიტერატურული გასამართლება, ხოლო 30 აპრილს ქართულ კლუბში მწერლების, კრიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ ჩატარდა გასტროლების პირველი განხილვა.<sup>7</sup> 3 მაისს ქართულ კლუბში გაიმართა მოხსენება-დისპუტიც „სამხატვრო თეატრი, მისი წარსული, აწყმო და მომავალი“, სადაც მოხსენება ი. ფალავამ გააკეთა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ახმეტელმა, ი. გომართელმა, გ. ვეშაპელმა, ლ. ნათაძემ, გ. ქიქოძემ, დიშოვმა, კრემერმა, ლაზარევმა, ლეონგრინმა, ლოვოვა და სხვებმა.<sup>8</sup>

სტუმრები უყურადღებოდ არც ხელისუფლებას დაუტოვებია და საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, მთავრობამ სამხატვრო

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 87

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 805-806

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 97

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 809

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 106

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 803

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 94

8 იქვე, № 97

თეატრისათვის დახმარების გაწევა დაადგინა.<sup>1</sup> თავის მხრივ, განსაკუთრებული თბილი მიღებისათვის მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობამ საქართველოს სახელმწიფო თეატრის კომისარ ა. წუწუნავასა და მის ყველა წევრს გულითადი მადლობა გადაუხადა.<sup>2</sup>

მოსკოველი მსახიობები თითქმის წლის ბოლომდე დარჩნენ საქართველოში და თავიანთი წარმოდგენები ქუთაისელ, ბორჯომელ და ბათუმელ მაყურებელსაც უჩვენეს.

როცა 1918-21 წლების თეატრალურ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს ერთ კარგ ტრადიციაზე. საქმე იმაშია, რომ 1919 წ. დამოუკიდებელ საქართველოში პირველად აღინიშნა მსახიობის დღე.<sup>3</sup> ამ წელს იგი 14-15 ივნისს არტისტებისა და მემუსიკეების დღის — ხელოვნების მსახურთა დღის სახელწოდებით ჩატარდა. თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე გაიმართა ზეიმი, ჩატარდა კონცერტები, წარმოდგენები, კაბარე, დეკლარაციები და შარკები. ყველგან უკრავდა ორკესტრი. ზეიმის მონაწილე მსახიობები ბოლოს ნ. ჟორდანიას ეწვივნენ და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.<sup>4</sup> მსახიობის დღის შემოსავალმა მთლიანად 150 000 მ. შეადგინა.<sup>5</sup>

1919 წ. 1 ივნისს თბილისში გამართულმა მსახიობთა კავშირის მესამე ყრილობამ მსახიობის დღის ჩატარება 1920 წლისათვის 2 იანვარს დაადგინა. ამ დღეს შემოსული თანხა მთლიანად კავშირს უნდა გადასცემოდა, რომელიც შემდეგ მას ცალკეულ მსახიობებს მოახმარდა.<sup>6</sup>

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა ს. ფირცხალავას წერილი, რომელშიც ყურადღება ამ დღის დანიშნულებაზე იყო გამახვილებული. ს. ფირცხალავას აზრით, 2 იანვარს ყურადღება მარტო ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე კი არ უნდა გამახვილებულიყო, არამედ მომხდარიყო თეატრალური

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 902

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 129

3 აშკარად მცდარია გ. ბუხნიკაშვილის ინფორმაცია, რომელსაც იგი თავის წიგნში „ქართული თეატრი ახალი ცხოვრების მიჯნაზე“ გვაწვდის, რომ თითქოსდა მსახიობის დღე დამოუკიდებელ საქართველოში პირველად მხოლოდ 1920 წ. 2 იანვარს გამართულიყოს.

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 126, „საქართველოს რესპუბლიკა“, № 130

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 544

6 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 282

ხელოვნების პროპაგანდა. საანტერესოა ითქვას, რომ მარტო ამ დღეს თბილისში 14 ქართული წარმოდგენა იყო დაგეგმილი (თბილისში ამ დროისათვის სულ 12-ზე მეტი საზოგადოება და დრამწრე არსებობდა). წერილში ს. ფირცხალავა ყურადღებას ამახვილებდა თეატრის როლსა და მდგომარეობაზე და აღნიშნავდა, რომ თუ დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, შემდეგში მდგომარეობა შეიცვალა და სახელმწიფომ აშკარად გააძლიერა თეატრისადმი ყურადღება.<sup>1</sup>

1920 წ. მსახიობის დღის მოსამზადებლად ფართო სამუშაოები დაიწყო. მას დიდ რეკლამას უწევდა პრესაც. დაიბეჭდა ღონისძიებათა გეგმა, თუ სად რა ღონისძიება გაიმართებოდა.<sup>2</sup> 2 იანვარს ქუჩებში ივლიდა პროცესია, გაიყიდებოდა ამ დღისათვის საგანგებოდ გამოსული გაზეთი „მსახიობის დღე“ (რედაქტორი შ. დადიანი), ცნობილ მსახიობთა სურათები და ა. შ.

სალამოს ყველა თეატრში იქნებოდა სადღესასწაულო წარმოდგენა-სალამოები, სახელმწიფო თეატრში „ლალატი“, ქართულ კლუბში უმიკაშვილის „სამზადისი“, სახალხო სახლში „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუშათა ცენტრალურ კლუბში ი. გედევანიშვილის „გამცემი“, ნაძალადევის კლუბში მოხსენება თეატრალურ ხელოვნებაზე და „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „შარკი“. პუშტაიდის კლუბში იგივე, ვერის აუდიტორიაში სალამო — წარმოდგენით, საბურთალოს თეატრში „სიძე-სიმამრი“, ორთაქალის კლუბში „პატარა კახი“, ერთობის უბანში „და-ძმა“, ავჭალის აუდიტორიაში სალამო-წარმოდგენა მოხსენებით, აელაბრის თეატრში წარმოდგენა — მოხსენებით, სახელოსნო კლუბში „პეპო“ და მოხსენება და ნავთლელის მუშათა კლუბში წარმოდგენა. ზეიმის დამაგვირგვინებელი წარმოდგენის „გაყრის“ ჩვენება არტისტულ თეატრში იყო დაგეგმილი.<sup>3</sup> მთელს ამ სამზადისს საგანგებოდ შექმნილი მსახიობის დღის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო ხელმძღვანელობდა.<sup>4</sup>

დიდი ზეიმით ჩატარდა მსახიობის დღე 1921 წ. 2 იანვარსაც და მთელს საქართველოში გაიმართა საზეიმო წარმოდგენები, ხოლო 3 იანვარს ქუჩებში საზეიმო პროცესიები დადიოდა. გაიყიდა საგან-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 721

2 იქვე, 1919 წ., № 718

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ. „ № 1

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 290

გებო გაზეთი „მსახიობის დღეც“. თბილისში საღამოები მოეწყო ოპერის თეატრში, სახელმწიფო დრამის თეატრში, სახალხო სახლში, მუშათა კლუბში, ნაძალადევის თეატრში, მუშტაიდის კლუბში, ვერის, ავლაბრისა და ავჭალის აუდიტორიებში, ავლაბრის მეხუთე ათასეულის თეატრში და ა. შ.<sup>1</sup>

ცალკე უნდა აღვნიშნოთ 1919-21 წლებში პროვინციებში გამართული მსახიობის დღეებიც. 1919 წ. იგი 19 ქალაქში გაიმართა. ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭომ პროვინციებში დაგზავნა მიმართვები, რომლითაც ადგილებზე მომუშავე მსახიობებს თხოვდა 2 იანვარს გაემართათ საღამოები, წარმოდგენები, გაეგრცლებინათ მსახიობთა სურათები, გაზეთი „მსახიობის დღე“ და შემოსავალი მსახიობთა კავშირისათვის გადაეცათ. ამ დღეს ბათუმში საგანგებო მატარებელი ჩავიდოდა.<sup>2</sup>

1920 წ. მსახიობის დღე საგანგებო წარმოდგენებით აღინიშნა ფოთში, სოხუმში, გორში, ხაშურში, ქიათურაში, შორაპანში, ბორჯომში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ახალენაკში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, სიღნაღში, ველისციხეში, თელავსა და დუშეთში, ხოლო ქუთაისში საზეიმო პროცესია ქუჩებში დადიოდა, საღამოს კი თეატრში წარმოდგენა გაიმართა.<sup>3</sup>

ასევე აღინიშნა მსახიობის დღე 1921 წელსაც ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, გორში, შორაპანში, ქიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, დუშეთში, თელავში, სიღნაღში, ველისციხესა და სხვაგან.<sup>4</sup>

როგორც ვწერდით უკვე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე ეკონომიკურ პირობებში უწევდა ცხოვრება. ბუნებრივია, რომ უჭირდათ თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებსაც. ეს გასაჭირი იმდენად დიდი იყო, რომ მაგალითად, 1918 წ. ოქტომბრიდან, მიუხედავად პრესის აქტიური ჩარევისა, მძიმედ ავადმყოფი ვ. შალიკაშვილისათვის ვერ მოხერხდა გამოძებნილიყო სამკურნალოდ სოხუმში გასაგზავნი ფული (ერთად ერთი ვინც მას 250 მ. დაეხმარა, ქუთაისის დრამატული საზოგადოება იყო) და მსახიობი 1919 წ. იანვარში გარდაიცვალა.<sup>5</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., № 2

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 708, 718

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 1

4 იქვე, 1921 წ., № 2

5 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 250, 254, 266, 1919 წ., № 17



ლიან ჰგავდა იაგოს, ხოლო სხვა გმირები უფრო მკროალნი და გა-  
ურკვეველნი იყვნენ. კარგი იყო პიესის ენაც, რეცენზენტის აზრ-  
ით, არ ვარგოდა გ. ყალაბეგაშვილის სააკაძე, ხოლო კარგები იყვნენ  
პ. კორიშელი (შადიმანი) და მ. ჭიაურელი (მეფე ლუარსაბი), თუ-  
მცა ეს უკანასკნელი ძალზე სენტიმენტალური ყოფილა. შედარებით  
ნაკლები შეფასება ჰქონდა მიცემული ამირეჯიბის თეკლას, ხოლო  
დანარჩენი მსახიობების თამაში სუსტი ყოფილა. ასევე არ ვარგე-  
ბულა მასიური სცენებიც. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ლ. ნათა-  
ძემ სპექტაკლი მაინც საჭირო დადგამდ მიიჩნია.<sup>1</sup>

მოწონებული იქნა დასის 16 დეკემბერს განხორციელებული  
„აღლუმის“ პრემიერაც (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი) და მასში  
ტ. აბაშიძის, ა. ვასაძისა და ა. ყალაბეგაშვილის თამაში.<sup>2</sup>

1920 წ. 23 დეკემბერს ბოლო პრემიერად დასმა „ანტიგონე“  
წარმოდგინა (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, მხატვარი სიდამონ-  
ერისთავი).

კიდევ უფრო გაააქტიურა თეატრმა საქმიანობა 1921 წ. იანვრი-  
დან და ზედიზედ იქნა წარმოდგენილი პრემიერები: 8 იანვარს „კო-  
ტეს დანაშაული“ (რეჟისორი ნ. გამრეკელი—თორელი). სპექტაკლი  
ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი და მას უფასოდ აჩვენებდნენ),  
15 იანვარს „მარიამ მაგდალინელი“, 27 იანვარს „სამშობლო“ (რე-  
ჟისორი კ. ანდრონიკაშვილი), 10 თებერვალს „რაც გინახავს, ველარ  
ნახავ“ (რეჟისორი ა. ახმეტელი) და 17 თებერვალს „ვინ არის და-  
შნაშავე“ (რეჟისორი ა. წუწუნავე). 6 თებერვალს ასევე გაიმართა  
საზეიმო წარმოდგენაც, საქართველოს იურიდიული ცნობის გამო,  
ქართულ და რუსულ ენებზე.

რაც შეეხება „მარიამ მაგდალინელს“, მასზე მუშაობა 1920 წ.  
ლ. მესხივილმა დაიწყო, მაგრამ იგი ისე გარდაიცვალა, რომ მისი  
დამთავრება ვერ მოასწრო. სპექტაკლი ზ. ბერიშვილმა დაასრულა.  
პრესამ სპექტაკლი ძალზე უარყოფითად შეაფასა. „საქართველოს  
რესპუბლიკაში“ ვინმე „სკამი № 82“-მა დაიწუნა პიესა, ხოლო და-  
დგმა ყალბად მიიჩნია. უნდა ითქვას, რომ მას საერთოდაც არ მოს-  
წონდა თეატრის რეპერტუარი.<sup>3</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 270

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 1008

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 12, „სახალხო საქმე“,  
№ 1009

ზე, თანაც ბენეფისის დანიშვნის უფლება მხოლოდ კავშირის საბ. |  
ჭოს კომპეტენციაში წედიოდა.<sup>1</sup>

1919 წ. ორი დიდი ბენეფისი გაიმართა. 3 მარტს იგი მიეძღვნა  
კაბაშიძის მოღვაწეობის 45 წლისთავს. ვ. აბაშიძე ამასთან დაკავ-  
შირებით მთავრობამ სახელმწიფო ღებრით, ქნარითა და 5000 მ.  
დააჭილდრვა. ასევე დააჭილდოვა იგი 1000 მ. მსახიობთა კავშირ-  
მაც. საღამოზე წარმოდგენილი იქნა ა. წუწუნავას მიერ დადგმული  
ხანუმა“. იყო მილოცვება და ა. შ.<sup>2</sup>

4 ივნისს ბენეფისი მიეძღვნა გ. იშხნელის მოღვაწეობის 10  
წლისთავს. ა. წუწუნავასა და კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით  
წარმოდგენილი იქნა „ღალატი“, რომელშიც ერთ-ერთი როლი  
თვით გ. იშხნელმა შეასრულა.<sup>3</sup>

უნდა ითქვას ერთიც — მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების  
მუშაკები დიდ ეკონომიკურ გასაჭირს განიცდიდნენ, ისინი მაინც  
ახერხებდნენ თავიანთი ხელოვნებით სხვებს დახმარებოდნენ. მხე-  
დველობაში გვაქვს საქველმოქმედო წარმოდგენები, რომლებიც  
არც თუ იშვიათად იმართებოდა. 1918 წ. იგი უმეტესად მიმართუ-  
ლი იყო სომხეთთან ომში დაღუპულთა ოჯახების, მეომრებისა და  
სხვათა სასარგებლოდ. ზოგჯერ სხვადასხვა დასები ერთმანეთსაც  
უმართავდნენ ხელს. ასე მაგალითად, 1918 წ. 17 ივნისს ავჭალის  
თეატრში გამართული „ქრისტიანეს“ შემოსავალი მთლიანად პატარ-  
ძეულის დრამატულ წრეს გადაეცა. 1919 წ. კი სახალხო სახლმა  
დაღუპულ მეომართა ოჯახების დასახმარებლად გამართა კონცერ-  
ტი, 7-8 და 9 მარტს სახელმწიფო თეატრში დადგმები მოეწყო  
უმუშევართა დასახმარებლად. არტისტულ თეატრში გაიმართა სა-  
ღამო ლტოლვილთა სასარგებლოდ. საღამო გაიმართა ბრმათა სკო-  
ლაშიც. უსინათლო მოსწავლეთა დასახმარებლად, თეატრ „ტარ-  
ტოში“ ბათუმის პოლკის დაღუპულ მეომართა ოჯახების სასარგებ-  
ლოდ. 1920 წ. 26 თებერვალს დრამატულმა საზოგადოებამ საღამო  
გამართა გორის მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად და  
ა. შ.

მნიშვნელოვანი იყო მთავრობის 1919 წ. 10 ოქტომბრის დად-  
გენილებაც, რომ სახაზინო თეატრში კვირაში ერთხელ გამართუ-

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“. 1919 წ., № 103

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919 წ., № 15, 51

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 119

ლიყო იაფფასიანი წარმოდგენა, რათა მუშა-მოსამსახურეებს და საშენებლოებს შესაძლებლობა მისცემოდათ მათი ნახვისა. მთავრობამ ამ მიზნით თეატრს 31353 მ. გამოუყო.<sup>1</sup>

ქვეყნის თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელსაც ი. იმედაშვილი გამოსცემდა და რედაქტორობდა. ჟურნალი მიუხედავად დიდი სირთულეებისა, მაინც სისტემატურად გამოდიოდა (მისი გამოსვლა დროებით მხოლოდ ორჯერ შეწყდა 1918 წ. პირველად უქალაქობის გამო და მეორედ, როცა ი. იმედაშვილი სომხეთში მოხალისედ წავიდა.<sup>2</sup> 1920 წლიდან ჟურნალი ყოველ კვირაში დიდი ფორმატით გამოიცემოდა, რაც ნაწილობრივ იმითაც გახდა შესაძლებელი, რომ ჟურნალს ფინანსური დახმარება გაუწიეს ქალაქთა კავშირმა (5000 მ.),<sup>3</sup> ზემო აკეთის ერთობამ (250 მ.)<sup>4</sup> და ა. შ.

1920 წ. ივნისში ზეიმით აღინიშნა ჟურნალის დაარსებიდან ათი წლის იუბილე. გამოიცა მისი საიუბილეო ნომერიც (№ 13). 13 ივნისს კი თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო. საღამო 26 ივნისს მეორე ქართულ კლუბშიც გაიმართა.

კულტურულ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1920 წ. 30 სექტემბერს ყოველდღიური თეატრალური გაზეთის „არლეკინის“ გამოსვლა, რაც სახელმწიფო თეატრის გახსნის დღეს დაემთხვა, გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა.<sup>5</sup>

ცალკე უნდა შევეხოთ მსახიობთა უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. იგი იმდენად აუტანელი იყო, რომ საქვეყნოდ ცნობილი მსახიობები იძულებული იყვნენ ათასგვარი ფორმები მოეგონებინათ თუნდაც მცირეოდენი თანხის საშოვნელად. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 13 ივნისს მსახიობთა კავშირის მიერ ვ. აბაშიძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ვ. გუნიას, ე. ჩერქეზიშვილის და სხვათა მონაწილეობით გამართული სახალხო სეირანობა დევიზით „მოქეაფენო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.<sup>6</sup>

მიუხედავად ქვეყნის მძიმე მდგომარეობისა, ხელისუფლება

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 237

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 435

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 130

4 იქვე, № 9

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 215

6 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 129

ცდილობდა მინიმალური დახმარება მაინც გაეწია ასეთ მძიმე დღე-წი ჩავარდნილი ცალკეული გამოჩენილი მოღვაწეებისათვის. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ არსებობდა საპენსიო კანონმდებლობა, მთავრობამ პენსიები, თათოეულს 2000 მ. თვეში, მაინც დაუნიშნა ვ. აბაშიძეს, კ. ყიფიანს, მ. საფაროვა-აბაშიძეს და ე. ჩერქეზიშვილს.<sup>1</sup> საზოგადოება განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ვ. აბაშიძის მიმართ. როცა მის მძიმე მდგომარეობაზე „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა წერილი,<sup>2</sup> ამიერკავკასიის ბანკის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ყოველ თვეში თავიანთი ხელფასის თითო პროცენტი მიეცათ მსახიობისათვის, რაც თვეში 17 000 მ. შეადგენდა.<sup>3</sup> ვ. აბაშიძეს 10 000 მ. განათლების სამინისტრომაც მისცა. სამწუხაროდ გ. ბუხნიკაშვილი, თავის ტენდენციურად დაწერილ წიგნში, ამ ფაქტს სრულიად სხვაგვარად აფასებს. მისი აზრით თურმე დამოუკიდებელი საქართველოს („დამოუკიდებელი“ მას წინწკლებში აქვს ჩასმული) მთავრობისათვის სამარცხვინო ყოფილა ის, რომ ვ. აბაშიძე წყალტუბოში სამკურნალოდ მრეწველმა დ. კალანდაძემ გააგზავნა და თანაც მას მუდმივად ყოველთვიურად 5000 მ დანიშვნა აღუთქვა. თბილისის საქალაქო საბჭო კი გარდაცვლილი ლ. მესხიშვილის ოჯახს დაეხმარა 20 000 მანეთით.<sup>4</sup>

მსახიობთა კავშირთან ასევე დაარსდა გ. იშხნელის სახელობის ფონდი, რომელიც კავშირის გარდაცვლილი წევრების ოჯახთა შვილებს ეხმარებოდა. ფონდი სხვათა შეწირულობებით არსებობდა. ზოგჯერ მას თავადაც გაჭირვებული მსახიობებიც ეხმარებოდნენ. მაგალითად, ნ. ჩხეიძემ ფონდს 1000 მ. შესწირა.<sup>5</sup>

გარკვეული დახმარების ფორმა იყო შემოქმედებითი საღამოების (საიუბილეო ბენეფისების) გამართვაც, რომლის დროს შემოსული თანხა, როგორც წესი, იუბილარს გადაეცემოდა. ასე აღინიშნა მაგალითად, 1918 წ. 16 ივნისს ვ. გამყრელიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის, 1920 წ. 20 აპრილს სახალხო მსახიობ ს. რომანაშვილი-დგებუაძის 20, 10 მარტს შ. დადიანას 25, 29 ივნისს ვ. გარიკის 10, ნ. საფაროვის 35 წლისთავი და ა. შ.

1 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 10

2 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 910

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 287

4 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 996

5 იქვე, № 879

## თავი მეოთხე

### მუსიკალური ხელოვნება

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყანაში ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას.

მუსიკალური ცხოვრების რეორგანიზაცია ენერგიულად დაიწყო რუსეთის 1917 წ. რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ი. აბაშიძემ, დ. არაყიშვილმა, ი. კარგარეთელმა, ვ. სარაჯიშვილმა, ნ. სულხანიშვილმა, ზ. ფალიაშვილმა, კ. ფოცხვერაშვილმა, ა. ყარაშვილმა, გ. ჯაბადარმა, თ. ძნელაძემ და სხვებმა.<sup>1</sup>

ამ გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ უპირველეს და დიდ ნაბიჯს ქართული სამუსიკო საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

საზოგადოების წესდება ჯერ კიდევ 1918 წ. 2 მარტს იქნა დამტკიცებული, რომლის საფუძველზე თბილისში არსებული ფილარმონიული საზოგადოების სკოლა ქართულ სამუსიკო სასწავლებლად გადაკეთდა და მის დირექტორად დ. არაყიშვილი დაინიშნა. ამავე წესდების საფუძველზე უნდა მომხდარიყო თბილისის რუსული კონსერვატორიის ნაციონალიზაციაც, მაგრამ პრაქტიკულად ეს არ განხორციელებულა. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ საზოგადოება პრაქტიკულად უმოქმედოდ იყო. დიდი აქტიურობით არც თბილისში მაშინ არსებული ქართული საფილარმონიო საზოგადოება გამოიჩინოდა. მართალია, სახელმწიფო თეატრში, მიუხედავად ზაფხულისა, 1918 წ. ზოგჯერ მაინც იმართებოდა წარმოდგენები (მაგალითად, აჩვენეს „პაიაცი“, „მალოროსიული ქორწილი“, „ღუბროცკი“ და სხვა), 26 ივნისს გამართულ მის კრებაზე იმსჯელეს თუ როგორ მოეწყობოთ სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაცია და სხვა, მაგრამ საქმე პრაქტიკულად ამის იქით არ წასულა.<sup>2</sup> 18 აგვისტოს

1 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 6

2 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 120

კი ე. მაჩაბლის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ფილარმონიული საზოგადოების წევრთა კრება, რომელზეც თავიდან განიხილეს ქართული სამუსიკო საზოგადოების წესდება. ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოება ქვეყანაში უმაღლეს მუსიკალურ დაწესებულებად უნდა ქცეულიყო, რომლის ფუნქციაში მუსიკალური კულტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა შედიოდა. კრების დადგენილებით მის ხელში გადადიოდა ფილარმონიული საზოგადოების მთელი ქონება. საზოგადოების საქმიანობა მხოლოდ თბილისით არ უნდა შემოფარგლულიყო და მას თავისი განყოფილება ქუთაისში და მუსიკალური სასწავლებლები ქუთაისსა და თელავშიც უნდა გაეხსნა. ქუთაისში ამ საქმის ორგანიზაცია მ. ბალანჩივაძეს დაევალა.<sup>1</sup> კრებას მოხსენდა, რომ ფილარმონიული სკოლის გამგედ ზ. ფალიაშვილის ნაცვლად დ. არაყიშვილი დაინიშნა. არჩეული იქნა საზოგადოების გამგეობა ი. აბაშიძის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ე. მაჩაბლის, ნ. სულხანიშვილის, ი. ტარყაშვილის, ა. ყარაშვილის, ი. ჩიჯავაძისა და ა. წუწუნავას შემადგენლობით.<sup>2</sup> 20 აგვისტოს კი საზოგადოების თავმჯდომარედ ე. მაჩაბელი, ამხანაგად მ. ბალანჩივაძე და მდივნად ი. აბაშიძე აირჩიეს.<sup>3</sup>

საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა: ხალხში მუსიკალური ცოდნის გავრცელება, ქართული მუსიკის განვითარებისათვის ზრუნვა, კონსერვატორიის, სასწავლებლებისა და სტუდიების დაარსება, საოპერო სეზონის ორგანიზება, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა, ხალხური მუსიკის შეკრება, კონკურსების, წარმოდგენებისა და საღამოების მოწყობა, მუსიკალური მალაზიების დაარსება, სტიპენდიების, პენსიებისა და დახმარებების დანიშვნა, თეატრის შენობისა და დარბაზის დაქირავება და ა. შ.<sup>4</sup> მანვე დაიწყო ინიმერისა და მგალობელთა გუნდების ჩამოყალიბებაც.<sup>5</sup>

კავშირის ზრუნვის საგანი გახდა თბილისის კონსერვატორიაც, რომელიც ისევ რუსეთის სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო სკოლად იწოდებოდა. სკოლიდან ქართული მუსიკა განდევნილი იყო. აქ რუსი იყო დირექტორი და მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობაც. ეხებოდა რა კონსერვატორიის საქმიანობას, ეჭრნალო

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 27

2 იქვე, № 11, 21

3 იქვე, № 27

4 იქვე, 1918 წ., № 81

5 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 134

„თეატრი და ცხოვრება“ სამართლიანად მოითხოვდა მის გაქართულებას, იქ ქართული მუსიკის დამკვიდრებას და ღირეპქტორად ქართველის დანიშვნას.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ კონსერვატორიისადმი საკმაოდ გულგრილდამოკიდებულებას იჩენდა ხელისუფლება. ეს შემდეგი მაგალითიდანაც სჩანს. სასწავლებლის მდგომარეობით შეწუხებულმა ზ. ფალიაშვილმა, რომელიც იქ ინსპექტორად მუშაობდა, 5 ივლისს ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიას მიმართა წერილით, რომელშიც მისი ქონების განიავებაზე იყო საუბარი. კომისია მეორე დღესვე ეწვია სასწავლებელს და დაადგინა, რომ იქ „სრული წესრიგი“ სუფევდა, მაშინ, როცა საქმე სულ სხვაგვარად იყო.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას შესაფერისი ბინაც კი არ გააჩნდა, რაზეც ნ. შიუკაშვილი გულსტიკივით წერდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“,<sup>3</sup> მისმა გამგეობამ მაინც გააჩაღა ენერგიული საქმიანობა სექტემბრიდან და 1918 წელსვე გამოაცხადა კონკურსი ქალ-ვაჟთა სიმღერის გუნდის დასაჯომპლექტებლად,<sup>4</sup> ქართულ მუსიკაზე დაფუძნებული კვარტეტის შესაქმნელად,<sup>5</sup> გაეროვნულა სწავლა, შექმნა ეაკ დალკროზის ინსტიტუტის საბავშვო განყოფილება, მუსიკალურ სკოლასთან დააარსა მომღერალთა საოპერო სტუდია, რომელსაც ახალგაზრდა მომღერლები უნდა აღეზარდა, გამოაცხადა კონკურსი (3 პრემიით) ქართული კვარტეტისათვის მუსიკის შესაქმნელად, მიმდინარეობდა მუშაობა ქართული ოპერის შესაქმნელად, დაიწყო მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება, ზუბალაშვილის თეატრში ლექციები და ქართული მუსიკის კონცერტები<sup>6</sup> და ა. შ.

მიუხედავად საზოგადოების ასეთი საქმიანობისა, მაინც განსაკუთრებით ბევრი რამ იყო გასაკეთებელი მისგან ეროვნული მუსიკის სფეროში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მის ასაღორძინებლად დაარსდა ქართული სამუსიკო სასწავლებელი, რომელსაც სპეციალური ოთახებისა და დარბაზის მქონე დედათა ინსტიტუტის შენობა

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 11

2 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 139

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 16

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 37

5 იქვე, № 48

6 იქვე, № 81

გადაეცა,<sup>1</sup> ქართული მუსიკის მომღერალთა კავშირი, ქართველ მხედართა კავშირი, ქართველ მსახიობთა კავშირი, ი. აბაშიძე ცდილობდა შეექმნა კომპოზიტორთა ფონდი<sup>2</sup> და ა. შ. ამათგან თავისი მრავალფეროვანი და აქტიური საქმიანობით მაინც ქართველ მხედართა კავშირი გამოირჩეოდა, რომლის მომღერალთა გუნდმა პირველად გამოიტანა საჯაროდ ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებები. მთავრობის ინიციატივით მის კონცერტებს მრავალჯერ დაესწრნენ გერმანიისა და თურქეთის წარმომადგენლებიც. კავშირის ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში შეიქმნა ათი ახალი ქართული სიმღერა, მოეწყო ჰიმნთა კონკურსი და ა. შ.<sup>3</sup>

მომღერალ-მგალობელთა გუნდი ჩამოაყალიბა თბილისის პირველი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიამაც, ხოლო 1 აგვისტოდან მეცადინეობა დაიწყო სახალხო სიმღერა-გალობის გუნდმა, რომლის ლოტბარი ა. მაისურაძე იყო.<sup>4</sup> ასევე დაიწყო სიმღერა-გალობის გუნდისათვის კურსებზე მსმენელთა მეცადინეობა ძმებმა კავსაძეებმაც.<sup>5</sup>

1918 წ. ზაფხულში თბილისში სამუშაოდ ჩამოვიდა და საქართველოს ჯარის სამუსიკო ნაწილის გამგედ და მთავარ ლოტბარად დაინიშნა კ. ფოცხვერაშვილი. მან დაათვალიერა სამხედრო ორკესტრები და შეუდგა მათი საქმიანობის სრულყოფას.<sup>6</sup>

მიუხედავად ყოველივე გაკეთებულისა, მაინც მრავლად იყო პრობლემებიც, რომელთა შესახებ დაუფარავად წერდა ქართული პრესა. მაგალითად, „საქართველოში“ მკაცრი წერილი „ქართველი მემუსიკეებისადმი“ დაბეჭდა ი. კარგარეთელმა. მისი აზრით, ქვეყანაში ყველა სფეროში მიმდინარეობდა აღმშენებლობა, გარდა მუსიკისა. აქ შურა, მტრობა, ქიშპობა და ერთმანეთის დასამარება იყო გამეფებული. მისი აზრით, ქრებოდა უკვე არსებულიც. მართალია, სამუსიკო საზოგადოებები ჩამოაყალიბებული იყო თვით ეროვნულ საბჭოებთანაც კი, მაგრამ ესენი სიცოცხლის ნიშანს არ იჩენდნენ და უფრო მეტად თავიანთ თავზე ზრუნავდნენ, ვიდრე საქმეზე. მათ ამიტომ გამოეცალათ ხელიდან სამუსიკო თეატრი და

1 ვახ. „ერთობა“, 1918 წ., № 204

2 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 50

3 შურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 16

4 ვახ. „საქართველო“, 1918 წ., № 134

5 იქვე, № 142

6 ვახ. „ერთობა“, 1918 წ., № 221



იგი ხელში „ვილაც ლევიციიმ“ ჩაიგდო და ახლა მას შეჰყურებდნენ „პირდაღებულნი“.

მალე „საქართველოში“ ი. კარგარეთელი ისევ დაუბრუნდა აღნიშნულ საკითხებს და გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „თეატრი და ხელოვნება“. მისი აზრით, მართალია ქვეყანაში დემოკრატიული წყობა კი იკიდებდა ფეხს, მაგრამ ვაითუ გარეულს შინაური პანდურით გაეგდო — კანონის წინაშე თანასწორობის ძალით კისერზე წამოსჯდომოდა მას. „ამაზე რომ თქვა რამე, წერდა ი. კარგარეთელი, კაცისმჭამელს დაგიძახებენ და მერე უნდა ამტკიცო შოვინისტი არა ვარო. რუსეთს განა ასე არ განაგებდნენ გერმანელები და ებრაელები? ამგვარ სიმპტომებს ვხედავთ აქაც. ოლონდ ჯერ მცირე მასშტაბით და მერე კი იგი გაიზრდება“... ი. კარგარეთელი აღშფოთებულია იმით, რომ ვილაც ლევიციი განცხადებით იწვევდა მომღერლებს ახალი სეზონისთვის „ვინ ლევიციი და ვინ თავისუფალ საქართველოში თეატრის მოიჯარადრეობა. ნუთუ საქართველოს მთავრობამ კაცი ვერ იშოვა, რომ თეატრი ჩაებარებინა? თუ თეატრი მოსაგები საქმეა, მთავრობამ ქართველ კაცს რატომ არ შესთავაზა? განა ივანე ფალიაშვილი ცუდად აწარმოებდა ამ საქმეს სამი წლის წინ? აქ, თავისუფალ საქართველოში ნუთუ ძმობა, ერთობა იკისრებს ქართველი კაცისადმი ამის როლს? (მოქრთამეობის და ბოროტების). საწყალი ქართველი მუსიკოსები სანამ უნდა იყვნენ თავიანთ მიწაზე განუკითხავნი და თავისუფალ სამშობლოში მშვიერ-მწყურვალნი?“<sup>1</sup> „საქართველოში“ ასევე დაიბეჭდა ვინმე დუდუკის „მუსიკალური ექსკურსია“, როგორც იგი წერდა, მთავრობამ მუსიკისა და ხელოვნებისათვის ჯერ ვერ მოიცალა. საჭირო კი იყო, განათლების მინისტრს სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინა მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავდა დარგის მომავალს. თუმცა გარკვეული ძვრები უკვე დაწყებული იყო: კონსერვატორიაში ღირექტორად აირჩიეს ნიკოლაევი, რეორგანიზაცია მზადდებოდა ქართულ ფილარმონიაში, სადაც სწავლების ქართულ ენაზე შემოღება, ეროვნული მუსიკალური ნაწარმოებების შეგროვება, შესწავლა და გავრცელება სურდათ, არსებობდა მ. კავსაძის გუნდი, რომელიც სამხმოვან სიმღერას ემსახურებოდა, მხედართა კავშირმა დააარსა ქალ-ვაჟთა სიმღერის გუნდი, შეიქმნა ქართველ მომღერალთა საზოგადოება, თუმცა, მას საუბედუროდ, ავტორის აზრით,

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 139

არამუსიკოსები განაგებდნენ, რის გამოც იქ ანარქია და უეცობა სუფევდა და ა. შ., მაგრამ გადასაჭრელი იყო სხვა უამრავი პრობლემა, კერძოდ: ამოდ ცდილობდა კ. ფოცხვერაშვილი თავისი პროექტებით დაეყოლიებინა მთავრობა ჰიმნ-აკადემიის გაფართოებაზე, ი. ქურხული — დაეარსებინა უმაღლესი მოხეტიალე დამკვრელთა კონსერვატორია, მ. ბალანჩივაძე — შეექმნა თბილისსა და ქუთაისში საფილარმონიო საზოგადოება, საქმის გასაკეთებლად ჩამოსული დ. არაყიშვილი, რაკი არაფერი გამოსდიოდა, ისევ რუსეთში ფიქრობდა წასვლას, ნ. სულხანიშვილი თელავში მიდიოდა. ვერას გახდა ენერგიული ი. აბაშიძე, ხოლო ზ. ფალიაშვილი მძაფრად განიცდიდა, რომ საქმე არ კეთდებოდა. აწეწილი იყო საეკლესიო გუნდების საქმეებიც, ყველა, მცოდნე თუ უეციი წერდა მუსიკალურ რეცენზიებს, რაც დიდად უშლიდა ხელს საქმის წინსვლას და ა. შ. ყოველივე ეს რომ დაძლეულიყო, ავტორის აზრით, უნდა მომხდარიყო მუსიკოსთა მობილიზაცია, აერჩიათ კომისია და მას მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარედგინა სამოქმედო გეგმა.<sup>1</sup>

ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ თავისი საქმიანობა განსაკუთრებით 1919 წლიდან გაააქტიურა. 31 მარტს გამართულმა მისმა კრებამ მოისმინა ი. აბაშიძის მოხსენება, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართული ჰანგების შეგროვებისა და დამუშავების აუცილებლობა, რათა საქართველო ამ მხრივ ევროპას დაახლოებოდა. „ეროვნულ შემოქმედებას ეტნოგრაფიული ხასიათით მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამიტომ თავის საზღვრებს ვერ გასცდება და თუ ქართული მუსიკის ხელოვნებას უნდა მოიპოვოს საერთაშორისო ასპარეზი, საჭიროა გაფართოვდეს შემოქმედების ბრწყალები. მაშასადამე, გარდა ადგილობრივ-ეტნოგრაფიულ სტილისა, აუცილებელია მუსიკალური ტექნიკა და ევროპული მეცნიერება და ამ ტექნიკის ქართულ მუსიკასთან შეფარდება. მოკლეთ, შეიქმნას ისეთი მუსიკა, რომელიც ერთნაირ სიამოვნებით დაატკობს, როგორც ქართველს, ისე ევროპელის სმენას. საჭიროა მუსიკის დემოკრატიზაცია, ხალხში გავრცელოს წმინდა, ჭანმრთელი მუსიკა. მიაჩვიოს და განავითაროს ესთეტიური მხარე ჩვენს ერში“. როგორც ი. აბაშიძემ აღნიშნა და კრებამაც დაადგინა, საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სამუსიკო ორგანო ქართული სამუსიკო საზოგადოება იყო. ამიტომ, სწორედ მას

<sup>1</sup> გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 129

უნდა გადაეჭრა ყოველი სამუსიკო საკითხი. მომავალში მას უნდა დაქვემდებარებოდა ყველა მუსიკალური ვითარება ყველა დარგის სასწავლებლებში — დაწყებითი იქნებოდა ეს, საშუალო თუ უმაღლესი. მას უნდა ეხელმძღვანელა ოპერის, სიმფონიის, სხვა მუსიკალური ორგანიზაციების, თუ ხალხის მუსიკალურ-კულტურული განვითარებისათვის.

საზოგადოებას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა ხელოვნების კომისიაშიც. კრებაზე განხილული მოხსენება რეაგირებისათვის დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას გადაეცა.<sup>1</sup>

კრების შემდეგ გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა ა. ბ.-ს წერილი „ქართული სამუსიკო საზოგადოება“, რომელშიაც საუბარი იყო იმ დიდ საქმეებზე, რასაც იგი აკეთებდა. ეს იყო კონსერვატორიაში კონცერტების გამართვა, მოსწავლეთათვის მუსიკალური დიღების მოწყობა, სახალხო უნივერსიტეტებთან სახალხო კონსერვატორიების შექმნის მცდელობა, მუსიკის სწავლების შემოღება სკოლებში. საქმიანობა ეროვნული ოპერის დაფუძნებისათვის, ხალხური კონცერტების გამართვა, ზრუნვა პროვინციებში სამუსიკო სკოლების შექმნისათვის, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია და ა. შ. ამ საქმეების წარმატებით განხორციელებისათვის საზოგადოებას აუცილებლად ესაჭიროებოდა ფინანსური დახმარება.<sup>2</sup>

18 მაისს ამ საკითხების განსახილველად მოწვეული იქნა საზოგადოების კრება, სადაც დაწვრილებით განიხილეს სკოლებში მუსიკის სწავლების შემოღების საკითხი და დაადგინეს, რომ იგი გიმნაზიებშიც უნდა შემოეღოთ. ასევე იმსჯელეს ხალხური კონცერტების გამართვაზე, სტიპენდიებისა და პრემიების დაწესებაზე, ეროვნული ოპერის დაფუძნებაზე, კონკურსების მოწყობაზე, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაციაზე, პროვინციებში სამუსიკო სკოლების გახსნაზე და ა. შ. კრებამ კადვე ერთხელ ითხოვა ფინანსური დახმარება.<sup>3</sup>

როგორც ი. აბაშიძემ აღნიშნა კრებაზე, თავის მოხსენებაში, დამფუძნებელ კრებას სასწრაფოდ უნდა მოეხდინა ერის მუსიკალური ცხოვრების რეორგანიზაცია, რადგანაც არსებული სრულიად

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 81

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 104

3 იქვე

უვარგისი იყო. ეს სფერო მანამდე კერძო პირთა ხელში იყო მოქცეული და სწორედ ისინი განაგებდნენ მას, რაც ყოველთვის არ იყო ნაყოფიერი. ი. აბაშიძემ გადაუდებელ საქმედ მიიჩნია სამუსიკო სკოლის, დაბალი და საშუალო სამუსიკო სასწავლებლის და კონსერვატორიის შექმნა, რაც კერძო პირებს არ შეეძლოთ, ამიტომ, მისი აზრით სამუსიკო საზოგადოება მთავრობის ოფიციალურ ორგანოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო თავისი დაფინანსებით, რის თაობაზეც მოხსენება წარდგენილი იყო პარლამენტის ხელოვნების კომისიაში<sup>1</sup>.

ი. აბაშიძე, როცა სამუსიკო სკოლების ორგანიზაციაზე საუბრობდა. იგი აქ. ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, გორში, თელავში, სიღნაღსა და სხვაგანაც მათ გახსნას გულისხმობდა. ასევე გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მას მასწავლებელთა სამუსიკო კურსების გახსნა, ხალხური გუნდების შექმნა, ეროვნული და ევროპული მუსიკის კონცერტების გამართვა. ნიჭიერი ახალგაზრდების სასწავლებლად ევროპაში გაგზავნა და მათთვის სტიპენდიების დაწესება, ეროვნული ოპერის თეატრის დაარსება და მისთვის მომღერალთა და მუსიკოსთა სტუდიების შექმნა, მუსიკალური ლიტერატურის გამოცემა, კონკურსებისა და პრემიების დაწესება, ევროპული მუსიკის შემოტანა და ქართული მუსიკის ევროპაში გატანა, ლექციების გამართვა და ა. შ. ი. აბაშიძემ დააყენა საკითხი მუსიკალურ საზოგადოებას მიეღო იურიდიული სტატუსი და მის გამგეობასთან დაარსებულიყო სამუსიკო კოლეგია, რომელაც შეიმუშავებდა სამუსიკო სკოლების პროგრამებს, შეადგენდა სახელმძღვანელოებს, შეაგროვებდა, დაამუშავებდა და გამოსცემდა ხალხურ სიმღერებს, ერთი სიტყვით, მთლიანად მიხედავდა მუსიკალურ ცხოვრებას. ი. აბაშიძის აზრით, კოლეგია არჩევითი ორგანო უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

კრების გადაწყვეტილებით, ი. აბაშიძის მოსაზრება სამუსიკო საზოგადოების კომპეტენციის გაფართოებასა და მის რეორგანიზაციაზე, საბოლოოდ გადასაწყვეტად საზოგადოების წლიურ კრებაზე უნდა გაეტანათ.<sup>3</sup> ერთი სიტყვით, მუსიკალურ ცხოვრებას ასინი თვითონ უნდა გასძღოლოდნენ და არა მთავრობა. ხელისუფლება კი მათ მხოლოდ ფინანსურად უნდა დახმარებოდა.<sup>4</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 126

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 127

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 121

4 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 129, 131

ი. აბაშიძის მოხსენებამ 2 ივნისს გამართულ კრებაზე დიდი განხეთქილება გამოიწვია, რის გამოც იგი გამგეობის წევრობიდან გადადგა.<sup>1</sup>

კრებაზე მკაცრი მსჯელობა გაიმართა და დაგმეს კ. ფოცხვერა-შვილის საქციელი, იმის გამო, რომ მან თურმე 29 მაისის კონცერტის აფიშაში თავის გვართან ერთად სამუსიკო საზოგადოებაც ჩასწერა. კ. ფოცხვერა-შვილის განმარტებით, მისი სურვილი იყო კონცერტზე გუნდი საზეიმოდ გადასცემოდა მუსიკალურ საზოგადოებას, მაგრამ მათი წარმომადგენლები კონცერტზე არც კი მოვიდნენ. ეს მაგალითი ნათლად მიუთითებს, თუ რა არაჯანსაღი ატმოსფერო და დაძაბულობა სუფევდა ცალკეულ მუსიკოსებს შორის. არც თუ იშვიათი იყო გაუმართლებელი კინკლაობა და დაპირისპირება მათ შორის. ასეთი ინციდენტის მიუხედავად, კ. ფოცხვერა-შვილის მიერ შექმნილი და მომზადებული გუნდი მაინც ჩაიბარა საზოგადოების გამგეობამ. იმავე კრებაზე დ. არაყიშვილის მოხსენებაც მოისმინეს, რომელიც ქართული სამუსიკო აკადემიის შექმნას შეეხებოდა. დაადგინეს, რომ საკითხი საზოგადოების გასაცნობად გამოეტანათ.<sup>2</sup>

7 ივლისს უკვე საზოგადოების წლიური კრება გაიმართა, სადაც მისი ახალი გამგეობა აირჩიეს. გამგეობის 12 წევრიდან ორი—კ. ანდრონიკაშვილი და ი. გომართელი დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ.<sup>3</sup>

16 ივლისს მთავრობის გადაწყვეტილებით თეატრის და საერთოდ ხელოვნების საქმეების გამგებლობა განათლების სამინისტროს გადაეცა.<sup>4</sup>

21 ივლისს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. გარდა იმისა, რომ აირჩიეს მუსიკალური საზოგადოების გამგეობის ახალი თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი და მისი ამხანაგი ს. ყორყოლიანი,<sup>5</sup> შეიქმნა სამუსიკო კოლეგია ც წევრების ი: აბაშიძის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის, ნ. სულხანიშვილის, ა. ყარაშვალის და წევრობის კანდიდატების რ. გოგინიაშვილისა და ვ. დოლიძის შემადგენლობით. კრებას გამგეობაში

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 120

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 121

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 149

4 იქვე, № 165

5 იქვე, № 163

ზ. ფალიაშვილის არჩევაც სურდა, მაგრამ მან, მიუხედავად თხოვნისა, კენჭისყრაზე უარი განაცხადა.<sup>1</sup>

შემოდგომისათვის კოლეგიასა და ზ. ფალიაშვილს, კ. ფოცხვერაშვილსა და ა. წუწუნავას შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა და სამუსიკო საზოგადოებისა და სამუსიკო კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ დიდი სიხარულით დაადგინა, რომ კოლეგიაში მუშაობა ეთხოვათ ზ. ფალიაშვილისა და კ. ფოცხვერაშვილისათვის, ხოლო ა. წუწუნავა საზოგადოების გამგეობის წევრად კოოპტაციით მიეღოთ.<sup>2</sup> სამუსიკო საზოგადოებამ მალე იმასაც მიიღწია, რომ პარლამენტის ხელრეზნების კომისიაში თავის წარმომადგენლებად 28 ნოემბერს დ. არაყიშვილი და კ. ფოცხვერაშვილი დაინიშნა.<sup>3</sup>

უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადოება ამჯერად ფინანსური დახმარების მადებას კომისიის საშუალებით შეეცადა.<sup>4</sup> როცა ამას ვწერთ, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა ხელსუფლება საზოგადოებას არ ეხმარებოდა. მაგალითისათვის შეიძლება დაეასახელოთ განათლების სამინისტროს თხოვნა მთავრობისადმი, რომ ხელისუფლება 75000 მანეთით დახმარებოდა საზოგადოებას.<sup>5</sup> მართლაც თბილისის საბჭომ მას 50 000 მ., ხოლო მთავრობამ 25 000 მ. გამოუყო.<sup>6</sup>

რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ 1919 წ. სამუსიკო საზოგადოების ფილიალების გახსნა ქუთაისში, სოხუმსა და თელავში. ქუთაისსა და სოხუმში მათი გახსნის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვასაუბრებთ, ხოლო თელავში იგი 19 ოქტომბერს დაფუძნდა და საზოგადოების თავმჯდომარედ ა. ციხისტავი აირჩიეს.<sup>7</sup>

ქართული სამუსიკო საზოგადოება ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა პროვინციებში მოქმედ თავის განყოფილებებსაც, და ეს მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ფინანსურად თვითონაც სხვებზე იყო დამოკიდებული. (მაგალითად, 1920 წ. მას

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 158

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 235

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 271

4 აქვე.

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 7

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 671, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 38

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 667

ამიერკავკასიის კოოპერატივი 500 000, მთავრობა 100,000, ხოლო თბილისის ქალაქის გამგეობა 5 000 მანეთით დაეხმარა).<sup>1</sup> ასე მაგალითად, 1920 წ. 6 მარტს ქუთაისში ჩასულმა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. ჟორჯოლიანმა ჯერ მოხსენება წაიკითხა მუსიკაზე და შემდეგ მათ მთავრობისაგან გამოყოფლი 27 000 მ. გადასცა.<sup>2</sup> საზოგადოებამ ქუთაისისთვის, თავის მხრავ, კიდევ 50 000 მ. გამოყო.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, განყოფილება მაინც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც მათ 4 აპრილს გამართულ კრებაზე, გამგეობის ნაწილობრივი განახლების შემდეგ, დაადგინეს შეერთებოდნენ თბილისს და საქართველოს სამუსიკო საზოგადოების ფილიალი გამხდარიყვნენ.<sup>4</sup>

ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ თელავის ფილიალსაც გამოუყო 25 000 მ.<sup>5</sup> 1920 წ. 29 ივნისს ქართველი ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. დედასამშობლოს დაუბრუნდა ბათუმი. ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ და კოლეგიამ დაუყოვნებლივ, ამ მოვლენიდან მესამე დღესვე, 2 ივლისს ჩაატარეს თავიანთი კრება და დაადგინეს, რომ ბათუმში სასწრაფოდ გახსნილიყო საზოგადოების ფილიალი და მუსიკალური სასწავლებელი.<sup>6</sup> აღნიშნული საკითხი კრებამ 20 ივლისსაც განიხილა. 2 და 20 ივლისს ბათუმთან ერთად, ფილიალისა და სასწავლებლის გახსნა სიღნაღშიც გადაწყდა,<sup>7</sup> რისთვისაც ახლად გახსნილ ფილიალს ანსტრუმენტების შესაძენად 200 000 მ., ყოველთვიურად 8000 მ. და მთლიანად კი 1 მილიონი მ. გამოუყო.<sup>8</sup> სიღნაღში სამუსიკო სკოლაც გაიხსნა. იქ უკვე ჰყავდათ სიმღერის გუნდი, ფორტეპიანოს მასწავლებელი და კაპელმეისტერი.

1920 წ. საზოგადოების ფილიალი და სამუსიკო სასწავლებელი ხონშიც გაიხსნა.<sup>9</sup> მალე, საზოგადოების ფილიალების საქმიანობის

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 70, „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 791

2 კაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 56

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 71

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 88

5 იქვე, № 16

6 იქვე, № 147

7 იქვე, № 160

8 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 95, „ერთობა“, № 204

9 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 109, ქურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 14

გაუმჯობესების მიზნით, დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას დადგენილებით, გადაწყდა საქართველოში მოქმედი ყველა სამუსიკო საზოგადოება ერთ ორგანიზმად გაერთიანებულიყო.<sup>1</sup>

სერიოზული სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესაქმნელად. პრესაში სხვადასხვა დროს ორჯერ გამოცხადდა კონკურსი მისი ტექსტისათვის, მაგრამ მოწონება ვერც ერთმა ნაწარმოებმა ვერ დაიმსახურა. ამას შემდეგ კ. ფოცხვერაშვილმა შექმნა ახალი, დროებითი ტექსტი, რომელიც მანამ შეიძლებოდა გამოეყენებინათ, ვიდრე სხვა უკეთესი არ შეიქმნებოდა. რაც შეეხება კონკურსს, კ. ფოცხვერაშვილს მასში მონაწილეობა არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ „დიდების“ გარდა მას კიდევ ჰქონდა მზად შეიდი სხვა ჰიმნიც. მისი უარი იმით იყო განპირობებული, რომ გამართლებულად არ მიაჩნდა კონკურსში ჩართვა ფულადი ჯილდოსათვის, ხოლო ჰიმნის შერჩევა, მისი აზრით, მთავრობას უნდა მოეხდინა.<sup>2</sup>

1918 წ. 1 ივნისს ქართველ მხედართა კავშირის 200 წევრიანი გუნდის შესრულებითა და ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით გაიმართა ჰიმნების კონკურსი (მასზე სამი ჰიმნი თვით ნ. ქართველიშვილისა იყო), მაგრამ მასზე მოწონება ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა. მიიღეს დროებითი ჰიმნის ტექსტი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.<sup>3</sup>

1919 წ. კამათმა ქართული ეროვნული ჰიმნის თაობაზე მწვავე ხასიათი მიიღო. საქმე იმაშია, რომ გაზეთ „საქართველოში“ ვინმე „მიუდგომელმა“ დაბეჭდა წერილი „ქართული ჰიმნისათვის“, რომელშიც ის წერდა, რომ ქართული ჰიმნი მოქცეული იყო სპეკულაციის კლანჭებში. მისი აზრით, ჰიმნთა შეჯობაზე, რომელიც 1918 წ. 1 ივნისს გაიმართა, უნდა გარკვეულიყო და გაირკვა კიდევ, თუ რომელ ჰიმნს მისცემოდა უპირატესობა. ეს იყო ნ. სულხანიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შექმნილი „ღმერთო, ღმერთო“, რაზეც გაფორმდა ოფიციალური ოქმი. რაც შეეხება კ. ფოცხვერაშვილის „დიდებას“, ის ჟიურის არ მოუწონებია. მიუხედავად ამისა, სრულდებოდა „დიდება“ და არა „ღმერთო, ღმერთო“. „მიუდგო-

1 ქურნ. „თვატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 6

2 ვაზ. „ქობა“, 1918 წ., № 134, ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 26

3 ვაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 107



მელი“ მოითხოვდა შეწყვეტილიყო ასეთი სპეკულაცია და აღმსდგარიყო სიმართლე, ან თავიდან ჩაეტარებინათ კონკურსი.<sup>1</sup>

„მიუღღომელის“ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაილაშქრა „საქართველოს რესპუბლიკამ“ და ვინმე „კალნიერმა“ კ. ფოცხვერაშელის დიდება“ დაიცვა.<sup>2</sup>

კამათში „სახალხო საქმეც“ ჩაება, რომელშიც ვინმე „ს. დ.-ს“ წერილი „ქართული ჰიმნი“ დაიბეჭდა. „ს. დ.-ს“ აზრით, „მიუღღომელის“ წერილში სამი სიცრუე იყო დაშვებული. 1. ჰიმნთა კონკურსზე თითქოსდა ყველა კომპოზიტორს წარედგინოს თავისი ნაწარმოება, სიცრუე იყო, რადგან არც ერთ სერიოზულ კომპოზიტორს ზ. ფალიაშვილს, მ. ბალანჩივაძეს, დ. არაყიშვილს, კ. ფოცხვერაშვილს და სხვებს კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან ისინი შეუძლებლად სთელიდნენ ჰიმნზე კონკურსის ჩატარებას და მისა შეეკეთით შექმნას. 2. სიცრუე იყო ისიც, რომ თითქოსდა კონკურსში მონაწილეობა მიეღოს კ. ფოცხვერაშვილს. მისი „დიდება“ იქ მხოლოდ კონკურსგარეშე შესრულდა და ის თვით ავტორს არ მიუტანა. 3. ნ. სულხანიშვილის „ღმერთო, ღმერთო“ ჟიურიმ არ სცნო ჰიმნად, მხოლოდ აღნიშნა, რომ წარდგენილი 11 ჰიმნიდან იგი ყველას სჯობდა, ჟიურის არც შეეძლო ამისი გაკეთება, რადგან მანამდე ოფიციალურად და ფაქტობრივად ჰიმნად აღიარებული „დიდება“ იყო. რაც შეეხება კონკურსს, ეს იყო კერძო ხასიათის შეკრება და მას კიდევ რომ გადაეწყვიტა რაიმე, იგი სავალდებულო სულაც არ იქნებოდა ვინმესთვის.

„ს. დ.-ს“ აზრით ჰიმნის ირგვლივ ასეთი სპეკულიაციები ყოველად გაუმართლებელი იყო. მუსიკაში სწორედ ასეთმა ინტრიგებმა. ერთმანეთის ქამამ და გაუტანლობამ საქმე მხოლოდ გააფუჭა და სამუსიკო საზოგადოება დაღუპვამდე მიიყვანა. დაშლის პირას იყო მისული სამუსიკო სკოლაც. „საქართველოში“, წერდა „ს.-დ.“, სიცრუეება იყო დაბეჭდილი ჰიმნზე. ესაა მუსიკოსთა ზნეობრივი სიკოტრე. დღეს ჰიმნია „დიდება“ და იგი დარჩება მანამ, სანამ უკეთესი არ დაიწერება“.<sup>3</sup>

რაც შეეხება „დიდების“ ისტორიას, იგი მოკლედ ასეთი იყო: ჰიმნი პირველად ამიერკავკასიის რესპუბლიკის გამოცხადებისას

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 155

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 164

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 585

13. ამირან ნიკოლეიშვილი

შესრულდა, ხოლო შემდეგ 1918 წ. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს. 1918 წ. 26 ივნისს ჰიმნი მთავრობამ ოფიციალურადაც სცნო, როცა იგი შვიდი ქვეყნის წარმომადგენლების წინაშე შესრულდა. გერმანიის და ინგლისის წარმომადგენლებმა კი ჰიმნი თავიანთ ქვეყნებშიც გადააგზავნეს. ასევე წაიღეს ჰიმნი ჩვენმა დელეგატებმა საზავი კონფერენციაზეც.<sup>1</sup>

„ს. დ.-ს“ პოზიციით აღშფოთებულმა „მიუღგომელმა“, საპასუხო წერილი „კლდეში“ გამოაქვეყნა და „ს. დ.-ს“ სიცრუეში, სპეკულაციასა და სხვა უხამსობებში დასდო ბრალი.<sup>2</sup>

„სახალხო საქმეში“ „ს. დ.-მაც“ გამოაქვეყნა პასუხი. უნდა ითქვას, რომ დიდი თავზიანობით არც ეს პასუხი გამოირჩეოდა. („თვითონაა ვირთან ახლოს „კლდის“ ავტორი“, „ინტრიგანი“ და ა. შ. სიტყვები, რომლებსაც ს. დ. ხმარობდა). „მე ვთქვი, წერდა ს. დ., რომ კონკურსზე არც ერთ კომპოზიტორს არ წარმოუდგენია ჰიმნი. „მიუღგომელს“ ჰგონია, ვინც ნოტების კითხვა იცის, ყველა კომპოზიტორია. კონკურსზე იმდენად სუსტი ჰიმნები იყო, რომ არც ერთი არაა ღირსი კომპოზიტორის სახელისა“. „ს. დ.-ს“ მიაჩნდა, რომ ვიჟურს შეცდომაში არ შეუყვანია საზოგადოება, რადგან ნ. სულხანიშვილის „ღმერთო, ღმერთო-ს“ ჰიმნად მიღება ყოველად შეუძლებელი იყო, რადგან იგი ჰიმნის ვერც ერთ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა.<sup>3</sup>

„სახალხო საქმეში“ „ს. დ.-მ“ კიდევ ერთი სალანძღავი წერილი გამოაქვეყნა „მიუღგომელის“ წინააღმდეგ.<sup>4</sup>

„დიდება“ რომ სათანადო დონეზე არ იდგა, ამას ხელისუფლებაც მშვენივრად გრძნობდა და იგი ცდილობდა ის როგორმე სრულყოფილებამდე მიეყვანა. ამ მიზნით კომპოზიტორთა საგანგებო კომისიაც კი შეიქმნა, ჩერებნინის, გრანელის, მონსიორსკის, გონელის, ფოცხვერაშვილის და სხვათა შემადგენლობით, რომელთაც „დიდების“ საბოლოო დამუშავება დაევალოთ. ამ სახით დამუშავებული ჰიმნი 1919 წ. 26 მაისს, 500 მომღერლისა და 300 დამკვრელის მონაწილეობით უნდა შესრულებულიყო.<sup>5</sup>

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 114

2 ვაზ. „კლდე“, 1919 წ., № 5

3 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 618

4 იქვე, № 627

5 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 114

24 მაისს მთავრობამ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ კ. ფოცხვერაშვილის „დიდების“ ეროვნულ ჰიმნად მიღების საქმე გადასაწყვეტად პარლამენტის ხელოვნების კომისიას გადასცემოდა.<sup>1</sup>

ჰიმნის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა 1920 წელსაც გაგრძელდა. 11 თებერვალს სახელმწიფო თეატრში გაიმართა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სხდომა, რომელშიც კომპოზიტორები და ხელოვნების სხვა დარგთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სხდომაზე კადევ ერთხელ განიხილეს ეროვნული ჰიმნის ოფიციალურად აღიარების საკითხი, მაგრამ ამ განხილვამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საკითხის გადაწყვეტა გადაიდო.<sup>2</sup> გამოეხმაურა რა პრობლემას ი. აბაშიძე, იგი გაზეთ „საქართველოში“ წერდა, რომ ასეთ სიტუაციაში უმჯობესი იქნებოდა, არჩევანი თვით ხალხს გაეკეთებინა.<sup>3</sup>

თებერვალში ჰიმნის თაობაზე ისევ გაიმართა თათბირი — ამჯერად განათლების სამინისტროში. თათბირის შედეგებით უკმაყოფილო ი. კარგარეთელმა „საქართველოში“ გააკრიტიკა კონსერვატორიის დირექტორი ჩერეპნინი. რომელმაც თათბირზე მხარი კ. ფოცხვერაშვილის „დიდებას“ დაუჭირა. ი. კარგარეთელა იმით იყო უკმაყოფილო, რომ ადრე იგივე ჩერეპნინს „დიდება“ არ მოსწონდა. ჰიმნს ბევრი სხვა მუსიკოსიც იწუხებდა. ი. კარგარეთელს მიაჩნდა, რომ „დიდება“ მხოლოდ კარგა მასალა იყო მომავალი ჰიმნის შესაქმნელად.<sup>4</sup>

დავაში დ. არაყიშვილიც ჩაება. მან სამ მარტს გაზეთ „ვოზროჟდენიეში“ დაბეჭდა წერილი „სახალხო ჰიმნის საკითხი“, რომელშიც დაიწუნა „დიდება“ და დააყენა საკითხი ეროვნულ ჰიმნად სიანური „ლალე“ მიეღოთ.<sup>5</sup> დ. არაყიშვილის მოსაზრებას გაზეთ „საქართველოში“ არ დაეთანხმა შ. ბერიძე, რადგან მისი აზრით და სწორადაც, ასეთი „ჰიმნები“ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს ჰქონდა და რომელამესათვის უპირატესობის მიცემა გაუმართლებელი იქნებოდა. ჰიმნი უნდა შექმნილიყო და იგი სპეციალისტებს უნდა დაეწერათ.<sup>6</sup> „დიდების“ მოწინააღმდეგეების

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 120

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 35

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 33

4 იქვე, № 44

5 გაზ. „ვოზროჟდენიე“, 1920 წ., № 25

6 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 29

პოზიციების გამაგრებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ 1920 წ. ცალკე გამოაქაჷ პიმნთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ნ. სულხანიშვილის პიმნი „ღმერთო, ღმერთო“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ისე შესწყვიტა არსებობა, ოფიციალურად ეროვნული პიმნის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და პრაქტიკულად ყველგან კ. ფოცხვერაშვილის „დადება“ გამოიყენებოდა.

ცალკე უნდა შევეხოთ მუსიკალური ხელოვნების ისეთ ურთულეს ჟანრს, როგორცაა ოპერა. საოპერო წარმოდგენები საქართველოში მხოლოდ თბილისში, სახელმწიფო თეატრის (ზოგჯერ მას სახაზინო, ანდა არტისტული საზოგადოების თეატრსაც უწოდებდნენ) სცენაზე იღგმებოდა. მაუხედავად ქვეყანაში შექმნილი რთული პირობებისა, 1917 წ. დაწყებული საოპერო სეზონი მაინც არ შეწყვეტილა და იგი 1918 წ. 12 სექტემბერს დამთავრდა. სეზონი სიმფონიური კონცერტითა და „შეხერეზადას“ შესრულებით (ხელმძღვანელობდა ჩერეპნინი) დაიხურა, რომელმაც პრესაშიც მაღალი შეფასება დაიმსახურა.<sup>1</sup>

1918-19 წ. სეზონი 15 სექტემბერს „ტან-პეიზერიტ“ დაიწყო. ამ წელს თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელობას ს. ევლახიშვილი (ევლახოვი) უწევდა, ხოლო დირექტორა ნ. ლევიცი იყო. თეატრის დასში სულ 51 წევრი ირიცხებოდა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე იყო ქართველი — მ. გედევანიშვილი (სოპრანო), ო. კალანდაძე-ავასოვისა (სოპრანო), ა. ინაშვილი (ბარიტონი) და ა. ფალიაშვილი (ქორმაისტერის თანაშემწე). ორკესტრში ირიცხებოდა 48, გუნდში 60, ბალეტში კი 24 წევრი. საკმაოდ მრავალფეროვანა იყო 1918 წ. საოპერო თეატრის რეპერტუარი. ამ წელს აქ მაყურებელს უჩვენეს „სევილიელი დალაქი“, „ტოსკა“, „ტრავიატა“, „ვეგენი ონგეინი“, „ალი“, „ნერონი“, „მარგალიტას მაძიებელნი“, „ზაზა“, „ლაკმე“, „წითელი ქუდი“, „შვიდი თხა“, „გოფმანის ზღაპრები“ და ს. ევლახიშვილის მეთაურობით განხორციელებულა რამდენიმე საბალეტო დადგმა.

თეატრის თითქმის ყველა საოპერო დადგმაში მონაწილეობდა და წამყვან პარტიებს მღეროდა ვ. სარაჯიშვილი.

აღსანიშნავია ერთა გარემოებაც — მიუხედავად იმისა, რომ

<sup>1</sup> ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 50

გსახიობებს ძალზე უჭირდათ მატერიალურად, ისინი მაინც საკმაოდ ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს, რომელთა შემოსავალი მთლიანად სხვათა დასახმარებლად გამოიყენებოდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქალთა II გიმნაზიის ღარიბი ბავშვებისათვის,<sup>1</sup> ქართული ლატარიისათვის, ავადმყოფი ვ. სარაჯიშვილისათვის და ა. შ. გამართული წარმოდგენები.<sup>2</sup>

მიმდინარეობდა მუშაობა ქართული ეროვნული ოპერების შესაქმნელადაც, რომელთა დადგმას სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაუინებით მოითხოვდა ინტელიგენცია.<sup>3</sup> და მართლაც, 1918 წ. სცენაზე დაიდგა რ. გოგნიაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტიანე“. რ. გოგნიაშვილს პარიზის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. მართალია, მას დიდად აკლდა ყურადღება და ხელის შეწყობა, მაგრამ მან მაინც შესძლო ოპერის დასრულება.<sup>4</sup> თავდაპირველად ოპერა ახლადდაარსებულმა ქართველ მუსიკალურ მომღერალთა კავშირმა დადგა ქართული კლუბის სცენაზე 21, 23 და 25 მაისს.<sup>5</sup> იგი სულ ხუთჯერ იქნა წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი ცდა ქართული ეროვნული ოპერის დადგმისა.<sup>6</sup>

თეატრის სცენაზე „ქრისტიანე“ ნ. ქართველის დირიჟორობით 11 ივნისს განხორციელდა. მან დიდი ინტერესი გამოიწვია. დაიბეჭდა რეცენზიებიც. ერთ-ერთი მათგანის ავტორი „საქართველოში“ იყო დ. კასრაძე, რომელშიც მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული ვ. სარაჯიშვილის იასონსა და ო. კალანადაძის ქრისტიანს.<sup>7</sup> უნდა ითქვას ისიც, რომ პირველი ქართული ოპერის დაბადებას არც თუ დიდი სიხარულით შეხვდნენ თბილისში გამომავალი არაქართულენოვანი პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი. ამის თაობაზე გულისტკივილით წერდა „საქართველოში“ ი. კარგარეთელი — „მიუხედავად „ქრისტიანეს“ ხარვეზებისა, ეს იყო პირველი ქართული ოპერა და ამდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენაც ერის სულიერ

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 40

2 იქვე, № 55

3 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 14

4 იქვე

5 ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 8

6 იქვე, № 16

7 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 102

ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, თუ რა ღირსებისაა ეს ნაწარმოებზე. ოპერა მეორე-მესამედაც აჩვენეს. არცინ გამოეხმაურა. მაშინ მე მივედი „ვოზროჟდენიეში“ და ვთხოვე მე დავეწერ თქვა. იქ მოთხრეს, რომ ჩვენმა რეცენზენტებმა ოპერაში ვერავითარი ღირსება ვერ ნახესო და იმიტომ არ ვწერთო. ასე თქვა სამინსკიმ. ჯობია დაიწეროს ლანძღვა-გინება, ვიდრე არაფერა, რადგან ავტორი რაიმეს ისწავლის, ხოლო მეორე შემთხვევაში (ე. ი. ღუმლით) იგი იმარხება. ვინ სამინსკი და ვინ ქართველი ხალხის სულიერი ზრდაა.<sup>1</sup> და ეს მით უფრო გულსატკენი იყო ი. კარგარეთელისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ვოზროჟდენიე“ მიუხედავად მისი რუსულენოვანებისა, ყველაზე მეტად იყო ქართული ორიენტაციის განზეთი, არაქართულენოვან პრესაში. მის რედაქციაში უმეტესად ქართველები მუშაობდნენ და სწორედ აქ იყვნენ თავმოყრილნი მუსიკის სპეციალისტებიც ძირითადად, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ მუსიკალურ სამყაროში. „ესე იქნება, — წერდა ი. კარგარეთელი, ყოველთვის, სანამდის ზოგიერთი ბეცა ქართველი გამულისშვილები ხელს არ აიღებენ უვიცი პირების მფარველობაზედ. და ეს ასე იქნება, სანამდის ქართველი კაცი თავის წარმოდგენაში ძმობა-ერთობის სამზღვარის გადაუბიჯებლობას თავს არ დაანებებს“.<sup>2</sup>

1918 წ. კიდევ ერთი ქართული ოპერა შეიქმნა. ეს იყო დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

საერთოდ ქართული და კონკრეტულად ამ წლების ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ა. წუწუნაევამ. იგი 1918 წ. მიიწვიეს სახელმწიფო თეატრის გამგე-მმართველად, კომისრად.<sup>3</sup> სწორედ ა. წუწუნაევამ შექმნა სამხატვრო-სამუსიკო კომისია, რომელმაც 2 ივლისს თეატრში მოიხმინა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მოიწონა იგი. ჟიურში შედიოდნენ კონსერვატორიის დირექტორი ნიკოლაევი, სახელმწიფო თეატრის ანტერპრენიორი პროფ. ნ. ლევიცკი, ამავე თეატრის დირიჟორები სტოლერმანი და ვესი, მხატვრები ი. ნიკოლაძე და ზალცმანი. ჟიურის გადაწყვეტალებით ოპერა 1918 წელსვე უნდა დადგმულიყო სახელმწიფო თეატრის სცენაზე.<sup>4</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 130

2 იქვე

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 8

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 9

ეუროიმ ჩერეპნინის, აიზბერგის; სამინსკის, ნიკოლაევის, სტო-  
ლერმანის, ცენოვსკის, წუწუნავას, ლევიცკის, და სხვათა. შემადგე-  
ნლობით ასევე მოისმინა და მოიწონა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბე-  
სალომ და ეთერი“ და მისი დადგმა 1919 წ. იანვრისათვის დაადგი-  
ნა.<sup>1</sup> დაიბეჭდა მისი ტექსტიც.

1918 წ. სამუსიკო საზოგადოების სკოლასთან ოპერების შესას-  
წავლად დაიწყეს მომღერალთა სტუდიის დაარსება. ასევე იქმნებო-  
და ქართული ოპერებისათვის ქალ-ვაჟთა გუნდიც, ხოლო ი. აბა-  
შიძემ შეადგინა ქართული საოპერო დასიც, რომლის საფუძველ-  
ზეც მას სურდა ქართული სახალხო ოპერის შექმნა.<sup>2</sup> დაიწყო კლა-  
სიკური ოპერების ქართულ ენაზე თარგმნაც.<sup>3</sup>

1919 წ. სახელმწიფო საოპერო თეატრის საქმიანობა მთელი და-  
ტვირთვით მიმდინარეობდა და 1918 წ. დაწყებული სეზონი 1919 წ.  
1 მაისამდე გაგრძელდა. 1919 წ. თეატრმა შეინარჩუნა წინა წლის  
ყველა დადგმა „სევილიელი დალაქის“ გარდა და თან მაცუურებელს  
შემდეგი ახალი ან აღდგენილი სპექტაკლებიც უჩვენა: „აიდა“, „ბა-  
ტერფლეი“, „ბოკაჩიო“, „გეიშა“, „დედოფალი“, „ებრაელი ქალი“  
(„ჟიდოვკა“), „ვალპურგის ღამე“, „კავალერიის პრივალი“, „კამი-  
რა“, „კარმენი“, „კატა, თხა, ცხვარი“, „კოპელია“, „მანონი“, „მე-  
ფისტოფელი“, „მეფის სარძლო“, „მშვენიერი ელენე“, „ნიტუში“,  
„პაიაცი“, „პიკის ქალი“, „რიგოლეტო“, „რომეო და ჯულიეტა“. „რუ-  
სალკა“, „რუსლან და ლიუდმილა“, „სადკო“, „სამსონი და დალი-  
ლა“, „სნეგუროჩკა“, „სოფლის პატივი“, „ტაისი“, „ტარტიუფი“,  
„ტრუბადური“, „ფაუსტი“, „ფრა-დიავოლო“, „ქორწილი მალორო-  
სიაში“, „ჩერევიკი“, „წითელი მზე“, „ჩადოსნური ფლეიტა“, „ჩა-  
მბაზები“, „პალა“ და „ჰუგენოტები“. განხორციელდა საბალეტო  
დადგმებიც „გრძნეულა სალამური“, „ვაკხის ვალვიძება“, „იგორი“  
და „ჯოკონდა“.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ფაქტიურად რუსული იყო და  
რუსულ კულტურას ემსახურებოდა, მას მთავრობა დახმარებას მა-  
ინც არ აკლებდა. ის კი არადა, საერთოდ მთელს საქართველოში,  
თეატრალურ დაწესებულებათა შორის, ეს იყო ერთადერთი სახელ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 55

2 იქვე, № 64

3 იქვე,

მწიფო თეატრი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა. გარდა იმი-  
სა, რომ თეატრს აბონომენტები ჰქონდა, 1919 წ. 10 ივლისის მთა-  
ვრობის დადგენილებით მას 1 ივნისიდან გამოეყო ყოველთვიური  
სუბსიდია 20 000 მ. მოცულობათ,<sup>1</sup> ხოლო 1 აგვისტოდან ყოველ  
თვეში მთავრობამ დამატებით 16000 მ. მოცულობის სესხიც გამო-  
უყო მას.<sup>2</sup> ასევე გადაწყდა 1 ნოემბრიდან ყოველ შაბათს თეატრში  
გამართულიყო იაფფასიანი წარმოდგენები მუშებისათვის, რისთვის-  
საც სახელმწიფომ კიდევ 31353 მ. გამოჰყო.<sup>3</sup>

1919 წ. ახალი საოპერო სეზონი 4 ოქტომბერს გაიხსნა „აბესა-  
ლომ და ეთერიტო“. დამტკიცდა თეატრის ხარჯთაღრიცხვა და საშტა-  
ტო განრიგი. თეატრის ხელმძღვანელი ს. ევლახიშვილი (ევლახოვი),  
ხოლო კომისარი ა. წუწუნავა იყო. დასში შედიოდა 35 მომღერალი,  
რომელთაგან ქართველები მხოლოდ ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი,  
ა. ქუმბურაძე, ვ. იმერლიშვილი, რ. თარხნიშვილი და ს. ქურხული  
იყვნენ, ორი დირიჟორი, 50 კაციანი ორკესტრი, 1 რეჟისორი, 1 რე-  
ჟისორის თანაშემწე, 1 სუფლიორი, 1 ხორმეისტერი, 50 კაციანი  
გუნდი, 1 ბალეტმეისტერი და 10 წყვილიანი ბალეტი. დასს წელი-  
წადში სამი ახალი დადგმის მომზადება ევალებოდა. თეატრს სულ  
სეზონის ხარჯთაღრიცხვად მთავრობამ 6 მილიონი მანეთი დაუმტკი-  
ცა.<sup>4</sup>

როგორც ვნახეთ, თეატრი ქართველებს ნაკლებად სწყალობდა  
და მის შემადგენლობაში მხოლოდ თითოთროლა ქართველი თუ  
ირიცხებოდა. ეს რომ ასე იყო, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდე-  
ბით, თუ გავეცნობით 1919 წ. მოწყობილი ბენეფისების რაოდენო-  
ბასა და ადრესატებს, ამ წელს სულ 32-ჯერ მოაწყვეს ბენეფისი. ამ-  
ათგან ქართველი მხოლოდ ზ. ფალიაშვილი, ვ. სარაჯიშვილი და ს.  
ინაშვილი იყვნენ (ბენეფისი ს. ევლახიშვილსაც მოუწყვეს, მაგრამ  
ეგი რუსული კულტურის ტიპური წარმომადგენელი იყო და ქარ-  
თულთან ცოტა რამ თუ აკავშირებდა). ბენეფისებზე შემოსული თა-  
ნხა თითოჯერ მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტსა და ქართველ  
ინვალიდებს დაეთმოთ, ხოლო სამჯერ—7-8 და 9 მარტს უმუშევ-  
რებს. დანარჩენ შემთხვევაში კი ადრესატები ყოველთვის არაქარ-

1 გაზ. „ხაქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 158

2 იქვე, № 189

3 იქვე, № 234

4 იქვე, № 275



თველები აყენენ. თეატრი საიუბილეო საღამოებსაც უმეტესად რუსებს უმართავდა. ასე იყო მაგალითად, 1919 წ. თებერვალსა და მარტში, როცა სასცენო მოღვაწეობის 10 წლისთავი მომღერლებს — პოლიაევსა და ვრონსკის გადაუხადეს, 1920 წ. მარტში, როცა მოღვაწეობის 40 წ. იუბილე რეჟისორ ბელსკის მოუწყვეს და ა. შ.<sup>1</sup>

გასაოცარი კია, მაგრამ თეატრის ასეთი პოზიციის მიუხედავად, მთავრობა მას მაინც გამორჩეული მზრუნველობით ექცეოდა. ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი — 1919 წ. მთავრობამ დააწესა ჯილდო ქნარისა და ღერბის გამოსახულებით იმათთვის, ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა ხელოვნების განვითარებაში და 4 თებერვალს ეს ჯილდო პირველად მომღერალმა საბანეევამ მიიღო, ათქვინდა ქართველ ხელოვანთაგან მისი მიღების ღირსი არავინ ყოფილიყოს.<sup>2</sup>

ხელისუფლებისაგან ასეთი ხელისშეწყობით, თეატრმა ისიც კი შესძლო, რომ 1919 წ. რუსეთიდან საგასტროლოდ მოიწვია მომღერლები — აპრილ-მაისში დავიდოვა, ივნისში ორდა, ხოლო ნოემბერში კოშიცე, რომელიც 1920 წელსაც დარჩა თბილისში. ორდამ მაგალითად „ტოსკაში“, „სევილიელ დალაქში“, „ევგენი ონეგინსა“ და „რიგოლეტოში“ წამყვანი პარტიები იმღერა.<sup>3</sup> თეატრის დადგმებს მარტში ინგლისელი მუსიკალური კრიტიკოსი ტომსონიც დაესწრო, რომელმაც დასს მაღალი შეფასება მისცა.<sup>4</sup>

საოპერო თეატრის დადგმები შეუფასებელი ქართულ პრესასაც არ რჩებოდა. მაგალითად, 1919 წ. დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა „მეფის საჩქლოზე“,<sup>5</sup> ჰუგენოტებზე“, სადაც განსაკუთრებით ვ. სარაჯიწვილას რაული იყო გამოყოფილი,<sup>6</sup> „აიდაზე“, რომელშიც ვ. გარიკი მაღალ შეფასებას ა. წუწუნავას რეჟისორულ ნამუშევარს კი აძლევდა, მაგრამ იწუნებდა დასის საშემსრულებლო ხელოვნებას<sup>7</sup> და ა. შ.

თეატრის ნაყოფიერ საქმიანობას უთუოდ უწყობდა ხელს თბილისში პროფესორ რიადნოვის საოპერო სტუდიის არსებობა, რო-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 26, 82

2 იქვე, № 30

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ. № 121

4 იქვე, № 57

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 220

6 იქვე, № 115

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 682

ქელიც კადრებს ძირითადად სახელმწიფო თეატრისათვის ამზადებდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ძალების შეგვებას საკონკურსო გზითაც ცდილობდა და 1919 წ. გამოაცხადა კიდევ ასეთი კონკურსი.<sup>1</sup> ძირითადად ამ თეატრისათვის არსებობდა დალკროზისა და პერინის საბალეტო სკოლებიც, რომლებმაც რამდენიმეჯერ გამართეს სანიმუშო გამოსვლები ოპერის თეატრში.<sup>2</sup>

ბუნებრივია, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, 1919 წ. სამართლიანად დაისვა საკითხი ქართული ეროვნული ოპერის თეატრის შესაქმნელად. როგორც სვ. წერეთელი წერდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, სამისო ძალები საეკარისი იყო. ესენი იყვნენ უცხოეთში მოღვაწე მომღერლები გ. ნანობაშვილი, მ. თარხნიშვილი, ს. სიხარულიძე, მოცეკვავეები ჩერქეზიშვილი, გამსახურდია, თბილისის ოპერის თეატრში მომუშავენი — აგასოვა-კალანდაძე, შულგინა-ბახუტაშვილი, ლამბაშიძე, მანდენოვი, მიხაილოვი, აგასოვი, ისეცკი, კურბატოვი და სხვები, რომლებმაც ქართული ენაც იცოდნენ. სვ. წერეთლის აზრით, საჭირო მხოლოდ ამათი ერთად თავმოყრა იყო, რადგან უკვე შექმნილი იყო ქართული ორიგინალური ოპერებიც — დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, რ. გოგინაშვილის „ქრისტინე“ და „ჯადოსანი“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, მ. ზალანჩივაძის „თამარ ცბიერი“, კ. ფოცხვერაშვილის „კერპთა დამხობა“, ი. იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატი“ და ა. შ. ქართულად თარგმნილი იყო რამოდენიმე ოპერაც.

ამ პროცესს სათავეში, სვ. წერეთლის აზრით, სამუსიკო საზოგადოება უნდა ჩადგომოდა მთაერობასთან ერთად. ასევე დაუყოვნებლივ უნდა შექმნილიყო ქართული სიმღერის გუნდი და ორკესტრი და დაწესებულაყო საგანგებო სტიპენდია მუსიკოსებისათვის.<sup>3</sup>

საყურადღებო წერილი „თეატრის ნაციონალიზაცია“ დაბეჭდა „საქართველოში“ ი. კარგარეთელმაც. ავტორი იხსენიებდა იმავე გაზეთში დაბეჭდილ თავის წინა წერილს, რომელშიც სწერდა, რომ თავისუფალ საქართველოში უნდა დაჩქარებულაყო სულიერი ცხოვრების დარგების განვითარებაც და მათ უნდა მოეპოვებინათ მოქალაქეობრივი უფლება. ი. კარგარეთელის აზრით, ისინი ხომ უკა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 101

2 იქვე, № 145

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 5

ნონო შეილის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უფრო მეტიც, ი. კარგარეთელს სახელმწიფო თეატრში რუსული ოპერის წარმოება მანებლობად მიაჩნდა. „თუ ასე დაჩა, ეს ლალატია, უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია თეატრშიც. აქ მოქმედ არტისტებს მართალია ჯამაგირს მთავრობა კი არ უხდის, მაგრამ შენობა, დენი და ა. შ. ხომ მუქთად აქვთ. ამიტომ ისინი ვალდებულნი არიან იმუშაონ ქართულ ენაზე. ენის უცოდინარობა აქ არაფერ შუაშია. თუკი იგივე არტისტები პარტიებს სწავლობენ ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე, ქართულად ვერ ისწავლიან? თუ არ ისურვებენ ამას, მაშინ წავიდნენ, უარი ეთქვათ მთავრობის სუბსიდიასზე. ამას შოვინიზმი არ მალაპარაკებს. ვიცი რომ ისინი ქართულ რეპერტუარს გაუჭირვებლად ისწავლიან. არ მგონია პოლონეთში ან ფინეთში ასე იყოს, ასე გულკეთილად მოქცეოდა მთავრობა რუსულ დასს. ვინ გაუშვებს იქ რუსულ დადგმებს? აქ კი რუსული დასის მფარველობას საზღვარი არა აქვს. ჩვენი პრესა იმათ რეცენზიებს ყოველდღე ბეჭდავს და ქართულ დადგმებზე კი თვეში მხოლოდ ერთ ან ორს“.<sup>1</sup>

ი. კარგარეთელი „საქართველოში“ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ქართული ოპერების შექმნის საკითხს და ამ პრობლემის დროული გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად კომპოზიტორებისათვის, ევროპელთა მსგავსად, სპეციალური სასწავლებლის შექმნა მიიჩნია.<sup>3</sup>

აღნაშნულ პრობლემასთან მიმართებაში ი. კარგარეთელისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა ვ. გარიკმა, რომელმაც „საქართველოში“ საპასუხო წერილი — „თეატრის ნაციონალიზაცია“ გამოაქვეყნა.

ვ. გარიკის აზრით უნდა მომხდარიყო საოპერო თეატრის ადმინისტრაციის და არა თვით ოპერის, ან დრამის ნაციონალიზაცია. თეატრი არ იყო ის დაწესებულება, რომელიც როცა მოესურვებოდათ, მაშინ მოეხდინათ მისი გაქართულება. რუს მსახიობებს რომ ოპერები ქართულად ესწავლათ; ეს სასარგებლო არ იქნებოდა. ვ. გარიკის აზრით, ამაში „დემონის“ ქართულად წარმოდგენამაც დაარწმუნა საზოგადოება. „ქართული ოპერის არსებობა შეუძლებელია რუს მსახიობთა შემწეობით. არ შეიძლება ქართული ენის არამცოდნე

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 23

2 იქვე, № 35

ქართული ტექსტი გაიზეპიროს. ეს სიმღერა მაინც რუსული იქნება, კილოთი, დამახინჯებით, რაც სიცილს გამოიწვევს. ასეთი ცდა ყოველთვის მარცხით დამთავრდა. ასე მოხდა „დემონშიც“. თუ ქართული ოპერის შექმნა გვინდა, ამ გზით ვერ ვივლით. ძნელია რუსი და რუსულად აღზრდილი ქართველი მსახიობების მომზადება ქართული ოპერისათვის, იმიტომ, რომ მათ რუსული აღზრდა აქვთ. ისინი ქართულ სცენაზე არ ივარგებენ. საჭიროა ქართული სკოლა, ქართული მუსიკალური სასწავლებელი, საოპერო სტუდია და სწორედ აქ აღიზრდებიან ქართველი მომღერლები და შეიქმნება ქართული ოპერაც. თუ არა შალიაპინმაც რომ იმღეროს ქართულ ენაზე, ამით ჩვენ ქართული ოპერა მაინც არ გვექნება“.

ვ. გარიკის აზრით, მიუხედავად ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილის და შულგინას (?) ქართველობისა, მათ მაინც უძნელდებოდათ ქართულად სიმღერა. ვ. სარაჯიშვილსაც კი, რადგან მას ხმა რუსულად ჰქონდა დაყენებული, რეპერტუარი ძირითადად რუსული ჰქონდა. სწორედ ამიტომ, რუსი მომღერლები ქართულ სცენაზე არ გამოდგებოდნენ. უნდა მოძებნილიყო ქართველი მომღერლები და მომხდარიყო მათი აღზრდა. ამისათვის კი უნდა დააარსებულიყო სტუდია, მშობლიურ ნიადგზე დამდგარიყო სკოლა და ამით ქართული ოპერაც შეიქმნებოდა. მისი აზრით, ნაციონალიზაცია შეიძლებოდა სკოლის, სხვა დაწესებულებების, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თეატრისა და ხელოვნების.

ვ. გარიკს სწორად მიაჩნდა, რომ ქართული ოპერა აუცილებელი იყო ერის აღორძინების საქმეში, რადგან მუსიკა დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. იგი ი. კარგარეთელს არ ეთანხმებოდა იმაშიც, რომ სახელმწიფო ოპერის შენობაში ქართული დრამის თეატრი მოთავსებულიყო, რადგან მისი მოწყობილობა და აკუსტიკა არ გამოადგებოდა დრამას. დრამისთვის საჭირო იყო ახალი, განათებით აღჭურვილი შენობა, ხოლო სახელმწიფო თეატრის შენობა უნდა დარჩენოდა ოპერას, რადგან იგი საგანგებოდ მისთვის იყო აგებული.<sup>1</sup>

1919 წ. აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 5 თებერვალს სახელმწიფო თეატრის სცენაზე განხორციელდა დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმა. მეორე ქართული

<sup>1</sup> გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 25

ოპერის სცენაზე დაბადებამ ძალზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ჯერ კიდევ მის დადგმამდე, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ლიბრეტო, რომლის ავტორი ი. მჭედლიშვილი იყო.<sup>1</sup>

ოპერის პირველი წარმოდგენის რეჟისორი ა. წუწუნავა, დირიჟორი სტოლერმანი, მონაწილენი ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, პოლიაევი, შულგინა, კალანდაძე, სპიტაკო და სხვები იყვნენ. პრემიერას იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ თეატრის შენობამ ისინი ვერ დაიტია. დ. არაყიშვილს იქვე გადაეცა ეროვნული დროშით შემკული გვირგვინი.<sup>2</sup>

არ დარჩენილა საქართველოში გამომავალი არც ერთი ჟურნალი, თუ გაზეთი ოპერას რომ არ გამოხმაურებოდა. „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაუყოვნებლივ დაბეჭდა გურჯანელის ვრცელი რეცენზია, რომელშიც დადებითი შეფასება ჰქონდა მიცემული სპექტაკლს. შემსრულებელთაგან გამოყოფილი იყვნენ ვ. სარაჯიშვილი — შოთა, სპიტაკო — თამარი, შულგინა — გულჩინა, პოლიაევი — აბდულ არაბი, ქურხული — სეფი, ლოტბარები — სტოლერმანი და კორშინა, რეჟისორი ბელსკი და სპექტაკლის დამდგმელი ა. წუწუნავა. რეცენზენტი იქვე აღნიშნავდა ნინოს პარტიის შემსრულებლის კალანდაძის გამოუცდებლობას და მგოსნის როლის შემსრულებლის ს. ინაშვილის სუსტ გამოსვლას.<sup>3</sup>

ოპერის პრემიერასთან დაკავშირებით დ. არაყიშვილზე წერილი „საქართველოში“ ი. აბაშიძემაც დაბეჭდა. იქვე დაიბეჭდა ოპერის

1 უნდა მივეთითოთ ლიბრეტოს ავტორის ვინაობის თაობაზე ი. აბაშიძესა და ი. მჭედლიშვილს შორის ატეხილ კამათზე ი. აბაშიძის წიგნში „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც დ. არაყიშვილსა და მის ოპერას ეძღვნებოდა და 1919 წ. გამოიცა, ლეგენდის შინაარსიცაა შოცხებული. მასში ლიბრეტოს ავტორად პ. მირიანაშვილია მიჩნეული. ი. აბაშიძეს „სახალხო საქმეში“ უპასუხა ი. მჭედლიშვილმა და აღნიშნა, რომ პ. მირიანაშვილს მხოლოდ „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო ეკუთვნოდა, ხოლო „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ლიბრეტოს ავტორი თვითონ ი. მჭედლიშვილი იყო. („საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 27, „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 704, 714) 1920 წ. ლიბრეტოს საკითხს ზ. კ. შენხო და დაბეჭდა წერილი „ლეგენდა რუსთაველზე“, რომელშიც წერდა, რომ ეს ლეგენდა შოთასა და მის ცოლზე პირველად 1862 წ. ჟურნალ „ციცქარში“ ა. ფურცელაძემ დაბეჭდა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 4.).

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 28

3 იქვე, № 31

„თქმულება შოთა რუსთველზე“ ი. კარგარეთელისეული შინაარსი.<sup>1</sup> ოპერის შინაარსი დაბეჭდა „სახალხო საქმეში“.<sup>2</sup>

უკვე განხორციელებულ პრემიერაზე „საქართველოში“ ვ. გარბის რეცენზიაც დაიბეჭდა. იგი ქებით მოიხსენიებდა პოლიაევს, შუ-ლგინას, ინაშვილს და სპიტკოს, ხოლო სარაჯიშვილზე წერდა, რომ იგი თითქოს და სპექტაკლში უხერხულად გრძნობდა თავს.<sup>3</sup> ი. არი-მატიელის რეცენზია ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭ-და.<sup>4</sup>

პრემიერასთან დაკავშირებით „სახალხო საქმეში“ ზ. ჩხიკვაძის „ისტორიული დღე“ დაიბეჭდა. მასში ავტორი 5 თებერვლის დად-გმის მნიშვნელობას 1850 წ. 2 იანვარს ადარებს, როცა რ. ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა. ზ. ჩხიკვაძის თქმით, 5 თებერვალი ეს ის დღეა, როცა პირველად დაიდგა ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.<sup>5</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. ჩხიკვაძე და სხვებიც, რატომღაც პირველ ქა-რთულ ოპერად „თქმულება შოთა რუსთაველზე“ თვლიდნენ, მა-შინ, როცა პირველი ქართული ორიგინალური ოპერა, რომელიც სცენაზე განხორციელდა, ეს „ქრისტიანე“ იყო და მასზე ზემოთ უკვე დაწვრილებით გვქონდა საუბარი.

პრემიერიდან სამი დღის შემდეგ, 8 თებერვალს თეატრში დ. არა-ყიშვილის მოღვაწეობის 15 წლის იუბილე გაიმართა. ამასთან დაკა-ვშირებით მეორედ იქნა წარმოდგენილი მისი ოპერა, თეატრმა ხა-ლხი ვერ დაიტია. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ ე. მაჩაბელი—სამუსიკო საზოგადოების თავმჯდომარე, ზ. ჩხიკვაძე — ამ საზოგა-დოების გამგეობის წევრი, ი. აბაშიძე — მუსიკალური სკოლის ინს-პექტორი, ა. წუწუნავა — სახელმწიფო თეატრის კომისარი და სხვები. სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელმა ს. ევლახიშვილმა თავის გამოსვლაში ერთგვარად მოინანია ის გულგრილი დამოკი-რებულება, რასაც სახელმწიფო თეატრის მესვეურები იჩენდნენ დ. არაყიშვილისადმი და აღნიშნა, რომ მან გვიან იწამა კომპოზიტორის

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 26

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 449

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 29

4 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 3

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 460

ნიჭიერება. მანამდე კი, აკი თვით ს. ევლახიშვილმა თქვა უარი „თქმულება შოთა რუსთაველის“ დადგმაზე.<sup>1</sup>

საიუბილეო საღამოს სამწუხაროდ ქართული პრესას არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა, რაც მათ იმით ახსნეს, რომ თითქოსდა არ იცოდნენ იუბილეს თაობაზე, რადგან ეს მათ არ შეატყობინა ა. წუწუნავამ. ეს რომ აშკარა სიცრუა, თუნდაც იქედან სჩანს, რომ დ. არაყიშვილის მომავალი საიუბილეო საღამოს შესახებ განცხადებები თბილისში გამომავალმა თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა. კომპოზიტორი მთავრობამ უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი — ღერბით,<sup>2</sup> თეთრი გიორგის ორდენითა და 10000 მ. დააჯილდოვა.<sup>3</sup>

მაგრამ არ გასულა დიდი დრო და დ. არაყიშვილმა ოპერა მოხსნა რეპერტუარიდან. ამის მიზეზად მან ოპერის დამახინჯება, ანტრაქტების გაჭიანურება და საერთოდ ამ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება მიიჩნია.<sup>4</sup>

აღნიშნულის თაობაზე დ. არაყიშვილმა „გრუზიაში“ წერილიც გამოაქვეყნა, რომელსაც „საქართველოში“ ი. კარგარეთელი გამოეხმაურა. დ. არაყიშვილი წერილში უჩიოდა სახელმწიფო თეატრის ვანდალიზმს. რაც იქ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. თეატრში თავიანთ ნებაზე ცვლიდნენ პარტიტურებსა და ამახინჯებდნენ ოპერებს. სწორედ ამიტომ მოხსნა მან იქ თავისი ოპერა.<sup>5</sup>

ოპერის ჩვენება კარგა ხნით შეწყდა. თუ მხედდევლობაში არ მივიღებთ ი. ზარდალიშვილის დასის მიერ დასავლეთ საქართველოში ზაფხულში მისი ნაწყვეტების ჩვენებას.

1919 წ. იანვარში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ ზ. ფალიაშვილმა დაასრულა ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელიც მალე დაიდგმებოდა კიდევ სახელმწიფო თეატრის სცენაზე. მასში როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: აბესალომი — ზალიპსკი, ეთერი — ბახუტაშვილი, ლისა — შულგინა, მარიხი — გრანელი, მურმანი — ინაშვილი, ეშმაკი — დ. ლორთქიფანიძე, აბიო მეფე — ქურხული და თანდარუხი — ქ. გურჯი. სპექტაკ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 460

2 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წ., № 38

3 იქვე, № 42

4 იქვე, № 75

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 78

ლის დადგმაზე, რომლის ლიბრეტო ჰ. ჰირიანაშვილს ეკუთვნოდა, ა. წუწუნავა მუშაობდა.<sup>1</sup>

პრემიერა 1919 წ. 20 თებერვალს გაამართა. ამ დღეს პრესაში ოპერისადმი მიძღვნილი მრავალი წერილი დაიბეჭდა, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკაში“ გურჯანელის დიდ წერილთან ერთად, ოპერის ლიბრეტოს შინაარსიც გამოქვეყნდა.<sup>2</sup> პრემიერას მთავრობის, პარლამენტის დეპუტატებისა და ამერიკის მისიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.<sup>3</sup>

სპექტაკლზე მრავალი რეცენზია გამოქვეყნდა. საყურადღებო იყო „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ი. აბაშიძის „ქართული ოპერა“, რომელშიც ნაწარმოებს მაღალი შეფასება ჰქონდა მიუკემული:<sup>4</sup> ი. აბაშიძემ ზ. ფალიაშვილსა და მის ოპერაზე „საქართველოშიც“ დაბეჭდა წერილი. იმავე გაზეთში ინენის ვრცელი დადებითი რეცენზიაც დაიბეჭდა.<sup>5</sup> დადებითი რეცენზიები ასევე გამოქვეყნდა: ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“,<sup>6</sup> გაზეთ „სახალხო საქმეში“,<sup>7</sup> ჟურნალ „ორიონში“ (პროფ. თ. გარტმანის ეს რეცენზია გადმობეჭდა „სახალხო საქმეში“)<sup>8</sup> გაზეთ „ერთობაში“<sup>9</sup> და ა. შ.

უამრავ დადებით რეცენზიებთან ერთად, გაზეთმა „საქართველომ“ დაბეჭდა ი. კარგარეთელის დიდი რეცენზია, რომელშიც ოპერა და მისი დადგმა უმართებულოდ, უარყოფითად იყო შეფასებული. რეცენზენტის აზრით, მისი მუსიკა წარმავალი იყო, თუმცა იგი იმედოვნებდა, რომ შემდეგში უკეთესიც დაიწერებოდა. მთავარ ნაკლად მიჩნეული იყო უმოძრაობა პერსონაჟთა და მასის უსიცოცხლობა. დაწუნებული იყო დეკორაციები და ტანსაცმელიც. საბოლოოდ ი. კარგარეთელი იწუნებდა როგორც ოპერას, ისე მის დადგმასაც.<sup>10</sup>

ოპერის დადგმას მაღალი შეფასება მისცა თვით ავტორმა. მან

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 6

2 იქვე, № 42

3 იქვე, № 55

4 იქვე, № 48

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 39, 40, 43

6 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 3

7 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 671, 699

8 იქვე, № 644

9 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 252

10 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 111



რედაქციებისადმი გაგზავნილ წერილებში განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დადგმაში მონაწილე შულგინას, მოროზოვას, ვიშემირსკაიას, გრანელს, მანდენოვას, ზალიპსკის და კურბატოვს, რომლებმაც მიუხედავად ქართული ენის უცოდინარობისა, როლები მაინც ქართულად შეისწავლეს.<sup>1</sup>

25 თებერვალს საზეიმოდ აღინიშნა ზ. ფალიაშვილის მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. კომპოზიტორი მთავრობამ სახელმწიფო ღებრითა (თეთრი გიორგის ორდენით) და 10 000 მ. დააჯილდოვა.<sup>2</sup> საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილი იქნა მისი „აბესალომ და ეთერი“. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ვ. აბაშიძე, ა. წუწუნაეა, ს. ევლახიშვილი და სხვები.

12 აპრილს თბილისის კონსერვატორიამ თავისი ინსპექტორი ზ. ფალიაშვილი, იუბილესთან დაკავშირებით პროფესორადაც აირჩია.<sup>3</sup>

მოკლე დროში „აბესალომ და ეთერი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დადგმა გახდა. 1919 წ. 28 მაისს იგი უკვე მეთხუთმეტედ. ხოლო 2 დეკემბერს ოცდამეხუთედ ნახა მაყურებელმა, რაც კომპოზიტორის ბენეფისით აღინიშნა.

„აბესალომ და ეთერი“ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებმაც ნახეს. 20 ივნისიდან ი. ზარდალიშვილმა დასი ზ. ფალიაშვილის თანხლებით დასავლეთ საქართველოში წაიყვანა. აბესალომის პარტიას ვ. სარაჯიშვილი, მურმანისას ს. ინაშვილი, ხოლო მარჩიისას — ვიშემირსკაია ასრულებდნენ. დასმა გორი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი (28—30 ივნისს), სამტრედიო, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, აბაშა და ბათუმი (6—11 ივლისი) მოიარა.<sup>4</sup>

საინტერესოა ითქვას, რომ თეატრმა 1919 წ. სეზონიც 4 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერით“ გახსნა. ხოლო 1 ნოემბერს იგი საგანგებოდ აჩვენეს თბილისელი მუშებისათვის.<sup>5</sup> წარმოდგენამ ორივეჯერ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

3. დადგამის რეცენზიაში. რომელიც სეზონის გახსნასთან დაკავშირებით „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა, განსაკუთრებით გამოყოფილი იყო ს. ინაშვილის მურმანი. ვიშემირსკაიას მარჩია, ვაკარეცკის დადგმული ცეკვები, ზალცმანის მხატვრობა (მას ჯადოქარულს

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 114, გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 123

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 42

3 ქურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 4

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 550

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 252

14. ამირან ნიკოლეიშვილი

უწოდებდა რეცენზენტი) და ა. წუწუნავს რეჟისურა. პ. დადვადე შენიშვნის სახით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში იგრძნობოდა ვიშემირსკის შესრულებაში მისი არაქართველობა. „და ნუთუ ეს ძალები, წერდა პ. დადვადე, ქართულ ოპერას არ უნდა ემსახურებოდეს და რუსულ ოპერაში იხარჯებოდეს? დროა მიეხედოთ ქართულ ოპერას და მას ვაქრული ანგარიშიანობით კი არ მღეროდნენ სახელმწიფო თეატრში, არამედ მათ საკუთარი გარდაუვალი მნიშვნელობა ჰქონდეს.“<sup>1</sup>

სამწუხაროდ წლის ბოლოსთვის „აბესალომ და ეთერი“ სხვადასხვა წერილმანმა ინტრიგებმა შეიწირეს და იგი ავტორმა სცენიდან მოხსნა.<sup>2</sup> ამის ტიპიურ მაგალითად გამოდგება „სახალხო საქმეში“ ვინმე ლელის წერილი „თქმულებამ შოთა რუსთაველზე რა დააშავა?“ წერილის ავტორის თქმით, ხალხი მიაწყდა ქართულ ოპერებს და სირცხვილდაც კი ითვლებოდა მათი უნახაობა. ამ დროს კი, სვამს კათხვას იგი, „რატომ არ იდგმება რუსთაველი? ბურთი და მოედანი დარჩა „აბესალომ და ეთერს“. ხალხს კი რუსთაველი უფრო მოსწოს. ვინ გარიყა არაყიშვილი? შინაურმა კინკლაობამ გაჯობათ? ვის აქვს ამის უფლება? გაქეთეთ პირადი ანგარიშები და საზოგადოებას ნუ სჯით“:<sup>3</sup> ვითომდა ქართული კულტურის ბედით შეწუხებული ვილაც ლელი, სინამდვილეში ხელოვნურად უპირისპირებდა ორ შემოქმედს ერთმანეთს, რასაც შედეგად საერთო საქმიანათვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.

11 დეკემბერს კიდევ ერთი ახალი ქართული ოპერის, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პრემიერაც გაიმართა.<sup>4</sup> ეს ოპერაც ა. წუწუნავამ დადგა. სპექტაკლს დადებითი შეფასება მისცა „ერთობამ“. მან განსაკუთრებით გამოჰყო თარხან-მოუტრავის ლევანი და ისეცკის ტყუილიშვილი.<sup>5</sup>

„ქეთო და კოტეს“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა „სახალხო საქმეში“ პ. დადვადემაც. მისი თქმით ვ. დოლიძემ პირველმა გაკვალა გზა ქართულ იუმორისტულ ოპერაში და კარგად დაუკავშირა ერთმანეთს ევროპული და ქართული მუსიკა. ავტორის აზრით, თავიანთი როლები საინტერესოდ შეასრულეს როგაჩოვსკიმ — კოტე და

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. № 647

2 იქვე, № 701

3 იქვე, № 697

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 280

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 282, 286

კალანდაძემ — ქეთო. თუმცა აჯობებდა, რომ მათ მეტი სიცოცხლე ჰქონოდათ. რეცენზენტს არ მოსწონდა თარხან-მოურავის ლევანი, ისეცკის კოტრიაშვილი, შელუდკოვსკაიას და ოვსიანიკოვას მაჰანკლები, ქურხულის საქო, კურბატოვის სიკო და გუნდი. დადებითადაა შეფასებული ღირიყორ სტოლერმანის ნამუშევარი და ა. წუწუნავას დადგმა, თუმცა პ. დადვადე ნაკლსაც გამოჰყოფდა. მაგალითად, ჩაცმულობას, სცენაზე განლაგებას, ზოგიერთი ადგილების ზედმეტად გაშარყებას, კომიზმის ხაზგასმას და ა. შ. რეცენზენტს საჭიროდ მიაჩნდა იუმორის ზომიერი ხაზის დაცვა. პ. დადვადის აზრით, ნაკლი ჰქონდა თვით ოპერასაც: „რომ ვადაჭრით ვთქვათ ქართულია ამ კომიკური ოპერის მუსიკაო, — ეს რაღა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა, რადგანაც მთელ ოპერას, შიგა და შიგ აქვს ჩაქსოვილი ჩვენებური ჰანგები და ისიც ჩვენებური ტიპების დასახასიათებლად... იქნება ბევრი ორიგინალობა არ ეტყობოდა მუსიკას (მაგ. უვერტიურა), იქნება... ვავლენაც ემჩნეოდა ჩვენ მუსიკოსს... ოპერის მთავარი კილოც არაქართულია. ეს ითქმის განსაკუთრებით კოტესა-და ქეთოსათვის დაწერილ მუსიკის შესახებ“.<sup>1</sup> ახალი, რიგით თავისი მეორე ოპერა „ჩადოსანი“ დაამთავრა 1919 წ. დეკემბერში რ. გოგნიაშვილმაც.<sup>2</sup> ოპერებზე მუშაობდნენ მ ბალანჩივაძე — წერდა „თამარ ცბიერს“ და კ. ფოცხვერაშვილი — ქმნიდა „ბაყბაყ დევს“.<sup>3</sup> 1919 წ. ქართული ორიგინალური ოპერების დადგმის გარდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა. ამ წელს პირველად ითარგმნა და ქართულ ენაზე დაიდგა კლასიკური ოპერა „დემონი“. იგი სახელმწიფო თეატრში 23 იანვარს იქნა წარმოდგენილი ვ. სარაჯიშვილის, შულგინას, ხორინას და სხვათა მონაწილეობითა და ა. წუწუნავას დადგმით. წარმოდგენას ინგლისის მისიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ოპერა ქართულ ენაზე პ. მირიანაშვილმა თარგმნა. მხატვრობა ეკუთვნოდა ზალცმანს, ხოლო ღირიყორობდა სამოსული.<sup>4</sup> დადგმამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ მასზე დაიბეჭდა გურჯანელის რეცენზია, რომელშიც გამოყოფილია ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილის, შულგინასა და ისეცკის მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება და ა. წუწუნავას რეჟისურა.

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 705.

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 293

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 173

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 13

კრიტიკულად იყო შეფასებული გუნდი და ორკესტრი.<sup>1</sup> „დემონის“ ქართული დადგმა „საქართველომაც“ შეაფასა. მასში დაიბეჭდა ვიხზე „დამახინჯებულის“ წერილი „ქართული ოპერა“, რომელშიც მოწონებული იყო სპექტალი. ავტორი განსაკუთრებით გამოაყოფდა ს. ინაშვილის, შულგინას, ისეკვის და დემიანენკოს შესრულებას და ა. წუწუნავას დადგმას. სუსტად იყო შეფასებული გუნდი, ორკესტრი და სპექტაკლის ბოლო მოქმედება. ავტორის აზრით, ოპერის ქართულ ენაზე დადგმამ აშკარად გაამართლა.<sup>2</sup>

4 ივლისს სახელმწიფო თეატრში კიდევ ერთი ქართულ ენაზე თარგმნილი იუმორისტული ოპერა დაიდგა. ეს იყო „ივანოვ-პაველიდან“ დორპატელის მიერ გადმოკეთებული „ვანო წამებულო“.<sup>3</sup> მისი დადგმა ქართველ საოპერო მომღერალთა დასმა განახორციელა.<sup>4</sup>

უსათუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა 1919 წ. თბილისში სამუსიკო საზოგადოებასთან ქართული საოპერო სტუდიის დაარსება, სტოლერმანის მეთაურობით, რომლის შექმნაზეც ასე ოცნებობდნენ ქართველი მუსიკოსები. სტუდია თავის პირველ სეზონს 1 ნოემბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში გახსნიდა. იგი ა. ახმეტელის რეჟისორობით უკვე მუშაობდა „აბესალომ და ეთერის“<sup>5</sup> და რ. გოგინაშვილის ოპერა „ჩადოსანის“ დადგმაზე არტისტულ თეატრში.<sup>6</sup> ხოლო თვით სტოლერმანი „თქმულება შოთა რუსთაველზე“-ს ამზადებდა.<sup>7</sup>

საოპერო სტუდიისა და კოოპკავშირთან არსებული კაპელის მიერ, სტოლერმანის რეჟისორობით მომზადებული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პრემიერა 8 დეკემბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი, ნ. სულხანიშვილის გარდაცვალების გამო 19 დეკემბერს გაიმართა.<sup>8</sup> 25 დეკემბერს ოპერა საკუთარი, ქართული ძალებით მეორედაც იქნა წარმოდგენილი, რაც იმისი უტყუარი დასტური იყო, რომ ქართულ მუსიკალურ

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 22

2 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 20

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 144

4 იქვე, № 156

5 „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 682

6 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 11

7 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 252, ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 241

8 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 255

ინტელიგენციას უკვე საკუთარი ძალებითაც შეეძლო საოპერო და-  
ღმებრის განხორციელება.<sup>1</sup>

1919—20 წლის საოპერო სეზონი 4 ივნისს დასრულდა. მთელს  
სეზონში სულ 380 სპექტაკლი განხორციელდა, რომელიც 305490  
მაყურებელმა ნახა. განხორციელებული სპექტაკლებიდან მუშები-  
სათვის იყო 26, ჭარისათვის 8, სამხატვრო 43, ლექცია 3, კონცერ-  
ტი 8, ქართული 7, სომხური 2 და თათრული (იგულისხმება აზერბა-  
იჯანული) 2. წარმოდგენილი იყო საბავშვო სპექტაკლებიც.<sup>2</sup> ზემოთ  
ნახსენები 305490 მაყურებლიდან 35735 დაესწრო მუშებისთვის,  
12000 ჭარისათვის განკუთვნილ დადგმებს, ხოლო 50105-მა მოსკო-  
ვის სამხატვრო თეატრის სპექტაკლები ნახა, რომელთა წარმოდგე-  
ნები ამ თეატრის შენობაში გაიმართა.<sup>3</sup> საერთოდაც უნდა ითქვას,  
რომ იმ წლებში თბილისში, ოპერას გაცილებით მეტი მაყურებელი  
პყავდა, ვიდრე დრამას.

მომავალი საოპერო სეზონის მოწყობასა და მსახიობთა მდგომარეობაზე ფიქრი ჯერ კიდევ წინა სეზონის დამთავრებამდე დაიწყო.  
26 აპრილს თბილისში გაიმართა ქართველ მომღერალთა კავშირის  
საგანგებო ყრილობა, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ აღნიშნუ-  
ლი პრობლემა განიხილეს, როგორც მომხსენებელმა ა. ინაშვილმა  
აღნიშნა, თეატრში აუცილებელი იყო ცვლილებების განხორციელება.  
რაც მთავრობას უნდა გაეკეთებინა, ყრილობამ თეატრის ადმინის-  
ტრაციიდან ა. წუწუნავას წასვლაც მოითხოვა.<sup>4</sup> ყრილობაზე (ესწრე-  
ბოდა 30 კაცი) მომღერალთა კავშირის მიერ, არსებობის 10 თვეში  
გაწეული მუშაობის თაობაზე გ. ღვინიაშვილმა ისაუბრა, როგორც  
მან აღნიშნა, კავშირის მიზანს ვოკალური ხელოვნების განვითარე-  
ბა წარმოადგენდა. მათ დაიწყეს უცხოური მუსიკალური ნაწარმო-  
ებების თარგმნაც (თარგმნიდა გუნია), დაარსეს 30 კაციანი ინსტ-  
რუმენტალური სექცია და ა. შ. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ  
მ. ნანობაშვილი (დარიალი) აირჩია.<sup>5</sup>

სახელმწიფო თეატრში ცვლილებების აუცილებლობას ხელისუ-  
ფლებაც რომ გრძნობოდა, ეს სჩანს თუნდაც იქედან, რომ ჯერ კიდევ

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 297

2 იქვე, 1920 წ., № 220

3 იქვე, № 228

4 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 17

5 იქვე,

1919 წ. ბოლოს, პრესაში დაიბეჭდა სახელმწიფო თეატრის დებულების, პარლამენტის ხელოვნების კომისიის პროექტი.<sup>1</sup>

სეზონის დამთავრებიდან მალე, განათლების სამინისტროში შედგა თათბირი, რომელმაც სახელმწიფო ოპერის მხატვრულად მოწყობის საქმე განიხილა (თეატრები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდნენ). თათბირზე სამუსიკო კოლეგიის მოსაზრებათა გათვალისწინებით, რომელიც მოხსენების სახით მანამდე წარედგინა განათლების სამინისტროს და სპეციალისტებისაგან შემდგარი სამხატვრო საბჭოს შექმნას ითვალისწინებდა,<sup>2</sup> გადაწყდა, რომ შექმნილიყო მუდმივი სახელოვნო კომისია, რომელსაც ი. გომართელი ჩაუდგებოდა სათავეში. კომისია მოგვიანებით მართლაც შეიქმნა და მასში ა. წუწუნაევა (იგი უკვე თეატრის დირექტორად მუშაობდა), დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი და ჩერეპნინი შევიდნენ.<sup>3</sup> კომისიას ოპერის მხატვრული მხარის, სარეპერტუარო და საპონორარო საქმისათვის უნდა ეხელმძღვანელა.<sup>4</sup>

რაც შეეხებოდა თეატრის ხელმძღვანელობას, ს. ევლახიშვილს დირექტორობის ხელშეკრულების ვადა მართალია 1 ივლისს გაუთავდა, მაგრამ კომისიას კვლავ სურდა მისი მოწვევა, რაც სთხოვა კიდევ განათლების სამინისტროს.<sup>5</sup> სამინისტროს, თავის მხრივ, პარლამენტის ხელოვნების კომისიამაც სთხოვა, რომ საოპერო თეატრის დირექტორად ისევ ს. ევლახიშვილი დაენიშნა.<sup>6</sup> სამინისტრომ გაითვალისწინა ყოველივე ეს და დირექტორად კვლავ ს. ევლახიშვილი დანიშნა.

შედგა დასიც, რომლის ხელმძღვანელობა თეატრის დირექტორს დაევალა. მხატვრული ნაწილის გამგედ (მთავარ მხატვრად) მოსკოვის სამხატვრო თეატრის მხატვარ-დეკორატორი მ. სომოვი მოიწვიეს.<sup>7</sup> მხატვარ შარლემანის მიერ შესრულდა თეატრის ახალი ფარდის პროექტიც.<sup>8</sup> გადაწყდა ისიც, რომ ახალი სეზონიდან დასი ს

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 270

2 იქვე, 1920 წ., № 157

3 იქვე, № 206

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 179

5 იქვე, № 192

6 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 193

7 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 195

8 იქვე, № 178

ხელმწიფო იქნებოდა და თეატრი იჯარით არ გაიცემოდა. ჩამოყალიბდა ორი — დიდი და მცირე დასები. შედგა დიდი გუნდიც ჩერეპნინის ხელმძღვანელობით. თეატრში საოპერო დადგმებთან ერთად, სიმფონიური საღამოებიც გაიმართებოდა.<sup>1</sup>

ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ახალი სეზონიდან თეატრში ჩამოიყვანდნენ პრადის დიდ ჩეხურ ორკესტრს და სხვა ქვეყნებიდან მოიწვევდნენ მსახიობებს (4 რუსეთიდან, 4 იტალიიდან).<sup>2</sup> ამას იტალიელი მომღერლის ბალაცის დაპირებაც დაემატა, რომ იგი იტალიიდან სულაც უფასოდ ჩამოიყვანდა მომღერლებს (ერთი მომღერალი ქალი, — კოჩასა ჩამოიყვანა კიდეც თეატრმა იტალიიდან).<sup>3</sup> და ეს მაშინ, როცა თითქმის არავინ ზრუნავდა თეატრში უცხოეთში გაბნეული ქართული ძალების მოსაზიდად. მიუხედავად საზოგადოების დიდი სურვილისა, ვერა და ვერ მოხერხდა პეტერბურგიდან მოეწვიათ იქ მარინის თეატრში მოღვაწე დიდი ქართველი რეჟისორი ივანე ფალიაშვილი, რის თაობაზე „ერთობაც“ წერდა 1921 წ. თავის ერთ-ერთ ნომერში.<sup>4</sup>

მიუხედავად ამისა, 1920 წ. მაინც მოხერხდა პარიზიდან თბილისში, ი. წერეთლისა და კ. ჩხეიძის მოწვევით, ჩამოსულიყო ცნობილი საოპერო მომღერალი მიშელ დარიალი — მიხეილ ნანობაშვილი. მ. დარიალი 20 წელზე მეტი მღეროდა ევროპისა და ამერიკის თეატრების სცენებზე. იგი მღეროდა პარიზის გრან-ოპერაში, პარიზის კომიკურ ოპერაში, სადაც პრემიერი იყო, ერთი სეზონი გაატარა მოსკოვის ზიმინინის თეატრში და ა. შ. მღეროდა ფრანგულად. თავდაპირველად მ. დარიალი როგორც გასტროლიორი, ისე ჩამოვიდა და მას „ვერტერში“, „ფაუსტში“, „აიდაში“ და „ჰუგენოტებში“ უნდა ემღერა წამყვანი პარტიები. 22 მარტს მან მართლაც იმღერა პირველად „ვერტერში“. ამის შემდეგ კი გამოვიდა „ჰუგენოტებში“, „ურის ქალში“, „მანონში“ და „აფრიკელ ქალში“. ზოლო 9 მაისს ქართულ კლუბში კონცერტიც გამართა. 15 ივნისს კი საოპერო თეატრის სეზონის დახურვასთან დაკავშირებით გაიმართა მისი ბენეფისი, სადაც მან „კარმენში“ დონ ზოხეს პარტია იმღერა. მომღერლის გამოსვლებმა საზოგადოებისა და სპეციალის-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 152

2 იქვე, № 192

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 88, „ერთობა“, № 215

4 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., № 18

ტების დიდი მოწონება დაამსახურა. ვ. გარიკმა მაგალითად, მის ხმას მაღალი შეფასება მისცა და მას დიდი ხელოვანი და ვირტუოზი უწოდა, ხოლო მისი ჩამოსვლა მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. მისი აზრით, ახალგაზრდებს ბევრი რამის სწავლა შეეძლოთ მ. დარიალისაგან, მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც მსახიობი, შედარებით სუსტი იყო.<sup>1</sup>

თბილისში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, მ. დარიალმა საერთოდ გადაწყვიტა აქ დარჩენილიყო, მაგრამ იგი საოპერო თეატრში სამუშაოდ არ მიიღეს. მართალია, საზოგადოება, პრესის საშუალებით, დაუინტერესებდა დასში მის ჩარიცხვას. მაგრამ ეს სხვადასხვა წინააღმდეგობათა გამო არ ხერხდებოდა. გაზეთი „საქართველო“ კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს, თუ რატომ არ ირიცხებოდა დასში ეს მომღერალი.<sup>2</sup> ამის შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა თვით მ. დარიალის წერილი, რომელშიც ახსნილი იყო ზოგიერთი მიზეზი მისი ოპერის თეატრში მიუღებლობის შესახებ. როგორც მომღერალი წერდა, მას ბრალად სდებდნენ, თითქოსდა იგი მაღალ პონორარს მოითხოვდა.<sup>3</sup>

უფრო დაწვრილებით მ. ნანობაშვილმა სიტუაცია გაზეთ „საქართველოში“ ახსნა — იგი საოპერო თეატრში სახელმწიფო თეატრის სახელოვნო საბჭოს თავმჯდომარის, ი. გომართელის თხოვნით მოვიდა. მომღერალი თვეში ხუთჯერ უნდა გამოსულიყო სცენაზე, რისთვისაც იგი შემოსავლის 25% მიიღებდა. ამ პირობას მას უსრულებდა კიდევ თეატრის ძველი დირექტორი ს. ევლახიშვილი, მაგრამ ახალმა დირექტორმა ა. წუწუნავამ, რომელიც 1 ნოემბერს დაინიშნა ოპერისა და დრამის დირექტორად, ამაზე უარი თქვა და თეატრში იტალიელი მომღერალი მიიწვია, რომელსაც თვეში 200 000 მ. ე. ი. გაცილებით მეტს აძლევდა. და ეს მაშინ, როცა ტენორების სინაკლულის გამო თეატრს რეპერტუარის შედგენაც კი უჭირდა. მ. ნანობაშვილი, მიუხედავად მისი პატრიოტიზმისა, იძულებული იყო ისევ საფრაგეთში წავლახე ეფიქრა. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ ვთვლით, რომ მ. ნანობაშვილის ყველა მოთხოვნა მაშინდელი სიტუაციიდან გამომდინარე მისაღები იყო, მაგრამ აქცენტის უცხოელ

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 61, ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 69

2 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 110

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 245



მომღერლებზე გადატანას, ალბათ მაინც ქართველი კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება აჯობებდა!

კაცმა რომ სთქვას, ასეთი აქცენტირება არც იყო გასაკვირი, რადგან თეატრი ხომ ფაქტიურად რუსული იყო. ამას თაობაზე გაზეთ „საქართველოში“ ვინმე კანდიდის წერილიც კი დაიბეჭდა, რომელიც გულახტივილით წერდა, რომ სეზონის გახსნის დღეს „აბესალომ და ეთერში“ თითქმის ყველა პარტიას რუსი მღეროდა. იგი სწორად აყენებდა საკითხს დასის ქართველებით გაძლიერების შესახებ.<sup>2</sup> ის ფაქტი, რომ დასის არაქართველი წევრებიდან თითოთოროლამ ქართულიც იცოდა, მდგომარეობას სულაც არ სცვლიდა. ოპერის ქართულ ნიდაგზე დამყარებას არ შეელოდა ისიც, რომ აქ კონკურსის წესით იღებდნენ ახალ მომღერლებსა და მუსიკოსებს. უმრავლეს შემთხვევაში კონკურსებში ისევ არაქართველები იმარჯვებდნენ.

არადა ხელისუფლება მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, შესაშურ ზრუნვას იჩენდა ფაქტიურად ამ რუსულ საოპერო თეატრზე. იქ სამუშაოდ ახლად მიღებულებს ჰპირდებოდნენ სურსათით უზრუნველყოფას,<sup>3</sup> მთელი თეატრი სარგებლობდა მუშათა მაგიდით (ეს იყო სურსათით გარანტირებული მომარაგება სახელმწიფოს მიერ).<sup>4</sup> თეატრს ჰყავდა 7 ექიმი შტატში (ერთ თეატრს 7 ექიმი!)<sup>5</sup> და ა. შ.

თეატრი რომ უმთავრესად რუსულ კულტურასა და ხელოვნების რუს მოღვაწეებს ემსახურებოდა, ეს 1920 წ. გამართული საბენეფისო საღამოებიდანაც კარგად სჩანს. ამ წელს თეატრმა სულ 34 საბენეფისო საღამო გამართა, რომელთაგან ქართველებს მხოლოდ ექვსი დაეთმოთ. (ზ. ფალიაშვილს, ვ. სარაჯიშვილს, მ. დარიალს, ს. ინაშვილს, ს. ევლახიშვილსა და რ. თარხან-მოურავს). ორჯერ ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტიც — ქალთა I გიმნაზიის მშობელთა და პოლიტექნიკური სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად.

1920 წ. ბოლოსათვის როგორც იქნა გაახსენდათ, რომ საოპერო

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 155

2 იქვე, № 110

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 109

4 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 80

5 იქვე, № 84

თეატრი, უფრო მეტად, ქართული ხელოვნების სამსახურში უნდა მდგარიყო და გამოაცხადეს გაეროვნებას დაწყების თაობაზე — განათლების სამინისტრომ იქ გახსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომლის საშუალებით მსახიობები თურმე ენას შეისწავლიდნენ და მერე ოპერების ქართულ ენაზე დადგმასაც დაიწყებდნენ.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ეს უფრო თვალის ახვევა იყო, თუ არა ამ გზით ეროვნული საოპერო ხელოვნების შექმნა რომ არ მოხდებოდა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. გამოცხადდა ისიც, რომ რუსეთიდან ახალი სეზონისათვის ჩამოიყვანდნენ ყველა იქ მოღვაწე ქართველ რეჟისორს, მსახიობსა და დირიჟორს. განათლების სამინისტრომ მათი სიაც კი შეადგინა და ამ საქმის მოგვარებაში დახმარება საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვა. სიაში შედიოდნენ: მ. ფალიაშვილი (ხარკოვი), ი. ფალიაშვილი (პეტერბურგი) და ბარიტონები დოლონაძე და სიხარულიძე.<sup>2</sup>

ის, რომ თბილისში ფაქტიურად რუსული საოპერო სახელმწიფო თეატრი არსებობდა, ეტყობა ზოგიერთებისთვის არ იყო საკმარისი და გრასბაუმმა და ლევიტოვმა კიდევ ერთი ახალი საოპერო დასის შექმნა გადაწყვიტეს,<sup>3</sup> მაგრამ მათ ხელი საოპერო თეატრის სამხატვრო კომისიამ შეუშალა, რომელმაც განათლების სამინისტროს სთხოვა, არ გაეცა თბილისში კერძო ოპერის გახსნის ნებართვა. ამ მოთხოვნას პარლამენტის ხელოვნების კომისიამაც დაუჭირა მხარი.<sup>4</sup> მართალია ამ დადგენილებით გრასბაუმსა და ლევიტოვს კი შეეშალათ ხელი, მაგრამ ქართველებიც ხომ დაზარალდნენ — ჩაიშალა ქართველ მომღერალთა კავშირის გეგმაც — თბილისში საოპერო ამხანაგობის შედგენის შესახებ.<sup>5</sup>

1920—21 წ. საოპერო სეზონი 30 სექტემბერს „აბესალომ და ეთერი“ გაიხსნა. დასში ამ სეზონში ირიცხებოდა 22 მომღერალი ქალი (ამათგან ქართველი არც ერთი არ იყო), 18 კაცი (ქართველები იყვნენ — ვ. სარაჯიშვილი, ა. ჭუმბურიძე, მ. ვენაძე, ს. ინაშვილი, მ. თარხნიშვილი, ე. იმერლიშვილი და მ. ქურხული) 12 საბალეტო წყვილი ვაკარეცკისა და ბაუერზაქსის (პრიმბალერინა) მეთაურობით, სამი რეჟისორი — ბელსკი, ვურესი და ფლენტი, გუნ-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 246, „სახალხო საქმე“, № 960

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. № 152

3 იქვე, № 58

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 193

5 იქვე, № 145

დის ხელმძღვანელი ლ. სვიმონიშვილი, სამი დირიჟორი — სტოლე-რმანი, ჩერკნინი და მიზანდარი. თეატრს ჰყავდა თავისი გუნდიცა და ორკესტრიც, რომლებშიც მუსიკალური ნაწილას გამგე იყო კ. ფოცხვერაშვილი, სამხატვრო ნაწილისა (ე. ი. მხატვრები) ზალც-მანი და სომოვი, კონცერტმეისტერები — საბინგუ, სოკოლოვა, გო-ლდმანი და ჟანა ფალიაშვილი და თეატრის დირექტორი იყო ს. ევ-ლახიშვილი.<sup>1</sup> ახალ სეზონში დასს განზრახული ჰქონდა დაედგა „სე-ვილიელი დალაქი“, „ლოენგრინი“, „დალატი“, „ბორის გოდუნო-ვი“, „დონჟუანი“, „თამარ ცბიერი“, ვ. დოლიძის „ლეილა“, „ჰუგენ-ოტები“, საბალეტო სპექტაკლები — „გედის ტბა“, „ფაუსტი“, თ. ვახვანიშვილის „სიყვარულის საწამლავი“, იპოლიტოვ-ივანოვის „ვეფხისტყაოსანი“ და ჭავჭავაძის „დედა და შვილა“.

პრაქტიკულად დასმა 1920—21 წ. სეზონში შეინარჩუნა ძირი-თადი სპექტაკლები: „აიდა“, „გოფმანის ზღაპრები“, „ევგნი ონე-გინი“, „ვალპურგის ღამე“, „კარმენი“, „კოპელია“, „ლაკმე“, „მე-ფის საცოლე“, პიკის ქალი“, „რიგოლეტო“, „სოფლის პატივი“, „ტოსკა“, „ტრავიატა“, „ფაუსტი“ „ჯამბაზები“, „ჰუგენოტები“ და „წითელი ქული“. დაიდგა ან აღდგენილი იქნა ახლებიც: „აბესალომ და ეთერი“, „აფრიკელი ქალი“, „ბორის გოდუნოვი“, „ბოჰემა“, „გენზელი და გრემელი“, „დონ ჟუანი“, „დუბროვსკი“, „ვერტერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „კატა წაღებით“, „ჟიზელი“, „ქეთო და კოტე“, „ქორეოგრაფიის ეტიუდი“ და „დალატი“ (უფრო მეტის გაკეთება დასმა ქვეყნის ოკუპაციის გამო ვერ მოასწრო).

გადაწყდა 9 ოქტომბრიდან, ყოველ შაბათს, საგანგებოდ ეჩვენე-ბინათ მუშებისათვის სპექტაკლები.<sup>2</sup> ასევე, პროფკავშირებმა აღძ-რა შუამდგომლობა, რათა თეატრს მუშათა შვილებისათვის წარმო-დგენები დილაობითაც გაემართა.<sup>3</sup> ასეთი დადგმები, როგორც წესი იაფფასიანი იყო და მის ხარჯებს სახელმწიფო თავის თავზე იღებდა. მაგალითად, 1919—20 წ. სეზონში თეატრმა ჯარისა და მუშებისათ-ვის წარმოდგენილი სპექტაკლებით 700000 მ. ზარალი განიცადა.<sup>4</sup>

როგორც ვწერდით, 1920-21 წ. საოპერო სეზონი 30 სექტემ-ბერს აბესალომ და ეთერთ“ გაიხსნა. სპექტაკლზე „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ვ. გარიკის რეცენზია, რომლითაც საერ-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 218

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 220

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 218

4 იქვე, № 228

თოდ მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული ოპერას. მაგრამ დაწუ-  
ნებული იყო სეზონის გახსნაზე წარმოდგენილი სპექტაკლი თავისი  
სუსტი შემსრულებლების გამო. ვ. გარიკის აზრით, სუსტი იყო ზა-  
ლიასკი — აბესალომი, მანდენოვა — ეთერი და ვენაძე — მურმან-  
ნი, თუმცა ამ უკანასკნელს ვ. გარიკის აზრით, თავისი სიახალგაზრ-  
დავის გამო ვერ დაუძლევია როლი. ისე კი მის მომავალში რეცენ-  
ზენტს ეჭვი არ ეპარებოდა.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ ოპერა ძალზე პოპულარული გახდა. იგი ნა-  
ხეს და მოეწონათ ევროპის სოცინტერნის დელგაციის წევრებს,<sup>2</sup>  
27 აპრილს ზ. ფალიაშვილის ბენეფისზე მისულ მრავალრიცხოვან  
მაყურებელს და ა. შ. ოპერამ დიდად შეუწყო ხელი ქართველ მო-  
მღერალთა ახალი ძალების მოსვლას ხელოვნებაში. მაგალითად. 28  
ნოემბერს ვ. სარაჯიშვილის გვერდით (აბესალომი) მასში ეთერი  
იმღერა ახალგაზრდა ოქროპირაძემ, მარიხი — გაბაშიძემ, მურმანი  
კი ელიოზიშვილმა.<sup>3</sup> საერთოდ „აბესალომ და ეთერი“ 1921 წ. 16  
იანვარს 70-ედ იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო თეატრის სცენა-  
ზე, რაც თვალნათლივ მიუთითებს მის დიდ პოპულარობაზე.<sup>4</sup>

საინტერესოა ერთი ცნობაც — „აბესალომ და ეთერის“ დადგ-  
მას 1920 წ. ქუთაისშიც ცდილან, რის შესახებ ცნობა გაზეთ „სოცი-  
ალ-დემოკრატიში“ შემორჩენილი, მაგრამ ძალების უკმარობის გა-  
მო იმხანად ეს ვერ მოუხერხებიათ.<sup>5</sup>

ვ. გარიკმა ვრცელი რეცენზია „ორი ოპერა“ გაზეთ „სახალხო  
საქმეშიც“ გამოაქვეყნა. მასში ავტორს დაწვრილებით აქვს გან-  
ხილული „აბესალომ და ეთერი“ და „თქმულება შოთა რუსთაველ-  
ზე“.

ვ. გარიკი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა ორივე ოპერას —  
„უცხოურზე ვგიყდებით და ჩვენსას კი ვერ ვაფასებთ, ცხვირს ვუბ-  
ზუებთ. ასეა ახლაც. ორივე ეს ოპერა ხალხს მოეწონა, მაგრამ  
პრესა მაინც გულგრილი დარჩა“. „აბესალომ და ეთერის“ მხოლოდ  
ორიოდე წერილი მიეძღვნა „საქართველოსა“ და „სახალხო საქმე-  
ში“, რაც თეატრალური, განსაკუთრებით კი მუსიკალური კრიტიკის  
უმწიფობასა და უძლეულებაზე მეტყველებდა. მათ შეეშინდათ ფასი

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. № 222

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 215

3 იქვე. № 271

4 იქვე, 1921 წ., № 11

5 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1920 წ., № 49

დაედოთ და თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. სამაგიეროდ ბევრი დაწერა რუსულმა პრესამ და ისინი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებად მიიჩნიეს. „ზოგი ჩურჩულებდა, — აგრძელებდა ვ. გარიკი, — „კარმენი“ უკეთესიაო. ეს ხომ შეუგნებლობა, უვიცობაა. კი ბატონო, „კარმენზე“ მაღლა არ დგას. ყოველი ნაწარმოები გენიოსური როდია და რადგან გენიალური ქმნილება არ არის ესა თუ ის ნაწარმოები, არ ვარგა როგორც ხელოვნების ნაწარმოები? „კარმენზე“ თუ „პარსაფილზე“ ლაპარაკი სრულიად მეტია და ჩვენ არც შეგვიძლიან შევადაროთ ამ მხრივ შესანიშნავ ნაწარმოებთ ჩვენი ოპერები, მაგრამ იმას კი არ დავმაღავთ და ვიტყვი, რომ „თქმულება რუსთაველზე“ და „აბესალომ და ეთერი“ სერიოზული ნაწარმოებია და არ ჩამოუვარდება ზოგიერთ ევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებს — ამაში კი ეჭვი არ არის. ყოველივე ხელოვნების ნაწარმოები ეყრდნობა თავის მშობლიურ ნიადაგს, თავის სამშობლოს სიმდიდრიდან არის აღმოცენებული და გაფურჩქვნილი. ჩვენც სწორედ ეს გვაინტერესებს თუ აღნიშნულნი ნაწარმოებნი როგორ ენათესავენა ეროვნულ სულს. ამ მხრივ ორივე ოპერა შესანიშნავია, ორივეს ეროვნული სახე აქვს. ერთიც და მეორეც ეროვნული ჰანგებით საზრდობენ. ნაკლიც აქვს, მაგრამ ნუ დავგავიწყდება — უნაკლო არაფერია და თან ქართული ოპერის ისტორია ამ ოპერებით იწყება. ქართულ მუსიკას არ გაუვლია დიდი და აუცილებელი ევოლუციური გზა. ეს პირველი ნაბიჯია და სახუგეშო, იმედიანი ნაბიჯია. ბრწყინვალე მომავლის გამარჯვების მომასწავებელია.“<sup>1</sup> შემდეგ ვ. გარიკი არჩევს „თქმულებას შოთა რუსთაველზე“ და მაღალ შეფასებას აძლევს მის უვერტიურას და მას მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა ქმნილებების გვერდით აყენებს.

ვ. გარიკი ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა „აბესალომ და ეთერისა“ც. თუმცა თვლიდა, რომ მას ვაგნერის, რიმსკი-კორსაკოვის და ტანევეის („ორესტის“) გავლენა ეტყობოდა. მისი აზრით მძიმე და სმენის დამლული იყო ორკესტრიც. იგი განსაკუთრებით გამოჰყოფდა II და ბოლო მოქმედებებს. აბესალომის გოდებას. ხოლო მურმანის და აბესალომის რეჩიტატივები შედევერებად მიაჩნდა. ვ. გარიკის აზრით „დანარჩენი მოქმედებები უფრო ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ვიდრე შემოქმედება,“ ორივე ოპერის ლიბრეტოები, განსაკუთრებით კი „აბესალომ და ეთერისა“ მძიმე იყო. „ჩვენ ეჭვი

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 495

გვეონდა ქართული ოპერის დაარსების, მისი განვითარების, მაგრამ ორმა ქართულმა ოპერამ ეს ეჭვი უარყო და დიდი იმედებით აგვავესო. ქართული ოპერა დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ იშვა“.<sup>1</sup>

ცალკე უნდა შევეჩხოთ „აბესალომ და ეთერი“ ლიბრეტოს საკითხს. მასზე „საქართველოში“ დაიბეჭდა დ. კასრაძის წერილი, რომელშიც პ. მირიანაშვილის ლიბრეტო სუსტადაა მიჩნეული. „რა არის ლიბრეტო? ხასხასა სიტყვები, ხმოვანი მოქნილობა, რიტმი და აუცილებლივ ყოველი სიტყვის მუსიკობა, აი ლიბრეტოს ღირებულება. მოაცილეთ მას ყოველივე ეს და მიიღებთ იმ მკვდარს ბავშვს, რასაც წარმოდგენს მირიანაშვილის მიერ შედგენილი „აბესალომ და ეთერი,“ რასაც სული ვერ ჩაჰბერა და უსიცოცხლობა ვერ დაუფასა თვით ჩვენი ერის საღაროდან ზ. ფალიაშვილის მიერ ამოკრეფილმა საუცხოვო ჰანგებმა... ეს ლეგენდა მირიანაშვილის ხელში მოკვდა, მოიწამლა და ბრწყინვალე სიტყვათა სამოსელის ნაცვლად ძველი არქივიდან ამოღებული მტვრიანი საპედაგოგიო მასალა შეგვრჩა ხელში. აქ არაა არც ერთი მხატვრული გამოთქმა... მირიანაშვილის მიერ სილატაკის კიდობანად იქცა“. ვ. გარიკი ამის შემდეგ ისევ აქებდა ოპერის მუსიკას და თვლიდა, რომ ზ. ფალიაშვილმა მკვდარ ლიბრეტოს ჩაჰბერა ჭიციოცხლე. „ამ მიზნის განსახორციელებლად მან ბოროტად მოიხმარა ერის ჰანგთა საუფხვე იმ მხრივ, რომ აუარებელი მასალა ჩაჰყარა შიგ და ამით დაამძიმა ლეგენდა, რომლის სიუჟეტი მოითხოვდა უთუოდ ეფემერებს, უნაზეს ტონებს“. ვ. გარიკი თვით დადგმას (სეზონის გახსნის დღეს) მაღალ შეფასებას აძლევდა. თუმცა შემსრულებლებს უფერულად მიიჩნევდა. იგი იწუნებდა მანდენოვას (ეთერი), ქურხულის (აბიო მეფე), ვიშემირსკის (მარიხი) და ვენაძის (მურმანი), ხოლო აქებდა ზალიპსკის (აბესალომი) შესრულებას.<sup>2</sup>

1920 წ. 2 იანვარს განმეორებით დაიდგა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ამჯერად ოპერა ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ და კაპელა—სტუდიამ დადგეს. სპექტაკლი განახორციელა ა. ახმეტელმა, დირიჟორობდა სტოლერმანი. მთავარი პარტიები იმღერეს ვ. და ნ. ლორთქიფანიძეებმა, დ. აკოფაშვილმა, ს. გაბაშიძემ, ფაველენიშვილმა და ჭუმბურიძემ.<sup>3</sup> და

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 496

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 111

3 ჟურნ. „ოპერტი და ცხოვრება“, 1920 წ., № 2

დგამ პრესის მოწონება დაიმსახურა, თუმცა პ. დადვადე სუსტ შემსრულებლად მიიჩნედა ნ. ლორთქიფანიძეს თამარის პარტიაში.<sup>1</sup>

17 იანვარს ოპერა — სტუდიის მომღერალთა მეორე წყებამ წარმოადგინა. ამჯერად მას კორშინი დირიჟორობდა. მეორე წარმოდგენამ პირველზე გაცილებით მაღალი შეფასება დაიმსახურა, თუმცა ამჯერად ქ. ლიხიციანის თამარი იქნა მიჩნეული სუსტ პარტიად.<sup>2</sup>

სტუდიელებმა 13 ივნისს ოპერა ნაძალადევშიც წარმოადგინეს.<sup>3</sup>

განსაკუთრებით მაღალი შეფასება ოპერის იმ წარმოდგენებმა დაიმსახურეს, რომელშიც პარტიებს ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე და ცაგარელი ასრულებდნენ.<sup>4</sup> სპექტაკლმა არა მარტო ქართული, რუსული პრესის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა ხოლო ს. გოროდეცი თვლიდა, რომ ამ ოპერას სიამოვნებით მოესმენდა ყოველი ევროპელი, პეტერბურგელი თუ პარიზელი მკითხველი.<sup>5</sup>

2 ნოემბერს შესდგა „ქეთო და კოტეს“ პრემიერაც, რომელშიც კოტეს ვ. სარაჯიშვილი, ქეთოს კალანდაძე, მთავარს ისეცკი, საქოს ქურჩული, სიკოს კი კურბატოვი ასრულებდნენ. დადგამს პრესაში სპეციალურ ტიპის მაღალი შეფასება დაიმსახურა.<sup>6</sup>

1920 წ. 30 მაისს სახალხო სახლში განმეორებით დაიდგა რ. გოგიაშვილის „ქრისტინე“, რომელშიც როლები კალანდაძემ (ქრისტინე), კურბატოვმა (დათა), სარაჯიშვილმა (იასონი), ნიკოლაძემ (კინტო), დავითაშვილმა (თავადა) და სხვებმა შეასრულეს. პრესამ ოპერა-სუსტ ნაწარმოებად მიიჩნია, თუმცა აღინიშნა კომპოზიტორის ნიჭიერება და ახალგაზრდობა. სუსტად მიიჩნიეს მისი ლიბრეტოც. ასევე აღინიშნა, რომ ოპერა არ ეყრდნობოდა ეროვნულ ჰანგებს. მაღალი შეფასება მიეცათ შემსრულებლებს — კალანდაძეს, ზალიპსკის, ჭუმბურიძეს, ოქროპირიძეს და ლოტბარ ნ. ქართველიშვილს. ოპერა კლუბში სამჯერ იქნა წარმოდგენილი.<sup>7</sup>

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 723

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 12, 17

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 132

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 41

5 გაზ. „ზაკავკასიკო სლოვო“, 1920 წ., № 39

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 251, „საქართველო“, № 150, „სახალხო საქმე“, № 975

7 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 118, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 21

1920 წ. მუშაობა სხვა ქართული ოპერების დადგმებზეც მიმდინარეობდა. ესენი იყო კ. ფოცხვერაშვილის „ქერბთა დამხობა“,<sup>1</sup> მ. ბალანჩივაძის „თამარ ცხიერი“ (ამ უკანასკნელზე პრესა იუწყებოდა, რომ თეატრს თითქმის დამთავრებული ჰქონდა მასზე მუშაობა)<sup>2</sup> და რ. გოგინიაშვილის „ჯადოსანი“.<sup>3</sup>

საყურადღებოა ისიც, რომ დ. არაყიშვილს 1920 წ. დაუსრულებია ოპერა მეფე ლუარსაბზე,<sup>4</sup> 1921 წ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ახალი აქტი<sup>5</sup> და აგრძელებდა მუშაობას „ბერდო ზმანის“ მუსიკაზე.<sup>6</sup>

1920 წ. ქართულ ენაზე რამდენიმე თარგმნილი ოპერაც დაიდგა. 19 ნოემბერს ა. წუწუნავამ დადგა იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ლალატი“, რომელიც ქართულ ენაზე კ. ფოცხვერაშვილმა თარგმნა. მისი სიუჟეტი ა. სუმბათაშვილის „ლალატიდან“ იყო აღებული. ოპერაში ირაკლის როლი ვ. სარაჯიშვილმა, ოთარბეგის ელიოზიშვილმა, სულეიმანის საბინინმა, ზეინაბის ალექსომ, რუქაიასი ცეხანოვსკიმ განახორციელეს. ცეკვები დადგა მორდკინმა, ხოლო დირიჟორობდა სტოლერმანი.<sup>7</sup>

ოპერის დადგმა 1919 წ. უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი კლავირების მოპოვება არა თუ თბილისში, თვით მოსკოვშიც კი, რადგან ავტორს იგი დაუკარგავს. ამიტომ თეატრმა ყოველივე ეს კ. ფოცხვერაშვილს თავიდან გააკეთებინა აგვისტოში.<sup>8</sup>

სპექტაკლზე მრავალი რეცენზია გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში. რუსული პრესა ძირითადად უარყოფითად აფასებდა დადგმას. სამაგიეროდ დადებითი რეცენზიები დაიბეჭდა „სახალხო საქმეში“ (თეატრალის, № 982, ი. მჭედლიშვილის № 987), „საქართველოს რესპუბლიკაში“ (ვ. გარიკის, № 266) და ა. შ. „ერთობაში“ დაიბეჭდა ვლ. ცედ-მის რეცენზია, რომელშიც დეტალურადაა შეფასებული ოპერა.<sup>9</sup> რეცენზენტი მუსიკას არ აძლევდა მა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 31

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 215. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 130

3 „საქართველო“, № 104

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 118

5 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 83

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 11

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 237

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 262

9 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 264



ღალ შეფასებას და მას ზერელედ მიიჩნევდა. იპოლიტოვ-ივანოვი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში და კარგად იცნობდა ქართულ მუსიკას. სწორედ ამიტომ დაეყრდნო იგი ხალხურ მუსიკას. ოპერა პირველად მოსკოვში დაიდგა. წერილის ავტორის აზრით ოპერას გამოცლილი ჰქონდა ეროვნული კოლორიტი. დამახინჯებული იყო ხალხური სიმღერებიც. თანაც იმდენად, რომ ვერც კი იცნობდით მას. დადგმაში იყო ორი-სამი კარგი ადგილი. სუსტი იყო ორკესტრიც. მიუხედავად ამისა, დადგმა მაინც მისაღები იყო რეცენზენტის აზრით. კარგად იყო შეფასებული ა. წუწუნავას დადგმა დეკორაციები, მასიური სცენები, გუნდი, კოსტუმები, ცეკვები, დამაკმაყოფილებლად იყო მიჩნეული ალექსოს ზეინაბი, კარგად ვ. სარაჯიშვილის ერეკლე, ელიოზიშვილის ოთარბეგი, საბინინის სოლემიანი და სუსტად ცეხანოვსკის რუქაია.<sup>1</sup>

რეცენზია „საქართველოშიც“ დაიბეჭდა, რომლის ავტორი ი. კარგარეთელი იყო. მისი აზრით პრესა არასამართლიანი იყო, როცა დადგმას იწუნებდა და მასში დადებითს ვერაფერს პოულობდა. არადა იგივე გაზეთები მასზე გაცილებით სუსტ დადგმებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ანდა საერთოდ სდუმდნენ მათზე. ი. კარგარეთელის აზრით, მართალია „ღალატა“ არაპირველხარისხოვანი. მაგრამ მაინც საჭირო დადგმა იყო. რეცენზიაში დეტალურად იყო გარჩეული სპექტაკლი და გამოთქმულია შენიშვნებიც. მაგრამ მი-აჩნდა მთლიანობაში რა ქართულად ოპერების დადგმა კარგ წამოწყებად საერთოდ იწონებდა მას.<sup>2</sup>

1920 წ. 7 ოქტომბერს დაიდგა „სევალიელი დალაქი“, რომელმაც დადებითი შეფასება დაიმსახურა.<sup>3</sup>

ქართულ ენაზე 1921 წ. ასევე დაიდგა რუბინშტეინის „დემონი“, რომელიც სამუსიკო კოლეჯის დავალებით ი. კარგარეთელმა თარგმნა.<sup>4</sup> დადგმა 31 იანვარს ზუბალაშვილის სახლში პ. ფალიაშვილმა განახორციელა მუსიკალური საზოგადოების ხელშეწყობით.<sup>5</sup>

1920 წ. დასადგმელად მზადდებოდა გლუხოვცევის „ღლენი ჩვენი ცხოვრებისა“-ც.<sup>6</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 267

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 168

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 41

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 22

5 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 109

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 16

15. ამირან ნიკოლეიშვილი

ქართულ პრესას შეუფასებელი არც არაქართულენოვანი დადგმები რჩებოდა. ასე მაგალითად, მაღალი შეფასება დაიმსახურა „კარმენმა“ და მასში ვ. სარაჯიშვილის მიერ დონ ხოხესა და დავიდოვას კარმენის როლების შესრულებამ.<sup>1</sup>

სახელმწიფო საოპერო თეატრში საბალეტო სპექტაკლები ყოველწლიურად იდგმებოდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ ორიგინალური ქართული საბალეტო ნაწარმოებები გვაინტერესებს.

1919 წ. 26 თებერვალს სახელმწიფო თეატრში პირველად დაიდგა ქართული ბალეტი. ეს იყო პირველი კომპოზიტორი ქალის თ. ვახვახიშვილის პირველი ნაწარმოები — ბალეტი „ვაკხის დღესასწაული“. ბალეტი კრიტიკამ უარყოფითად შეაფასა, როგორც გურჯაწელი წერდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, ქართული მუსიკისა მას არაფერი ჰქონდა, თუმცა ბალეტში სჩანდა ახალგაზრდა ავტორის ნიჭიერება.<sup>2</sup>

უფრო მეტი ყურადღება დაეთმო საბალეტო ხელოვნებას 1920 წ. აქ ახალი სეზონისათვის დასში 18 მოცეკვავე და 4 სოლისტი ჩარიცხეს. გახსნეს პერინის ბალეტის სკოლაც, სადაც 100 ბავშვა ჩარიცხეს. მათთვის მოსკოვის მარინის თეატრიდან მოიწვიეს ბალეტმეისტერი სერგეევი და პლასტიკის მასწავლებლად მსახიობი ვ. ქლენტი. ახალ სეზონში აქ დასადგმელ რეპერტუარში შეიტანეს თ. ვახვახიშვილის „სიყვარულის საწამლავი“, იპოლიტოვ-ივანოვის „ვეფხისტყაოსანი“. ქავჭავაძის „დედა და შვილი“ და ჩაიკოვსკის „გედის ტბა“.<sup>3</sup>

26 მაისს თეატრში მართლაც განხორციელდა ქართული ბალეტი „სიყვარულის საწამლავი“ სამ მოქმედებად, რომელიც ს. ვაკარეციმ და ა. წუწუნავამ დადგეს. დადგმაში „შევარდენიც“ მონაწილეობდა.<sup>4</sup>

თეატრში 1921 წ. განხორციელდა შორდკინის ბალეტის პრემიერაც.<sup>5</sup>

ეწყობოდა სხვა საბალეტო გამოსვლებიც. მაგალითად, პერინის საბალეტო სკოლის მოსწავლეებისა, შორდკინის საბალეტო საღამოე-

1 ვახ. „საქართველო“, 1920 წ., № 150

2 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 53

3 ვახ. „საქართველო“, 1920 წ., № 104

4 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 113

5 ვახ. „ერთობა“, 1921 წ., № 4

ბი, ბალეტის მასწავლებელ როინიშვილის კონცერტი და ა. შ. 3 ნომერს კი ბალეტის საღამო უნივერსიტეტშიც გაიმართა.

1920 წ. საბალეტო კურსები ქართულ კონსერვატორიასთანაც გაიხსნა.<sup>1</sup>

მიღებული იქნა ზომები, რათა არ დაეშვათ საბალეტო მასწავლებლების თვითნებური გახსნაც, რაც სულაც არ შეუწყობდა ხელს ხელოვნების ამ დარგის სწორი გზით წარმართვას. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ბალეტის სკოლის გახსნის მსურველებს ნებართვისათვის საოპერო თეატრის კომისიისათვის მიემართათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლის გამხსნელები დაისჯებოდნენ.<sup>2</sup>

შედარებით მოკრძალებით გამოიყურება 1918—21 წლებში საოპერეტო ხელოვნება. 1918 წ. 22 ივნისს ქართულ ენაზე ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნა გაჯიბეკოვის „არშინ მალალან“, რომელიც ე. გოგოლაშვილმა თარგმნა.<sup>3</sup> მალე ეს დადგმა არტისტულ თეატრშიც აჩვენეს.<sup>4</sup>

ივნისშივე იქნა ქართულ ენაზე იმავე კლუბში წარმოდგენილი გაჯიბეკოვის მეორე ოპერეტაც „ეს არ იყოს, ის იყოს, ანუ მაშტიიზადა“, ხოლო მოგვიანებით „აშული ყარიბიცი“ დაიდგა.<sup>5</sup>

1919 წ. ქართულ სცენაზე ოპერეტის დადგმა არ განხორციელებულა და მყუერებელს მხოლოდ 1918 წ. დადგმულ „არშინმალალანს“ უჩვენებდნენ. უნდა ითქვას, რომ მყუერებელთა დამოკიდებულება ამ ოპერეტისადმი არაერთგვაროვანი იყო. ხალხის ერთი და საკმაოდ დიდი ნაწილიც, მას სიამოვნებით ნახულობდა, ხოლო მეორე ნაწილი არა თუ ნახულობდა, არამედ საგასტროლოდ ჩასულ მსახიობებს რისხვით უკან მიერეკებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, „არშინმალალანს“ მრავალი, არაპროფესიონალებისაგან შემდგარი ე. წ. „დასი“ აჩვენებდა. 1919 წ. 15 ივლისს ერთ-ერთი ასეთი. ვინმე ჯავახიშვილის „დასი“ ზესტაფონში ჩასულა. როგორც გაზეთი „საქართველო“ წერილით „პროტესტი „არშინ მალალანის“ წინააღმდეგ ზესტაფონში“, იუწყებოდა, იქ ასეთი დასები მრავლად ჩადიოდნენ (აბაშიძის, ჩაგუნავას, სარიშვილის და სხვათა) და ხალხს

1 უკრა. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 8

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 204

3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 122

4 იქვე, № 101

5 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 116

„გახრწნილი ხელოვნების სიმბოლოს“ უჩვენებდნენ. ამჯერად მათ არ მიუღიათ დასი და პროტესტის ნიშნად გაუჩივეს ისინი. ასე მომხდარა ქუთაისშიც. წერილის ავტორი მთელს საქართველოს მოუწოდებდა ზესტაფონლებისათვის მიებაძათ.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ექვს არ იწვევს ის, რომ ასეთი „დასებისაგან“ დადგმული ოპერეტა შორს იქნებოდა მაღალი პროფესიული დონისაგან. მაგრამ გაუგებარია რაში ხედავდა წერილის ავტორი ა. ცქიტიშვილი ოპერეტის გამხრწნელ როლს.

აღნიშნულ პრობლემას ი. მოშიაშვილი „ჩვენს ქვეყანაში“ სხვა კუთხით შეეხო. კერძოდ, სტატიაში „ქართული საზოგადოება და „არშინ მაღალან“, იგი თვლიდა, რომ ქართული თეატრი დაიპყრო შაბლონურმა ოპერეტებმა, რომელთაც მაცურებელიც ბევრი ჰყავდა, ხოლო კლასიკას კი არა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა „არშინ მაღალანს“ და „აშული ყარობს“ და მიაჩნდა, რომ თეატრის სცენაზე ასეთი მდარე ოპერეტების გაბატონება თავად თეატრის მიზეზი იყო. მისი აზრით თეატრი უნდა დაახლოებოდა მასებს და სწორედ ამ გზით აემღლებინა მათი გემოვნება. უნდა შექმნილიყო ახალი ქართული თეატრი და ზემოთაღებულიყო სწორი სარეპერტუარო პოლიტიკა, რაც მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლით უნდა მომხდარიყო.<sup>2</sup> წერილის მეორე ნაწილში „არშინ მაღალან“, „აშული ყარობი“ და „ქართველი ისრაელები“, საუბარია იმ მიზეზებზე. თუ რატომ ეტანებოდნენ ებრაელები განსაკუთრებით ამ ოპერეტებს, მიუხედავად ხახამთა რისხვისა. ავტორის აზრით ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ოპერეტების შინაარსი ფაქტურად ასახავდა დაბეჩავებული ებრაელი ქალების ცხოვრებას, სწორედ ამიტომ შეიყვარეს ისინი ებრაელებმა. ავტორის აზრით, ეს იძლეოდა იმის საფუძველს, რომ შემდეგში მათ სერიოზული სპექტაკლებიც შეუყვარდებოდათ. ამიტომ, მოცემულ ეტაპზე ი. მოშიაშვილი ამ ოპერეტებს საჭაროდ თვლიდა.<sup>3</sup>

ქართული საოპერეტო ხელოვნების ისტორიაში საყურადღებო იყო 1920 წ., როცა პირველად შეიქმნა ორიგინალური ქართული ოპერეტები.

1 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 152

2 ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 93

3 იქვე, № 100

ა. კლიმაიშვილმა დაწერა „გულნარა“<sup>1</sup> და ვ. გიგოშვილმა „ქორწილი“<sup>2</sup> თუმცა არც ერთი მათგანი სცენაზე არ განხორციელებულა. „ქორწილის“ ლიბრეტო ი. იმედაშვილს ეკუთვნოდა.

ახალგაზრდა მომღერალთა აღზრდა-დაოსტატების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა საოპერო სტუდიამ, რომელიც 1919 წ. სექტემბერში სტოლერმანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. სხვათაშორის 10-იანი წლების ცნობილ ებრაელ დირიჟორ სტოლერმანს, 1920 წ. ძალზე მძიმე ტრაგედია შეემთხვა. სტოლერმანი გულწრფელად იყო შეყვარებული ქართულ მუსიკაზე და ბევრი სასარგებლო რამაც გააკეთა მის სამსახურში მდგომმა. მისგან განსხვავებით, ქართული მუსიკა სძულდა მის ცოლს, რომელმაც 1919 წ. შემოდგომაზე აუკრძალა ქმარს „აბესალომ და ეთერის“, მისი გამოთქმით „ვირის ოპერის“, დირიჟორობა, თანაც დაემუქრა მისი პარტიტურის დახვევით, თუ იგი არ შესწყვეტდა ოპერაზე მუშაობას. 1920 წ.: 15 იანვარს ცოლმა მუქარა შეასრულა და პარტიტურა დახია, რის გამოც აგი ქმარმა მოჰკლა. სტოლერმანი ზ. ფალიაშვილისა და ა. წუწუნავას თავდებობით ჯერ ციხიდან გაანთავისუფლეს, ხოლო შემდეგ იგი სენატმა საერთოდაც გაამართლა.<sup>3</sup> სტუდიის დაარსებას ხელი ქართველ მომღერალთა კავშირმა შეუწყო, რომელმაც 1919 წ. ზაფხულში სამუსიკო საზოგადოებას მიმართა თხოვნით სტუდიის ჩამოყალიბებაში დახმარების თაობაზე. თავის მხრივ, სამუსიკო საზოგადოების თხოვნით, სტუდიის შესაქმნელად ფული კოოპკავშირმა გამოჰყო. სტუდიაში მასწავლებლად ენა ფალიაშვილი და ლ. გოლდმანი მიიწვიეს, რეჟისორად კი ა. ახმეტელი. სტუდიის წევრებად ჩაირიცხნენ დ. აკოფაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. გაბაშიძე, თ. ოქროპირიძე, ლ. სვიმონიშვილი, ნ. ფაღვლენიშვილი, გ. ვენაძე, ლ. იმერლიშვილი, მ. ღვინიაშვილი, მ. ღლონტი, მ. კვალიაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ლ. მაჭავარიანი, ნ. ცაგარელი, ა. ჭუმბურიძე და ო. წერეთელი.<sup>4</sup> 1920 წ. საოპერო სეზონისათვის სახელმწიფო თეატრში მცირე დასიც შეიქმნა, რომელიც სტუდიისა და კონსერვატორიის ახალგაზრდა ძალებისაგან შესდგებოდა.

12 მარტს სამუსიკო საზოგადოების კრებამ განიხილა კაპელისა

1 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 14

2 იქვე. № 3

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 13, 53; „საქართველო“, № 49, 50, „სახალხო საქმე“, № 848

4 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 6

და სტუდიის ექვსი თვის მუშაობის შედეგები და მაღალი შეფასება მისცა მას.<sup>1</sup> 30 მარტს კი სამუსიკო კოლეჯის სხდომამ განიხილა საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა სტუდიისა და კაპელას რეორგანიზაცია.<sup>2</sup>

სამუსიკო საზოგადოებისა და სამუსიკო კოლეჯის ერთობლივმა სხდომამ რეორგანიზაციის საკითხი 17 აპრილს განიხილა. დაადგინეს, რომ კაპელა სამუსიკო საზოგადოების მუდმივი ორგანიზაცია იქნებოდა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სახალხო სიმღერების, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულება. მას მონაწილეობა უნდა მიეღო საოპერო სტუდიის გამოსვლებშიც. კაპელას შტატში 24 მომღერალი ჰყავდა, თუმცა უფლება ჰქონდა, საჭიროების შემთხვევაში დამატებით კიდევ მოეწვია 12 მომღერალი. განისაზღვრა საოპერო სტუდიის სტრუქტურა და მიზნებიც. ისევე როგორც კაპელა, სტუდიაც მუდმივ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომლის მიზანი ქართველი მომღერლების ვოკალური და სცენიური აღზრდა უნდა ყოფილიყო ქართული საოპერო დასისათვის. სტუდიაში მიიღებოდნენ სიმღერის კლასდამთავრებულნი. იგი 2 კურსად იყოფოდა; პირველი იყო საერთო—ვოკალური განვითარებისა და სცენიური გაწვრთნისათვის, მეორე კი სპეციალური, სადაც მოხდებოდა საოპერო და საკონცერტო რეპერტუარის შესწავლა და სცენიური დამუშავება. I კურსის სტუდენტებს საჯარო გამოსვლები ეკრძალებოდათ. II კურსელებს კი პირიქით, ევალებოდათ გამოსულიყვნენ როგორც კაპელას სოლისტები, გაემართათ კონცერტები და დაედგათ ოპერები კაპელასთან ერთად, ყოველივე ამისათვის მათ 1 სექტემბრამდე ხელფასი ენიშნებოდათ.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ სტუდიამ რამდენიმე საინტერესო დადგმა განახორციელა. ჩვენ უკვე ვწერდით მათ მიერ „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „აბესალომ და ეთერის“, „ქრისტინეს“ და დემონის“ დადგმების შესახებ. გამართეს რამდენიმე ეროვნული კონცერტიც. სტუდიელები ასევე ამზადებდნენ ა. ყარაშვილის ოპერის „ვეფხისტყაოსნის“ III ნაწილსაც.<sup>4</sup>

საოპერო ხელოვნებას კონსერვატორიის სტუდენტებსაც ასწავ-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 54

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 71

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 88

4 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 10

ლიდნენ, რომლებმაც 28 ივნისს საოპერო თეატრში პირველად წარმოადგინეს ნაწყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან ჩერეპნინის ღირსიერობით.

საგრძობლად გამოცოცხლდა საკონცერტო ცხოვრებაც, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ქვეყანაში 1918 წ. მაის—1921 წ. თებერვალში გამართული მრავალფეროვანი კონცერტების ზოგადი მიმოხილვაც კი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო.

1 ივნისს ქართულ კლუბში დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით გამართა მისივე კონცერტი, სადაც შესრულდა ეროვნული სიმღერები, რომანსები, სიმფონია და რაფსოდია (ეს იყო პირველი ქართული რაფსოდია).<sup>1</sup>

2 ივნისს სახელმწიფო თეატრში კ. ფოცხვერაშვილისა და ნ. ქართველის ხელმძღვანელობით პირველად მოეწყო ქართული რევოლუციური და ეროვნული ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი — აკადემია, სადაც შესრულდა ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა და ქართული მარშები.<sup>2</sup> კონცერტის თაობაზე პრესაში სრულიად საპირისპირო ხასიათის რეცენზიები დაიბეჭდა. გაზეთ „საქართველოში“ ი. აბაშიძე მას უარყოფით შეფასებას აძლევდა და განსაკუთრებით აკრიტიკებდა კ. ფოცხვერაშვილსა და ნ. ქართველს. იგი იწუნებდა კონცერტის ფორმას, შინაარსს, თვით მონაწილეთა ჩაცმულობასაც კი და მიუღებლად თვლიდა მის სახელწოდება — აკადემიას.<sup>3</sup> სამაგიეროდ დადებითი რეცენზია დაბეჭდა „ერთობამ“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ უარყოფითი რეცენზიის გამოქვეყნებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ტენდენციურობითა და კ. ფოცხვერაშვილზე გაზეთის უარყოფითი დამოკიდებულებით ხსნიდა.<sup>4</sup>

8 ივნისს სახალხო სახლში მეორედ მოეწყო კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნების ლექცია-კონცერტი.<sup>5</sup> ასევე გაიმართა ამ დღეს კოპელნიცკის კონცერტიც, სადაც ჩაიკოვსკის, რუბინშტიინის, შოპენის და სხვათა ნაწარმოებები შესრულდა.<sup>6</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 105

2 იქვე

3 იქვე. № 109

4 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 116

5 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 112

6 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 116

9 ივნისს ქართულ კლუბში ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით გაიმართა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდების ეროვნული კონცერტი, სადაც ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა სამ განყოფილებად. კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერლები ი. ჭუმბურიძე, ო. კალანდაძე, ვ. ლორთქიფანიძე და სხვები.

პირველ განყოფილებაში შესრულდა კ. ფოცხვერაშვილის „ლაშქრული“, ზ. ფალიაშვილის „ალიფაშა“, დ. არაყიშვილის „ნეფის ქება“, მ. ბალანჩივაძის „სამშობლო-ხევსურისა“ და ნ. სულხანიშვილის „მესტიერული“. მეორე განყოფილებაში — ე. ჯაბადარის რომანსები „სული ობოლი“, „სატრფოვ“, დ. არაყიშვილის რომანსი „მიგელი“, ზ. ფალიაშვილის „ნანა“, ა. ყარაშვილის „მრავალყამიერი“, „მურია“ და ნ. სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა“. მესამე განყოფილებაში — ნ. სულხანიშვილის „გუთნური“, დ. არაყიშვილის და მ. ბალანჩივაძის რომანსები და ნ. სულხანიშვილის „მამ გაუმარჯოს“. კონცერტს ხელმძღვანელობდა ი. აბაშიძემ გაუწია.<sup>1</sup>

გაზეთმა „საქართველომ“ კონცერტს მიუძღვნა დ. კასრაძის რეცენზია, რომელშიც დადებითად იყო შეფასებული მისი შინაარსი, სამაგიეროდ დაწუნებული იყო შესრულების დონე. დ. კასრაძის აზრით, კონცერტი ფაქტიურად ქართველ მუსიკოსთა მიერ გაწეული საქმიანობის პირველ გამოფენას წარმოადგენდა. იგი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა ე. ჯაბადარის ნაწარმოებებსა და ბარიტონ ვ. ლორთქიფანიძის საშემსრულებლო ხელოვნებას, ხოლო მკაცრად იყო გაკრიტიკებული ნ. სულხანიშვილი და გუნდი, რომელიც მისი აზრით, ფაქტიურად კონცერტზე მოუშზადებელი გამოსულა.<sup>2</sup> 10 ივნისს კონცერტი განმეორებული იქნა.<sup>3</sup>

საინტერესო წერილი „ქართული ეროვნული გუნდი“ დაბეჭდა „საქართველოში“ ი. აბაშიძემ. მასში ავტორი განიხილავდა თუ როგორ შეასრულა 10 ივნისს პირველი ქართული კონცერტი გუნდმა, მსჯელობს ამ გუნდის თაობაზე, მის მიზანზე და აკეთებს მართებულ დასკვნას, რომ კონცერტმა დაანახვა ყველას, თუ რისთვის შეიქმნა გუნდი და არის თუ არა იგი საჭირო. როგორც ი. აბაშიძე წერდა, მუსიკალურობის მხრივ ქართველებს ნამდვილად ბევრი რამ ჰქონდათ თავმოსაწონები. „მეტად ფართო ასპარეზი გვიდევს წინ, როგორც სასულიერო, ისე საეკლესიო სიმღერა-გალობლისა. ვით მარგალიტი,

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 117, გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 112:

2 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 114

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 112



გაფანტულია აქა-იქ, ზეპირ გადმოცემით გვაქვს შენახული სხვადა-სხვა ჰიმნები. იხოცებიან საუკეთესო სიმღერა-გალობის მცოდნე პირნი. დღითი დღე იმარხება ჩვენი ეროვნული მუსიკა და იხრწნება იგი. ჩვენი მოვალეობაა მოვაგროვოთ, შევამუშავოთ, დავწეროთ და განვაავითაროთ იგი არა სიტყვათ, არამედ საქმით. ჩვენ უნდა ვეცადოთ პარტიის გარეშე ვიყოთ. ხელოვნება არის წმინდა ტაძარი, სადაც ყველა, განურჩევლად რწმენისა, ან მიმართულებისა, თავს იყრის და ემსახურება უმაღლეს ხელოვნების მიზანს“. ავტორი საჭიროდ თვლიდა ქართულ ენაზე თარგმნილიყო ოპერები, შეესწავლათ ეროვნული მუსიკა სხვა მოწინავე ერების მსგავსად და ქართველ კომპოზიტორებს თავიანთი წვლილი შეეტანათ ეროვნული მუსიკის აღორძინებაში. „არ უარყოფთ ევროპულ მუსიკას — კარგია ბახი, მოცარტი, შექსპირი, შილერი, დანტე... ესენი სარკეა, გვზრდიან, მაგრამ რუსთველი ჩვენი სიამაყეა, ღვიძლი მამა, ჩვენიც უნდა გექონდეს. უნდა ვიფიქროთ და ვიცხოვროთ, როგორც ქართველებმა, ჩვენი თვისება არ უნდა დავკარგოთ. დაე ჩვენმა კომპოზიტორებმა ისწავლონ ევროპული მუსიკა, მაგრამ იგი გამომხატველი იყოს ჩვენი ერის სულისა“.

ი. აბაშიძის აზრით, ქართულ ეროვნულ გუნდს ბევრი ნაკლი ჰქონდა: იყო მცირერიცხოვანი, ხმა — შეუთმუშავებელი, აკლდა მუსიკალური განათლება, მომზადება და შეზავება. ავტორი ამ ნაკლის მიუხედავად, ყურადღებას ამახვილებდა მის წინააღმდეგ. ქალ-ვაჟთა გუნდის შექმნა ეს იყო სამხედრო კავშირის პირველი დიდი ნაბიჯი. გუნდს უნდა შეეგროვებინა ქართული მუსიკის ნიმუშები, რათა იგი თავისი შესრულებით ხალხისთვის გაეცნო. ავტორი დროებით გუნდთან შედარებით, უპირატესობას მუდმივ გუნდს აძლევდა, რომელსაც სისტემატურად უნდა ემუშავა. ახლად შექმნილი გუნდი ყოველდღიურად ვარჯიშობდა. სწავლობდა თეორიას, სოლფეჯიოს და სიმღერებს. გუნდის წევრებს დანიშნული ჰქონდათ ხელფასი. გუნდის გამოსვლამ ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ მის კონცერტზე ყველა მსურველი ვერც კი მოხვდა.<sup>1</sup>

14 ივნისს მესამედ გაიმართა დ. არაყიშვილის კონცერტი, რომელმაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. აბაშიძის რეცენზია „არაყიშვილის კონცერტი“. რომელშიც ძალზე მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული კომპოზიტორის

შემოქმედებას. იგი ავტორის აზრით სავსებით სამართლიანად იყო მიჩნეული ქართული მუსიკალური ხელოვნების სიამაყედ. „მოსკოვში, წერს ი. აბაშიძე, მას გარს შემორტყმოდნენ რუსი მუსიკოსები და ყორნებივით სწეწავდნენ არაყიშვილს ამ თავხედობაზედ, თუ იგი ქართულ მუსიკის კანონებს ატარებდა თავის ნაწერებში ან ლექციებში. შეზღუდული იყო, ყველა მას გაუბრბოდა — არავინ არ თანაუგრძობდა და ასე გარიყულად მუშაობდა. ებრძოდა მედგრად, შეურიგებლად ჩვენი დიმიტრი. რამდენი გაჭირვება, რამდენი ცრემლი, რა სისხლით არის შეღებილი არაყიშვილის კალამი“.

ი. აბაშიძის აზრით კონცერტის პირველი განყოფილება, სადაც ვოკალური სიმღერები და რომანსები შესრულდა, საკმაოდ უფერული და ერთგვარი გამოდგა და მასში მოუშორებელი სევდა და ცრემლი სჭარბობდა, რომელიც მოსაწყენი გახდა მსმენელთათვის. სამაგიეროდ დ. არაყიშვილის ნიჭი კარგად გამოჩნდა კონცერტზე წარმოდგენილ მის სიმფონიურ ნაწარმოებებში. ი. აბაშიძე განსაკუთრებით განაპყოფდა „ორმუზდის ჰიმნს“ და ნაწყვეტს „თქმულება შოთა რუსთაველიდან“, რომელიც ბრწყინვალედ შეუსრულებია ვ. სარაჯიშვილს. ი. აბაშიძის აზრით „ეს იყო სამაგალითო ნიმუში ჩვენი მომღერლებისა. ინაშვილს აკლდა შინაარსი, გაბაშიძის ქალს ქონდა შეხუთული ხმა, ინსტრუმენტები მოშლილია“.<sup>1</sup>

„საქართველოში“ დ. არაყიშვილის კონცერტზე დ. კ.-ს დადებითი რეცენზიაც დაიბეჭდა, რომელშიც განსაკუთრებით მაღალი შეფასება „საარშიყოს“, „ელეგიას“, „თუშის ცეკვას“, „რაფსოდის“ და „ორმუზდის ჰიმნს“ ჰქონდა მიცემული, ბოლო ორი შედეგრადაც კი იყო მიჩნეული.<sup>2</sup>

23 ივნისს სახელმწიფო თეატრში კ. ფოცხვერაშვილისა და პროფესორ კ. მინიასის ხელმძღვანელობით ქართულ-ევროპული სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართა. კონცერტზე ა. წუწუნავას დადგმით წარმოდგენილი იქნა საქართველოს გერბი და ჰიმნი. გერბი განთავისუფლებული ამირანის სახით იყო გააზრებული.<sup>3</sup> ასევე შესრულდა კონცერტზე კ. ფოცხვერაშვილის რომანსები, მ. ბალანჩივაძის, ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის მუსიკა (სხვათაშორის კონცერტის შემოსავალი მთლიანად ლტოლვილებს გადაეცათ).<sup>4</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 119

2 იქვე, № 108

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 117

4 იქვე, № 128

26 ივნისს მუშტაიდის კლუბში, სდმპ დასახმარებლად, კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ქართულ საგალობელთა კონცერტი ლიტერატურული განყოფილებით,<sup>1</sup> ხოლო 27 ივნისს მ. კავსაძის გუნდის კონცერტები დაიწყო.<sup>2</sup>

26 ივნისს გამართული კონცერტი კვლავ განმეორდა 1 ივლისსაც და ამჯერად შემოსული თანხა თბილისის II რაიონის სდმპ გადაეცა.<sup>3</sup>

2 ივლისს მ. კავსაძის გუნდის კონცერტი თავისუფალ თეატრში — სახელოსნო კლუბშიც გაიმართა.<sup>4</sup>

9 ივლისს სახელმწიფო თეატრში ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით გამართულ ეროვნულ კონცერტს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ (კონცერტი მანამდეც უნდა შემდგარიყო, მაგრამ იგი კირიონ II სიკვდილის გამო გადაიდო). კონცერტზე ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილის, ო. კალანდაძის და სხვათა მიერ შესრულებული იქნა ზ. ფალიაშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, ე. ჯაბადარის და ა. ყარაშვილის ნაწარმოებები. კონცერტს ი. აბაშიძე განაგებდა.<sup>5</sup>

კონცერტს გაზეთმა „საქართველომ“ ლადებითი რეცენზია მიუძღვნა. გაზეთის აზრით, კარგად შედგენილ პროგრამაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნ. სულხანიშვილი, ასევე დ. არაყიშვილის „მგოსანი“, მ. ბალანჩივაძის „სამშობლო ხეცსურისა“, მისივე რომანსები, ე. ჯაბადარისა და ა. ყარაშვილის ნაწარმოებები. შენიშვნები იყო გამოთქმული კ. ფოცხვერაშვილის „ლაშქრულისა“ და ზ. ფალიაშვილის „ალი ფაშას“ მიმართ. ეს უკანასკნელი, რეცენზენტის აზრით „ვერაა ტიპიურად გადმოდებული ხალხური კილოდან“, რაც შეეხება საშემსრულებლო ხელოვნებას, აქ მალალი შეფასება ჰქონდა მიცემული ვ. სარაჯიშვალს, ხოლო ო. კალანდაძეს „აკლდა ტემპერამენტი და ხმის გამომეტყველება“. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს კონცერტი მოსწონებია, რეცენზენტის აზრით, გუნდი მთლიანობაში მაინც სუსტად გამოსულა.<sup>5</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 130

2 იქვე

3 იქვე, № 134

4 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 147

5 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 132, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 141

6 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 137

10 და 28 ივლისს, ამჯერად დემოკრატიულ კლუბში, ისევ გამართა კონცერტები მ. კავსაძის გუნდმა.<sup>1</sup>

4 აგვისტოს სეირნობა-კონცერტი მეხუთე ქართული პოლკის მსახურთა შვილების დასახმარებლად წმინდა ნინოს სასწავლებლის ბაღშიც გაიმართა. კონცერტში სახელმწიფო თეატრის მომღერლები მონაწილეობდნენ.<sup>2</sup>

22 სექტემბერს კი ქართულ კლუბში გაიმართა ნ. სულხანიშვილის ეროვნული კონცერტი სამ განყოფილებად, სადაც მისი ჰიმნები და სიმფონიური ნაწარმოებები იქნა შესრულებული.<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ნ. სულხანიშვილი საერთოდ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მთელს საქართველოში. როცა 1918 წ. კირიონ II გარდაიცვალა, მის დაკრძალვასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. აბაშიძის ვრცელი წერილი, რომელშიც ჯერ საუბარი იყო კირიონ II როლზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ხოლო შემდეგ დეტალურად იყო გაანალიზებული ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ნ. სულხანიშვილის საგალობლები. „დღემდე, — წერდა ი. აბაშიძე, ჩვენი მუსიკა იყო ღარიბი. განსაკუთრებით კი ბანი, ნ. სულხანიშვილმა კი გალობას („სულთათანა“) დაბერა ახალი სიო, გააცოცხლა ჰარმონია. ბანს მისცა სიცოცხლის ენერჯია, ფორმა და ტენზიკა ევროპისა ქართული კოლორიტით. მან დაგვანახა, რომ ევროპულ დახელოვნებულ ფორმაში იგი ქართველია და თავის გრძნობას, სულისკვეთებას ქართველურად გამოჰხატავს. დიახ, იგი თამამად ჩაითვლება პიონერად ახალ მუსიკალურ ფორმის განვითარებაში. ეს არის სასიხარულო რეფორმა და აღორძინების პირველი ეროვნული ნაბიჯი“. საუბრობდა რა ი. აბაშიძე შემდეგ საექლესიო გალობის როლზე, რომელიც მას მუსიკის ბურჯად მიაჩნდა, წერდა: „ახლა ჩვენი გალობა გაყინულია ერთ ადგილზე. მოგვაკლდა მგალობლები. ზეპირად მოცემით მუსიკა დროთა განმავლობაში მახინჯდება. ის გუნდები, რომლებიც მოვისმინეთ, მოყვარულებია, მოკლებულია შინაარსს, შესრულების დონეს, სიფაქიზეს, არ გვყავს სისტემატიურად მომუშავე გუნდი. არაა შტატი მასწავლებელ-მგალობელისა. ამ მხრივ კარგი იყო სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი. იგი ყველას ჯობდა. აქვს ნაკლიც, მარა ეს პირველი ნაბიჯია

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 133, 150

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 10

3 იქვე, № 94

მუსიკის აღორძინებაში. გუნდი აუცილებელია, რომ მუსიკალური ლიტერატურა გაგვაცნოს. დღეს ახალი გუნდი დაიბადა.“<sup>1</sup>

ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა 26 ოქტომბერს გამართული ქართული სამუსიკო სკოლის კვარტეტის 1 კონცერტი, რომელზეც ქართულთან ერთად გერმანული და რუსული მუსიკაც შესრულდა.<sup>2</sup>

ასეთივე ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა 27 ოქტომბერს გამართულ სახალხო კონსერვატორიის 1 კონცერტს<sup>3</sup> და ამ დღეს სახელმწიფო თეატრში კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებების მიხედვით მოწყობილ კონცერტს, რომელიც ქართულმა სამუსიკო სკოლამ გამართა და მასში გერმანული კამერული ორკესტრიც მონაწილეობდა.<sup>4</sup>

1 ნოემბერს სამუსიკო საზოგადოების კვარტეტმა (ფიშბერგი, ბელსკი, მედა-მედი, ბენდიცი) გერმანული მუსიკის კონცერტი გამართა, რომელმაც მსმენელთა მოწონება დაიმსახურა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რეცენზიის ავტორი გურჯანელი იყო.<sup>5</sup> 17 ნოემბერს კი მოსწავლეებისათვის, კვლავ გერმანული მუსიკის პირველი კამერული უფასო კონცერტი გაიმართა ლექციით.<sup>6</sup>

23 ნოემბერს სამუსიკო საზოგადოებამ ქართული სამუსიკო სკოლის კვარტეტის ძალებით რუს მუსიკოსებთან ურთად ისევ ჩაატარა კამერული კონცერტი.<sup>7</sup>

30 ნოემბერს დემოკრატიულ კლუბში ა. მაისურაძის გუნდის კონცერტი შესდგა. სადაც განსაკუთრებული მოწონება წილად ხვდა სიმღერებს — „სატრფოვ ხშირად“, „მერანი“, „პოპური“, „ჭონა“, „აი სამარი“, „მინდა გიყვარდე“ და „ურმულს“. „ერთობაში“ დაბეჭდილ რეცენზიებში საგანგებოდ იყო გამოყოფილი ი. ჯანდიერის მიერ შესრულებული „ურმული“, თუმცა იქვე გუნდის სუსტ მომზადებაზეც იყო მინიშნებული.<sup>8</sup>

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 133

2 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 70

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 221

4 იქვე

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 75

6 იქვე. № 93

7 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 249

8 იქვე № 249

ორი უფასო კონცერტი გამართა 1 დეკემბერს. ერთი სამუსიკო საზოგადოებისა და მეორე სამუსიკო სკოლის კვარტეტისა.<sup>1</sup>

14 დეკემბერს სახელმწიფო თეატრში მ. კავსადის ლოტბარობით კონცერტი ლექციით გამართა ქართულმა ეროვნულმა გუნდმა.<sup>2</sup>

28 დეკემბერს კონსერვატორიაში სამუსიკო სკოლის კვარტეტის შესრულებით მესამედ გამართა კამერული მუსიკის კონცერტი. ამჯერად მსმენელებს სკანდინავიის ქვეყნების ხალხთა მუსიკა შესთავაზეს.<sup>3</sup>

30 დეკემბერს სამუსიკო საზოგადოებამ სახელმწიფო თეატრში ამავე თეატრის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ეროვნული კონცერტი ჩაატარა, სადაც დ. არაყიშვილის ნაწარმოებები ვ. სარაჯიშვილმა, ო. შულგინამ და სხვებმა შეასრულეს. კონცერტს თვით დ. არაყიშვილი ლოტბარობდა. კონცერტზე შემოსული თანხა სომხეთთან ომში მონაწილეობის დასახმარებლად გადაეცა.<sup>4</sup> საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიზნობრივი დანიშნულების საქველმოქმედო კონცერტებთან ერთად, ხშირად უფასო კონცერტებიც ტარდებოდა. მაგალითად, მარტო 1918 წ. შვიდ თვეში სამუსიკო სკოლის კვარტეტმა ქართული, გერმანული, რუსული, ფრანგული და სკანდინავიური ქვეყნების ხალხთა მუსიკის ექვსი უფასო კონცერტი ჩაატარა.<sup>5</sup> არც თუ იშვიათად ტარდებოდა ცეკვის საღამოებიც.

1919 წ. სამუსიკო საზოგადოებამ ტრადიციად აქცია მის მიერ დაარსებული კვარტეტის კამერული კონცერტები. ქართული სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტები, უფასო მუსიკალური დილები მოსწავლეებისათვის და ა. შ. ძირითადად ისინი ზუბალაშვილის სახალხო სახლსა და კონსერვატორიაში, ზოგჯერ კი საოპერო თეატრშიც იმართებოდა. მაგალითად ასეთი კონცერტები მოეწყო 26 იანვარს, 2, 16, 22 და 30 მარტს, 18 მაისს და ა. შ. 22 მარტს იგი, მაგალითად, ბეთჰოვენის იუბილეს მიეძღვნა და მასში ვ. სარაჯიშვილიც მონაწილეობდა. აქ კვარტეტმა შეასრულა ბეთჰოვენის, მენდელსონის, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილისა და სხვათა ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ კონცერტების ნაწილი უფასოდ ტარდებოდა.

1 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 249

2 იქვე

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 124

4 იქვე, № 122

5 იქვე, № 87

12 აპრილს საზოგადოებამ მხატვრული საღამო-კონცერტი გაზეთ „საქართველოს“ რედაქციასთან ერთად გამართა, რომელშიც კვარტეტი, ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი და ქართული ბალეტი მონაწილეობდა ი. ბეგთაბეგიშვილის ხელმძღვანელობით.

უნდა ითქვას ერთიც — იმ წლების საკონცერტო საქმიანობაში განსაკუთრებული აქტიურობით იყვნენ ჩართულნი ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი და სხვები. ისინი ისეთ საღამოებშიც კი მონაწილეობდნენ, რომლებიც ერთი შეხედვით ძალზე ვიწრო ხასიათს ატარებდა. მაგალითად, 24 მაისს ვ. სარაჯიშვილი ს. ინაშვილი და ვ. აბაშიძე ვაჟთა I გიმნაზიის გამოსაშვებ საღამოში მონაწილეობდნენ.

1919 წ. საქართველოში, ძირითადად თბილისში, ბევრი სერიოზული კონცერტი გაიმართა. მაგალითად, ოპერის თეატრში წარმოდგინეს კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ამირანი“, იქვე — დიდი ევროპულ-ქართული სიმფონიური კონცერტი, სადაც შესრულდა ბეთოვენის, ბერლიოზის, ვაგნერის, ვერდის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა ნაწარმოებები,<sup>1</sup> გაიმართა ქართული რომანსებისა და კომიკური კვარტეტის საღამო, იტალიელი პროფესორის, ენრიკო ბროჯის კონცერტი გ. ტაბიძის მონაწილეობით,<sup>2</sup> ნ. ლევიენის კონცერტი, ესპანური მუსიკის საღამო, ქართული სიმღერის საღამო, სიმფონიური კონცერტი ოპერაში კ. ფოცხვერაშვილისა და გარტმანის ლობთარობით, დები თარხნიშვილების კონცერტები ი. გრიშაშვილისა და კ. მაყაშვილის მონაწილეობით, პროფკავშირების მიერ მოწყობილი პროლეტარული საღამო-კონცერტები და სხვა.

29 მაისს ოპერაში გაიმართა საქართველოს დამკვრელ-მომღერალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული დამფუძნებელი ყრილობა — კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალთა 500 წევრიანი გუნდი, 300 კაციანი მესაყვირეთა ორკესტრი, გურული სიმღერა — ცეკვის გუნდი, ოპერის გუნდი, ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, შესრულდა ქართული ცეკვები და ა. შ.<sup>3</sup>

8. აენისს ოპერაში წარმოდგენა-კონცერტი კ. ფოცხვერაშვილისა და ვ. მიზანდარის ლობთარობით გაიმართა, რომელშიც ქართველ მსახიობთა დასი და სამხედრო ორკესტრიც მონაწილეობდნენ. შეს-

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 120

2 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 184

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 115

რულებული იქნა კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ამირანი“ და დრამატული დადგმები „დარისპანი“ და „სიმართლე“. საკონცერტო საქმიანობას (ზოგჯერ მას კაბარეს უწოდებდნენ) სხვა ორგანიზაციებიც აწარმოებდნენ. მაგალითად, საარტისტო საზოგადოება, სხვადასხვა კლუბები, თბილისის მომღერალ-მგალობელთა გუნდი, ქართული კლუბის მუსიკის წრე. ა. მაისურაძის სიმღერის გუნდი, 1919 წ. დაარსებული უნივერსიტეტის მომღერალთა გუნდი, სახალხო მომღერალთა საზოგადოება „სალამური“, რომელშიც მ. კავსაძის სიმღერის გუნდი მთლიანად შევიდა.<sup>1</sup> სტამბის მუშათა კავშირის სიმღერის გუნდი, ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის სიმღერის გუნდი, ფოსტა-ტელეგრაფის სიმღერის გუნდი და ა. შ. 9 მარტს ასევე შესდგა ქართველ მომღერალთა სტუდიის, „აიდას“ დებიუტი, რომელსაც კოლოტოვი ხელმძღვანელობდა. სტუდიის მომღერლები იყვნენ იმერელი, დლონტი, თარხნიშვილი, გაბაშიძე, ბუეანიშვილი, ექსაროვი და სხვები.<sup>2</sup> დაარსდა მუსიკის წრეც, რომლის მიზანს ახალგაზრდების ორკესტრსა და სიმფონიური ნაწარმოებების შესრულებაში წვრთნა წარმოადგენდა.<sup>3</sup> სამუსიკო საზოგადოების დავალებით კ. ფოცხვერაშვილმაც შექმნა სიმღერის გუნდი, რომელმაც პირველი გამოსვლა 26 მაისს მოაწყო, ხოლო 29 მაისს ოპერაში მეორე კონცერტის შემდეგ გუნდი სამუსიკო საზოგადოებას გადაეცა. 13 ივნისს თბილისში ქართველ მომღერალთა კავშირიც დაარსდა.

დედაქალაქში მრავლად არსებობდა ან იქმნებოდა ცეკვების შემსწავლელი წრეები და კურსებიც. მაგალითად, მოქმედებდა ალექსიძის საცეკვაო სკოლა. ანდრონიკაშვილის ლეკურის კურსები, რომლებიც ცეკვის წრე და ა. შ. ქალაქში ყოველ სუთშაბათს იმართებოდა საოჯახო და საცეკვაო საღამოები სიმეზიანი ორკესტრის მონაწილეობით და ა. შ., რომლებშიც არა მარტო ოპერის მომღერლები, არამედ დრამის მსახიობები და მწერლებიც მონაწილეობდნენ.

ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურბული. მან დააარსა საკუთარი გაზეთი „ჩემი საქმე“, რომელსაც უფასოდ არიგებდა, თან უკრავდა მუსიკას და კითხულობდა ლექციებს ხალხში. ხელისუფლებამ ი. ქურბულს კახეთის რკინიგ-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 200

2 იქვე, № 51

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 282



ზაზე უფასო წლიური ბილეთი მისცა.<sup>1</sup> ხშირად კონცერტებს უცხო-  
ელებიც ესწრებოდნენ: იქამდე რომ 27 იანვარს ინგლისელი და ფრა-  
ნგი სტუმრები, წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიის სალამოშიც მონა-  
წილეობდნენ.<sup>2</sup>

ხშირად კონცერტები საქველმოქმედო მიზნითაც იმართებოდა.  
ასე მაგალითად, 5 იანვარს იგი მოეწყო დახოცილ ჯარისკაცთა ოჯა-  
ხების, 22 თებერვალს კომერციული სასწავლებლის ღარიბ მოსწავ-  
ლეთა, 7, 8 და 9 მარტს უმუშევართა, 23 მარტს ყარაბაღი-ზანგეზუ-  
რის მოსახლეობის, 7 დეკემბერს უნივერსიტეტის სტუდენტთა, თბი-  
ლისში საგასტროლოდ ჩამოსული იტალიელი მომღერლის ე. ბრო-  
ჯის (რომელიც ავად გახდა) სასარგებლოდ და ა. შ.

1919 წ. თებერვალში სამუსიკო საზოგადოებამ თბილისის ქა-  
ლაქის გამგეობას მიმართა თხოვნით. რათა დახმარებოდნენ მას სი-  
მებიანი სიმფონიური ორკესტრის შექმნაში, რომელიც ხშირად გამა-  
რთავდა კონცერტებს. ქალაქის ხელმძღვანელობამ დახმარებაზე თა-  
ნხმობა განაცხადა.<sup>3</sup>

საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას სხვა ახალი თხოვნითაც მიმა-  
რთა. ამჯერად მას სურდა მიეღო ნებართვა. რათა ქალაქის ბაღში  
ევროპის ქვეყნების მსგავსად, ზაფხულობით შეექმნა სიმფონიური  
ორკესტრი, რომელიც ხალხს სერიოზულ მუსიკას მიაწოდებდა და  
მათ გემოვნებას დაქვეითებისაგან დაიცვდა.<sup>4</sup> ქალაქის გამგეობამ მუ-  
სიკალურ საზოგადოებას აღნიშნული მიზნისათვის ალექსანდრესა  
და მუშტაიდის ბაღები გამოუყო.<sup>5</sup>

სამუსიკო საზოგადოებამ ასევე დააარსა ქალთა სამუსიკო წრეც,  
რომლის თავმჯდომარედ ა. ქავთარაძე აირჩიეს. წრემ რეგულარულ-  
ად დაიწყო კამერული კონცერტების გამართვა, რომელშიც ვ. სარა-  
ჯიშვილაც მონაწილეობდა.<sup>6</sup>

ნაყოფიერი საკონცერტო საქმიანობა 1920 წელსაც გრძელდე-  
ბოდა. სამუსიკო საზოგადოებამ ამ წელს აქცენტი უფრო უფასო  
კონცერტებზე გადაიტანა. როგორც ზ. ჩხიკვაძე წერდა, „სახალხო  
საქმეში“, ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგან საზოგადოება

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 74

2 იქვე. № 22

3 იქვე, № 66

4 იქვე

5 იქვე, № 104

9 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 62

16. ამირან ნიკოლეიშვილი

თვლიდა, რომ მუსიკისათვის თავიდან უნდა შეეჩვიათ ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. მათში უნდა აღეზარდათ მუსიკის სიყვარული. როგორც წესი, ასეთ კონცერტებს ყოველთვის დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა, რაც მუსიკის პროპაგანდის კარგ საშუალებას წარმოადგენდა.<sup>1</sup> საკონცერტო საქმიანობაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მ. კავსადის სიმღერის გუნდი, რომელიც მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, კონცერტების გამართვას პროვინციებშიც ახერხებდა. 1920 წ. მან დახმარება პარლამენტის ხელოვნების კომისიასა და განათლების სამინისტროს სთხოვა, რომელთა საშუალებითაც მთავრობისაგან ორი კვირით მიიღო ვაგონი, გასტროლებზე გასამგზავრებლად. 31 ივლისს გუნდი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა და კონცერტები სამხედრო უწყების კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ხელისუფლებით ჩაატარა სამხედრო ნაწილებში, ქართლის ქალაქებში (გზად). იმერეთში, გურიაში. აჭარასა და სამეგრელოში.<sup>2</sup> ამ წელს გუნდმა კახეთშიც იმოგზაურა. გარდა კონცერტებისა და სამოგზაურო საქმიანობისა, მ. კავსადეს თბილისში სახალხო სიმღერა-გალობის შემსწავლელი კურსებიც ჰქონდა გახნილი. რომელიც კვირაში ორჯერ ატარებდა მეცადინეობებს. პროვინციებში საგასტროლოდ წასვლა მ. კავსადეს 1921 წ. იანვარშიც სურდა და დახმარებისათვის ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს მიმართა (თავმჯდომარე ს. ყორჟოლიანი). კომიტეტმა განიხილა საკითხი და დაადგინა თანხის გამოყოფა, ოღონდ იმ პირობით, თუ გუნდი კონცერტებს არა დაბაქალაქების მცხოვრებლებისათვის, არამედ მებრძოლებისთვის ჩაატარებდა.<sup>3</sup>

ენერგიულად საქმიანობდა ქართული ეროვნული გუნდიც, რომელსაც კ. ფოცხვერაშვილი ლოტბარობდა. იგი თავის კონცერტებს სიონის და სამხედრო ტაძრებში მართავდა. გუნდის უფრო მეტ აქტიურობას ხელს დაფინანსების სიმცირე უშლიდა. სწორედ ამიტომ სთხოვა კ. ფოცხვერაშვილმა მთავრობას თვითური დაფინანსების 15 000-დან 30 000 მანეთამდე გაზრდა. 26 მაისისათვის კ. ფოცხვერაშვილმა 500 კაციანი გუნდის ჩამოყალიბება განიზრახა, რაც შეასრულა კიდევ.<sup>4</sup>

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. № 497

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 158

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 11

4 იქვე, 1920 წ., № 72

ექტურად საქმიანობდა კაპელაც, რომელიც კონცერტებს ქართულ კლუბში ყოველ ხუთშაბათს მართავდა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მის კონცერტებს ხალხი არც თუ ისე მრავლად ესწრებოდა. ამისი ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ისიც იყო, რომ მის შემადგენლობაში ქართველები მხოლოდ ვაჟთა შორის ირიცხებოდნენ. 12 მარტს სამუსიკო საზოგადოებამ თავის კრებაზე კაპელას 6 თვის შედეგები განიხილა და დადებითად შეაფასა, იგი. 17 აპრილს კი სამუსიკო საზოგადოებისა და კოლეგიის ერთობლივმა კრებამ კაპელას კიდევ უფრო გაუფართოვა უფლებები და ასპარეზი. დადგინდა, რომ კაპელა იყო სამუსიკო საზოგადოების მუდმივი ორგანიზაცია, რომლის მიზანს სახალხო სიმღერების, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულება წარმოადგენდა: კაპელაში ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე 21 მომღერალი ირიცხებოდა, თუმცა მის ხელმძღვანელს უფლება ჰქონდა საჭიროების შემთხვევაში კიდევ აეყვანა დროებით 12 მომღერალი. რაც შეეხებოდა ოპერას, იქ კაპელა როგორც საოპერო გუნდი ისე უნდა გამოსულიყო.<sup>1</sup>

თბილისში სიმღერის სხვა გუნდებიც მოქმედებდნენ — ა. მაისურაძის სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, ს. ჩიხლაძის მიერ 1920 წ. შექმნილი უნივერსიტეტის მომღერალთა გუნდი შ. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო თეატრის ახალ მომღერალთა გუნდი, რომლის საბოლოო გამოცდა 30 ივნისს მოეწყო, ფრესტა-ტელეგრაფის გუნდი, ვ. დანოვსკის 40 წევრიანი კაპელას ამხანაგობა და ა. შ.

თბილისში ხშირად იმართებოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებიც, რაც ძირითადად სახელმწიფო თეატრის შენობასა და ქართულ კლუბში, ზოგჯერ კი სხვაგანაც იმართებოდა. არც თუ იშვიათად, ასეთი კონცერტები საგანგებოდ მუშებისათვის იმართებოდა. 1920 წ. დეკემბერში თბილისში სიმფონიური მუსიკის კონცერტები გასტროლებზე ჩამოსულმა ბელოუსოვამ და ბოროვსკიმაც ჩაატარეს.<sup>2</sup> კონცერტები ხშირად ლექციების თანხლებით იმართებოდა. ქართულმა კლუბმა კი ინალჩიკის დირიჟორობით სიმებიანი ორკესტრის კონცერტების გამართვა ყოველდღიურად დაიწყო.

კონცერტებს ცალკეული კომპოზიტორები თუ შემსრულებლებ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 87

2 იქვე, № 298

ბიც მართავდნენ. მაგალითად, 1920 წ. ასეთი კონცერტები გამართეს კომპოზიტორებმა ბარბალე ამირეჯიბმა და დ. არაყიშვილმა (ახალი სიმღერებისა და რომანსების საღამო), მომღერლებმა ნინო ფავლენიშვილი-მაღალაშვილმა, თ. წერეთელმა, ს. გაბაშიძემ, მ. გედევანიშვილმა, დებმა თარხნიშვილებმა, მ. თარხან-მოურავმა, მ. ნანობაშვილმა (დარიალმა) და სხვებმა. 16 ოქტომბერს კი სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა დიდი ზეიმი—კონცერტი, რაც საქართველოში ევროპის ქვეყნების სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობას მიეძღვნა. კონცერტზე, რომელიც კ. მაყაშვილმა გახსნა, სიტყვით გამოვიდა გ. რობაქიძე, შესრულდა ქართული ცეკვები. „აბესალომ და ეთერის“ II აქტი ავტორის ლობჯინაძის მიერ და ა. შ. დიდი ზეიმი—კონცერტი 1921 წ. 6 თებერვალსაც გაიმართა, რაც საქართველოს საერთაშორისო აღიარებას მიეძღვნა. კონცერტს წინ უძღოდა ნ. ჟორდანიასთან კონსერვატორიის დირექტორის ჩერეპნინისა და ზ. ფალიაშვილის საგანგებო ვიზიტი, რომლის დროსაც მათ მთავრობის მეთაურს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მიულოცეს.<sup>2</sup>

იმართებოდა მოსწავლეთა კონცერტებიც, ძირითადად კონსერვატორიისა და სამუსიკო სასწავლებელში. 4 აპრილს კი ასეთ კონცერტს, რომელიც სამუსიკო საზოგადოებამ მოაწყო, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.<sup>3</sup> 1920 წ. შემოდგომაზე კი თბილისის დახურული კლუბებისა და რესტორნების ყოფილმა მუსიკოსებმა ილჩენკოს დირიჟორობით, შექმნეს ჯგუფი და 21 ნოემბრიდან მუშათა რაიონებში დაიწყეს სიმფონიური საღამოების გამართვა, სადაც ასრულებდნენ ჩაიკოვსკის, გლინკას და სხვათა ნაწარმოებებს.<sup>4</sup> მართალია, თავიდან მას ხალხი ცოტა ესწრებოდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ხალხი უფრო ისეთ საღამოებს ეტანებოდა, სადაც ქართული ნაწარმოებებიც სრულდებოდა და რომელშიც ქართველი შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ სახელმწიფო თეატრში 24 ოქტომბერს გამართული კონცერტი, სადაც ძალზე ცოტა მაყურებელი მოვიდა. ამისი მიზეზი კი ის იყო, რომ საღამოში არც ერთი ქარ-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 103

2 იქვე, № 14

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 74, 79

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 268

თველი ხელოვანი არ მონაწილეობდა და თანაც იქ წარმოდგენილი არ ყოფილა არც ერთი ქართული ნაწარმოები.<sup>1</sup>

ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო კონცერტებიც. მაგალითად, ასეთი კონცერტები გაიმართა ბავშვთა, თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა, პოლიტექნიკური სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა, წითელი ჯვრის, ავადმყოფი ს. ინაშვილის (ორჯერ), ომში დაღუპულთა ოჯახების (კოჯორში) და ა. შ. დასახმარებლად. საინტერესოა, რომ გორის მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ იტალიური მუსიკის საღამო თვით იტალიურმა მისიამ ჩაატარა თბილისში.<sup>2</sup> 26 ივნისს სახელმწიფო ოპერას თეატრში დ. არაყიშვილის დირიჟორობითა და ა. ახმეტელის საერთო ხელმძღვანელობით გაიმართა ნ. სულხანიშვილის მუსიკის საღამო, საინდანაც შემოსული თანხა მთლიანად გარდაცვლილი ნ. სულხანიშვილის ოჯახს გადაეცა.<sup>3</sup> ეწყობოდა უფასო კონცერტებიც, — ძირითადად მუშების, მოსწავლეებისა და მეომრებისათვის.

თბილისში კონცერტებს მართავდა ამიერკავკასიის გენერალური საკონცერტო ბიუროც (ხელმძღვანელი სევრუნიკოვი), ქართველ მომღერალთა კავშირი თავისი ინსტრუმენტალური სექციით, თბილისის მომღერალთა კავშირიც და ა. შ.

1919 წ. ხელისუფლებამ განსაკუთრებულა მნიშვნელობა მიანიჭა დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის ღირსეულ აღნიშვნას. რა თქმა უნდა ამ ზეიმში გამორჩეული როლი ქართველ მუსიკოსებს უნდა შეესრულებინათ. მთავრობის გადაწყვეტილებით, 26 მაისის მუსიკალური მხარის ხელმძღვანელობა კ. ფოცხვერაშვილს დაევალა, რომელიც დამფუძნებელი კრების სამუსიკო კომისიასთან (ეს კომისია მუდმივი იყო) მჭიდრო კონტაქტში მუშაობდა. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას ამ მიზნით 100 000 მ. გამოეყო.<sup>4</sup> გადაწყდა რომ 26 მაისს კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით შესრულდებოდა სადღესასწაულო ჰიმნი, საგალობლები, სიმფონიური პიესები, გამოვიდოდა 500 წევრიანი ქალ-ვაჟთა გუნდი, 300 კაციანი მესაყვირეთა გუნდი, შესრულდებოდა კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ამირანი“, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის დაწე-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 158

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 55

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 136, 141

4 იქვე, 1919 წ., № 106

რა ავტორმა, ასევე შესრულდებოდა ახალი ქართული სიმღერები, ნაწყვეტები „აბესალომ და ეთერიდან“, „თქმულება შოთა რუსთაველიდან“ და ა. შ.<sup>1</sup> სამუსიკო საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი კანტატაზე,<sup>2</sup> ხოლო კ. ფოცხვერაშვილს დაავალა მომღერალთა გუნდის შექმნა, რომელიც 26 და 29 მაისს გამართავდა კონცერტებს და შემდეგ კი გარდაიქმნებოდა სამუსიკო საზოგადოების გუნდად.<sup>3</sup> 26 მაისი 1920 წელსაც ფართოდ აღინიშნა, რისთვისაც საგანგებო დეკრეტით პარლამენტის ხელოვნების კომისიას 300 000 მ. გამოეყო.<sup>4</sup>

1920 წ. დეკემბერში თბილისში ფართოდ აღინიშნა ბეთპოვენის დაბადებიდან 150 წლისთავი. პრესაში დაიბეჭდა ი. კარგარეთელის,<sup>5</sup> ზ. ჩხიკვაძის<sup>6</sup> და სხვათა წერილები, თეატრში შესრულდა მისი IX სიმფონია, მიეძღვნა კონცერტი, 17 დეკემბერს კონსერვატორიაში გაიმართა მისადმი მიძღვნილი კონცერტი, ოპერის თეატრში საიუბილეო საღამო და ა. შ.<sup>7</sup>

მუსიკალური ცხოვრება ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ პროვინციებშიც მიმდინარეობდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქუთაისზე, სადაც აქტიურად საქმიანობდა მიტროპოლიტთან არსებული ბ. კუხიანიძის სიმღერის გუნდი. გუნდი ხშირად ატარებდა საერო და სასულიერო კონცერტებს არა მხოლოდ ქუთაისში, არამედ სამტრედიისში, აბაშაში, სენაკსა და ფოთშიც.<sup>8</sup> ასევე განაახლა მუშაობა მ. კავსაძის მუშათა სიმღერის გუნდმაც,<sup>9</sup> რომელიც 7 დეკემბერს კონცერტის გასამართავად ფოთსაც ეწვია.<sup>10</sup>

ქუთაისში კონცერტები ძირითადად თეატრში იმართებოდა, თუმცა ზოგჯერ იგი ცენტრალურ ბაღშიც ეწყობოდა. ასე იყო მაგალითად 1918 წ. 7 აგვისტოს, როცა აქ კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით, ქართული სკოლების გაეროვნების დასახმარებლად გაიმართა

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 104

2 იქვე, № 79

3 იქვე, № 117

4 იქვე, № 99

5 ვაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 171, 178

6 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 491

7 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 284

8 ვაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 215

9 „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ., № 342

10 ვაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., № 332

ახალხო განათლების დღეობა. დღეობაში მონაწილეობდნენ ორკეტრი, ზურნა, სტვირი, ქალ-ვაჟთა გუნდი, მოცეკვავეები, პოეტები, წერლები, გერმანელი სტუმრები, სხვადასხვა ორატორები და ა. შ. სამოსულთა მიერ შესრულდა იმერული, გურული, რაჭული და სეა-ურის სიმღერები და ა. შ.<sup>1</sup>

ქუთაისში 1918 წ. აჩვენეს ოპერა „ქრისტიანე“<sup>2</sup>, ხოლო 17 ივნისს აქ შესდგა ოპერეტა „არშინ მალალან“-ის პრემიერა ქართულ ენაზე.<sup>3</sup> ეს ოპერეტა ქუთაისში ოთხჯერ თბილისის დასმაც აჩვენა.<sup>4</sup>

1918 წ. 23 ივნისს კონცერტი აბაშაშიც გაიმართა, სადაც მსმენელთა წინაშე დ. ლოლუას გუნდი წარსდგა.<sup>5</sup>

სამუსიკო საზოგადოებამ სერიოზული სამუშაოები ჩაატარა პროვინციებში მუსიკალური ცხოვრების გამოსაცოცხლებლადაც. 1919 წ. ყველგან დაიგზავნა საგანგებოდ შედგენილი ანკეტები, რომლითაც საზოგადოებას სურდა მიეღო პასუხები — სურდათ თუ არა ადგილებზე სამუსიკო განყოფილებების, სიმღერის გუნდებისა და ორკესტრების შექმნა, უნდოდათ თუ არა მუსიკალური ლიტერატურა (ნოტები, თეორიის წიგნები), ჰქონდათ თუ არა სათანადო თანხები, ჰყავდათ თუ არა ძალები ამ საქმეების მოსაგვარებლად და ა. შ.<sup>6</sup>

1919 წ. ქუთაისში საზოგადო საკრებულოს დარბაზში კონცერტებს მართავდა მიტროპოლიტის მგალობელთა გუნდი, მოქმედებდა მუშა-მომღერალთა გუნდი, თეატრში ჩატარდა ქართული კონცერტი, თბილისელი საბანეევას კონცერტი, 27 თებერვალსა და 16 მარტს კონცერტები გაიმართა თბილისელთა მონაწილეობით, 30 აპრილს შესდგა ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი, 28 ივნისს თბილისელმა მომღერლებმა ქუთაისში მოაწყვეს კონცერტი საოპერო დადგმებიდან და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭომ 28 აპრილის დადგენილებით საოპერო წარმოდგენები გაათავისუფლა გადასახადებისაგან.<sup>7</sup>

1919 წ. 29 ივლისს სიმღერის მოყვარულთა საზოგადოება დაარსდა ფოთში. უნდა ითქვას, რომ ფოთი ამ მხრივ უმეტვეალყურეოდ

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 148

2 იქვე, № 130

3 იქვე, № 106

4 იქვე

5 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 139

6 იქვე, 1919 წ., № 62

7 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 82

იყო მიტოვებული და ქალაქში თითქმის არ არსებობდა არანაირი კულტურული დაწესებულება. მართალია ადრე აქ მოქმედებდა ი. მეგრელიძის, ძ. ლოლუას და კ. სანაიას სიმღერის გუნდები, მაგრამ ისინი მუდმივად და ორგანიზაციულად მოწყობილი არ იყვნენ. ძ. ლოლუა ცდილობდა შეექმნა მუდმივი გუნდი. სიმღერის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარედ ფოთში 30 ივლისს ა. ხოჭოლაყა აირჩიეს. აქ შექმნილ გუნდს გურულ-მეგრული ხალხურ მომღერალთა გუნდი ეწოდა. მან დაიწყო ხალხური, საერო და სასულიერო სიმღერა-გალობების შეკრება, შესწავლა და გავრცელება. 1919 წ. ფოთში მევიოლინე თამარ ძნელაძის კონცერტებიც გაიმართა მომღერლებისა და პოეტების მონაწილეობით.

ფოთელთა მოთხოვნა, დაარსებულიყო იქ სამუსიკო საზოგადოებინ ფილიალი, ამხანად ვერ შესრულდა.<sup>1</sup>

1919 წ. კონცერტები სხვა ქალაქებშიც გაიმართა — გორში ჩავიდნენ თბილისელი მომღერლები, სენაკში მევიოლინე თამარ ძნელაძე მომღერლებისა და პოეტების თანხლებით, ბორჯომში დები თარხნიშვილები, სურამში გაიმართა კონსერვატორიის სალამო ი. ქუჩხელისა და ვ. რუხაძის მონაწილეობით და ა. შ.

ძალზე ნაყოფიერად საქმიანობდა გურჯაანელი დიაკვანი ლ. მაღალაშვილი, რომელსაც მომღერალთა გუნდი ჰყავდა შექმნილი. იგი ხალხური სიმღერების კონცერტებს (ლ. მაღალაშვილი თვითონაც წერდა სიმღერებს) მართავდა გურჯაანში, სიღნაღში, თელავში და კახეთის სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე და ხელისშემწყობი თითქმის არავინ ჰყავდა.<sup>2</sup>

ბათუმში მოქმედებდა ა. გამყრელიძის ცირკიც.

საკონცერტო საქმიანობა პროვინციებში 1920 წელსაც მიმდინარეობდა. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ ქ. ფოთი, სადაც 1920 წ. ძ. ლოლუამ შესანიშნავი სიმღერის გუნდი შექმნა. გუნდმა თავისი კონცერტები გამართა სურამში, ხაშურში, ბორჯომში, წაღვერში,<sup>3</sup> ხოლო 31 დეკემბერს მისთვის საგანგებოდ გამოყოფილი ვაგონით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში და მოიარა აბაშა, სამტრედია და სენაკი. მათ პროგრამაში ჰქონდათ მუსიკალუ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 596

2 გაზ. „ჩენი ქვეყანა“, 1919 წ., № 53

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 93



რი დადგმა „აფხაზური სოფელი“, აფხაზური, მეგრული და აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერები.<sup>1</sup>

ძალზე საინტერესო გუნდი შეიქმნა 1920 წ. ლანჩხუთშიც, მომღერალ ძაგნიაშვილისა და მოცეკვავე ლომინაძის ხელმძღვანელობით,<sup>2</sup> რომლებმაც 7 სექტემბერს ქალაქის მოედანზე თავისი პირველი კონცერტი გამართეს. კონცერტს ნ. ჟორდანიაც ესწრებოდა. გადაწყდა გუნდს მთელი საქართველო, მათ შორის თბილისიც მოეველო კონცერტებით, ამ მიზნით მათ მთავრობას ერთი კვირით ვაგონის გამოყოფა თხოვეს.

ვაე მომღერალთა 40 კაციანა გუნდი შეიქმნა ბორჯომშიც.<sup>3</sup>

დაარსდა დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მოყვარულთა საზოგადოებაც. რომელმაც ფოთში გახსნა უფასო სკოლა მათ შესასწავლად.<sup>4</sup> სიმღერის გუნდის ჩამოყალიბება გორშიც სურდათ, რის შესახებ წერდა კიდევ „სახალხო საქმე“, მაგრამ იმხანად იგი ვერ მოხერხდა.<sup>5</sup>

კონცერტები სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებშიც იმართებოდა. ასე მაგალითად, ქუთაისში მათ ხშირად აწყობდა ადგილობრივი სამუსიკო სასწავლებელი,<sup>6</sup> ბათუმში ნინოობას მოეწყო ქართული საღამო, რომელშიც ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ი. გრიშაშვილი და „თაგუნა“ მონაწილეობდნენ,<sup>7</sup> ბათუმშივე 1 ივნისს ჩავიდა თბილისის საოპერო თეატრი და იქ ერთი სპექტაკლი აჩვენა,<sup>8</sup> გორში 29 ივნისს გაიმართა ქართული მუსიკალური საღამო, შორაპანში, ს. კავსაძის გუნდის კონცერტები (ს. კავსაძე იქ მასწავლებლად მუშაობდა),<sup>9</sup> ხონში 17 ივნისს ვოკალურ-ინსტრუმენტალური კონცერტი, რომელიც ადგილობრივმა სამუსიკო საზოგადოებამ გამართა მ. კუხიანიძის მეთაურობით. კოჯორში, ანავასა და ჭაგანში კონცერტები ადგილობრივი ძალებით<sup>10</sup> და ა. შ.

1 გაზ. „სახალხო საქმე“. 1920 წ., № 737

2 იქვე. № 932

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 1

4 გაზ. „სახალხო საქმე“. 1920 წ., № 883

5 იქვე. № 742

6 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 135

7 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 6

8 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 838

9 იქვე. № 14

10 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 194

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1920 წ. დ. არაყიშვილმა საქართველოს საზღვრებს გარეთაც შესძლო ქართული კონცერტების გამართვა — იგი ბაქოში გაემგზავრა ეროვნული კონცერტების ჩასატარებლად.<sup>1</sup>

ხშირად მოგზაურობდა საქართველოს ქალაქებში ი. ქურხულიც. მან თავისი ლექცია-კონცერტები გამართა ფოთში (გ. ქუჩიშვილთან ერთად),<sup>2</sup> ხაშურში, სურამში (გ. ტაბიძესა და გ. ქუჩიშვილთან ერთად), გორში მიწისძვრის შემდეგ, რასაც ვრცელი წერილიც მიეძღვნა „სახალხო საქმეში“<sup>3</sup> და ა. შ.

ი. ქურხულმა „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდა „მოხეტიალე მუსიკოსის მოწოდება“, რომლითაც იგი პიანინოს შესაძენად და მუსიკალური ფურცლების დასაბეჭდად ფინანსურ დახმარებას ითხოვდა. მისი სურვილი იყო ენახათ, თუ როგორ უკრავდა იგი კლასიკურ ნაწარმოებებს. „იმ ერს, — წერდა ი. ქურხული, რომელმაც წარმოშვა რაჭველი მესტიერეები, არასოდეს არ შეფერის ევროპელთა თანამედროვე გარყვნილი ქუჩის ხელოვნებით დაიკმაყოფილოს ესეთაური გრძნობები და მოთხოვნები“.<sup>4</sup>

1919 წ. იენისში სამუსიკო საზოგადოებამ ამიერკავკასიის კოპკავშირის თავმჯდომარის, ე. დარჩიას ფინანსური დახმარებით ძალზე სასარგებლო საქმე გააკეთა. ჩამოყალიბდა 40 წევრისაგან შემდგარი ქალ-ვაჟთა კაპელა, რომლის ხელმძღვანელად დ. არაყიშვილი, ხოლო მეორე ლოტბარად ნ. სულხანიშვილი დაინიშნა. კაპელა პროფესიულ გუნდად იყო გათვალისწინებული და მის თითოეულ წევრს თვეში 600 მ. დაენიშნა. 1 ივლისიდან კაპელა შეუდგა რეპეტიციებს, ხოლო 5 აგვისტოს ხელისუფლების წარმომადგენლებს თავისი პირველი კონცერტი უჩვენა. გადაწყდა 10 აგვისტოდან კაპელა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესასრულებლად სამოგზაუროდ დასაველეთ საქართველოში წასულიყო. მის მარშრუტში გორი, ხაშური, ბორჯომი, წალკერი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ვაგრა, ფრონტი და დასაველეთ საქართველოს სხვა დაბა-ქალაქები შედიოდა.<sup>5</sup> კაპელას მთავრობის მეთაურის განკარგულებით 15 სექტემბრამდე სპე-

1 ვურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 8

2 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 278

3 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 779

4 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 41

5 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 150, 164

ციალური ვაგონი გამოეყო.<sup>1</sup> 19-20 აგვისტოს კაპელამ კონცერტები ქუთაისში კლუბ „ინტერნაციონალშიც“ გამართა. სულ კი მან დასავლეთ საქართველოში 21 კონცერტი ჩაატარა, რომელთაგან 8—ჯარისა და გვარდიისათვის უფასო იყო.<sup>2</sup> კაპელას კონცერტებმა ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა. სოხუმში მის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე გამოსულმა იტალიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან გარს შემორტყმული საქართველო გმირობას სჩადიოდა. მას ერთ ხელში ხმალი, მეორეში კი კულტურის სულიერი შუქის სანთელი ეჭირა და სულიერად მდიდარი საქართველო მთელ ხმელეთს აოცებდა ამით. იტალიელმა სტუმარმა კაპელას საჩუქრად 1000 მ. გადასცა.<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, კაპელა თბილისში ივნისში შეიქმნა, მაგრამ მან თავისი პირველი საჯარო გამოსვლა არა დედაქალაქში, არამედ დასავლეთ საქართველოში გამართა. 23 სექტემბერს კაპელა დაბრუნდა თბილისში და 2 ოქტომბერს სახალხო სახლში თავისი პირველი კონცერტი გამართა მაყურებლებისათვის. 20 ოქტომბერს კონცერტი განმეორებული იქნა.

კაპელას პირველ კონცერტზე „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა პ. დ.-ს (პეტრე დადვაძის) წერილი, რომელშიც ხაზი ჰქონდა გასმული პროგრამის სირთულეს, რომელშიც ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის და ა. ყარაშვილის ნაწარმოებები შედიოდა. ამათგან უმრავლესობა დ. არაყიშვილისა იყო. პ. დ.-ს აზრით, პირველი შთაბეჭდილება მძლავრი და სავსე არ აღმოჩნდა, რადგან „ასეთი მიკერძოება წერდა იგი, ხალხური კონცერტებისათვის სასარგებლო არ იყო. პროგრამაში შეტანილი არ იყვნენ სხვა ქართველი კომპოზიტორები“, რეცენზენტის აზრით, კაპელას ძირითადად ეროვნული, ხალხური მუსიკისათვის უნდა გაეწია პროპაგანდა. პ. დ. მაღალ შეფასებას აძლევდა შესრულებულ ნაწარმოებებს და მომღერალ ფაფლენიშვილს, ხოლო იწუნებდა მომღერალ ჭუმბურიძეს, მუსიკოსებს — შ. და გ. თაქთაქიშვილებსა და ეპიტაშვილს. ასევე დიდ ნაკლად იყო მიჩნეული ისიც, რომ ვაჟთა ხმები არ სჩანდა.<sup>4</sup>

კონცერტის შესახებ „ერთობამაც“ დაბეჭდა რეცენზია, რომლის

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 171

2 იქვე, № 199, გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 209

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 221, 226

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 648

მიხედვითაც სუსტად გამოსულან ნ. ფავლენიშვილი და ა. ჭუმბურიძე, ხოლო წარმატებით — გ. ვენაძე. მართალია კაპელა განძად იყო მიჩნეული, მაგრამ გაზეთი მას უწესრიგობაში სდებდა ბრალს. უღისციპლანობის მაგალითს კი თურმე თვით დ. არაყიშვილი იძლეოდა.<sup>1</sup>

ტყუილი იყო ეს ბრალდება თუ არა, დღეს ინელია ამისი მტკიცება, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მმართველი პარტიის ორგანოს ამ გამოსვლას შედეგად დ. არაყიშვილის კაპელადან წასვლა მოჰყვა.

1919 წ. ოქტომბერში კაპელას ხელმძღვანელად ნ. სულხანიშვილი მიიწვიეს.<sup>2</sup>

ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა მ. კავსაძის სიმღერის გუნდიც, რომელშიც 100 წევრი იყო გაერთიანებული. მ. კავსაძე ზაფხულობით თბილისში აწყობდა სახალხო სიმღერა-გალობის ფასიან კურსებს, ლექცია-კონცერტებს და ა. შ. ასეთ გამოსვლებს მ. კავსაძე პროვინციებშიც აწყობდა. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გუნდი 26 ივნისიდან წავიდა,<sup>3</sup> ხოლო დასავლეთ საქართველოში მთავრობის მიერ გამოყოფილი საგანგებო ვაგონით 15 სექტემბრიდან გაემგზავნენ. მათ თან გაჰყვნენ დები თარხნაშვილებიც.<sup>4</sup>

გუნდმა კონცერტები გამართა გორში, ხაშურში, ქუთაისში, ბათუმში, აფხაზეთში, სამხედრო ნაწილებსა და ფრონტზე, სხვა დაბა-ქალაქებში და ა. შ.<sup>5</sup> თბილისში დაბრუნებულმა გუნდმა რეჟისორ ვ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით მუშაობა დაიწყო ახალ სასიმღერო დადგმაზე „ქართული ქორწილი სოფლად“.<sup>6</sup>

მიუხედავად საერთო რთული მდგომარეობისა, 1918-21 წლები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა აფხაზეთში მუსიკალური კულტურის აღმავლობისათვის. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში შეასრულა 1918 წ: დაარსებულმა სოხუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც სხვა მხრივაც გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით, თუმცა კი მთავრობა ნაკლებად ეხმარებოდა მას.<sup>7</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 259

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 154

3 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 551

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 202

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 622

6 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 277

7 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 211

1919 წ. 23 აპრილს, საქართველოს სამუსიკო საზოგადოებამ, სოხუმის ქართველთა ეროვნული საბჭოს თხოვნით იქ მიავიღა ცნობილი მუსიკათმცოდნე ზ. ჩხიკვაძე და დაავალა მას დახმარებოდა ადგილობრივ ქართველებს სამუსიკო საზოგადოების ფილიალის ჩამოყალიბებაში. ფილიალის დამფუძნებელ კრებაზე მოხსენებით ნ. თავდგირიძე გამოვიდა. აირჩიეს ახლადშექმნილი ქართულ-აფხაზური სამუსიკო საზოგადოების გამგეობა ა. ინალიფას (თავმჯდომარე), ნ. თავდგირიძის (ამხანაგი), ვ. ემხვარის, ძ. ლოლუას, ი. რამიშვილის და ბ. იოსელიანის (წევრები) შემადგენლობით.<sup>1</sup> კრებაზე იყო მცდელობა გაეხსნათ სამუსიკო სასწავლებელიც, მაგრამ იმჯერად ეს ვერ მოხერხდა.

აფხაზეთში მუსიკალურ სფეროში განსაკუთრებით ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა ძ. ლოლუა, რომელიც აგროვებდა, შეისწავლიდა და თავისი გუნდით პოპულარიზაციას უწევდა ადგილობრივ ხალხურ სიმღერებს. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში იგი სხვებსაც მოუწოდებდა ხალხური სიმღერებისა და გლობის აღდგენის, ნოტებზე გადატანისა და მოვლისაკენ.<sup>2</sup>

1919 წ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება ძ. ლოლუას გუნდის შესახებ, რომელშიც დასაბუთებული იყო გუნდისათვის ფინანსური დახმარების აუტოლებლობა და მიზანშეწონილად მიიჩნეოდა მისთვის 15000 მ. გამოყოფას. გუნდი ძირითადად სოხუმისა და სოჭის ოლქებში მოქმედებდა. აგროვებდა აფხაზურსა და მეგრულ სიმღერებს, გადაჰქონდა ისინი ნოტებზე და მთელს საქართველოში მოგზაურობით ხალხს აცნობდა მათ. იგი „შეძლებისდაგვარად გეაცნობდა მოძმე აფხაზთა ძველსა და თანამედროვე სამუსიკო კულტურას. ამ გარემოებას კი უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან იგი ხელს უწყობდა აფხაზეთში ეროვნული შემეცნების განმტკიცებას და მასთან აფხაზეთის დედასაქართველოსთან დაახლოებას. ამ საქმეს ძ. ლოლუა დღესაც დაუტყბრომლად ემსახურება. მას განზრახული აქვს თავისი ხოროთი (რომელიც 80 კაცისაგან შეესდგება) მოაწყოს ახალი მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. განსაკუთრებით სამაჰმადიანო საქართველოში“.<sup>3</sup>

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 101

2 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 641

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 230

სამინისტრო სწორედ ამ მოგზაურობისთვის ითხოვდა თანხას მთაურობისაგან. თხოვნას მხარს პარლამენტის ხელოვნების კომისიაც უჭერდა და მოხსენების საფუძველზე მან კომისიის წევრ რ. არსენიძეს დაავალა გამოენახა მუდმივი წყარო მსახიობთა დასახმარებლად.<sup>1</sup>

მალე ძ. ლოლუა ქართულმა ეროვნულმა საბჭომაც დანიშნა ოლქში ხალხური სიმღერების ხელმძღვანელად. მან შექმნა 80 კაციანი გუნდი. დაიწყო მომღერლების მომზადება და პრაქტიკულად განახორციელა ამ გუნდის მთელს საქართველოში მოგზაურობა, რომელიც ქართულ, მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს აცნობდა საზოგადოებას.<sup>2</sup> მაგალითად, 1919 წ. თბილისში მან ოთხი კონცერტი გამართა და დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გუნდმა წარმოადგინა კომპოზიცია „დაჭრილი აფხაზი“, რითაც დიდად შეუწყო ხელი აფხაზური სიმღერის პოპულარიზაციას.<sup>3</sup>

1920 წ. თებერვალში ძ. ლოლუას გუნდს გამოუყვეს ვაგონი და სავლეთ საქართველოში კონცერტების გასამართავად. სხვა სიმღერებს შორის გუნდმა საგასტროლოდ ახალი კომპოზიცია „აფხაზური სოფელიც“ მოამზადა.<sup>4</sup>

ძ. ლოლუა კონცერტებს უფრო ხშირად თვით აფხაზეთში ატარებდა. ასე მაგალითად. გუნდი გამოდიოდა ალოიზის თეატრში, აგუძერაში, ფრონტზე, ვაგრაში და ა. შ.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოხუმსა და ვაგრაში 1919 წ. სექტემბერში ქართული კაპელის სტუმრობაც, რომელსაც დ. არაყიშვილი მეთაურობდა. 7, 8 და 9 სექტემბერს კაპელა ვაგრის ფრონტსაც ეწვია. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, გუნდმა მაინც მიღწია მებრძოლებამდე. მაგალითად, პილენკოკოში ჯარისკაცებმა შვიდ ვერსზე გადაიტანეს პიანინო, მოაწყვეს ესტრადა, გადახურეს სცენა, აიყვანეს კედლები და ა. შ. მომღერლები არ შეუშინდნენ იმასაც, რომ დაზიანებული ნავი ქარიშხალმა 30 ვერსით გაიტაცა ზღვაში.

აფხაზეთის საზოგადოება კმაყოფილი დარჩა კაპელას სტუმრობით.<sup>5</sup> სულ კაპელამ რვა უფასო კონცერტი გამართა აფხაზეთში და

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 230

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 500

3 იქვე, № 635, 638

4 იქვე, 1920 წ., № 737

5 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 235

მას ყველგან დიდი ალტაცებით შეხვდნენ. 2 სექტემბერს კი სოხუმში მთელს გუნდს ჯ. შერვაშიძემ დიდი ბანკეტი გადაუხადა და 10 000 მანეთითაც დაასაჩუქრა იგი. ბანკეტს მთელი აფხაზი ინტელიგენცია ესწრებოდა, სადაც სიტყვით ვ. ემხვარიც გამოვიდა.<sup>1</sup>

1919 წ. შემოდგომაზე აფხაზეთში ს. კავსადის მომღერალთა გუნდიც ჩავიდა,<sup>2</sup> რომელსაც ასეთივე დიდი წარმატება ხვდა წილად.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც — აფხაზურ-მეგრული სიმღერების შეკრებაზე გენიალური ზ. ფალიაშვილიც ზრუნავდა, როცა იგი 1919 წ. სოხუმში სამკურნალოდ იყო წასული.<sup>3</sup>

ცალკე უნდა შევეხოთ იმ საქმიანობას, რაც საქართველოს ეროვნულ არმიასა და გვარდიაში მიმდინარეობდა მუსიკალური კულტურის სფეროში. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ საყოველთაო ყურადღებას, რითაც ქართული სამხედრო ნაწილები იყვნენ გარემოსილნი. მაგალითად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მომღერალთა გუნდები, კაპელა თუ სხვა შემოქმედებითი კოლექტივები წასულიყვნენ სამოგზაუროდ თბილისს გარეთ და მათ არ მოენახულენბინათ და თავიანთი შემოქმედება არ ეჩვენებინათ სამხედროებისთვის. განსაკუთრებით გაზვიარდა არმიაში კონცერტები 1919 წლიდან და სამხედრო სამინისტრო შეეცადა მისთვის სისტემური და გეგმიური ხასიათი მიეცა. უფრო მეტიც, საოპერო სპექტაკლებს თუ სხვა სახის მუსიკალურ ღონისძიებებს დაღუპულ თანამებრძოლთა ოჯახის წევრებისათვისაც კი მართავდნენ საგანგებოდ. ამ მხრივ შედარებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული გვარდია, რომელიც უმეტესად საკუთარი ძალებით გამართული კონცერტებით კმაყოფილდებოდა. ასე იყო მაგალითად სოჩის ფრონტზე,<sup>4</sup> თუმცა 1919 წლიდან საქმე აქაც უყეთესობისკენ დაიძრა და შეიქმნა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო სექციები, მათ შორის მომღერალი გუნდებისა — საგანგებო ბატალიონისა და საინჟინრო გუნდში.<sup>5</sup> ასეთი კომისიების შექმნამ 1920 წლიდან უფრო მასიური ხასიათი მიიღო. ხოლო სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმან-

1 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 221, 224

2 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 622

3 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 4;

4 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 281

5 იქვე

ნათლებლო კომისიას მთავრობამ სპეციალური ვაგონიც კი გამოუ-  
ყო ამ საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.<sup>1</sup>

არმიასა და გვარდიაში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამუსიკო  
მუშაობას, რომელსაც ძირითადად ახლად ჩამოყალიბებული ქართ-  
ველ სამხედროთა კავშირი წარმართავდა. დამოუკიდებელ საქართვე-  
ლოში კავშირმა თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ 1918 წ. გა-  
მოაცხადა კონკურსი ეროვნულ ჰიმნზე, სადაც გამარჯვებულისათვის  
ჯილდოდ 1000 მ. დააწესა. ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადად  
1 ივლისი განისაზღვრა.<sup>2</sup> საკონკურსოდ სულ 14 ნაწარმოები შევიდა  
(მასში კონკურსგარეშე კ. ფოცხვერაშვილიც მონაწილეობდა). შეი-  
ქმნა ჟიური მთავრობის წარმომადგენლისა (ა. აბაშელი) და ეროვნუ-  
ლი კრების ხელოვნების სექციის მონაწილეობით. ჟიური თავმჯდო-  
მარედ დაინიშნა მ. ბალანჩივაძე, მდივნად ა. ახმეტელი, ხოლო წევრე-  
ბად ღირიყორი ა. ჩერეპნინი, კომპოზიტორი ი. ნიკოლაევი, პროფ. ლე-  
ვიციკი, ა. ყარაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. ბარათაშვილი, ვ. მგელაძე და  
ა. ყანჩელი.<sup>3</sup> თავდაპირველად კონკურსი უნდა გამართულიყო 25 აგ-  
ვისტოს. მაგრამ იგი 1 სექტემბერს შესდგა. ჰიმნები კონკურსზე ჩე-  
რეპნინისა და ნ. ქართველიშვილის ღირიყორობით სამხედრო კავ-  
შირის 150 კაციანმა ქალ-ვაჟთა გუნდმა შეასრულა, რომელსაც სა-  
ერთო ხელმძღვანელობას ნ. სულხანიშვილი უწევდა. ჟიურიმ მოის-  
მინა ლეონიძის, კ. დ. იმედის, ვინ-თანის, მ. ძ., დ. ძ., კ. დ. პალიტ-  
რას, ფარნაოზის, ნინოწმინდელის, ავთანდილის და სხვათა ნაწარმო-  
ებები. გამარჯვება წილად ხვდა ნ. სულხანიშვილის (ავთანდილის)  
„ღმერთო, ღმერთო“-ს (შოთა რუსთაველის მიხედვით). თუმცა ჰიმ-  
ნად არც ეს ნაწარმოები მიუღიათ. იგი მოიწონეს მხოლოდ, როგორც  
მუსიკალური ნაწარმოები. მეორე ადგილიც ნ. სულხანიშვილს (ფა-  
რნაოზს), ხოლო მესამე კ. დოდაშვილს (კ. დ. იმედს) მიეკუთვნათ.<sup>4</sup>

სამხედროთა კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი, რომელსაც ნ. სულხა-  
ნიშვილი ლობტარობდა, სხვა მხრივაც აქტიურად იყო ჩაბმული მუ-  
სიკალურ ცხოვრებაში. გუნდმა 1918 წ. 9 ივნისს ქართულ კლუბში  
გამართა პირველი ეროვნული კონცერტი, სადაც ქართველ კომპო-  
ზიტორთა ნაწარმოებები იქნა შესრულებული ვ. სარაჯიშვილის, ვ.

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ., № 265

2 გაზ. „საქართველო“. 1918 წ., № 117

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1918 წ., № 28; 30

4 იქვე, № 32



ლორთქიფანიძის, ა. კალანდაძისა და სხვათა მონაწილეობით.<sup>1</sup> იგივე კონცერტი მათ ოლონდ სამ განყოფილებად II ქართულ კლუბში 25 ივლისსაც გაიმეორეს,<sup>2</sup> ხოლო 26 ივლისს არტისტულ თეატრში მოაწვევეს ხევსურული ფარიკაობა და ეროვნული კონცერტი.<sup>3</sup>

იმევე წლის 4—5 აგვისტოს გუნდმა მონაწილეობა მიიღო გურიის დამხმარე კომიტეტის თბილისში გამართულ სეირნობა-კონცერტშიც, საიდანაც მიღებული შემოსავალი მთლიანად ამბოხებისა და ომინაგან დაზარალებულთა ოჯახებს გადაეცათ.<sup>4</sup>

მალე არმიასა და გვარდიაში მუსიკალური საქმიანობის სახელმძღვანელოდ შეიქმნა სამუსიკო ნაწილი, რომლის მთავარ ლობზარად (სამხედრო სამუსიკო ინსტრუქტორად) კ. ფოცხვერაშვილი დაინიშნა. ამ ახლად შექმნილ ორგანიზაციათა საქმიანობა მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამუსიკო საზოგადოებას არმიაში ფაქტიურად არაფერი გაუქეთებია და ქართველი ჯარისკაცები ისევე რუსული მარშით დადიოდნენ.<sup>5</sup>

არმიის სამუსიკო ნაწილმა პირველი სანიმუშო კონცერტი სახელმწიფო თეატრში მართალია ხარვეზებით, მაგრამ მაინც გამართა 1918 წ. 27 ოქტომბერს.<sup>6</sup>

1919 წ. კიდევ ერთი მუსიკალური კოლექტივი ჩამოყალიბდა. ეს იყო თბილისის გვარდიის სამხედრო ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილისა და ვ. მიზანდარის მეთაურობით. მოგვიანებით ამ მოვლენას გამოეხმაურა გაზეთი „ერთობა“, რომელმაც დაბეჭდა ვრცელი სტატია „სამუსიკო მუშაობა სახალხო გვარდიაში“. წერილში საუბარია სამხედრო მუსიკის მნიშვნელობაზე, რომელსაც მთელს რესპუბლიკაში კ. ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა (სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გვარდიის ორკესტრი). ამ საქმეში კ. ფოცხვერაშვილს გვერდით ედგნენ გარტმანი, მ. ბალანჩივაძე და ვ. მიზანდარი. ორკესტრი 1919 წ. ივნისში გაემგზავრა ბორჯომში. სადაც ევროპის ქვეყნების კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად 40 ქართული ნაწარმოებიც შეისწავლეს. პარალელურად მათ ბორჯომში, ბაკურიანში, ახალციხეში, სურამში, მიხაილოვოსა და გორში გამა-

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 112

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 1

3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 147

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 7

5 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 16

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 78

17. ამირან ნიკოლეიშვილი

რთეს კონცერტებიც, რასაც სულ 300 000-მდე მაყურებელი დაესწრო.<sup>1</sup>

ასეთივე კონცერტები მოაწყო ორკესტრმა სამხედრო ტაძრისა და ჯარისკაცთა გუნდების მონაწილეობით 1919 წ. 28 სექტემბერს ქართულ კლუბში და მოგვიანებით კი გორშიც,<sup>2</sup> ხოლო 1920 წ. 27 ივნისს ორკესტრმა სახელმწიფო თეატრში კიდევ ერთი მასშტაბური ღონისძიება გამართა. ეს იყო ვოკალურ-ინსტრუმენტული კონცერტი, სადაც პარალელურად მოეწყო საგვარდიო მარშების შეჯიბრი-არჩევანი. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ამირანი“, უვერტიურა „თამარ ცბიერიდან“ და მ. ბალანჩივაძის ბალეტი. მეორე განყოფილებაში შესრულდა საკონკურსოდ წარდგენილი 15 მარში, რომელშიც გამარჯვება წილად ხვდა განიორსკის მარშს, რომელიც გვარდიის მუდმივ მარშად იქნა მიღებული. გამარჯვებულს ჯილდოდ 10 000 მ. გადაეცა. მესამე განყოფილებაში კი ორკესტრმა შეასრულა ის ქართული ხალხური სიმღერები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა არმიასა და გვარდიაში. ესენი იყო: კ. ფოცხვერაშვილის „ლოცვა ქართველი ერისა“, „იამბიკო“ (XII ს. ქართული ჰიმნი), „ლაშქრული“, „ალიფაშა“, „მხედრული“, „ძღვევის სიმღერა“, „კუჩხა“, „საომარი სიმღერა“ (ცხენოსნური) და „დელი-დელა“, ზ. ფალიაშვილის „მგზავრული და „მრავალჯამიერი“ და მ. ბალანჩივაძის „გურული“.<sup>3</sup>

1919 წ. თბილისის გარნიზონის უფროსის დავალებით კ. ფოცხვერაშვილმა მგალობელთა გუნდი ჩამოაყალიბა სამხედრო საკრებულო ტაძრისათვის, რის შესანახადაც მთავრობამ 15000 მ. გამოჰყო.<sup>4</sup>

1919 წ. მომღერალთა გუნდი ა. მაისურაძის ლოტბარობით საყურადღებო რაზმშიც ჩამოყალიბდა. გუნდმა თავისი პირველი ოთხ განყოფილებიანი კონცერტი 26 ივლისს გამართა.<sup>5</sup>

1919 წ. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. კარგარეთელის ვრცელი წერილი „სამხედრო სიმღერა“. რომელშიც სხვადასხვა ქვე-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 143

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 552

3 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 139, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 92

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 750

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 32

ყნების მაგალითების გამოყენებით დასაბუთებულია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად სამხედრო სიმღერებს.<sup>1</sup>

სახელმწიფო რომ ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას უთმობდა, ეს მრავალი მაგალითიდან სჩანს. მოვიყვანოთ ზოგიერთს: 1919 წ. 1 იანვარს სახელმწიფო თეატრში მეომრებისთვის მოეწყო დიდი მხატვრული საღამო, სადაც აჩვენეს კ. ფოცხვერაშვილის სამუსიკო ლეგენდა ბალეტ „პირიმზით“, შესრულდა სიმფონიური მუსიკა, სიმღერები, ბალეტი და ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილისა და სხვათა მონაწილეობით. საღამოს ხელმძღვანელობდნენ ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი, ხოლო რეჟისორი ა. წუწუნავა აყო.<sup>2</sup> იმავე, 1919 წ. 10 ოქტომბერს, განათლების სამინისტროს გამოეყო თანხა, რათა კვირაში ერთხელ სახელმწიფო თეატრში სამხედროებისათვის გაემართათ იაფფასიანი წარმოდგენები.<sup>3</sup> ამ წელს სახელმწიფო ოპერაში მათთვის მართლაც გაიმართა 8 უფასო სპექტაკლი, რომელსაც 12 000 კაცი დაესწრო.<sup>4</sup> ასევე უფასოდ აჩვენა თავისი კონცერტები კაპელამაც არმიას დასაველეთ საქართველოში.<sup>5</sup>

1920 წ. სახელმწიფომ უფრო მეტი ორგანიზებულობა მისცა ამ საქმეს და 6 იანვარს დაადგინა სახელმწიფო თეატრში არმიისა და გვარდიისათვის სისტემატურად გამართულიყო უფასო წარმოდგენები. ამისათვის მან განათლების სამინისტროს 15900 მ. გამოუყო იანვარ-თებერვალში.<sup>6</sup> გაიმართა კიდევ მათთვის ოპერების „აბესალომ და ეთერის“, „ქეთო და კოტეს“, „ფაუსტისა“ და ბალეტ „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ჩვენება, ხოლო მარტში არმიისა და გვარდიისათვის ორჯერ გაიმართა დიდი კონცერტებიც. ხშირად იმართებოდა კონცერტები თვით. სამხედრო ნაწილებშიც.<sup>7</sup>

სამხედრო სამინისტროს 1920 წლიდან კვლავ გამოეყო ყოველ თვეში 15000 მ. სამხედრო ტაძრის მგალობელთა გუნდისათვის.<sup>8</sup> სა-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 6

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 7

3 იქვე, № 237

4 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 109

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 603

6 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 12

7 იქვე, № 42

8 იქვე, № 32

მინისტრო ასევე ინახავდა სიონის ტაძრის მომღერალ-მგალობელთა გუნდსაც.<sup>1</sup>

1920 წ. ეროვნული გვარდიის შტაბშიც დაადგინა კვირაში 1—2 უფასო წარმოდგენა ეჩვენებინა თავისი მეომრებისათვის სახელმწიფო თეატრში<sup>2</sup>, ხოლო მარტში გვარდიელებს ვ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილის და სხვათა მონაწილეობით კონცერტიც გაუმართეს მუშტაიდის კლუბში.<sup>3</sup> უფასო კონცერტებს თვითონ გვარდიის ორკესტრიც მართავდა ხალხისათვის. ასე მაგალითად, 15 სექტემბერს, გვარდიის I ყრილობასთან დაკავშირებით, სახალხო სახლში ორკესტრმა გამართა კონცერტი კ. ფოცხვერაშვილისა და ვ. მიზანდარის მეთაურობით.<sup>4</sup> ხოლო 2 ოქტომბერს ისინი კონცერტებისათვის საგარეჯოს ეწვივნენ.

უფასო კონცერტებს მოსახლეობისათვის სხვა სამხედრო ნაწილებთან არსებული გუნდებიც მართავდნენ. ასე მაგალითად, მე-2 ქართულ კლუბში გამოსვლა ჰქონდათ გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის მუსიკოსებს, ხოლო სახელოსნო კლუბში — ჯარისკაცთა გუნდს.<sup>5</sup>

ქვეყანაში სერიოზული ზრუნვა დაიწყო ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების აღსადგენდაც. პრესაში, განსაკუთრებით კი „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საქართველოსა“ და „ჩვენს ქვეყანაში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები ამ საქმიანობის ასაღორძინებლად. მაგალითად, „საქართველო“ წერდა, რომ ქართულ საეკლესიო გალობას მეტი ხელისშეწყობა უნდოდა.<sup>6</sup> იმავე გაზეთში საინტერესო წერილი „ქართული გალობისათვის“ დაბეჭდა დეკანოზმა ვ. კარბელაშვილმა. იგი პასუხობდა პრესაში დასმულ კითხვას იმის თაობაზე. თუ როგორ შექმნა წარსულში ქართველმა ხალხმა ასეთი კარგი ჰანგები, რომლებიც მუსიკოსებსაც კი აკვირვებდა. მაშინ როცა „არ არსებობდა სიმღერის კანონი ძველად“. დეკანოზის აზრით, ეს კანონი არსებობდა და იგი თვით ხალხში იყო — „სიმღერის, გალობის, ლილინის. მსოფლიოში არავის არა აქვს მრავალხმოვანი სიმღერა-გალობა ჩვენს გარდა. მაგალითად, ჩინელთა, სპარსელთა, არა-

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 92

2 იქვე. № 33

3 იქვე. № 92

4 იქვე. № 173

5 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 135

6 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 210

ბთა, ბერძენთა, ასირიელთა, ბაბილონელთა, რომაელთა, სომეხთა, სიმღერები ერთხმიანია. ეს მხოლოდ ქართველს ჰქონდა და იგი გადაეცემოდა თაობიდან თაობას, სუფრა უსიმღერო არ იყო. ეს იყო კანონი. ქრისტეს შემდეგ ქართველი ერის ცხოვრებაში სიმღერას წამყვანი როლი ჰქონდა ჭირში, ლხინში და ომში. თვით პროფესორმა კოროშენკომაც კი დაასაბუთა ქართულის გავლენა სპარსულ-არაბულ ბაიათებზე.<sup>1</sup>

გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ დაიბეჭდა წერილი „ძველი ქართული გალობის აღდგენა“, რომელშიც გამოთქმული იყო გულისტკივილი, რომ ეს სფერო მიხედვას საჭიროებდა. დიდ საქმეს აკეთებდა ამ კუთხით მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში პ. ცქიტიშვილი, რომელსაც თავისი გუნდი ჰყავდა. გუნდს დახმარებას გარეშე ძალზე უჭირდა არსებობა.<sup>2</sup> ასეთივე გუნდები არსებობდნენ ქუთაისში მიტროპოლიტთან და გურჯაანშიც. რომელთა შესახებ ზემოთ უკვე ვწერდით.

განსაკუთრებით ნაყოფიერად საქმიანობდა სასულიერო მუსიკის დარგში დ. არაყიშვილი, რომელმაც შექმნა სასულიერო კონცერტი „ახალი ლიტურგია“. კონცერტის შესასრულებლად საგანგებოდ შესდგა ანსამბლი ახალგაზრდებისაგან.<sup>3</sup> 16 მაისს სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებამ სახელმწიფო თეატრში პირველად მოაწყო მისი მოსმენა. 23 მაისს კონცერტი მეორედ გაიმართა ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ხოლო 13 ივნისს მესამედ შესდგა სამების ტაძარში. კონცერტმა ძველი მუსიკის მოყვარულებისა და სამღვდელოების დიდი უთანხმოება გამოიწვია.<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა ზ. ჩხიკვაძის წერილი, რომელშიც იგი იცავდა კომპოზიტორს და მის მოწინააღმდეგეებს მუსიკის ვერ გეგებაში ადანაშაულებდა.<sup>5</sup> კონცერტის თაობაზე გურჯაანელის ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაშიც“. რეცენზენტის აზრით, 16 მაისს, პირველი კონცერტისას, 17 წევრიანი გუნდი მოუზადებელი იყო. უკეთესად ჩატარდა მეორე კონცერტი. გურჯაანელი მაღალ შეფასებას აძლევდა „წმინდაო ღმერთოს“, „იხარებს სული შენი“, „ისაია მხიარულ იყავნ“, „ღირს არს ჭეშმარიტად“, „მოვედით თაყვანი ვცეთ“ და „შენ გიგალობთ“. ბოლო სამი ნაწა-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 50

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 203

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 75

4 იქვე. № 127

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 533

რმოები რეცენზენტის აზრით ხალხურ ვაღობას ემყარებოდა, მეორე და მესამე ევროპული ფორმით იყო შექმნილი, ხოლო „რომელნი ქერაბინთა“—ში კი „ერთმანეთსაა ჩაქსოვილი ძველი ქართული ვაღობის ფორმა მდიდარ და ორიგინალურ მიხვრა-მოხვრით ჰარმონიის და კონტრაპუნქტის სიცოცხლის მსვლელობით“. ასევე იყო „აქებდით მონანი“, „მრწამსი“ და „მამაო ჩვენო“ (ეს უკანასკნელი მოდახილსაც ჩამოჰგავდა). „არაყიშვილის თხზულებებში, წერდა გურჯანელი,—მტკიცედ არის შედღუღებული ქართული კილო, რაც ახალ ლიტურდიას ქართველურ სულს უდგამს და სწორედ ამაში გამოიხატება მისი დადებითი მხარე... ქართული მუსიკის ხასიათს არ შეეფერება „ქრისტე აღსდგა“ და „ისპოლა ი დესპოტინ“. დამახინჯებულია ტექსტიც“.

ავრძელებდა რა გურჯანელი მიმოხილვას, სამების ტაძარში გამართული მესამე კონცერტის შესახებ წერდა, რომ „არაყიშვილს წილად ხვდა მეტად მძიმე და სერიოზული როლი. ე. ი. მან მიიღო მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც ღირსეულად უნდა გაათავითოვოს და თანამედროვედ დაამუშაოს ძველი განძი. აი, ამ მხრივ უნდა შეეხედოთ დ. არაყიშვილის მუშაობას. დღეიდან დაიწყო ახალი ბილიკი ქართულ სასულიერო ვაღობაში და ფაქტი გვახარებს და გვაიმედოვნებს, რომ ქართული მუსიკა ახალ ნიადაგზე დადგა... როგორც მეცნიერი მუსიკოსი, მრავალ წლების შესწავლით ქართული ხალხური მუსიკისა, დ. არაყიშვილმა გაიცნო რა ყოველი ჰარმონიული და კონტრაპუნქტული კანონები, იგი ჩაითვლება პირველ პიონერად, რომელმაც ჩამოაყალიბა ეს კანონები ქართულ ხელოვნურ მუსიკაში“<sup>1</sup>

1920 წ. ძალზე სერიოზულად დაისვა საკითხი მძლავრი პროფესიული სიმღერის გუნდის დაარსების თაობაზე. მართალია რამდენიმეჯერ იყო ამისი ცდა, მაგრამ უშედეგოდ. გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ ვრცელ წერილში „ეროვნული გუნდი“. ვინმე მაესტრო გუნდის შეუქმნელობის მიზეზად მიიჩნევდა გადაგვარებას, რომელთაც ძველმა რეჟიმმა დატოვა და მისგან ჭერაც არ იყვნენ განთავისუფლებულნი. „მეორე მიზეზია, წერდა „ერთობა“, — ის, რომ ხალხს არა აქვს შეგნებული მუსიკა-ვაღობის და სიმღერის მნიშვნელობა. მესამე მიზეზია ნივთიერი ხელმოკლეობა... სიტყვიერი ენის შეგნებამდე მივედით. ახლა კი საჭიროა ერთი დიდი ცნების მეორე

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. № 133

ნახევარიც შევიგნოთ, რომ სიტყვიერ ენასთან ერთად არის კიდევ უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ენა -- სიმღერა გალობისა და მუსიკის.

უტყუარია დებულება, რომ ენის მოსპობა იწვევს ერის მოსპობასაც, ასევე თუ ერი კარგავს გრძნობათა სფეროს ენას, იგი მუნჯდება, ცივდება, ველურდება და კვდება როგორც შემოქმედი და ხელოვანი... ერმა შექმნა სამუსიკო კულტურა... გამოატარა იგი ქარტახილებში. და ნუთუ იმისთვის გამოატარა, რომ ახლა განიადეს იგი? ეს იქნება მიუტყვებელი ცოდვა ისტორიისა და ერის წინაშე. და ახლოს ვართ ამასთან. ძველი სიმღერა-გალობის მცოდნენი კვდებიან. ხალხი ქალაქის გავლენით კარგავს მას. ეკონომიური კრიზისი სპობს ხალხურ სიმღერა-გალობიან დღესასწაულებს, დავიწყებას ეძლევა ძველი კილოები და მათ ნაცვლად ხალხი ითვისებს გიტარას და არღნის ლოთურ ჰანგებს, რომელიც ძლიერი საწამლაევიით უზამვენ ხალხის სულს და გულს. დაწესებულებებს არა აქვთ შეგნებული მუსიკის მნიშვნელობა. მოწინავე საზოგადოება გულცივია. მსოფლიო ჩვენ გვაფასებს სულიერი კულტურით, პოეზიით, ლიტერატურით, ხუროთმოძღვრებით, მხატვრობით, ხელოვნებით. ევროპას ყველაზე თამამად შეგვიძლია ვაჩვენოთ ამათგან სიმღერა-გალობა. ამ საქმეს რომ ეშველოს, მას უნდა უპატრონოს საზოგადო დაწესებულებებმა, მთავრობამ, მაგრამ საქვით მპყრობელთ არ სცალიათ სიმღერა-გალობისათვის, ხოლო საზოგადო დაწესებულებანი კი სავსეა ისეთი პირებით, რომლებსაც ნაკლებად ესმით ხელოვნების, სიმღერა-გალობის მნიშვნელობა“.

მიუხედავად იმისა, რომ „ერთობა“ მმართველი პარტიის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა, იგი მაინც არ ერიდებოდა ხელისუფლების კრიტიკას და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თითქმის არ გამოიციემოდა ხალხური სიმღერა-გალობის კრებულები. „ჩვენთან ჩამოსული უცხოელები, რომელიც ჩვენი უგერგილობით ვერ იმენენ ჩვენს სიმღერებს, თვითონ ეძებენ ისეთ ადგილებს, რომ მოისმინონ სიმღერა-გალობა, მაგრამ ასეთ ადგილებს ვერ პოულობენ. გაჭირვების გამო სამხედრო ტაძრის გუნდში ორ-ორი ან სამ-სამი კაცია თითო ხმაში. სულ კი 20 კაციანი ხორო არის იქ, რაც ცოტაა“. გაზეთი წუხნდა, რომ არ გვყავდა ეროვნული გუნდი, რის გამოც თბილისში სტუმრად ჩამოსულ სოცინტერნის დელეგაციას, რომელმაც მოისმინა ჩვენი სიმღერები, ვერ შევუსრულეთ თხოვნა და ვერ

გავატანეთ ნოტებზე ჩაწერალი ჩვენი სიმღერები, რათა იგი ევროპისათვის გაეცნოთ. ვერ შევეუსრულეთ იმ მიზნების გამო, რომ არ გვექონდა დაბეჭდილი ისინი. „ერთობა“ პრინციპულად აყენებდა საკითხს შექმნილიყო ეროვნული სიმღერის გუნდი.<sup>1</sup>

ქართული ხალხური სიმღერა-გალობის აღდგენისა და ხალხში გავრცელების პრობლემებს „ერთობა“ სხვა დროსაც შეეხო. კ. კელენჯერიძემ წერილში „ძველი სიმღერა-გალობა და ლილინები გურულ კილოზე“, წინა პლანზე წამოსწია მათი ჩაწერის საქმე. ავტორი სამართლიანად მიუთითებდა, რომ მათი მცოდნეები ძალზე ცოტანი იყვნენ დარჩენილები. ესენი იყვნენ ღუმბაძეები. ჩხარტიშვილები, ხავთასები, ჭალაგანიძეები, კანდელაკები და ქორიძეები (ამ უკანასკნელმა პირველმა დაიწყო მათი ნოტებზე გადატანა). კ. კელენჯერიძე განსაკუთრებით გამოპყოფდა ღრმად მოხუცებულ მ. ნაკაშიძეს, რომელსაც იგი ხალხური სიმღერების ჩინებულ მცოდნედ მიიჩნევდა. მ. ნაკაშიძე სახალხო გვარდიაშიც მიუწვევიათ სიმღერების მასწავლებლად. წერილის ავტორი სასწრაფო საქმედ მიიჩნევდა მისგან სიმღერების ჩაწერას, თბილისში მ. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით ექვსკაციანი გუნდის შექმნას, რომელსაც მთავრობა დააფინანსებდა. გუნდი ნოტებზე ჩაიწერდა სიმღერებს და თან მთელს საქართველოს გააცნობდა მათ.<sup>2</sup>

კ. კელენჯერიძის წერილს მწვავედ გამოეპასუხა ი. საბაშვილი, ამ უკანასკნელის აზრით მ. ნაკაშიძე სულაც არ იყო კარგი ლოტბარი და გურული სიმღერების ჩინებული მცოდნე. მასზე გაცილებით ძლიერები ყოფილან მღვდლები მ. კონტრიძე და რ. ხუნდაძე, აგრეთვე ფ. ქორიძე და განსაკუთრებით კი ა. ღუმბაძე (სწორედ ამისი სიმღერები ჩაუწერია ნოტებზე ქორიძეს). ასევე ჩავლევით ი. საბაშვილი, სიმონიშვილი, ბაბილოძეები, მახარაძეები, ერქომაიშვილები და სხვები.

რაც შეეხება მ. ნაკაშიძეს, იგი ი. საბაშვილის აზრით, ძალზე სუსტი ყოფილა. მართალია მისთვის ეპისკოპოს ალექსანდრეს კი გაუხსნია თურმე კაბინეტი სიმღერების აღსადგენად, მაგრამ მალე „როგორც უნიჭოს მიუკეტა“. ი. საბაშვილი მ. ნაკაშიძეს სხვა ბრალდებ-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 219

2 იქვე, № 173



ბეზსაც უყენებს, რასაც ხალხური სიმღერების ცოდნა-არცოდნასთან სულაც არ ჰქონდა რაიმე კავშირი.<sup>1</sup>

კ. კელენჯერიძემ ი. საბაშვილის საწინააღმდეგოდ და მ. ნაკაშიძის დასაცავად ორჯერ დაბეჭდა წერილი „ერთობაში“. ამ წერილებში ავტორი ასაბუთებდა მ. ნაკაშიძის ნიჭიერებასა და ავტორიტეტს.<sup>2</sup>

ხალხური სიმღერა-გალობის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით ნაყოფიერი სამუშაოები ტარდებოდა ლანჩხუთში, რასაც უშუალოდ გამგეობა და ქალაქის თავი ვ. შარაშენიძე ხელმძღვანელობდა. მისი ინიციატივით გურული სიმღერების ბრწყინვალე მცოდნე ს. ჩავლეიშვილი სკოლებშიც მიიწვიეს მასწავლებლად. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, საქმე მაინც წარმატებით გრძელდებოდა, თუმცა მოსაგვარებელი იყო სიმღერების ნოტებზე ჩაწერა, რაც დაკარგვისაგან იხსნიდა მათ.<sup>3</sup>

არანაკლებ ინტერესს იწვევდა საეკლესიო გალობისადმი დამოკიდებულებაც. ეხებოდა რა მ. კავსაძე აღნიშნულ პრობლემას, „სახალხო საქმეში“ წერდა. რომ საეკლესიო გალობა აბუჩად იყო აგებული თვით სამღვდელოების მიერ. ამ საქმის მოსაწესრიგებლად შეუგროვებიათ დიდძალი თანხა, მაგრამ მ. კავსაძე შიშობდა, რომ იგი უმიზნოდ არ დახარჯულიყო (ისევე როგორც ადრე), რადგან კომისიაში ბევრი შემთხვევითი ხალხი ყოფილა. მ. კავსაძე წუხდა. რომ არც ერთ ეკლესიაში არ სწარმოებდა ქართული გალობა, ან თუ გალობდნენ, რუსული კილოთი. მისი აზრით კომისიაში აუცილებლად უნდა შეეყვანათ ამ საქმის მცოდნეები, განსაკუთრებით კი გურულ-ქართულ-კახური სიმღერების მცოდნენი.<sup>4</sup>

მ. კავსაძის წუხილი შემთხვევითი რომ არ იყო, ეს დეკანოზ ვ. კარბელაშვილის წერილიდანაც. „ქართული საეკლესიო გალობის შერყვნა“ დასტურდება, რომელიც მან გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდა. ვ. კარბელაშვილი იმას აღუშფოთებდა, რაც მას სიონსა და ანჩისხატში მოუხმენია. მისი აზრით საეკლესიო გალობა ქართულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო, ხოლო ის, რაც ხდებოდა, უფრო „ბარბაროსობას, ჯალათობას, მოღალატეობას და გამცემლობას წარმოადგენდა... ნუ გვირყვნიან კილოებს, რა კავშირი გვაქვს სლა-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 186

2 იქვე. № 207, 208

3 იქვე. № 229

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 866

ეუროთან, დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცეს.“ ვ. კარბელაშვილი აკრიტიკებდა კ. ფოცხვერაშვილსა და დანოვსკის, რომლებიც მგალობელთა გუნდებს ხელმძღვანელობდნენ სიონსა და ანჩისხატში, მისი აზრით, უსამართლოდ იყო უგულვებელყოფილი დ. არაყიშვილის ლიტურგიები.<sup>1</sup>

საეკლესიო გალობის ჩაწერასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებო წერილი დაბეჭდა „საქართველომ“ (ავტორი დ. ო.). ავტორი წუხდა იმაზე, რომ ძველი საგალობლები თანდათანობით იკარგებოდა მისი ჩაუწერლობის გამო. არადა ჩასაწერი ძალზე ბევრი იყო, მცოდნეები კი ცოტანი. მას მაგალითად მოჰყავს გელათის მონასტერში მოღვაწე ბერის ე. კერესელიძის საქმიანობა, რომელსაც 27 დიდი წიგნი ჰქონია შედგენილი, რომელშიც 9500 საგალობელი ყოფილა შეტანილი. დ. ო.-ს მიუმართავს მთავრობისათვის, დამფუძნებელი კრებისთვის, რედაქციებისათვის, რომ ე. კერესელიძეს დახმარებოდნენ მის დაბეჭდვაში, რაც დალუპვისაგან იხსნიდა ამ უზარმაზარ შრომის ნაყოფს, მაგრამ დამხმარე არ გამოჩენილა.<sup>2</sup>

1920 წ. მთელი სიმწვავეით დაისვა საკითხი ქართული ეროვნული კონსერვატორიის დაარსების შესახებ. საქმე იმაშია, რომ თბილისში 30 წელია მოქმედებდა რუსეთის სამუსიკო სასწავლებელი, რომელსაც ქართველი ერისთვის ბევრი არაფერი გაუკეთებია. იქედან ქართველები განდევნილები იყვნენ. რუსები იყვნენ სასწავლებლის ხელმძღვანელებიც და ბუნებრივია, რომ ისინი რუსულ პოლიტიკას ატარებდნენ. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აქედან გამომდინარე შეცვლილი სიტუაციის გამო, სასწავლებლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა „წყალობის სახით“ ქართველებისათვის ქართული მუსიკის კათედრა დაეარსებინა და იქ ლექციების წასაკითხად ქართველი სპეციალისტი მიეწვია. რა თქმა უნდა, ამით მათ თვალის ახვევა სურდათ. ეს ხომ სრულიადაც არ იყო საკმარისი. საქირო იყო ძირფესვიანი ცვლილებები და რეორგანიზაცია. სასწავლებელი არა მარტო ენით, სულითაც რუსული იყო. საზოგადოება არ უნდა მოტყვილებულიყო და იქ კათედრის გახსნით თვალი არ ახვეოდათ. ი. კარგარეთელის მოთხოვნით, მთავრობას უნდა მოეხდინა ამ სასწავლებლის სრული ნაციონალიზაცია და იგი თავის ხარჯზე მიეღო. ამ საქმეს სათავეში თვით მუსიკოსები უნდა ჩასდგო-

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 92

2 იქვე, № 117

მოდენენ, რადგან ეს მათი მოვალეობისა და ღირსების საქმეს წარმოადგენდა.<sup>1</sup> 1920 წ. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა დ. არაყიშვილის სტატია „ქართული სამუსიკო სკოლა—მისი უმაღლეს სასწავლებლად გარდაქმნის შესახებ“, რომელშიც გარდა ქართული მუსიკის მნიშვნელობისა, იგი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ არ იყვნენ ამ დარგის პროფესიონალები, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარება. მართალია მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა სასწავლებელში უნდა შემოეღოთ მუსიკისა და სიმღერის სწავლება, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება კადრების უყოლობის გამო შეუძლებელი იყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ პროვინციებში არსებული მუსიკალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რადგან ქვეყანაში არ არსებობდა ეროვნული უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი. დ. არაყიშვილი პრინციპულად მოითხოვდა ეროვნული უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის დაარსებას. თბილისში არსებული რუსული კონსერვატორია ვერ შესძლებდა ქართული ეროვნული კადრების აღზრდას, რადგან მას არაქართული მიზანი ჰქონდა. მხოლოდ ქართული კონსერვატორია შესძლებდა ეროვნული ინტერესების განვითარებას, მშობლიური ხელოვნების აღორძინებას და ხალხის სულიერად ამაღლებას. მიუღებელი იყო, რომ საქართველოში რუსულ სამუსიკო საზოგადოებას ჰქონდა რუსული კონსერვატორია, ხოლო ქართულ საზოგადოებას არა. დ. არაყიშვილი სვამდა წინადადებას, ქართული მუსიკალური სასწავლებელი თანდათან გარდაქმნილიყო ეროვნულ კონსერვატორიად. თავდაპირველად უნდა გახსნილიყო ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ვიოლენჩელოს, კომპოზიციის, გუნდის ლოტბარის, სიმღერის და ოპერის უმაღლესი კლასები. რაც შეეხებოდა პედაგოგიურ კადრებს, მათი ნაწილი ჰყავდათ, ხოლო დანარჩენების მოწვევა იქნებოდა საჭირო.<sup>2</sup>

1920 წ. 11 იანვარს მუსიკალურმა საზოგადოებამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი რა მოიწვია კრება, სადაც დაადგინეს, რომ 18 იანვარს განათლების სამინისტროსა და თბილისის კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაემართათ თათბი-

1 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 128

2 იქვე, 1920 წ., № 52

ჩი, ქართული კონსერვატორიას დაარსების თაობაზე.<sup>1</sup> მართლაც, 18 იანვარს სამუსიკო საზოგადოებამ სამუსიკო კოლეგიასთან ერთად მოიწვია სხდომა, რომელსაც ხელოვნების კომისიის (მ. ქიქოძე), განათლების სამინისტროს (ვ. ბერიძე) და უნივერსიტეტის (ი. ჯავახიშვილი) წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. განხილული იქნა უმაღლესა სამუსიკო სასწავლებლის დაარსების საკითხი. საზოგადოების თავმჯდომარის, კ. ანდრონიკაშვილის აზრით, ეროვნული კონსერვატორია რუსული კონსერვატორიისა და ქართული სამუსიკო სკოლის ბაზაზე უნდა შექმნილიყო. ამ საკითხზე მომხსენებლებად ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი გამოვიდნენ. ზ. ფალიაშვილის აზრით ქართული სახელმწიფო კონსერვატორია რუსული კონსერვატორიის ბაზაზე უნდა შექმნილიყო, ხოლო დ. არაყიშვილის აზრით ქართული სამუსიკო სკოლა უნდა გადაკეთებულიყო ეროვნულ კონსერვატორიად. კრების დადგენილებით ეროვნული კონსერვატორია უნდა ჩამოყალიბებულიყო რუსული კონსერვატორიისა და ქართული სამუსიკო კოლეგიის პროფესორთა ძალებით, ხოლო ქართული სამუსიკო სასწავლებელი უნდა გადაკეთებულიყო დასაწყის და საშუალო სამუსიკო სასწავლებლად. ამასთან, ორთავე სასწავლებელს სახელმწიფო სტატუსი უნდა ჰქონოდათ. კრებამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებაში დახმარება განათლების სამინისტროს სთხოვა.<sup>2</sup>

სამინისტრო დაუყოვნებლივ შეუდგა სახელმწიფო კონსერვატორიის მართვა-გამგეობის წესდების შექმნას, ხოლო 15 სექტემბრიდან მასში მისაღები გამოცდები გამოცხადდა.<sup>3</sup>

რაც შეეხება რუსულ კონსერვატორიას, მის თაობაზე დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ თებერვალში გამოიტანა გასახელმწიფოებრიობის დადგენილება.<sup>4</sup> ამის შემდეგ, თვით კონსერვატორიაშიც მიხვდნენ, რომ შეუძლებელი იქნებდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია რუსეთის მუსიკალური საზოგადოების ეგიდით არსებულიყო და დაადგინეს, რომ გამოყოფოდნენ რუსეთის სამუსიკო საზოგადოებას და საქართველოს ხელისუფლებისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება ეთხოვათ. რა თქმა უნდა, ეს რუ-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 9

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 36

3 იქვე, № 179

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 35

სული კონსერვატორიის იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა და ამით ბევრი არც არაფერი შეიცვლებოდა, რადგან კონსერვატორია ხომ მთლიანად რუსულ პოზიციებზე იდგა, მასში ქართული მუსიკისა და ენისათვის ადგილი არ არსებობდა. იქ მოქმედებდა რუსული დიქციონის სპეცკლასი, ქართულის კი არა, ასევე არ მოქმედებდა ქართული საოპერო სტუდია ეროვნული რეპერტუარით, ქართული საგუნდო კლასები, ქართული მუსიკის ისტორიისა და თეორიის კლასები და ა. შ. ერთი სიტყვით კონსერვატორიაში რუსული სული და შინაარსი ბატონობდა.<sup>1</sup>

მთავრობამ დააკმაყოფილა რუსეთის სამუსიკო საზოგადოების კონსერვატორიის თხოვნა და მისი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.<sup>2</sup>

თავისუფალ საქართველოში მწვავედ იდგა მუსიკალური კადრების საქმე. კატასტროფულად არ კმაროდა მუსიკა-გალობის მასწავლებლებიც. ამ საქმეში კი დიდი წვლალის შეტანა ქართულ სამუსიკო სასწავლებელს შეეძლო.

ეხებოდა რა ი. კარგარეთელი სამუსიკო სასწავლებლის მოსალოდნელ გახსნას, წერდა, რომ სწორედ იქ უნდა ესწავლებინათ ნოტები, დაკვრა, მუსიკის ისტორია, თეორია, ჰარმონია და ა. შ. განათლების სამინისტროს კი ყველა ღონე ეხმარა, რათა მუსიკალურ სკოლებში სასწავლო პროცესი სწორედ ამგვარად წარმართულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გახსნა უაზრობა იქნებოდა.

1919 წ. „საქართველოს რესპუბლიკა“ სტატიაში „მუსიკა“. წერდა, რომ არ კმაროდა მუსიკალური კადრები. ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე უდაოდ დიდი ნაბიჯი იყო საოპერო სტუდიისა და კაპელის დაარსება, რომელთაც უნდა აღეზარდათ ახალი კადრები. ეს იმედი მით უფრო რეალური გახდა, რაც ამ სტუდიის პირველი გამოსვლა გაიმართა.<sup>3</sup>

გააქტიურა თავისი საქმიანობა კონსერვატორიამაც, სადაც საოპერო კლასების ხელმძღვანელად ა. წუწუნავა მიიწვიეს.<sup>5</sup>

მძიმე დღეში იყო ქართული სამუსიკო სკოლა. იმის გამო, რომ ამ სკოლის დამაარსებლები სამუსიკო საზოგადოების გამგეობასა და

1 ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1920 წ., № 26

2 გაზ. „ერთობა“. 1920 წ., № 172

3 გაზ. „საქართველგ“, 1919 წ., № 2

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919 წ., № 293

5 ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 2

კოლეგიაში ვერ მოხვდნენ, ისინი განაწყენდნენ და მიატოვეს სკოლა. სკოლა ფაქტიურად უპატრონოდ დარჩა და პრაქტიკულად იგი რამდენიმე დღე დაკეტილი იყო.<sup>1</sup> 1919 წ. 14 ნოემბერს გამართულ სამუსიკო საზოგადოების კრებაზე, მისმა თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა კიდევ ერთხელ გაამახვილა სკოლის უმწეო მდგომარეობაზე ყურადღება. იმის გამო, რომ სკოლას მხოლოდ ხუთი ოთახი ჰქონდა, ბევრ მსურველს მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ, ხოლო მიღებულ ბავშვებს მასწავლებლები სახლებში ამეცადინებდნენ. ქალაქის ხელმძღვანელობა, პირადად ბ. ჩხიკვიშვილი და პარლამენტის ხელოვნების კომისია, ცდილობდნენ გამოეძებნათ დახმარების საშუალება. რ. არსენიძემ ისიც კი აღნიშნა, რომ მოსალოდნელი იყო თბილისში არსებული რუსული კონსერვატორიისა და ქართული სამუსიკო სკოლის გაერთიანება და მათ ბაზაზე ერთი კონსერვატორიის შექმნა ორი — ქართული და რუსული განყოფილებით.<sup>2</sup> სკოლის გასაძლიერებლად 1919 წელსვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბაჯი და იქ მასწავლებლად ი. კარგარეთელი მიიწვიეს.<sup>3</sup>

თბილისის ქალაქის გამგეობამ კი 1920 წ. სასწავლებელს 50 000 მ. გამოუყო.<sup>4</sup>

კაცმა რომ სთქვას, თბილისის ქართულ სამუსიკო სასწავლებელზე პირობითად თუ ითქმოდა ქართული, რადგან მასში 1920 წ. მასწავლებელთაგან ქართველი მხოლოდ ე. აბულაშვილი, მ. ავალიანი, ე. ქიქოძე, ა. ყარაშვილი და ა. ჯაყელი იყვნენ. სასწავლებელში მომუშავე კიდევ ორი ქართველი პედაგოგი ი. აბაშიძე და დ. არაყიშვილი კი რუსულ განყოფილებაში ასწავლიდნენ.<sup>5</sup>

1920 წ. სასწავლებელს მიღება ჰქონდა როიალის, სიმღერის, ვიოლინჩელოს, ვიოლინოს, ჩასაბერი ინსტრუმენტებისა და თეორიის განყოფილებებზე. ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალობაზე სწავლა უფასო იყო. სასწავლებელში 1920 წ. სწავლა 19 სექტემბერს დაიწყო.<sup>6</sup>

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში მუსიკალური სასწავლებლის გარდა არსებობდა სამუსიკო ცოდნის გამავრცელებელი საზო-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 628

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 227, 266

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 262

4 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 70

5 იქვე, № 9

6 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 40

გადოების ინსტიტუტი, ხოლო მუსიკალურმა საზოგადოებამ 1921 წ. გახსნა ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ვიოლენჩელოს და სიმღერის კურსები.<sup>1</sup>

1918 წ. ქუთაისშიც მოინდომეს საშუალო მუსიკალური სკოლა — კურსების გახსნა. ამ საქმეს სათავეში ე. ბაინდუროვა ჩაუდგა სკოლის დირექტორად მან მოიწვია კომპოზიტორი ლ. კნინა, რომელიც საკმაოდ ცნობილი პედაგოგი იყო. იგი თავდაპირველად პეტერბურგში მოღვაწეობდა, სადაც აღზარდა პროფ. გლაზუნოვი, პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორი ხესინი, იყო მრავალი წმინის ავტორი და ა. შ. 1882 წლიდან ლ. კნინა თბილისში გადმოსახლდა და აქ გახსნა სკოლა, რომელსაც 12 წელი ხელმძღვანელობდა. ბაინდუროვა სწორედ ამ კნინას მოსწავლე იყო.<sup>2</sup> ე. ბაინდუროვის დაუღალავი მცდელობა წარმატებით დასრულდა და 1918 წ. ქუთაისში მართლაც გაიხსნა ფორტეპიანოს კურსები ლ. კნინას ხელმძღვანელობით.<sup>3</sup>

1919 წ. ქუთაისში სამუსიკო სასწავლებელიც გაიხსნა.

ქართული სამუსიკო საზოგადოების მიერ ამ საქმის ორგანიზაცია მ. ბალანჩივაძეს ჯერ კიდევ 1918 წ. 2 მარტს დაევალა, როცა საზოგადოების წესდება დამტკიცდა. მასვე უნდა გაეხსნა ქალაქში სამუსიკო საზოგადოებაც ფილარმონიული საზოგადოების სანაცვლოდ. სასწავლებლის პირველ დირექტორადაც მ. ბალანჩივაძე დაინიშნა. სასწავლებელმა მუშაობა 14 იანვარს დაიწყო, ხოლო ოფიციალურად იგი 24 იანვარს გაიხსნა. 2 თებერვალს კა მოეწყო მისი კურთხევა.<sup>4</sup> გახსნაზე გამოვიდნენ მ. ბალანჩივაძე, ა. გარსევანიშვილი, ს. ხუნდაძე, ი. პურადაშვილი და მიტროპოლიტი ნაზარი. მრავლად იყო დეპუტები სხვადასხვა ქალაქებიდანაც.<sup>5</sup> სასწავლებელში თავიდან 300 მოსწავლე ჩაირიცხა სიმღერის, ფორტეპიანოს, მუსიკის თეორიის და სოლფეჯიოს, ვიოლინოს და ვიოლენჩელოს სპეციალობებზე. აქ სავალდებულოდ ისწავლებოდა ეთნოგრაფია, მუსიკის ისტორია. ესთეტიკა. სამუსიკო ენციკლოპედია და ფორტეპიანო. აპირებდნენ საოპერო გუნდისა და ინსტრუმენტალური მუსიკის კლასების გახსნასაც. სასწავლებელში მასწავლებლებად მუშაო-

1 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., № 22

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ., № 152

3 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ., № 342

4 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 1, 2

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 33

ბღნენ მ. ბალანჩივაძე, რ. ქუთათელაძე, თ. ძნელაძე, ბ. მაგაზინერი, გ. ბუში, გ. რიბე, ო. ტრეი, რ. შოლცი, ბ. კეშელავა, მ. შარაბიძე, მ. კუხიანიძე, ი. კარგარეთელი, პროფ. კორსოვი და ქ. პოლტოვა. წლიური გადასახადი აქ 200 მ. შეადგენდა.<sup>1</sup>

სასწავლებლის ფეხზე დასაყენებლად ძალზე ბევრს აკეთებდა მ. ბალანჩივაძე. მან თითქმის ყველაფერი თბილისიდან ჩამოიტანა, დახმარება კი ნაკლები ჰქონდა.<sup>2</sup>

როგორც ის. კვიციანიძე წერდა გაზეთ „ერთობაში“, მას შემდეგ, რაც თბილისის მუსიკალურ საზოგადოებაში გაფიცვა მოხდა, მთავრობამ გული აიცირუა მათზე. ბუნებრივია, ამან გავლენა ქუთაისზეც მოახდინა. მთავრობამ მხოლოდ თბილისის საზოგადოებას მისცა 25000 მ. სუბსიდია, ხოლო ქუთაისის საზოგადოებას საერთოდ არ დაეხმარა, თბილისი ამ მხრივ საერთოდ იჩენდა პროვინციებისადმი უყურადღებობას, ქუთაისისადმი მისი „ყურადღება“ 1919 წ. მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სამუსიკო საზოგადოებამ იქ გააგზავნა წარმომადგენელი, რომელსაც ადგილობრივი განყოფილების საქმიანობა უნდა შეესწავლა.<sup>3</sup> არადა ქუთაისში სასწავლებელს ძალიან უჭირდა მატერიალურად. მას 45000 მ. ვალი ჰქონდა და თითქმის არავინ არ ეხმარებოდა. მართალია, განათლების მინისტრი ლასხიშვილი და მისი ამხანაგი ნ. ცინცაძე დაჰპირდნენ მათ ვაგონს პროვინციებში კონცერტებზე წასასვლელად. მაგრამ დანაპირები ვერ შეუსრულეს. 25 ენკენისთვის კლუბ „ინტერნაციონალში“ გაიმართა სასწავლებლის მდგომარეობისადმი მიძღვნილი კრება, სადაც გამოითქვა მოსაზრება ქალაქის ხელმძღვანელობის შესაძლო დახმარებაზე, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ ეყოთ ქალაქის გამგეობაში. სამაგიეროდ დახმარების სურვილი გამოთქვეს მუშებმა. კრებაზე დამტკიცდა სასწავლებლის ახალი წესდება და გადაწყდა, რომ იგი თბილისიდან დამოუკიდებლად იარსებებდა, რაკი თბილისი მას აღარ ეხმარებოდა. აირჩიეს ახალი გამგეობა. თავმჯდომარეობა კ. გაბაშვილს ნაცვლად ლუბა ჩხენკელს დაევალა. კრების დადგენილებით გადაწყდა სასწავლებელს კონცერტები არა მარტო ქალაქში, პროვინციებშიც გაემა-

1 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“. 1919 წ., № 6, 8

2 იქვე

3 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 235.



რთა, ოღონდ ამ საქმისათვის მათ ვაგონის გამოყოფა და ხელისუფ-  
ლებნისაგან დახმარება მოითხოვეს.<sup>1</sup>

სხვაგვარად შეაფასა კრება „ჩვენმა ქვეყანამ“. მისი აზრით, ეს  
იყო არასერიოზული შეკრება და მასხრობა, ხოლო თვით სასწავლე-  
ბელში ბევრი სუსტი მასწავლებელი მუშაობდა. ნაჩქარევი იყო მო-  
სწავლეების კონცერტიც თეატრში. გაზეთის აზრით სასწავლებელი  
დალუბვის პირას იყო მისული და მას შველა ესაჭიროებოდა.<sup>2</sup>

1919 წ. ქუთაისში ე. ბაინდუროვას მიერ დაწყებული პირველ  
დაწყებითი მუსიკალური სკოლის გახსნაც გადაწყდა. მართალია, ქუ-  
თაისის სამუსიკო საზოგადოებამ ქალაქისაგან ბოლოს და ბოლოს კი  
მიიღო 3 000 მ., მაგრამ ეს საქმეს ოღნავადაც ვერ შველოდა.<sup>3</sup>

მიუხედავად ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის მძიმე ფინანსური  
მდგომარეობისა, იგი მაინც საქმაოდ ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა.  
ქუთაისის სამუსიკო საზოგადოება, იმის გამო, რომ მას თბი-  
ლასიდან არ ეხმარებოდა ქართული სამუსიკო საზოგადოება,  
1919 წ. 28 სექტემბერს მას ცალკე ორგანიზაციად გამოეყო. მაგრამ  
ამ ნაბიჯმა არ გაამართლა. საქმეს არც იმან უშველა, რომ მათ ვა-  
ლების გასასტუმრებლად აქტიურად დაიწყეს კონცერტების, საღამო-  
ებისა და წარმოდგენების გამართვა. ამის შემდეგ სასწავლებელში  
სამჯერ, — 6, 16 მარტს და 4 აპრილს ზედიზედ გაიმართა კრებები,  
სადაც თავიანთ უმწეო მდგომარეობაზე იყო მწვევე საუბარი. კრებე-  
ბზე სამივეჯერ შეიცვალა გამგეობები. კრების მონაწილეები დაჟინე-  
ბით მოითხოვდნენ სასწავლებლის მთავრობის მფარველობაში მიღე-  
ბას, რადგან ეს მიაჩნდათ მათ სასწავლებლის გადარჩენის ერთად-  
ერთ რეალურ გზად — მათი ვალი ხომ 60 000 მ. შეადგენდა. მთავ-  
რობამ სასწავლებელს ამ მოთხოვნაზე უარი უთხრა. სამაგიეროდ  
ურჩია, რომ ისევ გაერთიანებულ იყვნენ თბილისთან, რაც მათ იქე-  
დან დახმარების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. ამ წინადადე-  
ბას დაუჭირა მხარი 6 მარტის კრებაზე ქართული სამუსიკო საზოგა-  
დოების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. ჟორჯოლიანმაც. ამის შემდეგ,  
4 აპრილს კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ისევ გაერთიანებულ იყვნენ  
თბილისის ორგანიზაციასთან. ამ გაერთიანებას შედეგად ის მოჰყვა,  
რომ მალე ქუთაისის ორგანიზაციამ თბილისის მუსიკალური საზო-

1 გაზ. „ერთობა“. 1919 წ., № 259

2 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 162

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 287

გადოების გამგეობიდან მიიღო 50 000 მ., ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელმა მთავრობისაგან 23000 მ. და ქალაქის გამგეობისაგან 3000 მანეთიც მიიღო, რამაც იგი დახურვას გადაარჩინა.<sup>1</sup>

1920 წ. სექტემბერში ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. იგი ამიერიდან თბილისის კონსერვატორიას საშუალო განყოფილებად გადაკეთდა. მოგვიანებით სასწავლებელი დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის დახმარებით მთავრობამ თავის მფარველობაშიც მიიღო.<sup>2</sup>

1920 წ. მაისში ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელს თავისი პირველი გამოცდები და კონცერტი ჰქონდა, რომელიც თბილისიდან ჩამოსულმა დ. არაყიშვილმა და ი. ლაღაძემ მიიღეს და მაღალი შეფასება მისცეს მას. კონცერტმა იმდენად მაღალი შეფასება დაიმსახურა, რომ გადაწყდა 1 ივნისს იგი ჯერ თეატრში, შემდეგ კი რკინიგზის კლუბსა და კლუბ „ინტერნაციონალში“ გაემეორებინათ.<sup>3</sup>

1920 წ. სასწავლებელში ორი ახალი სპეციალობა — გუნდური სიმღერა და ჩასაბერი საკრავებიც გაიხსნა. დაემატნენ მასწავლებლებიც — ლ. ანდრე-ნაკაშიძე, ვეხოვსკი, ზ. ხარაძე, ანისიმოვა, ე. რიჩინაშვილი, რელიგიონი და ლასკო.<sup>4</sup>

სამუსიკო სასწავლებლის გახსნას ითხოვდნენ თელავშიც. სამუსიკო საზოგადოებამ 1919 წ. 24 მარტს განიხილა ეს საკითხი და დაადგინა ამ საქმის მოსაგვარებლად იქ ზ. ჩხიკვაძე გაეგზავნა, რომელმაც თავის მხრივ შესაძლებლად ჩათვალა ქალაქში სასწავლებლის დაარსება.<sup>5</sup> მალე თელავში მართლაც გაიხსნა სკოლა, რომელმაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

„სახალხო საქმე“ სამართლიანად მიიჩნევდა სკოლის გახსნას მნიშვნელოვან მოვლენად. სკოლის დირექტორად თბილისიდან ჩასული ზ. ჩხიკვაძე დაინიშნა. თბილისელი იყო მასწავლებელი ო. გარაყანიძეც. თელავში ცხოვრობდა ნ. სულხანიშვილიც. რომელიც დიდად ეხმარებოდა სასწავლებელს.<sup>6</sup>

19 ოქტომბერს თელავში გაიმართა სამუსიკო საზოგადოების განყოფილების კრება, რომელმაც სკოლის საქმიანობას მაღალი შეფა-

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 104

2 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1920 წ., № 33

3 იქვე, № 20

4 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 23

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 67, „ერთობა“, № 68

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 663

სება მისცა. კრების დადგენილებით, იმის გამო რომ სასწავლებელმა მრავალი ბავშვი მიიზიდა, აუცილებელი იყო მეორე სასწავლებლის მოწვევა.<sup>1</sup>

1920 წ. თბილისში სამუსიკო საზოგადოებამ მოისმინა თელავის სკოლის ანგარიში და მას ორი როიალი და ნოტები გადასცა საჩუქრად.<sup>2</sup> სკოლისადმი დახმარება ამით ამოიწურა. მას არც ხელისუფლების ორგანოები ეხმარებოდნენ. ბუნებრივია ამან სასწავლებელი მძიმე დღეში ჩააგდო და იგი დახურვის პირამდე მიიყვანა: ის ფაქტი, რომ იგი მაინც არსებობდა, უპირველეს ყოვლისა მისი დირექტორის ზ. ჩხიკვაძის დამსახურება იყო.<sup>3</sup>

1920 წ. სამუსიკო სასწავლებლები როგორც ზემოთ ვწერდით, სიღნაღსა და ხონშიც გაიხსნა.

კადრების მწვეავე დეფიციტის გამო, კიდევ უფრო რთული მოსაგვარებელი იყო სკოლებში მუსიკის სწავლების პრობლემა. ამ საკითხზე სერიოზული საუბარი იყო 18 მაისს გამართულ მუსიკალური საზოგადოების კრებაზე.<sup>4</sup> პრობლემის გადაჭრისადმი მთავრობის დამოკიდებულებაზე ძალზე კრიტიკული პოზიცია ეკავა ი. კარგარეთელს. მან „საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში „მუსიკის სწავლების საკითხი ქართულ სკოლებში“, მთავრობას ბრალი დასდო საშუალო სასწავლებლებში სიმღერა-გალობის თითქმის გაუქმებაში, რაც მხოლოდ I—II კლასებში იქნა დატოვებული. აქ ი. კარგარეთელი არ არის სწორი, რადგან მუსიკის სწავლება გიმნაზიათა გარკვეულ ნაწილშიც იყო შენარჩუნებული. ზოგჯერ იგი არ ისწავლებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ არ ჰყავდათ სასწავლებელი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სენაკის გიმნაზია, სადაც 1919 წ. დიდხანს ამაოდ ეძებდნენ სასწავლებელს. ი. კარგარეთელი ასაბუთებდა, რომ ეს იყო არასწორი ნაბიჯი „თუ რაიმე გაკეთდა, წერდა იგი, — გაკეთდა კერძო ინიციატივით... მთავრობა ქართულ სიმღერას სპობს ამით. მეშინია არა იმისი, რომ გაუქმდა სიმღერის სწავლა, არამედ იმისი, რომ ამ დადგენილებით მთავრობა დიდი ხნით გვაცილებს მუსიკის ჩვენს ცხოვრებაში შემოსვლას, რაც სატირალია“.<sup>5</sup>

1 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 667

2 იქვე, 1920 წ., № 735

3 იქვე, № 984

4 ვაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 102

5 იქვე, № 214

აღნიშნული პრობლემა არც 1920 წ. მოხსნილა დღის წესრიგი-დან და 18 ოქტომბერს გამართულ მუსიკალური საზოგადოების კრებაზე მოხსენებით „სიმღერა-გალობა“, დაწყებათ სკოლაში, როგორც სავალდებულო საგანი“, ი. კარგარეთელი გამოვიდა.<sup>1</sup> 25 ოქტომბერს კი საზოგადოებამ დისპუტი გამართა, სადაც მოხსენებით „სამასწავლებლო მეთოდი ელემენტარული მუსიკის ცოდნისა და სიმღერის დაყენება საშუალო სკოლაში“ ისევ ი. კარგარეთელი გამოვიდა. მომხსენებლის ოპონენტად დისპუტზე „მიზანი და მისი განხორციელება“ დ. არაყიშვილი გამოვიდა.<sup>2</sup>

ი. კარგარეთელმა თავისი მოსაზრებანი ქართულ სკოლაში მუსიკის სწავლების მდგომარეობაზე 1920 წ. გაზეთ „საქართველოშიც“ გამოაქვეყნა. იგი თვლიდა, რომ მუსიკა-სიმღერის იმ სახით შეტანა სასკოლო პროგრამებში; რა სახითაც ის ისწავლებოდა, მიუღებელი იყო. ის ხომ ფაქტიურად უარყოფილი და გამოძევების პირას იყო მისული. საჭირო იყო მეტი სისტემური მუშაობა, რათა ბავშვს სკოლაში კარგი განათლება მიეღო მუსიკის სფეროში. მათ არა მარტო მწერალთა, არამედ გამოჩენილ კომპოზიტორთა ბეთპოვენის, ვაგნერის, ვებერის, შუმანის, ჰაიდნის, ბახის, მოცარტის, შოპენის და სხვათა ბიოგრაფიებიც უნდა შეესწავლათ. ინტელიგენციამ ნაკლებად იცოდა სიმღერა და მუსიკა. არა და იგი სულით ამღლებასა და გაფაჩუბებას უწყობდა ხელს. „იმედია საქართველოში მუსიკა-სიმღერა შემოვა ცხოვრებაში არა როგორც ხელოვნება რჩეულთათვის, არა როგორც საშუალება ქეიფისა და გართობისა. არამედ ფრიად საყურადღებო ელემენტი მომავალი თაობის აღზრდისა და სოციალური ურთიერთობისა, ქართველი ხალხისა და საზოგადოების სულიერად გარდაქმნისა და გადახალისებისა“.<sup>3</sup>

სკოლებში მუსიკისა და სიმღერის სწავლების სასურველ დონეზე დასაყენებლად რა თქმა უნდა ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას. სწორედ ამას ითვალისწინებდა სამუსიკო საზოგადოება. როცა 1920 წ. იანვარში დაადგინა გამოცემულიყო ვ. თამარაშვილის „გალობის სახელმძღვანელო I დაწყებითი სკოლისა და საშუალო სასწავლებლის დაბალი კლასებისათვის“, დ. არაყიშვილის „ქართული სახალხო სი-

1 გაზ. „ერთობა“. 1920 წ., № 236

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 130

3 იქვე, № 44, 47

მღერები და ქართველთა კულტურა“ და დ. არაყიშვილისავე „მუსიკის ელემენტარული თეორია“.<sup>1</sup>

გარკვეული მუშაობა ტარდებოდა სხვა სახის მუსიკალური ლიტერატურის გამოცემისა და მუსიკის ისტორიის შესწავლის მიზნითაც. ასე მაგალითად, ვ. თამარაშვილმა დაწერა წიგნი „სკოლაში სახმარო სიმღერების კრებული“, რომლის გამოცემა სამუსიკო საზოგადოებამ ათავა.<sup>2</sup> საზოგადოებამ ასევე შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოეცა სიმღერების კრებული სახალხო სკოლებისათვის, იწერებოდა. მუსიკის თეორიული კურსიც.<sup>3</sup> ნაყოფიერად თანამშრომლობდა პრესაში ო. კარგარეთელი. მან სხვა მრავალ სტატიასთან ერთად, რომლებშიც მუსიკალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებოდა. „საქართველოში“ გაგრძელებებით დაბეჭდა ვრცელი წერილი, რომელშიც საუბარი მუსიკის თეორიაზე იყო.<sup>4</sup> მან ასევე დაწერა წიგნი მსოფლიოს ხალხთა და ქართულ მუსიკაზე, რომელიც მოწონებული იქნა, მაგრამ მისი გამოცემა ვერ მოახერხა ისტორიულმა საზოგადოებამ უფულობის გამო. ზ. ჩხიკვაძე მოუწოდებდა საზოგადოებას დახმარებოდნენ მის ავტორს წიგნის გამოცემაში.<sup>5</sup> გაზეთ „საქართველოში“ ასევე დაბეჭდა ე. თაყაიშვილის წერილი, რომელშიც იგი დახმარებას სთხოვდა მთავრობას ი. კარგარეთელის მეორე რეცენზირებულ წიგნის „ქართული მუსიკის ისტორიის“ გამოცემის დაფინანსებაში.

სერიოზულად დაიწყო ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლაც. ამ მიზნით თბილისის უნივერსიტეტში 1919 წ. გაიხსნა ქართული მუსიკის კათედრა, სადაც ლექტორად კ. ფოცხვერაშვილი მიიწვიეს. თუმცა ამ შესწავლას დიდი ხარვეზებიც ახლდა თან. „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. კარგარეთელის წერილი „ქართული მუსიკისათვის“, რომელშიც იგი წერდა, რომ არ მიმდინარეობდა ხალხური მუსიკის შესწავლა, არ შექმნილა ეროვნული სიმღერის ფორმა, სიმღერების, ღუეტების, ტრიოების და კვარტეტების ლიტერატურა, არ იწერებოდა საბავშვო სიმღერები, რომანსები და სიმფონიები. რა თქმა უნდა. აქ ი. კარგარეთელი აშკარად აჭარბებდა. რადგან იმისი თქმა, რომ თითქოსდა ასეთი მუშაობა არ მიმდინარეობდა, უსაძარტლობა

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 13

2 იქვე. 1919 წ., № 77

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 69, 80, 98

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 651

5 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 29

იყო. „შეგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც დ. არაყიშვილი და ნ. სულხანიშვილი, რომლებიც გ. ქუჩიშვილის ლექსებზე წერდნენ რომანებს. თ. შავერზაშვილი, რომელმაც ი. გრიშაშვილის ლექსზე შექმნა და გამოაქვეყნა რომანისი „ლურჯაში ხარ“,<sup>1</sup> უფრო მეტიც, სამუსიკო საზოგადოებისაგან თვით ი. კარგარეთელს ჰქონდა დავალებული სამუსიკო ალბომის შედგენა,<sup>2</sup> რა თქმა უნდა, სწორი იყო, ი. კარგარეთელი, როცა წერდა, რომ მხოლოდ ოპერების შექმნა არ იყო საკმარისი.<sup>3</sup>

ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურის აღმავლობის, მისი შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმისათვის საყურადღებო მოვლენა იყო ქუთაისში ახალი ჟურნალის „თეატრი და მუსიკის“ დაარსებაც, რომლის პირველი ნომერი 1919 წ. მარტში გამოვიდა ი. ასლანიშვილს რედაქტორობით. ჟურნალის გამომცემელიც ი. ასლანიშვილი იყო. ჟურნალი ჩაფიქრებული იყო, როგორც ხელოვნების ყოველთვიური ორგანო. საინტერესო გამოვიდა პირველი ნომერი მასში დაბეჭდილი იყო წინათქმა, ა. ფაღავას — სასცენო ხელოვნება ჩვენში, ა. ზალცმანის — შენიშვნები სცენის შესახებ, მ. ქორელის — ჩვენი სცენის დღევანდელი საჭიროება, მ. ბალანჩივაძის — ცოტა რამ სამუსიკო სასწავლებლის შესახებ ი. ასლანიშვილის — ახალი თეატრი ჩვენში, ლ. მაჭავარიანის — ქართული ოპერა, შ. აფხაძის — შენიშვნები თეატრის შესახებ, დ. არაყიშვილის და ზ. ფალიაშვილის ავტობიოგრაფიები, გ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ი. გრიშაშვილის, რ. გვეტაძის, დ. ჩიანელის, გ. ლუჩაშვილის, ი. მჭედლიშვილის და ჯ. ჯორჯიკიას ლექსები, ჩანახატები და სიტყვები, კ. ფოცხვერაშვილის ფოტოები, ქუთაისის დრამატული საზოგადოების წევრთა სია, მასალები ქუთაისის დრამატული თეატრის ცხოვრებაზე, წერილები და ინფორმაციები ხელოვნებაზე და სხვა.

ჟურნალმა მოწონება დაიმსახურა, თუმცა მასზე კრიტიკული რეცენზიაც გამოაქვეყნა „ჩვენმა ქვეყანამ“. ვინმე გულნარა მართალია აქებდა „თეატრსა და მუსიკას“, მაგრამ იმასაც წერდა, რომ იგი ერთფეროვანი და ნაჩქარევად გამოცემული იყო, რის გამოც ვერ ტოვებდა მოსალოდნელ შთაბეჭდილებას. სუსტადაა მიჩნეული ჟურნალ-

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 874

2 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 276

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 35

ლის პროზა და პოეზიაც ვ. გაფრინდაშვილის ლექსის „თეატრის ფარდის“ გარდა.<sup>1</sup>

1918—21 წლები ქართული მუსიკალური საზოგადოებისათვის მძიმე დანაკლისის წლებიც იყო. ამ წლებში გარდაცვლნენ ვ. დოლიძე, ნ. სულხანიშვილი, ახალგაზრდა მომღერლები დ. ლეჟავა, ე. აბაშიძე, მ. შავერზაშვილი, ი. იშხნელი და სხვები. სახლით დაავადდა და რამდენიმე ხნის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა გარდაცვალა ს. ინაშვილიც. უმრავლეს შემთხვევაში მათი სიკვდილის მიზეზი უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება იყო. მართალია შემოქმედებით ორგანიზაციები თავიანთი მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ცდილობდნენ დახმარებას, მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი. ასე მაგალითად, 1920 წ. 20 ივლისს სამუსიკო საზოგადოების კრებაზე დაადგინეს, რომ კომპოზიტორებსა და მუსიკოსებს სააგარაკო ბინები გამოყოფოდათ.<sup>2</sup> რაც შეეხება ხელისუფლებას, მისი ძალისხმევა და ზრუნვა ძირითადად სახელმწიფო საოპერო თეატრის (ე. ი. რუსული თეატრის — ა. ნ.) თანამშრომლებისაკენ იყო მიმართული, რაზეც ზემოთ ვწერდით უკვე.

ვ. დოლიძის გარდაცვალება ერთობ მოკრძალებით აღნიშნა პრესამ. უფრო ვრცლად აღინიშნა ი. იშხნელის გარდაცვალება, ხოლო ნ. სულხანიშვილის სიკვდილს, რომელიც 1919 წ. 3 დეკემბერს, 46 წლისა გარდაცვალა, არნახულად ფართოდ გამოეხმაურა მთელი საქართველო.

კომპოზიტორი 1919 წ. ოქტომბერში მოიწვიეს თბილისში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა კაპელას, შეუდგა რკინიგზის სამუსიკო საზოგადოებისა და სიმღერის გუნდის ჩამოყალიბებას და ოპერა „პატარა კახზე“ მუშაობს. გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთელს რესპუბლიკაში გამოცხადდა გლოვა და მ დეკემბრის ჩათვლით გადაიდო ყოველგვარი საკონცერტო ღონისძიებანი, თვით ეროვნული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პრემიერის ჩათვლით. გამოვიდა მისი დიდი სურათი, ჩატარდა პანაშვილები თბილისში, ქუთაისში, თელავში და სხვაგან. სამუსიკო საზოგადოებამ კომპოზიტორი 7 დეკემბერს დიდუბის პანთეონში დაკრძალა. მას ანდერძი ქაშუეთში თვით კათოლიკოსმა ლეონიდემ აუგო. დაკრძალვას უამრავი ხალხი, ხელისუფლების წარმომადგენლები და სტუმრები დაეს-

1 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 53

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 879

წრენ. 1920 წ. 13 იანვარს ოპერის თეატრში ნ. სულხანიშვილის გარდაცვალებიდან 40 დღისადმი მიძღვნილი საღამოც გადაიხადეს.

1920 წ. სამუსიკო საზოგადოებამ დაიწყო კომპოზიტორის ნაწერების შეგროვება, რათა ისინი წიგნად გამოეცა.<sup>1</sup> ამ გამოცემას კახეთის მევენახეთა ყრილობის დადგენილებით კოოპერატივი „კახეთი“ აფინანსებდა.<sup>2</sup>

მიუხედავად ყოველივე ამისა, პრესაში არაერთხელ დაიბეჭდა წერილები, თელავში კომპოზიტორის ოჯახის (დარჩა ოთხი შვილი და მეუღლე) უმძიმეს ეკონომიკურ გასაკვირზე.<sup>3</sup> მის შვილებს სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო სკოლაშიც კი არ შეეძლოთ სიარული.<sup>4</sup> სამუსიკო საზოგადოებამ მათ დასახმარებლად ოპერაში მოაწყო ნ. სულხანიშვილის საღამო და შემოსული თანხა მთლიანად მის ოჯახს გადასცა. რაც შეეხება ხელისუფლებას, მას ოჯახის დასახმარებლად არაფერი გაუკეთებია.

ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ აშკარად შეუწყო ხელი ათასგვარი საქმოსნების გააქტიურებასაც. რომლებიც არაფერს არ ზოგავდნენ, ოღონდაც ფული ეშოვნათ. სხვა დანაშაულობებთან ერთად. მასიურად დაიწყო ქვეყნიდან ისტორიული ღირებულების სიძველეთა, ხელოვნების ნიმუშების თუ მუსიკალური ინსტრუმენტების გატანა. პარლამენტის სახელოვნო კომისია იძულებული გახდა მთავრობისთვის ეთხოვა აეკრძალა საქართველოდან მუსიკალური ინსტრუმენტების გატანა.<sup>5</sup>

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 9

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 75

3 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 120

4 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 224

5 იქვე, № 219



## თავი მეხუთე

### სახვითი ხელოვნება

მხატვართა შემოქმედებით ცხოვრებას და ორგანიზაციულ საქმიანობას საქართველოში ძირითადად 1916 წ. დაარსებული ქართველ მხატვართა საზოგადოება წარმართავდა. ბუნებრივია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საზოგადოების ერთ-ერთა უპირველესი საზრუნავი მხატვართა შემოქმედებითი ცხოვრების ნაყოფიერად წარმართვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსება გახდა. 1920 წ. 29 იანვარს ეს მცდელობა წარმატებით დასრულდა და მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გალერეის დაარსების შესახებ, განსაზღვრა მისი შენობები და დამატკიცება რესპუბლიკის ეროვნულ კრებას სთხოვა.<sup>1</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გალერეის დაარსებისათვის პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ კიდევ 1919 წ. გადაიდგა, როცა 10 ოქტომბერს მთავრობამ განათლების მინისტრს 26 300 მ. გამოუყო დიდების ტაძრის ეროვნულ გალერეად გადაკეთებისათვის. მოგვიანებით ამ საქმისათვის კიდევ გამოიყო 71 000 მ.<sup>2</sup> ეროვნულმა კრებამ 1920 წ. 9 მარტს მართლაც განიხილა და 30 მარტს გამოსცა დეკრეტი 1 თებერვლიდან ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების თაობაზე. დეკრეტით დამტკიცდა მისი დებულება, ხარჯთაღრიცხვა და ოთხი საშტატო ერთეული, რომლისთვისაც 43780 მ. გამოიყო. ათი მუხლისაგან ჩამოყალბებულ დებულებაში გალერეის მიზნად განსაზღვრულია მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებების შეგროვება და დაცვა. რალა თქმა უნდა, უპირატესი ყურადღება ჯერ ქართულ და შემდეგ კი მეზობელ ხალხთა ძველი და ახალი ხელოვნების ნიმუშებს უნდა მიქცეოდა. გალარეასთან

1 გაზ. „ერთობა“. 1920 წ., № 32

2 იქვე, 1919 წ., № 237

უნდა შექმნილიყო წიგნსაცავი, შეეგროვებინათ ნახატების, გრა-  
ვიურების და რეპროდუქციების კოლექციები, სამხატვრო ჟურნა-  
ლები და ა. შ.

გალერეა დაუქვემდებარეს განათლების სამინისტროს. მას გა-  
ნაგებდა საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით.<sup>1</sup> გალერეის დი-  
რექტორად დაინიშნა მხატვარი დ. შევარდნაძე, რომელმაც ენერ-  
გიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. მან მაშინვე დაიწყო კერძო გალე-  
რეების შემოვლა, რათა მათში ეროვნული გალერეისათვის შესაძე-  
ნად სურათები შეერჩია.<sup>2</sup> კომისიის შემოწმების შემდეგ, ეს სურა-  
თები სექტემბერში გალერეაში გამოიფინებოდა.

როგორც უკვე ვნახეთ, 1920 წლამდე საქართველოში სურათე-  
ბის ეროვნული გალერეა არ არსებობდა, მაგრამ ეს სულაც არ ნი-  
შნავს იმას, რომ ამის გამო რესპუბლიკაში თითქოსდა საგამოფენო  
ცხოვრება ჩამკვდარი ყოფილიყო. ამის ნათელი დადასტურებაა ის  
საინტერესო გამოფენები, რომლებიც 1918 წლას შაისიდან. გა-  
ლერეის გახსნამდე, ჩატარდა საქართველოში.

პირველი ასეთი გამოფენა 1918 წ. 7 ივლისს გაიხსნა. მისი  
ორგანიზატორი იყო თბილისში გამომავალი ჟურნალი „ARS“,  
რომელმაც თავის დარბაზში ახალგაზრდა ლ. გუდიაშვილისა და  
ა. ბაბუხუჯი-მელიქოვის 100 ნახატი გამოფინა.<sup>3</sup> საყურადღებოა  
ისიც, რომ მთავრობამ გამოფენაზე წარმოდგენილი ლ. გუდიაშვი-  
ლის ორი ნახატი „მერანი“ და „პირიმზე“ შეისყიდა მომავალი  
ეროვნული გალერეისათვის.

შემოქმედებითი ინტელაგენციის ცხოვრებაში ძალზე დიდი  
მნიშვნელობის მოვლენა იყო 1919 წ. მაისში დიდების ტაძარში.  
ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილი პირველი  
გამოფენა „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება“,<sup>4</sup>  
რომელზეც ნახატება 25 აპრილამდე მიიღებოდა. აღსანიშნავია,  
რომ გამოფენის ორგანიზატორებს მთავრობამ 10 000 მ. გამოუყო.<sup>5</sup>  
გამოფენა 4 მაისს გაიხსნა და იგი 4 ივნისამდე გაგრძელდა. ქარ-  
თველ მხატვართა შემოქმედებისადმი მთავრობის ყურადღების და-

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 83

2 ვაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 159

3 ვაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 130

4 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 87

5 იქვე, № 95

მადასტურებელია ისიც, რომ სახელმწიფომ 100 000 მ. გამოჰყრ გამოფენაზე წარმოდგენილი ქართველი მხატვრების გამორჩეული ნამუშევრების შესაძენად,<sup>1</sup> ხოლო ხელოვნების კომისიას იმავე მიზნით 30 000 მ. მიეცა,<sup>2</sup> გამოფენისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მიუთითებს ისაც, რომ მის გახსნას მთავრობის, დამფუძნებელი კრების, ინტელიგენციის და უცხო სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. გამოფენა მხოლოდ პირველ დღეს 2 000-მდე კაცმა დაათვალიერა.<sup>3</sup>

გამოფენამ მნახველებისა და სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიპყრო, რომელთა შორის ბევრი არაქართველიც იყო. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ დროის ცნობილი ხელოვანის, თ. გარტმანის მიერ გამოფენისადმი გამოჩენილი ინტერესი, რომელმაც ამ მოვლენას არა ერთი მაღალპროფესიული წერილი მიუძღვნა ქართულ პრესაში. მან გაზეთ „ერთობაში“ (ტ. გარტმანი „ერთობის“ დავალებით სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ხელოვნების პრობლემებზე ამ გაზეთში) დაბეჭდა ერთგვერდიანი რეცენზია „ქართველ მხატვართა გამოფენა. ფიროსმანიშვილი“, რომელშიც უზარმაზარი შეფასება აქვს მიცემული მხატვრის შემოქმედებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს 1919 წელია და ნიკო ფიროსმანი ჯერ კიდევ უცნობია არა თუ ხალხსათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც კი. და აი ამ დროს, თ. გარტმანი მას უწოდებს გენიალურს და თვლის, რომ მისი „შემოქმედების საყოველთაო ცნობის ხანა ახლოვდება ყოველი საათით“. „მე მტკაცედ მწამს, — წერს იგი, რომ ცხრა მთას იქეთ აღარ არის ფიროსმანიშვილის საერთო ცნობაც, მისი სახელის განთქმაც საყოველთაოდ“. თ. გარტმანი მკითხველს აცნობს მხატვრის ბიოგრაფიას და დეტალურად საუბრობს გამოფენაზე წარმოდგენილ მის ყოველ ნახატზე. ბრწყინვალედაა შეფასებული რა ნატურმორტები, მხატვარი ელ გრეკოსთანაა შედარებული, ხოლო მისი აზრით ცხენს ფიროსმანიშვილი მატისზე უკეთ ხატავს. სტატაის ავტორი სამართლიანად წერს, რომ მხატვარი თავისი შემოქმედებით ქართული სულის გამომხატველია.<sup>4</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 100

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 243

3 იქვე, № 98

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 110

იმევე გაზეთში, მალე თ. გარტმანის მეორე დიდი წერილიც დაიბეჭდა — „ქართველ მხატვართა გამოფენა“, რომელშიც გამოფენაზე წარმოდგენილი სხვა მხატვრების ნამუშევრებია შეფასებული. დიდი შეფასება აქვს მიცემული ა. მრეველიშვილის ნახატებს „მეფე ერეკლე კრწანისის შემდეგ“, „მონები“, „მცხეთის ტაძარი“ და „გაზაფხული“, რომელთაგან ბოლო ორი მთავრობამ შეისყიდა ეროვნული გალერეისათვის. ასევე კარგადაა შეფასებული ა. სიღამონ-ერისთავის „კრწანისის ბრძოლა“, „კრწანისი“, „სააკაძე“, „შურისმაძიებელი“, „გაზაფხული“, „შიკრიკი ხევსურეთში“, „პეიზაჟები“ და „არმაზი“. ამათგან მთავრობამ „გაზაფხული“ შეისყიდა. ასევე მოწონებულია ა. ჯორჯაძის ნახატებიც. (მას რემპრანდტსაც კი აღარებს), რომლის ავტობორტრეტი მთავრობამ შეისყიდა და ი. ქიქოძე, რომლის „ი. წერეთლის პორტრეტი“ ასევე შეისყიდა მთავრობამ. განსაკუთრებით მაღალი შეფასება აქვს მიცემული დ. კაკაბაძეს. მხატვარი მიჩნეულია იმერეთის მომღერლად. „იგი მშობელ ქვეყანას არა წმინდა რეალისტურად გამოხატავს — წერს თ. გარტმანი, არამედ ცდილობს გამოაშკაროს იმერეთის პეიზაჟის დამახასიათებელი თვისებები“. ასევე მოწონებულია მისი ნახატები ძველ თბილისზეც. მთავრობამ დ. კაკაბაძის ნატურმორტები და იმერეთსა და ძველ თბილისზე შესრულებული ნახატებაც შეიძინა. კარგადაა შეფასებული გ. გაბაშვილი და მ. თოიძეც. რომლის „ორი ნოქტიურნი“ და „საქმრო“ მთავრობამ შეიძინა.

თ. გარტმანს მხედველობიდან არ გამოორჩენია გამოფენის 15 წლის მონაწილე ი. თოიძეც, რომელსაც იგი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. განსაკუთრებით მოწონებულაა მისი „სამშობლოსათვის“. ი. თოიძის რამდენიმე ნახატი მთავრობამ შეიძინა.

დიდ ადგილს უთმობს თ. გარტმანი თავის წერილში ახალგაზრდა ლ. გუდიაშვილს და მიაჩნია რა იგი ნოვატორად და ახალი მიმართულების წარმომადგენლად. მას დიდ მხატვრად მიიჩნევს. ლ. გუდიაშვილმა მოიარა თორთუმისა და ისპირის ხეობების ქართული მონასტრები და მათგან ფრესკები გადმოიღო. ყოველივე ამან მხატვარზე დიდი შინაგანი გავლენა მოახდინა, რაც იგრძნობა კიდევ მის ნახატებში „პირიმზისა“, „ცისანა“, „დღეობა“, „თბილისის პოენა“ და ა. შ. ლ. გუდიაშვილი რეცენზენტს ნ. ფიროსმანიშვილის მიმღევრად მიაჩნია ზოგიერთ ნამუშევარში. მაგალითად

„ქეიფი ედემის ბაღში“ და „ქეიფი სარდაფში“. ლ. გუდიაშვილის ოთხი ნახატი „მერანი“, „პირიმზისა“, „დღეობა“ და „ქეიფი სარდაფში“ მთავრობამ შეისყიდა. დადებითი შეფასება აქვთ მიცემული ე. ახვლედიანს (რომლის „თელავი“ მთავრობამ იყიდა), ე. თაყაძეს (მისი ნახატიც შეიძინა მთავრობამ) და ი. ნიკოლაძესაც.

თ. გარტმანს შეუფასებელი არც გამოფენაზე წარმოდგენილი მოქანდაკეები დაუტოვებია და განსაკუთრებით იწონებს ი. ნიკოლაძისა (მისი „აკაკი“ და „სალომე“ შეისყიდა მთავრობამ) და ი. ბილანიშვილის ნამუშევრებს.

წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მთავრობას დაეჩქარებინა თანამედროვე მხატვრობის მუზეუმის გახსნა.<sup>1</sup>

გამოფენას დ. კაკაბაძეც შეეხო და მან მაღალი შეფასება მისცა ფიროსმანის, მ. თოიძის, ა. მრეველიშვილის, შ. ქიქოძის, ლ. გუდიაშვილის, ი. თოიძის, გ. გაბაშვილის, თ. თავაძის, ე. ახვლედიანის და ი. ნიკოლაძის ნამუშევრებს, ხოლო უარყოფითადაა შეფასებული ვ. სიღამონ-ერისთავისა და ვ. ჯორჯაძის ნახატები.<sup>2</sup>

გამოფენას გაზეთ „საქართველოში“ გ. რობაქიძეც გამოეხმაურა ერთგვერდიანი წერილით. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ლ. გუდიაშვილს, თუმცა მისი შესრულებული და გამოფენაზე წარმოდგენილი პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ტაბაძის და გ. რობაქიძის პორტრეტები სუსტად მიაჩნია. ლ. გუდიაშვილს გ. რობაქიძე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ასევე კარგადაა შეფასებული დ. კაკაბაძე, ი. თოიძე და ი. ნიკოლაძეც. მართალია გ. რობაქიძეს მ. თოიძე ნიჭიერ მხატვრად კი მიაჩნია, თუმცა გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ნახატები მკაცრად აქვს გაკრიტიკებული. განსაკუთრებით ჩერდება იგა ნ. ფიროსმანზე. რომელსაც უნიჭიერეს მხატვრად მიიჩნევს.<sup>3</sup>

საგანგებო წერილი დაწერა ქართულ გამოფენაზე ს. სულეიკინმაც (თარგმნა ტ. ტაბიძემ). იგი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ლ. გუდიაშვილსა და ფიროსმანს, აქვებს მ. თოიძეს, დ. კაკაბაძეს და ი. ნიკოლაძეს, ხოლო აკრიტიკებს ვ. სიღამონ-ერისთავის ნახატებს.<sup>4</sup>

ვრცელი შეფასება მისცა მხატვართა გამოფენას გაზეთმა „სა-

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 119

2 ჟურნ. „შვიდი მნათობი“, 1919 წ., № 1

3 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 99

4 იქვე, № 115

ხალხო საქმედაც“. მასში გაგრძელებებით დაიბეჭდა ვ. კოტეტი-  
შვილის სტატია „სურათთა ხეივანებში“. მხატვრობაზე ზოგადი  
მსჯელობის შემდეგ ავტორი აღნიშნავს ჩვენს ჩამორჩენილობას ამ  
სფეროში და ევროპისაგან მოწყვეტას. შემდეგ ის ძალზე მაღალ  
შეფასებას აძლევს ლ. გუდიაშვილსა და დ. კაკაბაძეს და აღნიშნავს,  
რომ ამ გამოფენამ ნათლად აჩვენა ქართველი ერის შემოქმედებითი  
სიძლიერე. ვ. კოტეტიშვილი ქართულ გამოფენას სომეხ მხატვარ-  
თა გამოფენას ადარებს და წერს, რომ მათი შედარებაც კი არ შე-  
იძლებოდა. თუ სომხურ გამოფენაზე იყო ერთფეროვნება, დილე-  
ტანტიზმი და არ იყო ძიება, ორიგინალურობა და ეროვნული იერი,  
ამ მხრივ ქართული გამოფენა მკვეთრად განსხვავდებოდა მისგან.  
აქ ყოველი მხატვარი თავისებურია, მართალია ზოგიერთ მათგანს  
ეტყობა უცხო გავლენაც, მაგრამ იგი „გადამწვარი საკუთარი  
ცეცხლათ“. მაღალი შეფასება აქვს მიცემული. ვ. სიდამონ-ერის-  
თავს, მ. თოიძეს, ა. მრევლიშვილს, შ. ქიქოძეს, ე. ახვლედიანს,  
თ. თავაძეს და ი. თოიძეს.<sup>1</sup>

იმავე გაზეთში გამოფენაზე თავისი შთაბეჭდილებები გამო-  
აქვეყნა ვ. გარიკმაც. თუ აქამდე გამოფენის თაობაზე მხოლოდ და-  
დებითი გამოხმაურებები იბეჭდებოდა, ვ. გარიკი ამ მხრივ გამო-  
ჩაყლისია. მას ჩვენი მხატვრობა ფუტურისმითა და კუბიზმით წა-  
ლეკილი ეჩვენება. იგი ფუტურისტად მიიჩნევს ლ. გუდიაშვილსაც  
და თვლიდა, რომ ის არ ადგა სწორ გზას. ვ. გარიკს ლ. გუდიაშვი-  
ლის „როსკიპი“ მიაჩნია ავბორტობად, „ცისანა“ ელეგური ტო-  
ნით დამძიმებულად, ხოლო მთლიანად გუდიაშვილის ფორმა ყალ-  
ბად. ასევე ფუტურისტად მიიჩნევს ფიროსმანს და მისი „აღდგომის  
ბატკანი“ და „ირემა“ მიაჩნია მშრალი სტრუქტურის კუბიზმად.  
მათში ვ. გარიკის აზრით დარღვეულია სიმეტრია და პროპორცია,  
ხოლო ჰარმონიულ გამომეტყველებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტ  
იყო. ასეთად მიაჩნია მას მისი სხვა ნახატებიც. რაც შეეხება „ქორ-  
წალი კახეთში“, ეს შეზღვევაა, საღებავებითაა გადატვირთული და  
სხვა არაფერი. ფიროსმანი მას გუდიაშვილის ღვიძლ ძმად მიაჩ-  
ნია მხატვრობაში (ამ მიხვედრას ნამდვილად ვერ დაუწუნებს კა-  
ცი ვ. გარიკს).

შემდეგ ვ. გარიკი ჯერ ლანძღავს მ. და ი. თოიძეებს, ხოლო  
ცოტა ქვემოთ კი აქებს იგივე ი. თოიძეს. ასევე აქებს იგი დ. კაკა-

<sup>1</sup> ვ. გ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 517, 521

ბაძეს, ი. ნიკოლაძეს, ვ. სიღამონ-ერისთავს და ა. მრეველიშვილს, ხოლო ბოლოს დაასკვნის, რომ გამოფენამ აღფრთოვანების ნაცვლად ფრთებმოკვეცილი და გულჩათხრობილი დასტოვა იგი.<sup>1</sup>

ყოველივე ამის შემდეგ ძნელია დაეთანხმო გ. მესხს, რომელიც თვლიდა, რომ „დღემდე არ გვაქვს მხატვრული კრიტიკა. არ გვაქვს შესწავლილი და განხილული ქართული მხატვრობის ღირებულება, მისი ღირსებანი“.<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, მხატვრობის თაობაზე იწერებოდა წერილები, რეცენზიები, ხდებოდა ცალკეულ ნამუშევართა შეფასება, იყო აზრთა მკვეთრი დაპარისპირებებიც და ა. შ. ნამდვილად შეიძლება იმისი ხაზგასმა, რომ ყოველივე ეს არ იყო საკმარისი და ამაღლებას საჭიროებდა კრიტიკის პროფესიული დონე, მაგრამ კრიტიკის სრულიად უქონლობაზე საუბარი ვფიქრობთ ზედმეტა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 4 ივნისს გამოფენა დაიხურა, ხოლო 8-ში მხატვართა სურათების აუქციონი გაიმართა.<sup>3</sup>

1919 წ. მ. თოიძემ ერთ მეტად მნიშვნელოვან სიახლეს ჩაუყარა საფუძველი. მან გადაწყვიტა ქართველ მხატვართა მოძრავი გამოფენის მოწყობა, რომელსაც თბალისიდან ქუთაისში, გორში, ბორჯომში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში ჩაიტანდა.<sup>4</sup> მალე მ. თოიძემ ქართველ მხატვართა გამგეობის დავალებით, შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით, რათა მოძრავი გამოფენისათვის ვაგონი გამოეყოთ.<sup>5</sup> მთავრობამ მოიწონა მ. თოიძის ინიციატივა და 14 ივლისს მას ვაგონი და 10 000 მ. გამოუყო. ივლის-აგვისტოში გამოფენა უკვე ეწვია ქუთაისს (რვა დღით), ბათუმს, გორს, სურამს, ახალსენაკს, ფოთსა და ბორჯომს.<sup>6</sup> გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ ფიროსმანი, ლ. გულაშვილი, დ. კაკაბაძე, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, ი. თოიძე და ყოველი ქალაქის მკვიდრი მხატვრები სულ 7 000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

1919 წ. თბილისში კადევ ერთი საინტერესო გამოფენა „პატარა წრე“ მოეწყო, სადაც უმეტესად არაქართველი მხატვრები იყვნენ წარმოდგენილნი. ქართველ ხელოვანთაგან აქ მხოლოდ ლ. გულა-

1 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 531

2 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 187

3 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 125

4 იქვე № 128

5 ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 548

6 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 158, 187

შვილის ნამუშევრები იყო გამოფენილი. მიმოიხილავდა რა თ. გარტმანი ამ გამოფენას, ზგი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ს. სულდვიკინის, ს. სორინის (ორთავე საგანგებოდ ჩამოვიდნენ პეტერბურგიდან), ს. ზალცმანის, ი. ფოგელის, ლ. ლანსერეს, ლ. ვალიშევსკის, ა. ბაბუხუქ-მელიქოვის, კარიკოვის, ფლორენსკაიას, რუბენის, ევსეევას ნახატებს, აგრეთვე ხუროთმოძღვარ კალაშნიკოვის და გრაფიკოს შარლემანის ნამუშევრებს. თ. გარტმანი განსაკუთრებული სინანულით აღნიშნავს, რომ გამოფენაში არ მონაწილეობდა ნიჟიერი ხელოვანი კ. ზდანიევიჩი, რომელმაც გარდასაკუთარი ნიჟიერებისა, იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ შეიძინა ნ. ფიროსმანიშვილის მრავალი ნახატი და ამით ისინი დალუპვას გადაარჩინა.<sup>1</sup>

ქართველ მხატვართა საზოგადოებამ 1919 წ. შემოდგომაზე კიდევ ერთი ახალი გამოფენის ორგანიზაცია იყისრა — საქართველოში მცხოვრები ყველა ერის მხატვრებისა,<sup>2</sup> რომლის მომწყობი კომისიის თავმჯდომარეობა შ. ქიქოძეს, ხოლო მდივნობა დ. შევარდნაძეს დაევალა.<sup>3</sup>

გამოფენა დიდების ტაძარში 12 დეკემბერს გაიხსნა. მასზე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების 39 მხატვრის 400 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომლებიც მიმართულებების მიხედვით სამ განყოფილებად იყვნენ დაჯგუფებულნი — მარცხენა ფრთა, ცენტრი და მარჯვენა ფრთა. ცალკე იყო წარმოდგენილი ნ. ფიროსმანიშვილი.<sup>4</sup>

საგამოფენო საქმიანობა ახალი ძალით გაიშალა 1920 წ. და მისში ეროვნულ გალერეაში გახსნაღმა გამოფენამ 11 ივლისამდე გასტანა. მისშივე გაიხსნა „მცირე წრის“ სურათების მესამე გამოფენა, რომელშიც მცირე წრის წევრები და მემარცხენეთა ჯგუფი მონაწილეობდა.<sup>5</sup> ივნისში კი გალერეაში სურათების ინტერნაციონალური გამოფენაც მოეწყო.<sup>6</sup>

ეროვნულ სამხატვრო გალერეაში დეკემბერში მოეწყო ძველი

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 128

2 იქვე, № 251

3 იქვე, № 256

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 280, 292

5 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 114

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 843



მხატვრების სურათების გამოფენა.<sup>1</sup> სადაც გამოფენილი იყო ძველი ქართული, სპარსული და ევროპული მხატვრობის ნიმუშები XVI ს-დან XIX საუკუნემდე. ნახატები სამ ჯგუფად იყო დაყოფილი. I. ქართული; სპარსული და ადგილობრივი მხატვრობა, II. დასავლეთ ევროპის მხატვრები და III. ფრანგული ჩუქურთმა და ნახატები. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ვინმე „მან-კაცის“ წერილი, რომელშიც გამოფენას მაღალი შეფასება აქვს მიცემული, თუმცა მკაცრად დაწუნებული XIX ს. ადგილობრივი და ქართული მხატვრობა.<sup>2</sup> საყურადღებოა ისიც, რომ თბილისში ჩამოიტანეს მიუნხენელი მხატვრის სურათი „გოლგოთა“ 25 აპრილს დიდების ტაძარში საისტორიო და ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამაც გახსნა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების გამოფენა, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.<sup>4</sup>

სამხატვრო გალერეის გარდა ამ წელს გამოფენებაც სხვაგანაც მოეწყო. მაგალითად, მარტში ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენა ქართულ კლუბში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ე. ახვლედიანი. ი. შავიშვილი, ა. ბეგთაბეგაშვილი და სხვები. გამოფენა გორის მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ გაიმართა და მის გახსნას ტ. ტაბიძე და ო. თუმანიანი ესწრებოდნენ.<sup>5</sup>

საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ თბილისში მცხოვრები სომეხი მხატვრებიც, რომელთა შემოქმედებაში ქართული თემატიკაც იყო. ასე მაგალითად, 1918 წ. სომეხთა სამხატვრო-სახელოვნო სალონმა თავისი სეზონი საქართველოზე მიძღვნილი საღამოთი გახსნა.<sup>6</sup> 1919 წ. 6 აპრილს კი თბილისში გაიხსნა სომეხ მხატვართა გამოფენა,<sup>7</sup> ხოლო წარმოშობით სიღნაღელმა ბაშიჩალიანმა ფატმანას სახის შექმნით „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების დასურათება დაიწყო.<sup>8</sup>

საქართველოს ხელისუფლებამ მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მაინც გამონახა საშუალება და საგრძნობი თანხა

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 217

2 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 118

3 ჩქვე

4 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 810, ჟურნ. „მომავალი“, 1920 წ., № 1

5 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 10

6 ჩქვე. 1918 წ., № 14

7 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 78

8 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 653

19. ამირან ნიკოლეიშვილი

გამოჰყო გამოფენაზე წარმოდგენილი სომეხი მხატვრების საუკეთესო ნამუშევრების მუზეუმისათვის შესაძენად.<sup>1</sup>

1920 წ. ქართველი მხატვრები პირველად გასცდნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და იტალიაში ქართული გამოფენა გაიმართა.<sup>2</sup> ზოლო მხატვარი დ. შერვაშიძე ლონდონში დიაგილოვსა და რერიხთან პიესების გასაფორმებლად მიიწვიეს.<sup>3</sup> 1920 წ. პარიზშიც მოეწყო ქართველი მხატვრის, ლ. გუდიაშვილის ოთხი სურათის, — „ქართული დილის“, „ქეიფი განთიადისას“, „ქალთან ქეიფას“ და „კინტოს“ გამოფენა. ამ ფაქტს ინგლისურმა გაზეთმა „ნიუორკ პერალდიმ“ საგანგებო წერილი მიუძღვნა და ნახატებს მაღალი შეფასება მისცა. ესპანელმა მხატვარმა, სულუაგამ კი, ორი ნახატი მადრიდის ეროვნული გალერეისათვის შეიძინა.<sup>4</sup>

მხატვართა გამოფენები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც ეწყობოდა. ასე მაგალითად, 1919 წ. ივნისში მხატვართა გამოფენა ქუთაისში, სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბში მოეწყო.<sup>5</sup> მას საემაოდ მაღალი შეფასება მისცა გ. მესხმა გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“.<sup>6</sup> გამოფენა 1920 წ. ქ. ფოთშიც მოეწყო, სადაც მხატვარ დელპერის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.<sup>7</sup>

1921 წ. 14 იანვარს მ. თოიძის მოძრავი გამოფენა ბათუმს ეწვია და აქ მხატვართა ნამუშევრები სამ განყოფილებად იქნა წარმოდგენილი — 1. ქართველ მხატვართა ნაწარმოებები, 2. მეზობელ ერთა და ევროპის ხელოვნების ნიმუშები და 3. პლაკატები და კარაქატურები თანამედროვე პოლიტიკაზე.<sup>8</sup> 17 იანვარს გამოფენამ ბათუმის საქალაქო საბჭოში გადაინაცვლა. საყურადღებოა იმისა აღნიშვნაც, რომ გამოფენაზე მოსწავლეებსა და მუშებს დაბალფასიანი ბალებებით უშვებდნენ.<sup>9</sup> განზრახული იყო გამოფენას სხვა ქალაქებიც მოეწვლო, მაგრამ ქვეყანაში წითელი ინტერვენციის დაწყებამ, სამწუხაროდ, იგი ჩაშალა.

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 162

2 იქვე, № 7

3 იქვე, 1920 წ., № 30

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 1

5 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 130

6 იქვე, № 131

7 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 166

8 იქვე, 1921 წ., № 5

9 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 14

გარდა მხატვართა გამოფენებისა, 1919 წ. სხვა სახის გამოფენაც ეწყობოდა. მაგალითად, თბილისის ქალთა საოსტატო სემიარიაში მოეწყო მოსწავლეთა ნახატებისა და ხელგარჯილობის ნიუშების გამოფენა,<sup>1</sup> კაჩუნის აბრეშუმით ნაქარგი მხატვრული სუათების გამოფენა,<sup>2</sup> სამხატვროსახელოსნო სკოლის მოსწავლეთა მუშევრების გამოფენა,<sup>3</sup> თამარ მეფის სახელობის ქალთა სემინარის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა.<sup>4</sup> ნაქარგების, სვეტიცხოვობასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ნაქსოვებისა და ქაშანღრის მოფენა,<sup>5</sup> თელავში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოწაფეთა ნაშევრების გამოფენა-გაყიდვა<sup>6</sup> და ა. შ.

საგამოფენო საქმიანობის გარდა, მხატვრობის პროპაგანდა სხვა შუალელებითაც ხდებოდა. მაგალითად, ქართულ კლუბში 1918 წ. იმართა ხელოსან-მხატვართა საღამოები.<sup>7</sup> 1919 წ. 7 ივნისს კონრატორიაში მხატვართა საღამო, სადაც მოხსენებით „თანამედოვე მხატვრობის გზები“ გამოვიდა დ. კაკაბაძე, ხოლო სიტყვეთ გ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე და პეტერბურგელი მხატვრები ს. სუიკინი და ს. სორინი.<sup>8</sup>

მწერალთა და მხატვართა შემოქმედებითი მეგობრობის საუთესრ მაგალითი ისიც იყო, რომ 1919 წ., როცა მწერალთა კავრს გადაეცა რესტორანი „ანონა“ და გადაწყდა იგი კლუბად გაეკეთებინათ, მისი მოხატვა ლ. გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ და სუდეიკინმა დააწყეს.<sup>9</sup>

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდნენ მხატვები, ქუთაისშიც, სადაც 1919 წ. დაარსდა სამხატვრო საზოგადოა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ს. ასლანიშვილს ივნისში გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდა წერილი, რომეშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისში კულტურული ცხოვრება აღლობის გზაზე იდგა. მოქმედებდა ბევრი კულტურული დაწესე-

გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 122

იქვე, № 226

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 2

იქვე, № 126

გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 218

გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 222

გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 127

გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 122

გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 224, 228

ბულება, მაგრამ ბოლო პერიოდამდე ნადაგი არ იყო მზად სამხატვრო საზოგადოების შესაქმნელად. ბოლო ერთ წელიწადში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ძალები და გასულ წელს დაიწყო კიდევ სამხატვრო სტუდია, თუმცა იგი მალე დაიშალა. 1919 წ. სტუდია აღსდგა, რასაც თან მოჰყვა 10 იენაის დამფუძნებელი კრების გამართვა, რომელსაც 40 მხატვარი, პოეტი და მუსიკოსი ესწრებოდა. კრებას ჯ. ჯორჯიკია ხელმძღვანელობდა. მოხსენებით გამოვიდნენ ტრ. ჯაფარიძე და მ. შევარდნაძე. კრებაზე შეიქმნა სამხატვრო საზოგადოება, რომლის პირველ თავმჯდომარედ მწერალი დავით კლდიაშვილი აირჩიეს.<sup>1</sup> მალე ამ საზოგადოებას ქართველ ხელოვანთა საზოგადოება ეწოდა.<sup>2</sup> ამავე წელს ქუთაისში ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფიც შეიქმნა,<sup>3</sup> რომლებმაც „ჩვენი ქვეყნის“ 84-ე ნომერში გამოაქვეყნეს განცხადება თავიანთი ყოველთვიური ჟურნალ „ხელოვნების“ დაარსების თაობაზე.

ქალაქში მხატვართა საზოგადოების ჩამოყალიბებამ, როგორც ამას მხატვარი გ. მესხი წერდა გაზეთ „ხალხის მეგობარში“, გამოაცოცხლა ხელოვნების ეს დარგი. წერილის ავტორს აუცილებლად მოაჩნდა ქუთაისში სამხატვრო გალერეაც დაარსებულად. გ. მესხი წუხდა, რომ სექტემბრიდან სტუდიას არ ჰქონდა ბინა. მართალია დაპირებები კი იყო, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობა პრაქტიკულად ამ საკითხს ვერ აგვარებდა.<sup>4</sup> ამ გასაჭირის თაობაზე ქართველ მხატვართა საზოგადოებამაც გაუგზავნა თხოვნა ქუთაისის ქალაქის მმართველობას, რათა იქ დაარსებულ ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფს ბინით დახმარებოდნენ.<sup>5</sup>

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიული სამხატვრო სასწავლებლების დაარსებასაც, რომელიც იმჟამად საქართველოში მხოლოდ დაწყებითი ფორმით თუ იყო წარმოდგენილი. მართალია, მთავრობამ თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მიიწვევს გაგზავნა სასწავლებლად 1920 წ. ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე პარიზში, ხოლო ლ. ციციქიშვილი იტალიაში,<sup>6</sup> მაგრამ ეს სრულიად არ იყო საკმარისი.

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 559

2 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1919 წ., № 141

3 გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 75

4 გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 7

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 81

6 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 1, „სახალხო საქმე“, 1920 წ. № 921

1919 წ. საქართველოში დაწყებითი სამხატვრო სასწავლებლები ძალზე ცოტა იყო. ერთ-ერთი მათგანი იყო ქალთა სამხატვრო-სახელოსნო კერძო სასწავლებელი, რომელიც ეკონომიურად ძალზე მძიმე დღეში იმყოფებოდა. სასწავლებლის მხრიდან დაისვა საკითხი მისი სახელმწიფო სასწავლებლად გადაკეთების თაობაზე, რაც მთავრობამ შესაძლებლად ჩათვალა და იგი სახელმწიფო სკოლად გადააკეთა.<sup>1</sup>

ასევე უჭირდა ეკონომიურად განათლების საზოგადოების სამხატვრო-სახელოსნო სკოლასაც, სადაც ხელსაქმესაც ასწავლიდნენ.<sup>2</sup>

1920 წ. ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა წერილი „1919 წ. ხელოვნება“, რომელშიც გარკვეულწილად შეჯამებულია წინა წლის შედეგები და აღნიშნულია, რომ „პროგრესია მხატვრობაში. იყო ორი გამოფენა. გამოიკვეთა ნიჭიერები. მძიმედ მიდის ქანდაკება. ნიკოლაძე და ჭიაურელი ჩანს მარტო. საჭიროა დაარსდეს სასწავლებელი.“<sup>3</sup> სამხატვრო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობაზე სხვა დროსაც არაერთხელ აღნიშნულა პრესაში. მაგალითად, ს. წერეთელი ეხება რა ქართველ მხატვართა საზოგადოების 1920 წ. გამართულ მესამე გამოფენას და დადებითად აფასებს ფიროსმანის, ი. ნიკოლაძის, დ. გველესიანის, ვ. ჯორჯაძის, გ. მესხის და მოქანდაკე შ. გონგაძის ნამუშევრებს, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამხატვრო აკადემიის დაარსების აუცილებლობას.<sup>4</sup>

ცალკე უნდა შევეხოთ სკოლებში ხატვის სწავლების მდგომარეობას.

სასკოლო დაწესებულებებში ხატვის სწავლება ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. პერიოდულ პრესაში სერიოზული საუბრები მიმდინარეობდა ამის თაობაზე და მიიჩნევდნენ, რომ ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოგვარებულიყო. ამ პრობლემის შესახებ 1919 წ. გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომელშიც თელავის გიმნაზიებზეა საუბარი. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლებში ხატვის, ხაზვის, ძერწვის, გამოჭრის და ხელსაქმის სწავლებას. თელავის ვაჟთა გიმნაზიაში ხატ-

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 131, „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 552

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 238

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., № 1

4 იქვე, № 26

ვას ცნობილი მხატვარი ლ. სიღამონ-ერისთავი ასწავლიდა, რომელმაც ბევრ ახალგაზრდას შეაყვარა ეს ხელოვნება.<sup>1</sup>

აღნიშნულ პრობლემას შეეხო ქუთაისელი მხატვარი გ. მესხი ც გაზეთ „ხალხის მეგობარში“ 1920 წ. „ხატვა-ხაზვა და ხელგარჯილობა ქართულ სკოლაში“ და მისი მოგვარება სასწრაფო საქმედ მიიჩნია,<sup>2</sup> იგივე პრობლემას გ. მესხი მეორე წერილშიც „ქართული მხატვრობა“ შეეხო. მართალია, მისი აზრით ბოლო დროს გამოცოცხლება სუფევდა ხელოვნებაში, დასახული იყო დიდი მიზნები, მაგრამ აუცილებლობა მოითხოვდა სკოლებში დიდი ყურადღება მიქცეოდა ხატვის სწავლებას. ასევე უნდა დაარსებულყო სამხატვრო სკოლები და სამხატვრო სასწავლებელი. ეს სამხატვრო საზოგადოებისათვის უნდა ქცეულიყო პირველ ნაბიჯად და სანამ იგი არ გადაიდგმებოდა, ქართული მხატვრობის აყვავება-აღორძინებაც არ დაიწყებოდა. მართალია საზოგადოება ამ საკითხისადმი გულგრილობას იჩენდა, მაგრამ ქუთაისში უკვე მესამე წელია ზაფხულობით მაინც იმართებოდა მეცადინეობები სამხატვრო სკოლაში.<sup>3</sup>

გ. მესხმა 1919 წ. „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ დაბეჭდა წერილი „ქართული მხატვრობა“, რომელშიც ძირითადად კვლავ სწავლების საკითხებს ეხებოდა. მისი აზრით მხატვრული აღზრდა, მხატვრულ ღირებულებათა შეგნება და ესთეტიკური კულტურა მეტად დაბალ საფეხურზე იდგა საქართველოში.

ბოლო დროს მხატვრულ აღზრდას სკოლებშიც დაეთმო სათანადო ადგილი, თუმცა იგი არასაკმარისი იყო. ქართველ მხატვრებს უფრო მეტად უნდა ეზრუნათ ამ პრობლემაზე. მისი აზრით, ეროვნულ სკოლას მხატვრულ აღზრდაში უნდა განესახიერებინა ეროვნული სული და გული, ეროვნული ელფერი. ამისათვის ხატვის სწავლების მიზანი ახალ ნიადაგზე უნდა დამყარებულიყო და მეტყურადღება უნდა მიქცეოდა მხატვრულ აღზრდას სკოლებში. გ. მესხი კიდევ ერთხელ მოითხოვდა სამხატვრო სასწავლებლის დაარსებას, რომლის მიზანი იქნებოდა ეროვნული მხატვრობის შესწავლა და განვითარება. ამ საქმისათვის მთავრობასაც არ უნდა დაეშურებინა ხარჯები.<sup>4</sup>

მ. დ.-ს ვრცელი წერილი „ხატვის მასწავლებელი“, დაბეჭდა

1 ვაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 222

2 ვაზ. „ხალხის მეგობარი“, 1920 წ., № 12

3 იქვე, № 7

4 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 187

გაზეთმა „საქართველომაც“ 1919 წ. წერილში განხილულია ხატვის სწავლების შემოღების საკითხი სკოლებში. აგი არ ისწავლებოდა ყველგან, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო.

აღნიშნულია, რომ სადაც ისწავლებოდა, იქაც მას არასპეციალისტები ასწავლიდნენ. განსაკუთრებით ცუდად იდგა ხატვის სწავლება გიმნაზიებში, ხოლო შედარებით უკეთესად რეალურ სასწავლებელში. ავტორს სწორედ ეს მიაჩნდა იმის მიზეზად, რომ საქართველოში არ იყო არც ერთი ჩინებული მხატვარი და მოქანდაკე (აქ ავტორი აშკარად სცდება ქართველი მხატვრების შეფასებაში). დასკვნაში ავტორს გადაუღებელ აუცილებლობად მიაჩნია სამხატვრო სასწავლებლის გახსნა, რაზეც არავინ არ ზრუნავდა. სწორედ ამ სასწავლებელს უნდა მოემზადებინა ხატვის მასწავლებლები.<sup>1</sup>

1919 წ. ხანგრძლივი მცდელობა დადებითად გადაიჭრა და ხატვა სკოლებში ახალი პროგრამით სავალდებულო საგანი გახდა.<sup>2</sup> ვა სკოლებში სავალდებულო საგანი გახდა.<sup>2</sup>

თა ოსტატების მომზადებაც. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. ეხებოდა რა ამ საკითხს წერილში „ქართული ჩუქურთმის ხელოვნობის ისტორია“ წერდა, რომ ცოტა დარჩა ამ საქმის ოსტატები და აი, ევროპიდან დაბრუნდა ნ. მეტეხელი, რომელმაც იქ ისწავლა მარმარელოზე ჩუქურთმის ჯრა. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ნ. მეტეხელი მუშაობასთან ერთად, მოსწავლეებსაც აოსტატებდა ამ საქმეში.<sup>3</sup>

ცალკე უნდა შევეხოთ ქართველ მხატვართა აქტიურ მონაწილეობას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და მისი ატრიბუტიკის შექმნის საქმეში.

1918 წელსვე, ეროვნული საბჭოს ხელოვნების სექციამ მოისმინა ი. ჯავახიშვილის მოხსენება სახელმწიფო ღერბის შექმნის თაობაზე და დაადგინა მთავრობას გამოეცხადებინა კონკურსი. ღერბს საფუძვლად უნდა დადებოდა თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. კონკურსის მართლაც გამოცხადდა, სადაც ჯილდოდ 3000 მ. იქნა დაწესებული.<sup>4</sup> საბოლოოდ მოწონებულა იქნა ი. შარლემანის მიერ

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 92

2 იქვე, № 158

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., № 11

4 იქვე, 1918 წ., № 14, 64

დამზადებული ღერბი.<sup>1</sup> 1918 წ. 10 ივლისს გამოცხადდა ქართული ფულის ნახატების კონკურსიც, სადაც პრემიად 1000 მ. იყო დაწესებული.<sup>2</sup> ეროვნული დროშის გეგმა კი ი. ნიკოლაძემ შეადგინა.<sup>3</sup> რომელიც მოიწონა ხელოვნების კომისიამ და ეროვნულ საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი სამფეროვანი — (შვინდისფერი, შავი და თეთრი) დროშის მისაღებად.<sup>4</sup>

1919 წ. 15 აგვისტოდან საქართველოში აიკრძალა რუსული მარკების ხმარება.<sup>5</sup> ფანანსთა მინისტრს დაევალა ორ კვირაში დაეზეჭდა ქართული საფოსტო და საღერბე მარკები,<sup>6</sup> რომელთა პროექტი მხატვარმა დ. შვეარდნაძემ შეადგინა (მთავრობამ მოიწონა პროექტი და მხატვარს ჯილდოდ 5000 მ. მისცა).<sup>7</sup> ქართული მარკები და ღია ბარათები მიმოქცევაში 1919 წ. 15 აგვისტოდან შევიდა.<sup>8</sup> თუმცა თავიდან მისი შემოღება 26 მაისისათვის სურდათ. მაგრამ ვერ მოესწრო.<sup>9</sup>

ქართველი მხატვრები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ხელისუფლების იმ ღონისძიებათა განხორციელების პროცესშიც, რაც ქვეყნის ისტორიული წარსულისა და ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი პატივისცემაში გამოიხატებოდა. შეიძლება მაგალითებას დასახელება: 1919 წ. 24 სექტემბერს მთავრობამ მოინახულა კრწანისის ველი და გადაწყვიტა იქ მონუმენტის აგება. მალე დაიწყო კიდეც მოსამზადებელი სამუშაოები.<sup>10</sup> იმავე წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა შეეგროვებინა შემოწირულობები და ქართველ მოღვაწეთა ღიღუბის სავანეში დაედგა იმათი ძეგლი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა. საზოგადოებამ ამ მიზნით დაიწყო დაღუპულთა სიების დადგენა.<sup>11</sup> აქვე უნდა აღვნიშ-

1 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 22

2 იქვე, 1918 წ., № 134

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 13

4 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 33

5 იქვე, 1919 წ., № 182

6 იქვე, № 52

7 იქვე, № 173

8 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 596, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 116

9 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 110

10 იქვე, № 217

11 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., № 51, 69



ნოთ, რომ 1920 წ. მხატვარი (ფოტოგრაფი) კ. ქავთარაძე საგანგებოდ წავიდა ფრონტზე, რათა იქ მებრძოლთა სურათები გაეკეთებინა.<sup>1</sup> პარლამენტის ხელოვნების კომისიამ ასევე დაადგინა აეგოთ აკაკის ძეგლი და ამ მიზნით შექმნა კომისია.<sup>2</sup> თბილისის ქალაქის გამგეობამ კი ი. ნიკოლაძეს შეუკვეთა ი. ევდოშვილის ბიუსტი, რომელიც სახალხო სახლში დაიდგმებოდა<sup>3</sup> და ა. შ.

მხატვრები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათმა ნაწილმა აშკარად ზედმეტი ხარკი გაუღო პოლიტიკურ კონიუნქტურას. ეს გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ საკმაოდ ხშირად გამოდიოდა მათ მიერ შესრულებული პოლიტიკური ლიდერების პორტრეტები. ასე მაგალითად, 1919 წ. გამოვიდა ს. შილაკაძის ნახატი „ნოე ჟორდანია კითხულობს მოხსენებას გვარდიის ყრილობაზე“. ნახატს ძალზე მაღალი შეფასება მისცა მენშვეიკთა გაზეთ „ერთობაში“ ვინმე ი. ტ. მ. ნახატზე გამოხატული იყო „ხალხის ბელადი ნოე ჟორდანია“. მას უკან მიჰყვება ვალიკო ჭულელი და ჯარი. წინ მოჩანს სოციალიზმის ემბლემა. ხრამში ყრია მებრძოლთა ჩონჩხები. სჩანს ყუმბარმტყორცნელი, ზევითაა მზე, თეთრი და შავი ღრუბლები, ნოეს ხელი სოციალიზმისაკენ აქვს გაშვებული და ამბობს: აი ჩვენი სწორი გზა სოციალიზმისაკენ“.<sup>4</sup>

გამოვიდა კ. ქავთარაძის მიერ შესრულებული პარლამენტის გარდაცვლილი დეპუტატის რ. ჩიხლაძის პორტრეტიც. ნოე ჟორდანიას დიდი პორტრეტი, კ. წერეთლისა და კ. ჩხენკელის პორტრეტები, ს. შილაკაძის „განახლებული საქართველო“, რომელზეც ასახული იყო დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა ჟორდანიას. წერეთლის, ჩხენიძის, ჩხენკელის, ჯორჯაძის, შოთას, აკაკის, ილიას, ბარათაშვილის და ნინოშვილის სურათებით.

პარლამენტის კომისიამ ასევე დაუკვეთა 1920 წ. ი. ნიკოლაძეს ნ. ჟორდანიას ბიუსტიც, რომელიც დამფუძნებელ კრებაში დაიდგმებოდა.<sup>5</sup> ნ. ჟორდანაას სამი ბიუსტი ი. ნიკოლაძეს თბილისის ქალაქის გამგეობამაც დაუკვეთა.<sup>6</sup>

1 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 2

2 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 750

3 იქვე, 1919 წ., № 608

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 241

5 იქვე, 1920 წ., № 161

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 650

შესამჩნევი ნაბიჯები გადაიდგა ხელოვნების პროფილის პრესის შექმნის საქმეშიც. 1919 წ. დაარსდა ქართულ მოდათა ნახატების ჟურნალები, რომლის ესკიზები ი. ნიკოლაძემ, ლ. გუდიაშვილმა და კ. ზდანევიჩმა გააკეთეს.<sup>1</sup> 1920 წ. სახელოსნო ცენტრის დადგენილებათ გადაწყდა დაარსებულიყო ყოველთვიური ჟურნალი „ხელოვნება“ მთავრობამ ერთი მილიონი მანეთი გამოჰო ამისათვის.<sup>2</sup> ჟურნალის ყდის შესაქმნელად და ემბლემისათვის გამოცხადდა კონკურსი.<sup>3</sup> 1920 წ. ს. ასლანიშვილის რედაქტორობით ჟურნალის ორი ნომერი გამოვიდა კიდევ.

ქართველი მხატვრები აქტიურად თანამშრომლობდნენ სხვა ჟურნალებშიც. ასე მაგალითად, მ. თოიძე იყო ჟურნალ „პარნასის“ მხატვარი, ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე თანამშრომლობდნენ „თოლაბულისის სარტყელში“, რომლის მეორე ნომერში, 1919 წ. დაიბეჭდა მათი ნახატები, მხატვრების — ლ. გუდიაშვილის, ზალცმანის, ლუჩიაშვილის, გ. მესხის, შ. მიქელაძის. ვინმე „შალიკოს“ და მ. ჭიაურელის ნახატები დაბეჭდა 1919 წ. პირველ ნომერში „თეატრმა და მუსიკამაც“. განსაკუთრებით ღიდ ადგილს უთმობდა მხატვრობას „შვიდი მნათობი“. მის პირველ ნომერში, რომელიც დ. კაკაბაძემ გააფორმა, დაიბეჭდა დ. კაკაბაძის და ლ. გუდიაშვილის ნახატები, ხოლო მეორე ნომერში ლეონარდო და ვინჩის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, მ. თოიძის, შ. ქიქოძის და ი. ნიკოლაძის ნახატები. ამ ჟურნალის 1-2 ნომერებში ასევე მოთავსებული იყო დ. კაკაბაძის წერილები მხატვრობაზე — „ჩვენი გზა“, „სურათის პრინციპი“, „ბეჭა ოპიზარი“, „ძველი ტფილისი“, „საქართველოს ღერბი“, „ქართული დრამატული სტუდია“, „ფორმა“, „თანამედროვე მხატვრობის გზები“, ლეონარდო და ვინჩის დაბადებიდან 400 წლისათვისადმი მიძღვნილი სტატია და სხვა მასალები.

მოკლედ შევეხებით მხატვართა ეკონომიურ მდგომარეობასაც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ძალზე უჭირდა, მთავრობა ახერხებდა მინიმალური დახმარება მაინც გაეწია მხატვრებისათვის. ასე მაგალითად, ი. ნიკოლაძეს მოღვაწეობის 20 წლის საიუბილეოდ სა-

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 187

2 იქვე, 1920 წ., № 57

3 იქვე, 1919 წ., № 187

ხელოსნოს ასაგებად უფასოდ მისცა მასალა.<sup>1</sup> პერიოდულად ეხმარებოდა მათ სურსათით და ა. შ., მაგრამ ეს სრულიდაც არ იყო საკმარისი. მხატვართა უმრავლესობას არ ჰქონდა, ან არ უვარგოდა სახელოსნო, უჭირდა ფიხანსურად. სიღარიბეში გარდაიცვალნენ 1918 წ. გურიაში ი. ნიკოლაძის ახალგაზრდა ნიჭიერი მოსწავლე, მოქანდაკე მ. დოლიძე,<sup>2</sup> 1920 წ. მ. თოიძის მეუღლე, მხატვარი ალექსანდრა თოიძე, რასაც მ. თოიძის გაქურდვაც თან დაერთო<sup>3</sup> და იგი იძულებული გახდა სამუშაოდ სოფელში წასულიყო. ლუკმაპურის საშოვნელად თელავში გადასახლდა ვ. ერისთავიც.

1918 წ. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა სარედაქციო წერილი „მეტი ყურადღება“, რომელშიც ხელოვნების მოღვაწეებზე და მათ ეკონომიკურ გასაჭირზეა საუბარი.<sup>4</sup>

ამ პრობლემისადმი მიძღვნილი 1920 წ. ჟურნალ „ლეილაში“ დაბეჭდილი წერილიც „ქართველი ხელოვანის ტრაგედია“. წერილში გულსტიკივალა გამოთქმული იმ უყურადღებობაზე, რასაც მათ მიმართ იჩენდა საზოგადოება და ხელისუფლება. შემდეგ მოყვანილია მ. თოიძის მაგალითი, რომელიც იძულებული გახდა მეუღლის დასაყრდელად მისი შვილის, პატარა ირაკლის ნახატი გაეყიდა.<sup>5</sup>

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 92

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., № 246

3 იქვე, 1920 წ., № 3

4 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 33

5 ჟურნ. „ლეილა“, 1920 წ., № 5

## თავი მეექვსე

### კინოხელოვნება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ქართული ეროვნული კინოხელოვნების განვითარებისათვის. 1918 წ., დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალე, თბილისში დაარსდა კერძო ქართული კინემატოგრაფიული სააქციონერო საზოგადოება, რომლის მიზანს საქართველოში ამ საქმის ორგანიზაციის ევროპულ ყაიდაზე მოწყობა და ქართული კინოპიესების ფილმებად გადაღება წარმოადგენდა. ყურადღება გამახვილდა რა ქართულ რეპერტუარზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, უპირატესობა მისცემოდა იმ ნაწარმოებების ეკრანიზაციას, რომლებშიც საქართველოს თანამედროვე ცხოვრება იქნებოდა ასახული. გადაწყდა ეკრანისათვის შეექმნათ საგანგებო დასი და სპეციალური სტუდია, რომელშიც კინოს მსახიობები მომზადდებოდნენ. საზოგადოებამ შეიძინა პიესები, აპარატურა, ატელიე და ა. შ. მას ანგარიშზე, თავიდანვე 10 მილიონი მანეთი გააჩნდა.<sup>1</sup>

ცალკე არსებობდა მეორე აქციონერული საზოგადოებაც „კინემატოგრაფიული საქმე“.

1919 წ. თბილისში სურათების გადამღება ფირმის დაარსება განიზრახა საფრანგეთმაც და მისმა კონსულმა თხოვნით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ფრანგული საზოგადოება „ფილმა“-სათვის ნება დაერთოთ თბილისში გაეხსნა სურათების გადამღები ფირმა.<sup>2</sup> „ფილმა“-მ ნებართვა განმეორებითაც ითხოვა, ოლონდ ამჯერად შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რათა გადაღებები მათ მთელს საქართველოში ეწარმოებინათ. სამინისტრომ ამჯერად გასცა ნებართვა, ოლონდ „ფილმას“ ეკრძალებოდა გადაღებები

1 ვ.ზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 9.

2 იქვე, 1919 წ. № 7.

ეწარმლებინა დარიალის ხეობაში, სასახლერო და იმ ადგილებში, სადაც საომარი მოქმედებები სწარმოებდა რკინიგზების ახლოს.<sup>1</sup>

ხელისუფლება ამ საქმეს რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს შემდეგიდანაც სჩანს: 1919 წ. მთავრობაში წინადადებით შევიდა განათლების სამინისტრო, რომ მომხდარიყო სახელმწიფო კინოატელიეს იმ ზომამდე გაფართოება, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა გადაეღო 55 სურათი.<sup>2</sup> მთავრობა დაეთანხმა სამინისტროს ამ მოთხოვნას და 1919 წ. ქართული კინოს განვითარებისათვის 13 მილიონი მანეთი გამოჰყო.<sup>3</sup>

ქართული კინოს განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1920 წ. 25 მარტს გამართული ხელოვნების ცენტრის კრება, რომელსაც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მოხსენებებით გამოვიდა კრესტოვსკი. კრებამ დაადგინა მომხდარიყო კინემატოგრაფის ნაციონალიზაცია და გასახელმწიფოებრიობა და ამის თაობაზე თხოვნით მიემართათ მთავრობისათვის, დაარსებულყო კინოფილმების ატელიეები. სადაც მოხდებოდა ფილმების გადაღება. კრებამ ასევე მოითხოვა დაჩქარებულიყო არტისტული თეატრის რეკვიზიცია და მისი დრამატული საზოგადოებისათვის გადაცემა. ქალაქის გამგეობას ერთ კვირაში უნდა გაეცა პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.<sup>4</sup>

დადგენილების რეალიზაციის გზაზე 1920 წელსვე გადაიდგა ნაბიჯები და თბილისში დაარსდა კინოატელიე.<sup>5</sup>

თუ გავითვალისწინებთ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ურთულეს პირობებს, 1918—21 წლებში არც თუ ისე ცოტა რამ გაკეთდა ქართული ფილმების გადაღების თვალსაზრისითაც. 1918 წ. რეჟისორმა გ. გოგიტიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი — „ქრისტიანი“ და 12 დეკემბერს გამართული გვარდიის დღის ზეიმი. ამ ფილმების ჩვენება 1919 წ. 26 მაისიდან დაიწყო, როცა მათი პრემიერა საზეიმოდ მოეწყო კინოთეატრ „აპოლოში“. ამ დღეს ასევე აჩვენეს ახლადგადაღებული ფილმი „დღესასწაული დამფუძნებელი

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., № 200

2 იქვე, № 279

3 იქვე, № 294

4 იქვე, 1920 წ., № 69

5 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 788

კრების გახსნას დღეს“.<sup>1</sup> ეს იყო პირველი ფილმები დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებიდან.

მალე გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა უცნობი ავტორის რეცენზია „ჩვენი ცხოვრება კინემატოგრაფის ენაზე“, რომელშიც საუბარია „ქრისტიანეზე“, „გვარდიის დღესა“ და „დამფუძნებელი კრების გახსნაზე“ და მაღალი შეფასება აქვთ მიცემული სამთავეს. ავტორი იქვე გამოხატავს თავის პოზიციას ქართული კინოს მომავალთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ევროპელისაგან განსხვავებით, ქართული კინემატოგრაფის აქცენტი მიმართული უნდა ყოფილიყო სამეცნიერო მოღვაწეობაზე, ხალხის ყოფაცხოვრების ასახვასა და ჩვენი ქვეყნის ბუნების სწორად გადმოცემაზე.<sup>2</sup>

1919 წ. ასევე გადაიღეს 26 მაისის ზეიმი და ამიერკავკასიის კოლხერატივთა V ყრილობა. რეცენზია „ერთობაში“ ამჯერადაც დაიბეჭდა და კვლავ მაღალი შეფასება მიეცა 26 მაისის ზეიმის გადაღებას, თუმცა აღნიშნული იყო, რომ ბევრი რამ მასში გამოტოვებული იყო.<sup>3</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფილმების გადაღებას ხელმძღვანელობდა რეჟისორი ა. წუწუნავა, რომელმაც საერთოდაც ძალზე დიდი წვლილი შეიტანა ამ წლების კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკის წლებში გადაღებულ მეხუთე ფილმს წარმოადგენდა „1918 წ. ბათუმის კონფერენცია“.<sup>4</sup> 1920 წ. ცეკავშირმა კიდევ ერთი ახალი ოთხნაწილიანი ფილმი გადაიღო: „ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში (15-28 სექტემბერი)“, რომლის ჩვენება 11 ოქტომბრიდან დაიწყო.<sup>5</sup> 1920 წ. გადაღებული იქნა გვარდიის დღის მესამე ზეიმიც, რომელიც 15 დეკემბერს აჩვენეს პირველად. ეს ფილმიც გ. გოგიტიძემ გადაიღო. გადაღებული იქნა ბათუმის საქართველოსთან შემოერთებაც (ორ ნაწილად), რომლის ჩვენება 19 ივლისიდან დაიწყო.<sup>6</sup>

გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ჯერ კიდევ 1919 წ. დაბეჭდა წერილი „ქართული კინემატოგრაფი“, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული მას და განსაკუთრებით ხაზგასმულია რეჟისორ გ. გოგი-

1 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 114

2 იქვე, № 125

3 იქვე, № 126

4 იქვე, № 129

5 იქვე, 1920 წ., № 186

6 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 882

ტიძის წელილი ამ საქმეში. იგი დაუღალავად იღვწოდა ფილმების გადაღებისათვის, დადიოდა არმიისა და გვარდიის ნაწილებში, სხვადასხვა ფრონტებზე და იღებდა მათ საქმიანობას. მან დროის მცირე მონაკვეთში გადაიღო „ქრისტიანე“, „დამფუძნებელი კრების გახსნა“, „გვარდიის დღე“, „საქართველოს ერთი წლის თავის ზეიმი“, „გვარდიის დღის მესამე ზეიმი“ და ა. შ.

თბილისში 1920 წ. „ფილმამაც“ გადაიღო კინოსურათი „მითხარი რისთვის?“, რომელშიც მართალია ძირითადად თბილისელი მსახიობები კი იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ ქართველი მათ შორის არც ერთი არ ყოფილა.<sup>1</sup>

დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ბევრი რამ გაკეთდა კინოთეატრების ქსელის შექმნა-გაფართოებისთვისაც. 1918 წ. კინოთეატრები ძირითადად თბილისში არსებობდა, 5 სექტემბერს აქ გაიხსნა ახალი ელექტროთეატრი (ასე ჰქვიოდა მაშინ კინოთეატრს) „კინოტიტანიკი“<sup>2</sup> და მოგვიანებით „ამირანი“, რომელშიც ფილმების გარდა ეწყობოდა კონცერტები, ცეკვები, დადგმები, ჰქონდა სამკითხველო და ა. შ. აღსანიშნავია, რომ „ამირანში“ მოსწავლეები და ღარიბები უფასოდ დაიშვებოდნენ.<sup>3</sup> 1918 წ. თბილისში ასევე მოქმედებდნენ „სოიუზი“, I რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიის სინემატოგრაფი, სახალხო უნივერსიტეტის სინემატოგრაფი და ა. შ. 1919 წ. თბილისში ფილმების ჩვენება ხდებოდა კინოთეატრებში „მინიონი“, „არფარტო“, „კოლიზი“, „კინოპალატი“, შრომის ბირჟის კინოთეატრში, 11 ქართულ კლუბში, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში, „ფილმაში“, ავლაბრის მუშათა კლუბში, რკინიგზის კლუბში, სახელოსნო კლუბში და ა. შ.

თბილისის ბაღში ზაფხულობით ფილმების ჩვენება კვირაში 3—4-ჯერ უფასოდაც ხდებოდა.<sup>4</sup> უფასოდ აჩვენებდა ფილმებს შრომის ბირჟაც. სწორედ ეს გაითვალისწინა თბილისის ქალაქის გამგეობამ, როცა ბირჟას თავისი კინოთეატრის შესაკეთებლად 13523 მ. გამოუყო 1920 წ. უფასოდ უჩვენებდნენ ბავშვებს ფილმებს ავლაბრის მუშათა კლუბშიც.<sup>5</sup> საბავშვო ფილმების ჩვენება როგორც წესი,

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 62  
2 იქვე, 1918 წ., № 34  
3 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 20  
4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 114  
5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 62, 133

სხვაგანაც იაფად ხდებოდა, ხოლო ავღანების სახალხო უნივერსიტეტი შაბათ-კვირას მხოლოდ ბავშვებისათვის აჩვენებდა ფილმებს.

კინოთეატრი „რადიუმი“ მოქმედებდა ქუთაისშიც. ასევე სისტემატურად ტარდებოდა კინოსეანსები ახალციხესა და თიანეთშიც.

ფილმებს საქართველოს სოფლებშიც ხშირად აჩვენებდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ქართული ლატარიის გამგეობა, რომელმაც 1919 წ. დაადგინა ქართული ფილმები „ქრისტიანე“, „დამოუკიდებლობის ერთი წელი“, „ბათუმის კონფერენცია“, „დამფუძნებელი კრების გახსნა“ და „გვარდიის დღე“ წაელო სოფლებში.<sup>1</sup> ისინი საგანგებო მანქანით გაემგზავრნენ და ფილმები აჩვენეს ლანჩხუთში, სუფსაში, ოზურგეთში, ლიხაურში, შემოქმედში, დვახუში, ბახეში, ხიდისთავში, ჩოხატაურში, სამტრედიასში, ხრნსა და ქუთაისში, ხოლო შემდეგ, მანქანის გაფუჭების გამო, ველარ შესძლეს მოგზაურობის გაგრძელება. მოგზაურობაში მონაწილეობდა და ლექსების კითხვით გამოდიოდა პოეტი გ. ქუჩიშვილიც.<sup>2</sup>

1919 წ. აგვისტოში მოძრავი კინო მოაწყო თბილისის შრომის ბიურომაც და იგი მთელი ორი თვე იყო დასავლეთ საქართველოს სოფლებში. მათ ფილმები „რევოლუციური“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი“ აჩვენეს სამტრედიის, ვანის, ჩოხატაურის და ოზურგეთის 19 სოფელში, რომელიც სულ 11300 მკაცრებელმა ნახა.<sup>3</sup> ფილმების ჩვენებას, როგორც წესი, წინ მოხსენებები უძღოდა. იშვიათად ფილმებს სხვა სოფლებშიც აჩვენებდნენ.

ხშირი იყო ფილმების ჩვენება არმიისა და გვარდიის ნაწილებსა და ფრონტებზეც. მაგალითად, 1920 წ. ასეთი ჩვენებები მოხდა აზერბაიჯანის ფრონტზე, სადაც თვითონ გ. გოგიტიძეც ჩავიდა და თან ჯარისკაცთა ცხოვრებაც გადაიღო — „აზერბაიჯანის ფრონტი“.<sup>4</sup> გ. გოგიტიძე სხვა დროსაც ხშირად ჩადიოდა და იღებდა ფრონტებზე დოკუმენტურ ფილმებს.<sup>5</sup>

1920 წ. აგვისტოში სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიამ ფილმები აჭარაში განლაგებულ ნაწილებშიც ჩაიტანა. მათ გადასაღებად თან ახლდათ კოოპკავშირთან არსე-

1 ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 129

2 ვახ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 627

3 ვახ. „ერთობა“, 1919 წ., № 259

4 იქვე, 1920 წ., № 133

5 ვახ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 853, 855



ბული კინემატოგრაფიული განყოფილების გამგე გ. გოგირტიძე და ფოტოგრაფი კ. ქავთარაძეც.<sup>1</sup> ფილმები აჩვენეს ბათუმში, აჭარის-წყალზე, ქედაში და ხულოში.<sup>2</sup>

საკუთარი მოძრავი კინო შექმნა გვარდიის კულტურულ-საგან-მანათლებლო კომისიამაც, რომელიც უფრო მეტად პერიფერიებში დადიოდა. ასე მაგალითად, 1920 წ. ისინი ჩავიდნენ ახალციხე-ახალ-ქალაქის ფრონტებზე და ფილმების ჩვენებასთან ერთად გვარდიე-ლთა საქმიანობაც გადაიღეს.<sup>3</sup>

ფილმების ჩვენებას, როგორც ყველგან, აქაც წინ სიტყვებით გამოსვლა უძღოდა.

ქართველი მათემატიკოსი 1918—21 წლებში მსოფლიო კინოსამ-ყაროსაგან იზოლირებულად სულაც არ ცხოვრობდა. მათ შესაძლე-ბლობა ჰქონდათ ენახათ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფ-ლიოს სხვა ქვეყნებში გადაღებული ფილმებიც. მაგალითად, ამ წლებში ჩვენს ეკრანებზე აჩვენებდნენ „გრად მონტეკარისტოს“, „დანაშაული და სასჯელს“, „ჟანა დარკს“, „სამოთხე უადამოდ“, „მოტყუებულ ევას“, „სიკვდილის დუქანში“, „სამი დღის ცხოვრე-ბას“, „რევოლუციას“, „ყვავის ბუდეს“, „თანამედროვე ებრაულ პალესტინას“, „პომპეის დაღუპვას“, „ცისფერ ტბასთან“, „ნელი რანცევას“ და ა. შ.

მთავრობამ ქართული კინოს საერთაშორისო არენაზე გატანის-თვისაც გადადგა პირველი ნაბიჯი და 1919 წ. დაადგინა მოეწყო ქა-რთული ფილმების ჩვენება ევროპაში.<sup>4</sup>

1 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 906, 910

2 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 186

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., № 135

4 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., № 126

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>შეხვეალი</b>	<b>3</b>
<b>თავი I — ღონისძიებანი გაეროვნულების (გაქართულების) გან- სახორციელებლად . . . . .</b>	<b>8</b>
<b>თავი II — საქმიანობა ეროვნული ტერმინოლოგიის შესაქმნელად</b>	<b>53</b>
<b>თავი III — თეატრალური ხელოვნება . . . . .</b>	<b>70</b>
<b>თავი IV — მუსიკალური ხელოვნება . . . . .</b>	<b>181</b>
<b>თავი V — სახვითი ხელოვნება . . . . .</b>	<b>281</b>
<b>თავი VI — კინოხელოვნება . . . . .</b>	<b>300</b>

**ტექნიკური რედაქტორი ბრინბან ჯანსოთელი**  
**კორექტორი ივოლდა ქუთათელაძე**  
**გამომწვები შოკრანა მანისურაძე**

გადაეცა წარმოებას 17.12.97, ხელმოწერილია დასაბუქდად 15 მარტს  
საბუქდი ქალაღი № 2 60X841/16 პირობითი ნაბუქდი თაბახი 19,4  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი

**შანი საბელშეკრულაო**

წიგნი გამოღის აეტორის ხარჯით

გამომცემლობა „საქართველო“  
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, გრიშაშვილის 6

